

იზა

ნაწილი პირველი

ძალდატანებული ქორწინება

უცნაური საქციელი საპატარძლოსი ქორწილის წინა დღეს

კლოდ ტიუსსოს პარიზში, სენ-ფრანსუას ქუჩაზედ, ბრინჯაოს ქარხანა ჰქონდა. ხმა გავარდა თუ არა, რომ ამისი ქალი, ლამაზი სესილი, თხოვდება და აწოწვილს გუდარს ირთავსო, რომელსაც მეტს სახელს "ჯაგლაგს" ეძახდნენ, - ყველას მთელს მარეს უბანში გაუკვირდა და გულიც აუმღვრია. არავის არა სჯეროდა, რომ ეს ხმა გამართლდება. მთელი ათი წელიწადი იყო, რაც ლაპარაკობდნენ რომ ტიუსსოს ქარხანა გუდარის ფულით არსებობსო და გუდარი ფულს აძლევსო, იმიტომა რომ ტიუსსოს ცოლთან ძალიან დაახლოვებულიაო. ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ მარტო ქმარმა არ იცის თავის შესარცხვენი ამბავიო.

ყველაზედ მეტად ისა სწყინდათ, რომ თვითონ ტიუსსოს ცოლს მოუწადინებია ეს ქორწინებაო.

მარეს უბნელები საზოგადოდ ძალიან მეჭორეები იყვნენ და ამის გამო ჭორიკანაობას ამ ქორწინების თაობაზედ ბოლო არა ჰქონდა. ზოგი ამბობდა, რომ ტიუსსოს კუტრობაში ფეხი უდგასო და ქალს იმიტომ აძლევსო, რომ სიძე ამხანაგად გაიხადოს და ამით თავის სახელს უშველოსო. მეორენი ამბობდნენ, რომ ტიუსსოს ცოლი ათხოვებს ქალსა მარტო იმისთვის, რომ თავისი საყვარელი თავისთან იყოლიოსო. მესამენი ამბობდნენ, რომ ლამაზს სესილს ისე გაგიჟებით უყვარს მორისი, თავის მამის შეგირდი და თავის ამხანაგი პატარაობისა, რომ დედ-მამა იძულებულ იყვნენ გაეგდოთ მორისი, როცა მოიზარდა და ქარგლად შეიქმნა, და ქალის გათხოვება უნდა დაეჩქარებინათ, რადგანაც ყოველს დღეს ფათერაკი მოსდევდაო. ბევრს რასმეს ჰყბებდნენ კიდევ მეზობელნი, ხოლო ჩვენ ვიტყვით მას, რასაც ისინი არ ამბობდნენ, სახელდობრ, მართალსა.

მართალია, კლოდ ტიუსსოს სახლში ქორწილისათვის მზადება იყო და ჩვენი ამბავი იწყობა იმ დღიდან, რომლის მეორე დღეს ანდრე გუდარს, მეტის სახელით "ჯაგლაგს", უნდა ჯვარი დაეწერა ახალგაზრდა და მშვენიერს სესილზედ.

რაღაც შემთხვევით სესილის დედა მარტოდ დარჩა გუდართან და დაბალ ხმით უთხრა:

- ბოლოს ხომ მაინც თქვენი სურვილი გაიყვანეთ. ღმერთმა შეგინდოთ.

გუდარმა კი მხიარულის ღიმილით ხმამაღლა უპასუხა:

- თქვენი ქალი, დედავ ტიუსსო, ყველა ქალზე უბედნიერესი იქმნება.

თვითონ საპატარძლო კი სრულიად გულდამშვიდებული იყო და მისი მკვახე სახის მეტყველება ყველას აოცებდა. სესილი იყო თექვსმეტის წლის ქალი, ბრწყინვალე შავი გიშერივით თმა ჰქონდა, ცისფერი თვალები, რომელნიც სხივისავით გამოკრთოდნენ ხშირის წარბ-წამწამის ქვეშ, სწორე ცხვირი და წვრილი, ყმაწვილური ტუჩები. როცა გაიღიმებდა ხოლმე, რასაკვირველია არა ეხლა, გამოიჩენდა ხოლმე მშვენიერს თეთრს პატარა კბილებს. ერთის სიტყვით, სესილი მეტად ლამაზი და ტურფა რამ იყო. ხოლო ჯვარისწერის წინა დღეს სესილი ისე იყო, თითქო სულ მარტოდმარტოაო, თუმცა მის გარემომო დიდი მზადება და ფაცაფუცი იყო. გულგრილად უყურებდა ყოველს ამ მზადებასა, თვითონ არაფერს ხელს არა ჰკიდებდა, ზიზღით ორიოდე სიტყვას გადუგდებდა ხოლმე თავის საქმროს და დედ-მამის ყოველს კითხვაზედ ამას ეუბნებოდა.

- რაც გენებოთ, იგი ჰქენით... მე აკი გითხარით, რომ თქვენი მორჩილი ვიქნები-მეთქი.

სადილს უკან, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სტუმრები ქორწინების მოწმად, ტიუსსოს ცოლმა მოურიდებლად სთქვა:

- ბატონებო, ჩვენ ძალიან დაღალული ვართ ამ ფაცაფუცისაგან, გთხოვთ ნება მოგვცეთ პატარა შევისვენოთ. აი, ხომ ჰხედავთ, საწყალს სესილს ისე უნდა ძილი, რომ მთელს საღამოს ხმაც არ ამოუღია და ხვალაც ადრე უნდა ავდგეთ.

ყველას გაეცინა. მეგობრულად გამოეთხოვნენ სახლის პატრონს და მეორე დღის ღვინი და სადილი რომ აგონდებოდათ, ტუჩებს ილოკდნენ. აწოწილი გუდარი, მეტის სახელით "ჯაგლაგი", მივიდა სესილთან და მოეხვია. ხოლო ქალმა ხელი ჰკრა და მოირიდა, ეშინოდა, რომ სხვა რამ უფრო უარესი კადნიერება არ გაბედოსო.

- ახლა რაო, სესილ?- უთხრა იმან, - მტკიცედ დაგიდვია თავი იმაზედ, რომ მე თავის დღეში ღიმილით არ შემომხედო?

- მე თქვენთვის მითქვამს, ბატონო გუდარ, რომ სიყრმითვე დაჩვეული ვარ დედ-მამის მორჩილებას და მას ვიქმ, რასაც ჩემს სასარგებლოდ ისინი დაინახვენ. რა გრძნობითა ვარ თქვენზე, ეს მე პირდაპირ მითქვამს თქვენთვის და არ დამიმალავს. თქვენ ჩემს ნათქვამს ყურს არ ათხოვებთ... თქვენ გასცემთ პასუხს ყოველს მასში, რაც მოხდება.

ბოროტმა ღიმილმა გაუმრუდა სახე ჯაგლაგსა და თვალებმა გამოუელვეს გაბრაზებით, ხოლო წუთის შემდეგ მხრები აიწია, სულელურად ჩაიცინა და სთქვა ძალად მოვლენილ მხიარულებით.

- სესილ, მე შენ პატარაობითვე გიცნობ, მახსოვს, რომ ყოველთვის თვითრჯული, ბუტია და ჟინიანი იყავ, მაგრამ მე იმნაირად დავუყვავებ და

მოგუვლი ჩემს ლამაზს ცოლსა, ისეთის სიმდიდრით შევამკობ, რომ ახლანდელს თავის სიტყვებს შეინანებს... და მე შემეცვარება.

ამ სიტყვებზედ ასეთის უცნაურის თვალთ შეხედა ყმაწვილმა ქალმა, რომ გუდარმა წარბი შეიკრა.

ეს პატარა ამბავი მოხდა გარედ კარებთან და სტუმრები ჩამოეცალნენ, რომ საქმროს არ დაუშალონ თავის საცოლოს გამოეთხოვოს. გუდარი წავიდა და ძლივს იკავებდა თავის ჯავრსა და სესილი კი გულაუმდვრევლად დაბრუნდა თავის ოთახში.

ვიდრე თავის საწოლში შევიდოდა, დედ-მამამ ტკბილად დაჰკოცნეს ქალი. მამამ დაუწყო ალერსი და უთხრა:

- ჩემო გვრიტიკო, სესილი! ჭკვიანურად მოიქეც, წადი, კარგად გამოიძინე და ეგრე გაბუტვით ნულარ იქნები. მე იმედი მაქვს, რომ ხვალ აგრე ცხვირპირჩამოშვებულს არა გნახავ.

- ოჰ, არა, არა, მე ხვალ ისე აღარ ვიქნები, როგორც დღესა ვარ, - უპასუხა რაღაც უცნაურის ხმითა.

- რასაკვირველია, შენ უნდა გულდადებით იყო; შენი გათხოვება ჭკუის საქმეა და არა სიყვარულისა. ჩემო კარგო, შენ არ იცი, რა ცოტას რასმეს ჰნიშნავს ცოლქმრობაში სიყვარული. ბედნიერება მოსვენებასა და სიმდიდრეშია. შენ სიღარიბისას არაფერს შეიტყობ, სეხილ, და აბა ჰკითხე დედაშენს, რა საშინელი დღენი გამოგვივლია, იმიტომ რომ ჩვენ ერთმანეთს მზითვად სიღარიბე მივუტანეთ. ბედნიერებისათვის რომ სიყვარული საკმაო იყოს, მაშინ ცოლქმრობაც მეტი იქნება. სიყვარული ჯვარისწერის იქით ველარა სძლებს.

- მამაშენი მართალს ამბობს, ჩემო შვილო, - შეჰნიშნა დედამ და კიკინები გაისწორა.

ყმაწვილმა ქალმა კისერი მოიღერა, შედგა დედ-მამის წინ და ნელის ხმითა სთქვა:

- მე რომ მაინც არ დაგემორჩილოთ და ხვალა ვთქვა - არა-მეთქი?

კლოდმა და ცოლმა ერთმანეთს შეჰხედეს იმ სახით, თითქო ელდა ეცათო.

- რაო, შე უბედურო! - უპასუხა მამამ, - არ დაგვემორჩილები?... მაშინ შეჩვენებულ და დაწყევლილ იქნები ჩემგან... მე მაშინ დავიღუპები... მე აღთქმა მიმიცია ანდრესათვის...

- მაშ თქვენი სარგებლობა ყველაზე წინ ყოფილა ამ საქმეში, - უპასუხა მკვახედ სესილმა, - მაგას ჩემი სიკვდილი შეუძლიან.

- მაგისაგან არ იხოცებიან, - დაიძახა მრისხანედ ტიუსსომ და გაბოროტებისაგან აინთო: - ეხლა კი დროა ყველაფერი ვთქვათ პირდაპირ. მე ქვეყნის წინაშე გიცხადებ, რომ მირჩევნია მოჰკვდე, ვიდრე შენი სულელური სიზმრები აისრულო...

- დაჩუმდი, კლოდ, გაგიჟდი, თუ რა დაგემართა! - უთხრა ცოლმა, თუმცა ქმარს გულში ის არა ჰქონია, რასაც ამბობდა, - დეეხსენ სესილს, გონიერებას არ გადუდგება და ურჩობას არ გაგვიწევს.

დედამ აკოცა ქალს და, როცა სესილი მოშორდა ამათ და თავის ოთახისკენ

წავიდა, ცოლმა უთხრა ქმარს:

- როგორ არ გესმის, კლოდ, რომ საწყალს ბავშვს ემძიმება გამოესალმოს ყოველს თვის ნატვრას და იმედებსა. მერე ამასთანაც იგი ჩვენს ნებას არ ეურჩება და მარტო იმას ამბობს საწყალი, რომ

თქვენი ნება ჩემთვის კანონიაო.

- ეგეები ხომ არ იქნებოდა, თუ რომ შენ ნება არ მიგეცა მორისსა და მაგას ჰაერში ციხეები ეშენებინათ.

- განა წინადავე შესაძლოა მცოდნიყო, რაც ბოლოს მოხდა?!

ამის შემდეგ ცოლ-ქმარნი თავის საწოლში შევიდნენ.

სესილი კი გამოეთხოვა თუ არა თავის მშობლებს, ავიდა მაღლა თავის ოთახში და ქვეშაგებზედ ჩამოჯდა. მთელი საათი უძრავად იჯდა და ერთსა და იმავე ადგილისაკენ მიემართა თვალები.

- თავის დღეში... არა, არასოდეს... ნამეტნავად მაგას! - დაიძახა უეცრად და მთელის ტანით აკანკალდა; თითქო ერთს საზარელს და საზიზღარს რასმეს შეეხოვო.

ადგა, ფეხაკრეფით მივიდა შკაფთან, წამოისხა წამოსასხამი, ნელა ჩამოვიდა ძირს, ქარგლების ოთახი გაიარა და გავიდა ქუჩაში.

გარედ რომ ნახა თავისი თავი, ფეხი აუჩქარა, ტიურენიხ ქუჩის ყურეში სარდაფი იყო ღვინისა, ჩაიხედა, დაინახა საათი და გასინჯა.

- თერთმეტი საათია! - წაიჩურჩულა თავისთავად, - უსათუოდ მელის.

უფრო ჩქარა წავიდა, თითქმის სირბილით. ბასტილიის მოედანზედ რომ მივიდა, დადგა ბურდონის საწყლიპიროს ყურეში. იმავე წამს ვრთი ყმაწვილი კაცი მოვიდა ამასთან.

- რაო? - უთხრა მან და გამოუწოდა ხელი.

- სულ ყველაფერი გათავდა! - უთხრა ქალმა გულდაწყვეტით.

- ახლა შენ რას ჰფიქრობ? - ჰკითხა ჭაბუკმა საშინლად აღელვებულმა.

- დიაღ, დიაღ, მეც თანახმა ვარ, თანახმა, - სთქვა ქალმა გულის კდომითა და დაეცა ჭაბუკს გულზედ.

რამდენსამე წუთს მაგრად იყვნენ ერთმანეთზედ გადახვეულნი და მწარედ ტიროდნენ, ბოლოს ქალმა დაიმორჩილა გულის მღელვარება, გამოეცალა ჭაბუკს ხელიდამ, სწრაფად მოიწურა თვალთაგან ცრემლი და სთქვა:

- მე თანახმა ვარ, მე მინდა სიკვდილი, გესმის?

- რისთვის?

- მისთვის, რომ მე შენ მიყვარხარ და აღთქმაც დამიდვია, რომ შენი ვიყო... სიცოცხლეს ჩვენი გაყრა უნდა, სიკვდილი კი შეგვაერთებს; მაშ სჯობს დავიხოცნეთ.

- მევე მეშინია ეხლა, რომ ეგ აზრი მოგეცი.

- მე ჩაგიდგამ ვაჟკაცობის სულს, ყური დამიგდე, მორის. ჩვენ ერთმანეთს პატარაობითვე ვიცნობთ. შენ დედ-მამა და თვისტომი არა გყვანდა, ერთი და გყვანდა, ჩემი მეგობარი ამელი. შენ ჩვენს ოჯახში გაიზარდე, მე და შენ დამანი ვიყავით. ჩვენდა გაუგებრად ჩვენს შორის უფრო ღრმა შემსჭვალულობა

დაიბადა, ხოლო ჩვენ ორივეს ნამუსი გვექონდა და იმოდენად პატივსაცემდით ერთმანეთს, რომ ჩვენი კავშირი ბოროტმოქმედობით არ წავილწეთ. ჩვენი ნატვრა ცოლქმრობა, ჯვარისწერა იყო და შენ სცდილობდი კარგ ქარგლად გამხდარიყავ და მე კარგ სახლის პატრონად. შენ შენი განზრახვა აისრულე, მე კი ხელი შემიშალეს. ჩვენს დედ-მამას, - ჩემს დედ-მამას შენც შენად ჰხადი, - არა ჰქონდათ ფიქრად, რომ ჩემით თავისი საკუთარი საქმე გაესწორებინათ და ამიტომაც ჩვენს ნატვრას და იმედს ხელს უწყობდნენ. ჩვენი სიძარტლე ამაშია, მორის, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი და ნებაც გვექონდა სიყვარულისა.

ყმაწვილს კაცს თვალთაგან ცრემლები ჩამოსდიოდა.

- ნუ სწუხარ, მორის, - განაგრძო სესილმა მწუხარის ღიმილითა, - დღეს ჩვენი ჯვარისწერის დღეა... ერთხელ ჩვენს სახლში ერთმა ავმა სულმა შემოდგა ფეხი... მამაჩემის მეგობარია... მეგობარია... შენც იცი... მეგობარია დედაჩემისა... ხომ გახსოვს, რარიგად ვიწოდი მე, იმ თავზედ ლაფდასხმას რომ ვხედავდი; იმან ფული მისცა მამაჩემს და დღეს მარტო იმას შეუშლიან დაიხსნას მამაჩემის სახელი კუტრობისაგან. რა უნდა მექნა? მეთქვა მამაჩემისათვის, რა ფასადაც ჰყიდულობდა იმ სამაგლის მეგობრობას? ხომ დედაჩემს მაშინვე გააგდებდა, თავზედ ლაფს დაასხამდა, შეარცხვენდა საქვეყნოდ. მერე სწორედ იმ დროს, როცა დედაჩემი ნანობს თავის წარსულსა... ყველაზე საზარო ის არის, რომ დედაჩემიც თანახმაა იმ კაცს მიმცეს. ამ ერთისთვის წინად დამპირდა, უარს ვეტყვიო. მეორე დღეს მე ტანისამოსს ვალაგებდი დედაჩემის ოთახის გვერდით. გუდარი დედასთან შევიდა. წიგნი მიელო დედაჩემისაგან, რომელშიაც დედაჩემი სწერდა, რომ მე თავის დღეში არა ვიქმ იმ სამაგლობასაო, რასაც ჩემგან თქვენ ითხოვთო. რომ იცოდე, მორის, რეები გავიგონე... ხომ ძალიან დაბლა დაცემულია დედაჩემი, მაგრამ იმ დღეს სწორედ შემებრაღა. საწყალი დედაჩემი! იმისთანა უნამუსო კაცის მონად ყოფნა საშინელია! რა მძიმედ დასაჯა ბედმა საწყალი დედა! გუდარმა გადაათქმევინა დედას სიტყვა და პირობა ჩამოართვა, რომ ხმა აღარ ამოიღოს... ამის შემდეგ მოგწერე, რომ ჩვენ იმედი აღარაფრისა არ უნდა გვექონდეს... მამაჩემი ერთი ბრმა მსხვერპლია. იგი მარტო ერთს ჰფიქრობს, რომ ჩემის გათხოვებით მისი ქარხანა ისევ ფეხზედ დადგება და მეც დაბინავებული ვეყოლები. რა ვქნა? ვუთხრა მამას, - დედასა და ქარხანას დავლუპავ... ვუთხრა დედას, რომ ყველაფერი ვიცი, - უარესია... ვუთხრა თვითონ იმ კაცს... ღონე არა მაქვს... ღონე, რომ ხმა გავცე. როგორც გველი, ისე მეზიზღება, ისე მძულს. თავიდან ფეხამდე სულ ჩირქია... ყოველისფერში სამაგელი რამ არის, ქცევაში, მიხრა-მოხრაში... იმისათვის ქვეყანაზედ არც სიყმაწვილეა, არც უმანკობა; ყოველს ქალს ისე ექცევა, როგორც ქუჩის მაწანწალა გოგოსა... მე არ ვიცი, რას არ ვიზამ, ოღონდ იმის ხელში არ ჩავვარდე! აი ხომ ხედავ, მორის, რა უნუგემო უბედურებაში ვართ.

- შენ სულ იმ აზრს დაუბრუნდები ხოლმე, რომელიც მე წამომცდა სასოწარკვეთილების დროს.

- მორის, მე დღეს შენთან მოვედი... მე შენი საცოლო ვარ... მე შენი ცოლი

ვიქნები... და ხვალ კი ჩვენ აღარ გავიღვიძებთ...

მორისი შედგა. სესილის ორივე ხელი ხელში ეჭირა და თვალეზში შეჰყურებდა.

- მოჰკვდები და სიცოცხლე არ დაგენანება, ისე უდრტვინველად გამოესალმები სიცოცხლეს?

- სიხარულით, სიხარულით!
- ძალ-გული არ გიღალატებს?
- მე შენ მიყვარხარ.

ცეცხლმოკიდებული გადებხვია მორისსა და მხურვალედ ჩაჰკოცნა.

- მორის, - უთხრა სესილმა, - მე მინდა შენს გულზე დავლიო სული და ტკბილად გეუბნებოდე: მიყვარხარ, მიყვარხარ!

მერე თავი დაასვენა მის მხარზე და ხმადაბლა უთხრა:

- ჩქარა წავიდეთ, მორის, შენთან... თორე ლამის ღონე მიმეხადოს.

მორისმა ხმა არ გასცა, მაგრამ მოჰკიდა ხელი და ორნივე ჩქარის ნაბიჯით წავიდნენ კონტრესკარპის საწყალპიროსაკენ. მორისი გულმაგრად იყო და შეურყევლად, მაგრამ ამასაც კი უნდოდა რითიმე გათავებულიყო ეს უნუგემო მდგომარეობა.

ღამე მშვენიერი იყო, ზაფხულის სიცხეს გრილი ნიავი აგრილებდა, ცა მოკირწყლული იყო ვარსკვლავებით, რომელნიც წყალში როგორც სარკეში კამკამებდნენ. კარგი რამ იყო სეირნობა, ტკბილი რამ იყო სიცოცხლე ამისთანა მადლიან ღამეს.

სესილი და მორისი ხმაამოუღებლივ მიდიოდნენ, გადებხვიათ რა ხელი ერთმანეთისათვის. თვალეზი უცნაურად უნათიდნენ და ტუჩებზედ ღიმილი უთამაშებდათ.

- ყველაფერი მზადა გაქვს? - ჰკითხა უცბად სესილმა შეწუხებულის ხმითა.

- დიაღ.
- ძალიან ვეწვალეებით?
- არაა.. ჩვენ დაგვეძინება... და თავის დღეში აღარ გამოვიღვიძებთ.

მორისმა იგრძნო, რომ სესილი თრთოდა, თითქო გააციაო; მაშინ უფრო აუჩქარა ფეხი და სთქვა:

- ჩქარა წავიდეთ, ჩქარა.

წინ გაუარეს სახლს, საცა ყოველდღე საჯარო ბალი იყო ხოლმე. მუსიკის ხმა მოესმათ. სესილმა მწუხარედ გაიღიმა.

- ეს ჩვენი ქორწილის დღეა... სტუმრები ცუკვავენ.
- მე სწორედ ამ სახლის გვერდით ვდგევარ; მუსიკა და ხმაურობა არ მოგვასვენებს.

- პირიქით, გაგვართობს კიდევ.

დუმილი ჩამოვარდა. შეუხვიეს უკანასკნელს ქუჩას, აუსტერლიცის ხიდის პირდაპირ საწყალპირობაზედ. მეორე სახლის წინ მორისი შედგა.

- მივედით, - სთქვა მან.

შევიდნენ ალაყაფის კარებში, მეორე სართულში ავიდნენ, ყმაწვილმა კაცმა

გააღო კარი განათებულის ოთახისა, სესილი შევიდა და გაოცებით გადაავლო თვალი გარემომოს.

- მე ყველაფერი მომზადებული მაქვს, - სთქვა მან.

- ეს რაღა არის? - ჰკითხა ქალმა და დაანახვა ბოთლი, ჭიქები და შაქრის პურები.

- ჩვენი ქორწილის ვახშამია, - უპასუხა მან ღიმილითა.

- ესა? - დაუმატა ქალმა და კანკალიო დაანახვა ბოთლი.

- საწამლავია.

სესილი სკამზე ჩამოჯდა და მორისმა წინ დაუჩოქა.

- საწყალო სესილ! პატარები რომ ვიყავით, ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ ამით გაგვითავდებოდა საქმე?

- რაო? ნანობ თუ?

- არა.

- მე შენ გითხარ, მორის, რომ მე შენი ვიქნები-მეთქი... იმათ არ უნდათ, რომ მე შენი ვიყო, ნამუსი კი ნებას არ მამღევს, საყვარლად დაგიჯდე... სიკვდილმა დაგწეროს ჯვარი...

ამ სიტყვებზე წამოავლო ხელი ბოთლს და ბედისწერის სასმელი ჩაასხა ჭიქებში.

- არ მეზიზღება, ტკბილი ყოფილა, - სთქვა სესილმა, როცა ტუჩებით დაეწაფა ჭიქასა.

მორისმაც დალია და ერთმანეთს აკოცეს. მორისი ჯერ კიდევ დაჩოქილი იდგა; ქალი თმაზედ ხელს უსვამდა და უაღერებდა. ერთმანეთს შესცქეროდნენ დიდხანს ცეცხლით ანთებულ თვალეებითა. ისინი სიკვდილზე არა ფიქრობდნენ, ისინი ფიქრობდნენ მარტო თავიანთ სიყვარულზე.

- რარიგად მიყვარხარ, რარიგად, - ტიტინებდა ქალი.

- ზოგი მე მკითხე, მე! - უპასუხა მორისმა და დაუწყო ხელეზედ კოცნა.

ფანჯარა ღია იყო ნახევრად. ფანჯარა გადაჰყურებდა ბაღს, საცა საჯარო ბალი იყო. მუსიკა კადრილის დასაწყისს უკრავდა, ცეკვის გამგე ხმამალა ყვიროდა.

- ბატონებო, თქვენ თქვენს ადგილებზე დაბრძანდით, უკანასკნელი კადრილია.

- გესმის? - უთხრა სესილმა მორისს, - უკანასკნელიაო...

ქალმა ხელახლად მოსვა ჭიქა.

- მგონია ათრობს, - სთქვა სესილმა.

- განგებ არის ეგრე შეზავებული.

- მაშ ჩქარა დავლიოთ და მოვრჩეთ.

ჭიქები ერთმანეთს შეატკუცეს და პირთან მიიტანეს,

- ადეგ, - უთხრა სესილმა რიხიანად და ხმამალა.

მორისი დაემორჩილა. ქალმა მიიყვანა ფანჯარასთან, ხელი ხელში ჩაუდო, ახედა ვარსკვლოვანს ზეცას და თავმოწონებით სთქვა.

- წინაშე ღვთისა, რომელთანაც განსაკითხველად ჩვენ მალე წარვდგებით, მე ვადიარებ, რომ ქორწინების საიდუმლოებას შეურაცხვეყოფდი, თუ

შევირთავდი ჩემგან შეძლებულს კაცს. და ვირთავ ქმრად მორის ფერანსა, ჩემგან სულით და გულით შეყვარებულსა...

მორისმაც გაიმეორა იგივე სიტყვები. ქალმა იგრძნო, რომ მორისმა ხელზე ბეჭედი გაუკეთა. ქალმა ბეჭედს აკოცა და სთქვა სისწრაფით, თითქო უნდა მალე მოუღოს ყველაფერს ბოლოო.

- ჩვენ შევუღლდით ერთმანეთს საუკუნოდ; დავლიოთ, დანარჩენიც.

ჭიქები დააცარიელეს.

- ყოველივე გათავდა, - სთქვა სესილმა მწირის აღმოკვნესით, - ცოტა ხანს დამანებე, მორის, თავი და მალე კი მოდი ისევ. მე შენ მოგელოდები, ჩემო ქმარო.

ყმაწვილი კაცი დაემორჩილა და გავიდა ოთახიდან.

- შენა ხარ? - ჰკითხა სესილმა, როცა კარის ჭრიალი მოესმა.

- მე ვარ, ჩემო სესილ, მე.

- ჩქარა მოდი, ჩქარა... მე ვშიშობ, უშენოდ არ მოგვკვდე.

II

დასასრული ქორწინების დამისა

ქარი, რომელიც ჯერ ძლივს უბერავდა, თანდათან გაძლიერდა, ხმაამოუღებელი მყუდროება დაირღვა ფოთლების შრიალითა და მძიმედ დატვირთულ ნავების ჭახაჭუხითა, რომელნიც ხიდის წინ დაბმულნი იყვნენ. ავდარის ნიშნები იყო.

მორისის პატარა ოთახში ჩუჩუნიც არ ისმოდა, ხოლო ფანჯარა ჭრიალებდა, ქარი რომ ათამაშებდა. დილის ორი საათი და ნახევარი იქნებოდა. მორისს და სესილს ეძინათ. ბოლოს ერთმა მათ შორის ტოკვა დაიწყო. ეგ სესილი იყო. წამოჯდა, შუბლზე ხელი გადისვა, უკან გადიყარა თავისი საუცხოვო შავი თმები და გაოცებულის თვალთ გადაჰხედა ოთახს. თავი დაჰმძიმებოდა და ფიქრები ვერ მოეკრიბნა. ვერა გაიგო რა მისი, რასაც ჰხედავდა. სად ვარო? როგორ? სიზმარში ხომ არა ვარო? მოინდომა ფეხზე წამოდგომა. უეცრად ხელი მოახვედრა მორისის ტანს, რომელიც იქვე იწვა. ხელი შეახო თუ არა, უნდა დაეკვივლა, მაგრამ ხმა გაუწყდა. ორივე ხელი წაივლო თავზედ. ერთი მძიმე კვნესა აღმოხდა მისის გულიდან. ყოველივე მოაგონდა... ცოცხალი როგორღა გადავრჩიო? რა მოხდაო? ნუთუ მორისმა მომატყუაო? ნუთუ საწამლავის მაგიერ სხვა სავრობელი სასმელი რამ შემომატყუაო? არა, მაგისტანა საშინელს საქმეს როგორ იქმოდაო! სესილმა დაჰხედა თავის საყვარელს და ხმამაღლა დაიძახა.

- მორის! მორის!

მორისი არც კი იძროდა. სესილმა ხელი გადუსვა პირისახეზედ. კანი გაციებული ჰქონდა და სიკვდილის ფერი ედო. მთელის ტანით ათრთოლდა, აკანკალდა; წამოსწია ასაყენებლად. მორისი, როგორც უსულო მკვდარი, ისე დაეცა ქვეშაგებზედ. ელდაცემულმა ქალმა საშინლად შეჰკვივლა. მორისი მოკვდა, მე კი ცოცხალი ვარო!

დიაღ, თვითონ ცოცხალი იყო და მისი თითქმის შიშველი, მთრთოლარე და ცეცხლმოკიდებული ტანი ყოველს მოძრაობაზედ ჰგრძნობდა სიკვდილის სიცივეს.

მოიკრიბა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და გადმოხტა ქვეშაგებიდამ თმაგამლილი, გონებადაბნეული ვაებისა და უიმედობისაგან. დაეცა მუხლებზე ქვეშაგების წინ, წაავლო ხელი მორისის თავსა და დაუწყო კოცნა.

- მორის! - ჩასმახოდა საწყალი ქალი, - არა, შენ მკვდარი არ ხარ! ხმა გამე, ხმა! შენ მე არ მომატყუებდი, მარტო არ მოკვდებოდი! მორის, გევედრები, გაიღვიძე, ხმა ამოიღე!..

წასქდა თვალებიდან ცრემლთა ნაკადული.

- ღმერთო! ღმერთო! - იძახოდა სესილი, - რა წყეული რამა ვარ! ღმერთო, შენ მართმევ ერთადერთს კაცს, რომელიც მე მიყვარდა და მე კი აქ მიშვებ. უმაგისოდ მე სიცოცხლე არ შემიძლიან! მორის, ჩემო ქმარო, მარტო არ გაგიშვებ, მარტო არ მოჰკვდები. მეც უნდა... მეც მინდა შენთან მოვკვდე.

ამ სიტყვებზე დასწვდა და თავისის ბაგით ზედ დააკვდა გაყინულს ბაგეს ყმაწვილკაცისას, თითქო უნდა ამოსწოვოსო სიკვდილი მის გვამიდან თავის საწილოდაცაო. მერე წამოხტა, მივარდა მაგიდას და გიჟსავით შეჰკვივლა.

- მეც მინდა მოვკვდე, მეც!

მივარდა ბოთლს, ბოთლი ცარიელი დახვდა. თვალთ დაუწყო ძებნა დანას და გადიღელა თავისი ნორჩი, მშვენიერი მკერდი, მაგრამ ვერა იპოვა-რა. ფანჯარა ღია იყო. მივარდა ფანჯარას. ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა და ნახა, რომ ქედამ გადავარდნას შეიძლება სიკვდილი არ მოჰყვეს. გრილმა ჰაერმა შეამცივნა, იგრძნო, რომ თითქმის შიშველია, მოსცილდა ფანჯარას. ქალწულობის კდემამ და მორცხვობამ აიტაცა, მსწრაფლვე ჩაიცვა ტანისამოსი, მერე ისევ ხელახლად მოუბრუნდა უსულო გვამს თავის საყვარლისას.

- მორის! - სთქვა მან, - მე ეხლა შენი ცოლი ვარ... ცოტა მომითმინე და მე, ჩემო ქმარო, თან გამოგყვები!

საწოლის ფარდებს ქარი ათამაშებდა. ქალმა დაასვენა მორისი ქვეშაგების შუა, ფარდა ასწია და მივარდა ფანჯარას, რომ დაეხურა. უეცრად ორთქლმავალის სტვენის ხმა მოესმა. გადიხედა და ასს ნაბიჯზედ ბურუსში თვალი მოჰკრა ცეცხლის გემს და სიხარულით გული აევსო. მოაგონდა, რომ მდინარე სენა აქავ ახლოა და, მაშასადამე, სიკვდილი ეხლა მის ხელშია. ამისთანა სისხამ დილაზედ საწყალპირო და ხიდი უკაცურია ხოლმე. სესილმა ფანჯარა მოკეტა და, მივიდა რა მორისის გვამთან, წამოიჩურჩულა:

- მეც თან მოგდე, ჩემო კარგო! ჩვენი სულები ისევ ერთად შეიყრებიან... ნახვამდის!

კიდევ აკოცა, გამოვიდა ოთახიდან და აჩქარებით ჩამოვიდა კიბეზედ. ქუჩაში რომ გამოვიდა, ღონე მიეხალა, თავბრუ დაესხა და ალაყაფის კარს მიეყუდა. საწამლავი კიდევ ჰმოქმედობდა და ქალს ეგონა, რომ საცა არის დავეცემიო. სიკვდილის სიცივემ დაურბინა ტანში, საწყალმა თვალები დახუჭა. ხოლო ეს ყოფა სულ ერთის წუთის საქმე იყო. მერე აიხედა და თვალი მოავლო გარეშემოს. ქუჩაზე, ხიდზედ და წყლის ნაპირას არავინ არა

ჩანდა.

ძველი რაპეს უბანი ძალიან ცოტად ჰგავს მხიარულის პარიზის ნაწილსა, ნამეტნავად ამისთანა სისხამ დილის დროს; კაცი ადვილად იფიქრებს, რომ სოფელია დიდის მდინარის პირასაო. ავდარის ნიშნები აღარ იყო, ქარც ჩავარდა და გარეშემოს მყუდროებას და დუმილს არღვევდა მხოლოდ ხმაურობა ცეცხლის გემის ბორბლებისა. ტყვიისფერი ბურუსი ზედ დასდებოდა ქალაქს. თვალთსახედავზედ კი ერთგან გამომჭვირვალეზდა პატარა ლაჟვარდი ზოლი ცისა. მდინარის მეორე ნაპირიდან, რომელიც ჯანდში იყო დამალული, ისმოდა ცხენის ფეხის თქაფათქუფი, ჭრიალი საზიდრებისა და გინება მესაზიდრებისა.

თავბრუდასხმამ გადაუარა თუ არა, სესილი გამოფხიზლდა, იამა, რომ ჯანდი ხელს უმართავს წადილის შესრულებას, გადასჭრა ქუჩა და წყლისპირს ამალეზულის ფეხით აჰყვა.

- არა, აქედამ ვერ არის სახერხო, - ამბობდა თავისთავად, - ტალღა მაშინვე ნაპირზე გამომიტანს, თუ ფორთოხალობაც დავიწყე წყალში.

აუსტერლიცის ხიდზე მივიდა და ზედ შუაზედ შედგა. აი, კაი ადგილი! ჯანდში წყალი ძლივს ჩანდა, გარშამოც, რამოდენაზედაც თვალი სწვდებოდა, არავინ იყო. ხიდის მოაჯირს გადვიდა, შედგა. გაისწორა კაბა და ასე დასალუპავის ადგილის პირზედ მდგომარემ ერთი კიდევ უკანასკნელად მიიხედა იქით, საცა ეხლახანს თავისი ქორწილი იდღესასწაულა.

- ჩემო კარგო! - ჩაიჩურჩულა ღიმილით, - აი მეც მოგიველო! - დაიფარა თვალეზზედ ხელი, იშვირა ფეხი და გადავარდა ხმაამოულეზბლად, დაუკვნესავად. მოისმა წყლის შხლაპუნნი, ჯანდი გადიყარა და უთვალავი წრეები გაკეთდა მდინარის წყლის ზედაპირზედ იმ ადგილას, საცა დაილუპა საწყალი ყმაწვილი ქალი.

თითქო დღე და ადამიანის სიცოცხლე ამ წუთს ელოდნენო, რომ თავი გამოეჩინათ. ერთბაშად ყველამ გაიხმაურა, ფრინველები გალობას მოჰყვნენ, მამლებმა თავის ხრინწიანის ხმით ყივილი დაიწყეს. თანდათან მდინარე სენა ჯანდებიდამ გამოვიდა. ცა, ქვეყანა, წყალი გამოჩნდა ლურჯს ჰაერზედ. ბოლოს, მზემაც ამოჰყო თავი.

მეორე ნაპირას მახილი შეიქმნა: ყოველ მხრიდამ, დუქნებიდამ, გემებიდამ, ნავეებიდამ გამოცვივდა ხალხი ხიდზედ; ზოგი ნავით შევიდა შუა წყალში. ჟღრიამული ატყდა, ატყდა ფაცაფუცი. ყვიროდნენ.

- აი მანდ, მანდ, მესამე კამარის ქვეშ! !

ერთს ნაიდამ ვილაც კაცი გადახტა წყალში და აჩქარებით წავიდა ცურვით, საითაც უჩვენებდნენ.

III

გადადებული ქორწილი

დილის შვიდი საათი არ იყო ჯერ, რომ ტიუსსოს სახლში ყველანი ფეხზე

იდგნენ. ხოლო ტიუსსოს ცოლმა ნება არ მისცა, რომ სესილი გაეღვიძებინათ.

- ნუ, ნუ, - სთქვა მან, - დეეხსენით, გამოიძინოს. ყველაფერი მომზადებული აქვს. დეე, რაც შეიძლება გვიან ადგეს.

არავინ არ ეწინააღმდეგა. სესილი თავის ანაზარას დააგდეს, სახლში კი დიდი ფაციფუცი გაიმართა. დუქნებიდამ მოჰქონდათ ნავაჭრები, პარიკმახერი ტიუსსოს თავზედ უკეთებდა უშველებელს ძეგლს თმებისას; ყოველი კუთხე და ტახტები სავსე იყო ქალის სამკაულებითა; ყველგან ყვავილების თაიგულები მოჩანდა. გარედ კარებ-წინ იდგნენ დაქირავებულნი ეტლნი, რომელთ გამგეობა მიეცათ მეჯვარისათვის. მეჯვარე უნდა თვითონ წასულიყო მახლობელ ნათესავების მოსაყვანად.

- მე დალაქს აღარ მოვუცდი, თვითონ წავალ იმასთან, - სთქვა კლოდ ტიუსსომ, რაკი ჰნახა, რომ ამ არევ-დარეულობაში კაცი არა ჰყავს, რომ დალაქის დასამახებლად გაგზავნოს.

მაშინვე გამოვიდა და წავიდა. რამდენისამე ხანის შემდეგ ისევ მობრუნდა პირმოპარსული. ცოლს უნდოდა ეკოცნა ლამაზს ნიკაპზედ და ქმარმა შორს დაიჭირა.

- აბა, - სთქვა კლოდ ტიუსსომ. - დღეს ყველაზედ უწინარეს პატარძალმა უნდა მაკოცოს... სად არის სესილი?

- სძინავს.

- ხომ არ გაგიჟდი! რატომ არ გააღვიძებ? როდისღა მოემზადება! აი საცაა სტუმრებიც თავზედ დაგვესხმიან.

- ჟიული, - დაუძახა ცოლმა მოახლეს, - წადი, მოახსენე ბატონის ქალს, რომ დროა გაიღვიძოს. პარიკმახერი დიდიხანია ელის.

მართალიც იყო. პარიკმახერს გაეთავებინა ძეგლის აშენება ტიუსსოს ცოლის თავზედ და ეს უკანასკნელი ეკითხებოდა კიდეც.

თქვენ იმედი გაქვთ, ბატონო რენო, რომ მაგრად იქნება და თმა არ ჩამომეშლება?

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, - უპასუხა პარიკმახერმა, - შეგიძლიათ იცეკვოთ, რამდენიც გსურთ, ერთი ბეწვიც არ დაიძვრის თავის ადგილიდამ.

მოახლე დაბრუნდა და მოახსენა, რომ კარი სამჯერ დავურახუნე სესილს, მაგრამ პასუხი არ მომცაო.

- რაო? - იკითხა ტიუსსომ, - განა დღეს შინიდან გავიდა სადმე?

- არა მგონია. უსათუოდ დიდს ძილშია და ჟიულის ძალიან არ ურახუნებია კარი.

- აბა ერთი შენ თვითონ ნახე და უთხარ, რომ აჩქარდეს, ეტლები მზად არიან და თუ ჩვენ პირველნი არ მივედით მერთან, ჩვენი საუზმე შუადღის ერთს საათზე წინ ვეღარ მოხერხდება.

- კარგი, ცოტა კიდეც მოიცადეთ, ბატონებო. ეხლავ ჩამოვა.

თითო-ოროლა სტუმარი მოდიოდა კიდეც და ტიუსსო ალერსით მიეგებებოდა ხოლმე. მაინც კი დრო ჩაიგდო, რომ სმენოდა, მისი ცოლი რა გულმოდგინებით არახუნებდა ქალის ოთახის კარებსა.

- სესილ!... ქა, სესილ!.. - იმახოდა ტიუსსოს ცოლი, - სესილ, შვილო, ხმა ამოიღე-და!..

ერთს წუთს შემდეგ გაფითრებული ჩამოვიდა ძირს და ქმარს უთხრა.

- ოთახში არ არის. ვაითუ...

- რა ვაი? ჭკუივამ ხომ არ შეცდი. სძინავს და ის არის.

- ოთახში არავინ არის, ქვეშაგებიც ხელუხლებელია.

- ტყუილია! უსათუოდ წავიდა სადმე. მუდამ თვითონ აილაგებს ხოლმე თავის ქვეშაგებს, - სთქვა ტიუსსომ და ეტყობოდა კი ელდად ეცა ეს ამბავი, ხოლო ცდილობდა დაემოშმინებინა ცოლი და სტუმრები.

ყველამ, ვინც კი იყო, ერთმანეთს გადახედეს გაოცებით. ტიუსსოს ცოლს ტირილი წასქდა.

- ღმერთო ჩემო, ღმერთო! ჩემის შვილის თავზედ რაღაც უბედურებაა!

- კარგი, კარგი, ადელ, ჭკუაზედ იყავ... მარტოკანი ხომ არა ვართ... აბა მომეც მეორე გასაღები იმის ოთახისა.

- მართლა, მართლა, - დაიძახა ცოლმა, - მივარდა განჯინას და ამოიღო ყუთივამ გასაღები.

ქმარი და ცოლი სწრაფად აცვივდნენ კიბეზედ. ქმარმა კარი გააღო და შევიდა ოთახში. ყველაფერი თავის რიგზედ ეყო ხელუხლებლად. ცოლი ქმარს პირში შესცქეროდა და ელდიო ხმა ვერ ამოეღო.

- აქ სულ თავის რიგზეა... სწორედ ეკლესიაში წავიდოდა... ან იქნება საბანებლადაცა.

ჩამწყდარის და აკანკალებულის ხმით ამბობდა ამას ქმარი და თვითონაც თავის თვალებს არ უჯერებდა. უეცრად თავი მაღლა აიღო და წარბი შეიკრა. თვალი მოჰკრა რაღაც ბარათს კამოდზედ. ორი სტრიქონი იყო ქაღალდზე დაწერილი. მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ხელი გაიწვდინა, რომ ბარათი აიღოს. ცოლი თვალს ადევნებდა ყოველს მის მოძრაობას და ბოლოს თვალცრემლიანმა წამოიძახა.

- ღმერთო! რა მოსვლია?

ქმარმა ბარათი აიღო. მაშინვე იცნა თავის ქალის ხელი, გაფითრდა და დაეშვა სელზედ. ხმა არ ამოიღო, ხოლო მსხვილი ცრემლი გადმოსცვივდა თვალთაგან. ცოლი მივარდა, რომ შეიმაგროს.

- კლოდ. რაო, რა სწერია?

- ვაი, უბედურო!.. ჩვენ ქალი აღარა გვყავს.

ადელმა ჩამწყდარის ხმით ამოიკვნესა, გამოჰკლიჯა ხელივამ ბარათი და ეს წაიკითხა.

"ლამის თერთმეტს საათზე.

"შემინდევით, ვით მე შეგინდევით. მე თქვენ გითხარით: "მოგკვდები და მაგ კაცს არ შევირთავ-მეთქი". მე თავს ვიკლავ. მშვიდობით".

"სესილ".

რამდენსამე წუთს ცოლი გონზედ ვერ მოვიდა, ისე იდგა გაშეშებული,

თითქო მეხი დაეცაო. ხელები უცნაურად უთრთოდნენ: გულმა ბაგაბუგი დაუწყო, თითქო სიკვდილის ზარიაო, ღონე მიეხადა და პირქვე დაეცა ქმრის ფეხთა წინაშე. შეუძლებელია აიწეროს, რა ყოფაშიც იყო უბედური მამა. ერთი საშინელი, აუტანელი აზრი ჩაუჯდა თავში: "ჩვენ მოვკალით ჩვენი შვილი, ჩვენ".

ქვევით სტუმრებმა გაიგონეს ადამიანის დაცემის ხმა და ამოცვივდნენ მაღლა. ზოგმა ტიუსსოს ცოლი წამოაყენა, ზოგი კიდევ გარს ეხვეოდა ქმარსა.

- რა მოჰხდა, რა? - კითხულობდნენ.

კლოდ ტიუსსო გონებამიხდილსავით გამტერებული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქო ეხლა გაახილა თვალი საზარელის სიზმრის შემდეგაო.

- სესილი, ჩემი პაწაწა!.. თავისის ხელით მოუკლავს თავი.

- ღმერთო, ეს რა გვესმის!..

უბედური მამა ფრთხილად ჩამოიყვანეს ძირს. სტუმრებმა წაიკითხეს სესილის წიგნი თუ არა, ურჩიეს, - წადი, ეხლავ ძებნა დაუწყეო, ხოლო ტიუსსოს არა გაეგებოდა რა, ისეთი თავზარი დასცა ამ მოულოდნელმა ამბავმა. მის სასახელოდ ვიტყვი, რომ იტანჯებოდა ვითარცა მამა და არა რაიმე საკუთარის სარგებლობის ფიქრს ადგილი არა ჰქონია მის გულში. ორი სტუმარი გაჰყვა და პოლიციის პრეფექტურაში წავიდნენ დიდის ეტლითა, რომელიც ექირავნათ საქორწილოდ და რომელიც მორთული იყო შიგნით თეთრის აბრეშუმით, თეთრი ცხენები ებნენ და ფაფრებში ყვავილები ჰქონდათ. ცხენების გამრეკსაც გულზედ ყვავილი ერჭო და თავმოწონებით უჯდა ეტლს. სადავეები ეჭირა თეთრ ხელთათმანებით მორთულ ხელში. დაინახა თუ არა, რომ ეტლში პატარძლის მამა და ორი სტუმარი ჩასხდნენ, მხიარულად წარმოსთქვა.

- საით გვიბრძანებთ, ბატონებო?

ვერ წარმოიდგენთ, რარიგად შეეცვალა სახე, როცა ერთმა სტუმართაგანმა უთხრა დაბალის ხმით.

- ჯერ მორგს... და იქიდან პოლიციის პრეფექტურაში.

კინაღამ გადმოვარდა თავის ადგილიდან ამის გამგონე, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცხენებმაც გასწიეს ჩორთითა. უქმი ხალხი, რომელიც ქუჩაში მოგროვილიყო, ჰკვირობდა ამ ამბავს და ვერასგზით ვერ აეხსნათ, რომ პატარძლის მამა ორის მოწმით საქორწილო ეტლში ჩასხდნენ.

საწყალი დედა კი წამოაყენეს და დასვეს სესილის ქვეშაგებზედ. ქალების გარდა სხვა ყველანი დაითხოვეს ოთახიდან. მოახლემ გაუჭრა კარსეტი, რომელიც ისე მოჭერილი ჰქონდა, რომ ტიუსსოს ცოლი კინაღამ დაირჩო. რამდენსამე წუთს შემდეგ გული მოიბრუნა და, წარმოუდგა რა თვალწინ თავისი საშინელი უბედურება, სასტიკ სასოწარკვეთილებას მიეცა. კოცნა დაუწყო თავის ქალის ბალიშსა, კბილითა ჰგლეჯდა მის საღამურ თავზე მოსახვევსა, ხან იქით ეცემოდა, ხან აქეთ, სტიროდა, ქვითინებდა, თავის თავს აბრალებდა და ღმერთს უჩიოდა. დედაკაცები ცდილობდნენ ნუგეში ეცათ, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. არავის ყურს არ უგდებდა და სულ ამას იძახოდა:

- ვაი, ჩემი საწყალი შვილი... ჩემი სესილი! მე ვარ წყეული, მე! მე მოვკალ, მე მოვკალ! მე უბედურმა მოვკალ ჩემი ქალი! ჩემი კარგი შვილი! ნუთუ იმ კაცს ვერა ვნახავ... არ იქნება, უნდა ვნახო, უნდა!

უფრო და უფრო გულამოჯდომით ტიროდა, ხელებს იმტვრევდა და სინიდისის მხილება ჰქენჯნიდა. ამ დროს ქვევიდამ უცნაური ხმაურობა მოესმათ. ტიუსსოს ცოლმა ყური დაუგდო... თვალები აუპრიალდა, ლოყებზე ზაფრანის ფერი დაედო. იცნა ანდრე გუდარის ხმა. შეატყო, რომ საჩქაროდ ამორბის კიბეზედა. გუდარისათვის ყველაფერი ეამბნათ; არა სჯეროდა, უნდოდა თვითონ თავის თვალთ და ყურით ნამდვილი შეეტყო. დაინახა თუ არა ოთახში შემოსული, ტიუსსოს ცოლი ისე გაღეღილი წამოვარდა ქვეშაგებიდამ და ორივე დედაკაცს უბძანა იქიდამ წასვლა.

- მამ მართალი ყოფილა? - იკითხა გუდარმა და აიმრიზა.

ტიუსსოს ცოლმა ჯერ ხმა არ გასცა; მივიდა, ხმაამოუღებლივ მოხურა კარები, მერე მუშტებმოღერებული მივარდა გუდარს და შეჰკვივლა:

- უი, შე საძაგელო, ფლიდო, უნამუსოვ! სულ შენი ბრალია ეს ამბავი! შენ მომიკალ შვილი, შენ! შენ დაასხი თავზედ ლაფი ამ ოჯახს, შენ მორთე ეს ოჯახი უბედურობით... მე დავიღუპები და შენც კი დაგლუპავ, შენც. მე ვეტყვი კლოდს, ვეტყვი ყველას, რა კაციცა ხარ. შეგარცხვენენ, ყველასაგან საზიზღარი იქნები, პირში ჩაგაფურთხებენ, შე უნამუსოვ, შენა!

გუდარი ისე არ მოელოდა ამ ამბავს, რომ პირველ ხანში შეჰკრთა და უკან დაიწია, არ დამკრასო. მაგრამ ადელი კი უფრო წინ იწევდა, ჰლანძლავდა, ათრევდა და ასეთი საქმე დააყენა, რომ ზედ კარებზედ მიაღწევდია. მაშინ კი შეკრთომისაგან ცოტად გამობრუნდა, წაავლო ხელი ადელს, მიათრია ქვეშაგებთან და ბურთსავით მიაგდო ქვეშაგებზე.

- გეყოფა, გესმის თუ არა!

- წინადაც ძალით დამიმხე ნამუსი, ძალით, - სთქვა ადელმა და წამოიწია.

- მე ყოველთვის შემომიღიან პირში ბურთი ჩაგჩარო და ხმა გაგიწყვიტო.

- რაღას უყურებ, მცემე კიდევ რაღა, შე არამზადავ!.. ხომ პირველი არ იქნება, შე უნამუსოვ!

- გეყოფა-მეთქი, - განიმეორა გუდარმა და პირზე ხელი მიაფარა ისეთის ძალით, რომ ადელი პირადმა დაეცა ხელახლად ქვეშაგებზედ და შიშით ხმა გაკმინდა.

გუდარი ეცა კარებს, გაალო, გაიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, და დააგდო რა კარი ღია, მშვიდობიანის ხმით და გულგრილად სთქვა:

- ქალბატონო, თქვენი ქალის წიგნი მაჩვენეთ.

ადელს გული ამოუჯდა და არა პასუხი არ მისცა.

გუდარმა მუშტები მოიკუმშა, მოჰყვა კბილთა კრაჭუნს, ზარდაცემული ჯერ იმით, რომ საცოლო დაეკარგა და მერე მით, რომ ამოდენი ლანძლვა ესმა საცოლოს დედისაგან. ძლივს შეიკავა თავი. ჯერ ორიოდჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში, მივიდა, კიდევ გაიხედა კარებიდამ და, რაკი გული დააჯერა, რომ ახლო არავინ არის, მოუბრუნდა ადელსა, რომელსაც თვალებზედ ხელები აეფარა და სტიროდა. მისი გადაღეღილი მკერდი მტკივნეულად ადიოდ-

ჩამოდიოდა.

- ადელ, - უთხრა ბოლოს გუდარმა, - ერთი დაიხედე, რას მიგიგავს თავი. აქ რომ შემოსულიყო ვინმე, ვინ იცის, რას არ იფიქრებდა...

ადლმა გაისწორა ტანისამოსი და ქინძისთავით დაიმაგრა მკერდზედ კაბა.

- ერთი რიგიანად მოვილაპარაკოთ, - განაგრძო ანდრემ, - გუშინ მე რომ წავედი, რა მოჰხდა?

- განა გონება კი მაქვს, მახსოვდეს?! - დაიძახა ადლმა და წამოხტა, რომ კარებში გავიდეს და მოშორდეს, - მე ჩემი შვილის მეტი სხვა არა მახსოვს რა.

- შენ მაგ ყოფით ძირს არ გაგიშვებ, - უთხრა გუდარმა ბძანებლობის ხმით და ძალად დასვა ისევ ქვეშაგებზედ.

- ვაი, ღმერთო! ჩემი საწყალი შვილი, ჩემი საწყალი ბავშვი! - ჰბოდავდა უბედური დედაკაცი, სლოკინით, ქვითინით, თვალეზზედ ხელედაფარებული.

ანდრე გუდარი, ჯაგლაგად წოდებული, ჯავრისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, ჰგრძნობდა კი, რომ ამისთანა უბედურობაში არავინ დაეხმარება, მით უფრო, რომ მიზეზი თვითონ იყო. ბოლოს გაოცებით მხრები აიწივა და იმაზედ დადგა, რომ მინამ ადელს ცოტად მაინც გული დაუმშვიდდება, მოითმინოს. მივიდა ფანჯარასთან, გააღო, გადიწია და მითამ ყურება დაუწყო მეზობლის ბაღსა, ნამდვილი კი გულში მარტო ამ ამბავზედ ჰფიქრობდა. რადგანაც ეს გუდარი ერთი იმათგანია, რომელზედაც ჩვენი მოთხრობა ტრიალებს, ამიტომაც ვიხელთოთ ეს მყუდრო დრო და ავწეროთ მისი თვალტანადობა.

გუდარი გახლდათ ერთი ჯანმრთელი, ღონიერი კაცი, ესე ორმოცის წლისა. ვერავინ ვერ შეამჩნევდა, რომ ხუთიოდე წელიწადი დაეკლო. კარგად და ლამაზად მოყვანილი, სწორედ თავის დონეზედ იყო სასიძოდ მორთული. მოდიდო თავი, მარღვიანი ხელები, მოხდენილი სიარული, მოგძო სახე, წაბლისფერი თმა, ქერა წვერი, ნიკაპზედ შუა გაყოფილი, განიერი პირი, შემკული მშვენიერის თეთრის კბილებითა, რომელნიც ყოველთვის მზად იყვნენ გამოღრღნან რამე, სხვილი ტუჩები, მუქი თვალები, ხშირი წამწამი და უცნაური, რაღაც მკვახე თვალთცქერა - ყოველივე ეს უმთავრესი ნიშნები იყვნენ მისის თვალტანადობისა. შავგვრემანის ფერისა იყო და სახის მეტყველება ისეთი ჰქონდა, თითქო დაღალულიაო და გულასუყეებული. ქალები ამბობდნენ. "ყოჩაღია, არვის გაექელვინება". მეზობლები უმატებდნენ: "გუდარი ლამაზი კაცია, მაგრამ სწორედ ჯაგლაგია". ქალები კი, რომელნიც დაახლოებით იცნობდნენ, იტყოდნენ ხოლმე: "ოჰ, მაგ კაცზედ როგორ ჰლაპარაკობთ, ყოველისფრით საძაგელია!" დასასრულ, მისს მეგობარს კლოდ ტიუსსოს ყველაზედ კარგი აზრი ჰქონდა:

- ანდრე კეთილი გვამია, მე კაცი არ მინახავს მაგაზედ უკეთესი და კეთილი. მე ძალიან ვარ მისგან დავალებული.

რამდენიმე ხანი გავიდა და გუდარმა მოიწადინა ერთი სასტიკად გამოჰკითხოს ამ საქმის ვითარება ადელს, რომელსაც ტირილი შეეწყვიტა და, ჩაეკიდა რა ძირს თავი, გულ-ამოჯდომისაგან სლოკინებდა. ამ დროს

ქვევიდამ ხმა მოისმა,

- აი ისინიც მოდიან! მოდიან!

ანდრე ოთახიდან გავარდა, ჩაიჭრა სასტუმრო ოთახში სწორედ იმ წუთს, როცა შემოდგა ფეხი ტიუსსომ და ორმა სტუმარმა. მაშინვე შეატყო სახეებზედ, რომ კაი ამბავი არ მოუტანიათ. დაინახა თუ არა თავისი სასიძო, ტიუსსომ გაუწოდა ხელი და თვალცრემლიანმა უთხრა.

- ვაი, უბედურო ანდრე! შეიტყე ჩვენი უბედურება? ჩემი შვილი მომიკვდა.

- იქნება მკვდარი არ არის?

კლოდ ტიუსსომ თავი მაღლა აიღო და თითქო რაღაც იმედის სხივმა გაუნათლა სახე.

IV

რა მოუვიდა ჭაბუკსა, რომელსაც უყვარდა ამომავლის მზის ცქერა

მოვბრუნდეთ ისევ აუსტერლიცის ხიდისკენ, სენის პირას, მზის ამოსვლის დროს, როცა ყოველი იღვიძებს სიცოცხლისათვის და ათასი სხვადასხვა ხმა ერთს უზარმაზარს ხმაურობას შეადგენს ხოლმე.

პატარა სამიკიტნოში, რომელსაც ერქვა "მენავეთა შესაკრები" და რომელიც იმის პირდაპირ იყო, საცა სარეცხსა რეცხდნენ ხოლმე, მთელი გროვა მენავეებისა, მუშებისა ჰსვამდა, ხმაურობდა, ჰყვიროდა, ჰყბედობდა და ჰკასკასებდა. ეს მზემოკიდებულნი, გაუთლელნი დღის მუშანი, ხელებდაბებრებულნი, ყურებაწითლებულნი, უშველებელ ქუდებით და უფრო უშველებელ წაღებით მორთულნი, ისხდნენ და ქეიფობდნენ. მათ შორის დახტოდა და დაფასფასებდა მოკლე კაბით მორთული გოგო, თვალმკვირცხლი და მხიარული, ტანად მომსხო, ტუჩწითელი და დიდმკერდა. ფეხთ ეცვა უშველებელი წულები, რომელზედაც ჩამოფხატოდა და წინდის ყელი. ყველაზედ მაღლა ჰყვიროდა, ჰკასკასებდა, ყველაზედ ბევრს ჰყბედობდა და ყველას ზედგამოჭრილს სახელს, ხშირად საწყენს, ეტყოდა ხოლმე და მარჯვედ უთავაზებდა ხოლმე მუჯლუგუნს, როცა მათგანი ვინმე თავს მეტს ნებას აძლევდა.

- ჟანა, მომაწოდე ჭიქა და გასაღები ჩვენის ნავისა, - შემოვიდა თუ არა, უთხრა ერთმა მუშურად ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა; ეტყობოდა იგი ამ ხალხის უცნობი არ იყო.

- თქვენა ხართ, არისტიდ? - უპასუხა გოგომ და მალე მოუტანა ნაბძანები, - ხვალ ხომ მობძანდებით?

- მოვალ და მარნაზედ წავალთ. დღეს კი ნავი უნდა გავრეცხო.

- გამარჯობა, შადიავ! მოდი, ძმობილო, ერთი გადავკრათ, დაუძახა ერთმა მუშამ, რომელიც ტაბლას წინ იჯდა.

- ძალიან კარგი. ჟანავ, აბა მოგვიტა მალე.

- მაშ შენ დღეს სამუშაოზედ არ წახვალ? აი შეგიტყოს მამამენმა ლებლანმა...

- რატოვ არ წავალ? ესე ადრე ქარხანაში არ მუშაობენ. განგებ ავდებ სისხამზედ, რომ ნავი გავრეცხო, მერე იქაც მივასწრებ. აბა, ჟანნავ, მარდად იყავ, დრო არა მაქვს გიცადო.

მიაჯახუნეს ჭიქები მეგობრებმა. მერე ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც არისტიდსაც ეძახდნენ და შადიასაც, გასწია დასტამალით და ჯამით ხელში. მივიდა წყლის პირს, ჩახტა თავის ნავში, გაიხადა ზევითა ტანისამოსი, გაიძრო წაღები და წინდები, აიკეცა შალვარი, დაიმკლავა ილლიამდე, მოუსვა ნიჩაბი და გასწია ნავით ხიდის ქვეშ, რადგანაც იქ უფრო თავისუფლად გარეცხდა.

არისტიდ ლებლანი, შადიად წოდებული, ბრინჯაოს ქარხანაში მუშად იყო. მის მამას ცოტაოდენი შეძლება ჰქონდა და დაეყენებინა შვილი ერთს ოჯახში, რომელიც იქავ აუსტერლიცის ხიდთან იდგა. ამიტომაც მეგობრებმა მიანდეს ნავის გარეცხა და ამიტომაც კარგად იცნობდნენ ყველანი, ვინც ზემოდ აწერილს სამიკიტნოში დადიოდნენ.

მის თვალტანადობის აწერას ბევრი დრო არ მოუხდებდა. იგი იყო ერთი ჯმუხი ბიჭი, უფრო დაბალის, ვიდრე დიდის ტანისა, განიერ მხარბეჭიანი, ძარღვიანი, არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ კეთილი სული იყო, მიმზიდველი, მარილიანი, ქერათმიანი, ლურჯთვალეზიანი და სახის ფერი ჯანმრთელობით უღვიოდა. ყოველდღე სისხამ დილაზედ იღვიძებდა და სამუშაოდ მიდიოდა. ქარხანაში მთელი დღე მუშაობდა, ხელს არ დააყენებდა. ოსტატი მუშაკი არ იყო, ის იყო კვერის მცემელი, მაგრამ თავის ხელობას ისე შესჩვევოდა, რომ ერთნაირის სიამოვნებით და გულმოდგინებით ჰხმარობდა კვერსაც, ქლიბსაც და შალაშინსაც. სადამოლობით შინ რომ მოდიოდა, ძალიან დაღალული მოვიდოდა ხოლმე, მაგრამ თავის დღეში არავის არ შესჩივლებდა და როცა მოცლილად იყო, ისეთისავე სიცხარით ქეიფს მიეცემოდა ხოლმე, როგორაც მუშაობას. ყველაზედ მეტად ესიამოვნებოდა ხოლმე არისტიდს ნავის ტარება და ნიჩბის მოსმა.

ამის გამო სიამოვნებით ჰრეცხდა, სწმენდდა, ჰფხეკდა შიგნიდან და გარედამ თავის ნავსა, რომელსაც "ჭავლს" ეძახოდნენ. ერთი რაღაც სიმღერაც ასწია, მაგრამ პირველ დამახებზედვე სიტყვა ენაზე შეაკვდა. იქავ ახლო რაღაც მძიმე რამ დაეცა წყალში, წამოხტა და მიიხედ-მოიხედა. ზურგთ-უკანა სენის გატკეცილ ზედაპირზედ წყლის რგოლები დადიოდნენ. წყლის პირას იყო დაბადებული და წყალი ისე უყვარდა, როგორც ნიუფაუნდლენდის ძაღლსა. წყალში ბანება მისთვის სწორედ აღდგომა იყო. "უთუოდ თავის დასარჩობად ჩამოვარდა ვინმე, მაგრამ დამაცა, ძმობილო, მე მაგ სულელობამდე არ მიგიშვებ", სთქვა გულში არისტიდმა, გადავარდა წყალში და ჩაიყურყუმელავა, თითქო თევზიაო.

ძალიან კარგი მცურავი იყო და დიდხანს შეეძლო წყალქვეშ ყოფნა. ერთს წუთს შემდეგ ამოჰყო თავი, სული მოიბრუნა, მერე ისევ ჩაიყურყუმელავა და ამოიტანა სესილი; მაგრამ ასეთი მძიმე იყო, რომ ბევრს ეცადა და მაინც ვერ

აიტანა ნავში. მაშინ ხმამაღლა და იმედდაკარგვით დაიწყო ყვირილი: "მიშველეთ, მიშველეთ!" ყოველ მხრიდამ მოცვივდა ხალხი და ნავებით წავიდნენ მისაშველებლად.

V

ძველი სიყვარული

გუდარმა ერთის სიტყვით იმედი განუახლა უბედურს მამას. "იქნებ მკვდარი არ არისო". ეს გუშინ რომ ეთქვათ, ტიუსსოს ბრაზი მოუვიდოდა, ეხლა კი გულში ნუგეშად ჩაესახა, ხოლო თავის სასიძოს კი არ ამცნო თავისის გულის ვითარება; "ჩემი ქალი, - გაიფიქრა გულში. - იქნება იმიტომ წავიდა დედ-მამის სახლიდამ, რომ ამ ჯაგლაგის შერთვა არ უნდოდა; იმას მორის ფერანი უყვარდა, იქნება იმასთან წავიდა და ჩვენ კი მოგვწერა, თავს ვიკლავო, რომ მორისთან ძებნა არ დავუწყოთ. ეს ფიქრად წინადვე როგორ არ მომივიდა? რაზედ შევშინდი ასე? სიყვარულისაგან არავინ კვდება. რა ვუყოთ, რაკი ესრეა, შეირთოს მორისი და გათავდა საქმე. თუმცა სახარბიელო არა არის რა, მაგრამ, რაკი მოსწონს, თავის ნებაა, საქმე ის არის, რომ ქალი ცოცხალი მეყოლება და ბედნიერად იცხოვრებს".

ამ ფიქრებით ნუგეშცემულს შუბლი გაეხსნა და სიხარულით უთხრა ცოლს, რომელიც ძირს გულმოკლული ჩამოვიდა:

- ნუ სტირი, ადელ, მე ეხლავ მოვიყვან სესილის.

გუდარმა გაცემებით შეჰბედა კლოდსა, ხოლო კლოდმა აღარ აცალა, გავარდა სწრაფად გარედ თავის ორის კეთილისმყოფელითა და დაუძახა მეეტლეს.

- ლაკუეს ქუჩაში, აუსტერლიცის ხიდთან.

ტიუსსო წავიდა თუ არა, გუდარმა დაავალა ერთს ნათესავს სტუმრების მიღება, თვითონ კი ხელი მოჰკიდა ადელს და ისევ კიბესთან მიიყვანა.

- სხვა რაღა გინდათ ჩემგან, - იკითხა ძლივძლივობით ადელმა.

- მე მინდა გულდადებით მოგელაპარაკო და გავიგო, ეს რა კომედიას მეთამაშებით. ჰა, ადი ზევით-მეთქი!

გუდარმა ეს ბძანების ხმით სთქვა, თუმცა ისე ჩუმად კი, რომ მარტო ადელმა გაიგო. იმხანად ადელი არ დაემორჩილა მის ჭირვეულს და გაუტეხელს ნებასა.

- მე აქ მინდა ვიყო, - უთხრა ადელმა.

- კმარა-მეთქი, - სთქვა გუდარმა, ხელში აიყვანა და ისე აიტანა კიბეზედ, შეიყვანა ოთახში და დასვა ტახტზედ.

ამ გაბედულობამ ისეთი ელდა დასცა საწყალს ქალს, რომ ხმა ვერ ამოიღო. შეშინდა, არავის დაენახა, რომ ეგეთის ძალით ექცევა ეს კაცი. დაწყნარდა, ხმა გაიკმინდა, თავი ჩაჰკიდა, აღარ გაინძრა, თითქო გაქვავდაო.

გუდარმა კარი მოიხურა, ფეხებით გაიშოტა სესილის უმანკო ქვეშაგებზედ, თითქო სამიკიტნოს ტახტიაო, და დაწყნარებით სთქვა:

- აბა, ადელ, იმედი მაქვს შენ ეხლა გონზედ მოსული ხარ. ერთი გულდადებით მოვილაპარაკოთ. ეს რა კომედიას ჰთამაშობთ ჩემ წინ? რას ნიშნავს ეს ყოველიფერი? მე ფიქრად მომდის, იქნება სესილმა და იმისმა დედამ გამიმართეს-მეთქი ეს სამხიარულო შესაქცევარი. თუ შენ შენს ალტემას ეგრე ასრულებ, მე ეხლავ წავალ ჩემს ადვოკატთან და ოცდაოთხის საათის განმავლობაში კლოდ ტიუსსო გაკუტრებული იქნება.

ადელმა უგრძნობელად. ცივად შეჰხედა, თითქო არ ესმისო.

- იქნება შენა გგონია მე ბაშივი ვიყო? აქ რაღაც თავის მოკვლის კამედიას ჰთამაშობთ და გგონიათ ისე შეტოპილი ვიყო ამ საქმეში, რომ თქვენი თავის დანებება აღარ შემემდლოს, თუნდ ქორწილი არ მოჰხდეს? მითამ იმით მაშინებთ, რომ მეზობლები იტყვიანო: "აქ ვაჭრობა ყოფილა და სხვა არაფერიო". დიაღ, ვაჭრობაა, სწორედ ვაჭრობა და სხვა არაფერი. დეე ილაპარაკონ ჩემზედ, რომ მე გარყვნილი და ქეიფის კაცი ვარ. რაც უნდა იყებდონ, ჩემი რა საქმეა! პირიქით, მიაძება კიდევ. ტყუილად კი არ მეძახიან ჯაგლაგს! თქვენ კი გეგონათ, რომ რაკი ქორწილი არ მოჰხდება, მე მაინც თქვენს მეგობრობაზედ ხელს არ ავიღებ, განა? ვაი, ჩემო საწყალო ადელ! განა ცოტა ხანია, რაც მე და შენ შორის ყოველიფერი გათავდა?

- არც იმოდენა ხანია, რომ ჩემი სირცხვილი, ჩემი შერცხვენა აღარ მახსოვდეს.

- მაგას გროშადაც არ ვიყიდი... ეგ სულ ცარიელი სიტყვებია... ნუ მოჰყვები, თუ ღმერთი გწამს, სულელურს კომედიას, როგორც იმ დღეს, შენი ქალი რომ გთხოვე... ნუ დამემუქრები, რომ ყველაფერს გაუმჟღავნებ შენს ქმარსა. ძალიან კარგი, მითამ რა გამოვა მაინდამ? ვთქვათ, ქმარს ეტყვი: "კლოდ, შენ გეგონა, რომ შენი ცოლი და შენი შვილის დედა პატიოსანა დედაკაცია. - ტყუილია, შენის უკეთესის მეგობრის ხასაა". იქნება ჰფიქრობ, რომ ძალიან გამიგულისდეს? სულაც არა, იგი მარტო ამას იტყვის, რომ შენ... თვითონ შენ იცი, რასაც იტყვის. იგი იფიქრებს, რომ შენ თვითონ გადამეკიდე...

- ვაი! - დაიძახა ადელმა, - შე უნამუსოვ. პირმოხეულო!.. ხმას როგორ იღებ, ხმას...

- ეხლა შენი წივილ-კივილი აინუნშიაც არ მომდის. მე თავი გადამიდვია, რაც მომივა, მომივიდეს. თუნდა მეზობლებმაც შემატყონ, რომ ტიუსსოს ცოლი ხასად მეჯდა, მითამ რაო? განა ისეთი თავისუფალი კაცი, როგორც მე ვარ, სიყვარულს იქ არ ჩაავლებს ხოლმე ხელს, საცა კი იპოვის? ეგ არის თავისუფალის კაცის ცხოვრების საგანი. კაცი მოვალე არ არის დაიცვას თავისი სიწრფოება და ცოლქმრობის ერთგულება, ეგ დედაკაცის საქმეა. ეხლა ხომ გესმის, რომ ეგ შენი ცოდვის მომნანებელ მაგდალინას ცრემლი არავის წარბსაც არ შეუხრის.

- მაშ თქვენ არაფრის პატივი არ გცოდნიათ, თქვენ მე შემაცდინეთ, ანუ უკედ ვთქვათ, ძალით დამიმორჩილეთ და ეხლა თქვენვე მასხამთ თავზედ ლაფს და მემუქრებით კიდევ? თუ მისი გაგება არა გაქვთ, რომ კაცი, რომელმაც გააუპატიურა ქალი, უნდა პატივს სცემდეს გაუპატიურებულს, მაშ

ის მაინც შეიბრალებთ, რომელსაც თქვენ მეგობარს ეძახით.

- მე მგონია, საბუთი მაქვს მეგობრად ვხადოდე შენს ქმარს, - უთხრა გუდარმა უწმაწურის ღიმილითა, - მე დიდი ფული მივეცი მაგ მეგობრობაში. თუ აქამომდე შიმშილით არ დაიხოცენით, ჩემი მოწყალება იყო. შენი სიყვარული მეტად მცირე სარგებელია იმ თავნისა, რომელიც მე თქვენზე გავფლანგე.

- ღმერთო! ღმერთო ჩემო! - შეჰკვივლა საწყალმა დედაკაცმა, მწარედ მომტირალემ ცალკე სირცხვილისაგან და ცალკე სასოწარკვეთილებისაგან. - მემუქრებით განა! ნუთუ უნდა დაგლოცოთ, რომ ნამუსი დამიმხეთ და თავზედ ლაფი დამასხით.

- დროა, მგონია, მიცნოთ, რა კაციცა ვარ. მე ძალიან კარგადა ვხედავ, რაც ამბავია. თქვენ გიფიქრიათ, რომ ამისთანა ამბის შემდეგ ჯვარისწერაზედ უარს ვიტყოდი. ლამაზად აასრულებთ კი თქვენი გულსაკლავი წარმოდგენა! ეხლა მამა მოიყვანს სესილსა, თქვენ ჩემ წინ ბოდიშს მოიხდით და ქალს მისცემთ იმ თქვენს ქერუბიმს, რომელიც...

- ნუ იტყვით, ნუ! - ევედრებოდა ადელი, რომელსაც გუდარის სიტყვებზე იმედი მიეცა, რომ ქალს უპოვნია და ამ უნამუსო კაცის ცოლად აღარ იქნება.

- ახლა, ლამაზო ტიუსსოვ, როგორც ამ უბანში გეძახიან, მაგისთანა ხუმრობას მოკლე ფეხები აქვს. ჯაგლაგი მოახერხებს, რომ ეს საქმე თავისუფლად მოატრიალოს.

- მითამ რა უნდა ჰქმნათ?

- აი რა: როცა მამა მოიყვანს სესილს, მე წავალ და თან წავიყვან მერთან. თუ გამიძალიანდება და არ გამომყვება, საქორწილო ეტლში ჩავჯდები, წავალ კამერციის სასამართლოში და გამოვაცხადებ, რომ ტიუსსო კუტრია-მეთქი.

ადელმა ხმა არ გასცა. იგი მარტო თავის ქალზედ ჰდიქრობდა, საკუთრივ მასზე თუ, იქნება მართლა-და ცოცხალი იყვესო.

- ვერ გაიგე, რა გითხარ? - შესძახა გუდარმა.

- გავიგე.

- რას იტყვი შენ მაგაზედ?

- იმას ვიტყვი, რომ ჩემის ქალის ბედნიერება იმად ღირს, რომ მთელი სიცოცხლე მის გულისათვის გავიმწარო. თუმცა ჩვენ გავლატაკდებით, მაგრამ ჩვენს ქალს ქმრად ის მაინც ეყოლება, რომელიც თვითონ აირჩია.

- იმან კი არა, შენ აურჩიე.

- თუ სხვაფრივ ბედნიერებას ვერ მოვუპოვებ ჩემს ქალს, თუ არა მით, რომ ჩემი თავი შევწირო, მე მაგაზედაც მზადა ვარ.

- შენ შენს თავზედ ჰლაპარაკობ, - შეჰნიშნა გულსატკენად გუდარმა, - ჩემი მეგობარი კლოდი, როცა შეიტყობს, რომ მე ფულს ვაძლევდი მარტო იმისათვის, რომ...

- რისთვის? - ჰკითხა ადელმა, თავი მაღლა აიღო და თვალები დააბრიალა.

- იმისათვის, რომ შენი სიყვარული მეძლეოდა...

- თქვენ ეტყვით მაგას, თქვენ, თქვენ?

- ისე დაწყნარებით და გულგრილად, როგორც. ეხლა ვლაპარაკობ.

- მაშ ჩემის ქალის თავს ვფიცავ, მე ჩემს ქმარს ვეტყვი: "ტყუის, ჩემი ჯავრის ამოყრა უნდა და თუ, კლოდ, ჩემი სიყვარული გაქვს, ჩემი პატივისცემა, მოკალ ეს უნამუსო კაცი-მეთქი". მე დამიჯერებს, ვიცი იმის ამბავი, და ჩემს ხვეწნას ამისრულებს. გულკეთილია, გულლბილი, მაგრამ თავგამომდებია და შეუბრალებელი, როცა ან ცოლს, ან ქალს ცუდად უხსენიებენ. ეგეც რომ არ იყოს, თუ საჭიროა, მეც მივეშველები, მეც... გესმის თუ არა, უფალო გუდარ?!. თავის დღეში, თავის დღეში ჩემს დამხობას არ გავუმჟღავნებ. მწუხარებისაგან ვეღარ იცოცხლებს და თუ სასიკვდილოა, ისა სჯობია მოკვდეს, როცა თავს გამოიდებს, რომ გაუპატიურებული ნამუსი ცოლისა დაიფაროს.

ყოველივე ეს იყო თქმული ხმააუმაღლებლივ, დინჯად, ლიტონად, მაგრამ ყოველი სიტყვა თითქო შოლტიაო, ისე უსერავდა ლოყებს გუდარსა. როცა ადელმა სიტყვა დაასრულა, გუდარი წამოდგა ფეხზედ მთლად გაფითრებული. მიხვდა, რომ ქალი არა სტყუოდა, ტყუილად არ იმუქრებოდა და შიშისაგან ისე მოეჩვენა, მითამ ადელს ხელში დანაც უბრჭყვიალებს.

- შენ ამბობ, რომ შენ ჩემის მძლავრობის მსხვერპლი შეიქმენ, - უთხრა გუდარმა და, რადგანაც სცდილობდა არ გამოეჩინა გულის ღელვა, ხმა მოურბილა, - მაშინაც ხომ შეგეძლო ეგრე მაგრად მდგარიყავ და მაგისთანავე ფარი გეხმარა?

- განა მაშინ ვიცოდი, რომ ფარი დამჭირდებოდა? ყველა ჩვენი მოკეთენი პატივს სცემდნენ სახლს, საცა ისინი მიღებულ იყვნენ. მე თქვენ პატიოსან კაცად მეგულებოდით, რადგანაც ჩვენსა ფეხი იმ განზრახვით შემოდგით, რომ უბედურებისაგან დაგეხსენით. ერთი საათი სამყოფი იყო, რომ კარგად გამეცანით, და იმ საათმა მომიწამლა კიდეც მთელი სიცოცხლე. დასასრულ, აი რას გეტყვით, უფალო გუდარ: ეს ჩვენი ლაპარაკი ჩვენს შორის უკანასკნელია. თქვენ შეგიძლიანთ გაგვადარიბოთ, გაგვალატაკოთ და ჩვენ გაუპატიურებას კი ფიქრადაც ნუ გაიტარებთ, თორემ... -

- თორემ რა? - ჰკითხა გუდარმა და თვალი მოჭუტა.

- თორემ ისა, რომ მე და ჩემი ქმარი საკუთარის ხელით დაგარჩობთ.

გუდარმა მხრები აიწია, ადელმა შეამჩნია, რომ ძლეულ იქმნა.

ამ დროს ეტლიც მოადგა კარებსა. გუდარი ძირს ჩავიდა. ადელი გაეხვია შალში და სირბილით ჩამოირბინა კიბე იმ იმედით, ქალსა ვნახავო. ყველა სტუმრები სასადილო ოთახში ელოდდნენ და ჰკვირობდნენ, რად დაგვიანდა საქმეო, რადგანაც ის სამწუხარო ამბავი ჯერ გამომჟღავნებული არ იყო, მარტო ორ-სამ მახლობელს ნათესავს უთხრეს.

კარებში ტიუსსო გამოჩნდა, რაკი მარტო ის დაინახა, უბედურს დედას იმედი გადუწყდა, ეცა ქმარს, ყელზე მოეხვია და მოჰყვა ქვითინს.

- რაო, კლოდ? - იკითხა ბოლოს.

- არაფერი, - უპასუხა მან ცრემლმორეულმა, - მორისთან ვიყავ, სესილი იქ არ არის... თვითონ მორისი წუხელ სადამოს ჩვეულებისამებრ შინ ყოფილიყო და დღეს დილაზე გასულიყო შინიდან სამუშაოდ. ფანჯარა, როგორც ყოველთვის, ღია დარჩენოდა... საწყალო ადელ... ყველაფერი ამაოა

ჩვენთვის... ჩვენ შვილი აღარა გვყავს, აღარ...

ორივემ მწარედ ტირილი დაიწყეს.

გუდარი, მიყუდებული კიბეზე გასასვლელ კარებზედ, ხმაამოუღებლივ უყურებდა ამ ამბავს, უღვაშებს იკვნიტდა და ჰკითხავდა თავის თავს: "ნეტა რას ნიშნავს ყოველივე ესო?" არა სჯეროდა სესილის სიკვდილი. ეს შეუძლებელიაო. ხოლო მოულოდნელმა წინააღმდეგობამ ტიუსსოს ცოლისამ, მისმა გულახდილად ლაპარაკმა, მამაცობამ და გამბედაობამ გზა-კვალი აურიეს. თავისთავი ამ ქალის ბატონად ეგონა წარსულის მიხედვით და ეხლა კი იგი წინ დაუდგა თავმოდერებული, მუქარით და მრისხანებით სავსე და თვითონ კი ყურებჩამოყრილი იყო, შეშინებული.

მართლაც, ის ამბავი, რაც მის თვალწინ მოხდა. მეტად სამწუხარო იყო და უფრო მკვდრის დამარხვასა ჰგვანდა, ვიდრე ქორწილსა. ყველანი სტიროდნენ და ნუგეშს სცემდნენ უბედურ დედ-მამას. ჯერ იმით ღონემიხდილმა, რომ გუდართან ისეთი მძიმე ბრძოლა გამოიარა, მერე მთლად გულმოკლულმა, რომ ქმარმა ქალი ვერ უპოვა, - ტიუსსოს ცოლმა თავი ვედარ შეიმაგრა. ერთი საშინელი კანკალი მოუვიდა და უსულო მკვდარსავით დაეცა იატაკზედ. კლოდი კი, რომელიც თვითონ იბრალეზა ქალის სიკვდილს, იმედდაკარგული დაეშვა სკამზედ და, როგორც საშვი, ისე სტიროდა.

მარტო ერთი გუდარილა იყო, რომელიც არას იმჩნევდა და გულგრილად იდგა. სტუმრები ისე დასტრიალებდნენ და გარს ევლებოდნენ უბედურ მშობლებს, რომ არც კი არავინ შეჰნიშნა, რარიგად უგულოდ იყო ამ საერთო მწუხარების დროს.

- გუდარ, - ჰკითხა ბოლოს მკერვალმა ქალმა, - ნუთუ თქვენთვის სულ ერთია?

გუდარმა მხრები აიწია და ბოროტის ღიმილით უპასუხა:

- მე ჯაგლაგს ტყუილად კი არ მეძახიან. მე ჩემს სახელს არ ვუღალატებ.

VI

შადიამ როგორ დაჰკარგა დღე

შადიას საშინელს ყვირილზედ ორივე ნაპირიდან დაიძრა ნავეები. სწორედ მისწრება იყო იმათი მიშველება. შადიას ღონე ელევოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა წყალს, მაგრამ კინაღამ წყალმა არ მოიტაცა და ქვევით არ გააქანა; ხელში ეჭირა საცოდავი ქალი, რომელიც უეჭველის სიკვდილისაგან დაიხსნა. ყველაზე უწინარეს მიემშველნენ მისნი მეგობრები, რომელნიც წუთის წინათ დუქანში ჰნახა. იცნეს თუ არა შადია, მაშინვე ხელი მიაწოდეს და ისიცა და ქალიც ნავში ამოიყვანეს. მერე სწრაფად მოუსვეს ნიჩბები, გასწიეს ნაპირისაკენ და ერთმა მათგანმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუყვირა ხალხს, ნაპირზედ მოჯგუფებულს:

- მალე ექიმი, ექიმი!

რამდენსამე წუთს შემდეგ ნავი ნაპირს მიადგა. ნაპირზე მოგროვილიყო უსაქმო ხალხი და ელოდდა ექიმის მოსვლასა. ექიმიც მოვიდა. ურჩია, რომ ქალი ნავშივე იყოს ჯერხანადაო, ნუ დასძრავთო, მანდ უფრო კარგად მოევლებაო. მაგრამ ექიმის მოუვლელადაც ქალი თვითონ გამობრუნდა და გონზედ მოვიდა. შადია გადმოხტა ნაპირზედ, მხიარულად შეეყარა მეგობრებს, რომელნიც ულოცავდნენ სასახელო საქმესა.

- ისევ ცოცხალია და სრულად გადარჩება კიდეც. როცა წყლიდამ ცოცხალი გამოხვალ, მაშინ ფიქრი აღარაფრისაა.

სესილმა მიიმედ აახილა თვალი და სუნთქვა თავისუფლად დაიწყო. იქავ დუქნიდამ გამოიტანეს გამთბარი საბანი და დაჰხურეს ფეხებზედ. სითბომ ცხადად იმოქმედა, მოუბრუნა ღონე ყმაწვილ ქალს და ექიმმა, მის წინ დაჩოქილმა, ჰკითხა:

- გტკივათ რამე, ჩემო კარგო?

სესილმა თვალი წყნარად გაახილა, აქეთ-იქით გადაავლო, თითქო უნდა შეიტყოს, სადა ვარო. ექიმმა ხელახლად ისევ ის ჰკითხა. ქალმა შტერისავით მიაპყრა ექიმს თვალეზი და წაილულულა რაღაც უაზრო, გაუგებარი სიტყვები. ექიმი გაოცებით დააკვირდა ქალს, მაჯა გაუსინჯა და აჩქარებით დაიძახა

- საკაცე ჩქარა, საკაცე!

ორი ბიჭი, იქავ მდგომი, მაშინვე გაიქცა ექიმის სიტყვის ასასრულებლად. შადია კი მობრუნდა ისევ ქალისაკენ და ჰკითხა გულის ტკენით.

- რაო? ვერ არის კარგად? მე მეგონა გადარჩა-მეთქი.

- არ ვიცი, რაღაც სატკივარი ემართება, ვერ გამიგია. ფეხები და ხელები გაუცივდა, მუცელი კი ეწვის, უთუოდ ავად ყოფილა, მინამ წყალში ჩავარდებოდა.

- ვაი შენ, ჩემო თავო უთუოდ საოფლემში ჰკვა შემლია და წყალში იმიტომ ჩავარდნილა.

სესილს განუწყვეტლად ასლოკინებდა და ტუჩებზე ქაფიც გამოაჩნდა.

საკაცეც მალე მოიტანეს, სესილი დააწვინეს დოშაკზედ, რომელიც შადიამ მოატანინა თავის სადგომიდან და ისე დაასვენეს საკაცეზედ. ცნობისმოყვარე უსაქმური ხალხი გარს ეხვეოდა საკაცეს.

- საწყალი ბაშვი, რა ლამაზია! - ისმოდა ხალხში.

- ოო, მშვენიერი რამ არის!

- ისეთი ნორჩი და სიკვდილს მისცეს თავი?!

- უთუოდ შეუცდენია ვისმეს და მერე თავი დაუნებებია!

- ვიშ, რა ლამაზია, რა ლამაზია! ასე გგონია, პატარძალიაო!

ამ სიტყვებზედ სესილმა, აქამომდე უგრძნობელად მაყურებელმა, წამოიწია და ღიმილით სთქვა:

- ჰო... ჰო... მე... პატარძალი ვარ...

მართლადაც, საცოდავი სესილი მშვენიერი რამ იყო ამ წუთს. ნავში, ცნობისმოყვარე თვალთაგან მოშორებით, გაჰხადეს სველი ტანისამოსი და ჩააცვეს წმინდა თეთრეული, რომელიც შადიამ თავის სახლიდან მოატანინა

და დუქნის გოგომ კიდევ ცეცხლზედ მოათბო. თეთრს ტანისამოსში, საკაცზედ მწოლარე, საუცხოვო რამ იყო. მშვენიერს, ყმაწვილურს პირისახეს უხვად მოჰყვენოდა გიშრისფერი თმა, მისი მომხიბლავი ბაგენი უცინოდნენ ვილასაც, - უცნაურს არსებასა, მისი ლოყები ანთებულიყო სიცოცხლის ალითა. რაღასა ლულულუდებდა, მაგრამ ისე გაუგებრად, რომ ექიმი ამაოდ სცდილობდა ერთი სიტყვა მაინც გამოეცნო.

- აბა, მეგობრებო, მარდად, - უთხრა ექიმმა საკაცის მომტანელთა, - აქავ რომ სამკურნალოა, იქ მივიტანოთ. მე ჩემს პალატში დავაწვენ. თქვენ კი, მეგობარო, თან გამოგყვებით, რასაკვირველია, - უთხრა მერე ექიმმა შადიას.

ამ დროს პოლიციაც მოვიდა, მაგრამ დაიგვიანა კი, როგორც ხშირად მოჰხდებოდა ხოლმე პარიზში. ექიმმა უთხრა, აქ ნუ დაგვაგვიანებთო, რადგანაც სნეული იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ერთის წუთის დაკარგვაც მძიმე რამ არისო. ხოლო შადიამ კი გზადაგზა ყველაფერი უამბო.

სამკურნალოში, ექიმის მეოხებით, სესილი მაშინვე მიიღეს და არ გასულა მას შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ იგი დააწვინეს კიდევ ქვეშაგებში. ექიმმა ფერშლების თანაშემწეობით ბეჯითად გასინჯა ქალი, დაუწერა წამალი, რომელიც ძალიან მალე მოუხდა.

- რაო, ბატონო ექიმო, ეხლა უკედ არის? - ჰკითხა შადიამ, რომელიც პალატის კარებში ელოდდა.

- იმედი მაქვს, რომ ეხლა გადარჩება.

- რაო? განა უწინ კი გეგონათ, არ გადარჩებოდა?

- ეგ რა სათქმელია, მე იმის იმედიც არა მქონდა, რომ აქამდის ცოცხალს მოვიყვანდით.

- საწყალი! მაგისთანა ყმაწვილი ქალი და წყალში ჩავარდეს?!

- წყალში ყოფნამ დაიხსნა კიდევ.

- რაო? - გაოცებით იკითხა შადიამ, ეგონა, იქნება ისე ვერ გავიგეო, - თავი იმით გადირჩინა, რომ წყალში ჩავარდაო!

- საცოდავი ქალი უთუოდ ძალიან გაუბედურებულია და თავი მტკიცედ დაუდვია სასიკვდილოდ... მინამ წყალში ჩავარდნილა, თავი მოუწამლავს.

- რას ბძანებთ? თვითონ გითხრათ ეგ ამბავი?

- არა, ჯერ ბოდვაშია. წამლის შემდეგ უკედ არის, მაგრამ საშინელი ანთება კი აუტყდა.

- საცოდავი! რა ვაივავლახი ექმნება ეხლა მაგის დედ-მამას.

- მართალი ხართ!.. თქვენ მომაგონეთ ჩვენი უპირველესი მოვალეობა, რომელიც სულ გადაგვაავიწყდა.

ექიმმა უხმო სნეულის მომვლელს დედაკაცს, რომელმაც გაჰხადა ტანისამოსი სესილს, და ჰკითხა, ხომ არა გინახავთ რაო ტანისამოსში იმისთანა, რომ შევიტყოთ ეს ქალი ვინ არისო. დედაკაცმა უპასუხა, რომ მარტო იუბკა და კოფტა ეცვაო.

- მართალია, მართალი! - დაიძახა შადიამ, - დედიჩემისა არის ეგ ყველაფერი, მე მოვატანინე. თვითონ ქალის ტანისამოსი კი დუქანში მივე გასაშრობლად. მე ეხლავ წავალ და გავსინჯავ.

- ჯერ, მეგობარო, მითხარით, თქვენ თვითონ რა გქვიათ?

- არისტიდ ლებლანი, მეტი სახელი - შადია; ბრინჯაოს ქარხნის მუშა ვარ და ვდგევარ გავრის სანაპიროზე.

- თქვენ ფრიად სასახელო საქმე ჩაიდინეთ, ვაჟკაცო ჭაბუკო!

- ტყუილია, თქვენ სიტყვის მასალად მიბძანებთ მაგას. მე უნდა ვმადლობდე ჩემს ბედს, რომ ხელში თუნდ რამდენსამე წუთს ამისთანა მშვენიერება მეჭირა.

- თქვენ, ჩემო მეგობარო, აქავ მოხვალთ, თუ ამის ვინაობისას შეიტყობთ რასმეს.

- არა, ბატონო, მე ეხლავ დუქნისაკენ გავექანები, გავსინჯავ ტანისამოსს და თუ ნიშანი რამ ვიპოვე, მაშინვე გავკურცხლავ ამის მშობლებისაკენ და მერე კი სამუშაოდ მინდა წავიდე. დღეს ხომ შაბათია.

- არა გიშავთ რა, დღეს პატარა იმცონარეთ, - უთხრა ღიმილით ექიმმა, - ერთი დღე დაჰკარგეთ, დიდი არაფერია.

- მართალს ბძანებთ, ბატონო... მაშ იხევე აქ მოვალ და ამბავს მოგიტანთ, მერე წავალ და ნავის რეცხვას დავასრულებ. ნახვამდის.

შადია სირბილით მივარდა დუქანში, მოიკითხა სესილის ტანისამოსი. გოგომ ანიშნა ბუხრის წინ ჩამოკიდებული გასაშრობლად იუბკა და კაბა.

ერთს საათს შემდეგ შადიამ ტიუსსოს სახლში ამოჰყო თავი.

- ბატონი ტიუსსო მინა, - უთხრა ჩან.

- მე თვითონა ვარ, - უპასუხა საცოდავმა მამამ; ძლივს იდგა ფეხზედ მწუხარებისა და ვაებისაგან, - რა გნებავთ?

ადელმ უცნობის კაცის დანახვაზედ შესწყვიტა ტირილი და ყური დაუგდო.

- ეს ნივთი გეცნობათ? - ჰკითხა შადიამ და მიაწოდა პატარა პორტმონე.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! ეგ პორტმონე სესილისაა.

- სესილისაო?! - დაიკვივლა ტიუსსოს ცოლმა და წამოხტა, - მითხარით, სად არის, სად?

გუდარმა ყურები აცქვიტა; გულმოდგინებით მიაპყრა თვალი, ვნახოთ ერთი, რით გათავდება ეს უცნაური ამბავიო. შადიას ძალიან ეოცა, რომ ჰნახა ამოდენა ხალხი საქორწილოდ მორთულნი და თვალცრემლიანები და არ იცოდა რა ეთქვა.

- წამომყევით მე და ქალსაც ჰნახავთ, - სთქვა ბოლოს.

- ცოცხალია? - ჰკითხა ტიუსსოს ცოლმა კრძალვითა და შიშითა.

- დიად.

ოჰ, ჩემო მხსნელო! - დაიძახა ტიუსსოს ცოლმა და მოეხვია ჭაბუკსა, - სად არის. სად?

- სამკურნალოში.

სიტყვა "სამკურნალო" როგორღაც ემძიმება ხოლმე ყურს სასმენელად. ყველანი გაფითრდნენ. მარტო ტიუსსოს ცოლმა არ დაჰკარგა გონი; წაავლო ხელი შადიას და ჰკითხა:

- ცოცხალია?

- დიად.

- სამკურნალოში რად არის? რა დაემართა?

- სად ყოფილა? განა უბედურება რამ შეემთხვია? - იკითხა ბოლოს თვითონ ტიუსსომაც.

- დიად, მაგრამ ფათერაკად კი არ შეემთხვია. ავად იყო წინად?

- არა, ღვთის გულისათვის, გვითხარი, რა დამართვია?

- თავი უნდოდა წყალში დაერჩო.

- ოჰ, ღმერთო ჩვენო! - სთქვეს ერთხმად ყველამ.

გუდარი, როგორც ეტყობოდა, გაცვებით უგდებდა ყურს.

- თავი უნდოდა დაერჩო, თავი! - დაიკვივლა ტიუსსოს ცოლმა ზარდაცემულმა და კინაღამ გულს არ შემოეყარა.

- დიად, წყალში გადავარდა აუსტერლიცის ხიდიდამ, ღვთის მადლით მე ახლო ვიყავ, თან გადავყე და ამოვიყვანე.

- თქვენ ამოვიყვანეთ, თქვენ! - დაიძახა ადელმა და კოცნა დაუწყო ყმაწვილკაცს.

ყველამ მოისწრაფა მადლის გადახდა და ხელის ჩამორთმევა ყმაწვილკაცისა. ტიუსსომ სთხოვა, დაწვრილებით გვიამბე, როგორ იყო საქმეო. ყმაწვილმა კაცმა, კდემა მორეულმა ამდენის ქებითა და მოლოცვითა, მარტივად, დაუკვებრად უამბო თავისი ამბავი, რომელსაც თვითონ ბევრ არაფრად აფასებდა.

- ჩემო მეგობარო, - უთხრა ტიუსსომ, როცა შადიამ გაათავა თავისი ამბავი, - თქვენ მე შვილი მაჩუქეთ, დღეს თქვენგანა ვარ დავალებული, რომ შვილი ცოცხალი მყავს. თავის დღეში ვერ გადაგიხდით მაგის სამაგიეროს. ხოლო მცირეზედ ნურას უკაცრავოდ...

ტიუსსომ ხელი ჩაიყო ჯიბეში.

- რაო? განა მე აქ ფულის სათხოვნელად მოვსულვარ? ვაი შენ, ჩემო თავო!.. განა ვინა გგონივართ? თქვენ მეგობრულად და მადლობით ხელი ჩამომართვით, თქვენმა ცოლმა მაკოცა, როცა თქვენი ქალი სრულად მორჩება, ნება მიეცით, რომ ერთი იმანაც მაკოცოს და ქვითები ვიქნებით.

- მაშ, წავიდეთ ჩქარა, - დაიძახა ტიუსსომ და გადაეხვია ყმაწვილკაცს, - გუდარ, აბა წამოდი.

- გაგიჟდი, თუ რა დაგემართა? - მივარდა ადელი ქმარს, - საცოდავმა მაგის მიზეზით თავი დასარჩობად გაიმეტა და შენ...

- მართალი ხარ... საწყალი!

- წავიდეთ, წავიდეთ.

გუდარმა ყველა ჰნახა და ყველა გაიგონა. მისი თვალი ადელის თვალს შეჰხვდა, არ უნდოდა ადელისათვის დაეთმო და თითონ მივიდა შადიასთან და უთხრა:

- მომილოცავს, მართლა სახელოვანი საქმე გიქმნიათ.

- მაგდონი არაფერი.

- ტიუსსო, შენ და შენი ცოლი წადით და მე აქ სტუმრებთან დავრჩები. ბოდიში უნდა მოვიხადოთ.

- არაფერია, ქორწილი მხოლოდ გადიდება, - წაილულულა ტიუსსომ გუდარის ნუგეშად, არ უნდოდა ეწყენინებინა.

- აბა მაგას რაღა თქმა უნდა, - უპასუხა გედარმა, ხელი მაგრად მოუჭირა თვითონ ტიუსსოს და მის ცოლს კი გველსავით შხამიანად გადაჰხედა.

- წავიდეთ, კლოდ, ეხლა ყბედობის დრო არ არის, - სთქვა ცოლმა.

ჩასხდნენ საქორწილო ეტლში ცოლ-ქმარნი და თან ჩაისვეს შადიაც. შადია ჯერ უარობდა, მაგრამ ტიუსსოს ცოლი არ მოეშვა და სულ იმას ეუბნებოდა, შენა ხარ ჩემი ქალის მხსნელიო.

ერთმა რუპმა საათისამ გაიარა თუ არა, ესენი სამნივე შევიდნენ პალატაში, საცა სესილი იწვა. რომ ჰნახეს მოურთავი კედლები, პატარა ტახტები, დედაკაცები, ჩრდილსავით ფეხაკრეფით მოარულნი, ტიუსსოს ცოლს თრთოლა დააწყებინა, თვითონ ტიუსსოსაც ფერი წაუვიდა. ჰშიშობდნენ, ვაითუ შადიამ მოგვატყუაო.

- აი თქვენი ქალი, - უთხრა ჭაბუკმა და დაანახვა ქვეშაგები.

დედა და მამა მისცვივდნენ ქვეშაგებს და ერთხმად შეჰკვივლეს:

- სესილი, შვილო ჩვენო! - სესილმა აახილა თვალი და გონმიხდილსავით უგრძნობელად შემოჰხედა. სესილმა ვერ იცნო დედ-მამა.

ადელი მივარდა და დაუწყო კოცნა.

- ჩვენა ვართ, სესილ-ჯან, - უთხრა დედამ, - ჩვენა ვართ, მამაშენი და დედაშენი.

დიდხანს უყურებდა ამათ სესილი ცნობამიხდილი გაშტერებით, უცბად თვალში რაღაცამ გაუელვა.

- სესილი, ჩემო სიხარულო, - განაგრძო დედამ, - შინ წაგიყვანთ, შინ. შენ შენს ნებაზედ იქმნები. ნუ შეირთავ, ნუ იმ... ვინც გსურდეს, ის შეირთე, მორისსაც ჰნახავ.

სესილი თითქო გონებაზედ მოდიოდა, მაგრამ დედის უკანასკნელ სიტყვებზე სისწრაფით წამოვარდა, ხელი ჰკრა მამასაც და დედასაც და დაიკვივლა.

- მორის, მორის, აი აქა ვარ, აქ... მომიცადე.

სთქვა ესა თუ არა, გულშემოყრილი დაეცა ბალიშზედ. ექიმი მაშინვე მივარდა.

- ეს რა ჰქენით! - სთქვა მან.

კლოდი და მისი ცოლი კანკალით მუხლებზედ დაეცნენ.

- ღმერთო მოწყალო, - წარმოსთქვა ტიუსსოს ცოლმა და გაიწოდა ცისაკენ ხელები, - გვიხსენ და შეგვარჩინე ჩვენი საცოდავი შვილი!

VII

რას ჰფიქრობდნენ ტიუსსოს კეთილისმყოფელნი

ხმა გავარდა, სესილი თავს იმ მიზეზით ირჩობდა, რომ თავისი დედის საყვარელი არ შეერთოო. რაღა თქმა უნდა, ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი ასტეხა იმ უბანში. ყველანი ამბობდნენ, რომ ქალი ვაჟკაცურად მოიქცაო. რადგანაც

იცოდაო, რომ არშერთვა გუდარისა სულ გააღატაკებს მამასა და რადგანაც, როგორც პატიოსანი ქალი, გრძნობდა, რომ ვერ შეერთავდა გუდარსა, თავის მოკვლა ირჩიაო. თვითონ გუდარიც ველარ დაანებებდა თავს მას მშობლებსა, რადგანაც თვითონ იყო მიზეზი იმათის შვილის სიკვდილისაო. ტიუსსოს ოჯახის კეთილისმყოფელთა - რა ჰნახეს დედ-მამის საცოდავობა და უცნაური ყოფაქცევა გუდარისა, როცა სესილის დაკარგვის ამბავი შეიტყო, - ტიუსსოს ცოლს აღარ ამტყუნებდნენ და ამბობდნენ, ქმარმა ძალად მოახვია ამისთანა საქმროო. ზოგიერთმა კიდევ, ადელ ტიუსსოს და გუდარის ერთმანეთთან ქცევა რომ ჰნახა ამ გაჭირების დროს, სთქვა, რომ ამათი არშეყოფის ამბავი სულმდაბალი ცილისწამება არისო. თვითონ ტიუსსოს შესახებ კი ყველანი ერთხმად იძახოდნენ, რომ სულელიაო, მთლად ხელში ჩაუგდია გუდარსაო, რომელმაც ცოლიც წაართვაო, ქალის წართმევაც მოინდომაო და ქარხანასაც ხომ მალე წაართმევს და წაართმევსო.

ორი კვირის განმავლობაში ამის მეტი სალაპარაკო არა ჰქონდათ-რა იმ უბანში. სესილი კი სამკურნალოში იყო და ყოველდღე მის სიკვდილს მოელოდნენ. ვერავის ვერა სცნობდა, თვითონ მშობლებსაც კი, რომელთაც იქავ ერთი ცალკე ოთახი დაიჭირეს და ყოველდღე ზედ დასტრიალებდნენ.

გუდარი ძვირად დაიარებოდა ტიუსსოსთან; თუ მივიდოდა, ისიც იმისთვის, რომ ავადმყოფის ამბავი შეეტყო. ხოლო მესამეს დღეს კი სესილის დაკარგვის შემდეგ გუდარმა უთხრა ტიუსსოს.

- ამ უბედურებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს საქმის წარმოებაში. ქარხანას ამით არაფერი არ უნდა დაუშავდეს. შენ იანგარიშე თვის თავზედ შემოსავალ-გასავალი და, თუ ფული იქნება საჭირო, მე წარმოვადგენ. ბოროტი ენები, რომელნიც ჰყბედობდნენ, რომ შენ ქალს ათხოვებდი ანგარიშის გამო, პირში ბურთს ჩაიჩრიან.

- რა პატიოსანი კაცი ხარ, - უპასუხა ტიუსსომ და მეგობრულად ხელი ჩამოართვა, - ჩემი ქალი ისე რომ გიცნობდეს, როგორც მე გიცნობ, მაშინ გაიგებდა, რომ მე მარტო იმის ბედნიერებისათვის ვზრუნავდი.

- ჯერ ყველაზედ უწინარეს ეცადე მორჩეს. იქნება ამ ამბავმა თვალი აუხილოს.

- ვნახოთ, იმედი ვიქონიოთ.

ტიუსსომ გუდარის სიტყვით ანგარიში მოახდინა, მიიღო საჭირო ფული, ვალები გაისტუმრა და ცოლს კი ყოველს ამაზედ არა უთხრა რა, ხოლო იმიტომ კი არა, რომ გაკიცხვისა ჰშინებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ამ ანგარიშებისას ცოლი ვერას გაიგებდა. საცოდავს დედას გული ხელთ აღარა ჰქონდა, ქვეყნიერობაზედ იმისათვის სხვა აღარა არსებობდა რა, გარდა მისის ქალისა, რომლის ქვეშაგებს დღე და ღამ არა ჰშორდებოდა. ყოველისფერს თავისთავს აბრალებდა: მე რომ გუდარს საყვარლად არა ვჯდომოდი, ამ სამაგელ ქორწინებაზედ ვერ და მიყოლიებდაო და ძალად ვერ ამომათქმევინებდაო თანხმობას. სწორედ მე დავლუპე ჩემი შვილიო. თუ ღმერთი მართდა წაართმევდა სესილს, დედამ მტკიცე აღთქმა დადსდო, რომ სწორედ იმ ადგილას ჩავვარდები წყალში და თავს დავირჩობო, საცა ჩემი

საცოდავი ქალი ირჩობდა თავსაო. ხოლო თუ ღმერთი შეიწყნარებს ჩემს სინანულსა და მხურვალე ვედრებასა, რომ სესილი დამიბრუნოს, თავის დღეში გუდარს არ შევრთავ, - ვინც ენებოს თვითონ, ის შეირთოსო.

ამ სახით ყველანი - დედ-მამა თუ კეთილისმყოფელნი, თუ მეზობელნი, თვითონ საქმროც კი - ამ ამბავს, ქორწინების დღეს მომხდარს, მარტივის თვალთ ჰსინჯავდნენ და ქალწულობის ნამუსს ახალგაზრდა ქალისას ჩირქს არ სცხებდნენ.

მარტო ერთის თვის შემდეგ ექიმმა გამოაცხადა, რომ სესილს ამას იქით არა უშავს რა, ხოლო ერთს კვირაზედ ადრე ხსმკურნალოდამ სახლში გადაყვანა ამისი არ შეიძლებაო. ადელ ტიუსსომ სიხარულით აღარ იცოდა, რა ექმნა, წამდაუწუმ ჰკითხავდა თავის შვილსა:

- ხომ არა გტკივა რა, ჩემო გვრიტო?

- არა, დედი.

- მაშ, აბა, გამიღიმე! მე სიხარულით ფეხზედ ვერა ვდგები და შენ კი სულ წარბი შეგიკრავს და მოწყენით იყურები.

ხოლო სესილს ღიმილი არ მოსდიოდა, მარტო ხელს ჩამოართმევდა ხოლმე დედას და მაგრა მოუჭერდა. მაშინ ადლი, იმ იმედით, რომ გავამხიარულებო, დაუმატებდა ხოლმე:

- ეხლა, ჩემო პატარა სესილ, ნულარაფრისა ნუ გეშინიან, შენ დიდის შესაწირავით შეისყიდე ის უფლება, რომ შენს ნებაზედ ამოირჩიო ქმარი. გუდარს თავის დღეში ფეხსაც არ დავადგმევინებ ჩვენის კარის დირეზე. მას აქეთ, რაც ეს ამბავი მოჰხდა, არც კი გვინახავს თვალთ. შენი გულისა, შენი, ჩემო კარგო, ვინც შენი ნება იყოს, ის შეირთე. გესმის თუ არა, სესილ, ვინც გნებავდეს, ის შეირთე-მეთქი.

სესილი კი ხელებს აიფარებდა ხოლმე სახეზე და მწარედ სტიროდა. ეს ამბავი რამდენჯერმე მოჰხდა, მაგრამ სესილი არ ეუბნებოდა საიდუმლო მიზეზს თავის ცრემლებისას.

დედამ ჰნახა, რომ მორისის ხსენება ძალიან ცუდადა ჰხდოდა ხოლმე ახალგაზრდა ქალსა და ამიტომაც დაიშალა მასზედ ლაპარაკი. ძალიან უკვირდა, რომ თვითონ სესილს მორისზედ ერთხელაც ხმა არ ამოუღია, ერთი სიტყვაც არ ჩამოუგდია, არც მაშინ, მინამ სამკურნალოში იწვა, და არც მას შემდეგ, როცა სახლში გადაიყვანეს. დედას უკვირდა-მეთქი, რომ ამ ხანგრძლივ დროის განმავლობაში, ვიდრე მორჩებოდა, ერთხელ მაინც რატომ არ ახსენაო.

ერთხელ ტიუსსოს ოჯახის კეთილისმყოფელნი, ერთს დროს ქორწილში მოწვეულნი, შეიყარნენ ავადმყოფის ამბის შესატყობლად. ნახეს თუ არა, რომ სესილს სისუსტით თვლემა მოერია, წყნარად ჩავიდნენ ძირს სასადილო ოთახში. ტიუსსოს ცოლმა ღია დააგდო კარი, რომ თუ დამიძახა, გავიგონოო. როცა სტუმრები და დედ-მამა მარტოკანი დარჩნენ, დაიწყეს ლაპარაკი ისევ იმ საუბედურო ამბავზედ და, რადგანაც იცოდნენ, სესილს მორისი უყვარდა, იკითხეს მორისის ამბავი. სესილს, როგორც ყველა სწეულს, საოცარი ფხიზელი ყურთასმენა ჰქონდა, მორისის სახელი მაშინვე ყურს ეცა, წამოჯდა

და ყური დაუგდო.

- როცა სესილს ვეძებდით, მე მორისთან შეველ. შინ არ დამხვდა. მერე შევიტყე, რაღაც უბედურობა დაჰმართოდა. ჩვენი მეგობარი კომპარი მიმავალიყო რკინისგზისკენ, ლაკუეს ქუჩაში, იმ სახლის წინ, საცა მორისი იდგა, ენახა უშველებელი ხალხის გროვა და პოლიცია. დრო არ ჰქონიყო იქ გაჩერებისათვის, მაგრამ მაშინვე მიმხვდარიყო, რაც ამბავია, მერე ხომ წიგნიც მომწერა. საწყალს მორისსაც თავი მოუკლავს, უბედური ვეღარ გადერჩინათ. უსათუოდ პირობა ჰქონიათ, ერთს დროს დავიხოცნეთო.

- თქვენა გგონიათ მორისი მკვდარი იყოს?

- დარწმუნებული ვარ. ჩვენ მას აქეთ იმისი დაც ვეღარსადა ვნახეთ. თქვენც კარგად იცით, რომ მე იმასთან არ მიმესვლება იმისი ძმის სიკვდილის მიზეზი ჩვენა ვართ. საწყალი ბიჭი! მინამ ცოცხალი ვარ, ჩემს თავს არ ვაპატივებ იმის დაღუპვასა. ადელი მართალს ამბობს, ძალიან კაი ბიჭი იყო, ჩინებული მუშა-კაცი... ეხლა რაღას ვუშველით, ცრემლი მკვდარს არ აღადგენს.

- გუდარი-ლა?

- საწყალი, ძლიერ შეწუხებულია. რაც უნდა ილაპარაკონ და, დამიჯერეთ, კაი კაცი კია. ყოველდღე მოდის ქარხანაში და სულ სესილის ამბავს კითხულობს. აქ კი მოსვლას ვეღარა ჰბედავს, იცის, რომ ადელს ჭირივით ეჯავრება. ჩვენში კი დარჩეს და, არ მესმის, ადელ, რა მიზეზით აითვალწუნე... ყოველთვის ისეთი პატივისმცემელი იყო შენი.

- არა, არა... მე ის თვალითაც არ მინდა დავინახო!

- მართალია, იმის დანახვაზედ ის უბედური დღე თვალწინ დაგვიდგება ხოლმე, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იმ დღეს მშვიდობით გადავრჩით.

- მშვიდობითო? მორისი-ლა?!

- მე მშვიდობით გადარჩენა ჩვენს თავზედა ვთქვი. მორისი ჩვენის ოჯახისა არ არის. არა, - დაუმატა ტიუსსომ და მიუბრუნდა სტუმრებს, - თქვენ რაც გინდათ ბძანეთ, ბატონებო, და მე კი, ღმერთმანი, ვერ გამიგია: ყმაწვილი კაცი, ლამაზი, ჭკვიანი, ჩვენი ერთგული, მდიდარი...

- საიდამ არის მდიდარი, საიდამ? - გააწყვეტინა სიტყვა ცოლმა.

- მე ეგ იმისთვის არც მიკითხავს და არც ვკითხავ. თქვენ, ქალები, ყველანი, ერთნაირნი ხართ: თუ კაცი აითვალწუნეთ, ყველაფერს უწუნებთ ხოლმე. შენ იმაში ცუდი რომ ვერა გიპოვა რა, იმის სიმდიდრეს სწვდები... ფული პრასასავით ხომ არ მოდის. ფულის შოვნის გზა ერთია: თუ გინდა შენ იქონიო, ვისიმეს ჯიბიდან უნდა ამოიღო. ვაჭრობის საქმე მარტო იმაზედ ჰტრიალებს, რომ ფული სხვის ჯიბიდან ჩემს ჯიბეში გადმოვიღო. მერწმუნეთ, გუდარს არავინ არ იცნობს, არავინ არ იცის, რა კეთილი კაცია.

- მაშ, შენის ფიქრით, ვინც უნდა იყოს, ქალს მიათხოვებ, ოღონდ ფულიანი კი იყოს.

- ეგ ამტკიცებს, რომ მე ჩემის ქალის უბედურობა არ მინდა. სულელობაა ბაშვის ქეიფზედ იაროს კაცმა.

- უფრო ჭკვიანური იქნება, ბაშვის ქეიფს მიჰყვეს კაცი, ვიდრე შვილი

მოჰკლას.

- შენ აურზაურს მოჰყევი. განა მოსალოდნელი იყო ამისთანა უბედურობა? ჩვენს საწყალს ქალს, თვალად ისეთს წყნარს, მშვიდს, თურმე ნუ იტყვით, ჩემი დამთხვეული, მხეცური ხასიათი გამოჰყოლია... რა ვიცოდი? ხომ ჰხედავ, რომ მე ეხლა აღარაფერს ვეუბნები. მაგრამ მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ბევრად უკეთესია ახალგაზრდა ქალს ქმრად ჰყვანდეს კაცი დამჯდარი, საქმიანი, საფუძვლიანი, ვიდრე ბიჭბუჭი ვინმე, რომელიც ჯერ თვალეზში ცქერას დაუწყებს ცოლსა და მერე კი, როცა მოსწყინდება, თავს დაანებებს და სხვაზედ გასცვლის. გუდარს, რაც უნდა იყოს, უცხოვრია მაინც.

- კარგი-და, ვისთან? - სთქვა ზიზღით ტიუსსოს ცოლმა.

- ეგა ხართ და, ზნეობითნი ქალები! სულ მაგ ჰკუაზედ დადიხართ. განა დასაძრახისია, რომ პატივცემულს დედებს, წვრილ შვილებით გარს მოხვეულს, ერიდებოდა და მათთან არ შეექცეოდა? შენ საძრახისად მიგაჩნია, რომ მას არ დაურღვევია ცოლქმრობის ბედნიერება და ოჯახისთვის თავზედ ლაფი არ დაუსხამს. და თუ უქეიფია, სხვაგვარ ქალებთან უქეიფია. ყველას თავისი გემოვნება აქვს. გუდარი ქეიფის კაცია და არცა მაღავს ამასა. როცა საქმე საქეიფოდ ჰქონდა გამხდარი, შეექცეოდა და ირჩევდა ყველაზედ ლამაზს და მორთულს ქალებს მთელს პარიზშია, ხოლო, როცა ცოლის შერთვა მოინდომა, აირჩია პატიოსანი ახალგაზრდა ქალი, უმზითვო და უფულო. მგონია, აქ ანგარიშს ადგილი არ ექმნებოდა, მე და შენ ხომ სესილს მზითვად ვერაფერს გავატანდით, კარგად იცი.

- ნახევარს ქარხანას ხომ ვუთმობდით?!

ამ სიტყვამ აამრიზა კლოდი, მაგრამ უცხოებთან ცოლის სიტყვა არ უნდოდა ძირს დაეშვა.

- მართალია, მე გამიამხანაგდებოდა. მაგრამ მაინც ხომ ჰხედავთ, ბატონებო, რარიგად სძულს ჩემს ცოლს გუდარი. ყოველთვის ეგრე სძულდა.

ყველამ, ვინც ეს უცნაური ლაპარაკი გაიგონა, ერთმანეთს გაოცებით შეჰხედეს, მარტო ტიუსსოს ცოლს ეტყობოდა, რომ გულდინჯად არის.

- მაშ, - სთქვა ერთმა სტუმართაგანმა სწორედ ვაჭრულის გულდინჯობითა, - თქვენი მდგომარეობა ეხლა უფრო ცხადია და უფრო გასწორდა. გუდარმა სიტყვა დაუბრუნა სესილს, პატარა მორისიც თავიდან მოგიშორებიათ, თორემ საშაში იყო, ბაიბურობა ხომ არ ექმევი თქვენთვის თქვენის ლამაზის ქალის გამო.

- მართალს ბძანებთ.

- მაშ თქვენი საქმე კარგად ყოფილა, მომილოცავს, - დაუმატა მოუბარმა სტუმარმა და ფეხზედ წამოდგა.

ყველანი წამოდგნენ იმის მიხედვით.

- ჩვენ მოხარული ვართ, რომ სესილი უკედ არის, - უთხრა ერთმა ნათესავმა ქალმა ტიუსსოს ცოლს.

- დიაღ, გულის ზიდილი რომ არა ჰქონდეს, საწამლავის ნაშთი, სულ კარგად იქმნებოდა.

- ეგ არაფერია, მე იმედი მაქვს, მალე ვითამაშოთ იმის ქორწილში.

- ძალიან მალე იქნება ეგ ამბავი, თუ რომ ჩემს სიტყვას გაიგონებს, -
შენიშნა ტიუსსომ.

ადელმა გაჯავრებით შეჰხედა ქმარს და მერე მასთან ერთად წავიდა
სტუმრების გასაცილებლად.

სესილს თავის ოთახში ესმოდა მთელი ეს ლაპარაკი. მამის ნათქვამი
მორისის სიკვდილზე რომ გაიგონა, მწარედ დაიწყო ტირილი და
უკანასკნელმა სიტყვებმა სტუმრებისამ კი გაბოროტების ღიმილი მოჰგვარა.

- მართალია, მორისი თავიდან მოიშორეს და ეხლა მე გადადებულის
ქორწილის სამაგიერო უნდა გადავუხადო.

ტიუსსო რომ შემობრუნდა სახლში, ქალის ძახილი მოესმა, მაშინვე
ავარდა შვილის ოთახში და ჰკითხა:

- მე მეძახოდი, სესილ?

- დიად, მამავ, მე მინდოდა მეკითხნა, გუდარი სულ არ მოსულა ჩემის
ამბის საკითხავად?

- როგორ არა! ყოველდღე მოდის, მაგრამ შენთან შემოსვლას ვერა ჰბედავს.

- როცა მოვიდეს, მამი, ჩემთან მოიყვანეთ. მე მინდა მადლობა
გადვუხადო.

ტიუსსოს ცოლს ეგონა, ყურმა მომატყუაო, ისე გაშეშდა. ცოლ-ქმარმა
ერთმანეთს გაოცებით შეჰხედეს.

VIII

ტიუსოს ცოლი უფრო და უფრო ჰკვირობს

სესილის თხოვნამ აღტაცებაში მოიყვანა კლოდი. მხურვალედ ჩაჰკოცნა
თავისი ქალი და გაეჩქარა ქარხანისაკენ, ეშინოდა, რომ გუდარი წინ არ
მისულიყო ქარხანაში. იმედი მოეცა, კიდეც სიძედ გაიხდის, და უნდოდა, რომ
თითონვე მოეყვანა გუდარი თავის ქალთან.

სულ სხვაგვარად იმოქმედა ადელზედ სესილის სიტყვამ, ამაოდ
სცდილობდა დედა, შეეტყო, რა მიზეზია რომ ახალგაზრდა ქალმა ასე
უცნაურად შეიცვალა ფიქრი. უეჭველი იყო, რომ სესილს სძაგდა ჯაგლაგი და
რადგანაც მორისის სიკვდილის ამბავიც შეტყობილი ჰქონდა, ხომ უარესად
შესძაგდებოდა, რადგანაც გუდარი იყო მიზეზი მისგან შეყვარებულის კაცის
სიკვდილისა. არა, ქორწინება სესილისა გუდართან ჰკვამი მოსასვლელი არ
იყო. მაშ რისთვის მოინდომა გუდარის ნახვა? იქნება ჰსურდა
გადაწყვეტილად მოელაპარაკნა თავის ადრინდელ საქმროსთან და ეთხოვნა,
რომ მამაჩემის საქმეს არა ავნო რაო, რადგანაც მე არ გირთავო. ეს აზრი ჰკვას
ახლო იყო. თვალგაშტერებით შეჰყურებდა დედა თავის ქალს და ჰნახა, რომ
სესილი უწინდელი სესილი აღარ არის. აღარ არის ის მხიარული, ყოველთვის
მოღიმარი ანცი ქალი.

იმ უბედურების შემდეგ სესილი სრულებით გამოიცვალა. უწინდელზე
მშვენიერი და იქნება უწინდელზედ უფრო მშვენიერიცა, სესილი უასაკო

ბაშვს კი აღარა ჰგვანდა; იგი ეხლა სრული დედაკაცი იყო, გულდინჯი, გონებაში ჩავარდნილი, დაფიქრებული და თითქმის გულდაბინდებული. ამის მომხიბვლელს თეთრ შუბლ-ქვეშ, ცხადი იყო, მძიმე ფიქრები ჰტრიალებდნენ, მისი თვალი უფრო გამჭრიახი შეიქნა, უფრო მედგარი და გამბედავი, და აღარც ენა მისი ტიტინებდა უწინდელე განუწყვეტლად. ჭაბუკი სული ყრმობის არტახეზიდან განუთავისუფლდა და მის სახეს ცნობიერის და მოწიფულის სიცოცხლის ფერი დაედო.

ადელს უკვირდა ასეთი უეცარი ცვლილება. შენიშნული ჰქონდა, რომ, როცა სესილი მარტო რჩებოდა, მწარეს ცრემლით სტიროდა ხოლმე ხშირად. დედას ეგონა, რომ მორისის სიკვდილის გამო სევდას ცრემლით ინელებსო. მით უფრო უნდა ვეცადოო, ამბობდა დედა თავის გულში, რომ გუდარს დავუშალო სესილის შერთვა, თუ რომ საქმე ისევე ამ საგანზე მიდგებო. ამის გამო გამოუცნობელმა სურვილმა ქალისამ გუდარის ნახვის თაობაზედ სრულებით არია ადელი. არაო, იფიქრა დედამ, რაც უნდა მოჰხდეს, მე ნებას არ მივცემ სესილს, რომ თავისი თავი ხელახლად მსხვერპლად მოიტანოს და, თუ საქმე იქამდისინ მივა, გამოვუტყდები ჩემს ქალსა, რომ გუდარს ვყვანდი საყვარლად და მათს ჯვარისწერაზედ კი თანახმა არ გავხდებო.

როცა ადელი მარტო დარჩა სესილთან, უნდოდა როგორმე გამოეთქმევინა ქალისათვის მიზეზი მისის უცნაურის ქცევისა.

- აბა, ჩემო კარგო, სესილ, - ჰკითხა ქალს, - ეხლა ხომ უკედა ხარ? მუცელი ხომ არა გტკივა?

- ცოტად.

- შიგნეულობა კიდევ გეწვის?

- არა, უფრო უკედა ვარ, მაგრამ გულის ზიდილი მაწუხებს.

- ეგ მალე გადაგივლის; შენ ეხლა უფრო ღონეზედა ხარ.

- არც ისე ძალიან.

- მაინც ლაპარაკი ხომ შეგიშლიან... შენ თითონ მოინდომე კი, გუდარი მომიყვანეთო.

- მე ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი.

ადელს უნდოდა ეკითხნა თუ არა - "რა გაქვს სათქმელიო", ექიმმა შემოალო კარები და შემოვიდა.

ექიმი დაკვირვებით დააცქერდა ავადმყოფს და ღიმილით უთხრა დედას:

- ეხლა კი შიში აღარაფრისაა. როგორა ბძანდებით, ჩემო პატარავ?

სესილმა სთხოვა დედას, ფარდა ასწიეთო და მინამ დედა ამას იქმოდა, სესილმა წასჩურჩულა ექიმს:

- დედაჩემი დაითხოვეთ, მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ექიმს ცოტად ეოცა, მაგრამ მაინც მიუბრუნდა ადელს და უთხრა ღიმილით:

- უკაცრაოდ კი ვარ და გთხოვთ, ერთს წუთს მარტოდ გვამყოფთ მე და თქვენი ქალი. მე მინდა ზოგიერთი რამ გამოვკითხო და იქნება თქვენთან ითაკილოს პასუხის მოცემა.

ამ სიტყვებმა გააოცეს ადელი. მაგრამ სხვა გზა არ იყო, ექიმს ყველა უნდა

ემორჩილებოდეს. ამასთანავე ხნიერობა და აბრუ ექიმისა იმისთანა იყო, რომ ამაზედ ექვს არავინ აიღებდა. ადელი გავიდა, თუმცა გულნაკლულად კი.

- ექიმსაც ისე უნდა გაგენდოთ ხოლმე, როგორც სულიერს მამას, - უთხრა სესილმა თვალში ცრემლებმორეულმა, - ექიმს ყველაფერი უნდა უთხრას კაცმა და ექიმმაც თავის დღეში არ უნდა გასცეს ავადმყოფის ხვაშიადი.

- ეგ პირველი მოვალეობაა ჩვენი.

- მე მინდა მძიმე ხვაშიადი განგიცხადოთ, მაგრამ ვერ გამიბედნია.

- ნუ შიშობთ, შვილო ჩემო. უსათუოდ რჩევას რასმეს მეკითხებით.

- არა, მე მსურს გაგენდოთ. მე აქამომდე არავის რას ვეუბნებოდი, თქვენც კი გიმაღავდით და ზოგიერთს საგანზე პასუხს არ გაძლევდით. თქვენ მგონია მიმიხვდით კიდევ: ჯერ მინამ წყალში ჩავვარდებოდი, მე თავი მოვიწამლე.

- საწყალო ქალო! თქვენ დიდი უბედურება უნდა გწვევოდათ, რომ ეგ მოახდინეთ.

- მე ყველაფერს გეტყვით.

- მე ყურს გიგდებთ, - უთხრა ექიმმა და დააცქერდა ავადმყოფს გულალეღვებულს.

სესილმა დაწვრილებით უამბო ყოველივე გარემოება თვისის ორგზით თავის-კვლისა.

ექიმმა დაჰყო სესილთან სულ ერთი რუპი საათისა. გამოვიდა სესილის ოთახიდან თუ არა, ადელი წინ დახვდა შიშითა და თრთოლით. საწყალოს დედას უნდოდა ექიმის სახეზედ წაეკითხნა ვითარება თავისის ქალის მდგომარეობისა, მაგრამ ექიმის სახე არას ამბობდა.

- თქვენი ქალი, ჩემო ბატონო, - უთხრა ექიმმა, - სრულებით გამობრუნდა და ეხლა მალე მორჩება, მაგრამ საწყალი ისე ძლიერ იტანჯა, რომ საჭიროა მისთვის მთელი თქვენი სათუთი მზრუნველობა და სიყვარული. ეხლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ კარგად მოუაროთ და ყოველივე ნება აღუსრულოთ. მეც ხანდისხან შემოვივლი და ვინახულებ.

- მაშ მორჩა, მორჩა და შიში აღარაფრისა არის?

- სრულებით, ხოლო ძალიან კი უნდა გაუფრთხილდეთ.

გაოცებული ექიმის საიდუმლო სიტყვებითა, ადელი შევიდა თავის ქალის ოთახში. სესილი იწვა, კედლისაკენ ჰქონდა პირი და თითქო ტიროდა.

- სესილ, შვილო, რა დაგმართვია? - ჰკითხა დედამ, რა გადიხარა და დაჰხედა შვილსა, - ექიმმა ხომ არ შეგაწუხა?

- არა, დედი... მე დავიღალე, დავსუსტდი... და ძილი მინდა.

ტიუსსოს ცოლს მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა დაეჯერებინა ეს უჯერო პასუხი თავის ქალისა. ნელა წამოდგა და ფეხის თითებზედ ჩუმად გამოვიდა ოთახიდან, ძირს რომ ჩამოვიდა, დაჯდა და ფიქრს მისცა თავი. თუმცა გულდამშვიდებული იყო ქალის კარგა მყოფობაზედ, მაგრამ აზრით ხელმეორედ გამოიარა ის საშინელი ყოფა, რომელმაც ასე მოულოდნელად არია იმათი მშვიდობიანის ცხოვრების მდინარეობა. ამ საშინელის ტრადედიის მიზეზზედ რომ ჩაფიქრდა, მწუხარედ ჩაჰკვიდა თავი, სისხლი მოერია თვალეებში და წაიდუღუნა: "ოხ, რარიგად მეზიზღება მე ის ეხლა. მე

უბრალო ვარ, უბრალო, მე მხოლოდ უბედური მსხვერპლი ვიყავ!"

ადელ ტიუსსო ამ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი დედაკაცი იყო. იგი გათხოვდა თექვსმეტის წლისა და სწორედ ათის თვის შემდეგ ქალის დედა შეიქმნა. იმ უბედურს დღეს, რომელიც დანიშნული იყო სესილის ჯვარის დასაწერად, სესილი ჩვიდმეტის წლისა შეიქმნა, ასე რომ ეხლა ტიუსსოს ცოლი ოცდათოთხმეტის წლისა იყო და თვალად კი უფრო ნაკლებიცა. მშვენიერი თვალადი, შუათანა ტანისა, ლამაზად მოყვანილი, ტანწვრილი, უხვი გულ-მკერდი, თეთრი როგორც უმტვერო თოვლი, ლამაზი ფერი სახისა - ყოველ ამით შემკული ადელი ლამაზ ქალებში ითვლებოდა. სწორედ და წმინდა ცხვირი, პატარა და ადვილად მოძრავი ნესტოები, მადიანი ბაგენი ცოტად მომსხო ტუჩებითა, რომელნიცა ნახევრად ფარავდნენ თეთრს კბილებს, ცოცხალი და მკვირცხლი თვალები, ლამაზის წამწამით და წარბებით მორთულნი, პატარა მჭვირვალე ალისფერი ყურები, უხვი წაბლისფერი თმა და სწორედ მოყვანილი სახე - ყველა ეს მის სილამაზეს აძლევდა კეთილს, მხიარულს და მარილიას სანახაობას. ტყუილად კი არ ეძახოდნენ იმ უბანში "ლამაზი ტიუსსო". ამ წამს ფანჯრის წინ დაფიქრებით მჯდომარე ადელი, ჩამავალის მზის შუქით ზედ მოფენილი, აღტაცებაში მოიყვანდა ყოველს მხატვარსა.

- ადელ, ადელ, ჩემს ქალს შეატყობინე, რომ გუდარი მომყავს იმის სანახავად, - უეცრად მოესმა ხმამაღლივ ძახილი ქმრისა.

საწყალი დედაკაცი გამოფხიზლდა ფიქრებიდამ ისეთის თრთოლით, თითქო კანკალი მოუვიდაო.

- სძინავს, - უპასუხა გაჯავრებით ადელმა.

- რა ვუყოთ, რომ სძინავს! ძილის მეტი რა საქმე აქვს?! გააღვიძე, არა უშავს რა! თითონვე მოინდომა გუდარის ნახვა.

სხვა გზა არ იყო, ადელი დაემორჩილა და ავიდა ზევით ქალის ოთახში. სესილს არ ეძინა, გაეგო მამის ლაპარაკი და უთხრა დედას ისეთის უცნაურის ხმით, რომ დედა გაოცდა:

- უბრძანეთ, ამოვიდნენ.

ერთს წუთსაც არ გაუვლია, რომ გუდარი მის საწოლთან გამოცხადდა. სესილმა ხელი გამოუწოდა. გუდარი შეკრთა; ახალგაზრდა ქალის ხელი ისეთი იყო, როგორც ყინული.

ტიუსსო და ცოლი უყურებდნენ ამ ამბავს სხვადასხვა თვალითა. კლოდს უხაროდა, ადელმა კი წარბი შეიკრა.

- აბა, სესილ, ეხლა ხომ უკედა ხარ, - უთხრა გუდარმა, რომელიც ყმაწვილობითვე იცნობდა და ყოველთვის "შენობით" ელაპარაკებოდა.

- დიად, მადლობა ღმერთს, ეხლა ყველა გათავებულია... მე მიწოდდა მადლობა გადამეხადა თქვენთვის, რომ მოდიოდით და მკითხულობდით.

- არა ღირს მადლობად.

ყველანი ჩაჩუმდნენ.

- მე შემცდარი ვიყავ, - სთქვა სესილმა ბოლოს ძალდატანებით, - და ძალიან ვწუხვარ ყოველს მასზედ, რაც მოხდა. თქვენ ხომ ჩემზედ არა

ჰჯავრობთ, ანდრე?

- ოჰ, ჩემო კარგო პაწიავე, განა შეიძლება შენზედ გაჯავრდეს ვინმე, შენ იმოდენა ტანჯვა გამოიარე, - უპასუხა გოცებულმა გუდარმა.

- ამ ორმა თვემ გონებაში ჩამაგდო მე, ანდრე! მე ბევრი მიფიქრია და ძალიან ვნანობ, რომ ყველა ჩემს მოსიყვარულეს მწუხარება მივაყენე. მე ისე მოვიქეცი, როგორც უგუნური ბაშვი. ჩემი დედ-მამა მართალნი იყვნენ...

სესილი წყვეტით ჰლაპარაკობდა და ეტყობოდა, რომ ლაპარაკი უმძიმს. ხოლო მისნი მსმენელნი ისე გოცებულნი იყვნენ მის სიტყვებზედ, რომ ვერა შენიშნეს რა. ადელი, წრეს გასული გოცებისაგან, გონებადაბნეულსავით შეჰყურებდა თავის ქალოს, თითქო არაფერი არა ესმის რაო.

- ეჰ, სესილი, - უპასუხა გუდარმა, - შენ რომ არ დაგეწყო, მე არას გეტყოდი. ეხლა კი უნდა გითხრა, რომ შენ მე დიდი უბედურება მომაყენე. მაგრამ მე ამისათვის შენ არ გამიკიცხვიხარ, მე ვიცოდი, რა გრძნობის გამოც შენ მე ეგრე მომიქეცი.

სესილმა ისე შეჰხედა, თითქო ჰკითხავსო, - "რა გრძნობის გამოც", და გუდარმა დაუმატა:

- დიად, შენ სხვა გიყვარდა და მე ნება არა მაქვს ამისათვის დაგემდურო. მე ვიცი, რარიგადაც ეწამება ხოლმე ადამიანი სიყვარულისაგან; შენ მე მიყვარხარ და მე კი შენ არ გიყვარვარ.

- ანდრე, მე შენდობას გთხოვთ ყოველს მასზე, რაც მოჰხდა, რაც სირცხვილი მე მოგაყენეთ, და მზადა ვარ ყოველივე ეს გამოვისყიდო, თუ კიდევ მრაცხთ მე თქვენდა საკადრის საცოლოდ.

გუდარმა გოცებით ყურება დაუწყო. კლოდს კი უხაროდა.

- რაო, ეგ რა სთქვი, სესილი? - წამოიძახა ადელმა.

ქმარმა მრისხანედ დაუყვირა.

- ადელ, საცა შენი საქმე არ არის, ნუ გაერევი ხოლმე. დააცა მოილაპარაკონ.

გუდარი უფრო ახლო მივიდა სესილის საწოლთან, უნდოდა დაფარული აზრები მის თვალებში ამოეკითხნა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა თავი ჩაღუნა.

- სესილი, მე ვერ გამიბედნია დავიჯერო ის, რაც შენ მითხარო. მე რა უნდა შეგინდო შენ? მე თვითონ, ჩემდა უნებურად, გავხდი ყოველისფრის მიზეზად. რაც შეეხება სირცხვილს, დეე სხვამ რაც უნდა იყბედოს, მე სხვისი ლაპარაკი ჩალადაც არ მიმაჩნია.

გუდარს ეჩვენა, ვითომც სესილმა ჩუმიად ჩაიჩურჩულა: "ჰო, ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი". მაგრამ, რასაკვირველია, გუდარი ამაში შემცდარი იყო, სესილი ამას ვერ იტყოდა, - და გუდარმა განაგრძო.

- სესილი, მე შენ მიყვარხარ და, თუ შენ უწინდელზედ უფრო გონიერი შეიქმენ, გაიგე ჩემი სიყვარული და გინდა შენს უწინდელს უგუნურს ქცევას ყოველივე კვალი წაუშალო... მე ხელახლად ვითხოვ შენს ხელსა. რაც მოჰხდა, მოჰხდა... ეხლა აღარავინ არის იმისთანა, რომ შენ გიყვარდეს და მე ეჭვი ვიქონი.

ახალგაზრდა ქალის სახე კანკალით შეიკუმშა.

- შენ ისევ ის ღირსეული და მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ხარ, რაც იყავი, - უთხრა გუდარმა, - გასურს თუ არა ჩემი ცოლობა?

სესილმა თავისი ხელი გაუწოდა გუდარს, ამოიკვნესა მძიმედ და უთხრა:

- მსურს.

- მადლობა ღმერთს! აი ეხლა დაამტკიცა, რომ ჩემი ქალია! - დაიძახა ტიუსსომ, მივარდა სესილს და კოცნა დაუწყო, - შენ სწორედ ჩემი ხასიათი გამოგყვა. მიჰხვდი თუ არა, რომ დამნაშავე ხარ, მაშინვე პირდაპირ, გულახდილად აღიარე; ტყუილ მორცხვობას არ აჰყევ და შენი დანაშაული შენვე გამოისყიდე. ბარაქალა, სესილ, ეგრე უნდა მოიქცეს ხოლმე კაცი.

გუდარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დაეცა მუხლზე და კოცნა დაუწყო სესილის ხელს. მარტო ადელს ჩაეჭიდა მაგრა ხელი ტახტისათვის, რომ თავზარდაცემულს ბრაგვანი არ მოელო იატაკზედ. ბოლოს ღონე მოიკრიბა და მტკივნეულობის კვნესით დაიძახა:

- არ იქნება, არა!

- ეხლა წაბმანდით, - უთხრა სესილმა მამასა და გუდარს, - მე ვთქვი "მსურს" მეთქი და საქმე გათავებულია. მე მინა დედაჩემთან მარტო დავრჩე!

ისინი დაემორჩილნენ. გუდარმა გამარჯვებულის თვალთ შეჰხედა ადელს, ადელმა თამამად გაუსწორა თვალი და თავის მტანჯველს შეჰხედა მუქართა და რისხვითა. როცა მარტო დარჩა თავის ქალთან, ადელი დაეცა ქალის წინ მუხლებზე და ცრემლით შესტირა:

- სესილ, სესილ, შვილო ჩემო, ნუ, ნუ შეირთავ მაგ კაცსა!

- ნუ სტირი, დედი! ეგ გათავებულია. მე მაგ კაცს შევირთავ.

- მე არ მინდა ეგ მოხდეს... გესმის?.. არ მინდა-მეთქი. ეგ შეუძლებელია!

სესილი გადებვია დედას ტირილითა და ნებიერად უთხრა:

- ვაი, საწყალო დედავ!

ადელს ისე გაუკვირდა ეს ალერსიანი ხმა ქალისა, ქალის ტირილმა ისე ატკინა გული, რომ გამტერებით ყურება დაუწყო.

- არა, სესილ, - უთხრა ქალს ვედრების ხმითა, - შენ ის კაცი არ უნდა შეირთო, არ შეიძლება, რომ შენ მისი ცოლი იყო. ღმერთი, შენი მკვდრეთით აღმადგენელი, არ ინებებს მაგ ქორწინებას, რომელიც სიკვდილზედ უარესია. ნუ, ნუ, გვედრები მუხლმოდრეკილი, ნუ იქმ მაგასა! უარჰყავ ეგ საზარელი ფიქრი. ნუთუ დედაშენი აღარ გიყვარს?

- დედი, ადეგ! ჩემი გადაწყვეტილება შეურყეველია.

- არა, არ იქნება, არ უნდა იქმნას, ვერც იქმნება, ვერც!

უეცრად გული მოეცა და გმირის თამამობით საწყალმა დედაკაცმა დაიძახა:

მაგაზედ არის დამოკიდებული შენი სიცოცხლე! რაც გინდა იფიქრე ჩემზედ, მე კი ყველაფერს გეტყვი! სესილ, ეგ შენი ქმარი ვერ იქნება, იმიტომ რომ იყო ჩემი...

ამ სიტყვებზედ სესილი გადმოჰხტა ქვეშაგებიდან, გადებვია დედას და პირზედ ხელში მიაფარა.

- ნუ, ნუ იტყვი... მე თვითონ ვიცი, - ძლივს წარმოსთქვა სესილმა.

- შენ იცი?! - სთქვა გაფითრებულმა ადელმა და თვალები გიჟსავით აერია.

- ვიცი.

ადელი სელზედ დაეცა, რომელიც იქვე ქვეშაგებთან იდგა და ჩაღუნა რა თავი სირცხვილის გამო, თავის თავს უთხრა:

- ამას სცოდნია!.. ჩანს ყველას შეუტყვია.

სესილი ისევ ქვეშაგებზედ ავიდა, მაგრამ მაინც გაიწოდა ხელი და დედას მოჰხდა. საწყალმა დედაკაცმა ქალს ხელზედ კოცნა დაუწყო, სირცხვილით თავი მაღლა ველარ აიღო და უთხრა:

- მე ვარ უღირსი, საზიზღარი, ნამუსწამხდარი დედაკაცი! მაგრამ უნდა კი შემებრალო მე უბედური.

- არა, არა, დედილო, - დაიძახა სესილმა, - განა არ ვიცი, რომ შენ მსხვერპლი იყავ, მსხვერპლი! მე ეგ ამბავი ვიცი. მე ერთხელ კაბას ვეძებდი შენს საწოლს იქიდან ოთახში და ყური მოვკარ, რასაც გუდარი გელაპარაკებოდა. მე მივხვდი, რომ შენ დამონებული ხარ და, გინდა თუ არა, უნდა მის ნებაზედ გეარნა, თორემ თავზედ ლაფს დაგასხამდა და ქმარსაც დაგიღუპავდა. მე მივხვდი, ვაი, ძვირფასო დედი-ჯან, რომ ძალად დაგინებია, რომ შენ გაგაუბედურა, უბედური ხარ, დედი-ჯან. მაგრამ შენ იმავ კარგ დედაკაცად დარჩი, როგორც უწინ იყავ, ის კი უნამუსო კაცია და გულფლიდი.

- ვაი, საწყალო შვილო, და შენ მაინც იმ ავაზაკის შერთვა გინდა?

- დიად, დედი... იქნება იმისთვისაც, რომ შენი ჯავრი ამოვიყარო.

- ნუ, ნუ... მე არ მინდა ეგ ჯავრის ამოყრა. მე ჩემი თავი შენის ბედნიერების მსხვერპლად დამიდვია. მე არ მინდა, რომ შენ ტანჯულ იქმნე ჩემის უნამუსობის გამო.

- უნამუსობისა კი არა, დედავ, უბედურებისა...

- ქვეყანა უნამუსობას ეძახის. არა, არა, - გაიგე, რომ მე არ მინდა, რომ შენ ცოლად გაუხდე ჩემს დამღუპველს. არ უნდა შეირთო, არა!

- საჭიროა.

- რა მიზეზით?

- რა მიზეზითა? ყური მომიგდე, დედი-ჯან! მე შემემლო ეხლავე უარი მეთქვა ანდრესათვის და საქმე ამით გათავდებოდა.

- მე მაგის იმედი მქონდა.

- მაშინ სრულებით ჩვენზედ ხელს აიღებდა. მე ვწერ ხოლმე ჩვენი ქარხანის ანგარიშების წიგნებსა და ვიცი, რა მდგომარეობაშია არის საქმეები. ჩემი უარის თქმა მამაჩემს გააკუტრებდა, გააგლახავებდა და შენც სახელს გაგიტეხდა. განა ვერ გავიგე, რომ დაგემუქრა შენ, წავალ და ქვეყანას შევატყობინებო მე და შენს ამბავსაო.

ადელმა ხელი აიფარა სახეზედ და სლოკინით მოჰყვა ტირილს.

- ნუ სტირი, დედი, შენს გულისწვას მიზეზი აღარა აქვს. მე ვიცოდი, რომ ჩემი სიკვდილი თქვენ ყველას გამოგიხსნიდათ ამ ჯოჯოხეთიდან, რადგანაც გუდარი იგრძნობდა, რომ თვითონ არის ჩემის სიკვდილის უნებური მიზეზი და ვერ გაბედავდა თქვენზედ ხელის აღებას, ქვეყანა ყბად ამიღებსო. მე მიყვარდა მორისი, მე ყველაფერი ვაცნობე მორისს და ერთად გადავწყვიტეთ,

რომ, თუ კაცთა წინაშე ჩვენი ცოლქმრობა შეუძლებელია, ღვთისა წინაშე მაინც ცოლ-ქმარნი ვიქნებით მეთქი.

ადელმა თავი მაღლა აიღო და გულმოდგინებით ყურს უგდებდა თავის ქალს. უკვირდა - როგორ თუ სესილმა, რომელმაც ბაშვად ჰრაცხდა, ეს ამისთანა საზარელი და საშინელი საქმე განიზრახა და აღასრულაო.

- მე შინიდან წავედი, დილით კი არა, როგორც თქვენა გგონიათ, არამედ წინადღეს საღამოს. რომ გამოგეთხოვეთ, დავწერე ბარათი, რომელიც მაგიდაზედ გეპოვნათ და გავწიე ბასტილიის მოედნისკენ, საცა მორისი მულოდდა. წამიყვანა თავის სახლში, საცა ყველაფერი მოემზადებინა. ჩვენ ორივემ საწამლავი დავლიეთ, ეს ბეჭედი გამიკეთა თითზედ და ჩვენ...

- რაო? რას ამბობ, რას, სესილ? - დაიძახა გონებადაკარგულმა დედამ.

- გათენებისას გამომეღვიძა... მორისი გვერდით მეწვა მკვდარი... მე იმის შემდეგ აღარ მიხდოდა მეცოცხლნა... მე შემოვიკრიბე უკანასკნელი ღონე და წყლისაკენ გავიქეც... სხვა ხომ შენ თვითონ იცი.

- ვაიმე, ვაიმე! - დაიკვილა საწყალმა დედაკაცმა.

უბედურმა დედამ არ იცოდა, რა ეთქვა და პირლია, გამშრალი შეჰყურებდა სესილსა.

- დედი, მე ვიყავ ცოლი მორის ფრანისა, ეხლა იმისი ქვრივი ვარ და... იმისის შვილის დედაც ვიქნები.

- რაო? შენ..

- აი ეხლახან ექიმს ყოველისფერში გულახდილად გამოვუტყედი. ეს გულის ზიდილი რომ მომდის, ორსულობის დასაწყისია, შენ კი გეგონა, რომ მოწამლულობის გამო მომდის.

- ვაი, საბრალო შვილო, რაღა უნდა ვქმნათ! - დაიძახა დედამ სასოებადაკარგულმა.

- მე აკი გითხარ, დედი... გუდარი უნდა შევიერთო-მეთქი, - წარმოსთქვა სესილმა გაბოროტებულის ღიმილითა, - ჩემს შვილს მამა უნდა... მეც მორისის სისხლი უნდა ავიღო... გუდარია მისი სიკვდილის მიზეზი. ეხლა ხომ ჰხედავ, - დაუმატა სესილმა გულწრფელის აღსარებით გულდამშვიდებულმა, - ხომ ჰხედავ, რომ აუცილებლად საჭიროა გუდარი შევიერთო. დეე, შვილი მაინც გაზარდოს, რაკი მამა მოკლა.

- შენ თვითონ მოგივიდა ფიქრად ეგ საშინელი ფიქრი? სესილ, შენი განზრახვა თავზარსა მცემს!

- შენ ნახავ, დედი, რარიგად უწყალოდ გადავახდევინებ მაგ კაცს... შენ ჯერ ყველაფერი არ იცი... ეხლა ღონემ მიკლო და დავსუსტდი... ცოტას ხანს ნება მომეც თავი ძილს მივცე... გვიანიც არის. წადი და მამაჩემი გაახარე, რომ შენც თანახმა ხარ ჩვენს ჯვარისწერაზედ. მშვიდობით, დედი.

სესილმა ეს უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოსთქვა, როგორც ბაშვმა და ალერსით აკოცა დედას. ადელი გამოვიდა ოთახიდან თავზარდაცემული და როგორც მთვრალი ბარბაცებდა კედელ-კედელ მიმავალი.

იმ დროს, როცა სასადილო ოთახში შევიდა, მისი ქმარი და გუდარი არაყსა ჰსვამდნენ.

- ეხლაც აუხირდები შენის შვილის სურვილსა? - მკვახედ ჰკითხა ქმარმა.

გუდარმა თვალები შეაფეთა, ვნახოთ, რას იტყვისო. ადელმა ღიმილით შემოჰხედა.

- აღარა, პირიქით, მეც თანახმა ვარ, - უპასუხა, - ეხლა კარგა დალაგებით მოვილაპარაკეთ და ვხედავ, რომ ჩემი სესილი სწორეს ამბობს. ეხლა იმის გათხოვება თავის დადება აღარ არის. რაც მოჰხდა, მას შემდეგ უნდა მალე გათხოვდეს და მეც სრულებით ამისი თანახმა ვარ.

გუდარს ვერ იამა ვერც ეს სიტყვა ადელისა და ვერც კილო.

- ძლივს! - დაიძახა მხიარულად ტიუსსომ, - მაშ, ჩემო სიძევ, შენი სადღეგრძელო იყოს!

IX

გუდარს თავის ბედნიერება აშინებს

ხმა რომ გავარდა, სესილი ტიუსსოს ქალი ისევ გუდარს ირთავსო, ყველა გაოცდა და გასაოცარიც იყო იმის შემდეგ, რაც მოჰხდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ სესილმა თავის მოკვლა განზრახ მოიგონა მარტო იმისათვისა, რომ თავის ძველი არშიყი თავიდან როგორმე მოემორებინაო, - და თვითონ გუდარზედაც ეჭვი აიღეს, ვითომ ეგ მეორე საყვარელი იყო სესილისა და ეგეც ერია სესილისაგან ნათამაშებ კომედიამიო. ყველა კუზიანი, ელამი, კოჭლი და მახინჯი შთამომავალი ევასი, ამაოდ საქმროს მონატრენი, ლუკმა-ლუკმა სწეწდნენ ლამაზს საცოლეს - სესილს. მაგრამ მართალი კი არ იცოდნენ. ნეტა რას იტყოდნენ, რომ ნამდვილი მიზეზი სცოდნოდათ?

ტიუსსოს სახლმა ისევ სადღესასწაულო სანახაობა მიიღო. დილიდამ საღამომდე ერთს დიდს სამზადისში და ფაციფუცში იყვნენ.

- ეხლა მე გულდადინჯებული ვარ, - ამბობდა ტიუსსო, - მე დარწმუნებული ვარ ჩემს ქალზედ. რკინასავით მაგარი გული აქვს, დიდხანს იცის მოფიქრება და, თუ ერთხელ დააპირა რამ, დარწმუნებული იყავით, რომ აასრულებს კიდეც.

სესილი კი საოცრად გამოიცვალა. მისი სახე ყოველთვის დაღვრემილი იყო, მაგრამ ხანდისხან ისეთი უცნაური უმიზეზო სიცილი და ხარხარი აუტყდებოდა, რომ კაცს ტანში ჟრჟოლას მოჰგვრიდა. კაცი იტყოდა: ეს რა ემართებაო. მარტო დედამ იცოდა ნამდვილი მიზეზი ამ ძალად მოყვანილის სიცილისა და მხიარულებისა, რომელთაც მოჰყვებოდნენ ხოლმე სევდიანი დღეები და უძილო ღამეები. ძალიან წუხდა საწყალი დედა თავის ქალის თაობაზე და მეზობლები კი ამ მწუხარებას იმას აწერდნენ, - ჰმურსო, რომ სესილი საყვარელს ართმევსო.

გუდარიც კი ფიქრში ჩააგდო ამ უმიზეზო სიცილმა და მხიარულებამ, მაგრამ სხვაფრივ კი, და მოაგონდა გულის კდომით ის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც სესილმა პირველ ქორწილის წინად უთხრა: “მე თქვენ

გითხარით, ბატონო ანდრე, რომ მე ჩემის დედ-მამის მორჩილი ვარ და ეხლა მეც ისე მოვიქცევი, რასაც ისინი ჩემს საკეთილოდ მოინდომებენ. თქვენ იცით, რაგვარი გრძნობაც მიმიძღვის მე თქვენდამი, მაგრამ არ სდომობთ ამას ყური ათხოვოთ. ძალიან კარგი, ხოლო თქვენ იქნებით პასუხისმგებელი ყოველს იმაში, რაც შესაძლოა, რომ მოჰხდეს". მაშინ გუდარმა ქვემ-ქვემად ჩაიცინა, მხრები აიწია და თვალები ბოროტებით გაბრწყინდნენ, ეხლა კი ეს სიტყვები არ ასვენებდნენ. მართლა რომ სესილი ბედისაგან გაწბილებული მირთავდეს მეო, - ამბობდა გულში გუდარი, - მართო იმის ძალით მირთავდეს, რომ არ უნდა დედ-მამას ეურჩოს და ამასთან იმ განზრახვითაც, რომ შეასრულოს მუქარა, რომელიც მთლად გამოსთქვა ამ სიტყვებით: "თქვენ იქნებით პასუხისმგებელი ყოველისფერში, რაც შესაძლოა, რომ მოჰხდესო", მაშინ რა მომელისო. ეს ფიქრი ასე აწუხებდა, რომ განიზრახა წინაღობითვე რიგიანად მოელაპარაკოს სესილსა.

მეორე ქორწილის წინა დღეს სესილი ფანჯარასთან იჯდა. მამამისი ქარგლებს ისტუმრებდა, დედა კიდევ კაბას იმზადებდა ხვალინდელის დღისათვის. გუდარი გულამღვრეული და ძალი ან შეწუხებული მიუჯდა თავის საცოლოს გვერდით. ქალი შეჰკრთა, მაგრამ საქმრომ ვერ დაინახა ეს შეკრთომა. გუდარს როგორღაც ვერ ეხერხებოდა, არ იცოდა საიდან დაეწყო.

- ხვალ... ძლივს გათავდება ყველაფერი, სესილ! - სთქვა მან ძალდატანებით, - რომ იცოდე, რარიგად მინდა, რომ ხვალინდელმა დღემ მალე გაიაროს...

- რადა? - იკითხა სესილმა გულდინჯად და არც კი აიღო მაღლა თავი.

- მე ისეთი მწუხარება გამოვიარე ამ ორის თვის წინად... რომ მე კიდევ ვშიშობ.

- რადა, ბატონო გუდარ, მე ეხლა სიტყვა მომიცია, მაშინ კი უარზედ ვიყავ.

- მართალია, მეც ვიცი, რომ შენ შენის სიტყვის ქალი ხარ. აი სწორედ მაგიტომაც მინდა ერთი რიგიანად მოგელაპარაკო.

სესილმა თავი მაღლა აიღო და მისი ცივი თვალი ზედ დაამტერდა გუდარს.

- ბმანეთ, მე ყურს გიგდებთ.

- ჯერ პირველში ისე სასტიკად მომექეცი მე, რომ ეხლა არ შეიძლება არ ვიკითხო: იქნება სხვის ნებას ემორჩილები, რომ დღეს ნებულობ იმის ქმნას, რასაც უწინ ისე გულგახეთქებით ერიდებოდით?

- დიაღ, მე ვემორჩილები ნებას...

- რაო?

- მე ვემორჩილები ნებას სხვისას კი არა, ჩემსას. მე ეს გითხარით მაშინ, როცა თქვენთან ბოდიში მოვითხოვე.

- მაშ შენ არავინ ძალას არ გატანს ჩემის შერთვისას?

- არავინ, ჩემის გონების მეტი.

- ოჰ, ღმერთო! ჩემო კარგო სესილ, - უთხრა გუდარმა და გადიწოდა, რომ ხელზე ხელი წაავლოს, მაგრამ ქალმა თითქო ეს მოძრაობა არ დაინახაო,

ხელსაქმეს მოჰკიდა ხელი. - მე ვიცი. რომ არ გიყვარვარ. მაგრამ შენ ხანში ქალმა არ იცის ჯერ, რა არის სიყვარული. შენ თვითონ ბოლოს სიცილადაც არ გეყოფა შენი ყმაწვილური სიყვარული.

- ნუთუ?

- სწორედ. ეგ სიყვარული არ არის.

გუდარი ჰგრძნობდა, რომ სულელობას ჰლაპარაკობს, მაგრამ ვერ მიაღწია იმ საგნებამდე, რომელნიც ძილს უფრთხობდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა და, რასაკვირველია, სესილს სურვილიც არა ჰქონდა თვითონ დაერღვია ეს სიჩუმე, გუმანი კი მიტანილი ჰქონდა, რომ გუდარს გულზე რაღაც ლოდი აწევს, მაგრამ ლაპარაკი ვერ მოუხერხებია.

- მაშ შენ შენის სურვილით ირთავ ეხლა ქმარს?

- სწორედ.

- არ ჰნანობ მაგას?

- არა. ნეტა რაღა მკითხავთ მაგაებს?

- მადა, რომ ვშიშობ.

- რისა გეშინიათ?

- შენ ძალიან გამოიცვალე ამ ბოლოს დროს. შენ ყოველთვის პირდაღვრემილი დადიხარ, მაგრამ ერთ უბრალო მიზეზედ უცბად ასეთს ხარხარს მოჰყვები ხოლმე, რომ არ იცის კაცმა, რა იფიქროს.

- მართალია, თქვენ სწორეს ამბობთ, ხოლო ეგ სნეულების შემდეგ დამჩემდა. მაგრამ ნუ შიშობთ, ანდრე, ხვალ ისეთ მხიარულად ვიქნები, ისე გულწრფელობით მხიარულად, რომ მეტი აღარ იქნება.

- მე თქვენ მიყვარხართ, სესილ, და მეშინია, რომ თქვენ...

- მე გეუბნებით, ანდრე, - უთხრა ახალგაზრდა ქალმა რაღაც უცნაურის ღიმილითა, - რომ ხვალ მე ძალიან მხიარულად ვიქნები, ძალიან ბედნიერი. ხვალ მე იმას მოვიმოქმედებ, რაც მსურს, გესმით თუ არა, - რაც მე მსურს.

გუდარმა თვალი დააცქერა, ჰსურდა გაეგო როგორმე ამ სიტყვებს ხომ სხვა საიდუმლო აზრი არა აქვთ რაო. ქალმა გულდინჯად, ღიმილით გაუსწორა თვალი გუდარს და გუდარი კი ფეხზედ წამოვარდა გაფითრებული.

- ნეტა რას ჰნიშნავს ყოველი ეს? - წაიდუღუნა თავისთავად.

მაგრამ მალე კი დამშვიდდა. "რა უნდა მაშინებდეს, - სთქვა გულში გუდარმა, - სესილი პატიოსანი ქალია, არაფერს საძაგლობას არ იკადრებსო. თუ ყმაწვილურის სიყვარულის გამო თავი ვერ დაიჭირა და მეტად შორს წავიდა, იმ უბედურებამ, რაც გადაჰხდა. ხომ გამოაფხიზლა და ეხლა უფრო მოტკბილდა და გონებაში ჩავარდაო". თუმცა სესილის ცვლილებას ამრიგად ჰხსნიდა გუდარი, მაგრამ ადელის საქციელი კი ვერასგზით ვერ აეხსნა. თუმცა ისიც ამ ბოლო დროს სრულებით გამოიცვალა. გუდარს ახსოვდა მისი ახირებული წინააღმდეგობა, ის საშინელი ამბავი, რომელიც მოჰხდა მათ შორის სესილის დაკარგვის დღესა და უკვირდა, ეხლა რად გახდა თანახმა ჩემს ქორწინებაზედაო. მაინც და მაინც ამით ინუგეშა თავი, რომ იქნება სესილის შეურყეველ ნებამ დაიმორჩილა დედაო. მაგრამ მაინც კიდევ ეოცებოდა და აშინებდა, რომ ყოველისფერი აგრე კარგად, დაეწყო. ეს ცუდი

ნიშანიაო, ჰფიქრობდა.

მეორე დღეს სენ-ფრანსუას ქუჩა ჰედით იყო გატენილი ხალხითა, რომელიც ტიუსსოს სახლის კარებთან ირეოდა ბუზივითა. ყველა ჰნატრულობდა დაენახა, როგორ წავიდოდა ჯვარის საწერად "ახალგაზრდა ქალი, რომელიც წყალში თავს ირჩობდა". ხალხში ასეთ ჰორებს ჰლაყობდნენ, რომ კაცს ჯვარისწერა კი არა, თვითონ ამაზე ფიქრიც გულს გაუსიებდა. სტუმრები მრავალნი იყვნენ. მშობლებს უნდოდათ, რაც შეიძლება ჩუმი ქორწილი გადაეხადათ მას შემდეგ, რაც მოჰხდა, მაგრამ წამდაუწუმ სამდურავს უთვლიდნენ და ისე მოჰხდა, რომ მოიწვიეს არამც თუ მარტო ნათესავნი და მახლობელნი, არამედ ყველა ნაცნობიცა.

- ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ აგრე სიყვარულსა ვხედავ ყველასაგან ჩვენდამი, - სთქვა ტიუსსომ, - გარდა ამისა, რაკი ხალხში ხარ, ხალხს უნდა პატივით მოექცე.

ნამდვილად კი ყველას ის ფიქრი ჰქონდა, რომ ეს უცნაური ქორწილი ისე არ გათავდებო, რომ ერთი რამ ამბავი არ მოჰხდესო. ამიტომაც ყველას უნდოდა ქორწილს დასწრებოდა.

როცა, დასასრულ, მეჯვარემ ეტლი მოითხოვა და პატარძალი უნდა ჩაესვა, ხალხში ერთი არეულობა მოჰხდა. ყველამ წინ წამოიწია. კისრები წამოიწვდინეს, თვალები გააფაციცეს. სესილი კარებში გამოჩნდა, კდემით თვალეზ-ძირდაშვებული, თეთრ საქორწილო კაბაში იგი იყო საოცრად მშვენიერი.

- უჰ! რა ლამაზია! - გაისმა ხმა ხალხში.

სესილი მოხდენით ჩაჯდა ეტლში. იგი თითქო არასა ხედავსო, თითქო არაფერი ესმისო, თითქო სიზმარშიაო და იყო მარტოდმარტო იმოდენა ხალხში. მისთვის არარა და არავინ არ არსებობდა. საწყალი ჯვარს იწერდა მომავალს საქმროზედ კი არა, არამედ იმაზე, რომელიც მას წარმოდგენილი ჰყვანდა ოცნებითა.

გუდარის დანახვაზედაც ერთი დიდი ხმაურობა ასტყდა დედაკაცებს შორის და ამასთან ზოგიერთნი განზრახ ხმას იმაღლებდნენ, რომ აგებ ჩვენც ყურადღება მოგვაქციონო.

ბოლოს საქორწილო გუნდი დაიძრა მერთან. ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, საქმრომ და პატარძალმა ხმამაღლა და გარკვევით წარმოთქვეს ბედისწერის სიტყვა: "ჩემი სურვილიაო". სტუმრები აიმრიზნენ, ეგონათ უხათაბალოდ არ გათავდებოდა, მაგრამ მოსტყუვდნენ. ეკლესიაში აღარაფერს აყალმაყალს აღარ მოელოდნენ და ამიტომ გადასწყვიტეს: ვნახოთ, ეს დღე რით გათავდება და სადამო რას იტყვისო. სადამოდინ აღარ დასცალდათ, რასაც ელოდდნენ, ეკლესიაში მოჰხდა: შუა ჯვარისწერის დროს უცბად მაყურებელთ შორის ჩოჩქოლი ატყდა.

- რა ამბავია, რაო? - ყოველ მხრივ კითხულობდნენ.

ამ დროს საქმროს და პატარძალს ბეჭდები უნდა შეეცვალათ. სესილი უწინდებურად განმარტოებული ამოდენა ხალხში, თითქმის თვალეზდახუჭული, ცდილობდა წარმოედგინა სანატრული სახე მორისისა,

რომელზედაც აზრით ჯვარს იწერდა, ისე გაუწოდა ხელი გუდარს, რომ მისკენ არც კი მოუხედნია. გუდარმა, მოხარულმა, რომ ნატვრა როგორც იყო აუსრულდა, ღიმილით ჩამოართვა ნაზი ხელი ახალგაზრდა ქალს, რომელიც ეხლა მის ცოლად შეიქმნა, და უნდოდა თავისი ბეჭედი გაეკეთებინა თითზედ, მაგრამ თვალი შეასწრო, რომ სესილს ხელზედ დიდი ქორწინების ბეჭედი აქვს.

- სესილ, - უთხრა ჩუმად და გაოცებით, - ეგ ბეჭედი შეიხსენ.

სესილმა ასეთის მძულვარებით და ზიზღით გადმოჰხედა გუდარს, რომ გუდარი შეჰკრთა.

- ეს რა ამბავია?! - დაუმატა გუდარმა, შეიკრა წარბი და წასწვდა, რომ წამოადროს ბეჭედი.

სესილმა ისე აჩქარებით მოაცალა ხელი, თითო გუდარის ხელის ხლებამ ჩირქი მოაცხოვო.

- ეს ქორწინების ბეჭედი იმისგანა მაქვს, ვის მერმედაც მე ქვრივად დავრჩი.

გუდარი გაშრა. ხოლო მღვდელმა რა დაინახა, რომ სესილის თითზედ ბეჭედი ბრწყინავს, ეგონა, რომ ბეჭედების შეცვლა გაათავესო და განაგრძო ლოცვა.

კიდევ კარგია, რომ სკამებზედ ჩამოჯდომის დროც იყო.

ანდრე დაეცა თავის სკამზედ გულგასიებული. თვალთ დაუბნელდა. რას ჰნიშნავდნენ სესილის სიტყვები, ისე მკვახედ ნათქვამნი, და ან რა განზრახვით შემოდის ჩემს სახლში სესილიო? - ფიქრობდა გულში გუდარი. გუდარს ხელში შერჩა შესაცვლელი ბეჭედი და არ იცოდა, სად მიემალა. ეგონა, რომ ყველანი ჩემს ხელებს უცქერიანო. არ იცოდა, რომ ქალებმა ვერაფერი დაინახეს და ვერც ვერა გაიგეს რა, მარტო ნანობდნენ, რომ ვერ შეჰნიშნეს საქმროს ბეჭედი უკანასკნელ სახსრის ქვემოთ დაადგა თითზედ პატარძალს, თუ არა, ამის შეტყობა იმისთვის უნდოდათ, რომ ეგ ნიშანია ცოლი იუფლებს ქმარზედ, თუ ქმარი ცოლზედ. ეს კია, რომ ყველამ შეამცნივა, რომ გუდარი ავ გუნებად შეიქმნა. გუდარმა იგრძნო, რომ ყველანი შემოსცქერიან, ძალა დაატანა თავს, ბეჭედი ხელსახოცში, გაახვია, შუბლიდამ ოფლი მოიწმინდა და, რომ სასაცილოდ არ გაიხადოს თავი, მოიბრუნა კისერი და ღიმილით სალამი მისცა ახლომახლო მდგარს ნაცნობებსა, მითამ აქ არაფერიაო.

ჯვარისწერა გათავდა. გუდარმა ხელი მოჰკიდა ცოლსა და გამოვიდა ეკკლესიიდან. სტუმრები თან აედევნე და ყველა ისწრაფვიდა მილოცვასა. გუდარი ჩაჯდა ეტლში, სესილი, სესილის დედა და ერთიც ამხანაგი ქალი სესილისა თან ჩაისვა. გუდარი სულელი კაცი არ იყო და როცა გულში ბალღამი ჰქონდა, მაშინაც თავს, თუ უნდოდა, მხიარულად აჩვენებდა ხოლმე ხალხს. ეტლში ისე ეჭირა თავი, თითქო ამაზედ ბედნიერი ქვეყანაზედ სხვა არავინ არისო, ხელთ ეჭირა ცოლის თაიგული, უსწორებდა კაბას და ჰკითხავდა: ხომ არ დაიღალეო.

ამის გამო სტუმრებმა, რომელნიც ერთს ალიაქოთს მოელოდნენ და

თამაშის სანახავად მოსულიყვნენ, გულიდამ ამოიღეს ეს ყველაფერი და შევიდნენ ტიუსსოს სახლში მარტო იმისთვის, რომ ლხინი გასწიონ. ყველანი აღიარებდნენ, რომ გუდარი ბევრად უკეთესია მასზედ, რასაც ამბობდნენ, მეტად მართებულად ექცევა ყველასაო, ქალებთან პატივისცემით არისო და ცოლსაც სიყვარულით და მოწიწებით ეკიდებაო. ყველანი ამბობდნენ, რომ სესილი ძალიანა ჰშვენისო და თუმცა ღიმილი, რომელიც სესილის სახეს არ ჰშორდებოდა, ზოგიერთს ქალს არ მოსწონდა და ამბობდნენ - სულელურიაო, მაგრამ, როცა გაიხსენეს თავიანთი ყოფა ქორწინების დღეს, იგრძნეს, რომ თვითონაც ეგრე იყვნენ. ადელი, აშკარაა, თავის გუნებაზედ არ იყო. ქალები ამას მოურიდებლად, დაცინვით ჰლაპარაკობდნენ. თვითონ ტიუსსო კი ისე გახარებული იყო, რომ არ იცოდა რა ექმნა. ორი წყვილი ხელთათმანი დახია სტუმრების ხელის ჩამორთმევაში და კინაღამ არ დახრინწიანდა იმის გამო, რომ ყველას უამბობდა, რანაირად ბედნიერად ჰხედავს თავის თავს.

გუდარს უნდოდა თავისი თვალი სესილის თვალისათვის შეეხვედრებინა. სესილმა არ მოარიდა თავი და გულდადინჯებულმა თვალი გაუსწორა. გუდარის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ნუთუ არ ესმის, რა სთქვა წელანო? სწორედ ასე იქნება და ის, რაცა სთქვა, ყმაწვილობით მოუვიდაო.

იქნება, მორისმა და სესილმა რომ ერთმანეთს შეჰფიცეს, ერთად დავიხოცნეთო, მაშინ შესცვალეს ბეჭდები? ის ებედური მოკვდა და რასაკვირველია, რომ იმისი ხსენება სესილისათვის დიდი რამ იყოსო. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ რაღა ამ ჯვარისწერის დღეს გაიკეთა იმის ბეჭედი, წინად ეგ ბეჭედი არ მინახავს სესილის ხელზედაო. "მაინც და მაინც, - იფიქრა გულში, - მე ხმა არ უნდა ამოვიღო ჯერჯერობით და სტუმრები უნდა შევაქციო. შინ რომ მივალთ, მოველაპარაკები სესილს და თუმცა არ დავუწუნებ მკვდრების თაყვანისცემას, მაგრამ მოვითხოვ, რომ ცოცხლებსაც უფრო დიდის პატივისცემით მოექცეს".

ამაზე დადგა გუდარი, შეუდგა სტუმრების გართობას და ქალებმა ერთის ხმით აღიარეს, რომ გუდარი საუცხოვო და საყვარელი კაცი ყოფილა.

სადილმა მხიარულად ჩაიარა და მას შემდეგ ცეკვა გაიმართა. რაც უფრო გვიანდებოდა, ტიუსსოს ცოლი უფროდაუფრო იმფოთებდა გულს. წამდაუწუმ მივარდებოდა თავის ქალს, რაღაეზსაც წასჩურჩულებდა ყურში. სესილი გაუცინებდა ხოლმე, რომ გული დაუმშვიდოს.

შუალამისას სამ საათზედ ტიუსსოს ცოლმა ისე ჩუმად გააპარა ახალნი ცოლ-ქმარნი, რომ ცეკვაც არ დაიშალა. დედას უნდოდა გაეცილებინა ქალი ქმრის სადგურამდე, მაგრამ ვერ მოუხდა.

- შენ ნუ გაირჯები, დედი, - უთხრა გადაწყვეტილი სესილმა, - მე მინდა, მარტო მე და ის ვიყენეთ.

ადელი გულში ნალვლით შინ შემობრუნდა სტუმრებთან.

გუდარი დარჩა თუ არა მარტო ეტლში თავის ცოლთან, ხელი გამოართო. სესილმაც მისცა ხელი.

- კარგო სესილი! - უთხრა და ქალი მოიზიდა თავისაკენ, - შენ კიდევ დიდი მწუხარება მომაცენე. მე ხმა არ ამოვიღე სირცხვილითა, ხოლო ეხლა კი უნდა

მოგელაპარაკო.

- დიად, კარგი გინებებიათ, ანდრე. თქვენა გსურთ მოლაპარაკება? - ძალიან კარგი! იმედი მაქვს, რომ მოლაპარაკება არ იქნება გძელი.

- თუ გსურს, ნება გაქვს შეირჩინო ეგ ბეჭედი სახსოვრად, ხოლო...

- მერე? მე მარტო ამ ბეჭედს ვიქონიებ ხელზედ და სხვას არა-რომელს.

- რას ამბობ? - უთხრა ალერსიანად, - ჩვენ ხომ ჯვარი დავიწერეთ, შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ.

- დიად, მაგრამ მარტო ხალხის თვალში ვარ შენი ცოლი.

- მარტო ხალხის თვალშიო! რას ჰნიშნავს ეგ?

- ეგ იმას ჰნიშნავს, რომ მე თავის დღეში ცოლად არ ვიქნები უნამუსო კაცისა, რომელიც ძალით გაუსაყვარლდა დედაჩემს.

- ოხ! - დაიძახა გუდარმა გულგადაფითრებულმა და დააცქერდა სესილს სულელისაებრ.

სესილი დამშვიდებული იჯდა და ელაპარაკებოდა გუდარს გულგაუფიცხველად, ხოლო ყოველს სიტყვას მკვახედ და მედგრად გამოსთქვამდა ხოლმე. გუდარი მარტო ეხლა მიხვდა იმ ცვლილებას, რომელიც სესილს შეამჩნია უწინ. სესილი ასრულებდა წინადავე მოფიქრებულს განზრახვას, - იგი ჯავრს იყრიდა. გუდარს შერცხვა.

- ჰო, დედაშენმა ყველაფერი გაიმბო? - უთხრა გუდარმა, კაი მაგალითია, კარგად უწვრთიხარ... მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ. შენ ჩემი ცოლობა არ გინდა, მაშ რა გაქვს ფიქრად?

- ადვილად მიმიხვდებით. ქვეყნის თვალში ჩვენ ცოლ-ქმარნი ვიქნებით. ეგ სამყოფია ჩემის განზრახვისათვის. მაშ თუ ეგრე გეზიზღებოდა კაცი, რომელიც, დედისშენიხ სიტყვით, იმისი არშიყი იყო, შენ როდი უნდა შეგერთო ქმრად. შენ ამას ხომ ვერ იტყვი ამ შემთხვევაში, რომ შენზედაც ძალა ვიხმარე...

- მე ვიცოდი, რომ მამაჩემი ულუკმაპუროდ დარჩებოდა, თუ თქვენ, ცოლის გამაუპატიურებელს, ქალი მაინც არ მოგეცემოდათ.

ყოველს ამისთანა პასუხზედ ბოროტი თვისება გუდარისა ყოველს სხვა გრძნობას მისას იმორჩილებდა ხოლმე.

- მაშ კარგი, ჩემო მტრედო, - სთქვა მან და უწმაწურად ჩაიცინა, - იქნება შენა გგონია, რომ თუ შენ მარტო სამასხარაოდ ჩემს ცოლობას დაირქმევ, ამით დაიხსნი გაკუტრებისაგან მამაშენსა? სცდები.

- კანონით დღეს შენი ქონების ნახევარი მე მეკუთვნის.

- ეგრე გგონია?

- მე ვიცი, რომ ეგრეა.

- ვერ უყურებთ!.. შენოდენა ქალისათვის მაგოდენა ოინები დიდი საქმეა... ბარაქალა... შენ გიფიქრია: “დედამ მითხრა, რომ ანდრე უნამუსო კაცია, ძალით გამაუპატიურა, მაშ დედის ჯავრს ამოვიყრი და შევირთავ ქმრად. მე დედ-მამის სახლობის მეტი არა მაქვს რა, იმას კი ფული ბევრი აქვს. ჯვარს დავიწერ თუ არა, მეორეს დღესვე ისეთი მდიდარი ვიქნები, როგორც თვითონ ის, და ნება მექნება ამ გზით მოპოებული სიმდიდრე გადავცე ჩემს მშობლებს,

რომელთაც ჩემთან ერთად ეს წმინდა საქმე მოახერხეს... მე მეტად პატიოსანი ქალი ვარ, რომ სხვაფრივ დავუახლოვდე იმ ვაჟბატონს, რომელიც დედიჩემის არშიყი იყო... მე შევირთავ იმას, ხოლო პირველს ჯვარისწერის ღამესვე ცალ-ცალკე ოთახებში გავიშლით ქვეშაგებსა". ეს არის რაღა შენი განზრახვა!

- თქვენ ნამდვილად გაგიგიათ ჩემი განზრახული.

- მაშ, შენა გგონია, რომ ეგ ისტორია ნამდვილად აგიხდება? შენ ვიფიქრია, გუდარი სულელიაო; ყველას იმისი ეშინიაო? მე კი ყურმოჭრილ ყმად გავიხდი და მაგრა ჩავჭიდებ ხელსაო.

- მართალია, მე ეგ ვიფიქრე და ვფიქრობ კიდევ, - უთხრა დინჯად სესილმა.

- ხოლო შენ დავიწყებული გქონია, რომ როცა ბაშვები ურჩობენ, დასჯიან ხოლმე, და როცა სიარული არ უნდათ, ხელს მოჰკიდებენ და ძალად ატარებენ. მეც ეგრე მოვიქცევი. მაგრამ მინამ სასტიკს ზომიერებას შევუდგები, ჯერ ყური უნდა მომიგდო, რას გეტყვი.

- ბძანეთ, ყურს გიგდებთ.

- დედაშენს უამბნია შენთვის იმისთანა რამ, რომ თუნდ მართალიც ყოფილიყო, შენგან უფრო უნდა დაემალა, ვიდრე სხვისგან. მაგრამ ეგ თავიდან ბოლომდე ტყუილია, მე თავის დღეში არ გავსაყვარლებივარ დედაშენს.

სესილმა შეჰხედა და მხრები აიწია.

- თქვენში კიდევ კდემის ნიშანწყალი დარჩომილა, - უთხრა სესილმა, - და მე მაგას ვაფასებ, ხოლო თქვენ, ბატონო გუდარ, დედისჩემის, საყვარლად კი არა ყოფილხართ, თქვენ ყოფილხართ უნამუსო კაცად, რომელსაც დედაჩემი საყვარლად გაგიხდიათ...

- ეგ თვითონ გითხრათ...

- დედაჩემს ჩემთვის არა უთქვამს რა. მე თვითონ ჩემის ყურით მსმენია, რომ თქვენ ერთხელ სტანჯავდით და შეურაცხჰყოფდით, ოღონდ კი ნება დაერთო ამ სამარცხვინო ქორწინებაზედ, რომელიც დღეს მოჰხდა.

- ძალიან კარგი. თუ მართლა შენ თვითონ გაგიგია, მით უფრო ცუდი შენთვის. გავათავოთ ეს კამედია, ეხლა გვიანლა არის. ამაზე დღეს დილითვე უნდა გეფიქრათ... და რადგანაც მაინც თქვენს განზრახვაზედა დგებართ, მეც აღარას დავერიდები.

სესილმა ხმა არ გასცა. სრულებით დამშვიდებული იყო და ის უფრო გულს უხეთქდა გუდარს, რომ სესილი თითქო ჰქადულობდა, რომ, რაც უნდა ჰქმნა, ჩემს ხელშია შენი საბელი ყელისაო.

- თქვენგან მოგონილი ამბავი მეტად შესაქცევი ამბავი იქნებოდა, რომ მე ჩაგეთრიეთ, - განაგრძო ისევ გედარმა და აიჭიმა მხრები, - ეხლა მესმის, რის გამო თხოულობდი, რომ ცალკე ოთახები გვქონდესო. მე კი მეგონა, რომ ეგ ახირებაა ნებიერის ქალისა, რომელიც უეცრად გამდიდრდა და რომელსაც ჰსურს, მთელი პოეზია ცოლქმრობისა გამოიზოგოს და ჰშიშობს, რომ ქმარმა უდროვოდ არ ინახულოს-მეთქი. მაშ სჩანს, რომ ეგ ახირება კი არ ყოფილა, არამედ მტკიცედ წინადვე განზრახული საქმეა ჩემის უცოდველის ცოლისა.

ეკ, ჩემო კარგო, დროა ოცნების ღრუბლებიდან ძირს დედამიწაზედ ჩამოხვიდე. შენ იქნები გუდარის ცოლი, ნამდვილი ცოლი და ოჯახის ბურჯი.

ეტლიც დადგა.

- მოვედით ჯოჯოხეთის კარებთან, - დაუმატა გუდარმა, - გნებავთ გამოსვლა?

სესილმა ზიზღით აიჭიმა მხრები.

- უმორჩილესად ვითხოვ, - სთქვა მან, - ჩვენს ლაპარაკში ცხენების მმართველს ნუ გაურევთ.

გუდარმა ხმაამოუღებლივ მიაწოდა ხელი. ქალი გამოვიდა ეტლიდამ, ბეწვიან წამოსასხამში გახვეული. ხელში ეჭირა პატარა აბგა, რომელშიაც იქნება მოსართავი ნივთები ელაგა.

- მე თქვენ გითხარით, რომ ქვეყნის თვალში მე ვარ-მეთქი თქვენი ცოლი, რომელსაც ეგრე ნატრულობდით, - უთხრა სესილმა ჩუმად, გაუყარა ხელი და თავი თითქო მხარზედ უნდა დაადოსო, ისე გადიხარა.

- წავიდეთ, წავიდეთ, სესილ, - უპასუხა გუდარმა ხარხარითა.

მეკარე დაჰხვდა კარებში მეფე-დედოფალს, ბრწყინვალედ გაენათებინა კიბე და საფეხურებზე ხალიჩა ჩამოეფინა. მდაბლად დაუკრა ახალს დაქორწილებულთ თავი და ამ დროს მისმა ცოლმა, რომელიც კუთხიდან იჭყიტებოდა, უთხრა თავის ქმარს:

- დედოფალი ძალიან ლამაზი ყოფილა და, მგონია, ძალიანაც უყვარს ქმარი. კარგი და ტკბილი ცოლქმრობა ექნებათ.

- თვითონ ძალიან კაი კაცია, ქალები, ვინც ამასთან დადიოდნენ, დიდს ქებაში იყვნენ ხოლმე.

გუდარმა შეაღო თავის სახლის კარები, ცოლი საწოლს ოთახში შეიყვანა და თვითონ კი იქავ სკამზე ჩამოჯდა.

- აი შენი ოთახი, სესილ, - უთხრა მან სიცილითა, - აბა ერთი ჩემი აქედამ გაგდება სცადე!

- თქვენ პირველად და უკანასკნელადღა ხართ ამ ოთახში, - უთხრა ქალმა გადაწყვეტილად.

გუდარმა გაშტერებით ყურება დაუწყო და ფიქრი მიეცა, ავადმყოფობამ ხომ ტვინი არ შეურყიაო.

- ყური მიგდე, სესილ, - უთხრა ალერსით, - ჩვენ ეხლა მარტონი ვართ ჩვენს სახლში. ერთი რიგიანად მოვილაპარაკოთ. მე იმიტომ შეგირთე, რომ კაი ოჯახის პატრონი მყოლოდა და კარგი დედა სახლობისათვის.

სესილმა სარკის წინ მდგომარემ მოიხადა თავიდან ყვავილების გვირგვინი და უთხრა დამშვიდებით:

- ქვეყანას სწორედ ეგრე დავანახვებ თავს, მე ფიცი აღმითქვამს იმ ერთის კაცის მკვდარს გვამზედ, რომელიც მე მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება, რომ თავის დღეში სხვას არ ვეკუთვნები. მე ქვრივი ვარ, ანდრე, და ექვსის თვის შემდეგ დედადაც გავხდები.

გუდარის სახე საშინლად შეიშალა. მივარდა ცოლს საზარელის და მუქარის სახითა.

- რას ამბობ, რას? - დაიყვირა, - შენ მაგას ტყუილად იგონებ.

სესილი ტანში გაიმართა და თვალი თვალში გაუყარა გუდარს და თამამად უთხრა.

- არა, არა ვტყუი, ქვრივი ვარ-მეთქი. ბეჭედი, რომელიც თქვენ გინდოდათ ჩემთვის თითიდან შეგეხსნათ, თითზედ გამიკეთა მე მორისმა იმ ღირსსახსოვარს ღამეს, ამ სამის თვის წინად და თქვენ რომ გითხარით, თქვენ იქნებით პასუხისმგებელი მისი, რაც მოხდება-მეთქი, წავედი მორისთან და ის ვიქმრე. მე აღვუთქვი, რომ მარტო იმისი ცოლი ვიქნები და სხვის არავისა. სხვა თქვენც იცით... ექვსი თვის შემდეგ მე დედა ვიქნები,

ამ უკდემო გულდინჯობამ, ამ ახალგაზრდა ქალის უეცარმა გარდაცვლამ თამამ დედაკაცად გონება დაუბნია გუდარს, მივარდა ცოლს დაკუმშულის მუშტებითა, მაგრამ შედგა, თითქო ერთს ალაგას დაებაო. იგრძნო, რომ როგორც სულელი, ისე გააბრიყვეს, ეხლა იგი საუკუნოს კავშირით შეუღლებული იყო ქალთან, რომელმაც მზითვად მოუტანა სხვისი ბაშვი.

- შენ გეგონა, რომ მაგ საძაგელს ქმრობას მე ვიკისრებდი?

- ნებით თუ უნებლიედ იკისრებთ.

- ის აღარ მოგგონებია, რომ შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ, ჩემი ნივთი და ამასთან ღონეცა მაქვს, რომ ჩემი უფლება ბოროტად მოვიხმარო?

- მე დარწმუნებული ვარ, მაგას არა იქმთ.

- დაგარჩობ-მეთქი... მე შენს შვილს კედელზედ შევანთხევიანებ ტვინსა.

- თქვენ ჩემი პატივისმცემელი იქნებით, ბატონო გუდარ, - უთხრა სესილმა და რაღაც ამოიღო აბგიდან.

- შენ ჩემი ცოლი ხარ და პატივისცემა რას მიქვიან! შენ საზიზღარი ჭია ხარ და ეგრეც მოგექცევი მე. ჰა, ჩქარა, გაიხადე-მეთქი კაბა!

ეს უთხრა გუდარმა და გააფთრებულმა მოიგლიჯა ყელიდან ყელსახვევი. საკინძი ჩამოიწყვიტა და მივარდა სესილს. სწორედ ამ დროს თვალწინ გამოუბრწყინდა გუდარს დამბაჩის ლულა.

- აბა ერთი ხელი მახლეთ და მაშინ ნახავთ, რომ როგორც ძაღლს, ისე სულს გაგაფრთხობინებთ, - უთხრა გადაწყვეტილად სესილმა და ძაღლს აიღო პატარა რევოლვერი.

გუდარი უკან წაბარბაცდა და ყოველს ასოში მოიშალა. თავი გვერდზედ მოეხარა, ხელები დაეშვა.

- ბატონო გუდარ, - განაგრძო სესილმა, - თქვენ შეიტანეთ ჩვენს ოჯახში მწუხარება და უპატიურება. დღეს მე სამაგიეროს გიხდით. თქვენ შემუსრეთ ჩემი სიცოცხლე, მე ვმუსრავ თქვენსასა. ჩვენ ეხლა შეუღლებულნი ვართ საუკუნოდ და სიყვარულის მაგიერ ჩემს მძულვარებას მოიპოვებთ; მე ყოველდღე, ყოველს წუთს ვიქნები თქვენის სინიდის მხილებელად, თქვენს სულთამხუთავად. თქვენს ამპარტავნებას მე შევმუსრავ. მე ვიცოდი, რომ თქვენ მხდალი, ჯაბანი კაცი ხართ და მე დაგიმონებთ თქვენ იმიტომ, რომ მე სიკვდილისა არ მეშინია. თქვენის წყალობით მოკვდა მორისი და იმისი შვილი უმამოდ დარჩა და ამიტომაც თქვენ უნდა მამად ექმნეთ და მისცეთ სახელიცა, რომელიც თქვენ წაართვით. ამას ითხოვს სამართალი. მისი შვილი

თქვენს კანონიერ შვილად გახდება, რაც უნდა ჰქმნათ, და თუ თქვენ იმოდენად უსირცხვილობას გასწევთ, რომ კანონით მოითხოვთ ჩვენის ცოლქმრობის დარღვევას, მაინც კიდევ ჩემს შვილს თქვენს შვილად აღიარებენ და თქვენის ქონების ნაწილს მიიღებს, თქვენ გააგდებინეთ მამაჩემს მორისი და ეხლა ისე მოხდა საქმე, რომ მის შვილს თქვენვე გაზდიოთ. ესეა, ჩემო ბატონო, ეხლა გვიან არის; ინებეთ და წაბძანდით თქვენს ოთახში.

ამას რომ ამბობდა, სესილი გულდადინჯებით ათამაშებდა ხელში რევოლვერსა. გუდარი იდგა შუა ოთახში თავჩაკიდებული და თვალეზღაპრული. იგი ვერცა რასა ხედავდა, ვერცარა გაეგო რა. ცივი ოფლი დაესხა მთელს სახეზედა. თავი გაებრუვა და ძლივსა იბრუნებდა სულს. სულ მთლად დაიფანტა, დაიკარგა და უგუნურად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას:

- მორისი საყვარლადა ჰყოლია.
- მშვიდობით, ანდრე, - დაუმატა სესილმა.

გუდარი კარებისკენ წავიდა გარინდებული, გზადაგზა სკამებს ხელსა სჭიდებდა, არ წავიქცეო. შევიდა თავის ოთახში, შედგა და თავით მიეყუდა კედელს. ნელ-ნელა მოვიდა გონზედ, გაიხადა ტანისამოსი და გულზედ ცოტად მოემვა.

სესილმა, თავის ოთახში მარტოდ დარჩენილმა, კარი არ დაჰკეტა და ყური ადევნა გუდარის ფეხის ხმასა. როცა ფეხის ხმა მისწვდა, მივიდა მაგიდასთან, დადო რევოლვერი, არ მოჰყვა ტანისამოსის ხდასა, ხოლო თმები ჩამოიშალა. კარგად იცნობდა გუდარს და ჰფიქრობდა - ვაითუ ისევ შემოვიდესო. გუდარი თავზარდაცემული იყო და არა დამარცხებული ჯერ. სესილს არ უნდოდა, რომ მარცხად დაჰხვედროდა გუდარს, ამიტომაც კარი ღია დააგდო და იქით ეჭირა თვალი.

გუდარი, კედელზედ მიყრდომილი, ჰფიქრობდა. ვერ დაეჯერა, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პატარაობაში ხელში ათამაშებდა, ეგ სიწმინდის და უმანკოების ანგელოზი, მორისის საყვარელი ყოფილიყოს.

- სესილს ეხლაც უყვარს, - სთქვა მან. ბოროტად ჩაიცინა და შევიდა სესილთან.

- მე ვარ, სესილ, - უთხრა ალერსიანის ხმითა და კარი დაუკაკუნა.
- სესილმა მაშინვე ხელი რევოლვერს წაავლო.
- მობძანდით, - უპასუხა ქალმა.

გუდარი შემოვიდა, მაგრამ სესილი ამაოდ ჰმეცადინებდა ამოეკითხა გუდარის სახეზე მისი ფარული აზრი და განზრახვა.

- სესილ, ჩემო პაწიავე, - განაგრძო გუდარმა იმავე ალერსითა, - ხომ გესმის, რომ მაგ ამბავმა თავზარი დამცა მე. მე არ გამოველოდდი მაგისთანა საშინელს და ულმობელს სამაგიეროს. რალა ეშველება? შენ გიყვარდა და გიყვარს კიდევ... სჯობს ისე ვიცხოვროთ, როგორც შენ ამბობ; სხვაფრივ არ შეიძლება. რადგანაც ჩვენ ერთმანეთის ამბავი კარგად ვიცით. შენ იქნები ჩემი ცოლი, შენი შვილი ჩემს ქონებას მიიღებს, ხოლო კანონით მბძანებელი მისი მე ვიქნები. შენ სულ ცალკე და განმარტოებით იცხოვრე, ხოლო გარედ,

უცხოსთან ისე მოვექცეთ ერთმანეთს, ვითომ-და ძალიან ტკბილი ცოლქმრობა გვაქვს. ეს კი იცოდე, თუ მე, შენის სიტყვით, თქვენს სახლში უნამუსობა შევიტანე, ნებას არ მოგცემ, რომ ეგევე ჩემს სახლში მოჰხდეს.

- თქვენ ვითომ ვინა გგონივართ მე?

- ნება მომეცი ჩემი პირობაც დავდო. მე შევიტყე, რაც გინდა, და დაგემორჩილე. ამასვე ვითხოვ შენგანაც.

სესილმა გულის ფრთხობით დაუწყო ყურება და ჰფიქრობდა, ნეტა ამ ლაქლაქით რა მახის დაგება უნდაო.

- თუ ხელს გახლებ, შენ მე სასიკვდილოდ არ დამინდობ, - განაგრძო გუდარმა, - ძალიან კარგი, იყოს ეგ პირობა, ხოლო, თუ აქ როდისმე უცხო კაცი შემოვა ჩემს გარდა, მაშინ დარწმუნებული იყავ, რომ ცოცხალს აქედამ არ გავუშვებ, შენ კი რა გადაგხდება, მაგას ბოლოსა ვნახავთ...

სესილმა ხმა არ გასცა და მხრები აიჭიმა.

- ერთის სიტყვით. ეს პირობაც გადაწყვეტილია. მე მარტო ისღა დამრჩა სათქმელად, რომ ერთი იმ ბრალთაგანი, რომელსაც შენ მე მდებ, სრულებით ტყუილია. შენ ამბობ, რომ მე ვარ მიზეზი მორისის სიკვდილისა...

- მერე?

- შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ და გახსოვდეს, რომ შენის ნებით შემირთე. შენ სცდები, ლამაზო ქალო, მორისი არ მომკვდარა, ცოცხალია... და შენ მის ცოლად ვედარ იქნები.

- მორისი ცოცხალიაო! - დაიკვილა სესილმა და თითქმის გონება მიეხადა, - შეუძლებელია!

- ლამაზო სესილ, გეფიცები, რომ მორისი ცოცხალია... და ხვალ შევატყობინებ ჩვენის ჯვარისწერის ამბავს. მშვიდობით, სესილ, ღამე მშვიდობისა, ჩემო ლამაზო ქალო, - დაუმატა გუდარმა სიცილით. გავიდა ოთახიდან და გაიხურა კარი.

სესილი გალურჯდა. ხელი მოისო თვალებზედ, რომ მოიშორის შავი ღრუბელი, რომელიც უცბად თვალებზედ ჩამოეფარა. ხელი წაავლო სარეცელს, მერე ერთი-ორი ფეხი გადადგა, დაბარბაცდა, დაიძახა. "მორისი ცოცხალიაო!" და დაეცა გრძნობამიხდილი იატაკზედ.

X

რა დაემართა მორისსა

მორისი მართლა ცოცხალი იყო. მეორეს დილას იმ უბედურის დღიდან, რომლიდანაც დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა, მორისის და მოვიდა მმასთან, რომ ოთახი დაულაგოს. მორისის დას ცალკე გასაღები ჰქონდა ძმის ოთახისა და როცა მოვიდა, გააღო კარები, შევიდა ოთახში და რა ჰნახა, რომ ძმა უძრავად წევს ქვეშაგებში, იფიქრა, ავად არისო, და დაელაპარაკა, მაგრამ ძმამ ხმა არ ამოიღო. ქალი მივიდა, დააკვირდა მწოლარეს და დაიკვილა თავზარდაცემულმა. მორისი იყო ფერმიხდილი, გალურჯებული, თითქმის

გაციებულიცა. მორისის და, ამელი ფერანი, თუმცა ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ დამჯდარი გონება ჰქონდა, თავდარიგიანი ქალი იყო, ამო ვაი-უიზედ დროს არ დაკარგავდა ხოლმე, ნამეტნავად, როცა შესაძლო იყო ის დრო კეთილად გამოეყენებინა. ამელი ცოტად მიჰხვდა კიდეც, რაც ამბავია, ესე იგი, იფიქრა, რომ დღეის იქით, რაკი საყვარელი ქალი დღეს ჰოთხოვდება და სხვას ირთავსო, აილო და ჯავრით თავი მოიკლავ. ცხადი იყო, რომ თავი მოეწამლა. ამელიმ გულზე ხელი დაადო, გული არ უცემდა; მაჯა გაუსინჯა, არც მაჯისა ისმოდა რამ, გული და ხელები გაფიცებული ჰქონდა და ფრჩხილები გაჰშავებოდა. ამელიმ დაავლო ხელი ბოთლს, რომელიც მაგიდაზედ იდგა და გაიქცა აფთექში. კიდეც კარგია, რომ აფთექარა გამოცდილი ქიმიკოსი აღმოჩნდა. მოისმინა ქალის ნაამბობი, აილო მოტანილი ბოთლი, გასინჯა ლაბარატორიაში, რაც ბოთლში დარჩენილი იყო, და ადვილად იპოვა საწამლავი. მაშინვე წამალი მისცა ამელის და დაარიგა, როგორ დაალევიოს.

ელდაცემული ქალი სირბილით მივიდა ძმასთან და მაშინვე აფთექრის დარიგებისამებრ შეუდგა საქმეს.

ოთხი საათის შემდეგ მორისი გამობრუნდა. საწყალმა მიიხედ-მოიხედა გოცებით და არ სჯეროდა, რომ კიდეც ცოცხალია. დამ უამბო, რომ დილით შემოვედი და თითქმის მკვდარი იყავიო. მორისმა ხმა არ გასცა და ცრემლები წამოჰყარა თვალთაგან; საშინელმა აზრმა გაურბინა თავში. რაკი სესილი ვერა ჰნახა თავისთან, ეგონა, რომ მომატყუაო, მე ასე მომიხდინა, რომ თავი დამ მომიშოროს, მერე აილოს და სხვა შეირთოს. საწამლავი არ დაუღევია, ტყუილად დაეწაფა; მერე, როცა მე მომეკიდა საწამლავი და გონება მიმეხადა, ადგა და წავიდაო. სხვაფრივ განა შეიძლებოდა აეხსნა? თუ სესილი რომელისამე სასწაულით გადურჩა საწამლავსა, ხომ მე მომაკვდავს მიშველიდაო; თუ სხვა ვინმე შემოვიდა და სესილი დაიხსნა, მეც ხომ დამიხსნიდაო. აშკარააო, თვითონ თავი გადირჩინაო, წავიდა შინ გულდინჯადა და მაშინ, როცა მე აქ სულსა ვღევდი, იმ სულმდაბალმა მუხანათმა ჯვარი დაიწერა გულდარზედაო.

მორისმა არაფერი არ გაამხილა თავის დასთან და გულის სიღრმეში დაიმარხა თავის ნაღველი და ჯავრი. ყველა კითხვაზედ დას მარტო იმას ეუბნებოდა, რომ ძალიან ტანჯვა გამოვიარეო. ამელი ფერანმა იფიქრა, რომ თუმცა ჩემი ძმა სიკვდილს გადურჩა, მაგრამ ისე ავად არის, რომ ჯერ კიდეც დიდი მოვლა და პატრონობა უნდაო. ხოლო რადგანაც ორნი დღიურ მუშაობით გამოდიოდნენ და ამელის არ შეეძლო ავადმყოფის მოვლა და თავზედ ტრიალი, სხვა გზა არ იყო, საავადმყოფოში უნდა დაეწვინა და ეს ფიქრი გულს უკლავდა. რა უნდა ექნა? უეცრად მოაგონდა ბებერი მამიდა, რომელიც პარიზიდან ძალიან შორს არ იდგა და რომელიც ხშირად უთვლიდა ხოლმე - ერთი რამდენიმე დღით მეწვიენითო. ურიგო არ იქნება, რომ იმასთან წავიყვანო ჩემი ძმა, - იფიქრა ქალმა და ეს ფიქრი ძმასაც გაუმჟღავნა.

- მამიდა დიდის სიამოვნებით მოგივლის, - უთხრა ამელიმ, - და არც არაფერი დაგეხარჯება.

- ძალიან კარგი იქნება... არც არავინ შეიტყობს, რაც მოჰხდა... შენი

ჭირიმე, ამელი, ნურავის ნურას ეტყვი.

- აბა ვის ვეტყვი, თუ მეც თან გამოგყვები? თუ გინდა, მინამ ჩვენ წავალთ, ერთი სესილსა ვნახავ.

- ნუ, ნუ! - დაიყვირა გულმხურვალედ მორისმა, - არასოდეს არ გაბედო იმის სახელის ხსენება ჩემთან.

- ეს ამბავი იმისი ბრალი ხომ არ არის, რაზედ უწყრები.

- დაჩუმდი, ამელი... დღეის იქით იცოდე, რომ მე ის აღარ მიყვარს... მე ის მეზიზღება... მე ის მძულს.

ახალგაზრდა ქალო გაოცდა ძმის სიტყვებზედა, მაგრამ იცოდა, რა ტანჯვაშია უნდა იყოს კაცი, რომელიც ჰგრძნობს, რომ მისი საყვარელი ქალი სხვას ირთავს, და ხმა აღარ ამოიღო.

საწყალი ჭაბუკი მოუსვენრად ჰტოკავდა ქვეშაგებზედ, საშინელის კვნესით და წყევა-კრულვით დუდუნებდა პირმოკუმული... რატომ არ დამანებეს თავი ერთი მომკვდარვიყავ! ჰღირს იმად, რომ ესე ვიტანჯები იმ საზიზღარ და სულმდაბალ დიაცისათვის?!

შეშინებული ამელი ეხვეოდა, ჰკოცნიდა მას და სცდილობდა დაემშვიდებინა.

- არა, არა! - იძახოდა მორისი, - ამას იქით ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია, მეორედ კი უფრო უკედ მოვახერხებ, რომ მოვშორდე ამ საძაგელს ქვეყანას.

- მორის, მორის, ნუთუ ჩემი სიყვარული არა გაქვს? - უთხრა ამელიმ ვედრებით და მუხლმოდრეკილი დაეცა ძმის წინ, - შენ აღთქმა მიეცი ჩვენს დედ-მამას, რომ მე არ მომშორდები. განა მე ცუდი რამ ჩამიდენია, რომ ეგრე მიმეტებ? განა მე შენთვის არა ვარ რა? მორის, შენს მეტი მე არავინა მყავს ქვეყანაზედ, შენ მე არ გამიმეტებ, არა, არა! თუ იმას აი უყვარხარ, მე მიყვარხარ, მე! გინდა მარტოდმარტო, უპატრონოდ დამაგდო? ნუ, ნუ მიზამ მაგას! აბა იფიქრე, რა ვიქნები მე, როცა შენ არ მეყოლები!

ამ საოცარს ვედრებაზედ გული ამოუჯდა მორისს.

- ოხ, ამელი, რა უბედური კაცი ვარ, რა უბედური! - წამოიძახა ტირილით და კვნესითა.

- ვაიმე, ძმაო, - უპასუხა გულამოჯდომით მტირალმა დამ, - მე შენ თავის დღეში არ მოგშორდები. ფიცი მომეც, მორის, რომ შენს თავს არას აუტეხ.

- ვაიმე, ვაიმე! - ჰკვნესოდა უბედური.

- დედიჩვენის სული შემომფიცე, თორემ მე დღემუდამ შიში მექნება.

- გეფიცები... ამელი!

დიდხანს სტიროდნენ გადახვეულნი და-ძმანი და ვერ ჰბედავდნენ ეხსენებინათ საყვარელი და შემულეებული სახელი სესილისა.

გაიარა დრომ და ამელმა იქირავა ეტლი, ფრთხილად ჩამოიყვანა კიბეზედ ძმა, ჩასო ეტლში და ორნივე წავიდნენ სენ-ლაზარის რკინისგზისკენ. კიდევ კარგია, ამელის ორიოდ გროში ჰქონდა, აილო ორი ბილეთი და წავიდნენ ტრიელში, სადაც იმათი მამიდა სცხოვრობდა.

მინამ ის ამბები მოჰხდა, რაც ჩვენ წინ გვიამბნია, მორისი ვერ

გამოკეთდა. ძალიან მძიმედ მიდიოდა იმისი მორჩენის საქმე.

ტიუსსოს სახლში კი ყველა დარწმუნებული იყო, რომ მორისი მკვდარია. მართალია, ნამდვილის ამბის შეტყობა ადვილი იყო, მაგრამ ტიუსსოს ვერ გაეგებენა ენახა მორისის და, რადგანაც მორისის სიკვდილის მიზეზი, ცოტად თუ ბევრად, თვითონაც იყო. მარტო გუდარმა იცოდა მართალი. გუდარისათვის ძალიან საჭირო იყო სცოდნოდა იმ კაცის ბედი. რომელიც უყვარდა მის საცოლოს და, რასაკვირველია, ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ შეეტყო რამე და შეიტყო კიდევ.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სესილი შეურიგდა გუდარს, გუდარმა შეიტყო, რომ მორისი ჯავრით სოფლად წავიდა და ნათესავეებთან სცხოვრობს. სესილს რომ წინ შეეტყო, მორისი ცოცხალიაო, უსათუოდ არ შეირთავდა გუდარს, ამიტომაც გუდარი ინახავდა ამ ამბავს როგორც ერთს რამეს დიდ საიდუმლოს. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ამ ამბავმა, რომელსაც უაღრესი ბედნიერება უნდა მიენიჭებინა სესილისათვის, სესილი დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

გუდარი სესილის ოთახიდან რომ გამოვიდა, რამდენსამე ხანს რაღაც მხეცურს სიხარულს მიეცა. ყველაფერი დაავიწყდა: ისიც, როგორ გააბრიყვეს, ისიც, როგორი ზიზღი ცოლმა ამოუჩინა. უხაროდა, რომ ამ ამბით სესილს გული მოვუკალო, სესილს ეგონა, მე ვიყრი ჯავრსაო, რომ ჩემს სიძულვილს ვუცხადებო, ის კი არა თუ, იმ კაცმა, რომელიც მთელი ერთი თთვე თავს ევლებოდა და ფეხქვეშ ეშლებოდა, იმ კაცმა გული გაუპო და მით დაამტკიცა სიმართლე თავის მეტის სახელისა - ჯაგლაგიო.

გახარებული შევიდა გუდარი თავის ოთახში, გაიხადა ტანისამოსი და, უბის ჯიბეს რომ ხელი შეახო, ხელს მოჰხვდა ქორწინების ბეჭედი, რომელიც სესილმა ზიზღით უკუირიდა. ბეჭედი შეინახა. "დამაცა, ლამაზო ქალო, დღე მოვა, რომ ამ ბეჭედით ხელზედ გამოიღვიძებ, - ჰფიქრობდა იგი, - არა, ბატონო ტიუსსოს ქალო, ეხლა თქვენ გუდარის გვარს ატარებთ და დამერწმუნეთ, რომ გუდარის ცოლიც იქნებით. შენ ჰნახავ, როგორ ვექცევი ხოლმე ქალებს. შესაძლოა თავი შეიმაგრო ერთი კვირა, ერთი თთვე, მე არ ავჩქარდები, მაგრამ მოვა დრო, როცა მე ჩემსას მივიღებ და ჯავრს ამოვიყრი არამც თუ შენზე, არამედ შენს შვილზედაც, რომელსაც ეგრე ძალად კისერზედ მახვევ. უწინ შენ მომატყუე, ახლა კი უკაცრავოდ, ამას იქით პამპულად აღარ გავიხდი თავს". მივიდა ფანჯარასთან, გააღო და ხარბად შეისუნთქა გრილი ჰაერი, "ყველა, ყველადა, - იფიქრა გულში, - ვერაფერია, რომ ჯვარისწერის ღამეს ეგრე ვატარებ... ამას ყურს მოჰკრავენ... ისე უნდა მოვახდინო, რომ სთქვან: რა უწმაწური რამა ყოფილა ჯაგლაგი, ჯვარისწერის პირველ ღამესაც შინ არ დადგა, საქეიფოდ წავიდაო".

ჩამოიღო სხვა ტანისამოსი, მოსამსახურე არ გააღვიძა, რომელსაც წინადვე უბძანა, ნუ მომიცდი, დაიძინეო; მოირთო როგორც რიგია და ხმამაღლა დაიწყო თავისთავად ლაპარაკი.

- ადრე თუ გვიან ხომ ყველაფერი გამომჟღავნდება და ყველაფერს შეიტყობენ. ეს მაინც იქნება, რომ მე გავხდები სასაცილოდ. ჯერ ესა, რომ

ხვალ დილაზე სესილი იკითხავს ჩემზედ, სად არისო; მოიწადინებს მორისის ამბის დაწვრილებით შეტყობას ჩემგან. აბა სასაცილო ის იქნება, რომ აიმრიზება მოსამსახურეების წინ. ახლა ის სულელი ადელიც მობძანდება ქალის ამბის შესატყობრად. ხომ უხვალეოდ ჯვარისწერა არ მოჰხდება ხოლმე. მაგრამ რა? ადელს ყველაფერი ეცოდინება, ეს მახე ხომ ორივემ ერთად დამიგეს. ტიუსსოს კი ფერი ეცვლება. ახლა სტუმრების ყოფა ნახეთ? მე წინადავე წარმოდგენილი მაქვს, რა კილოთი წამოიმახებენ: “ვერ უყურებთ იმ ჯაგლაგს!” ყველაზედ კი ღირსსაცნობი ის იქნება, სესილი როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში.

გუდარმა ხმამალა ჩაიხარხარა. მერე აჰხადა ყუთი, ამოიღო რამდენიმე ოქროს ფული და ჩაიღო ჯიბეში; მაგრამ როგორღაც მძიმედ ეჩვენებოდა, ისევ უკან ჩააწყო, გააღო სხვა ყუთი და ამოიღო ბანკის ბილეთები. მერე აიღო და ფულიანი ქაღალდები აქეთ-იქით გადააწყო.

- მე მოგზაურობას უნდა შევუდგე, რომ ესენი თავიდან მოვიშორო, - სთქვა მან, როცა დაჰყურებდა ფულებს, - თორემ აქ ამათი შენახვა საფათერაკოა.

დაკეტა ყუთი, ჩაიხედა სარკეში და უჩუმრად ფეხაკრეფით გამოვიდა სახლიდან. ქუჩაში რომ გამოვიდა, დაუმახა ეტლს, ჩაჯდა შიგ გადაწოლითა და მოუკიდა სიგარას.

- რამდენსამე ხანს შემდეგ წინ გაუარა იმ სახლს, საცა ტიუსსოს ქორწილი იყო. ხალხი ჯერ არ დაშლილიყო. გუდარმა ერთ განათებულ ფანჯარასთან თვალი მოჰკრა ადელსა. ადელი სტიროდა.

- აბა პირს დააღებენ, რომ მე ეხლა იქ თავი შევყო, - ამბობდა კასკასით გუდარი. - არა უშავს რა, ხვალაც კაი თამაშა იქნება, როცა ვეტყვი: “რა მექნა, სანამლეო მქონდა დაჰქერილი, რომ ქორწილის პირველს დამესვე ცოლს დავანებებ და იზასთან წავალ-მეთქი”. აბა პირს მაშინ დააღებენ და ერთხმად დაიმახებენ: “სწორედ ჯაგლაგი ყოფილაო! მართლა-და კაი სახელი დაურქმევიათო!..”

ეტლი გაემართა ელისეს მინდვრებისაკენ.

XI

მწარე სიყვარული

სესილი გონებაზედ მოვიდა მარტო გათენებისას. ეს კია, რომ გვიან მოვიდნენ ეგა და გუდარი შინ ქორწილიდან, ძალიან დიდხანს ილაპარაკეს, ასე რომ გულის შემოყრა სესილისა ხანგრძლივი არ იყო.

თვალები გაახილა თუ არა, გარშამო მოატარა, რაღაც ოცნებამ შეიპყრა: სიზმარში ხომ არა ვნახე ჩემი ჯვარისწერაო? განა გუშინ არ იყო, რომ თავი მოვიწამლე? განა აქ გვერდით არ მიწევს უსულო გვამი მორისისაო? მაგრამ ეს ოცნება მალე გაეფანტა. წამოხტა ფეხზედ და დაინახა თავისი საქორწილო კაბა და ყვავილები. იმ წამსვე მოაგონდა თავისი საუბარი გუდართან და ის

საშინელი ამბავი, რომლითაც გუდარმა გული შუაზე გაუპო. დაეცა სელზე და დაიწყო ტირილი. მორისი ცოცხალი იყო და ამან კი ასე უღმრთოდ უღალატა. მაგრამ განა სინიდისის წინაშე რაიმე დანაშაული ჰქონდა? არა, მაგრამ ვინ დაიჯერებს? გარდა ამისა, ეს ამბავი მარტო ჩემსა და გუდარსა შუა უნდა დარჩესო. გუდარმა პირობა მისცა. შენს შვილიერებას არ გავამხელო და ამის სამაგიეროდ სესილსაც ჩამოართვა პირობა, რომ ჩემს გაბრიყვებას ნურავის შეატყობინებო. გუდარი ერთი ბეწო ხანს რომ კიდევ დარჩენილიყო ცოლის ოთახში და ენახა იგი გულშემოყრილი, მაშინ საქმე წამხდარი იქნებოდა სრულებით. ამ შემთხვევას ისე გამოიყენებდა, რომ ყოველს დაწყობილებას ჩაუფუშავდა. ერთის სიტყვით, სესილი გათხოვდა და მორისი კი ცოცხალი იყო. შესაძლო იყო, რომ არაფრის არმცოდნე მორისი ეცდებოდა ჯავრი ამოიყაროს ღალატისათვის და ამას ადვილადაც მოახდენდა, რომ ყველა მართალი გაემჟღავნებინა. რა უნდა ექმნა სესილს? ყველაზე უწინარეს უნდა ცდილიყო, მორისს არ შეეტყო, რომ ბაშვი, რომლითაც ეხლა სესილი ორსული იყო, იმისია.

მორისი რომ ჰნახოს, მუხლმოდრეკით მოინანოს თავისი საქციელი და შენდობას დაემუდაროს, - საფრთხილო იყო. გუდარმა წინადაცე უთხრა, რომ ყოველს შენს ფეხის გადადგმაზედ თვალყური მეჭირებაო და, გარდა ამისა, თვითონაც იმოდენა გამბედაობას ვერ ჰპოულობდა თავის თავში, რომ ეგ მოეხდინა. ამის გამო იმაზე დადგა, რომ წიგნს მივწერო. მაგრამ როგორ გაეზავნა წიგნი და სად? მაინც და მაინც ჯერ წიგნს მოვამზადებ და გაგზავნის თავდარიგს მერე შევუდგებიო.

ჩაიკეტა კარი, აჰხადა ფანჯარას ფარდა, დაჯდა მაგიდის წინ და მოჰყვა შემდეგის წერას:

“ჩემო მეგობარო,

"მე უნდა მოტევება გთხოვო; მე მარტო დღეს შევიტყე, რომ შენც ცოცხალი ხარ, მე კი ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. ამ ერთის თვის წინად ჩემი დედ-მამა ყველაფერზედ დაგვეცებოდნენ. საჭიროა ყველაფერი დაწვრილებით გიამბო, რაც მოჰხდა. გახსოვს, ერთმანეთს რომ ვაკოცეთ უკანასკნელად და მე საწამლავმა მიმასუსტა? მაშინ გავიგე, რომ შენა სთქვი. "მშვიდობით, სესილ, ჩვენ მალე შევიყრებით ისევ ერთად საიქიოს". აქ მე გული შემომეყარა. გონებაზედ გათენებისასლა მოვედი. მე დიდს ტანჯვაში ვიყავ და არ მესმოდა, სად ვიყავ. უეცრად თვალი მოგკარ შენ ჩემს ქვეშაგებზე მწოლარეს... მე დაგელაპარაკე, დაგიწყე ხელების და შუბლის სრესა... შენ გაცივებული იყავ და ვიფიქრე, მკვდარია-მეთქი. ვაი რა დღე გამოვიარე! აბა შენ თითონ წარმოიდგინე: შენ მკვდარი და მე შენთან ცოცხალი. რა ვიქნებოდი! შენ ჩემი ქმარი იყავი და მე ქვრივად დავრჩი. ოხ, ღმერთო, განა გასაძლისია ეს! მე შენი ვიყავ და ამიტომაც რაღას ვაქნევდი ჩემს სიცოცხლეს. ფიცის მტკიცედ აღსასრულებლად გადავწყვიტე, რომ თავი უნდა მოვიკლა... გადავიხედე ფანჯრიდამ, მიხლოდა იქიდან გადავვარდნილიყავ, მაგრამ

თვალი მოვკარ მდინარეს, რომელიც იქავ შენს სახლთან ჩამოდის. იმის დანახვა და თავის დარჩობის განზრახვა ერთი იყო. სწრაფად გადავიცვი კაბა, გაკოცე შენ და წავედი ხიდისკენ, რომ იქილამ გადავვარდნილიყავ.

"ვერ გეტყვი რა ტანჯვა და რა წამება გამოვიარე, ვიდრე ხიდთან მივიდოდი. წყალში რომ ჩავვარდი, ისე მეგონა სამოთხეში შევედი-მეთქი. მთელს ტანს ცეცხლი მეკიდებოდა. მე ჩავარდნისვე უმალ გონება მიმეხადა. როცა თვალი ავახილე, საკაცეზედ ვიწექ და ხალხი გარს მეხვევოდა. მე საავადმყოფოში წამიყვანეს და მამაჩემთანაც კაცი გაჰგზავნეს. მთელი ორი თთვე საავადმყოფოში ვიყავ, სულ ბოდვაში, თითქმის ჭკვიდამ შევიშალე. ყოველს წუთს ჩემს სიკვდილს მოელოდდნენ. ხომ გესმის, ყოველივე ეს რარიგად შემცვლიდა მე. როცა მორჩენაზედ ვიყავ, ჩემის საქციელისა მე თვითონ მეშინოდა. ჩემს ფიქრში შენ მკვდარი იყავ, იმიტომ რომ შენ გაცივებული იწექ უძრავად... თვითონ შენ მიხვდები, რომ შენს ამბავს არავინ არ მეტყოდა. თუნდ რომ რაიმე იმედიც მქონოდა შენი კარგამყოფობისა, მაინც ყოველივე იმედი უნდა გამქრობოდა, ისე მოვიდა ჩემდა საუბედუროდ საქმე. კროშარს (ხომ გახსოვს, ჩვენსა ხშირად დადიოდა?) იმ უბედურ დღის საღამო ხანზედ თურმე გაევილო შენის სახლის ახლო, ხალხის გროვა ენახა. დრო, არა ჰქონოდა დიდხანს გაჩერებულიყო, მაგრამ მაინც კი გაეგო, რომ ვიღაცა მომკვდარა, თუ ვიღაცას თავი მოუკლავსო; სახლში ვიღაც მკვდარი ენახათ და ხალხი ამაზედ მოგროვილიყო. ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა მქონოდა? არ ვიცი, იტყუა ყოველივე ეს, რომ მე იმედი დამაკარგვინოს და მაიძულოს გათხოვება, თუ რა, - მაგრამ მე კი დავიჯერე მაშინ. მას შემდეგ ჩემს ქვეშაგებთან სულ შენ მეღანდებოდი. მე ბევრი მიტირნია, ბევრი ტანჯვა გამომივლია.

"რა უნდა მექნა მე მარტოს? შენი სიკვდილი მით უფრო მჯეროდა, რომ შენი და ამელი ერთხელაც აღარ მოვიდა ჩვენს სანახავად. ჩემის ამბის შესატყობრადაც არ შემოსულა. მორის, შენ კეთილი გულისა ხარ, შენ იცი, რარიგად მიყვარს ჩემი დედ-მამა. ჩემმა უბედურებამ ისე შეაწუხათ, ისეთ სასოწარკვეთილებაში იყვნენ, რომ ღონე არა მქონდა არ დავმორჩილებიყავ და არ მეთქი: "ბატონი ხართ". მაპატიე, მორის-ჯან, მაპატიე... მე უბრალო ვარ, მე ვარ მსხვერპლი! შენი სახე საუკუნოდ შთაბეჭდილი იქნება ჩემს გულში, მაგრამ რაც მოვალეობა კისრად ავიღე, იგი პატიოსნებით უნდა შევასრულო. მე ჩემს თავს ნებას აღარ მივცემ, რომ შენ გინახულო და თუ შესაძლო არ არის სრულად აღიგავოს ის ერთი შენთან გატარებული საათი გამოუთქმელის სიყვარულისა და ნეტარებისა, მუხლმოდრეკითა გთხოვ, დაივიწყე მაინც... მე გიცნობ, შენ მეტად პატიოსანი კაცი ხარ და ამაზედ უარს არ მეტყვი. თუ ოდესმე ბოროტი ენა ვისიმე მოჰყვება დამტკიცებას, რომ მე საყვარლად გეჯექ მარტო ერთის საათის განმავლობაში, შენ შეჰფიცე, რომ ეგ ტყუილია... აი უკანასკნელი მოწყალება, რომელსაც მე შენგან ვითხოვ, მორის. უბედურად ყოფნა კი შემიდლიან, უნამუსოდ, კი არა. მორის, ფიცი მომეც, რომ ყველგან მარტო ამას იტყვი, რომ ოცს ივნისს ღამე მე შენთან არა ვყოფილვარ, რომ იმ დღეს არც კი გინახვივარ და, მამასადამე, დილითვე გამოვსულვარ შინიდან,

როგორც ყველას ჰგონია, და წყალში გადავარდნილვარ.

“ებლა მე ქმრადა მყავს კაცი, რომელიც მეზიზღება და მძულს. შენ უნდა იცოდე, რომ ფიქრით ყოველთვის შენთანა ვარ, ხოლო მე იმოდენა ღონე კიდევ მაქვს, რომ დავიმორჩილო ეს შენდამი სიყვარული, რომელიც თავის დღეში ჩემს გულში არ გაჰქრება.

“ჩემი ქმარი... გუდარი ძალიან იჭვიანია. ეს მე გამომიცხადა კიდევ და დამპირდა - თვალს არ მოგაშორებ, იცოდეო. მაგისათვის სხვის წიგნის გახსნა და საიდუმლოს გამომჟღავნება უკადრისობა არ არის. ამიტომაც გთხოვ, წიგნი რომ გამოგზავნო ფოტოთ, გამომიგზავნე სესილ ტიუსსოს სახელზე და ზედ დააწერე: "მინამ მოითხოვდეს-თქო".

"მშვიდობით, ჩემო საყვარელო, და შეუნდე მას, რომელსაც ასე ძლიერ უყვარხარ და ასე კი იტანჯება.

"სესილ."

დაბეჭდა ეს წიგნი და ზედ დააწერა: "მორის ფერანს საკუთარს ხელში". მერე აიღო ეს წიგნი, სხვა კანვერტში ჩასდო და დააწერა: "ამელი ფერანს ტერფორტის ქუჩაში. თუ შინ არ იყოს, გთხოვთ გაუგზავნოთ იქ, საცა იმყოფება". ბოლოს ბალიშის ქვეშ დამალა წიგნი. გაიხადა და დაწვა ქვეშაგებში.

როცა დედა მოუვიდა, სესილმა ყოველისფერი უამბო, რაც მოჰხდა. ადელმა აუწყა, რომ მსახურმა მითხრა, წუხელ გუდარი შინ არ ყოფილაო. ეჭვი აიღო სესილმა, რომ გუდარი რაღაც უსიამოვნებას უპირებდა; სთხოვა დედას, მიიღეო სტუმრები, რომელნიც ცოტ-ცოტად იკრიბებოდნენ სასტუმრო ოთახში, და უთხარი, რომ გუდარი ამ ორის საათის წინ წავიდა და დამპირდა თორმეტს საათზე დავბრუნდებო.

მართლაც დაჰკრა თუ არა საათმა თორმეტი, გუდარიც მოვიდა. სესილი წინ მიეგება და უთხრია:

- ხომ ჰხედავთ, რა პირობის კაცია ჩემი ქმარი. ერთი წუთიც არ გადააცილა დაპირებულს ვადას. ეს-ეს არის, ჩემო კარგო, ვამბობდი, რომ თქვენ დილას გახევდით, დამპირდით, რომ, მინამ შენ ტანთ ჩაიცვამ, მეც მოვალო.

გუდარი გაოცდა სესილის გამბედაობაზე. "ხერხიანი დედაკაციაო", იფიქრა და ამაში უფრო მაშინ დარწმუნდა, როცა სესილმა ნაზად ხელი ჩამოართვა და მის მხარზედ მოიხარა თავი.

- ერთი უყურეთ, რა გაგიჟებით უყვარს! - სთქვა ხმადაბლა ტიუსსომ.

დღის განმავლობაში სესილმა დრო იხელთა და მორისთან გასაგზავნი წიგნი ფოტოს ყუთში ჩააგდო. ორ დღეს უკან თითონ წავიდა ფოტოში და სესილ ტიუსსოს სახელზედ წიგნი მიიღო. შინ დაბრუნდა, გახსნა და წაიკითხა შემდეგი:

"ჩემო კარგო სესილ!

"მე შენ მიყვარხარ და შემინდვიხარ, მაგრამ ჩემი სიცოცხლე კი აღარ

იქნება. დედაჩემის საფლავსა ვფიცავ, რომ არავისთან გავამხელ მას, რაც 20-ს ივნისს მოჰხდა. გეფიცები, რომ ყოველს ბოროტს ენას ჩავაჩუმებ.

“მშვიდობით, შენტვის სიკვდილის კერძად გადადებული.

"მორისი".

წიგნი ხელადამ გავარდა, გული ამოუჯდა და მწარედ დაიწყო ტირილი. იგრძნო, რომ ახალი ფათერაკი მოელოდა მომავალში. საწყალს უყვარდა მორისი და წიგნადამ შეიტყო, რომ მორისმა შეუნდო, რადგანაც მიმხვდარიყო, რომ სესილი მსხვერპლია უბედურის გარემოებისა. ცხადი იყო, რომ მორისს უწინდებურად უყვარდა სესილი და თავისი სიყვარულის ღირსადაც აღიარებდა კიდევ. თუმცა თავის მოკვლაზედ ლაპარაკობდა, მაგრამ სესილი იმედოვნებდა, რომ როგორმე დავაშლევინებ ამგვარს განზრახვასაო. ცრემლმა, რომელიც განუწყვეტლივ სდიოდა, ცოტად შეუმსუბუქა გული. დიდი ხანია ადარ ჰქონია გულში ამისთანა ნეტარი გრძნობა.

ჯვარისწერის დღიდან სესილი ინახულებდა ხოლმე გუდარს მარტო სადილობისას. მათი კავშირი ისევ ისეთივე იყო, როგორც წინად. გუდარი ლაპარაკში იხსენიებდა სესილს "შენობით" და სესილი კი გუდარს "თქვენობით". სადილზედ უბრალო რაღაცებზე ლაპარაკობდნენ ხოლმე. მორისის სახელის ხსენებას სესილი ძალიან ერიდებოდა და ეს ამბავი ძალიან უკვირდა გუდარს, რომელიც თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა ცოლს.

გუდარი არც ერთს ღამეს შინ არ დგებოდა და რომ ამ ამბავმა არ მისცეს მოსამსახურეებს მიზეზი ჭორკანაობისა, სესილი ხმამალა ამბობდა ხოლმე, რომ მე ავადმყოფობისაგან მოშლილი ვარ და თავს უნდა გავუფრთხილდეო. ერთის სიტყვით, მშვიდობიანი მყუდროება სუფევდა ამ გესლით მოწამლულ ოჯახში. მაგრამ ბნელი და ჭექა-ქუხილის ჯანღი კი თანდათან ჰმატულობდა და ჰგროვდებოდა.

დავუბრუნდეთ მორისის ამბავს. დისა და მამიდის მოვლამ და პატრონობამ მორისი მალე დააყენა ფეხზედ. მინამ მორისი ტრიელში იყო, ამელი პარიზში წავიდა სამუშაოდ და რა შეიტყო, რომ სესილი გუდარზედ ჯვარს იწერს, უამბო მორისსა. რაკი ასე უსინიდისოდ ახალგაზრდა ქალმა უღალატა ჩემს ძმასო, გაბრაზებულმა ამელიმ გულში განიზრახა თავის დღეში სესილს თვალითაც აღარ ვინახულებო; მორისი მართალს ამბობს, რომ სესილმა გამაბრიყვა და სამაგლად მომატყუაო.

როცა მორისი სრულებით კარგად შეიქმნა, პარიზში წავიდა და ხელახლად თავის საქმეს დაადგა. ეხლა და-ძმა ერთად დადგნენ. სამი პატარა ოთახი ეჭირათ. ამელი ერთი საათი დღეში დაიკლო მუშაობა და ამ საათს ახმარებდა სადილის მზადებასა. იმის მაგიერ, რომ დუქანში ეჭამა პური წინანდელეებრ, მორისი ეხლა სადილად შინ მოდიოდა და თავის დასთან ერთად ისადილებდა ხოლმე. ყველა ეს ამელმა მოახერხა იმის შიშით, რომ მორისს დიდი ცვლილება დაეტყო ავადმყოფობის გამო და ამასთან დიდად შეწუხებული და დაღვრემილი დადიოდა. ამელის ეშინოდა, არა აიტეხოს

რამეო. საწყალი მორისი სულ მუდამ დაფიქრებული იყო და მხოლოდ ხანდისხან გაუღიმიებდა ხოლმე თავის დას, იმ მხნე ახალგაზრდა ქალს, რომელიც თუმცა მორისზე მომცრო იყო, მაგრამ ისე უვლიდა და ჰკატრონობდა, როგორც დედა და არც ერთხელ საყვედურიც არ უთქვამს ძმისათვის, როცა ძმა რაზედმე აიმრიზებოდა და გაჯავრდებოდა ხოლმე.

სესილის წიგნი რომ მოუვიდა, ამელი სამუშაოდ იყო და ელდა ეცა; მაშინვე იცნო სესილის ხელი. ნეტა რა არის ამ წიგნშიო? ჭკვიანი საქმე იქნება, რომ ეს წიგნი ჩემს ძმას მივცეო? არა სჯობია უკანვე გაუხსნელი დავუბრუნოვო სესილს? კინადამ მართლადა უკან არ დაუბრუნა, მაგრამ მორისი შემიტყობს და იწყენსო და ამიტომაც დაიშალა. იმავე დღეს სადილს უკან ძმას სესილზედ ჩამოუგდო ლაპარაკი.

მორისი, ჩვეულებისამებრ, ფანჯრის წინ იდგა ღრმად ჩაფიქრებული. ოცნებამ გაიტაცა მისი სული და გული და წარმოუდგინა ნეტარი ღამე 20 ივნისისა. საყვარელის ქალის სახე, მისი მხურვალე სიტყვები და ალერსი გონებიდამ არა შორდებოდა. ცრემლმორეული, გულამომჯდარი იმ ნეტარს და ბედიწერის წუთს შეჰკვნივსოდა აზრითა და ფიქრითა.

- მორის, - უთხრა ამელიმ. - მე სათქმელი რამა მაქვს შენთან.

მორისმა ვერ გაიგო.

- მე მეტად მძიმე საქმე მაქვს-მეთქი სათქმელი, - განიმეორა ამელიმ, - ხოლო პირობა მომე, რომ გონიერებით მოიქცევი.

მორისი არც კი დაიძრა და ჩუმად რაღაცას დუდუნებდა.

- მორის, მე იმის ამბავი მოგიტანე.

მორისი მაშინვე გამოფხიზლდა, დააკვირვა თვალები დასა, თითქო უნდა გამოიცნოს, მატყუებს თუ არაო, და ჰკითხა:

- იმის ამბავიო? ნუთუ იმასთან იყავი?

- არა, შენ მე ამიკრძალე.

- თუ შეხვდი სადმე?

- არა, მინდა ვთქვა და მეშინია.

მორისი მაშინვე გამოქანდა ფანჯრიდამ და აკანკალებულის ხმით შემოსძახა:

- ამელი, თუ გიყვარდე, ნუღარ მტანჯავ. მითხარი მალე, რაც იცი.

საწყალმა ჭაბუკმა ვედრების ნიშნად გაიწოდა ორივე ხელი ხვეწნითა და მუდარებითა. ამელი, რა ჰნახა, რომ ასე საშინლად აფეთქდა მორისი, ინანა, რომ წიგნი არ დასწვა. ერთმა სესილის ხსენებამ, რომლის სახელიც ამ ორ თთვეში ერთხელაც არ გაუჩემებია, სრულად გამოსცვალა მორისი. იმ წამსვე მორისი შეიქმნა იმ მშვენიერ ჭაბუკად, რომელიც იმ ნეტარს ღამეს ელოდდა სესილს ბასტილის მოედანზედ.

მართლაც, ძალიან მშვენიერი რამ იყო მორისი. ცხრამეტის წლისა, მაღალი, ლამაზად მოსული, წამოსადეგი, ლამაზის მიხვრა-მოხვრითა, სწორედ და სრულებით, საუცხოვო რამ იყო. შავი მოკლე ჯუბა ეცვა და იმავე ფერის დომლული, შავი ყელსახვევი ეხვია და პერანგის თეთრი საყელო ორივე მხრივ გადმოკეცილი ჰქონდა. ხელები, თუმცა მსხვილები, მაგრამ

ძალიან თეთრი ჰქონდა; ზოგიერთგან დამეჭვებულობაც ეტყობოდათ, სჩანდა, რომ ის ხელები მუშაობას ჩვეულ არიან. სახე მისი, როგორც მამაკაცისა, მეტად ლამაზი და მარილიანი იყო, კაცი იფიქრებდა, სწორედ ქალიაო. შავი თვალები, ზემოდამ ლამაზად მოქნილი წაბლისფერი წარბები და წამწამები, რომელნიც მინაზებულს ბრწყინვალეობას თვალისას უფრო მეტს ბრწყინვალეობას აძლევდნენ; სწორე და წმინდა ცხვირი, პატარა ტუჩები, ახლად აშლილი ქერა უღვაში, მოგძო სახე, ქერა თმა და ვარდისფერი ლოყები შეადგენდნენ მის თვალადობას. ყოველისფრით ტურფა რამ იყო, კდეძამოსილი, მორცხვი, როგორც კარგად გაწვრთნილი ბაშვი.

- მორის, ხომ პირობას მაძლევ, რომ გონებიანად მოიქცევი?

- ჰო, ჰო, ოღონდ მალე მითხარ...

- აი წიგნი იმისაგან.

- იმისაგან? - განიმეორა მორისმა და სიხარულით ტუჩებით ზედ დააკვდა წიგნსა.

გახსნა წიგნი და ისე სწრაფად გადაიკითხა, რომ არც კი ამოისუნთქავს, თითქო მწყურვალე დაეწავა განმაცოცხლებელს წყაროსაო. მისი და შიშით თვალს ადევნებდა მის სახის მეტყველებას, რომელიც ელვის უმაღლეს იცვლებოდა ხოლმე იმის მიხედვით, თუ რა გრძნობა ებადებოდა წიგნის კითხვაში. ბოლოს, გაათავა კითხვა და გადმოსქდა ცრემლი თვალთაგან.

- რაო, მორის? - ჰკითხა დამ.

- ჩემო კარგო, ამელი! - უთხრა მან და დაეცა სკამზე ხმამაღლა მტირალი, - ვაი, რა უბედური კაცი ვარ!..

- კარგი, გონებას ნუ დაჰკარგავ, ნუ შემანანებ, რომ ეგ წიგნი მოგიტანე... შენ ხომ დიდი ხანია იცი, რარიგი უმადური და საძაგელი რამ ყოფილა...

მორისი წამოხტა, პირზედ ხელი მიაფარა და შეჰკვივლა:

- ნუ, ნუ იტყვი მაგას, ამელი!.. ჩვენ ყველა არა გვცოდნია... უბედურია ის საწყალი, უბედური.

გაოცებულმა ამელიმ გაიწოდა ხელი. რომ წიგნი გამოართოს, მაგრამ მორისმა არ დაანება. მოიწმინდა ცრემლი, ჩაჯდა სელში და ხელახლად მოჰყვა დადინჯებით წიგნის კითხვასა. იგრძნო, რომ უნდა ამელის ამ წიგნიდამ ზოგიერთი რამ უამბოს, რომ 20 ივნისის ამბავზედ არაფერი გუმანი არ ააღებინოს.

- ვაი, მელი! - უთხრა მორისმა ბოლოს, - სწორედ იმ დროს, როცა მე თავი მოვიწამლე, სესილი გაქცეულა და წყალში გადავარდნილა.

- ეგ საიდან იცი?

- წიგნიდამ შევიტყე. რაღაც სასწაულით გადაურჩენიათ, წაუყვანიათ საავადმყოფოში და იქ ორი თთვე ავადმყოფი წოლილა. როცა გონზედ მოსულა, უკითხვიარ და უთქვამთ, რომ მკვდარი ვარ. მხოლოდ გუშინ გაუგია, რომ მე კიდევ ცოცხალი ვარ.

- არა მჯერა.

- თვითონ იწერება. მწერს, რომ უფრო იმით დავიჯერე შენი სიკვდილიო, რომ ამელიმ აღარა მნახა და გარდა ამისა ერთმა ჩვენმა

ნათესავმა გვიამბო, რომ იმ სახლში, საცა მე ვიდევ, იმ დღეს ვილაცა მოეკლათო, თუ თვითონ ვილასაც მოეკლა თავიო.

- სხვას რასა გწერს?

- ქმარი შევირთე და აღარ უნდა მინახულოო. საწყალს ბევრი ტანჯვა გამოუვლია და, რასაკვირველია, მე არ ვინდომებ, რომ ტანჯვას ტანჯვა მოვუმატო. ეს კი მენატრება ვიცოდე, მართლა მომხდარა რამე სწორედ იმ დღეს იმ სახლში, საცა მე ვიდევ, თუ ეგ, რასაც იწერება, ახალი ტყუილია, მოგონილი მის შინაურთაგან, რომ საწყალი მოატყუნონ.

- მითხარი, როგორ მოვიქცე, - ჰკითხა სწრაფად ამელიმ, ყოველთვის მზადმყოფმა, რომ ძმას მოეხმაროს, - თუ გინდა მე წავალ სესილთან და თვითონ გამოვკითხავ ყოველისფერს დაწვრილებით.

- ნუ, ნუ, - უპასუხა მორისმა მძიმეს ამოხვრით, - ჩვენ ეხლა სესილი ფიქრშია აღარ უნდა გვქონდეს. იგი ჩვენთვის მკვდარია.

- თვითონ ითხოვს მაგასა?

მორისმა ამაზე პასუხი არ გასცა და განაგრძო.

- მე მინდა, ჩემო მელი, რომ შენ წახვიდე, თუ შეიძლება, ხვალვე ლაკუეს ქუჩაში და შემიტყო, რა ამბავი მომხდარა იქ.

- ძალიან კარგი, წავალ.

გვიან იყო, ამელი ჭურჭელის მისალაგებლად წავიდა და მორისმა კი კიდევ ერთხელ გადიკითხა წიგნი და პასუხად მისწერა ის, რაც ჩვენ ვიცით. მერე გამოეთხოვა დას და წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. მთელი ღამე თვალზედ ძილი არ მოსვლია, ხან ერთს გვერდზედ მიეგდებოდა ქვეშაგებზედ, ხან მეორეზედ, სტიროდა და ჰკოცნიდა ძვირფასს წიგნსა. მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

მეორე დილას სესილის წიგნი თან წაიღო მორისმა ქარხანაში და იქ შეინახა. ეშინოდა, რომ ვაითუ ჩემი და ცნობისმოყვარეობამ შეიპყროს, წიგნი იპოვნოს და წაიკითხოსო. მერე, როცა მოვალ, ვეტყვი, რომ წიგნი დავწვი, ერთი ათიოდ დღე რომ გაივლის, დაავიწყდება ყველაფერი და მაშინ მოვიტან ისევ და ჩემს ყუთში შევინახავო, რადგანაც მართლა დაწვა და დახვევა წიგნისა არას გზით არ უნდოდა.

სადილზედ ამელიმ უამბო, რომ ვიყავი ლაკუეს ქუჩაშიო, მართლა 20-ს ივნისს ღამეს სწორედ მორისის ოთახის პირდაპირ ერთი ქალი მკვდარი ეპოვნათო. ზოგნი ამბობდნენ, რომ თვითონ მოეკლა თავი, ზოგი - მოუწამლავთო, ზოგმა კიდევ - გულის ფრიალმა მოკლაო. ერთის სიტყვით, ამ ამბავმა მთელი უბანი ფეხზედ დააყენა. მარტო მეორე დილით შეეტყვოთ ეს ამბავი, პოლიცია მოსულიყო, ხალხი შეყრილიყო და საწყალი მკვდარი წაეღოთ და მორგში¹ დაესვენათ. სხვა ამაზედ მეტი ამ საიდუმლო ისტორიისა არავინ არა იცის-რაო.

- აი ხომ ხედავ, მორის, - უთხრა ამელი, - ერთი ბეწო რომ გარჯილიყვნენ, ადვილად შეეძლოთ შეეტყვოთ, რომ ლაკუეს ქუჩაში ქალია

¹ მორგი ერთი სახლია, საცა უპატრონო მკავდრებს დაასვენებენ ხოლმე, ვიდრე მკვდრის ვინაობას შეიტყობენ.

მკვდარი და არა მამაკაცი. მე სესილს არ ვამტყუნებ, ავადმყოფი იყო, თითქმის ჭკუიდან შეშლილი მწუხარებისა და ტკივილებისაგან. ხოლო მისმა შინაურებმა დაგიგეს თქვენ ორივეს მახე.

მორისმა ხმა არ გასცა. ჩაჰკიდა თავი და ღრმა ფიქრებში წავიდა. ცხადი იყო, რომ ბედი ხელს არ უწყობდა არც ამას და არც სესილსა.

- არავისი ბრალი არ არის, - სთქვა ბოლოს მორისმა, - ეგ ჩემის ბედის საქმეა. მე რაღაც წყევა-კრულვა მდევს.

მეორეს დღეს დილას, გათენებისას ვიღაცამ დაურაკუნა გარეთი კარი მათის სადგომისა. მორისი წამოვარდა ქვეშაგებიდან პერანგა, მივარდა კარებსა და იკითხა:

- ვინა ხარ?

- კანონის სახელით, გააღეთ!

- ვაიმე, ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია ჩემს თავს? - დაიძახა ელდაცემულმა ამელიმ თავის ოთახიდან.

მორისმა გაოცებით გააღო კარები. ოთახში შემოვიდნენ პოლიციის კამისარი და ორი მოხელე.

- მორის ფერანი რომელია? - იკითხა კამისარმა.

- მე ვარ, - უპასუხა ყმაწვილმა აკანკალებული ხმით.

- კანონის სახელითა, თქვენ უნდა დაგიჭიროთ.

ნაწილი მეორე

კაცისკვლა

I

რა მოჰხდა ლაკუეს ქუჩაში 20-ს ივნისს

დავიწყით იმ დღიდან, როცა პირველად იყო დანიშნული სესილის ჯვარისწერის დღე. რომელიც გააუქმა სესილის თავის მოკვლის განზრახვამა. სადამოს ექვს საათზე აუარებელი ხალხი იდგა ლაკუეს ქუჩაში სწორედ იმ სახლის პირდაპირ, რომელშიაც წინა დღეს ღამე გაატარეს მორისმა და სესილმა. უკვე ხალხი ჰლაპარაკობდა, რომ ამ პატარა ღამაზს სახლში მოუკლავთ ვიღაც საიდუმლოებით გარემოცული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ამ უბანში არავინ არ იცნობდაო. იგი ეპოვნათ საწოლს ოთახში მკვდარი. ზოგი ამბობდა - ხელით არის დამრჩვალის, ზოგი, - მოწამლულიაო.

- დღეს ქალებს ბედი არ შეჰწევთ, - სთქვა ხალხში ჩვენმა ნაცნობმა შადიმ, - დილას ერთი ჩავარდა წყალში, მეორე კიდევ სადამოზედ მკვდარი იპოვეს.

ნეტა ეხლა რიგი ვისია? მერე ორივე ისეთი ლამაზები არიან.

- აა, თქვენ იცნობდით? იცნობდით განა? - ყოველ მხრიდამ დაიძახეს.

- მე ვიცნობდი. არ ვიცი, როგორ შეიძლება არ იცოდეს კაცმა ლამაზი ქალი, თქვენთან ერთს უბანში მცხოვრები. ყოველთვის, როცა კი შევხვედრივარ, ეტლიდამ რომ ჩამოხტებოდა ხოლმე, ტუჩებს ვილოკდი და ვამბობდი: "აი, ამისთანა რომ ხელში არ მომხვდება ხოლმე!" ქერა ქალი, მაღალი, ოცდახუთის თუ ოცდაათის წლისა, გაფარფარებით მოკაზმული, მშვენიერის თვალებით, პაწია ხელებით, ასე რომ იმისი ორი ხელი ჩემს ერთს ხელში დაეტეოდა, საოცარი რამ იყო. მარტო იდგა. ამბობდნენ, რომ ამ სახლში მარტო დანიშნულს დღეს მოდიოდა ერთის ვაჟბატონის სანახავადაო. მოსამსახურე გოგო მარტო კვირაში ორჯელ თურმე მოდიოდა ოთახის დასალაგებლად და ძალიან იშვიათად ხედავდა ხოლმე იმ მშვენიერებას. აი ეკატერინე, ჩვენის გუდენის ცოლი, ეგ დადიოდა კვირაში ორჯელ და ოთახს ულაგებდა. ეკატერინე რომ შესულა საწოლს ოთახში დასალაგებლად, ის ლამაზი ქალი მკვდარი უნახავს.

- ამბობენ, ზედ თითქმის არა სცმია რაო, - შენიშნა ერთმა ტანად დაბალმა დედაკაცმა.

- მაშ არა-და! ისე შიშველი ყოფილა, როგორც ევა. ვაი რომ მე არ მიმიწვიეს, როცა ჰსინჯავდნენ.

ამ დროს ეტლი მოადგა კარს და ხალხმა გზა მისცა.

- კამისარია, - სთქვა შადიმ.

მართლაც, ეტლიდამ გადმოვიდა პოლიციის კამისარი და თან სამი ჩუმი-მამიებელი მოეყვანა. კარი დაარაკუნა; მაშინვე კარი გაუღეს. კამისარი და ჩუმი-მამიებელნი შევიდნენ და კარი ისევ მოხურეს. უქმი, ცნობისმოყვარე ხალხი სახტად დარჩა, თუმცა კი იწევდნენ შესვლისათვის.

- თქვენ ხართ აქაურობის მეთვალყურე და ოთახების დამლაგებელი? - ჰკითხა კომისარმა დედაკაცს, რომელმაც კარი გაუღო.

- დიალ. ბატონო კამისარო.

- თქვენ დღეს მოხვედით ჩვეულებისამებრ?

- დიალ, ბატონო. ყოველს პარასკევს ქალბატონი მობძანდებოდა ხოლმე აქ და შაბათის თორმეტ საათამდე აქა რჩებოდა. მე თითქმის ორ საათზედ მოვიდოდი ხოლმე და ავალაგებდი ოთახს.

- დღეს რამდენს საათზედ მოხვედით?

- ხუთი საათი იქნებოდა, თუ ცოტა მეტ-ნაკლები.

- და ქალბატონი მკვდარი დაგხვდათ.

- დიალ.

- რო შემოხვედით, აქ არაფერი არეულობა არა შეგიმცნევიათ რა?

- სულ არაფერი.

- კარი დაკეტილი იყო?

- დიალ, კლიტით და გასაღები კი კლიტეში არ იყო.

- ისევ იმ ყოფაშია აქაურობა, როგორც დაგხვდათ, თუ ხელი ახლეთ რასმეს?

- ოჰ, ბატონო კამისარო! რაკი მკვდარი ვნახე, რაღა მაგისი მცხელოდა, გამოვვარდი მაშინვე ოთახიდან და შიშით ველარ შემოვდი... ქმარი თქვენთან გამოვგზავნე და თქვენს მოსვლამდე სულ აქ ვიჯექ.

- ძალიან კარგი, აბა გაგვიძეხით.

- ის ოთახი გაჩვენოთ? - ჰკითხა კანკალით დედაკაცმა.

- დიაღ.

- მობძანდით, - უთხრა დედაკაცმა, ანიშნა კიბე და თითონ კი ჩამოეცალა და გზა მისცა პოლიციის მოხელეებს.

ავიდნენ მეორე სართულში; იქ სულ ბნელოდა. ფანჯრებზე მძიმე ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა, ასე რომ ნათელი არსაიდან შემოდოდა. ოთახში იმოდენა სინათლე იყო, რომ ძლივს გაირჩევოდა მკვდარი გვამი, თეთრად გამომშუქარი შავ დათვის ტყავზედ.

კამისარის ბძანებით ფანჯრები დააღეს, მაგრამ მაშინვე კი ისევ დახურეს, რადგანაც გარედამ ხმაურობა ხალხისა ისმოდა. კომისარმა უბძანა ერთს მოხელეს ოქმი შეედგინა ყოველ იმისი, რაც აქ შეიტყეს. იმ ოთახში, საცა მკვდარი იყო, უკანა კედელთან დიდი საწოლი, ხარატით ნაკეთი ტახტი იდგა შავის ხისა, განიერი, თითქმის ჩორსო, ტახტს ზემოდამ კარავი ჰქონდა შეკრული ცისფერის აბრეშუმისა და ლამაზი ბოძები ედგა. ტახტზე ასასვლელად სამსაფეხურიანი კიბე იყო, დაფენილი შავი დათვის ტყავითა. ტახტი ორი ფანჯრის პირდაპირ იყო, ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ. ფანჯრებ შუა მაგიდა იდგა და ზედ ეწყო სხვადასხვა ავეჯი სადაფისა: სავარცხლები, ფრჩხილისა და კბილის საწმენდი და მაკრატლები, ამათ დაჰყურებდა დიდი ვენეციანური სარკე, ცოტად გადმოხრილი ზემიდან, ასე რომ მკვდარი შიგ ჩანდა. ყოველ კუთხეში თითო საჯდომი იდგა ლაჟვარდის აბრეშუმით გადაკრული. შუა ოთახში პატარა მაგიდა იყო, ზედ იდგა ორი მამპანიურ ღვინის სასმელი ჭიქა და ორი ცარიელი ბოთლი.

ცხადი იყო, რომ დაწოლის წინად საწყალს მსხვერპლს ეჭამა შაქრის პური და ხილი, რადგანაც ნაჭამი თეფშებზედ დარჩენილიყო. გრძელ სელზედ გადაფენილი იყო ორი ბატისტის კაბა დიდის შლეიფებითა, გძელი ლაჟვარდი აბრეშუმის სადილაო იუბკა დიდის შლეიფით მორთული, და მჭვირვალე იმავ ფერის მაღალყელიანი აბრეშუმის წინდები. სკამთან ეყარა ლაჟვარდი აბრეშუმის წვივსაკრავი და პაწია, თითქო ბავშვის წულები. ტახტის მოაჯირზედ გადაკიდებული იყო ძალიან წმინდა ბატისტის პერანგი მდიდრად ნაკერი.

პოლიციის მოხელეებმა რა გასინჯეს იქაურობა და დარწმუნდნენ, რომ ყველა თავის რიგზეა, მოუბრუნდნენ მკვდარსა და შეჰკრთნენ აღტაცებისა გამო.

მკვდარი, სრულებით გამიშვლებული, ეგდო თავდაყირა ტახტის კიბის საფეხურებზედ, ამასთან მისი სითეთრე სწორედ ნათელსა ჰგვანდა დათვის შავს ტყავზედ მოფენილს. ფეხები ზემო საფეხურზე ედო და თავი კი ძირს ცოტად მოხრილს ხელზედ და მშვენიერს ქერა თმებზედ ესვენა; მეორე ხელით კი ინსტიკტით კდემამოსილი სანახაობა მიეღო. ვერც ერთი მხატვარი

ამაზედ უმშვენიერესად ვერ გამოხატავდა მძინარე ნიმფასა.

მსხვერპლი ამ დაფარულის ავკაცობისა იყო სიტურფის სრულეზი.

რაც საჭირო იყო, ჩასწერეს ოქმში და კამისარმა დაუწყო ლოდინი ექიმს სიკვდილის მიზეზის აღმოსაჩენად. ამ ლოდინში, უსაქმურობით, დაუწყო სინჯვა ტანს მკვდრისას და ვერაფერი გარეგანი ნიშანი ვერ იპოვა. სახესაც კი არ დასჩნეოდა არაფერი რამ მტკივნეულობის ნიშანი. პირიქით, ზედ ტუჩებზედ ღიმილი შეჰკვდომოდა, თითქო ის მშვენიერი ქალი ტკბილს სიზმარში ყოფილა და ისე მომკვდარაო.

- ხომ არ გინახავთ ის, ვინც უკანასკნელ დროს ამ უბედურთან ყოფილა? - ჰკითხა კამისარმა მოსამსახურე დედაკაცს.

არ მინახავს.

- ხომ არ იცით, ვინ დადიოდა ხოლმე ამ ქალთან?

- არ ვიცი.

- ნახეთ კი, რომ ქალთან მოვიდა ვინმე?

- დიად, ორი კაცი ვნახე, ისიც შორიდა. ასე რომ სახე ვერ გავუსინჯე.

- მაინც აგვიჩერეთ, როგორები იყვნენ.

- ერთი ყმაწვილი კაცი იყო, მეორე კი პატრი.

- ჰოო!.. - სთქვა და ტუჩი აიჭიმა კამისარმა, - იქნება ერთი იმათგანი პატრი კი არ იყო და პატრის ტანისამოსი კი ეცვა,

- შეიძლება; მე სახე არ მინახავს.

- ამ ქალს ამ უბანში მცნობი ხომ არა ჰყვანდა ვინმე?

- არა.

- ერთი რიგიანი გამოძიება უნდა, რომ შევიტყოთ, ხომ არავის უნახავს ეს ქალი გუშინ საღამოს, და თუ უნახავს, მარტო ჰნახეს, თუ თან სხვაც მოსდევდა ვინმე, - შენიშნა კამისარმა და მერე ისევ დედაკაცს ჰკითხა:

- ამ სახლებს სარდაფი აქვს?

- დიად.

- ეს ღვინო იქიდან არის? - ჰკითხა კამისარმა და თითოთ ანიშნა მაგიდაზე ცარიელი ბოთლები.

- არა. სარდაფში ჩვენ ღვინოს არ ვინახავდით, ერთხელ ქალბატონს მოუტანეს რამდენიმე ბოთლი ბორდოს ღვინითა და მიბმანა, ბიჭების ოთახში დადგო.

- ეგ ღვინო იქნება რკინისგზით მოუვიდა და თქვენ გამო მგზავნელის ადრესი დაგრჩათ?

- არა, ბატონო, თვითონ ქალბატონმა მოიტანა თან ეტლითა. მერე ჩემმა ქმარმა, - კაი მცოდნეა ღვინისა, - მითხრა, რომ პრობკაზედ ეტყობა, თითო ბოთლი ხუთმეტი ფრანკი მაინც უნდა ჰღირდესო.

- რასაკვირველია, გეცოდინებათ სახელი და გვარი თქვენის ქალბატონისა.

- ეს სახლი იქირავა მარტო ლეას სახელითა. თთვეში ორჯელ წიგნი მოსდიოდა ხოლმე და ზედ ასე ეწერა: ელლა მედანსაო.

- საილამ მოსდიოდა?

- გერმანიიდან და პრუსიიდან.

- სულ ყველა წიგნები?
- სულ ყველა.
- სწორედ თვეში ორჯელ მოსდიოდა ხოლმე?
- თითქმის ყოველს ორ კვირას.
- ხორაგის მსყიდველი ხომ არა ჰყვანდა ვინმე ცალკე კაცი?
- არა, სულ მე ვყიდულობდი ხოლმე ნაღდს ფულზედ. ნებასაც არ იძლეოდა, რომ სხვას ვისმეს ამოეტანა აქ რამე, სულ მე ვეზიდებოდი.
- სხვა ხომ არა იცით რა კიდევ?
- სრულებით არაფერი. აი მთელი ორი საათია და შიშით კიდევ გონზედ ვერ მოვსულვარ. აქ არავინ არ მოდიოდა, მტერი არავინა ჰყვანდა. იმოდენად კეთილი იყო. რამოდენადაც ლამაზი, მერე ძალიან გულუხვიცა.
- ხომ არ იცით: აქვს რამე აქ ნივთეულობა, ანუ ფულის რამე ქალაღები?
- არ ვიცი.
კამისარი დააკვირდა მკვდარსა, გაუსინჯა ხელები და ყურები და ჰკითხა:
- საყურეს ატარებდა?
- დიად, ხანდისხან. მე მინახავს ზედ მდიდრული ბრილიანტის საყურეები, მაგრამ ყოველთვის კი არა.
- ბეჭდებს?
- უფრო ხშირად.
- მაგაზედ ადვილად დარწმუნდება კაცი, - სთქვა ერთმა პოლიციის მოხელემ, რომელიც ყოველს კუთხეში დაფუსფუსებდა და სჩხრეკდა. ხელები გაუსინჯა მკვდარს და დაუმატა:
- სამი ბეჭედი ჰქონია: ერთი ერთს ხელზედ და ორი მეორეზედ. თითებზედ ეტყობა.
- ძალიან კარგი; მაშ აშკარაა, მოკვლის მიზეზი ქურდობა ყოფილა.
- უეჭველად, ქურდი კი ძალიან მცოდნე ყოფილა აქაურობისა და ძალიან ფრთხილიცა. უყურეთ, რაც ყუთებია, სულ ხელახლად დაუკეტნია.
- რამე ვერცხლეულობა გქონდათ? - ჰკითხა კამისარმა დედაკაცს.
- გვქონდა.
- აბა ნახეთ, ყველა თავის ადგილას არის?
დედაკაცი გაიქცა სასადილო ოთახში და ისევ მალე შემობრუნდა.
- ვერცხლეულობა თავის ადგილას არის. ხელიც არ უხლიათ, - უთხრა დედაკაცმა.
მაშინ კამისარმა უთხრა პოლიციის მოხელეს:
- ბოივე, იარაღი რამა გაქვთ?
- დიად, ბატონო კამისარო.
- მაშ, აბა დააღეთ ყუთები!
ბოივე შეუდგა ბძანების აღსრულებას. გააღო ყველაფერი, მარტო შკაფშილა თეთრეულობა იპოვნა.
ამასობაში ექიმიც მოვიდა. ძალიან ბეჯითად გასინჯა მკვდარი და გამოაცხადა, რომ საწამლავს მოუკლავსო. ეს უსათუოდ ასე ყოფილაო: ქალი ქვეშაგებში წოლილა, საწამლავისაგან მძიმე ტკივილებით შეწუხებული

გადმოგორებულია ცოცხალ-მკვდარი ქვეშაგებიდამ ძირს და აქ დაუძინია საუკუნოს ძილითა. ექიმის აზრით, ქალს თითონ მოუწამლავს თავიო და კამისარც დაეთანხმა. ქალს რომ გული შერჩენოდა, უსათუოდ, ჯერ დამთვრალა და მერე მიუღია ერთი იმ საწამლავთაგანო, რომელიც უცნაურს სიზმრებ-შორის კაცს სულს დააღვეინებს ხოლმე. მკვდრის სახეზედ სულთაბრძოლას მარტო სასიამოვნო ბეჭედი დაემჩნია.

- სწორედ ეგრე იქნება. ერთი რაღაც ახირებულის თვისებისა იქნებოდა, მოუვიდოდა ჟინი, მიიღებდა საწამლავს და ტკბილს სიზმრებში დაღვედა სულს.

პოლიციის აგენტი ბოიე ტანში გასწორებული იდგა და უღვაშებს იკვნეტდა ღრმა ფიქრებში წასული.

- თქვენ როგორ გგონიათ, ბოიევ? - ჰკითხა კამისარმა,

ბოიემ ხმაამოუღებლივ თავი გაიქნივ-გამოიქნია.

- თქვენა გგონიათ, რომ სხვას მოუწამლავს და ისე მოუკლავს? - ჰკითხა ექიმმა.

- სწორედ, - უთხრა ბოიემ ცოტა მოფიქრების შემდეგ.

- რა საბუთით ჰფიქრობთ მაგას?

ბოიემ ხმა არ გასცა, დაიწყო სიარული ოთახში, თვალგაფაციცებით დასინჯა ყოველივე კუთხე. მერე მობრუნდა და უთხრა კამისარს და ექიმს:

- ეხლავ მოგახსენებთ, რადაცა მგონია, რომ ეს ქალი სხვისაგან არის მკვდარი. ოგიუსტ, ჩაწერეთ ჩემი სიტყვები. ბატონო ექიმო, თქვენ რა გზითა ხსნით იმ გარემოებას, რომ ლამაზი საუცხოო მოდის ქალი თავს იკლავს ეგრე გაშიშვლებული?

- იმ გზით, რომ გუშინ საშინლად ცხელოდა. საღამოს ჭექა-ქუხილიც იყო.

ბოიემ მხრები აიჭიმა, ანიშნა ჯოხით პერანგი, ტახტის მოაჯირზედ გადაკიდებული, და განაგრძო:

- ამ აბლაბუდესაგან კაცს არ დასცხება. ამაში მე ვხედავ უსირცხვილო საქციელს ამ ქალისას და სხვას არასფერს. ქვეშაგებზედ ატყვია, საცა წოლილა და ბალიშზედაც - საცა თავი სდებია. ნიშნები მთლად არიან დარჩენილნი. გვერდით, როგორც ქვეშაგებზედ, ისეც ბალიშზედ ატყვია, რომ სხვაც წოლილა. აბა გაისარჯეთ, ბატონო ექიმო, და უსუნეთ ბალიშს. ბალიშზედ იმისთანავე სურნელი სუნი უდის, როგორც ქალის თმებსა, ხოლო მეორე ბალიშს კი, რომელზედაც სხვას სდებია თავი, სხვა სურნელი სუნია. აშკარაა, ამ ქვეშაგებში ორნი წოლილან.

- შეიძლება.

- უეჭველად. მაგიდასთან არავინ მჯდარა ხილისა და შაქრის პურის საჭმელად, რადგანაც აქ მაგიდასთან სკამი არსად არის. სჩანს უსვამთ და უჭამიათ მწოლარეებს. მაგიდა დათვის ტყავზედ მდგარა და იქით მიუდგამთ სწორედ იმ დროს, როცა ქალს გონება დაჰკარგვია და უგონოდ ქმნილი მომაკვდავი გადმოცურებულია ძირს; აქ ძილი მოჰრევია, მიუღია რა ვნების ამშლელი სანახაობა. ქალი არ დაცემულა კი, განგებ ჩამოწოლილა ისე, რომ უფრო სპეტაკად და უფრო მშვენივრად დანახვებოდა მას, ვინც საყვარლად

ჰყოლია და ვინც არის ამ ქალის მკვლელი... აბა ეხლა გასინჯეთ ჭიქები, რამდენიმე წვეთი ძირში დარჩენილის შამპანიური ღვინისა ერთში წმინდაა, მეორეში მღვრიე, ძირში რაღაც თხლესავით ეტყობა. ერთი ამ ორ ბოთლში მოწამლული ყოფილა. მკვლელს, უსათუოდ, ერთი ბოთლი ქალისთვის მიუჩემებია, მეორე თავისათვის დაუდგამს. უკანასკნელი ნაძირალი თვითონ ბოთლიდამ არის დაღუული. აგურის ფერს ლაქაზედ ბოთლის პირას ეტყობა ტუჩების მიკარების ნიშანი... ბოთლში, რომელშიაც წმინდა შამპანიური მდგარა, ნახევარი ჭიქა ღვინო კიდევ არის, მეორეში კი წვეთიც არ დარჩენილა. აშკარაა, მოწამლულის ბოთლის მონარჩენი ბუხარში გადუღვრიათ. აი ნახეთ, ნაცარი სველია. ამ ქალს ყურებში საყურეები ჰქონია და ხელეზზე ბეჭდები. ერთისგან და მეორისაგანაც ცხადი ნიშნებია. აბა, ბატონო ექიმო, კიდევ გგონიათ, რომ ქალს თვითონ მოუკლავს თავი?

ექიმი ბეჯითად უგდებდა ყურს ბოიეს ნათქვამს, მაგრამ მაინც კიდევ ემძიმებოდა თავის აზრის გამოთქმა.

- ეს ქალი რომ სხვისაგან არის მკვდარი, მაგას ეჭვი არა აქვს, ქალი საყვარელს მოუკლავს იმ განზრახვით, რომ გაჰჭურდოს. ეგ სულ ერთია - აგრე თავდაყირაა მოკლული, თუ მერე დაუდვიათ ეგრე. ეს კი ცხადია, რომ უტანჯველად მომკვდარა და სრულს ნეტარებაში ყოფილა სიკვდილის დროს. ყოველი ჩვენი ძიებნა უნდა მიიმართოს იმის თუ იმათს მონახვაზედ, რომელნიც ქალს აქ თავისთან მიღებული ჰყოლია. ამ ქალს აქ დროებით ჰქონია ბინა, საცა ინახულებდა ხოლმე თავის საყვარელს თუ საყვარლებსა. ეს სიმდიდრე, მისი ტანისამოსი, ეს საგანგებო თეთრეულობა ცხადად ამტკიცებს, რაგვარი ქალიც ყოფილა ეს უბედური...

ქვევით კარის რაკუნის ხმა მოესმათ. მოსამსახურე დედაკაცმა გაოცებით შეჭხედა პოლიციის მოხელეებს.

- გააღეთ ჩქარა კარი. - უთხრა კამისარმა, - უსათუოდ გამომძიებელია.

დედაკაცი წავიდა და ბოიემ ხელახლად დაიწყო იქაურობას ჩხრეკა. მართლაც, გამომძიებელი მოვიდა და თან მოიყვანა თავისი მდივანი და ერთი კიდევ ვიღაც კაცი. კამისარი მიეგება, წარუდგინა ექიმი და პოლიციის მოხელენი და უამბო, რაც პირველს გამომძიებაზედ შეეტყვოთ და გაეგოთ. მერე გამომძიებელი შეიყვანა იმ ოთახში, საცა მკვდარი იდო.

- მოსჩხრიკეთ ყველაფერი?

- დიალ, მაგრამ ვერა ვიპოვეთ-რა, ყველაფერი წაულიათ, მარტო თეთრეულობაღაა აქ.

- მაშ ქალაღლები ვერა იპოვეთ-რა?

- ვერა.

- მე მომივიდა სამინისტროდამ ქალაღდი და იქ ეწერა, რომ სიკვდილის მიზეზი რაღაც დიდად საჭირო ქალაღლების მოპარვა უნდა იყოსო.

ბოიემ შეხედა ექიმს.

- თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა იმაზე, თუ ვინ არის ეს ქალი?

- განა თქვენთვის კი არ უცნობებიათ? მისი სახელი ელლა კერმედანია, საყოველღეოდ კი ლეა მედანს ემახოდნენ. იგი მდგარა ელისეს მინდვრებზე

ბაიორონის ქუჩაში. ავსტრიის ქვეშევრდომია და დაბადებულია ვენაში... რაც უნდა მოგვივიდეს, დამნაშავე უსათუოდ უნდა ვიპოვოთ! ვის მიანდობთ ამ მძიმე საქმისათვის ძიებას?

- ბოიეს, რომელიც ამ წუთის წინად წარმოგიდგინეთ. მან დაგვიმტკიცა შეურყეველის საბუთებით, რომ ეს ქალო სხვის ხელით არის მოკლული და არა თვითონ მოუკლავს თავი, როგორც ექიმი ჰფიქრობდა.

- ძალიან კარგი. ახლა თქვენ რა გზას დაადგებით, უფალო ბოიე?

- მე ორი თანაშემწე მყავს და ჩვენ სამივე ერთად ამ უბანს გადავაქოთებთ... დედაკაცმა გვითხრა, რომ სარდაფში შამპანიური არა ჰქონიათ და ამიტომაც ჩვენ ყველაზედ უწინარეს ვეცდებით შევიტყოთ, ვისგან და სად უყიდნიათ შამპანიური. აი კიდევ ორი შაქრის პური. ამათს თაობაზედაც მაგასვე ვიქმთ. ამაებს რომ შევიტყობთ, იქნება მკვლელის ნიშნებიც შევიტყოთ. მერე უნდა შევიტყოთ, რამდენს საათზედ მოსულა აქ ეს ქალი, ეტლით თუ ფეხით.

- მე მოგახსენებთ. - უპასუხა მოსამსახურე დედაკაცმა, - წუხელ გვიან მოვიდა. მე ცხრა საათზე სარეცხი მოვიტანე აქ და აქ ჯერ არავინ იყო... ქალბატონი თავის დღეში ეტლით ამ სახლამდე არ მოვიდოდა ხოლმე: ბასტილიის მოედანზედ დააყენებდა და იქიდან ფეხით მოდიოდა.

- ეგ მეტად ძვირფასი ცნობაა ჩვენთვის.

გამომძიებელმა სხვა ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა, მერე ნება მისცა გვამი წაესვენათ მორგში და იქ უნდა გაეჭრათ. უბრძანა, ყველაფერი დაბეჭდონ, რაც სახლშია. სთხოვა კამისარს და მოხელეებს, რომ გულმოდგინედ მოეკიდნენ ამ საქმეს და ყველაფერი, რაც აღმოჩნდება, აცნობონ ხოლმე. წავიდა თუ არა, გვამი გაიტანეს და მორგში წაიღეს. კამისარი და მოხელენიც წავიდნენ.

მარტო ერთი ბოიე იყო, რომ არ უყვარდა საქმე სახვალიოდ გადაედვა და თუმცა გვიან იყო, მაინც შეუდგა ძიებას. აილო ერთი მუჭა ნაცარი ბუხრიდამ, გამოეთხოვა ქუჩაში ამხანაგებს და დაიწყო წანწალი ქუჩებში: იქნება ვიპოვო რამეო, აფთექის წინ რომ გაიარა, დაინახა, რომ კარის მიწაზედ აწერია: "გამოცდილი ქიმიკოსი".

- აი, აქედამვე დავიწყოთ, - სთქვა თავისთავად და შევიდა აფთექში. უამბო, რომ ერთმა კაცმა თავი მოიწამლა და საჭიროა ვიცოდეთ, რომელ საწამლავითაო: აი ესლა ვიპოვე ნიშნადაო, დაუმატა და მიაწოდა ქალადში გახვეული ნაცარი.

ქიმიკოსმა გასინჯა და სთქვა. რომ ამ ნაცრის გამოკვლევას ბევრი დრო უნდაო. ბოიეს ეგონა, რომ უსათუოდ სხვა მიზეზიაო, რომ თავიდან მიშორებსო, ამოიღო და აჩვენა თავისი ბილეთი პოლიციის მოხელეობისა.

- მე უარი არ მომიხსენებია, - უთხრა დასწრობით ქიმიკოსმა, - ხოლო ეს არის, რომ მართლა ამას ბევრი დრო უნდა. საწამლავი უსათუოდ სხვა სასმელში იქნებოდა გარეული და ამიტომაც ამ ნაცარში მეტად მცირედი ნაწილიდა იქნება საწამლავისა.

- შამპანიურ ღვინოში იყო გარეული.

- შამპანიურ ღვინოში? - იკითხა გაოცებით ქიმიკოსმა.

- დიად, ეგრე რად გეოცათ? - ჰკითხა ბოიემ ყურდაცქვეტით.

- დღეს დილით ჩემთან მოვიდნენ და მთხოვეს წამალი საწამლავისა, რომელიც შამპანიურ ღვინოში ყოფილიყო გარეული.

- დღეს დილით? მაშასადამე თქვენ ახლავე შეგიძლიათ გამოიცნოთ, ამ ნაცარში იგივე საწამლავია თუ არა.

- რასაკვირველია. ერთს წუთს მომითმინეთ!

ბებერი ქიმიკოსი შევიდა თავის ლაბორატორიაში და ხუთს წუთს უკან ისევ შემობრუნდა.

- ეს სწორედ იმისთანა საწამლავია, - სთქვა მან.

- ეე!... დღეს მოვიდნენ წამლის სათხოვნელად?

- დიად.

- მერე, მიეცით?

- რა თქმა უნდა, მაშინათვე. გარდა მაგისა, ამ საწამლავს ძალიან ხშირად ჰხმარობენ მას აქეთ, რაც მისი თვისება საქვეყნოდ შეიტყეს. ყმაწვილკაცობა გაუფრთხილებელია... იგი ჰფიქრობს მარტო სიამოვნებაზე და ის კი ავიწყდება, რაც საშიშარია. ტკბილ ამოვნების მწყურვალენი, სიცოცხლეს საფათერაკოდ იხდიან. დილანდელი ამბავი ამის მიზეზით მომხდარიყო. ჩემთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა წამლისათვის, ესე თვრამეტის წლისა, თმაგამლილი და შიშით თავზარდაცემული. მე მგონია, ადრეც მინახავს ის ქალი.

- რაგვარი ქალია?

- მუშა-ქალია. ეგ საწყლები ძალიან ადვილად მიენდობიან ხოლმე გულის წყურვილსა და ჰგონიათ, რომ ერთი წვეთი ამ წამლისა სამყოფია, რომ ტკბილისიზმრებიანი ძილი მოჰგვაროს და მაჰმადის სამოთხე წარმოუდგინოს ისე, რომ უმანკოება არ შეუგინოს.

ბოიე ყურს უგდებდა ქიმიკოსსა, მაგრამ აზრით სხვაგან იყო. გამოჰკითხა ბეჯითად ყოველისფერი, რაც ახალგაზრდა ქალზედ იცოდა ქიმიკოსმა, ჩაწერა ეს ყველაფერი და წამოვიდა.

გზადაგზა უნებურად თავის თავს ელაპარაკებოდა ხმადაბლა:

- ქალის მკვლელი იმ უბანში უნდა იყოს. უსათუოდ თითონაც უნდა დაეღივა შამპანიური მოწამლულ ბოთლიდამ, რომ ეჭვი არ აელო ქალს. თვითონ ძალიან ცოტა დაუღევია, რომ არ მოკვდეს, და შინ რომ მოსულა, თავისი ელდაცემული საყვარელი გაუგზავნია წამლისათვის... ქალი ქიმიკოსთან აღარ მოსულა, სჩანს მკვლელი გადარჩენია საწამლავს... აქ ამ უბანში უნდა ძებნა. ხვალ შევუდგები ძებნას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიპოვით ვაჭრებს, რომელთაც შამპანიური და შაქრის პური გაუყიდნიათ... იმათგან მსყიდველის ნიშნებსაც შევიტყობთ.

ბოიეს უხაროდა ეს ამბავი და ამ ყოფით შინ მივიდა და დაწვა დასამინებლად.

II

რად დაიჭირეს მორისი

ბოიე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მკვლელის პოვნა, უცნაური შეხედულობის კაცი იყო. იგი იყო გპელი, გამხდარი; პატარა ფუსფუსა თვალები ჰქონდა და თავი, როგორც კვერნას, ისე წვეტიანი. თუმცა ოცდაათისა და ბევრი-ბევრი ოცდახუთმეტის წლისა იყო, მაგრამ თავი სრულიად მოტვლეპილი ჰქონდა, მარტო ყურებ-ზემოთ ორიოდ ბალანი ეტყობოდა. ტანისამოსს ძალიან მოკლეს და ვიწროს იცვამდა, ამიტომაც კანჭები და მკლავები, განსაკუთრებით უკანასკნელი, მეტად გრძლად ეჩვენებოდნენ კაცსა.

მეორე დღეს ბოიემ და მისმა ორმა თანაშემწემ მოირბინეს მთელი უბანი და სადამოხედ ერთს დანიშნულს ადგილას შეიყარნენ. თუმცა ბევრსა სცდილიყვნენ, მაგრამ ვერაფერი შეეტყოთ. ბოიეს ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ამბავი. ისევ აქეთ-იქით დაიქსაქსნენ იმ პირობით, რომ ოცდაოთხს საათს შემდეგ იმავე ადგილას თავი მოეყარათ.

მეორეჯერ ყველაზე წინ მოვიდა ამისი ამხანაგი ბორელი. ბოიემ ჰკითხა:

- არის რამე ახალი?

- გახლავთ, ბატონო ბოიე.

- აბა ჩქარა მიაშბეთ.

- მე ვიპოვე მედუქნე, რომლისაგანაც ორი ბოთლი შამპანური ღვინო უყიდნიათ.

- ძალიან კარგი.

- მედუქნეს ჰქვიან ბერარი. დუქანი ლიონის ქუჩაზე აქვს რკინისგზის სადგურის ახლო. შაბათს სადამოს ერთი ყმაწვილი კაცი, ესე ოცის წლისა, ძალიან ფერმკრთალი, თვალად კი გულდადინჯებული, მისულა და უყიდნია ორთ ბოთლი საუკეთესო შამპანური და მიუცია თექვსმეტი ფრანკი. მედუქნეს უთქვამს, ჩემს ბიჭს გაახლებო და ბოთლებს წამოგიღებსო, მაგრამ იმას არ უქნია, საჭირო არ არისო. აქავ ორ ნაბიჯზედ ვდგევარო.

- ნიშნები გამოჰკითხეთ?

- დიაღ, და დაწვრილებითაც ჩავწერე. მანამ მედუქნე სარდაფიდან ღვინოს ამოიტანდა, მედუქნის ცოლს უთვალეირებია ის ყმაწვილი კაცი და ცოლმა მითხრა, ასეთი ლამაზი იყო, რომ თვალი ზედ დამრჩაო, ასე ვიფიქრე, ქალი ხომ არ არის ვაჟურად ჩაცმულიო.

- ჰმ, - წამოიძახა ბოიემ და აცქვიტა ყურები, - ეგ ამბავი საჭიროა დავიხსოვოთ. ვაჟურად ჩაცმული ქალიო... მითამ რა, განა არ შეიძლება? ნიშნები რაღა სთქვა?

- აი, - უპასუხა მოხელემ და ამოიღო აბგიდან რაღაც ფარატინა ქალაღი და მოჰყვა კითხვას ხმამაღლა, - ტანად კარგა მაღალი, კარგად მოყვანილი,

მოხდენილი, ოცის წლისა, შავი მშვიდობიანი თვალები, წარბ-წამწამი წაბლისფერი, ცხვირი სწორე, პატარა პირი, სახით თეთრი, ულვაში ქერა, ქერა გძელი თმები, სანახაობა მშვიდობიანი, ქცევა და მიხრა-მოხრა საგანგებო. ტანსაცმელი: თალხი მაუდის ჯუბა, პერანგი დიდის გადაკეცილის საყელოთი, შავი ყელსახვევი და პატარა რგვალი შლიაპა. უეჭველად იმ უბანში დგას, რადგანაც მედუქნის ცოლის სიტყვით, ხშირად მიდის-მოდის თურმე იმათ ფანჯრების წინ დილით თუ საღამოთი.

- ძალიან კარგი.

ამ დროს ზედ მოადგათ ამათ მესამე ამხანაგიც ოგიუსტი, ბოიემ გულსწრაფობით ჰკითხა:

- აბა, ოგიუსტო, თქვენც იპოვეთ კვალი რამე?

- დიად.

- მაღლობა ღმერთს.

- ბასტილიის და სენტ-ანტუანის შუა რომ მეიდანია, იქ შაქრის პურის დუქანია. შაბათს საღამოს რვა საათზედ ვილასაც უყიდნია იქ ორი გირვანქა შაქრის პური. ისინი, რომელნიც მე ვაჩვენე, იქა ყოფილა თურმე ნაყიდი.

- ძალიან კარგი და მედუქნეს თვალით კი უნახავს მსყიდველი?

- დიად, რადგანაც მსყიდველი დიდხანს ყოყმანობდა თურმე, იყიდოს თუ არა დიდი შაქრის პურიცა სავახშმოდ.

- ნიშნები გამოჰკითხეთ?

- გამოვკითხე, - უთხრა პოლიციის მოხელემ და ამოიღო ამანაც ქალაღი და მოჰყვა კითხვას: - "შაბათს, 20-ს ივნისს, რვა საათი იქნებოდა საღამოსი, X-ის დუქანში ბასტილიის მოედანზედ შესულა ერთი ყმაწვილი კაცი, ესე ოცის წლისა, სწორედ ქალურის სახისა.

- აი, იგი საყურადღებო ნიშანი, - სთქვა ბოიემ, - კარგი, განაგრძეთ!

- ტანად კარგა მაღალი, ძალიან მართებულად ჩაცმული, შავი თვალები, სწორე ცხვირი, პატარა პირი, ულვაში ღია წაბლისფერი, თმა ქერა, სანახაობა მშვიდობიანი. ზედ ეცვა ჯუბა, ჟილეტკა და შალვარი თალხის მაუდისა, შლიაპა რგვალი ეხურა. იგი ჰგავს ან ქარგალსა, ან მოხელესა, კაი ჯამაგირის მქონესა. არ იციან, იმ უბანში ცხოვრებს თუ არა. მედუქნესაგან პირველი ნახვა იყო იმისი.

- ძალიან კარგი, ნიშნები იგივენი არიან. - დაიძახა ბორელმა.

- სწორედ, - სთქვა ბოიემ, - ბორელმა სარდაფი იპოვნა, საცა ორი ბოთლი შამპანური უყიდნია იმ ვაჟბატონსავე. ეხლა ის, ქალია თუ კაცი, ჩვენს ხელშია. დღეს ესეც გვეყოფა; ხვალ კი მოირბინეთ ყველა ახლო-მახლო ქუჩები და მედუქნეებს ჰკითხეთ, ხომ მათგანმა არავინ იცის მაგ ნიშნების კაცი. მე თვითონ ლაკუეს ქუჩას მოვივლი.

- აქავ შევიყაროთ?

- აქავ. მომეცით მე ეგ ნიშნების აღწერილობა. მე დღესვე მოხსენებას მივწერ ბრალმდებელს (პროკურორს), რომელსაც მიხდობილი აქვს ეს საქმე.

ამის შემდეგ ჩუმად-მაძიებელნი დაიშალნენ.

ძლივს ბოიემ ხელში ჩაიგდო საბუთები. უეჭველია, დაფარული მკვლეელი

სწორედ ის უცნაური ქალურის სახის ყმაწვილი კაცი უნდა იყოსო. ეხლა ისღა დარჩენოდა, რომ შეეტყო მისი სახელი და დაეჭირა. რომ კვალი ამ საქმისა არ წაიშალოს და საქმე კარგად წარიმართოს, პოლიციამ ეროხელაც ფეხი აღარ შედგა იმ სახლში, საცა ქალი იყო მოკლული და ხმაც დააგდო, რომ სხვადასხვა გარემოებისა გამო თვითონ საქმეც მოისპოო.

მეორეს დღეს ბოიე წავიდა ლაკუეს ქუჩაში, დაუარა ზოგიერთა სახლების კარის მცველებს და ჰკითხავდა, თქვენს სახლში ხომ არა მდგარა ამა და ამ ნიშნების ყმაწვილი კაციო, რომლის სახელიც და გვარიც როგორღაც გადამავიწყდაო. ამ სახით შემოიარა ექვსი სახლი და ვერსად ვერა გახდარა. მეშვიდე სახლში კარის მცველი არ ყოფილიყო. ბოიე ავიდა კიბეზე თავამდე, მერე ისევ ძირს ჩამოვიდა და ჰფიქრობდა, ნეტა ვისა ვკითხოვო. სწორედ ამ დროს დაბლა სართულში მდგომმა ბაყალმა კარი გააღო და მკვახედ ჰკითხა, რა გინდაო.

- მე ერთს ყმაწვილ კაცს ვეძებ, სახელი კი აღარ მახსოვს, - უპასუხა ჩუმად-მამიებელმა ბოიემ, - მგონი აქ კი დგას.

- ვინ არის?

- არ ვიცი.

- ბიჭოს, კაცს ეძებთ და არ იცით კი, ვინ არის?

- უკაცრაოდ, კარგად ვიცი, - უპასუხა ბოიემ და გამოუცხადა ნიშნები.

- ეგ ახალგაზრდა ბიჭია, რომელიც აი ზემო სართულში დგას; ფერანია გვარად, ბრინჯაოს ქარხნის ქარგალია.

- დიად, სწორედ მაგას ვეძებ. ფერანი ჰქვია... სწორედ ეგ არის, ეგ...

- მორის ფერანი.

- მაშ აქა დგას მესამე სართულში? - განიმეორა ბოიემ და გამობრუნდა, რომ კიბეზედ ხელახლად ავიდეს.

- ეხლა აქ აღარ არის. გადავიდა.

- ნუთუ? როდის?

- ორი დღეა.

- სად გადავიდა?

- მე იმისთვის არ მიკითხავს და იმას კიდევ ჩემთვის არ უთქვამს.

- ნება მომეცით ორიოდ რამ გკითხოთ, - სთქვა ბოიემ და შევიდა გაოცებულ ბაყლის დუქანში.

- მე პოლიციის ჩუმად-მამიებელი ვარ და ვეძებ მორის ფერანსა. მე გთხოვ მიაშბოთ ყოველისფერი, რაც იმაზედ იცით.

ელდაცემულმა ბოიეს სიტყვებითა, ბაყალმა დუქნის უკანა ოთახში შეიყვანა და აჩქარებით უთხრა:

- მე ბევრი არა ვიცი რა. ძალიან ცოტად ვიცნობდი. მაინც მკითხეთ, რა გინდათ და, რაც ვიცი, მოგახსენებთ.

- მორის ფერანი ჰქვიაანად სცხოვრობდა?

- ძალიან, სწორედ ჰქვიაანობის მაგალითი იყო. ყოველ დილას, როცა ქუჩის პირსა ვგვიდი, მე მიწახავს ის მიმავალი სამუშაოდ. ჩემის დუქნის წინ გამოივლიდა ხოლმე.

- ამ სამის დღის წინად გინახავთ?

- სამის დღის წინად... კვირას?... არ მინახავს. უქმე დღეობით გვიან იღვიძებდა და იმ დღეს მარტო საღამოს ოთხს საათზედ ვნახე. მე მითხრეს, რომ სოფლად გავიდაო რამდენიმე ხნით. მეორე დღეს ორშაბათს მისი და მოვიდა, სახლის პატრონს გაუსწორდა და ავეჯი გადიტანა. მგონია, ავეჯი სულ გაყიდა და ძმასთან წავიდა სადღაც სოფელში.

- თქვენ გესმით ხოლმე, როცა ამ კიბეზედ დამე დადიან?

- სრულეობით არა. ჩემი ოთახი სახლის სხვა მხარეზეა და იქ არა ისმის რა.

- ხომ არ იცით, ფერანს ვისთანმე ჰქონდა რაიმე მახლობლობა თუ არა?

- არა, მეტად მშვიდი და მორცხვი ყმაწვილი კაცია. როცა მინახავს, სულ მარტო მინახავს... უსათუოდ, სულ უბრალო საქმეზედ დაეძებენ იმას, თორემ არა მგონია იმას რაიმე ავკაცობა ჩაედინოს.

- სულ უბრალოა, შინაური საქმეა. მაგრამ მარტოც რომ მდგარიყო, საჭმელ-სასმელი ხომ უნდა ეყიდნა სადმე. იქნება იცოდეთ, სადა ჰყიდულობდა, ან ვინ უზიდავდა.

- ბაყალია ამ ქუჩის ყურეში, ის უზიდავდა, - უპასუხა ბაყალმა.

ბოიემ მადლობა უთხრა და წავიდა ქუჩის ყურეს დუქნისაკენ. თვითონ მედუქნე შინ არ დაჰხვდა, ცოლი კი იქ იყო. ცოლმა მიიღო მუმტარი და უთხრა, გვიბძანეთ, რა გნებავსო. მე ჩემს ქმარზედ ნაკლებ არ ვიცი ვაჭრობის საქმეო. ბოიემ ხმადაბლა უთხრა მიზეზი მოსვლისა. პირველს ხანს ქალი შეკრთა, როგორც ყოველი ბურჟუა პოლიციის ხსენებაზედ. მერე კი გაუხარდა კიდევ, რადგანაც ჭორიკანაობა უყვარდა და ეხლა ეძლეოდა შემთხვევა, ეჭორავა რამ მეზობლებზედ. ქალმა მიიწვია ბოიე სასადილო ოთახში.

- აბა რა გნებავთ, მიბძანეთ, - უთხრა ქალმა ბოიეს, როცა მარტოდ დარჩნენ.

- მორის ფერანს იცნობთ?

- მორისსა, აი ლამაზ ბიჭსა, ოცის წლისას, ქერათმიანს, მშვენიერ თვალებიანს, რომელიც ლაკუეს ქუჩაში იდგა?

- დიად.

- რა თქმა უნდა, ვიცნობდი... ხშირად დადიოდა ჩვენთან... ის სწორედ უმანკო ბაშვია. გაწითლდებოდა ხოლმე, როცა თვალებს გავუმტერებდი... განა იმას დაუშავებია რამე? არ დავიჯერებ, არა და არა.

- არაფერი, ქალბატონო, უეცრად გაქრა და ჩვენ ვშიშობთ, ვაითუ აუტეხეს რამე და ამისთვის დავეძებთ.

- ნურას შიშობთ, ბევრი-ბევრი რამ რომ ასტეხოდა, ქალი ვინმე მოიტაცებდა, - უპასუხა ლამაზმა მედუქნის ცოლმა სიცილით.

- უკანასკნელად როდის ნახეთ ის?

- მგონი იმ წუთს, როცა დაიკარგა, - უპასუხა მხიარულად ქალმა.

- მაგითი ვითომ რის თქმა გნებავთ? - ჰკითხა ბოიემ და სმენად გადიქცა.

- მე ვნახე შაბათს საღამოს.

- წარსულს შაბათს?

- დიად. მე თეატრიდამ მოვდიოდი. თან მომდევდა პატარა ბიჭი,

რომელიც ჩემს ქმარს გამოეგზავნა გამოსაცხილებლად. ბასტილიის მოედანზედ ვნახე მორისი. ვიღაც ახალგაზრდა ქალს, ძალიან ლამაზს, გადაჰხვეოდა და ისე მოდიოდა. ასე მხურვალედ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, რომ მე მათს მაყურებელს სისხლი ამიდუღდა. მე თვალი მოვარიდე და დავინახე კი, რომ ორნი მორისის სახლისაკენ წავიდნენ.

- ძლივს!.. მე მაგაზე დარწმუნებული ვიყავ! - დაიძახა გახარებულმა ბოიემ.

ამდენის ძებნის შემდეგ კვალი გამოუჩნდა; ამაზე ეჭვი არაფრისა იყო.

- რომელს საათზედ იყო? - ჰკითხა ბოიემ.

- თორმეტის ნახევარი იქნებოდა.

- სწორეა... თქვენ თვალი მოჰკარით, საიღამ მოვიდა ქალი?

- არა, როცა მე დავინახე, ერთად მოდიოდნენ გადახვეულნი და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. არც კია გასაკვირველი; მორისი ძალიან... იცით? ძალიან ლამაზი ბიჭია.

- ქალი მაინც კარგად გასინჯეთ?

- არც ძალიან კარგად. - მარტო ერთის წუთით ვნახე, როცა სანათურს წინ გამოუარეს: ქალიც საკვირველი ლამაზი რამ იყო. ეტყობოდათ, რომ ერთმანეთის დიდი ტრფიალნი არიან.

- ახალგაზრდა ქალი იყო, ქერათმიანი, შუათანა ტანისა?

- სწორეს ვერ გეტყვით. თქვენც იცით, რომ ბნელაში შავსა და თეთრ თმას კაცი ვერ გაარჩევს.

- ლამაზად იყო ჩაცმული?

- მგონია. აკი მოგახსენებთ, ღამე იყო და ბასტილიის მოედანი კარგად არ არის ხოლმე გაჩაღებული.

- თქვენ მითხარით, რომ ლაკუეს ქუჩისკენ წავიდნენო.

- დიაღ, ჩვენ თვალიღამ მიგვემალნენ, როცა ლაკუეს ქუჩას შეუხვიეს.

- თან გაჰყევით?

- არა. პატარა ბიჭი, ჩემის ქმრისაგან გამოგზავნილი, ჩემთან არა დგას და მე ვთხოვე პატარა გავისეირნოთ ბულვარზედა-მეთქი. მშვენიერი ღამე იყო და ჩვენ დავსხედით მიფარებულს კუთხეში, საცა უფრო ბნელოდა და არავინ დაგვინახავდა.

ამას რომ ამბობდა ლამაზი მედუქნის ცოლი წამოწითლდა; ბოიემ კი ვითომ ვერა შეამჩნია რა, ხელახლად ჰკითხა:

- საკვირველი არ არის... დიდხანს დარჩით ბულვარზედ?

- დიაღ, ორ საათამდე... ძალიან ცხელოდა... ელვა-ქუხილს აპირობდა... თქვენც იცით, ოთახებში...

-- დიაღ, დიაღ, ვიცი.

- ყური ხომ არ მოგიკრავთ, რას ჰლაპარაკობდნენ?

- რამდენსამე სიტყვას... რომელსაც ტრფიალნი ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს... როცა ღამით შინ მოდიან... მორისი ეუბნებოდა: "მე ვიტანჯებო, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიანო". ქალი უპასუხებდა: "მე მიყვარხარო და ნეტავი შენს გულზედ სული დამელიოსო".

- მერე შინიდან გამოსული მორისი არ გინახავთ? ხომ არ გამოუვლია თქვენ წინ მორისსა?

- აბა უცნაური კითხვა ეგ არის! აკი მოგახსენეთ, შინ მიდიოდნენ და ყელთამდე უყვარდათ ერთმანეთი-მეთქი.

- მართალს ბძანებთ. მაღლობელი ვარ. იმ ღამის შემდეგ აღარა გინახავთ მორისი?

- აღარ. მერე ერთხელ იმისი და ვნახე. ამ სამის დღის წინად ჩვენთან მოვიდა თოკების სასყიდლად... მგონი ორშაბათი იყო.

- კიდევ მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო, მაგ ამბებისათვის. ხომ არ იცით, მეგობრები ჰყვანდა ვინმე?

- არ ვიცი.

- მე მგონია, მეტი იქნება, რომ თქვენს პატარა ბიჭსაც გამოვკითხო. რაც თქვენ იცით, იმაზედ მეტი იმას ხომ არა ეცოდინება-რა?

- არა მგონია, - უპასუხა ქალმა და წამოწითლდა.

- მშვიდობით, ბატონო, - უთხრა ბოიემ და გამოვიდა გარედ.

მარტო რომ დარჩა, გაიშინჯა საათი და დაუწყო თავის თავს ლაპარაკია:

- მე მოხსენების დაწერას მოვასწრობ კიდევ. ეხლა მთელი ეს საქმე ისე ცხადია, როგორც ხელისგული. ახალგაზრდა ქარგალს უნახავს ლამაზი ქალი ბრილიანტებში. უნახავს, რომ ის ქალი კვირაში ორჯელ მოდიოდა თავის დროებითს ბინაზედ, რომელიც ქარგლის ოთახის პირდაპირ არის. ქარგალს უფიქრია, ეს ქალი რომ თავის ბრილიანტებით ხელში ჩავიგდო, სამუდამოდ ლუკმა-პურს გავიჩენო. რადგანაც ლამაზია, მალეც გააბამდა ქალს მახეში. უსათუოდ ყოველთვის წინ დახვდებოდა, გაიცნობდა, ერთმანეთის შესაყრელად ქალის სადგურს აირჩევდნენ. ყმაწვილი კაცი მოართმევდა შაქრის პურს და შამანურ ღვინოს, რომელიც თვითონვე უყიდნია რვა საათზედ. ღვინო მოუმზადებია საწამლავით, როგორც რიგია და თერთმეტს საათზედ წასულა, რომ ლამაზს ლეას წინ დახვდებოდა. გადუხვევნიათ ერთმანეთისათვის ხელი და წასულან ლაკუეს ქუჩაში. ქალი თავისთან შესულა და ყმაწვილი კაცი თავის სახლში შებრუნებულა, წამოუღია თავისი სამზადისი, გადმოუჭრია ქუჩა, შესულა ლეას ოთახში და ლეა დახვდებოდა ქვეშაგებში მწოლარე. მაშინვე თვითონაც გვერდით მოსწოლია და სიცილში, მხიარულებაში, ამოვნებაში უსვამთ და უჭამიათ. საწამლავს მალე გაუჭრია და ქალი მომკვდარა ხვევნაში და კოცნაში. მერე აულია, მკვდარი დაუდვია დათვის ტყავზედ, თვითონ გადმოუქოთებია ყუთები და ზანდუკები, რაც ძვირფასი ნივთეულობა ყოფილა, მოუკრებია და წაულია შინ. გულდაჯერებული წასულა, რომ ამ ამბავს მხოლოდ მაშინ შეიტყობენო, როცა ლეას მოსვლის დღე იქნებაო. რადგანაც გოგო მაშინ მოვა ოთახებს დასაწმენდად და დასალაგებლად. რამდენსამე ხანს შემდეგ თვითონაც მოჰკიდებია საწამლავი, რომლისაც, იქნება, წინდაუხედაობით თვითონაც ერთი ყლუპი როგორმე დაუღევია; გაუგზავნია მაშინვე თავისი და წამლისათვის აფთექში. იმისდა საუბედუროდ, იმავ დღესვე კი გამომჟღავნდა ეს ამბავი. აბა, რასაკვირველია, ელდა ეცემოდა და მაშინვე გაქცეულა

პარიზიდან და დისათვის უთქვამს - ავეჯი გადმოიტანეო. ეხლა, როცა საქმის ვითარება ვიცით და მკვლელის სახელიცა, თვითონ იმისი პოვნა ადვილია.

იმავე ღამეს ბოიემ ყველაფერი ეს მოახსენა გამომძიებელს და მეორე დღეს მიიღო ბმანება მორისის დაჭერისა.

სამი თთვის განმავლობაში ამაოდ ეძებდა ბოიე მორისსა და ბოლოს კი მაინც იპოვა მარტო იმის წყალობით, რომ მორისის და თვითონ მოვიდა ლაკუეს ქუჩაში, რომ შეეტყო სესილის წიგნით ნაუწყი ამბავი მასზედ, რომ ვიღაცა მოეკლათ, თუ მომკვდარიყო 20-ს ივნისს ლაკუეს ქუჩაში. მეზობლებმა იცნეს ამელი და შეატყობინეს ბოიეს, რომელიც თან აედევნა ამელის და ამით შეიტყო საცა დგას მორისი. მეორე დილას, როგორც წინადვე ვიცით, ხომ დაიჭირეს კიდევ მორისი.

III

იზა მოედანზედ გამოდის

მეორეს დღეს საღამოზედ, შემდეგ მორისის დაჭერისა, დიდი ბრწყინვალე წვეულება იყო ლამაზ სახლში ოტელიში, რომელიც მთელმა პარიზმა კარგად იცოდა და რომელიც იყო ბულონის ტყის სიახლოვეს. ვარაყიანი ქუჩის მესერი და უშველებელი ზვავი ყვავილებისა შიგ შუა ეზოში გაჩაღებული იყო ჩირაღდნებითა და სხვადასხვაფერ სანათურებითა. შესავალ კარის ორივე მხარეს უშველებელი ხომლები იდგა და თვითონ შესავალ კარზედ შეკრული იყო კარავი ხავერდისა ოქრომკედის ფუნჯებითა. ფანჯრები სახლის ორივე სართულისა, მაღლები და ვიწრონი, ბრწყინავდნენ სინათლითა; ბაღი სახლთ უკან, განათებული სხვადასხვაფეროვან სანათურებითა, სხივოსანს დისკოს ემსგავსებოდა.

ღამის თერთმეტს საათზედ უხვად მორთულს ოთახებში და ბაღის ხეივნებში ბუხსავით ირევოდნენ სტუმრები, რომელთ შორის ნახავდით ყოველ წოდების კაცსა, ხოლო ყველაზედ ბევრნი არტისტები იყვნენ. მრავალი ხალხი გარს დასტრიალებდა პარიზში გამომჩენილს ლამაზს ქალებსა.

ამ ბრწყინვალე გუნდში ორი კაცი დინჯად ერთად დადიოდნენ და დარბაისლობა მოსამართლეებისა ზედ სახეზედ ეწერათ. ერთი იქნებოდა ორმოცდაათისა და მეორე ორმოცის წლისა, უკანასკნელი ძალიან ლამაზი კაცი იყო.

- საყვარელო ამხანაგო, - უთხრა უხუცესმა, - როგორც ეტყობოდა, ამ სახლის შინაური იყო, - მოდი, აი ბექზედ გადავდგეთ და მოვწიოთ, ისა სჯობია. აქ მეტად ცხელა.

- არა, ჩემო პატივცემულო მწრთველო, ერთი კიდევ შემოვიაროთ ეს ოთახები. მე მინდა ერთხელ კიდევ მაინც დავინახო ის ქალი.

- მაგისათვის რამოდენა ხალხში უნდა გავძვრეთ და გამოვძვრეთ, იცით?! მოთმინება იქონიეთ-მეთქი. მე ამას წინად თქვენზედ მელაპარაკებოდა.

- ნეტა რა უნდა ეთქვა ჩემზედ? არც კი მიცნობს.

- თქვენ მეუბნებით, რომ არ მიცნობსო, მაგრამ კვალში კი ჩასდგომიხართ,

უკან დასდევთ, საცა კი მიდის, ანთებულს თვალს არ ამორებთ. როცა ისე უნებლიედ შემოგხედავთ ხოლმე, სახეზე ალი-მული აგდით, წითლდებით როგორც მორცხვი ბაშვი და თუ კაბის შრიალიც მოგესმათ, ჟრჟოლა მოგივლით ხოლმე. თქვენ ამბობთ არ მიცნობსო, ბატონო, და იმას თქვენს მეტი არავინ ახსოვს. ხომ ნახეთ, სასტუმროში რომ მიდიოდა, თვალით ვილაცას დაეძებდა.

- ახლა თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ მე მეძებდა, რაღა?!

- მაგას ექვი არა აქვს... ამ სამის დღის წინად იუსტიციის მინისტრის ბაღში მკითხა თქვენი ვინაობა. მე ვუთხარი, ახალი გამომძიებელია-მეთქი, პუატიედამ, ოსკარ ვერშემონი-მეთქი. მაშინ მკითხა: მგონი მაგას მიანდეს საწყალ ლეა მედანის საქმეო. აი ხომ ხედავთ, ჩემო მეგობარო, სცოდნია, ვინცა ხართ და თქვენზე თვალიც სჭერია კიდეც.

- ჩემზედ კი არა, უფრო საწყალს ლეა მედანზედ, რომელთანაც, ამბობენ, მაგას დიდი მეგობრობა ჰქონია.

- არა მგონია.

- მაგას თავი დავანებოთ. ერთი მითხარით დასასრულ, ვინ არის ეგ ქალი? მე არა ერთხელ მიკითხავს თქვენთვის ეგევე და თქვენ ყოველთვის ამას მეუბნებით სიცილით: "ძალიან დიდი და გავლენიანი ქალიაო და ამაზედ მეტი კიდეც ისაო, რომ მთელს პარიზში მაგას სილამაზით არავინ არა სჯობიაო". მე აქედამ ვერა შევიტყე რა. თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, ვინ არის?

- ძალიან კარგი, მე გეტყვით ყველაფერს, რაც კი მაგ ქალზედ ვიცი, მაგრამ, ღვთის გულისათვის, აქედამ გავიდეთ, თორემ ლამის სიცხემ სული ამომართოს. წავიდეთ, საცა სწევენ, იქ ცოტა ხალხია.

ჩვენმა მეგობრებმა გასწიეს და შევიდნენ ჩიბუხის მოსაწევ ოთახში, რომელიც ბალისაკენ იყო, და მოუკიდეს სიგარებს,

- მე გულახდილად გეტყვით ყველაფერს, - დაიწყო ვერშემონის მოსაუბრემ, - რას აკეთებს ეგ დედაკაცი? არვინ ოცის. მისი ცხოვრება ყველასათვის საიდუმლოა; ყოფაქცევა სამაგალითო და უჩირქო აქვს და მეტად მდიდრულად სცხოვრობს. საიღამა აქვს მაგოდენა ფული? არავინ იცის. იმპერატორის სასახლეში კაი თვალით უყურებენ და ხშირად დაიარება გარეშე საქმეთა სამინისტროში. ხოლო აფიციალურად არსად არ არის მიღებული. აი ნამდვილი. ახლა ჭორებს დაუგდეთ ყური: ამბობენ, რომ გერმანელებისაგან გამოგზავნილი მზვერავიაო, მოლდავანის ქალიაო და არა ჩვენებური და პრუსია ჯამაგირს აძლევსო. ზოგნი ამბობენ, რომ ნაპოლეონისათვის ბევრს ფულებს შოულობდაო, სხვანი ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონის ხასააო და მე კი მგონია, თუმცა ვერ დავამტკიცებ კი, რომ ეს სულ ტყუილი ჭორებია. სახელად ჰქვიან იზა-ჟორჟინა ზინსკა. თავადისშვილის ოჯახისაა. საფრანგეთში მოსულა რამდენიმე წლის წინად. აქ შეურთავს მდიდარი ფინანსისტი ფერნან სეგლენი. ამის გამო ეხლა ის ქვრივი სეგლენია, მაგრამ ყველანი ემახიან "ლამაზი იზა სეგლენ ზინსკაო". ბანკირი სეგლენი, როგორც ყველა ბანკირები, რომელნიც თავადისშვილის

ქალს ირთავენ, გაკუტრდა. მერე მოკვდა კიდეც გიჟების სახლში და ქვრივმა იზამ თავისი მზითევი უკანვე მიიღო. ეხლა ძალიან მდიდარია და ყველას გულახდილად ეუბნება, რომ მინდა შევიყვარო ვინმეო და შერთვით კი არავის შევირთავო. აი ყველაფერი, რაც იმაზედ ვიცოდი და ვიცი... ერთი ეს მითხარით, რაზედ ჩაფიქრდით ეგრე ღრმად?

ყმაწვილმა კაცმა თვალი ბაღს გაუშტერა.

- აჰა, - განაგრძო პირველმა, - რა კარგი ვქენით, რომ აქ შემოვედით. სასტუმრო ოთახებში არა მგონია მივეშვით ვისმე იმის სანახავად, აქ, - ვერა ხედავთ? - თვითონ მოდის ჩვენსკენ, თითქო რაღაც ანდამატი იზიდავსო.

ყმაწვილი კაცი მარდად უკუიქცა ფანჯრიდან, თავი ჩალუნა და გულზედ ხელი წაივლო. თვალი თვალს შეახვედრეს ქალმა და ამან.

- დასწყევლოს ღმერთმა, და თქვენ აღარა ხუმრობთ, მართლა გიყვართ ეგ ქალი. უნდა მივიღოთ რაიმე ზომიერება, თორემ შენი მტერი, - უთხრა სიცილით მეგობარმა.

ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სიყვარულის ცეცხლი ჩაეგდო ვერშემონის გულში, სწორედ ღირსი იყო სიყვარულისა. ქალი მოდიოდა თაყვანისმცემლებით გარს მოხვეული და ბრწყინავდა თავის მომხიბლავის სიტურფითა. თვალად ოცისა თუ ოცდახუთის წლისა იქნებოდა.

რაც უნდა ავწეროთ მისი სიტურფე, მაინც სიტყვით შეუძლებელია გამოხატოს კაცმა მოხდენილობა, მიხვრა-მოხვრა და ყოველივე საგანგებო ღირსება იმ მართლა-და საუცხოვო ქალისა.

ყოვლად მშვენიერი იზა სეგლენ-ზინსკა საგანგებოდ იყო მორთული. ეცვა აბრეშუმის თეთრი, ვიწრო კაბა, ახდილი გულისპირი აჩენდა შუქფენილს გულ-მკერდსა და ყარყატა ბროლის ყელსა და გძელი ხელთათმანი თითქმის იდაყვამდის ფარავდა ხელებს, ისე პაწაწებს, თითქო ბაშვის ხელებიაო. მის სიტურფეს ისეთი ზედმოქმედება ჰქონდა კაცზე, რომ დანახვის უმაღლეს ყველა კაცი აღტაცებით წამოიძახებდა:

- აჰ, რა ლამაზია!

მშვენიერმა იზამ თავისი თვალი ვერშემონის თვალს შეახვედრა. ჟრჟოლამ დაუარა ტანში ვერშემონს, ვერ გაუძლო მის ცეცხლმოკიდებულს თვალს და უნებლიედ ხელიდამ სიგარა გააბდო.

- აბა ეს შემთხვევა ხელიდამ არ გაუშვა, - უთხრა მისმა მეგობარმა, ხელი მოჰკიდა და წაიყვანა იზასკენ, რომელსაც გარს ეხვია აუარებელი ხალხი.

ოსკარ ვერშემონი გაჰყვა ისე, რომ არც კი ესმოდა სად მიდის, ანუ უკეთ ვსთქვათ, სად მიჰყავთ.

მეგობრები რამდენსამე საფეხურზედ ჩამოვიდნენ და გაემართნენ სახლის პატრონისაკენ. ორი ბიჯი აღარ დარჩენოდა იზამდე, რომ ოსკარი უეცრად შეჩერდა, თითქო გაქვავდაო.

- მშვენიერო მასპინძელო, - უთხრა ოსკარის მეგობარმა, - ნება მომეცით მთელი ჩემი აღტაცება გამოვსთქვა. თქვენ უმშვენიერესი, უტურფესი რამა ხართ ქალთა შორის, თქვენ ხართ მნათობი, რომლის გარეშემო ჩვენ ყველანი ვტრიალებთ.

- თქვენც ყველაზე უფრო საყვარელი და სასიამოვნო ხართ მამაკაცთა შორის.

- ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ოსკარ ვერშემონი, ყველაზე უფრო გულმხურვალე თაყვანისმცემელი თქვენი.

- მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ ამ ჩემს უკეთესს მეგობარს და მრჩეველს მატყე დიუტალთან ერთად გნახავდეთ ხოლმე ჩემს სახლში ჩემს დანიშნულ სადამოებზედ.

ახალგაზრდა გამომძიებელს გულმა ფეთქა დაუწყო, როცა იზას მომხიბლავი ღიმილი დაინახა. ისე გაშტერდა, რომ არ იცოდა რა ეთქვა პასუხად და ხმაამოუღებლივ ეჭირა თავის მთრთოლარე ხელში გამოწვდილი მშვენიერი ხელი იზასი.

- მე მაგას უდიდეს... ბედნიერებად დავსახავ, - უთხრა ბოლოს როგორც იყო, - მე არ ვიცი, სხვა მაგაზედ უმაღლესი ნეტარება იქნება რამე კიდევ...

მატიე ღიმილით შეჰყურებდა თავის მორცხვს მეგობარსა და თვალი უყო იზას, თითქო ეუბნებო: "რაო, განა არ გითხარით, რომ გაგიჟებით უყვარხართ-მეთქი".

ამ დროს დარბაზიდან მხიარულის ვალსის ხმა მოვიდა. მატყემ მიზეზად ეს აიღო, რომ თავისი მეგობარი გამოეყვანა იმ ეხერხულ მდგომარეობიდან, რომელიც თითქმის სასაცილოდაც ჰხდოდა.

- გესმით, საყვარელო ოსკარ, ვალსს უკვრენ, - უთხრა მატყემ, - თქვენი ახალი ნაცნობი ვერ ბედავს საცეკვაოდ გაგიწვიოთ, თუმცა თქვენთან ცეკვის სურვილით კი იწვის.

- ბოდიშს ვიხდი; მე ისე გამაშტერა თქვენმა სიტურფემ, რომ მართლა-და ვერ გამიბედნია გთხოვოთ ჩემთან ცეკვა.

- წამოხდით, - უთხრა იზამ და მიაწოდა ხელი.

შევიდნენ საბალო დარბაზში. იზა სიამოვნებით ბრწყინავდა, ოსკარი კი, უნდა ვსთქვათ, გაუბედავად მიდიოდა, მთელი ტანი თრთოდა, თითქო მთვრალიაო, ანუ ციება ამაგმაგებსო. როცა კი დარბაზში მოხვია ხელი მის ლელწამს ტანსა, თავის მხარზე მისი ხელი იგრძნო და თვალთა წინ დაინახა მთელი სიუხვე მის თოვლივით თეთრ გულმკერდისა, გაფითრდა და კინაღამ არ წაიქცა, მაგრამ ძალიან მალე დაიმორჩილა გულის ღელვა, მაგრა მიიკრა გულზედ იზა, თვალი თვალში გაუყარა და სთქვა:

- ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

-- რაო, რა სთქვით? - სწრაფად ჰკითხა იზამ.

- უკაცრაოდ... არაფერი.

და წავიდნენ ტრიალით იმ დიდს დარბაზში. ორივენი კარგი მოცეკვავენი იყვნენ და ყველანი შურით უყურებდნენ ამ ვნებით აღვსილს ქალ-ვაჟსა, რომელნიც ტრიალებდნენ მუსიკის ხმაზე რაღაც ნეტარებით სავსე აღტაცებითა.

ვალსის მერმედ, ოსკარს უნდოდა იზა წაეყვანა პატარა სასტუმრო ოთახში, ეგონა დაიღალა და მოსვენება უნდაო. მაგრამ იზამ, ხელდანდობილმა მის ხელზედ, უთხრა:

- არა, არ დავჯდები, თუ თქვენი ნებაც იქნება, ესე მოვიაროთ სულ ყველა ოთახები.

- თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ... ყველანი შურით დამიწყებენ ცქერას.

- საშურველი რა არის აქ?

- განა საშურველი არ არის თქვენთან ხელიხელგაყრით სიარული? თქვენ არ იცით, რამოდენა ხანია ვნატრობდი თქვენს გაცნობასა.

- დიდი ხანია?

- დიად, ძალიან დიდი ხანია.

- თქვენმა მეგობარმა მათიემ კი სულ ამ ორის თუ სამის დღის წინად დამიწყო თქვენზედ ლაპარაკი და ნება მთხოვა თქვენის გაცნობისა. მე უწინ არსად მინახვიხართ... მაგრამ მგონია თქვენ ეხლახან გადმოხვედით პარიზში.

- ოთხი წელიწადიც არის.

- ხოლო გამომძიებლად ეხლახან დაგნიშნეს?

- დიად, ნახევარი წელიწადი იქნება.

- გამომძიებელი... იმისი თანამდებობა ის არის, რომ დამნაშავენი აღმოაჩინოს, განა?

- დიად, ბატონო.

- ეგ თანამდებობა მეტად მძიმე და უსიამოვნო უნდა იყოს, ჩემის ფიქრით.

- ზოგჯერ, მაგრამ კაცი მალე შეეჩვევა ხოლმე. უფრო ბევრი, რომელთა წინააღმდეგაც ვაწარმოებთ ხოლმე საქმეს, სიბრაღის ღირსნი არიან.

- მე ძალიან მიყვარს გამოჩენილ საქმეების გარჩევაში დასწრება. ხშირად, მათიეს წყალობით, დავსწრებივარ განსამართლების დროს და ყოველს, რაც იქ მინახავს და მსმენია, დიდი ზედმოქმედება ჰქონია ჩემზედ.

ახალგაზრდა გამომძიებელმა ორიოდჯერ მოიწადინა ლაპარაკის საგანი გამოეცვალა, მაგრამ ლამაზი ქალი მაინც თავისას ჰლაპარაკობდა სულ სისხლის სამართლის საქმეებზედ. ეს ძალიან ეოცა ოსკარს, თუმცა წინად კი შეტყობილი ჰქონდა, რომ იზა უცნაურის ხასიათის ქალია.

- ეხლა იმისთანა თვალსაჩინო მძიმე საქმე ხომ არა გაქვთ რა ხელში? - ჰკითხა იზამ.

- რატომ, - ყოველთვის არის ხოლმე. უნდა კი მოგახსენოთ, რომ ეგ ვერაფერი სიტყვის მასალაა თქვენისთანა მშვენიერისათვის.

- მე მიყვარს-მეთქი სასისხლო სამართლის საქმეები. თუ თქვენ კაი ღირსსაცნობი საქმე რამ გექნებათ, ბილეთი მიშოვეთ, რომ გარჩევაში დავესწრო. თუნდა მათიესა ჰკითხეთ: იმან იცის, რომ მე მაგისტანაები ძალიან მიყვარს. თუ ღმერთი გწამთ, მიაშებთ რამე, იქნება ერთის დიდის დანაშაულობის რამე საქმე იცოდეთ, ან თქვენ თვითონ გქონდეთ.

- დიად, მე მონდობილი მაქვს ერთი გამოძიება მეტად საიდუმლო საქმისა... შემიტყვია კიდევ, ვითომც თქვენც იცნობდით მსხვერპლსა იმ საშინელის ავკაცობისას.

- მე?

- დიად, ლეა მედანი, ის მშვენიერი ახალგაზრდა ქალი რომ მოკლეს, იმას

მოგახსენებთ.

- მე იმას სულაც არ ვიცნობდი. ერთხელ ბულონის ტყეში სეირნობის დროს ვნახე და ერთი გაზეთებში წავიკითხე იმისი სიკვდილის ამბავი.

- მით უფრო კარგი, - შენიშნა ღიმილით გამომძიებელმა.

- ეხლა ეგ საქმე რაზეა შემდგარი? - ჰკითხა ცნობისმოყვარეობით იზამ.

- ერთი დამნაშავეთანი ვიპოვეთ.

- კარგია!

- მაინც კიდევ ეგ საქმე რაღაც გაუგებარი და საიდუმლოა.

- თუ დამნაშავე ხელში გყავთ, ყველაფერი მალე გამოცხადდება.

- აი, ბატონო, თუმცა ჩემი ხელობა ვერაფრად სასიამოვნოა, მაგრამ მაინც გულმოდგინებით ვექცევი და ყოველს ჩემს გონიერებას, ლოლიკას ზედ ვადებ. პოლიციელნი, ჩუმად-მაძიებელნი ძალიან მალე გაჰხვევენ ხოლმე კაცს და ამტყუნებენ. მე იმათს მაგალითს არ მივდეგ. მე ვერ ვენდობი ხოლმე ბრმად გამოძიებულს საქმეს პოლიციისას. მაგალითები, ამ საქმეში პირველდაწყებითი ძიება მე თითონ მოვახდინე და რადგანაც გადაწყვეტილი ვერა შევიტყე რა, ახლის გამოძიებისათვის გადავდე საქმე.

- მაშ, - სთქვა იზამ რაღაც უცნაურ კილოთი, - თქვენ უბძანეთ ხელახლად გამოიძიონ საქმე?

- დიალ, და მე თვითონაც მონაწილეობას მივიღებ გამოძიებაში.

ორივე ჩაჩუმიდნენ. რამდენსამე წუთს შემდეგ იზამ უთხრა გამომძიებელს, რომ დრო არისო პატარა შევისვენოვო და სთხოვა, წამიყვანე იმ ოთახში, საცა სათამაშო ქალაქის მაგიდებია დადგმულიო. შევიდნენ და იმ ოთახში სულ არავინ იყო. თვითონ იზა დაეშვა დივანზედ და ოსკარს ანიშნა სელი თავის გვერდით.

- უკაცრაოდ კი, ბატონო ვერშემონო, - უთხრა იზამ და აათამაშა ხელში მარაო, - მე მგონია, თავი მოგაწყინეთ ჩემის ცნობისმოყვარეობით. რა ვქნა, ძალიან მიყვარს იმისთანა საქმეები, საცა სიყვარული და კაცისკვლავა გარეული.

- მგონია, თქვენთვის საინტერესოა მაგვარი საქმეები, როგორც მელოდრამა? - ჰკითხა ოსკარმა სიცილით.

- სწორედ... მიაბზეთ იმ ქალის მოკვლის ამბავი... რა იპოვეთ... რა ნახეთ... რა გგონიათ... რას ჰფიქრობთ...

- ოჰ, ღმერთო ჩემო, აქამომდე ჯერ არაფერია ნამდვილად ცნობილი. ხომ წავიკითხავთ, რა ყოფით ვნახეთ მკვდარი?

- დიალ, - უპასუხა იზამ ღიმილით და მიიფარა მარაო სახეზედ.

- ჯერ გვეგონა, რომ ქალი მოუკლავს საყვარელსა იმ აზრით, რომ გაჰქურდოს, რადგანაც სახლში ვეღარც ფული ვნახეთ, ვეღარც ნივთები. ჩვენ ვიპოვეთ ერთი ქარგალი, ისეთი ლამაზი, რომ მისი შეყვარება იმისთანა ქალისაგან, როგორც ლეა მედანი იყო, საკვირველი არ იქნებოდა. ამის მეტი ჯერ არა არის რა. მე დაწვრილებით გამოვკითხე ქარგალს და მგონია, რომ ის ამისთანა ავკაცობას ვერ იქმნოდა. ამის გამო, თუმცა მრავალი გეშია და ნიშნები იმ ყმაწვილკაცის წინააღმდეგ, მაგრამ მე ის დამნაშავედ ვერ მიცვნი და

ხელახლად ვემბთ...

- გასასამართლებელი საბუთებიც რამ გექნებათ უსათუოდ.

- დიად, - უპასუხა ოსკარმა.

- დიადო?! - წამოიძახა იზამ, ცოტად შეთრთოლდა და ბნელმა ღრუბელმა გადურბინა შუბლზედ.

ოსკარმა თვალი მოჰკრა მაგ უნებლიეთს მოძრაობას ახალგაზრდა ქალისას, ხოლო მიზეზად ის დასვა, რომ ქალს უყვარსო ამგვარი საქმეები, როგორც აღმძვრელი ძლიერის მგრძნობიერებისაო და ეხლა რაკი თვალწინ წარმოუდგა, რომ სრულებით უბრალო კაცი ბრალეულთა სკამზე დაჯდებო, ამ წარმოდენამ, რასაკვირველია, თრთოლა მოჰგვარა გულჩვილს ქალსაო. ოსკარი აშკარად ჰხედავდა, რომ იხას ძლიერ უნდა ამ საიდუმლო საქმის შეტყობა და განაგრძო:

- ეს გამოძიება ჩემთვის მეტად დიდი რამ არის, ჯერ რომ პირველი საქმეა, რომელიც მე მომანდეს, და მეორე - აქ პოლიტიკაც გარეულია.

- დიად, მეც მითხრეს ეგა.

- ქალაღებია თურმე დაპარული, იმისთანა ქალაღები, რომელნიც ერთს ელჩს ვერაფრად ეჭაშნიკებო. ფრიად საჭიროა ნამდვილი დამნაშავე ვიპოვოთ. ის, ვინც ჩვენ ეხლა ხელში გვყავს, მისი თანაშემწე ყოფილა, ეს ცხადად გამტკიცებულია, ხოლო მკვლეელი კი ეგ არ არის.

- რა ძნელი უნდა იყოს მაგისთანა დაფარულს საქმეში რაიმეს პოვნა! უჰ, რარიგად მინდა, რომ გამოძიებაში მეც დავესწრა!.. ახლა რაო, ყველგან დაეძებთ, რაღა?

- სუყველგან.

- ახლა ხომ გეში უნდა რამე გქონდეთ.

- რაკი გეშია, თვითონ დამნაშავესაც მალე ვიპოვით ხოლმე. მაგრამ რა? ათიოდე გეშიც გქონდა, მაგრამ არა გამოდნა რა. მაინც და მაინც იმედს არა ვკარგავ და დარწმუნებული ვარ, რომ დღეს იქნება თუ ხვალე, ქალის მკვლელს ხელში ჩავიგდებთ.

- ყმაწვილი კაცი რომ დაგიჭერიათ, უარზედ დგას?

- დიდს უარზედ, როგორც ყველა ბრალეული. ბრალი, რომელსაც მას სწამებენ, ასეთი საშინელია და მისი წარსული ცხოვრება და ყოფაქცევა ისე ცხადად ჰლადადებს მის უბრალოებას, რომ პასუხსაც არ იძლევა. როცა ვეუბნებით, რომ შენი ნაყიდიო ის საგნები, რაც ქალის ოთახში ვნახეთო, ის მხრებს იჭიმავს და ხმას კი არ იღებს. როცა ვკითხავთ, რას შვრებოდი იმ უბედურების ღამესაო, ის მარტო ამას იძახის: მე სირცხვილად მიმაჩნია ამისთანა სამარცხვინო ცილისწამებაში თავი ვიმართლოო.

- მაშ ჰფიცავს, რომ ლეა მედანს არ ვიცნობდიო?

- ამბობს, თავის დღეშიაც არ მინახავსო და თუმცა მის პირდაპირ ვიდეგი, მაგრამ არც კი გამიგია, მოკლეს ვინმე თუ არაო.

- ახალ ძიებას რომ შევუდევით, თქვენის სიტყვით, ახალი გეში იპოვეთ რამე, თუ არა? მიაძებთ, რა აღმოაჩინეთ. თქვენ იქნება ჩემი ცნობისმოყვარეობა გიკვირთ, მაგრამ როცა სასისხლო საქმის რომანებს

კვითხულობ, ყველაზე მეტად იპყრობს ხოლმე ჩემს ყურადღებას ჯაჭვი საბუთებისა, რომლის რგოლებსაც ერთს მეორეზედ ჰკინძავს ჩუმად-მაძიებელი პოლიციის მოხელე.

- ჯერ ერთი, რომ ჩვენ გვაქვს ნუმრები მოპარულის ბანკის ბილეთებისა, რომლებზედაც ყადაღა დავადეთ კიდეც.

- მაგით მითამ რაო? კარგა ხანს არ გამოაჩენს და ისე შენახული ექნება.

- უეჭველია ეგრე მოიქცევა. ჩვენ ჯერ კიდეც იმედი გვაქვს, რომ დაჭერილს ყმაწვილკაცს გამოვათქმევინებთ, ვინ იყო მისი ამხანაგი. რადგანაც საპოლიტიკო ქაღალდები, რომელიც მოიპარეს, მეტად საჭირონი არიან ზოგიერთებისათვის, ამიტომაც ჩვენ თვალგაფაცვიცებით თვალ-ყურს ავადევნებთ იმ ზოგიერთებს... ესეა თუ ისე, ქალის მკვლელის დაჭერა ადვილია, ამას მარტო დრო უნდა.

- ვთქვათ, იმ უბედურს ქალს იმისთანა გეში ხომ არა დარჩენია რა, რომ მკვლელის კვალში ჩაგაყენოთ?

- სრულიად არაფერი.

- და თქვენ მაინც დარწმუნებული ხართ, რომ სხვას იპოვით და აღმოაჩინოთ ნამდვილ მკვლელად?

- დიაღ.

- ბატონო ვერშემონ, გინდათ თუ არა ყველა ქალზედ უბედნიერესი მყოთ ამ ქვეყანაზედ?

- მაგაზე განა ეჭვიც უნდა გქონდეთ?

- მე იმედი მაქვს, რომ ეხლა, როცა გაგიცანით, გაუწყვეტლად ივლით ჩემთან ხუთშაბათობით.

- მე დიდის სიამოვნებით აღვასრულებ თქვენს გულკეთილს თხოვნას.

- მაშ ყოველთვის მაცნობეთ ხოლმე თქვენის გამოძიების მსვლელობა, რომ გულში გამოვისახო, მართლმსაჯულება როგორ ასრულებს თავის მაღალს მნიშვნელობას და როგორ ჰპოულობს ხოლმე ბოროტმომქმედს, რომელიც მართლმსაჯულებას ემალება.

- ყოველს ხუთშაბათს ჩემი მოხსენება მოგერთმევით ჩემგან.

- გმადლობთ. რა გზით იპოვით თქვენი პერობილი?

- იმ ოთახში, საცა ქალი მოეკლათ, ორი შამპანურ ღვინის ბოთლი ვნახეთ და შაქრის პურები... ჩუმად-მაძიებელნი დაფაცურდნენ მაშინვე, რომ შეეტყვოთ, სად და ვისგან იყო ესენი ნაყიდი, რადგანაც ვიცოდით, რომ ლეა მედანი ქვევითად მოსულიყო შინ და თან არა მოეტანა რა... ბოლოს ვიპოვეთ მედუქნეები, რომელთაც შამპანური ღვინო და შაქრის პურები გაეყიდნათ.

- იმათგან შეიტყეთ, რომ შამპანური ღვინო და შაქრის პურები იმ ყმაწვილკაცს უყიდნია, რომელიც დაჭერილი გყავთ?

- დიაღ, ნიშნები გვითხრეს. იმათ აღიარეს, რომ შამპანური ღვინო და შაქრის პურები მათგან არის გაყიდული და, როცა პირისპირ დავუყენეთ, თვითონ ყმაწვილი კაციც იცნეს. თვითონაც კი იძულებულ იქმნა გატეხილიყო, რომ სწორედ იმათგან ეყიდნა ღვინოცა და შაქრის პურიცა.

- რაო, მაშ თვითონვე გატყდა?

- ამაში თვითონვე.

- მაშ ეხლა რაღას ამბობს?

- პასუხს არ იძლევა. აი ხომ ხედავთ, რომ ეს დიდი საბუთია, მაგრამ მე მაინც იმას ვამბობ, რომ ეგ მონაწილეა და არა მკვლეელი.

- რაზე აფუძნებთ მაგ აზრს?

- ღმერთო ჩემო! თქვენ ვერაფერზედ უარს ვერ მოგახსენებთ და ეგ კი, რასაც მკითხავთ, სათქმელად მეტად მეთაკილება.

- კარგი ერთი, - უპასუხა იზამ დაძმურად, - მე ისე მელაპარაკეთ, როგორც ამხანაგს. გასათხოვარი ქალი ხომ არა ვარ... მე ქვრივი ვარ.

- ხომ გეხსომებათ, რა გარემოებაში აღმოჩნდა ეგ დანაშაულობა.

- ძალიან კარგად. ეგ ისტორია ასეთი უწმაწური ამბავია, რომ მაშინვე ყურადღება მიიქცია ყველასი, ნამეტნავად ქალებისა. მე არა მჯეროდა, რომ სხვის ხელით არის მკვდარი, მე მეგონა, რომ თითონ მოუკლავს თავი იმედგადაწყვეტილ ვნებათღელვისაგან.

- ხომ გეხსომებათ, რომ ქალი წოლილა თავის საყვარელთან ქვეშაგებში. წოლის ნიშნები აჩნდა ქვეშაგებს და ორს ბალიშს სხვადასხვა სურნელების სუნი უდიოდა. ერთს ბალიშზედ, სახელდობრ იმაზედ, რომელზედაც კაცსა სდებია თავი, ბოლოს რამდენიმე თმაც ვიპოვეთ.

იზა გულმოდგინებით ყურს უგდებდა და წყნარად განიმეორა:

- თმა იპოვეთ? .. კარგია!..

- ის, ვინც ჩვენ დღეს ხელში გვყავს და ვისაც მკვლელობას ვწამებთ, მორის ფერანი, ქერაა, - სთქვა გამომძიებელმა, - ის თმა კი, რომელიც ბალიშის სადაფის დილს მოეწყვიტა, ძალიან შავია. თვითონ ქალიც ქერაა.

- ააა!.. - წაიჩურჩულა იზამ და გაფითრდა.

- კიდევ ვიტყვი, დამწყვდეული ყმაწვილი კაცი მონაწილეა და ამას უკისრნია ყველაფრის ყიდვა და საწამლავის მომზადება; ხოლო ის უბედური ქალი კი სხვას მოუწამლავს. ჩვენ ვიპოვით მომწამვლელს, მორისს ვათქმევინებთ იმის ვინაობას.

- სხვა არაფერი გეში არა გაქვთ იმ უცნობის ავაზაკისა?

- არაფერი, მაგრამ მორისს გავტეხთ.

- იმედი ვიქონიოთ, - თქვა იზამ და წამოდგა ისე აღელვებული, რომ ოსკარმა ჰკითხა:

- რა დაგემართათ?

- არაფერი... აქ მეტად ცხელა, სული ვერ მომიბრუნებია და თქვენმა ნაამბობმაც ამრია ცოტად. ხელი მომეცით, ბატონო ვერშემონ, და წავიდეთ ბაღში.

- როგორც გენებოთ.

ორნივე ხელიხელგაყრილნი ჩავიდნენ კიბეზედ და შევიდნენ ხეივანში. ოსკარი ჰგრძნობდა, რომ იზას ხელი უთრთოდა.

- "ყველა ქალი ერთისა და იმავე თვისებისანი არიან, - იფიქრა ოსკარმა, - კაცისკვლის ამბავი ყველას აშინებს და გულს უხეთქს, მაგრამ მაინც კიდევ ჰნატრულობენ ამგვარის ამბების გაგონებას".

IV

ტიუსსო ძალიან გახარებულია

ქალის მოკვლა ლაკუეს ქუჩაში თუმცა უცნაურის საიდუმლოებით გარემოცული იყო, მაგრამ საზოგადოების ყურადღებას ძალიან არ იზიდავდა. გაზეთებში თითქმის არასა სწერდნენ; ბევრმა, რომელთაც წაეკითხათ ამის ამბავი, არც კი დაიჯერა ეს ამბავი და ამბობდნენ, ტყუილი იქნება, მეგაზეთესაგან მოგონილიო, რომ რითიმე შეევესო გაზეთიო. გამოძიებას ისე საიდუმლოდ აწარმოებდნენ, თითქო საქმეში იმისთანა გარემოება არისო, რომ არ უნდათ გამოამჟღავნონ საქვეყნოდ, რადგანაც ზოგიერთ დიდკაცებისათვის სათაკილოაო. როცა დაიჭირეს ქალის მკვლელობაში შეწამებული კაცი, მხოლოდ ორიოდ გაზეთში გამოაცხადეს ეს ამბავი, ისიც გაკვრით და მოკლედ. არც სახელი, არც ბინა შეწამებულისა არ იყო ნახსენები. აშკარაა, მწერლებისათვის პირში ბურთი ჩაედოთ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" და რადგანაც საზოგადოების ყურს ამ საქმისა აღარავისაგან არა ესმოდა რა, ეს ამბავი ცოტ-ცოტად დავიწყებას მიეცა და თვით შეწამებულის დაჭერამაც ისე უბრალოდ და უყურადღებოდ ჩაიარა, თითქმის მარეს უბანშიაც მორისის ნაცნობებმა და მეგობრებმა არა იცოდნენ რა არც მორისის დაჭერის თაობაზედ და არც იმ ბრალისა, რასაც მორისს სწამებდნენ.

ტიუსსოს სახლში სესილის ქორწინების დღის მერმედ საწყალი მორისი არც კი ვისმეს უხსენებია. მაინც აქ არც არავინ იცოდა, რა მოხდა ლაკუეს ქუჩაში, რადგანაც ეს ამბავი სწორედ სესილის წყალში ჩავარდნის დროს იყო და აბა ტიუსსოს სახლში ვიღას ექნებოდა ხალისი სხვის საქმეების გამოძიებისა და გამოკითხვისა. ამ სახით კლოდისა, ადელისა, გუდარისა და სესილისათვის მორისი, ავადმყოფობისაგან განთავისუფლებული და პარიზში დაბრუნებული, თითქო არც კი არსებობდა. მორისი სხვა უბანში ჰმუშაობდა, წყევა-კრულვით იხსენიებდა და ცდილობდა სრულად გულიდამაც ამოეღო ის, ვისაც ღალატობას სწამებდა.

თითქმის ყოველ დღეს სესილი დედის სანახავად მოდიოდა. იგი უწინდელეზრ მამის ანგარიშების წიგნებს აწარმოებდა. როცა ამას გაათავებდა, დედა-შვილი მარტოკანი დაიწყობდნენ ხოლმე ლაპარაკსა. ადელი ცდილობდა ნუგეში რამ ეცა შვილისათვის, რომელსაც ჰქენჯნიდა სინიდისის გამხილება და ნუგეშსაც იმითი სცემდა, რომ მალე დაქვრივდებო, გუდარის სიკვდილზედ ისე გულდადინჯებით და გულგრილად ჰლაპარაკობდნენ, თითქო ეს ამბავი ისეთი უბრალო რამ არის, რომ უეჭველად დღესა თუ ხვალე თავის რიგზე და კვალობაზედ უნდა მოხდესო. თვითონ გუდარს კი არც კი ახსენებდნენ და გუდარიც ძალიან ძვირად მოდიოდა ტიუსსოს სახლობის სანახავად.

სამს დღეს შემდეგ ქორწინების მერმედ გუდარი მოვიდა ტიუსოსთან, წაიყვანა კანტორაში, მოუჯდა გვერდით და უთხრა: - ეხლა ყველაფერი გაგვითავდა, დავიწყოთ ლაპარაკი ჩვენს საქმეებზედ. რამდენი ფულია საჭირო, რომ ქარხანა ფეხზედ დააყენოთ?

- ღმერთო ჩემო! - დაიძახა ტიუსოს, სირცხვილის გამო წამოწითლდა და არ იცოდა სრული მართალი როგორ გაუბედოს სიძესა, - აი რა მინდა გთხოვო. შენ ხომ გისესხებია ჩემთვის ხუთას თუმნამდე, ერთი ათასორასი თუმანიც რომ მომაშველო, სწორედ ნახევარ წილში ჩამიდგები და მაშინ თთვე და თთვე შენა და შენი ცოლი ორმოცს თუმანს შემოსავალს მიიღებთ ჩემგან უდავიდარაბოდ.

ამას რომ ამბობდა, ტიუსოს პირდაპირ თვალებში შესცქეროდა თავის სიძეს, უნდოდა მის თვალებში ამოეკითხნა, როგორ გასჭრა ჩემმა სიტყვამაო, და ეშინოდა კიდევ, უარი არ მითხრასო. მაგრამ გუდარმა დინჯად უპასუხა:

- წინად რაც ფული მომიცია, იმას ნულარ ახსენებ, ის წიგნებში ჩაწერილია და ვიცით. ხოლო შენ ცარიელი დახლი უნდა რითიმე შეავსო, განა?

- რასაკვირველია.

- ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ცოტა სჯობს და რიგიანი. მე შენი სიძე ვარ, შენ ერთადერთი ქალი გყავს, ქარხანა მე და შენია. შენს შემდეგ, აშკარაა, მთელი ქარხანა ჩემს სახელზედ გადმოვა, რასაც გაძლევ ფულს, სულ ჩემად დაინიშნება. საქმე ის არის, რომ ქარხანა კარგად და საფუძვლიანად ვაწარმოვოთ. მე მაქვს ორი ათასი თუმნის ბანკის ბილეთები, რომელნიც ასორმოდდაათს თუმანს სარგებელს მაძლევენ, ხოლო თუ ქარხანაში გავაბამ ამ ფულებს, ერთი-ორად მომემატება სარგებელი.

- ერთი-ორადაო! - წამოიძახა ტიუსოსმ გახარებულმა, რომ ამოდენა ფული ხელში ჩაუვარდებოდა, - ერთი-ორად კი არა, ერთი-ოთხად მოემატება.

- ძალიანაც ნუ გავაზვიადებთ. ათასორას თუმნით შეგიშლიან საქმე რიგიანს გზაზე დააყენო?

- მაგის ნახევარიც სამყოფია. არ დავიწყო, რომ ჩვენ ერთი გროშიც აღარავისი გვმართებს. ვისიც რა გვემართა, ყველას დავურიგე იმ ფულიდამ, რომელიც შენ მასესხე.

- სჯობს მეტი იყოს, ვიდრე ნაკლები.

- რასაკვირველია.

- ჩემი ბილეთები კაი ღირსებისა და სანდონიც არიან, არ მინდოდა გამეცა, მაგრამ რასა იქ.

- თუ გაცემა არ გინდა, დავაგირაოთ, - დაასწრო ტიუსოს.

- მეც მაგას ვფიქრობ. მაგრამ მე ბევრ სხვასავით ისეთი სულელი არა ვარ, რომ მივიტანო ზარაფთან, ბილეთები მივცე გირაოდ, ორიოდე გროში გამოვართვა და მერე ერთს მშვენიერს დილას შევიტყო, რომ ჩვენი ბატონი ზარაფი სადღაც გაპარულაო.

- აბა მაგას რა თქმა უნდა, რომ დიდი სიბრყვე იქნებოდა! - უპასუხა ტიუსოს სიცილით.

- აი რა უნდა ვქნათ: მე, როგორც გითხარი, ორი ათასის თუმნის

ბილეთები მაქვს. მე ვისესხებ ათას ხუთას თუმანს და ბილეთებს დავუგირავებ და სარგებელსაც მივცემ, რასაკვირველია, იმ პირობით კი, რომ ჩემი ბილეთები იმასა ჰქონდეს და კუპონებით კი თვითონ მე მივიღებ კუთვნილს სარგებელს ბილეთებისას. ხომ იცი, ბევრს მოხელეებს ვიცნობ, იმათ სულ მე ვუნახავივართ, რომ მე ვიღებდი კუპონების ფულს და არ მინდა ეხლა ვაფიქრებინო, რომ მე ბილეთები გამიყიდნია, ანუ აღარა მაქვს. ამ სახით ჩემი ქონება ისევ ისე ხელუხლებლად შემენახება, როგორც ჩემს საკუთარს ხელში.

- ეგ ძალიან კარგად გიფიქრია. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ მაგგვარს საქმეს მარტო მეგობართან თუ დაიჭერს კაცი, სხვა ვინ იყაბულებს?

- იქნება შენ იცოდე ვინმე იმისთანა.

ტიუსსო დაფიქრდა. გუდარი ხმაამოუღებლივ უყურებდა ტიუსსოს და უღვაშს იგრეხდა.

- საქმე დამშია! - დაიძახა ტიუსსომ ბოლოს, - ერთი დედაკაცია ადელის მეგობარი ანუ, უკედ ვთქვათ, ძველი მეგობარი დედიჩემისა; ზოგჯერ გამიმართნია ხელი იმისაგან, ფული მისესხნია. იმას წარსულ კვირაში სახლი გაუყიდნია. უნდა თურმე ბილეთები იყიდოს და უდავიდარაბოდ სარგებლით იცხოვროს. შენც იცნობ, აი ბებერი პალიარის ქვრივი, შენს ქორწილში რომ იყო უწინდებურ შალითა.

- მახსოვს.

- აი მას მიეც შენი ბილეთები ორი ათასის თუმნისა გირაოდ და ის გასესხებს ათას ხუთას თუმანსა. ჩვენ ვაძლიოთ რვა სარგებელი იმ პირობით, რომ კუპონებს ხელი არ ახლოს, მე თვითონ მოვჭრი, როცა დროა.

-- ძალიან კარგი.

- აბა, საყვარელო ანდრე, წადი, მოიტა ბილეთები და მე ადელს გავგზავნი, რომ მოილაპარაკოს.

- ბილეთები? თანა მაქვს.

ამ სიტყვაზედ გუდარმა ამოიღო ჯიბიდან ერთი დიდი შეხვეული ქაღალდი და მისცა ტიუსსოს.

იმავე საღამოს საქმე გარიგებული იყო. ბებერი პალიარი ქვრივი სადილად ეწვია ტიუსსოს და მოიტანა თან ათას ხუთასი თუმანი და სამაგიეროდ შინ წაიღო ბილეთები გუდარისა, ქაღალდში შეკრული და ბეჭედდასმული თვითონ გუდარისაგან, რომ დედაკაცმა ხელი არ ახლოს.

მიღებულ ფულიდამ გუდარმა სამასი თუმანი თვითონ აიღო და ათას ორასი მისცა ტიუსსოს. ამ დღის შემდეგ რომ ვისმეს გაეხედნა ამის სიძეზედ ცუდი რამ ეთქვა, ტიუსსო სწორედ ზედ შეაკვდებოდა. ტიუსსოს ქარხანა ფეხზედ დადგა და ძლიერ კარგად გაიმართა.

თვითონ ტიუსსოც სულ სხვა კაცად შეიცვალა. რა ნატვრაც ჰქონდა, ყველა აუსრულდა. გაკოტრებული ქარხანა, რომელსაც ესტიბარი გატეხილი ჰქონდა, ცარიელი დუქანი და უგემურად მიმავალი მუშაობა ერთბაშად გამოცოცხლდა. სიმღერა მუშებისა, კვერის ცემის ხმა, ქლიბის ფხაკუნის და სხვა იარაღების ხმაურობა ამხიარულებდა ქარხანას, რომელიც უშველებლის

სანათურით სწორედ გაჩაღებული იყო. თაროები დუქნისა ჭედით იყო გატენილი ბრინჯაოს ნივთეულობითა და ყველა ეს ელოდა მუშტარსა.

ტიუსსო იჯდა თავის კანტორაში და ელაპარაკებოდა ვაჭრებს, რომელთაგანაც ქარხნისათვის საჭირო მასალებს ყიდულობდა, იჯდა მხიარული, კმაყოფილი და ბედნიერი. ყოველს შემთხვევაში ტიუსსოს პირიდან მარტო ეს ამოდიოდა:

- მე უნდა ნაკლებ ფასად მომცეთ, სულ ნაღდ ფულზედ ვყიდულობო.

როცა მუშტრები ეწვევოდნენ კანტორაში, იმათ თვალწინ გააღებდა დახლს და თვლიდა ფულებს, ოქროს, ვერცხლს და ბილეთებსა.

იმოდენა საქმე აუჩნდა ტიუსსოს ქარხანას, რომ ბოლოს ტიუსსო ჰთაკილობდა კიდეც, როცა წვრილმანს რასმეს შემოუკვეთდნენ.

- ამ წვრილმანმა საქმეებმა თავი წაიღეს, - ამბობდა ხოლმე ტიუსსო, - მადლობა ღმერთს, მოვრჩი, ეხლა დიდს საქმეს რასმეს მაინც შევუდგებო.

ამ სახით ტიუსსოს ესტიბარი ისევ ფეხზედ წამოდგა და მის მტრებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ისინიც კი, რომელნიც ტიუსსოს ჰკიცხავდნენ, ქალი გუდარს როგორ მიათხოვაო, ისინიც კი ეხლა მოდიოდნენ და ულოცავდნენ შვილის გათხოვებას.

ამასობაში გუდარს ვერ მოუხდა სესილისათვის ის სირცხვილი ეჭმევინა, რომელსაც გულში ჰქადულობდა ქორწინების ღამეს; არ ვიცით, ურჩია ვინმემ თუ თვითონ მოვიდა ჰკუაზედ, მეორედ კი ვეღარ გაბედა სესილის წყენა. პირიქით, ყველას ეგონა, რომ ახლად ჯვარდაწერილები ძალიან ბედნიერად ცხოვრობენო.

ყველას ეგონა, რომ სესილი დაემორჩილა თავის ბედსა და თავის ახალს ყოფასაო; რომ იგი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ტკბილად ჰცხოვრებს ქმართანაო, რომელიც ისეთივე ახალგაზრდაა ლამაზია და პატივისმცემელიო. გუდარი ძვირად ეჩვენებოდა ხოლმე ხალხს თავის უბანში, ამიტომაც ვერავინ ვერც კი შეიტყო, რომ ამ დროს განმავლობაში გუდარი ორჯელ წავიდა სადღაც პარიზიდან და ისევ დაბრუნდა. სესილმა კი თუმცა იცოდა, მაგრამ არავის არა უთხრა რა.

მარტო სესილის დედამ იცოდა ამათი ცოლქმრობის ამბავი. საწყალი სესილი დედის გულზედ ჰღვრიდა ხოლმე ცრემლს თავისის უბედურებისას და დედის კალთაში ეძიებდა ნუგეშსა. როცა საბრალო სესილის სასოწარკვეთილება და უიმედობა უზარავდა გულს, ადელს ისე ებრალებოდა თავისი ქალი, ისე ჰქენჯნიდა სინიდისი, რომ ეტყოდა ხოლმე: გინდა, შვილო, მორისი და შენ ერთმანეთს განახვოთო, მაგრამ ახალგაზრდა ქალი კდემამოსილ მედიდურობით უპასუხებდა ხოლმე:

- განა მე ვინა გგონივართ?

სესილი სიამოვნებით ჰლაპარაკობდა წარსულ დღეებზედ, მორისზედ, მის დაზედ; შესაძლოდ ხადიდა გუდარის სიკვდილსაცა და მას შემდეგ მორისის შერთვასა, ხოლო მინამ ქმარი ცოცხალი ჰყვანდა, უნდოდა ჩირქმოუცხებელი ყოფილიყო. გულის სიღრმეში თავმოწონებულ სიხარულით აღიარებდა, რომ თუმცა ქმარი ჰყავს, მაგრამ მაინც ერთგულია

საყვარლის კაცისა, რომელიც მაინც კიდევ ღალატობას სწამობდა.

მარტო ტიუსსოს ეგონა, რომ ამის ქალს ქმარი უყვარს, ქმარი კიდევ, როგორც ღმერთას, ისე თაყვანს სცემს ამის ქალსა.

ერთხელ ტიუსსომ სესილთან სადილის ჭამა მოიწადინა, ამბობდა, გუდარი დიდი ხანია არ მინახავსო. სესილმა დედას შეხედა. ადელი მიხვდა და უთხრა ქმარს: მე არ წამოვალო.

სადილზედ სესილი ძალიან თავდაჭერილად და დინჯად იყო, როგორც ყოველთვის, და მამას არც დაჰკვირვებია ეს ამბავი. გუდარი ძალიან მხიარულად იყო და ლაპარაკის ქეიფზედა. ტიუსსოს სიხარულს ბოლო არა ჰქონდა, შეჰხაროდა თავის შვალის ბედნიერებას და როცა სესილი უეცრად გუნებნაქცევსავით ავგუნებად გახდა, ტიუსსომ ყურიც არ ათხოვა და დაიწყო კილოიანი ოხუნჯობა თავის სიმეზედ. გუდარი გაბოროტებისაგან გამწვავდა და სესილი კი ჩუმად და მწარედ იცინოდა, უყურებდა რა ქმარს. სადილს უკან გუდარმა ჩამოაცილა კიბეზედ თავისი სიმამრი და ხელახლად მოისმინა მისგან უგემური ოხუნჯობა.

შემობრუნდა ოთახში ძალიან გაჯავრებული, საშინლად იგინებოდა და იწყევლებოდა. სესილმა ხმა არ გასცა და დააპირა თავის ოთახში წასვლა. გუდარმა გზა გადაუჭრა და არ გაუშვა.

- კმარა, ეს ოხერი, კმარა ამისთანა ჯოჯოხეთური სიცოცხლე!

- უკაცრაოდ, ბატონო გუდარ, მაგ ჯოჯოხეთს ბოლო არ ექმნება.

- სულ ტყუილია! ერთხელ გათავება სჯობია. რაც გინდა ჰქნა, შენ ჩემი ნამდვილი ცოლი იქმნები, - დაიძახა გუდარმა და მისწვდა სესილს.

უნდოდა სესილისათვის ხელი წაეწლო, მაგრამ ქალი მარდად გამოეცალა ხელადამ, მივარდა მაგიდას, წამოავლო დანა და გულდინჯად უთხრა:

- ერთი ფეხის წინ წამოდგმა და შენი სიკვდილი ერთი იქნება.

გუდარმა თვალეზში შეატყო, რომ სესილი აასრულებს მუქარას, ერთი საშინლად დაიწყევლა და გზა მისცა სესილს. სესილი შევიდა თავის ოთახში და ჩაიკეტა კარი კლიტით.

- რა საძაგელი რამა ვარ, რომ ყოველთვის ვუთმობ ხოლმე! - წამოიძახა გუდარმა გულაშფოთებით.

V

მორისს ვერა გაუგია რა

როცა მორისი დაიჭირეს სახლში, ამელი მივარდა პოლიციის მოხელეებს წივილ-კივილითა:

- ვერა, ვერა, თქვენ ჩემს ძმას ვერ წაიყვანთ.

მორისმა აკოცა თავის დას, ნაზად ხელი შეახო და უკან მიაყენა.

- ნუ სცხარობ, ამელ. აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს. არაფერში დანაშაულობა არა მაქვს და რად დამიჭერენ? მე გავყვები ამ ბატონებს და ისევ

მალე დავბრუნდები შინ... საუზმე მომიძადა.

მორისი თუმცა ჰცდილობდა არა შეიმჩნიოს რა, მაგრამ გულში მეტად სწუხდა, ხმამ კანკალი დაუწყო.

- რასა სწამებთ? - ჰკითხა ცრემლმორეულმა ამელიმ პოლიციის კამისარსა.

- მე მარტო ბრძანებას ვასრულებ და არ ვიცი, რა მიზეზით იჭერენ თქვენს ძმას, - უპასუხა კამისარმა, გულნატკენმა ახალგაზრდა ქალის ქვითინისაგან, - თუ აქ შეცდომაა რამე, როგორც თქვენი ძმა მოგახსენებთ, პოლიციაში ორ წუთში ყველაფერა გამოცხადდება, ნურას შიშობთ, გამოუშვით თქვენი ძმა.

- ნება მომეცით, მე თან გამოგყვეთ.

- არ შეიძლება. აი ესენი (დაანახვა ჩუმად-მაძიებელნი), რომელნიც ჩვენთან აქ მოსულნი არიან, აქ უნდა დარჩნენ და მოსჩხრიკონ აქაურობა და, რასაკვირველია, თქვენი აქ ყოფნა საჭირო იქნება ამათთვის.

- მოსაჩხრეკი რა არის აქ! - დაიძახა გაოცებულმა მორისმა.

- კმარა, ჩაიცივით ჩქარა, დროა წასვლისა, - უთხრა კამისარმა მკვახედ და ბძანებლობითა.

ამ ამბისაგან ელდაცემული მორისი შევიდა თავის ოთახში და ორი ჩუმად-მაძიებელნიც თან შეჰყვნენ. კამისარმა იხმო კიბედამ კიდევ სამი პოლიციელი.

- აი ამისი და, - უთხრა მან.

ამოდენა ხალხის მნახველი ამელი სირცხვილით გაწითლდა, დააპირა წასვლა. რომ ჩაეცვა რამე, მაგრამ ერთმა მოხელემ ხელი მოჰკიდა და არ გაუშვა.

- საით? - ჰკითხა მან ბრიყვულად.

- ნება მომეცით ტანთ ჩავიცვა, - უპასუხა ამელიმ და გაოცებულმა თვალები დააჭყიტა.

- მაგას მერეც მოესწრებით. ჯერ აქა ბრძანდებოდეთ.

მერე ჩუმად-მაძიებელმა ანიშნა ამხანაგებს და დაუმატა.

- წადით და სწრაფად მოჩხრიკეთ აქაურობა.

ამხანაგები დაემორჩილნენ და წავიდნენ. თვითონ კი დააპო რა გამოკითხვა ამელისა, მაგრამ კამისარმა გააჩერა და უთხრა:

- ჯერ მოიცათ, როცა ჩვენ წავალთ, მერე.

ელდაცემული ამელი მიჯდა კუთხეში და ხმაამოუღებლივ ტიროდა ცალკე სირცხვილისა და ცალკე შიშისაგან. მარტო ერთი იუბკის ანაბარას იყო და ცდილობდა ხელთსახოცით მაინც დაეფარა შიშველი გულ-მკერდი. რამდენსამე წუთს შემდეგ მორისი გამოვიდა თავის ოთახიდან ტანჩაცმული, ორი მოხელე თან მოსდევდა. და მივარდა ძმას და გადებხია.

- შენი ჭირიმე, მალე მოდი, მალე, - დუდუნებდა საწყალი ამელი ტირილითა და გადიხარა, რომ ყურში რაღაც წასჩურჩულოს, მაგრამ კამისარმა პოლიციელებს ანიშნა და ერთმა მოაშორა და ძმას, მეორემ კიდევ ხელი წაავლო მორისს და სწრაფად გაიყვანა გარედ.

საწყალი ყმაწვილი კაცი ძლივსლა მიდიოდა, მუხლთ ეკეცებოდა და მთელი ტანი უთრთოდა. ეხლა და აქ არა ჰყვანდა და აღარ მალავდა თავის

მწუხარებას. ჩასვეს ეტლში და ისე წაიყვანეს. კამისარი გვერდით ჩაუჯდა და ორი ჩუმი-მაძიებელი წინ სკამზედ ჩამოჯდნენ. მორისს რაღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ველარ გაანძვია. პოლიციელები, რომელნიც შინ რბილად ექცეოდნენ, ეხლა წარბშეკრულნი იყვნენ და მკვახედ გამოიყურებოდნენ. შეწუხებული მორისი აქეთ-იქით შტერსავით იყურებოდა და მუშებს რომ დაინახავდა, ჰკითხავდა თავის თავსა: ამ ამბავს რომ შეიტყობენ ჩემი ამხანაგები, რას იტყვიანო? ბოლოს ღონე მოიკრიბა და უთხრა კამისარს:

- ჩემს დას მოერიდებით და არა სთქვით მიზეზი ჩემის დაჭერისა; ეხლაკი გთხოვთ მიბძანოთ, რად დამიჭირეთ?

- მე რა უნდა გითხრათ, თქვენ თვითონაც კარგად იცით.

სამმავე პოლიციელმა ერთმანეთს შეხედეს, თითქო ამის თქმა უნდათო: "თავს იკატუნებს, მითამ-და დამნაშავე არ არის. ვიცით ეგ ხერხიც, ვიცით".

- გეფიცებით, რომ არა ვიცი რა, - განაგრძო მორისმა, რაკი თვალი მოჰკრა, რომ მოხელეები ერთმანეთს თვალს უშვრებოდნენ, - მე იმისთანა არა მიქნია რა, რომ დაჭერის ღირსი ვიყო. მე უბრალო ქარგალი ვარ და ალაღად ჩემის ოფლით ჰურსა ვჭამ. ვალი რა არის, ვალიც კი არავისი მმართვეს.

- ვალი არა გაქვს, სჩანს მოგიშორებია, - უპასუხა რაც უცნაურის ხმით კამისარმა.

- თავის დღეშიაც არა მქონია.

- ვნახავთ მაგასაც.

- მე არავისათვის არა მიწყენინებია რა და პოლიტიკაში სრულებით არ ვერევი და არც გავრეულვარ.

- თქვენ კარგად იცით, რომ თქვენს საქმეში პოლიტიკის ჩუჩუნიც არ არის. კარგი ერთი, დაანებეთ თავი მაგ კამედიას. ჩვენ არაფერსა გკითხავთ. ის გირჩევნიათ, პასუხები მოიფიქროთ. აი, საცაა მიგიყვანთ და იქ გამოგკითხვენ ყველაფერს. თქვენ ყველანი სულ ერთს ყალიბზედ ხართ მოჭრილი.

- ერთს ყალიბზედაო! - გაიმეორა უნებურად მორისმა, საწყალი ამელი! რა საშინელს ყოფაში იქნება ეხლა! მერე მას შემდეგ, რომ იმოდენა ჯაფა გასწია, როცა მე ავადმყოფს მივლიდა.

- ეე, თქვენ განა ავადაც იყავით? - ჰკითხა კამისარმა და თვალი გადაავლო ამხანაგებს.

- მთელი ორი თვე.

- ჰოო, მაშ თქვენც თვითონაც ცოტა გადაგიყლაპავთ. ეგ ჩვენ ადრევეც ვიცოდით.

ამ სიტყვებზედ მორისს თითქო უჩხვლიტეს რამეო, შეკრთა და ელდაცემულმა გადახედა პოლიციის მოხელეებს, რომელნიც გაფაციცებით შემოსცქეროდნენ. ეხლა კი ყველაფერს მიხვდა - მითამ ეგონა, პოლიციას შეუტყვია, რომ თავს ვიკლავდიო და ამისთვის დამიჭირესო.

მაშ თქვენ ეგ ამბავი გცოდნიათ, - უთხრა მორისმა და ჩაღუნა მორცხვობით თავი.

- დიაღ, ვიცით, - უპასუხა კამისარმა, - ამას იქით ხომ აღარ იკითხავთ,

რად დამიჭირეთო.

მორისმა თავი მაღლა აიღო და თვალი გაუშტერა მოხელეებს. ხელახლად გონებაში ყველაფერი აერია. კამისარმა ხომ სულ გზა და კვალი დაუბნია.

- თქვენს დას მეორეს დღეს წამალი მოეტანა თქვენთვის, უთხრა კომისარმა, - თქვენი და ნიშნეულობით ვიცანით.

ეხლა მორისის ფიქრით ეჭვი აღარ იყო, რომ მიზეზი ამის დაჭერისა ის არის, რომ თავს იკლავდა. მარტო ამას კი ჰკითხავდა თავის თავს: აქ ვის რა დავა აქვს? განა ეს დანაშაულობა არისო? მაინც და მაინც ხომ გამომკითხავენ 20-ს ივნისის ღამის ამბავს და როგორ რა ვსთქვა, რომ პირობა მაქვს მიცემული, არაფერი არ გამოვამჟღავნოვო. ეხლა მესმის სესილის მოწერილიო. სესილს შეუტყვია, რომ ამაზედ გამოძიებაა დანიშნული და ამიტომაც წინადავე შემატყობინა და ფიცით აღთქმა დამადებინა, რომ არავის არა ვუთხრა რა.

პოლიციის მოხელეებს კი ძალიან უხაროდათ. მორისი თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა. მორისმა შეიტყო ეხლა რაც ამბავი არის და დაიფიცა, რომ, რაც უნდა დამემართოს, ხმას არასფერზედ არ ამოვიღებო. მაგრამ მაინც თავს იხეთქდა, აქ მე რა შუაში ვარ და რა საბუთით მიჭერენო. სესილი ცოცხალი იყო და თუ რამ ცუდი მოუხდა ვისმეს, ხომ კიდევ მარტო თვითონ მე მომიხდა და არავის სხვასაო. ყოველმანვე ცდამ ამავების გამოცნობისათვის ამოდ ჩაუარა და ცრემლი წამოსქდა თვალთაგან.

ბოლოს ეტლი მივიდა და გაჩერდა კონსიერჟერის ბნელ კედლების წინ; დიდი ალაყაფის კარები ხრიალით გაიღო და საწყალ მორისს სისხლი გაუშრა მარღვებში. პირდაპირ შეიყვანეს კანტორაში. კამისარმა დატუსაღების ბძანება მისცა რეგისტრატორს. რეგისტრატორმა გადაშალა ერთი უშველებელი წიგნი და საჭირო ცნობები მოსთხოვა მორისს შიგ ჩასაწერმა.

- თქვენი სახელი?
- მორის ფერანი.
- წლოვანება?
- ოცის წლისა ვარ.
- ხელობა?
- ბრინჯაოს ხელოსანი ვარ.
- სადა დგებხართ?
- მორეს ქუჩაში.
- კარგი.

რეგისტრატორმა ხელი მოაწერა, მოაწერინა ხელი კამისარსაც და უბძანა ერთს დარაჯსა:

- წაიყვანე მეექვსე ნუმერში.
- ყარაულმა ბრიყულად წაავლო ხელი მორისს და მკვახევ უთხრა:
- აბა, წამოდი.

საწყალმა მორისმა ყური მოჰკრა, რეგისტრატორმა რომ უთხრა კამისარს:

- მაგის მნახველი არ დაიჯერებს, რომ ავაზაკია. ასეთი მშვიდობიანი სახის მეტყველება აქვს, რომ ღვდეღივ კი ისე აზიარებდა, რომ აღსარებასაც არ

ათქმევინებდა.

- არა მგონია, - უპასუხა კამისარმა, - მე ვფიქრობ, ძალიან ხერხიანი არამზადა რამ უნდა იყოს.

მორისს, როგორც მთვრალს, ისე მიათრევდა ყარაული, თვალთ დაუბნელდა საწყალს და მთელს ტანში ჟრჟოლამ დაურბინა, როცა სატუსალოში შეაგდეს და გარედამ კარი კლიტით დაუკეტეს.

ციხის ოთხ კედელ-შუა მარტო დაგდებულს საწყალს ყმაწვილ კაცს ამოუჯდა გული და დაიწყო მწარედ ტირილი. ბევრი იგონა, ბევრი სჩხრიკა თავისი სინიდისი, მაგრამ არც ერთი სათაკილო საქმე ვერა ჰნახა ვერც თავის უწინდელ ცხოვრებაში, ვერც ეხლანდელში. დიდს ბრალს კი მწამებნო უსათუოდ, ფიქრობდა თავისთავად, თორემ ესე არ მომექცეოდნენ მოხელეები და არც მარტო დამამწყვდევდნენო.

- ჩანს, მტერი ვინმე მყოლია, თუმცა არავისთვის არა მიწყენინებაა რაო, - ამბობდა თავისთავად იმედგადაწყვეტილი და გაბოროტებული.

მთელი დღე, რომელიც მეტად გძლად ეჩვენა, კაცი თვალთ არ დაჰნახებია. საღამოზედ საქმელი მოუტანა ყარაულმა და იმას ჰკითხა დაჭერის მიზეზი. მაგრამ პასუხად არაფერი მიიღო. საქმელს ხელიც არ ახლო, დაეცა ქვეშაგებზედ და უნდოდა როგორმე დაეძინა. მაგრამ ძილი არ მიეკარა მის თვალებს. როცა დაბნელდა, მის სენაკში ორი პოლიციის მოხელე შემოვიდა და ხელმეორედ ყველაფერი დაუჩხრიკეს. მორისმა უთხრა, რომ ამას წინადაც გამჩხრიკეს და ვერა იპოვეს რაო. მათ ხმა არ გასცეს და ისე გავიდნენ გარედ. გარედ კლიტით დაკეტეს კარი და ურდულიც გაუკეთეს.

მთელი ღამე არა სძინებია მორისს. ყველაზე მეტად დის ყოფა აწუხებდა. მოაგონდა რარიგად უმართებულოდ მოექცნენ მოხელეები. მოაგონდა კომისარის სიტყვებიც, რომ წამალი შენმა დამ მოგიტანაო, და შიშობდა: ვაი თუ ისიც დაიჭირონ და საქმეში გააბანო. თავისი და მთელი ღამე გონებიდან არ მოშორებია. ბოლოს ირიჟრაჟა კიდეც და მხოლოდ მაშინდა ჩაეძინა მორისსა.

მზე კარგა მაღლა იყო, როცა გამოეღვიძა. გუშინდელი მოტანილი საქმელი დაინახა და მისწვდა, რომ დანაყრებულიყო, მაგრამ ვერა სჭამა რა. ათს საათზედ ყარაული შემოვიდა და უბძანა, თან გამომყო. მორისს ეს ამბავი ძალიან იამა, ძლივს ერთი გამომკითხავენ და გამიშვებნო. შეიყვანეს ერთს დიდს და დაბალს ოთახში. ორს სხვადასხვა მაგიდასთან ისხდნენ გამომძიებელი და მისი მდივანი.

- აბა ახლო მოდით, ფერან, - უთხრა გამომძიებელმა ოსარ ვერშემონმა, - როცა დაგიჭირეს, კითხულობდით. რაზე მიჭერთო, მითამ არ იცოდით, რაზედაც. ჩვენ ბევრი გეში გვაქვს თქვენს გასამტყუნებლად. ტყუილუბრალოდ ნუ შეიწუხებთ თავს და გულწრფელად აღიარეთ ყველაფერი.

მორისმა შეხედა გამომძიებელს, თვალეები დააჭყიტა და პირი ღია დარჩა განცვიფრებისაგან. ენა დაება და ხმა ველარ ამოიღო.

- თქვენს გულწრფელობაზედ არის დამოკიდებული თქვენი ბედი, -

განაგრძო ვერშემონმა, - ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამ საქმეში მარტო არა ხართ. გვითხარით, ვისა ჰმელოდით?

- მე სრულებით არ მესმის, რას ჰთხოვლობთ ჩემგან? - უთხრა ბოლოს მორისმა, როგორც იყო, ძალდატანებით.

- გახსოვდეთ, ფერან, რომ გამოძიება ერთს თთვეზედ მეტია რაც სწარმოებს. ჩვენ ყველაფერი ვიცით და თქვენი ტყუილი პასუხები უფრო დაგიმძიმებს ჯეროვანს სასჯელსა.

- ფიცს გაძლევთ, რომ გულწრფელად გეტყვით ყველასფერს, რასაც მკითხავთ. მე თქვენზე უფრო მეტად მინდა, რომ საქმე მალე გამოამკარავდეს, მაგრამ პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი მუქარა არ მესმის.

ისეთი ალალი სახის მეტყველება ჰქონდა ამ დროს მორისსა, რომ გამომძიებელმა თვალი ზედ შეაჩერა; ყმაწვილმა კაცმაც გაუსწორა თვალი თამამად და თვალდაუხამხამებლად გაუძლო გამომძიებელის ყურებასა.

- თქვენ დიდი ხანია, რაც ლეა მედანს იცნობთ?

- არც კი ვიცი, ვინ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მე მსხვერპლი ვარ რაღაც შეცდომისა.

- პასუხი მითხარით: იცნობდით ლეა მედანს და ხშირად ინახულებდით ხოლმე?

- კიდევ მოგახსენებთ, რომ მე არავის ლეა მედანს არ ვიცნობდი.

- მაშ თქვენ უარყოფთ იმის ცნობას! კარგი, ეხლავ გაგტეხთ

გამომძიებელმა ანიშნა მდივანს და იმან კიდობნიდამ გადმოიღო ორი ცარიელი შამპანური ღვინის ბოთლი. მორისი შეწუხებით თვალს ადევნებდა მდივანს.

- უარს იტყვით ამაზე, რომ თქვენ 20-ს ივნისს საღამოს რვა საათზე ეს ორი ბოთლი შამპანური ღვინო იყიდეთ ბერარისაგან. ღვინოებს რომ ჰყიდის ლიონის ქუჩაში, რკინიგზის ახლო?

- არა, - უპასუხა მორისმა და წამოწითლდა, - მართალია, ორი ბოთლი შამპანური ღვინო ჩემი ნაყიდეა, - ძალიან კარგი. არც ამას უარყოფთ, რომ იმავე დროს სენტ-ანტუანის ქუჩაში მეშაქრისპურისაგან იყიდეთ შაქრის პურები, აი ამის მზგავსი?

- უარს არა ვყოფთ, მართალია.

- სხვამ გაყიდვინათ?

- არა.

- მაშ აღიარებთ, რომ შამპანური ღვინო და შაქრის პურიც თქვენთვის იყიდეთ?

- დიაღ.

- რისთვის იყიდეთ?

- ჩემ სასმელად და საჭმელად.

- ხომ იცით, რომ ერთს ბოთლში წმინდა ღვინო არ იყო.

- დიაღ, ერთში საწამლავი ერია.

- ეჰ!.. ძლივს არ გატყდით! რაში ახმარეთ ის საწამლავი?

- მე მინდოდა თავი მომეწამლა და ამისათვის საწამლავი ავურივე.

- ფერან, - უთხრა გამომძიებელმა და მხრები აიჭიმა. - თქვენი ეგრე განზრახული გამართლება არაფერის გამოსაფენია. თქვენს სიტყვა-პასუხს მანძილი არა აქვს. რასაც ამბობთ, სულელობაა, თქვენ ეგ ორი ბოთლი და შაქრის პურები 20-ს ივნისს გიყიდნიათ, მერე შინ დაბრუნდით ლაკუეს ქუჩაში?

- დიალ.

- შინ აურიეთ საწამლავი? სად იშოვეთ?

- წინადლით ვიშოვე ლომბარის ქუჩაში, რადგანაც აფთეჟში არ მომცემდნენ. რადგანაც მინდოდა თავი უტანჯველად მომეკლა, ამისათვის მე შევადგინე საწამლავი ისე, როგორც, ჩემს მაგიდაზედ რომ წიგნია, იმაში ეწერა და იმგვარი საწამლავი, კლოდ ბერნარის სიტყვით, მოაჩვენებს ხოლმე კაცს საამო და გულისთქმათა ამშლელს სიზმრებსა.

- საწამლავი რომ შეამზადეთ და ღვინოში აურიეთ, გამოხვედით შინიდან და ბასტილიის მოედანზედ წახვედით.

- დიალ.

- იქ უცდიდით თერთმეტ საათამდე, მინამ ლეა მედანი მოვიდოდა თქვენთან შესაყრელად.

- მოგახსენებთ-მეთქი, რომ არავის ლეა მედანს მე არ ვიცნობ, - უპასუხა მორისმა და უფრო წამოწითლდა.

- ვსთქვათ, არ იცნობთ. იქ თქვენთან მოვიდა ერთი ქალი და თქვენ იმას ხელი მიეცით...

მორისმა თავი ჩაღუნა. რა უნდა ეთქვა? ფიცი ჰქონდა მიცემული, რომ იმ უბედურის ღამის საიდუმლო ამბავს არავის ეტყვის.

- რატომ პასუხს არ მაძლევთ? - ჰკითხა გამომძიებელმა.

- არა, - აიღო მორისმა მაღლა თავი და უთხრა გამომძიებელს, - მე ბასტილიის მოედანზე არავინ მინახავს.

- მაშ კარგი, მაგას უარჰყოფთ, - უთხრა ვერშემონმა გაცინებით, - ძალიან კარგი. ხოლო ვიდრე სხვა რასმეს გკითხავთ, მე უნდა ერთხელ კიდევ გითხრათ, ფერან, რომ ჩვენ ყველაფერი, რაც გიმოქმედნიათ, დაწვრილებით ვიცი და ეარზედ დგომა სულ ამაოა.

- ყოველივე თქვენი ბიჯი თერთმეტ საათიდან მოყოლებული ღამის პირველ საათამდე, ესე იგი იმ დრომდე, როცა დაბრუნდით შინ თქვენა და თქვენი მსხვერპლი...

- ჩემი მსხვერპლიო?! - გაიმეორა მორისმა და გაოცებისაგან არ იცოდა რა ექნა.

რას მოასწავებდა ეს სიტყვები? ნუთუ იმიტომ დამიჭირეს, რომ სესილის დედ-მამას თუ ქმარს ჩემზედ უჩივლიათო? ნუთუ იქამდინ მიიყვანეს სესილი, რომ ყველაფერი უნდა ეთქვა და რადგანაც სახელის გატეხას მოჰრიდებია, უთქვამს, რომ 20-ს ივნისს შემიტყუეს და მახე დამიგესო? ნუთუ ჩემი თანამოაზრე საყვარელი ჩემს მსხვერპლად გახადესო? ნუთუ უასაკო ქალის შეცდენის ბრალსა მდებენო? ყოველივე ესენი თავში მოსდიოდა მორისსა და ყურს აღარ უგდებდა გამომძიებელს, რომელიც ჰცდილობდა

როგორმე გამოეტყვნა. ეხლა კი ყველაფერი ცხადი იყო მორისისთვის. რა თქმა უნდა, რომ სესილს არაფერში ამტყუნებდა და ყველაფერს მის დედ-მამას აბრალებდა. უსათუოდ ქმარს ყველაფერი შეუტყვია და დამუქრებია: ცოლს გავეყრებიო. მაშინ დედ-მამას გაუკეთებია, რომ სესილი მსხვერპლია საზარელის ავკაცობისაო; რომ ცარიელზედ დარჩომილს არშიყს მოტყუებით წაუყვანია სახლში, რაღაც ბანგი დაუღლევიანებია და ძალა უხმარიაო. სესილი ჩვიდმეტის წლისა იყო და უასაკო ქალის შეცდენისათვის მორისი შეეძლოთ სამუდამოდ ხაროს სათხრელად გაეგზავნათ. ცივმა ოფლმა დაასხა მორისს. რა უნდა ექმნა? უნდა დაჩუმებულიყო. სესილი შეევედრა, ნუ გამცემო და თვითონაც ფიცი ჰქონდა მიცემული. სხვა გზა არ იყო: თავისი ფიცი უნდა შეენახა და მოეცადა. ბოლო რა იქმნება.

ეხლა მარტო სიფრთხილელა იყო საჭირო და ხმის ამოუღებლობა.

მინამ ეს ამოდენა ფიქრები თავში უტრიალებდა მორისს, სულ ჩუმიად იყო. გამომძიებელს ვერ გაეგო, რა მიზეზია, რომ ხმა აღარ ამოიღო.

- თქვენ გამტყუნებთ თქვენივე აზფოთება, - უთხრა მესამედ გამომძიებელმა, - მაინც არა გსურთ პასუხი მომიგოთ?

- რაზე? - უპასუხა მორისმა, თითქო ეხლა გამიღვიძაო.

- ვინ იყო ის ქალი, რომელიც მოგყვანდათ 20-ს ივნისს ღამის თორმეტის ნახევარზედ კონტრესკარპის ბულვარზედ? ამ ნიშნით, რომ უთხარით კიდევ, "მე ვიტანჯები, უშენოდ ყოფნა აღარ შემიძლიანო" და ქალმაც გიპასუხათ: "მე შენ მიყვარხარ, ნეტავი შენთან მოვკვდეთ".

- მე ვერას გეტყვით.

თქვენა გგონიათ, მაგაებით თავი გადირჩინოთ? ხომ უარს არა ჰყოფთ, რომ საწამლავი იყიდეთ და თქვენის ხელით მოამზადეთ. როცა გკითხავენ, რად გინდოდათ საწამლავიო, თქვენ გვეუბნებით, "მე თვითონ მინდოდა თავი მომეწამლაო"... მართალია, ჩვენ ვიცით, რომ საწამლავი მიგიღიათ, ისე უნებლიედ, და მერე იმოდენა, რომ დიდი ვნება არ შეეძლო. ამასაც ამბობო, რომ "შაქრის პურებიც მე ვიყიდეთ", ვინ იცის, იქნება იმ აზრითაც, რომ ცარიელის მუცლით არ მომკვდარიყავით. ძალიან კარგი, მაგისთანა თადარიგი ყოველთვის საქებია. ხოლო ერთი მითხარით: რა აკეთეთ 20-ს ივნისს მას შემდეგ, როცა შამპანური ღვინო იყიდეთ და საწამლავი მოამზადეთ?

- მე ვერას გეტყვით, - განუმეორა მორისმა და სულ მოიშალა, რაკი შეიტყო, რომ არამც თუ უნახავთ სესილთან ერთად, არამედ გაუგონიათ კიდევ ერთმანეთისთვის რა უთქვამთ.

- მაშ სულ უარზედ დგებართ?

- აბა რა ვთქვა, რომ არაფერს მიჯერებენ.

- გაფთხილდით, თქვენი აღზფოთება და ის, რომ ვერ აგიხსნიათ, რა აკეთეთ დანაშაულობის ღამეს. თქვენი გამამტყუნებელი საბუთია.

- დანაშაულობის ღამესაო! - განიმეორა მორისმა და ელდა ეცა.

- უკანასკნელადღა გკითხავთ, მორის ფერანო, გსურთ, რომ პასუხი მომცეთ თუ არა?

- არა, არა! არ შემიძლიან, არ შემიძლიან, - ძლივს წარმოსთქვა სულშეგუბებულმა მორისმა, - მე კაცის მკვლეელი უნდა ვიყო? მე?.. ვაიმე, ვაიმე!..

ხელები გაიწვდინა საცოდავმა, თითქო უნდა რასმე მოეჭიდოსო, დაბარბაცდა, საზარელის ხმით ამოიკვნესა და გულშემოყრილი დაეცა დედამიწაზედ.

VI

რა კაცი იყო ჩუმად-მაძიებელი ბოიე

თუ მკითხველს ახსოვს, მორისს რომ ციხეში სვამდნენ, მოხელეს, რომელმაც მორისის სახელი და გვარი დავთარში ჩასწერა, ეოცა მორისის ავკაცობა, რა ჰნახა ამ ყმაწვილის პატიოსანი და მშვიდობიანი სახე. მაშინ იქ ერთი პოლიციელი იყო, რომელმაც უთხრა: თქვენ ეგრე გგონიათ? დიდი არამზადა უნდა იყოსო. ის პოლიციელი ჩუმად-მაძიებელი ბოიე იყო.

ბოიე პატიოსანი კაცი იყო თუ არა? არ იყო. დედამისი იყო ერთი ფარისეველი ღვთისმოყვარე დედაკაცი და მამა კი არავინ იცოდა, ვინ იყო. გაიზარდა იეზუიტების ხელში და პატარაობითვე შეეჩვია ჩუმად-მაძიებელის ხელობას. იეზუიტებმა ჩაუნერგეს გულში ადამიანის არაფრად ჩაგდება და ყოველისავე სათნოების უარყოფა. ამის გამო, შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, ახალგაზრდა ბოიემ ბევრი უსიამოვნება ჰნახა და რადგანაც მისს ზნეობურ კანონებს არავითარი სიმტკიცე არა ჰქონდა, ჯერ პატარა იყო, რომ ყრმათა სამწყვდეულოში ჩააგდეს და მერე ხომ ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. იქ ლაქუცობით და პირფერობით, რომელიც იეზუიტებისაგან ესწავლა, მოინადირა ციხის უფროსების გული და ტყუილის ღვთისმოყვარეობით კიდევ - აბატის გული. ეს საკმარისი იყო, რომ დანაშაული ეპატიებინათ და რადგანაც შეამცნიეს, რომ დიდი მეთვალყურეა და ენატანიობაც ძალიან უყვარს, იფიქრეს, ეს კაცი გამოგვადგებაო და ჩუმად-მაძიებელ პოლიციაში ადგილი მისცეს. ამისთანა სამსახური სწორედ ასლი იყო იეზუიტებისაგან გაწურთვნილ შაგირდისათვის. სხვა რაც უმოქმედნია და ჩაუდენია ბოიეს, სჯობია რომ არა ვსთქვათ.

ციხიდან ბოიე პირდაპირ გამომძიებელთან წავიდა და უამბო ყველაფერი მორისის დაჭერის შესახებ. როცა ვერშემონმა უთხრა, რომ მე მგონია, ეს ამხანაგია და არა თვითონ მკვლეელიო, ბოიე დაეთანხმა.

- მე მაგისათვის გაიხელით, - უთხრა ბოიემ, - ეხლა რას მიბძანებთ, რა საქმეს დავადგე?

- ჩვენ ვიპოვეთ ზარაფი, რომლისაგანაც საცოდავს ლეა მედანს ბანკის ბილეთები უყიდნია ამ ბოლოს დროს. ბილეთების ნუმრებიც ხელში გვაქვს. თქვენი ძიება ეხლა ამ საგანზე უნდა იყოს მიქცეული.

- ყადაღა უნდა დაედოს ამ ბილეთებს.

- მაგის განკარგულება მოვახდინეთ კიდევ რამდენისამე დღის წინად და ზომიერებაც მიღებულია, რომ იმ ბილეთების გამომჩენელი დაიჭირონ. ძვირფასი ნივთები, რომელიც ლეა მედანიისათვის მოეპარათ, გაუყიდნიათ ლონდონში მესამე დღესვე ლეა მედანიის მოკვლის შემდეგ, ასე რომ ჩვენს მიწერილობას ვერ მიუსწვრია. ნიშნები ნივთების გამსყიდველისა სულ სხვაა და დაჭერილ ყმაწვილკაცს არაფერი უგავს. ამ ნიშნების სიას და ბილეთების ნომრებს გადმოგცემთ ჩემი მდივანი.

- სხვა არაფერი ცნობა არა გაქვსთ?

- არაფერი. მე გამოვკითხავ ფერანს, იქნება გამოვათქმევინო ერთი რამ იმისთანა სიტყვა, რომელიც კვალში ჩაგვაყენებს.

- ძალიან ძნელია იმას გამოათქმევინოთ რამე. თვალად ისეთი მორჩილი, წყნარი და უმანკოა. ოჰ, ძალიან ხერხიანი არამზადაა.

- რას ბძანებთ! სულ ყმაწვილია და გამოუცდელი. რაც კი ვიცით და გაგვიგონია იმის უწინდელ ცხოვრების თაობაზედ, სულ ყოველი მისი სასარგებლოა.

- ეგ მართალია, მაგრამ გარეგნობით ძნელი არ არის კაცი მოტყუვდეს. ნახევარი ხალხი, რომელიც ბედოვლათად ჩანან, ჭკუიანი და საქმიანი კაცები არიან. მე თავის დღეში მაგისთანებში ჩანგალს არ მოვხვდები ხოლმე. ერთი ეს არის ღირსსაცნობი: ღვთისმოყვარეა თუ არა? თუ არ არის, ეგ კი ნამდვილი საბუთია, რომ ცუდი კაცი ყოფილა.

- მე მაგას შევიტყობ, - უპასუხა ვერშემონმა და რომ ლაპარაკი გააწყვეტინოს, გაუმეორა, - გამოართვით მდივანს ნივთების გამსყიდველის ნიშნების სია და ბილეთების ნუმრები.

ბოიემ პატივისცემით თავი დაუკრა და გამოვიდა ოთახიდან. კანცელარიაში მიიღო ჯეროვანი საჩუქარი დამნაშავეს დაჭერისათვის და წამოვიდა შინ დასაძინებლად. რადგანაც მთელი დღე ფეხზე იდგა და მოიღალა. მიუსკის ქუჩაში იდგა. შეალო კარი თუ არა, მეკარემ შეაჩერა.

- ბატონო ბოიე! - უთხრა მეკარემ, - ეს-ეს არის თქვენს დეიდას პალიარის ქვრივს თქვენთან კაცი გამოეგზავნა, ავად არის თურმე და გთხოვთ ეხლავ წახვიდეთ სანახავად.

- კარგი, ეხლავ წავალ, - უპასუხა ბოიემ.

ამისი დეიდა პალიარის ქვრივი სენ-პოლის ქუჩაში იდგა. ამ ქუჩაში მივიდა თუ არა ბოიე, შეიტყო, რომ ბებერს პალიარის ქვრივს იმ დილით წვეთი მოსვლია და ეხლა კი ცოტა უკედ არისო. შენთან გამოგზავნაო ქვრივმა კაცი, ამიტომ რომ მისი შვილი ამჟამად პარიზში არ იმყოფებაო. ბოიე მარდად ავიდა კიბეზედ მესამე სართულში და შეშინებული, გაფითრებული შევარდა ქვრივის ოთახში.

- რა დაგმართვია, დეიდავ? - დაიძახა მან თვალცრემლიანმა, - ავად ხარ? ვაი შენ, ჩემო თავო! ვაი ამ დღის მნახველს!.. რა წამსაც ეს ამბავი შევატყე, თავი დავანებე კანცელარიაში ჩემს სამსახურს და აქეთ გამოვიქეცი. ეს რა მოგსვლია?

არაფერი, არაფერი, შვილო, ეხლა უკედა ვარ, - უპასუხა ბებერმა,

რომელსაც ძლიერ იამა, რომ დისწულმა ასეთი გულმტკივნეულობა აღმოუჩინა და დაუმატა თითქმის ტირილითა: - ახ, ჩემი შვილი რატომ შენ არა გგავს?

- მაგაზე ლაპარაკი ეხლა რა დროსია, ჯერ ყმაწვილი კაცია, გონზე თავის დროზე მოვა. გულს ნუ იშვოთებ, მე აქა ვარ, მე მოგივლი.

- ჰო, ჰო, ჩემო კარგო, მე დარწმუნებული ვარ, რომ თავს არ დამანებებ. შენ ჩემი მეორე შვილი ხარ... და პირველზედ უფრო უკეთესი.

- მიბძანეთ, რაც გნებავს, დეიდა! მე თავისუფალი ვარ და თქვენთან ვიქნები. მე მარტო პატარა ბარათს მივწერ კანცელარიის დირექტორს.

ბოიე ყველას არწმუნებდა, რომ საპრეფექტოში მსახურებს და ამიტომაც პატივი ჰქონდა. ამისი ავანჩავანობა დეიდის სახლში ორიოდ სიტყვით გამოიხატება: ამ ბებერ დედაკაცის შვილი, მეტად პატიოსანი ყმაწვილი კაცი, ცოტა ხელგაშლილი და ადვილად ამყოლი იყო. იგი გაება რაღაც სავაჭრო საქმეებში, დაელუპა ამ საქმეებში ფული, რაც მამისაგან დარჩენოდა, და ეხლა დღედაღამ იბრძოდა, რომ ხელმეორედ თავისი საქმეები გაესწორებინა. დედას ძალიან უყვარდა იგი, მაგრამ ის კი აწუხებდა, რომ შვილი მეტად თავისნების კაცია და ამას გარდა ლაპარაკში ისე უპატიურად იხსენიებდა მღვდლებს და სამღვდელოებს, რომ მოხუცებულს დედას ელდა ეცემოდა ხოლმე. უი პალიარი - ასე ერქვა დედაბრის შვილს - არც ერთს შემთხვევას არ დაჰკარგავდა, რომ დედისთვის ან არ წაეკითხნა, ან არ ეამბნა, თუ სადმე მღვდელს ზნეობის წინააღმდეგი საქმე ჩაედინა. დედაბერი თითქმის გააფთრდებოდა ხოლმე, სწამებდა უღვთობას და ეტყოდა: აი შენს დეიდაშვილს ბოიეს მაინც მიჰბამე, ღვთის მოყვარების მაგალითიაო. მაშინ ლუიცი ხუმრობაგაშვებით ამას ძალიან იწყენდა ხოლმე.

- თავის დღეში ნუ მეტყვით ნურას იმ ფარისეველზედ, იმ უსირცხვილო ენამტანიანზედ, - ეუბნებოდა ხოლმე შვილი, - სჯობს ის აქ არ მოდიოდეს, როცა მე აქა ვარ, თორემ მე ვიცი...

ბოიემ იცოდა, რაც ამბავია დეიდას ოჯახში და ცეცხლზედ ზეთს ასხამდა, რაც შეეძლო. ბოლოს იმდენი იხერხა, რომ დედა შვილს წასჩხუბა. ხანდისხან კი დედა-შვილი ერთმანეთს ინახულებდნენ ხოლმე, მაგრამ ძალიან ძვირად. ბოიე ჰცდილობდა. რომ შვილის ფეხი დაიჭიროს დეიდას სახლში, რადგანაც იმედოვნებდა. რომ დეიდა თავის ქონებას, თუ სულ არა, ნაწილს მაინც ამას უანდერძებდა. ამიტომაც, როგორც მშიერი მგელი, ისე ელოდდა თავის დეიდის სიკვდილსა.

დიახ, დეიდა! - განაგრძო ბოიემ, - სიფთხილეს თავი არ ასტკივა, ვინ იცის რა მოხდეს? ყველაფერი ღვთის ნებაა. სჯობია, რომ მთელი დღე შენთან ვიყო.

- მადლობელი ვარ, შვილო! დილას ძალიან შემეშინდა, მეგონა ჩემი აღსასრული მოვიდა-მეთქი. ვეღარასა ვხედავდი, ვეღარა მესმოლა-რა.

- მოძღვარი მაინც მოიწვიეთ, თუ არა?

- არა, ჩემო კარგო, მინდა კი, რომ მღვდელი მომიყვანო. აბა ერთი წადი; მაგითი ხომ სიკვდილი არ მოისწრაფება, მაგრამ გულზედ კი როგორღაც მოეშვება ხოლმე კაცს.

ამ სიტყვებზედ ბოიემ თვალი დააკვირვა დედაბერს. ძალიან ცუდად უნდა ეგრძნო თავისი თავი დედაბერს, რაკი ახე გაბედა ლაპარაკიო. ამის შემდეგმა ლაპარაკმა უფრო დაარწმუნა, რომ დედაბრის საქმე წასულია.

- ლუისაც დეპეშა გაუგზავნე, შენ გეთაყვა, იმისი ნახვა მინდა. ნუ მისწერ კი, რომ მღვდელი დავიბარე.

“სწორედ წასულია დეიდაჩემის საქმეო, - იფიქრა ბოიემ რაღაც ბოროტის სიხარულითა, - ჩემს თავს უნდა ვუპატრონო, თორემ ლუკმა ხელიდამ წამივანო”.

ჯერ ყველაზედ უწინარეს დედაბერს ნუგეში სცა, ეფიცებოდა, რომ თქვენ სამაგისო არა გიჭირთ რაო; მერე ადგა და წავიდა, რომ ჩვეული ექიმი მოჰგვაროს და თავისი საკუთარი მეგობარი მღვდელი მოიყვანოს.

- ჩემო სულიერო მამაო, - უთხრა ბოიემ მღვდელს ტირილითა, - მე საშინელი უბედურება მეწვია, - დეიდა, რომელმაც გამზარდა როგორც ღვიძლმა დედამა, მიკვდება. ერთი ეგლა მყვანდა მთელს ქვეყანაზედ, მარტო ეგლა მიყვარდა და ეხლა ვშიშობ, რომ მაგასაც ღმერთი წამართმევს.

- თუ ნება ღვთისა ეგეთია, შვილო ჩემო, შენ უნდა მოწიწებით დაემორჩილო. უკეთესს ქვეყანაში გადიყვანს უფალი, ხოლო უნდა ეცადოთ, რომ გარდაცვალება მისი ქრისტიანულის წესით იქმნას.

- მამაო, მეც ვიცი, რომ უნდა მოწიწებით დავემორჩილო ღვთის ნებას, მაგრამ მწუხარება ძნელი რამ არის. თვითონ დეიდასაც სურს ქრისტიანულად აღსრულდეს და თქვენს წასაყვანად გაიხელით. მე არ ვიცი, საკუთარი მომღვარი ჰყავს თუ არა დეიდაჩემს, ეხლა კი უფრო ის ირჩია, რომ უცნობს ღვთის მსახურს გაენდოს.

- მე ეხლავ ავუსრულებ სურვილსა, ჩემო შვილო!

- დეიდაჩემი სწორედ წმინდანებშია შესარიცხი, - განაგრძო ბოიემ, მინამ მღვდელი მზადებაში იყო წასასვლელად, - შვილი კი სამაგელი რამა ჰყავს, არა სწამს რა, არც სინიდისი აქვს, არც პატიოსნება; სიცოცხლეს ის უმწარებს დეიდაჩემს. მამამისი და ბიძაჩემი რომ გარდაიცვალა, იმ არამზადამ სულ გაფლანგა მამის მონაგარი და ეხლა დეიდაჩემს არ უნდა მემკვიდრეობა იმას დაუგდოს, რადგანაც ეშინია, რომ გააფუჭებსო. თუნდ ეგ არ იყოს, მე უფრო მახლობელი შვილი ვარ, ვიდრე ლუი, თუ სახეში ვიქონიებთ ჩემს გულითად სიყვარულს დეიდაჩემის მიმართ. თუმცა დეიდაჩემი ძალიან მდიდარი არ არის, მაინც კარგა ფული აქვს და მე ძალიან მადლობელი ვიქნებოდი თქვენი, მამაო, თუ დაუშლით, რომ თავისი ქონება მთლად არ დაუგდოს იმ კაცს, რომელიც მარტო სახელით არის შვილი და არა საქმით. თქვენ მე კარგად მიცნობთ, მამაო, და მიმიხვდებით, რომ მარტო ჩემის თავის სარგებლობაზედ არ ვლაპარაკობ. ბევრი ღარიბი კაცია, რომელსაც დეიდაჩემი ხელს უმართავდა და, თუ დეიდა მოინდომებს, მის მაგივრობას გავუწევ იმ უბედურებს, ღმერთმანი ცოდვას, თუ იმ უბედურებს უპატრონოდ დასტოვებს, მერე ვის გულისათვის?

- მე თქვენ მეტად კარგად გიცნობთ, შვილო ჩემო, და ვერაფერს ცუდს ვერ შეგწამებთ. მე თქვენს ნათესავს მოვაგონებ მას, რაც, ჩემის აზრით, მისი ვალია

და დავითანხმებ, რომ აღასრულოს თავისი უკანასკნელი მოვალეობა.

ბოიემ დიდის მოწიწებით მიიყვანა მღვდელი დედაბერთან. დედაბერმა იცოდა, რაც ამბავია მის თავს, ტყუილ იმედებით არ ჰნუგეშობდა და ამიტომაც ძალიან იამა მღვდლის მოსვლა.

- მაღლობელი ვარ, შვილო, - უთხრა დედაბერმა ბოიეს, - ჩემი მოძღვარი უსათუოდ ვერ გიპოვნია და სხვა მღვდელი მოგიყვანია. კარგად გიქმნია, მე ვგრძნობ, რომ ცუდადა ვარ.

ბოიე ოთახიდან გავიდა, გაიხურა კარები და ყური კლიტის ჯუჯრუტანას მიაკრა, აგება გავიგონო რამეო.

საწყალი დედაბერი გაენდო, აღიარა რაღაც ცოდვები და უფრო ყველაზე მეტად იმას ჰნანობდა, რომ შვილს მეტად სასტიკად ვექცეოდიო. მღვდელმა ბოიეს ჰანგზედ გაუბა ლაპარაკი, მაგრამ დედაბერმა გააწყვეტინა სიტყვა.

- არა, მამაო, ლუი პატიოსანი კაცია, - სთქვა დედაბერმა, - მართალია, მამის მონაგარი შემოეხარჯა, მაგრამ ბედოვლათობაში არა გაუფუჭებია რა, დღედაღამ საქმეში იყო და ბედი არ დაეხმარა. კარგი შვილია და მეტად კეთილშობილი კაცია. რჯულის წინააღმდეგი არ არის, მხოლოდ გარეგანს წესს არ ასრულებს. ის ჩემზედ უფრო მომეტებულად შეეწევა ღარიბებს ჩემს შემდეგ და აი რის გამო არ მინდა, რომ ანდერძი სხვის სახელზედ შევადგინო. ყოველი, რაც კი მბადაია, ჩემის შვილის კუთვნილებაა და, როცა მოვკვდები, პირდაპირ იმას ჩაჰბარდება, როგორც ჩემს მხოლოდშობილს შვილს.

კაცი ყოველთვის სამართლიანად უნდა იქცეოდეს. იქნება სხვა ნათესავებიცა გყვანდეთ, რომელთაც თქვენ უყვარხართ შვილზედ არა ნაკლებ და რომელთაც ისე უყურებდით, როგორც ღვიძლს შვილებს.

- თქვენ იქნება ბოიეზედ ჰლაპარაკობთ. კაი ბიჭია, მაგრამ კარგი თანამდებობა აქვს და ბედნიერად ცხოვრობს. თვითონვე ხშირად უთქვამს ჩემთვის, მე ჩემთვის კარგადა ვარ და არაფერო ვსაჭიროებო. თუნდ ეგ არ იყოს, თუ რამ გაუჭირდა, თვითონ ლუი უპატრონოდ არ დააგდებს.

მღვდელმა გააბა ლაპარაკი ეკკლესიაზედ, ღარიბებზედ, რომელიც დავიწყებას არ უნდა მისცეთ ამისთანა დროსაო, მაგრამ ამაოდ.

ბოიემ ყური მოაშორა ამათ ლაპარაკს. ტანში გაიმართა, წარბი ჩამოუშვა და ტუჩების კვანძით წაიდუდუნა:

- მაშ კარგი ყველაფერს იმას აძლევ განა... მე კი არაფერს?.. მაგასაც ვნახავთ, არა მთანდერძე რა განა? დამაცა!

როცა მღვდელმა კარი გამოაღო, ბოიემ მაშინვე მწუხარების სახე გაიკეთა და ნაღვლიანად ჰკითხა:

- რაო, მამაო, დეიდა ძალიან ცუდად არის განა?

- ღირსეული, წმინდა დედაკაცი ყოფილა, - უთხრა მღვდელმა, რადგანაც პირდაპირის პასუხის თქმას მოერიდა, შვილს შეატყობინეთო?

- დიად, დეპეშა გავუგზავნე.

- მეორეც გავუგზავნეთ. საჭიროა, რომ მოასწროს. შეუთვალეთ, რომ აღარ დაიგვიანოს. მშვიდობით, ჩემო მეგობარო, ილოცეთ დეიდათქვენისათვის.

წავიდა მღვდელი თუ არა, ექიმიც მოვიდა. შეხედა თუ არა დედაბერს,

მაშინვე მიხვდა, რა დღეშია არის. წამალი დაუწერა, ორიოდ სასაუბრო სიტყვა უთხრა და როცა კიბეზე გამოვიდნენ ისა და ბოიე, უთხრა ბოიეს:

- დეიდათქვენი უკანასკნელ დღეშია; დიდი ამბავი იქნება რომ ხვალამდე გაახწიოს. ეს მეოთხედ დაეცა წვეთი, დამბლა მოუვიდა. ერთს საათს უკან ენაც დაბმის... ეხლავე უნდა შეატყობინოთ ლუის, მისწერეთ, რაც შეიძლება ჩქარა წამოვიდეს. თავის დღეში სანანურად გაუხდება, თუ ცოცხალს არ მოუსწრო.

- მე დეპეშა დიდი ხანია გავუგზავნე.

- მიკვირს, აქამდე რად დაიგვიანა. აქ ხომ სულ ერთის საათის სავალია რკინისგზით. მეორე დეპეშა გაუგზავნეთ; საქმე ძლიერ საშურია.

- მე ეხლავ გავიქცევი სატელეგრაფოში, - უთხრა ბოიემ.

- კარგი, თქვენ წადით და მალე კი დაბრუნდით, მე ავადმყოფთან ვიქნები. მარტოდ დაგდება არ შეიძლება.

ბოიემ მოატყუა მღვდელიც და ექიმიც: დეპეშა არ გაეგზავნა თავის დეიდაშვილისათვის. ეხლა კი, როცა ექიმმა დაარწმუნა, რომ ერთს საათს შემდეგ ენა დაებმისო, გული დაუწყნარდა, გაიქცა დეპეშის გასაგზავნად და გზადაგზა მიდუღუნებდა: მინამ ის მოვა, მე ჩემს საქმეს გავარიგებო.

ექიმი მომაკვდავ დედაბერთან შევიდა.

- ჩვენო კეთილო მარიანა, - უთხრა ექიმმა დედაბერს, - ნუ გეშინიათ, ეგ იმისთანავე ავადმყოფობაა, რომლისაგანაც მე ამას წინად მოგარჩინეთ. თქვენ მალე უკედ შეიქმნებით, მაგრამ სიფთხილეს მაინც თავი არ ასტკივა; არ იქნება ურიგო, რომ თქვენი საქმეები ცნობაში მოიყვანოთ. მაგით ხომ სიკვდილი არ მოგიჩქარდებათ. თქვენი შვილი ლუი ეხლა გონებაშია ჩავარდნილი, შესაძლოა ავადმყოფობა გაგიძლიერდეს და ლუისათვის საჭირო იქნება იცოდეს, რა მდგომარეობაშია თქვენი საქმეები.

- ბატონო ექიმო, - უპასუხა დედაბერმა დასუსტებულის ხმით, - მეც ეგრე მსურს. ყოველისფერი მე მინდა იმას ჩავაბარო და ჩემთან ვამყოფო.

- მაგაზედ უკეთესს ვერას იზამთ.

- მე ბანკის ბილეთები მაქვს, რომელნიც მე არ მეკუთვნიან; გირაოდ მაქვს. ეს მინდოდა შემეტყობინებინა ჩემის შვილისთვის. სხვა ყოველი ნოტარიუსთანა მაქვს. ლუი ყველაფერს ნოტარიუსისაგან მიიღებს.

- მინამდე ხომ არ გნებავთ მე მომანდოთ რამე?

- არა, არა. ჩემს საქმეებს მარტო ჩემს შვილს შევატყობინებ.

- გვარები მაინც მიბძანეთ, ვისაც თქვენგან ფული უსესხნია.

- ვერ გეტყვით, ვერ! მაგას მარტო ჩემს შვილს ვეტყვი.

ექიმი ორ ცეცხლ შუა იყო. ვერც ეთქვა პირდაპირ, რომ უკანასკნელ დღეში იყო, რადგანაც შიში გულს უფრო გაუხეთქდა და იმის ჯავრიც ჰქონდა, რომ ვაი თუ ლუიმ ვეღარ მოუსწროსო. ექიმი დიდი ხნის მეგობარი იყო ამ ოჯახისა და ძალიან ეჯავრებოდა ბოიე. იცოდა, რომ ქვეშ-ქვეშა კაცია, მახეზღარი, ენამტანია და, რასაკვირველია, ექიმი თავის დღეში არ ურჩევდამომაკვდავს დედაბერს, რომ შენი საქმეები შვილის მოსვლამდინ ბოიეს ჩააბარეო.

ბოიე რომ მოვიდა სატელეგრაფოდამ, დეკემბის გაგზავნის ბარათი აჩვენა ექიმს. ექიმი გამოეთხოვა დედაბერს და შინ წავიდა, უთხრა კი ბოიეს, რომ თუ ვინცოცაა ლუი გვიან მოვიდეს და დედაბერს ენა წაერთვას, შემატყობინეთო.

ბოიე მარტო დარჩა მომაკვდავ დედაბერთან. საწყალს დედაბერს ყური კიბისაკენ ეჭირა და ხმაურობა რამ რომ მოესმოდა, ეტყოდა ხოლმე ბოიეს უფრო და უფრო სუსტის ხმითა:

- აბა ჰვნახე, ლუი ხომ არ არის...

ბოიე ცოტა ხანს იჯდა დედაბერთან და მერე სამზარეულოში გავიდა, რომ რაღაც სასმელი მოუმზადოს სნეულსა და, როცა უკან დაბრუნდა, ელდა ეცა. დედაბერს უაზროდ გაშტერებოდა მინად ქცეული თვალები და ენა ჩავარდნოდა. სიკვდილის მომასწავებელი ზარი უცემდა გულში. ბოიეს ელდამ მალე გადუარა; სახეზედ დაეტყო რაღაც ღვარძლით სავსე სიხარული, თავმოწონებით თავი მაღლა აიღო და სთქვა:

- ძლივს აქაურობის პატრონი მე არ გავხდი! - მერე მიუბრუნდა დედაბერს, რომლის ჩამქრალი თვალი გაშტერებით შეაჩერდა ამას და ბოროტმა ბოროტის ღიმილით წამოიძახა: - არ გინდოდა განა ჩემთვისაც დაგეგდო რამე! მაშ კარგი, რასაც ვნახავ, მე თვითონ ავიღებ. ჩემს თავს ცარიელს არ გავუშვებ ქედამ.

მომაკვდავს თვალები ისე აუბრიალდა, თითქო ცეცხლი წაეკიდაო, მაგრამ ღონე აღარა ჰქონდა ან დაძრულიყო, ან ხმა ამოეღო, ისე უნუგემოდ, უღონოდ, უმწეოდ დარჩომილი თვალს ადევნებდა ყოველს მოძრაობას ამ ნამუსდაკარგულ ქურდისას.

- არ გინდოდა განა ჩემთვისაც მოგეცა რამე, - განაგრძო ბოიემ, - მაშ ჩაძალდი შე ქოფაკო, და მინამ შენი ლუი მოვა, მე ჩემთვის კაი ლუკმას გადავიგდებ...

ხელახლად მოჰყვა მხეცურად ხარხარს, დაავლო ხელი გასადებებს, ბებრის ზანდუკს შეურჩია ერთი მათგანი, გაალო და მოჰყვა ქალაღების ქოთებას. ოთახში დუმილი იყო, მარტო კედლის საათის რაკარუკი ისმოდა და გულის ფეთქა მომაკვდავისა.

დედაბერი უძრავად იწვა ლოგინზე სრულებით უმწეოდ, თუმცა სრულ გონებაზედ კი იყო. ყველაფერს ჰხედავდა, ყველაფერი ესმოდა. ჰგრძნობდა საწყალი, რომ სიკვდილი თანდათან ეპარება. ჰცდილობდა დაეძახა, მაგრამ ამით უფრო თავს ისუსტებდა. უნდოდა ეთქვა, რომ ბანკის ბილეთები, რომელნიც ზანდუკში იპოვა ბოიემ, სხვისაა და მხოლოდ გირაოდა მაქვსო, მაგრამ ენა ვეღარ დასძრა. ის სამაგელი უნამუსო კაცი, რომელსაც ერთს დროს შვილს ამჯობინებდა, ქურდი იყო და სხვა არა რა და ეხლა სულთა ბრძოლის დროს სძარცვავდა უმწეო დედაბერს, სტაცებდა სხვის საქონელს და ამით სამუდამოდ ჩირქს აცხობდა დედაბრის პატიოსანს სახელსა.

თვალთ დაუბნელდა კიდევ დედაბერს, როცა ბოიემ დაბეჭდილ ქალაღდში შეხვეული ბანკის ბილეთები იპოვა, გახსნა და სიხარულით დაიკვილა, როცა ნახა იმოდენა - უსახელო ბილეთები და გულდინჯად გადათვალა და იანგარიშა რამდენია.

- ბებერს არ უთქვამს არასოდეს, რომ ამოდენა ფული ჰქონიყო, - სთქვა გახარებულსა ბოიემ, - ამოდენა ფულს ქონებას ეძახიან. ეხლა კი, ჩემო დეიდა მარიანა, ჩემი წილი მივიღე და შენ აღარ გემდურები. ეხლა შეგიძლიან მშვიდობიანად მოჰკვდე... სხვა არა იყოს რა, შენი ქონება სამართლიანად გავიზავით. მე ეს მერგო და ლუიმ კიდევ ის ირგუნოს, რაც ნოტარიუსთან არის.

ბოიე მოვიდა მომაკვდავ დედაბერთან და დააკვირვა თვალი.

- მიბრძანდება! ბევრი აღარ დარჩომია, - წაიდუღუნა თავის თავად, - მაინც კარგა ხანს გასტანა. მთელი ოთხი საათია სულთ ებრძვის და არ იქნა, ვერ მოკვდა.

მერე ისევ ზანდუკს მოუბრუნდა, როგორც იყო, ისევ ისე ჩაალაგა ქალაღები, და ბანკის ბილეთები კი ჯიბეს იკრა. ბოლოს ისევ დაკეტა ზანდუკი, გამოვიდა ოთახიდან, ჩამოვიდა კიბეზედ და თვალთაგან ცრემლი სდიოდა, მითამ-და სწუხს.

- დედათქვენი როგორა ბრძანდება - ჰკითხა მეკარემ.

- კვდება ჩემი საწყალი დეიდა მარიანა, ჩემი მეორე დედა! - უპასუხა გულამოჯდომით ბოიემ, - ვაიმე უბედურს, ვაიმე!

- გული დაიმშვიდეთ, ბატონო ბოიევ! რაზედ სტირით ეგრე, რა ვუყოთ თქვენი დეიდა იმ ხანში იყო, რომ დღეს არა, ხვალე ეგ უბედურება უნდა შემთხვეოდა. რა ვუყოთ ყველა კაცი სიკვდილის კერძია.

- მართალია, მაგრამ მძიმე რამ არის კაცმა თავის თვალთ ნახოს უკანასკნელი წუთი საყვარელის ადამიანისა. ლუიც არ მოვიდა... ის მაინც მოსულიყო, საწყალი დეიდა მშვიდობიანად მაინც დახუჭავდა თვალს.

- მაშ იმედი აღარ არის?

- არა ამ ერთის საათის წინ სულთაბრძოლა მოუვიდა... ვეღარავის სცნობს. მე მღვდელთან მივდივარ, რომ აღსასრულის ლოცვა შევუკვეთო.

- ღმერთმა აცხონოს! - წარმოსთქვა მეკარემ, მოწიწებით პირჯვარი გადაწერა და გაიფიქრა: "საწყალი ყმაწვილი კაცი მებრალეობა! დედასავით ჰყვარებია".

ბოიე მღვდელთან წავიდა, შეუკვეთა ლოცვა და მერე შინისკენ გაიქცა. მაგრამ მანამ კარებში შევიდოდა, მწუხარის და ნამტირალევის სახე გაიკეთა.

- რა დაგმართვიათ! - ჰკითხა ახლა აქაურმა მეკარემ, რაკი ბოიე ნამტირალევი ჰნახა, - დედათქვენს ხომ არა ასტეხია რამ?

- გადაიცვალა! - უპასუხა ბოიემ და ხმამაღლა მოჰყვა ქვითინს.

- მებრალეობით, ბატონო ბოიევ! მარტო ეგ იყო თქვენი კეთილისმყოფელი ნათესავი.

- ეგ იყო, ეგ! ეხლა, რაკი ღმერთმა დეიდა მარიანა წამართვა, აქ პარიზში რალა უნდა გავაკეთო, აქ აღარ დავდგები, უნდა წავიდე აქედამ.

- რას ბძანებთ! მწუხარებამ ეგრე როგორ უნდა დაგიმორჩილოთ. სამსახურს რალას უზამთ?

- გამოვალ სამსახურიდან და სადმე პარიზს გარედ ბინას მოვიკიდებ. ჩემი მცირე ქონება საცხოვრებლად მეყოფა.

თუმცა ქონების ხსენება ბოიესაგან პირველი იყო, მაგრამ მეკარეს არ ეოცა, სამსახურის კაცია და ერთი-ორიოდ გროშს როგორ ვერ მიაგდებდაო.

- თუ რაიმე მე თქვენთვის საჭირო ვარ, მიბძანეთ, არაფერში დაგზარდებით, - უთხრა მეკარემ.

- მადლობელი ვარ. მე იმის შვილს ველი. თუ ისურვებს, მე მოვუდგები მთელი ღამე მიცვალებულს. აქ იმისთვის მოვირბინე, რომ პატარა ჯვარცმა წავიღო და მიცვალებულს გულზედ დავუსვენო.

ამის თქმაზედ ბოიე მოშორდა და სწრაფად ავიდა თავის სადგომში.

- აი მართებული კაცი! გაიფიქრა მეკარემ, - ნეტა ბედი რატომ არა სწყალობს ამისთანა კაი კაცებს.

თავის ოთახში რომ შევიდა, ბოიემ ფთხილად დაკეტა კარები, ჩამოუშვა ფარდები ფანჯრებზედ, მერე საიდუმლო ყუთში ჩააწყო ბანკის ბილეთები, რომელიც დეიდა მარიანას მოჰპარა. ქაღალდი, რომელშიაც გახვეული იყო ეს ბილეთები, დასწვა და ბილეთების ნუმერები ცალკე გადმოსწერა. აქ უეცრად მოაგონდა, რომ დაავიწყდა და არ გამოართვა მდივანს იმ ბანკის ბილეთების ნუმერები, რომელიც ლეა მედანს მოჰპარეს, თუმცა გამომძიებელმა უბძანა, რომ გამოართვიო.

- უფრო კარგიო, - იფიქრა ბოიემ, - მე იმ საქმეზედ ეხლა ხელში არაფერი ქაღალდები მაქვს, დღეს მორის ფერანის დაჭერისათვისაც ხომ ფული მივიღე; ეხლა სწორედ ასლია ქაღალდი მივცე და სამსახურიდამ გამოვიდე, წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებ. მადლობა ღმერთს, ფულიანი კაცი ვარ ეხლა,

დაჯდა მაშინვე და დაწერა:

“მოწყალეო ხელმწიფევ!

“მე დიდი უბედურება შემემთხვა. შინ რომ მოვედი, მითხრეს, რომ დეიდაჩემი, რომელიც ჩემი მეორე დედა იყო, ძალიან ავად არისო. მე მაშინვე გავიქეცი. საწყალი მოხუცებული ჩემს ხელში გარდაიცვალა. სიკვდილის წინად აღთქმა ჩამომართვა, რომ სამსახურს თავი დაანებეო. მეც აღთქმა დავუდე. ერთი-ორიოდ გროში მქონდა გადადებული შავის დღისათვის და, თუმცა ძალიან ცოტაა, მაგრამ მგონია მაგ ნამცეცებით როგორმე ვიცხოვრებ სადმე, პარიზ გარედ, ერთს რომელსამე პატარა ქალაქში.

“გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, სამხახურიდამ დამითხოვთ. მე მგონია, რომ ყოველთვის გულმოდგინედ ვასრულებდი ჩემს თანამდებობას და ჩემიმცირედი ქონება არ გასწვდება ჩემს ღარიბს ცხოვრებასა, მაშინა გთხოვთ მიშუამდგომელოთდა თანამდებობა მომაცემინოთ იქ, საცა ბინას მოვიკიდებ.

"იმპერატორის მთავრობის ერთგული, მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ ღირსეულად ვიმსახურო სხვა თანამდებობაშიაც. თუმცა ჩუმად-მაძიებელის თანამდებობას ვეღარ ვიკისრებ, მაგრამ საპოლიტიკო აგენტად კი შემძლიან სასარგებლო ვიყო იქ, საცა მე არავინ მიცნობს”.

დააწერა ადრესი და კმაყოფილებით წარმოსთქვა:

- კარგად მოვიგონე. მე ეხლა გულდადინჯებით შემძლიან ვიცხოვრო

შორს სადმე, იმისთანა ადგილას, საცა ვერ მომწვდება შურიანი თვალი ნაცნობისა, რომელსაც ჩემი უეცარი გამდიდრება ეჭვს რასმეს მოჰგვრიდა.

გამოვიდა შინიდან, ფოშტის ყუთში ჩააგდო თავისი არზა და გაქანდა დეიდა პალიარის სახლისაკენ. საწყალი ჯერ არ გარდაცვლილიყო, მაგრამ უკანასკნელ წამშილა იყო.

- "ეხლავ გათავდებო, - იფიქრა ბოიემ, მივიდა, დახედა მომაკვდავს, მერე თახჩიდან გამდიდრებულ ღვინო, ერთი ჭიქა სავსე დაასხა და გადაყლაპა უსვენებლივ, - ეჰ, რა რიგად ცხელა, დავიღალე, - სთქვა მან ბოლოს.

უნდოდა საჭმელი რამ ეპოვნა ოთახში, მაგრამ ამ დროს კარიც დაურაკუნეს. ტუჩები მოიწმინდა და თვალცრემლიანი წავიდა კარის გასაღებად.

საწყალს დედაბერს ხრიალმა უეცრად უკლო და თითქო გულზე მოეშვაო, ჩამქრალი თვალეები ისევ გამობრწყინდნენ და კარებს შეაჩერდნენ. კაცს ისე ეგონებოდა, თითქო დაიჩურჩულა: "ჩემი შვილიაო".

კარი გაიღო და შემოვიდა ყმაწვილი კაცი. არც კი შეხედა ბოიეს, მაშინვე მივარდა მომაკვდავს დედაბერსა და ხმამაღლა ჩასძახა:

- დედი, დედი! მე ვარ, მე!

ამ ძახილმა, ამ ხმამ შეურყია მთელი აგებულიება მოხუცებულსა. საწყალმა წამოიწია, თითი გაიშვირა ზანდუკისაკენ და ძლივს-ძლივს გამოსთქვა:

- ლუი... იქ... წაიდ...

თქვა ეს თუ არა და სულიც დალია შვილის ხელზედ. შვილს ეგონა, გულს შემოეყარაო და ფთხილად მიასვენა ბალიშზედ.

- ოჰ, ღმერთო, ღმერთო ჩემო გულს შემოეყარა. სთქვა ლუიმ, - დედი, შენი ჭირიმე, დედი! აბა შემომხედე, მე ვარ, მე, შენი ლუი.

მხოლოდ ეხლა, როცა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა გულაშფოთებულმა და იმედგადაწყვეტილმა, შენიშნა, რომ ბოიე იქ არის. ბოიე იდგა კუთხეში გაფითრებული და მთელის ტანით კანკალებდა. საშინელი წამი გამოიარა, როცა მომაკვდავმა თითი გაიშვირა ზანდუკისაკენ და უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა. ყურში უბზუოდა მთლად ეს სიტყვები, რომელიც დედაბერს უნდოდა ეთქვა და ვერა სთქვა:

- ლუი, მაგან იქიდან წაიღო ფულიო.

- შენა ხარ? - უთხრა ლუიმ ბოიეს, - შენ ყვავსავით ყოველთვის იქა ხარ ხოლმე, საცა უბედურებაა. რას უდგებარ, განა ვერა ჰხედავ, რომ გული შემოეყარა?

- ეგ გულშემოყრა არ არის, ლუი. ექიმმა წინადვე გამიმჟღავნა, უბედურება გვეწია.

- რას ამბობ! - დაიძახა ყმაწვილმა კაცმა, მივარდა დედას, გადაეხვია, დაეცა მუხლებზედ და საცოდავად დაიწყო ქვითინი.

- მე ექიმთან გავიქცევი. - სთქვა ბოიემ და გავიდა ოთახიდან.

როცა ექიმი მოვიდა, ლუი ისევ ისე დაჩოქილი იყო მიცვალებულის წინ და, როგორც ბაშვი, ისე სტიროდა.

- გათავდა ყველა მე აღარა მყავს დედა, - სთქვა ლუიმ და მიაწოდა ხელი

ექიმს.

- მე წინადავე ვიცოდი. რად დაიგვიანე? - ჰკითხა ექიმმა.
 - მე მაშინვე წამოველ, რა წამსაც დეპეშა მივიღე, - უპასუხა ლუიმ.
 - ორი დეპეშა უნდა მოგსვლოდა.
 - არა, ერთი მივიღე ორს საათზედ. აი რა წერია: "თუ დრო გქონდეს, წამოდი, დედაშენი ავად არის", ხომ გესმის, რომ ამ უბედურებას ვერც კი ვიფიქრებდი. ერთი ათი წუთიც რომ დამეგვიანა, ვეღარც კი მოვუსწრებდი.
- ექიმმა მოიხედა, რომ შეხედოს ბოიეს, რომელიც თან მოჰყვა, მაგრამ ბოიეს ჭკუა ეხმარა და გაპარულიყო, არა მკითხონ რაო.
- ეს სულ მაგ ფარისევლის ეშმაკობაა, - სთქვა ექიმმა.

VII

ბოიეს წასვლა

ლუი პალიარმა გადუხადა დედას თავისი უკანასკნელი ვალი. როცა ყოველივე, რაც რიგია, აუსრულა, ნოტარიუსი ჰნახა. ნოტარიუსს ძალიან ეოცა, როცა ლუიმ უთხრა, რომ მაგის მეტი, რაც თქვენა გაქვთ, დედაჩემს არა დარჩენია რაო. მით უფრო უკვირდა, რომ დედაბერს ეხლახან გაეყიდნა თავისი სახლები. ლუიმ ყური არ ათხოვა ამ ამბავს, იფიქრა, რომ იქნება დედაჩემმა ეკლესიას ან სამადლო საქმეს რასმეს შესწირა ფული, რადგანაც ამ ბოლოს დროს მოხუცებული სულ ამისთანებზე იყო გადაგებულიო. თუ უსესხებია ვისთვისმე, ეს ხომ არ დაიძალემა, გამოჩნდებაო. უფრო იმიტომ აღარა დასდია რა ნოტარიუსის გაცეხას, რომ თვითონ უამისოდაც კარგა ფული დარჩა.

როგორც პატივმცემელი შვილი, კეთილად მახსენებელი დედისა, ლუი ისევ იმ სახლებში დარჩა, საცა ბოლოს დროს მისი დედა იყო და წინად მამაც სცხოვრობდა და ყოვლის ფერი შეუცვლელად დააგდო, როგორც მოხუცებულის დროს იყო. რადგანაც მარტო იყო და მომხმარებელი არავინა ჰყვანდა, თვითონ მოამზადა ყველაფერი, თავის ხელით დაწერა ბარათები და მიიწვია ნაცნობები. ბევრისა არ იცოდა, ვინ იყო ნაცნობი დედისა, ამიტომაც დედის სიკვდილი ვერ შეატყობინა ტიუსსოს, რომელსაც ამის გამო გაგებული არა ჰქონდა სიკვდილი დედაკაცისა, რომლისაგანაც ფული ჰქონდა ნასესხი და რომელსაც ამ ფულში ბანკის ბილეთები დაუგირავა.

ბოიე მარტო მაშინ გამოცხადდა, როცა ყველა სამზადისი გათავებული იყო და ნაცნობები მოდიოდნენ, რომ უკანასკნელი პატივი მისცენ მიცვალებულს. ექიმმა დროებით თავისთან გადიყვანა ლუი, რომ ამ ტყუილს გულის-კვნესას და გაზეპირებულ სიტყვებს სამიმრებისას მოაშოროს. ბოიე კი არ მოშორდა მიცვალებულს. ამის ფარისევლობისათვის ასლი მოედანი იქ იყო იმჟამად. ყველანი, ნამეტნავად მოხუცებული დედაკაცები, აღტაცებაში მოდიოდნენ და ამბობდნენ: რა ღვთის მოშიში კაცია რარიგად ჰყვარებია

თავისი დეიდა!.. ბოიე დაჩოქილი იდგა თითქმის მთელი დღე კუბოს წინ. ჰლოცულობდა, სტიროდა, ოხრავდა და გულში ხელს იცემდა, თითქო მწუხარებისაგან აღარა ესმის რაო. ვინც კი ჰნახა, ყველა ამბობდა, რომ დისწული ასე სწუხსო და ღვიძლი შვილი კი მოვიდა, დახედა, მკვდარს თავი დაანება და კისერზედ მოახვია დეიდაშვილს, რომელსაც მიცვალებულისაგან ხელსახოციც არ დარჩენია, რომ ცრემლი მოიწმინდოსო.

მხოლოდ სასაფლაოზედ მოიგო ლუიმ გული მეზობლებისა. როცა დედის კუბო ჩაასვენეს საფლავში, მართალის გულით მწუხარეს ლუის გულ-შემოეყარა და ძლივს მოაბრუნეს. მაგრამ აქაც კი ბოიემ თავის ნამტირალევის თვალებით მიიზიდა ყველას ყურადღება.

როცა ყველაფერი გათავდა და ლუი, ექიმის მკლავზე დაყრდნობილი, შინისაკენ წამოვიდა, ბოიემ ხელი გაუწოდა გამოსათხოვებლად და უთხრა, რომ პარიზს გარედ თანამდებობა მივიღე და პარიზიდან ეხლავ ვაპირებ წასვლასაო.

- ლუი, - დაუმატა ბოიემ. - მე ბოლომდინ ჩემი ვალი გადავუხადე დეიდას: თვითონ იცი, რარიგადაც მიყვარდა... შენ ერთს დროს გწყინდა კიდევ, რომ მე უფრო კაი თვალით მიყურებდა ცხონებული.

ლუიმ ხმა არ გასცა და ექიმს შეხედა.

- დეიდა, - განაგრძო ბოიემ, - ჩემი მეორე დედა იყო და მე ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ იმის სახსოვრად ერთს უბრალო რასმეს მომცემ.

თუმცა ამისთანა მწუხარების დროს სიცილი უადგილო იყო. მაგრამ ექიმმა თავი ვერ დაიჭირა და სიცილი წასქდა.

- განა არა, ურიგო არ იქნება ერთი ბანკის ბილეთი განა? - სთქვა ექიმმა და თვალი უყო ლუის.

ამ სიტყვებზედ და თვალის ქნევაზედ ბოიეს ფერი ეცვალა. რას მოასწავებს ეს სიტყვებიო? - იფიქრა.

- წასვლის წინად შემოდი ჩემთან და აირჩიე რაც გინდოდეს, - უთხრა ლუიმ გაუჯავრებლად, რომ როგორმე თავიდან მოიშოროს, - მე მარტო ესა მწყინს, რომ შენ საჭიროდ არ დაინახე პატარა ადრე გეცნობებინა ჩემთვის, რა უბედურებაც მომელოდდა.

- მე ორი დეპეშა გამოგიგზავნე და ის, რომელიც შენ გვაჩვენე, პირველია, მეორეში კი ყველაფერი მოგწერე, რადგანაც მაშინ ექიმმა მითხრა, რომ იმედი აღარ არისო.

- მე უფრო ჩემს ბედს ვემდური, ვიდრე შენ. დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს, სამდურავი ეხლა აღარას მიშველის.

ლუი გამოეთხოვა დეიდაშვილს და ექიმთან ერთად შინ წავიდა.

ბოიე დარწმულ პალოსავით უძრავად დარჩა ცალკე გაოცებისაგან, ცალკე ჯავრისაგან. რატომ ლუიმ არ მიმიწვია თავისთან, ხომ მახლობელი ნათესავი მე ვარო? რა მიზეზია, რომ აგრე ამკარად ვძულვარო მართალია, ერთმანეთი თავის დღეში არ გვყვარებიაო, მაგრამ ამისთანა დროს კაცმა ყველაფერი უნდა დაივიწყოსო. ვაი თუ ლუიმ იცის, ან ექვი აიღო, რომ ბანკის ბილეთები

ნოვიპარეო! ექიმის სიტყვები აქამომდე ყურში მიბზუისო. უეჭველია, ექიმმა განგებ ახსენა ბანკის ბილეთები. იქნება იცის, რომ დეიდა მარიანას ბანკის ბილეთები ჰქონდა და ჩემზედ ეჭვი მოიტანაო? ამის მეტად ესე არ შეჰშინებია გული ამ კაცს, რომელიც აქამომდე სხვას აშინებდა; მალე კი გადაყარა გულიდამ შიში, გაიმართა წელში და თავმოწონებით წამოვიდა შინისაკენ.

გზადაგზა მოისაზრა თავისი ყოფა-ცხოვრება, მოისაზრა, რა გზას უნდა დაადგეს და როგორ უნდა მოიქცეს. ცოტა ავჩქარდი კიაო, - ამბობდა თავისთავად, - სამსახურიდამ ჯერ არ უნდა გამოვსულიყავი. მაგრამ არა უშავს რა, ვიტყვი, რომ ლუი პალიართან მტრობა მაქვს და იმასთან ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრებას მოვერიდე; რაც შეეხება ბანკის ბილეთებს, ჯერ ერთი ისა, რომ არავინ იცის, ჰქონდა თუ არა ბებერს ის ბილეთები, და მერე, თუნდ იცოდნენ კიდევცა, ვიტყვი, რომ სიკვდილის წინად თვითონ მაჩუქა; ამისთანა საჩუქარი ძალიან ადვილად დასაჯერია, რადგანაც ყველამ იცის, რომ დეიდაჩემს ძალიან ვუყვარდი. ამ სახით სისხლის სამართლისა მე ფიქრი არა მაქვს და, თუ ლუი პალიარი ისე დამიწყებს დავასა, ამასაც საშველი აქვს: წავალ და ამისთანა ალავს მივაბარებ, რომ ვერასგზით ვერ იპოვონო.

შინ რომ მივიდა, ისევ სახე მოიდრუბლა, მითამა სწუხს და ისე მძიმედ ადიოდა კიბეზედ, რომ უნდოდა მეკარეს როგორმე დაენახა და დაეყენებინა. რაც უნდოდა, აუსრულდა კიდევც.

- დასაფლავებაზედ ბრძანდებოდით განა, ბატონო ბოიე! - ჰკითხა მეკარემ, - მე მიცვალეული მარტო ეკვლესიამდე მივაცილე. სწორედ უნდა მოგახსენოთ, დიდის პატივით დამარხეს. თქვენ კმაყოფილი უნდა იყოთ.

- მე სულ მოვწყდი ცალკე მწუხარებისაგან და ცალკე ამდენის ჯაფისაგან. ეხლა წავალ, პატარას მივიძინებ და ხვალ კი ქალაქგარედ საითმე წავალ.

- შესაბრალისიაო, - იფიქრა მეკარემ.

ბოიე სწრაფად ავიდა თავის ოთახში და კარი ჩაიკეტა შიგნიდამ. იქამდინ იეშმაკა, რომ მეკარეს დაენახა და ამასთანაც დაარწმუნა, რომ დასაძინებლად წავიდა თავის ოთახში. თუ საქმე გამოძიებამდე მივიდოდა, მეკარე ამას არგენებდა. ბოიემ მაშინვე გამოიცვალა ტანისამოსი, ფერის, უმარილის და სხვა ამისთანა საგლესის შემწეობით სულ სხვა სახე გაიკეთა. ეხლა ვერავინ იცნობდა. თმა გაითეთრა, წვერი არა ჰქონდა, წვერი გაიკეთა, წარბები თეთრად შეიღება, ცხვირი გაიწითლა ლოთისამებრ.

ფთხილად ჩაიღო უბის ჯიბეში ბანკის ბილეთები, ფეხაკრებით, ფეხის თითებზედ გამოვიდა ოთახიდან წყნარად, ჩაკეტა კარები და ნელა დაეშვა კიბეზედ. მეკარემ თვალი შეასწრო შორიდან და იფიქრა, უსათუოდ უცხო ვინმე ყოფილა სტუმრად რომელსამე მდგმურთან და ის მიდის შინაო.

ნახევარ საათს შემდეგ ბოიე რკინისგზით წავიდა რეიმისისაკენ და სადამოზედ იქ ამოჰყო თავი. პირდაპირ თავის ნაცნობ ნოტარიუსთან მივიდა და უთხრა, მამული მინდა ვიყიდო ამ ახლომახლოსაო, უთხრა, რა ფასისაც უნდოდა, ჩააბარა ბანკის ბილეთები სყიდვის წინდად და ჩამოართვა ბარათი. იმავ ღამეს უკანვე პარიზში მობრუნდა და მეკარეს ისე შეეპარა, რომ ვერა გააგებინა რა.

მეორე დღეს თორმეტს საათზე მეკარემ კარი დაურაკუნა, შეშინებულმა, რომ რა დაემართა, აქამდინ სძინავსო. ბოიემ კარი გაუღო პერანგამ და სთხოვა, ოთახი დამიგავე, მინამ ტანთ ჩავიცვამდეო.

- თქვენ რომ არ მოსულიყავით, დიდხანს მეძინებოდა კიდევ, - უთხრა ბოიემ, - მე ძალიან დავიქანცე გუშინ და მთელი ღამე სულ ჩემი საწყალი დეიდა მეღანდებოდა. მე თითქმის თვალი არ მომიხუჭნია, ავად ვიყავ, სიცხე მქონდა.

- რატომ არ დამიძახეთ, ექიმს მოგგვრიდით.

- ისეც გადამიარა. მე ეხლა ჩემს ბიძაშვილთან წავალ, მერე კი გავალ სადმე ქალაქგარედ. ჩემთვის საჭიროა, პატარა გული გავართვა და შევისვენო.

- რასაკვირველია, ძალიან დაღალული იქნებით, ხუმრობაა დღედაღამ მიცვალებულს არ მოშორდეს კაცი და სამარხის თადარიგში იყოს.

- მართალია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მას შემდეგ მე მთელი თვრამეტი საათი ლოგინში გავატარე.

- ვიცი. მოხვედით თუ არა, მაშინვე ქვეშაგებში ჩაწექით.

- მაშ რა მექნა, ფეხზედ დგომის არაქათი არა მქონდა.

ბოიეს დაწყობილობა აუსრულდა ისე, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. მეკარე დარწმუნებული იყო, რომ გუშინ-მთელი დღე და მთელი ღამე შინ იყო, მაშასადამე, პარიზიდან სადმე წასვლას ვერავინ დაუმტკიცებდა. ამ სახით, გულდადინჯებული მოელოდა გამოძიებას და სახლის გაჩხრეკას. სახლში ხომ ვერაფერს უპოვიდნენ და იქ, საცა იმან მოპარული ფული გააბარა, ვის მოუვიდოდა თავში, რომ გაეჩხრიკათ.

ბოიემ ტანთ ჩაიცვა და წავიდა ლუი პალიართან, რომელსაც ამის დანახვაზედ სწორედ ზიზღი მოსდიოდა.

- შენა მთხოვე რომ დედისჩემის სახსოვრად მომეცა რამე, - უთხრა ლუიმ, - აი დედიჩემის ბეჭედი მოგიმზადე. შენი პარიზიდან წასვლა მითხარი, ძალიან მიხარია. შენი აქ ყოფნა სისხლს მიმღვრევს. რაც გინდა სთქვა, მე თავის დღეში არ დამავიწყდება, რომ მე და დედაჩემი წაგვჩხუბე და ისე მომიხდინე საქმე, რომ სიკვდილის წინად დედას ვერ მოვეპატრონე. შენ მომპარე უკანასკნელი წუთნი დედიჩემისა.

უეცარი წასვლა ბოიესი პარიზიდან სრულებით არ გაკვირვებია ლუის, რადგანაც იცოდა, რა ხელობის პატრონიც არის თავისი დეიდაშვილი. იმ ხანებში ყოველთვის, როცა კი იმპერატორის მართებლობას მოუწოდებოდა ან ახალი კანონი გაეყვანა კანონმდებელთ პალატაში, ან თავისი მომხრე ამოერჩევიდნენ ხალხისათვის კანონმდებელთ პალატის წევრად, მაშინვე თვითონ მართებლობა ათასნაირის ცბიერობით მოახერხებდა ხოლმე შეთქმულობას მითამდა იმპერატორის წინააღმდეგ, რომ მით შეეშინებინა მშვიდობისმოყვარე ხალხი. რასაკვირველია, ბოიესთანა კაცებს მოჰფანტავდა ხოლმე ყველგან პარიზს გარედ სოფლებში და სხვა ქალაქებში, რომ ამგვარის შეთქმულობისათვის ხალხი გაებრიყვებინათ. ლუი პალიარმაც იფიქრა, რომ უსათუოდ ბოიეს ისტუმრებენ სადმე, რომ ხალხი გააბრიყვოსო და ამიტომ ყური არ ათხოვა ბოიეს პარიზიდან წასვლას.

- მინამ დედაჩემი ცოცხალი იყო, - უთხრა ლუიმ ბოიეს გამოთხოვების დროს, - მე ვერ დაგიშლიდი ჩვენთან სიარულს და ამის გამო ხანდისხან ერთმანეთს შევხვდებოდით ხოლმე. ეხლა კი ორივესათვის სამჯობინარია თავის დღეში ერთმანეთს არ დავენახვით.

- მე მაგისტანა უმადურობის მომლოდინე ვიყავ შენგან, - უპასუხა ბოიემ, - მაგრამ მე ეგ არა მწყინს. ღმერთი და ჩემი სარწმუნოება ღონეს მომცემს, რომ მაგვარს უპატიურებას მოთმინებით ვძლიო და შეგინდო კიდევ შეცოდება ჩემს წინაშე. ამასაც გეტყვი: რაც უნდა სთქვა და იფიქრო ჩემზედ, რაც უნდა ბოროტი საქმე შემამთხვიო, მე მაინც ყოველთვის მზად ვიქნები სიყვარული გაგიწიო, თუ რაშიმე შენთვის გამოსადეგი ვიქნები და რაშიმე დაგჭირდები.

ბოიე გამოვიდა ოთახიდან იმ სახით, თითქო არა ჰქავრობს და მარტო გულნაკლულიაო. ხოლო რა წამსაც მარტო ჰნახა თავის თავი კიბეზე, პირი მოიბრუნა კარებისაკენ, მუშტი მიუღერა და ხმამაღლა სთქვა:

- სულელო, დამაცა, მე გაჩვენებ, რა საშინელება არის, თუ მე კაცი გულიდან ამოვიღე. შენ ჰნახავ, რარიგად გადაგიხდი! ჩვენ შორის ეხლა დაუძინებელი მტრობა დაითესა. ამას იქით ან მე უნდა ვიყო და ან შენ... გესმის?... ან მე და ან შენ!

ამ დროს ვიღაცამ ხელი მხარზედ დაადო, ბოიე შეკრთა და მოესმა ხმა ექიმისა, რომელიც სიცილით ეუბნებოდა:

- ჰო, სწორედ ეგრე, სწორედ.

VIII

საზარელი დილა

გამოძიება ლეა მედანის საქმის თაობაზედ წინ ვერ მიდიოდა და ოსკარ ვერშემონი ჯავრით აღარ იყო. ჩუმად-მამიებელი ბოიე, რომელმაც თავდაპირველად ეგრე მედგრად წაიყვანა საქმე, სამსახურს დაეთხოვა და საქმეც შედგა სწორედ მაშინ, როცა იმედი იყო, რომ სახელოვანად გათავდებოდა.

როცა საწყალი მორისი გულშემოყრილი გამოიყვანეს გამომძიებლის ოთახიდან და კონსიერჟერის ციხის საავადმყოფოში დააწვინეს, ვერშემონი ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა. მისი აზრი და რწმენა მორისის დანაშაულობაზედ ძლიერ შეირყა. მთელი დღე სულ ამას ამბობდა, ტყუილს კვალში ხომ არ ჩამაყენესო, ხოლო მორისის წინააღმდეგ იმდენი საბუთები იყო და ისე მძიმენი, რომ ისევ პირვანდელ აზრზე დადგა და დაასკვნა, რომ თუმცა მორისი მეტად ყმაწვილია და გამოუცდელი, მაგრამ ძალიან მოხერხებული და ოსტატი ავაზაკიაო.

როცა მორისი გონზედ მოვიდა, ისევ ციხეში წაიყვანეს და ტუსადის სენაკში დაამწყვდიეს. რომელს ბრალსაც სედებდნენ, იმან ასეთი თავზარი დასცა საწყალსა, რომ გაბრუებულსავით სულ ამას იძახოდა:

- მე კაცის მკვლელი უნდა ვიყო? მე, მე და კაცის მკვლელი?

მთელი დღე თითქო საოფლეშიაო, ისე ამღვრეული დადიოდა წინ და უკან თავის პატარა სენაკში. ღამემ უფრო მოუწყლა გული; მთელი ღამე გულს აწიწნიდნენ საშინელი ფიქრები. მოაგონდა, რომ სამართალი ბევრჯელ შესცდება ხოლმე, მოაგობდა მრავალი მაგალითი, რომ სრულებით მართალი კაცი დაესაჯოთ. წარმოუდგა თვალწინ თვითონ სამართალიცა თავისის მსაჯულებით, მოეჩვენა ვითომ სამართლის წინა დგას და ასამართლებენ. როგორც ჭკუიდამ შეშლილი, ისე ჰტოკავდა ლოგინზე და როგორც თონეში, ისე იწვოდა, როცა მოაგონებოდა, რომ ჩემი სახელი სამუდამოდ ჩირქმოდებული იქნებაო. "მე უნდა კაცის მკვლელი მერქვას! - იმახოდა სასოდაკარგული მორისი, - ნუთუ ჩემი ხანმოკლე, მაგრამ პატიოსანი ჯაფის ცხოვრება არ მიმოწმებს, რომ მე კაცის მკვლელი არ უნდა ვიყოვო".

იმ უკანასკნელ დღეებში აღარავინ არ აწუხებდა მორისს, ტუსაღების ზედამხედველნი უფრო უკედ, კაცთმოყვარეობით ექცეოდნენ. საწყალს ნუგეში მოეცა, იქნება გამოძიებამ იმისთანა რამ აღმოაჩინა, რომ მე მამართლებსო და გული დაუწყნარდა იმედი მოეცა, აი დღეს, აი ხვალ გამანთავისეფლებენო. მაგრამ ამაოდ ჩაუარა ამ იმედმა. ერთს დილას გამოიყვანეს სატუსაღოდამ, ჩასვეს ეტლში, ორი პოლიციელი გვერდით მოუჯდა და წავიდნენ. როცა ეზოში გამოდიოდა, მორისმა თვალი მოჰკრა მეორე ეტლსაც, რომელშიაც ოსკარ ვერშემონი და მისი მდივანი ჩასხდნენ.

მორისი განცვიფრებით ჰკითხავდა თავის თავს, ეს სად მივყევართო. გაატარეს ბასტილიის მოედანი, შეუხვიეს ლაროკეტის ქუჩას. მორისს ელდა ეცა, ლაროკეტის ციხეში ხომ არ გიდავყევართო. მაგრამ ეტლი ლაროკეტის ციხეს გასცილდა. მორისმა ვეღარა გაიგო რა, თუმცა ცდილობდა გამოეცნო, სად მივყევართო. ბოლოს გამოჩნდა მამა-ლაშეზის სასაფლაო. ორივე ეტლი ალაყაფის კარებში შევიდა. ამისთანა სისხამ დალაზედ სასაფლაოს კარი სხვა უცხოსათვის დაკეტილი იყო ხოლმე. პოლიციელებმა მორისი გადმოიყვანეს ეტლიდამ, გამომძიებელიც მოვიდა მორისთან. ყმაწვილმა კაცმა მწუხარებით დაუცო ყურება გამომძიებელს.

- ფერან, - უთხრა ოსკარ ვერშემონმა, - დრო მოგეცით, რომ გონებაში ჩავარდნილიყავით. კიდევ უჯიათობთ და არ გინდათ გამოგვიტყდეთ?

- რაც მითქვამს, იმაზედ მეტი არა მაქვს რა სათქმელი. რა გნებავთ ჩემგან? აქ რისთვის მომიყვანეთ?

- ეხლავ შეიტყობთ, - უპასუხა გამომძიებელმა და მერე მიუბრუნა პოლიციელებს და დაუმატა, - თან გამოგვეყვით და ფრთხილად იყავით, არა გამოგეპართ რა.

გაიარეს ნიში და შედგნენ. მორისმა ჰნახა ახლად ნაშალი მიწა სამარისა და იქავ გპელი კუბო. ამ მოულოდნელმა სანახავმა გული შეუღონა მორისსა და უნებლიედ ჟრჟოლა მოუვიდა მთელს ტანში. ეს შეუნიშნავად არ დარჩათ ოსკარ ვერშემონს და მის მდივანს.

- სიმართლევე, სადა ხარ, სად! - დაიძახა საწყალმა კაცმა, ფერი ეცვალა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ.

საცოდავი სანახავი იყო იმ წამს მორისი, პირი მოიბრუნა და მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო. პოლიციელებმა ხელი მოავლეს და ისევ კუბოსთან მიიყვანეს ძალად. გამომძიებელმა ანიშნა და კუბოს თავი ახადეს. ერთმა მათგანმა მცხედარს გადახადა ჩაყვითლებული სუდარა და გამოაჩინა გალურჯებული პირისაზე მშვენიერის ლეასი, ყბები და თვალები ჩასცვივნოდა და კბილებზედ ტუჩები შესჭკნობოდა.

- ფერან, - უთხრა ხელახლად გამომძიებელმა, - არც ეხლა გატყდებით, რომ თქვენ მოჰკალით ეს უბედური?

მორისმა ხმა არ ამოიღო. მუხლი მოეჭრა და თრთოდა, როგორც პირში გატეხილი ავაზაკი.

- ვერა ხედავთ? თქვენ ბოროტო, - უთხრა ვერშემონმა, თქვენში არც კაცობრივი გრძნობა ყოფილა და არც ნაპერწკალი შენანებისა, რომ თრთით, ეგეც მარტო შიშისაგან მოგდით და სხვა არაფრისაგან.

მორისი გაბრუებულის თვალით იყურებოდა აქეთ-იქით, ხან ერთს იქ მდგომს შეჰხედავდა, ხან მეორეს. უცბად მტკივნეულად ამოიკვნესა, აიღო მალა თავი, ხელი ჰკრა პოლიციელებს, რომელთაც ეჭირათ, კინალამ თხრილში არ ჩაყარა, მერე მივიდა ახდილ კუბოსთან და თამამად დააცქერდა მკვდარს ლეა მედანს.

- ეხლა კი! - წასჩურჩულა გამომძიებელმა თავის მდივანს.

- მე ამ მცხედარის წინ ხელახლად ვადიარებ, - სთქვა რიხიანის ხმით მორისმა, - მას, რაც წინად მითქვამს: მე ამისი მკვლეელი არა ვარ. მე არავინ არ მომიწამლავს. მე თავის დღეში არ მინახავს ეს ქალი. სხვა რა გინდათ ჩემგან?

გამომძიებელი სახტად დარჩა. ისე გადახედა მდივანს, თითქოს ჰკითხავს, ეს რა ამბავიაო?

- ღვთისა წინაშე და წინაშე ამ საწყლის უსიცოცხლო გვამისა, - განაგრძო მორისმა, - ვფიცავ, რომ ჩემს დღეში მე ეს თვალთ არ მინახავს, მაშასადამე, ვერც მოვწამლავდი. ეხლა რაც გინდათ, ის მიყავით; ეს არის და ეს, ამას იქით თავს აღარ ვიძარტლებ.

გულწრფელად ამოთქმულმა სიტყვამ ყმაწვილკაცისამ ხელახლად იმოქმედა ვერშემონზედ და მან უფრო ფორმისათვის, ვიდრე გასამტყუნებლად, წარმოსთქვა:

- მაშ, წინაშე ამ უბედურის მსხვერპლის გვამისა თქვენ ამტკიცებთ, რომ თავის დღეში არ გინახავთ ეს ქალი და თქვენ არ მოგიკლავთო?

- ვამტკიცებ.

- ჩაწერეთ, - უბძანა გამომძიებელმა მდივანს.

მდივანმა ამოიღო ჯიბიდან ქალალდი, საწერელი და კალამი, მიეყუდა იქავ რაღაცას და, რაც რიგი იყო, ჩაწერა. მორისმა და გამომძიებელმა ხელი მოაწერეს ოქმს. მერე ისევ იმრიგად ჩასხდნენ ეტლში და წამოვიდნენ, უბძანეს კი, რომ კუბო ისევ უწინდებურად დახურონ და დამარხონ. ვერშემონმა პოლიციელებს უბძანა, რომ სასამართლოს სადგომში მოიყვანეთ მორისიო და თვითონაც თავის მდივნით იქ წავიდა.

- ამ ამბავმა ძალიან შემაბრალა ყმაწვილი კაცი, - უთხრა გზაზედ მდივანს,

- აგეთს ჭაბუკს არ შეუძლიან მაგდენი ხერხი. მე ვშიშობ, ხომ არა ვსტყუვდებით და იქნება ძალიანაც. ხელმეორედ უნდა დავიწყოთ გამოძიება და სხვა ჩუმად-მაძიებელსა უნდა მივანდოთ საქმე, რადგანაც ბოიე აღარ არის. ვნახოთ, ახალი ძიება ისევ მანდ მოგვიყვანს, თუ არა.

- სახლების გაჩხრეკის ოქმები მოგერთოთ? - ჰკითხა მდივანმა.

- დიალ, მაგრამ ოქმებში იმისთანა არა არის რა.

- მაშ, რაკი აღარაფრის კვალი ჩანს, ველარც გამოძიებას განვაგრძობთ. ხელში რა გვაქვს, რომ იმას დავეფუძნოთ?

- ერთი მძიმე საბუთი გვაქვს.

- რომელი?

- სახლების გაჩხრეკამ არა გამოამჟღავნა რა, მაგრამ მე საბუთი მქონდა მეფიქრა, თანახმად ჩუმად-მაძიებელთა მოხსენებისა, რომ მორისის დაც ურევია ამ საქმეში. ხომ იცით, რომ დილით ის წასულა აფთექში წამლის სასყიდლად. ამის გამო მე დავიბარე მორისის და ამ ოთხის დღის წინად და თქვენის თანაშემწის დასწრებითა ჩვენება ჩამოვართვი. ძალიან ყმაწვილი ქალია და მარილიანი. ჯერ, რასაკვირველია, შეშინდა, მერე კი მოჰყვა და გულახდილად ყველაფერი მიაშბო. ვერ მიხვდა, რომ მისი ჩვენება თუმცა დიდი რამ არ იყო, მაგრამ მაინც ამტყუნებდა ძმას, რომლის უბრალოებაზედ იგი ბეჯითად დარწმუნებულია. დილით ლეა მედანის სიკვდილის შემდეგ, დაი ჩვეულებისამებრ შესულა ძმასთან, რომ ოთახი აულაგოს და უნახავს, რომ სიკვდილამდეა მიხწეული. მაშინვე მიშველებია, უკითხავს ძმისთვის - რა დაგმართვიაო, და იმას მიზეზის თქმა არ სდომებია, მორისის დამ ვერაფერი ცნობა ვერ მომცა ლეა მედანის თაობაზე, ეს კი მითხრა, რომ ჩემს ძმას ძალიან უყვარდა ერთი ყმაწვილი ქალი, რომლის შერთვა უნდოდა და არ აძლევდნენ, სხვა ქალთან კი ჩემი ძმა არავითარს დაახლოვებას არ იკადრებდაო. შემომფიცა, ჩემი ძმა პატიოსანი და კეთილშობილი კაციო. მე ნება მივეცი შინ წასვლისა და დამპირდა მეზობლებში ვეცდები შევიტყო რამე და მოგახსენებო. ქალი ამბობდა, რომ ჩემის ძმის ავადმყოფობა იქიდან წარმოსდგა, რომ თავი მოიწამლა ჯავრით, რადგანაც საყვარელს ქალს სხვაზედ ათხოვდნენო. მეზობლებისაგან შევიტყეთ, რომ გარეთ კარი სახლისა, საცა მორისი დგას, დილის სამს თუ ოთხს საათზედ გაიღო და მაშინვე ისევ დაიხურა, მაგრამ არ იციან კია, ან ვინ შევიდა, ან ვინ გამოვიდაო. ეს იმ ღამის დილა ყოფილა, რა ღამესაც ლეა მედანი მოჰკლეს. ყველაფერი ამ საიდუმლო გარემოებაზედ არის დამოკიდებული და ჩვენ ჯერ ფერანს ვერას დავუჯერებთ, მინამ ამ გარემოების ახსნაში არ დაგვეხმარება.

- როგორ უნდა დაგვეხმაროს?

- არ გენიშნებათ მოწმეებს უნახავთ, რომ ფერანი ღამის თერთმეტს თუ თორმეტს საათზე ვიღასაც ელოდდა ბასტილის მოედანზედ. მერე ენახათ, რომ მკლავი გაუყარა თურმე ქალს, რომლის ნიშნები ძალიან ჰგავს საწყალი ლეა მედანის ნიშნებს. მოეხვია და წამოიყვანა იმ სახლში, საცა ლეა მედანი მოჰკლეს. ამ საათიდან კვალი გვეკარგება. თვითონ ფერასი ჰფიცავს, შინ წავედიო. თუ ეგ მართალია, ქალი რაღა იქნა?

- იქნება ნამუსგატეხილი ქალი იყო ვინმე და თავი გაანება, როცა საცეკვაო სახლს გვერდით აუარეს.

- მე გეუბნებით, რომ ქალი მთლად ლეა მედანის ნიშნებისა ყოფილა. ახალგაზრდა ყოფილა, მართებული და ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა ჰქონია. ბოლოს ისიც ვიცით, რა დროსაც მისულა შინ მორისი, იმიტომ რომ დილის სამს თუ ოთხს საათზედ ქვემო მდგმურს გაუგია, რომ გარეთი კარი გაღებულია და ისევ მალე დახურულა.

- ეგ დიდად შესანიშნავია, მაგრამ იმ მდგმურს უცვნია თუ არა ფერანი?

- ვერა. თვითონ ფერანმა უნდა აგვიხსნას ეგ საიდუმლო და ახსნაც ადვილია, ოღონდ კი გვითხრას, რა უკეთებია თორმეტ საათიდან ოთხ საათამდე და წარმოგვიდგინოს ის ქალი, რომელთანაც ერთად უნახავთ.

- მართალია, ერთი იმისი სიტყვა სამყოფია, რომ ჩვენი შეცდომა დაგვიმტკიცოს.

- თქვენც იმ აზრისა ხართ, რისაც მე. ყველაფერი ამართლებს მორისს: იმისი წარსული ცხოვრება, იმისი აწმყო, იმისი შრომისმოყვარეობა, ქცევა, სახის მეტყველება, ნათესაობა. გაგიტყდებით და გეტყვით, რომ ყველა ეს მარწმუნებს, რომ მორისს აქ ბრალი არა აქვს რა.

ამ დროს ეტლიც გაჩერდა. ოსკარ ვერშემონი პირდაპირ თავის ოთახში შევიდა, მოითხოვა ლეა მედანის საქმე და ხელახლად გულმოდგინედ დაუწყო ჩხრეკა.

ცოტა ხანს შემდეგ მორისიც მოიყვანეს.

დაღონებული, შეწუხებული იმ ამბით, რაც სასაფლაოზედ მოხდა, საწყალი ყმაწვილი კაცი გულმოკლული იყო და იმედი მოჰკვეთოდა სრულიად, რაკი ხედავდა, რომ რაღაც უხილავს ბადეშია ყოველმხრივ გაბმული. ჰნახა რა თავის თავი ისევ გამომძიებლის წინა, მძიმედ ამოიოხრა. ვერშემონმა თავი მალა აიღო და თვალი დააკვირვა მორისს. მორისი არ შეკრთა და თვალი გაუსწორა.

- ფერან, - უთხრა გამომძიებელმა, - დღევანდელს სიტევაპასუხზეა დამოკიდებული თქვენი ბედი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ლეა მედანს არ იცნობდით. კარგი, დაგიჯერებთ მაგას, ხოლო უნდა კი აგვიხსნათ ის, რაც თქვენ თვითონ აღიარეთ,

მორისმა შეატყო, რომ გამომძიებელს აზრი ცოტაოდნად შესცვლია ამის სასარგებლოდ და გულმა გაუღიმა. ისევ იმედი მოეცა.

- მიბმანეთ, - უპასუხა მან აჩქარებით, - მე პასუხისათვის მზადა ვარ.

- 2-ს ივნისს ღამის თერთმეტს თუ თორმეტს საათზე ბასტილიის მოედნის ყურეში ქალს ელოდით. ის ქალი მოვიდა, თქვენ მკლავი-მკლავს გაუყარეთ და ლაკუეს ქუჩისაკენ წამოხვედით. ის ქალი ვინ იყო?

მორისმა პირველ სიტყვებზედვე იგრძნო განსაცდელი და მოემზადა, რომ სესილის აღთქმას არ უღალატოს.

- მაგას ვერ გეტყვით, არ შემიძლიან, - უპასუხა მორისმა რიხით და მტკიცედ.

- კარგად მოიფიქრეთ, ფერან, თქვენს პასუხზედ არის დამოკიდებული

თქვენი თავისუფლება, თქვენი სიცოცხლე.

- მოგახსენებთ, რომ მაგას ვერ ვიტყვი-მეთქი.

- ჩანს, ის ქალი ლეა მედანი ყოფილა, ის უბედური, რომელიც წუთის წინად კუბოში მკვდარი ჰქონდა.

- არა, გეფიცებით, რომ ის ქალი ლეა მედანი არ იყო.

- მაშ ეხლა ცოცხალია?

- ცოცხალია.

- მაშ გვითხარით ვინ არის და ეხლავ თავს დაიხსნით. გახსოვდეთ, ფერან, რომ თქვენი ბედი თქვენს ხელთ არის, ერთი თქვენი სიტყვა და გამოძიება თქვენზე მოსპობილ იქმნება.

- მე არ შემიძლიან მაგის თქმა.

- კმარა, ეგ ხომ სულელობაა. უეჭველია, ლეა მედანი იყო, და თქვენ სახლში შეგიტყუებიათ, რომ მოგეკლათ და გაგეძარცვათ.

მორისს თავბრუ დაესხა, რომ კვლავ გაახსენდა, კაცისკვლას მწამებნო, აიფარა პირისახეზედ ხელები და ტირილი წასქდაა ამხანად კი ვერშემონი მოთმინებიდამ გამოვიდა და კვლავ დაერწმუნა, რომ მორისია დამნაშავე, რადგანაც ქალის სახელს არ მეუბნებო; ხმა გამოიცვალა და შეუტია:

- ფერან, თქვენ უნახვიხართ თორმეტს საათზედ ლეა მედანთან ერთად; ოთხს საათზედ შინ დაბრუნებულხართ, თქვენის მეზობლის სიტყვით. რას აკეთებდით ოთხ საათამდე?

მორისი ხმას არ იღებდა და სტიროდა თავჩაქინდრული.

- სთქვით და!.. - დაუმატა გამომძიებელმა გულგაფიცებით.

- მე ვერას ვიტყვი.

- ესე იგი თქმა არ გინდათ. თორმეტს საათზედ ლეა მედანის ოთახში იყავით, იქ გარყვნილების ამოვნების შორის დრო იხელთეთ, საწამლავი მოამზადეთ და მოსწამლეთ. მერე თქვენ ამ შეცდომით აგიღიათ მოწამლული ჭიქა, ან თვითონ განგებ დაგილევიათ მოწამლული ღვინო, რომ ეჭვი არ აერთვა უბედურსა. ამ სახით მოგიკლავთ, მოგიტაცნიათ რაც კი ყოფილა და შინ წასულხართ. აი რა გიკეთებიათ იმ ოთხს საათს. აბა დაამტკიცეთ, რომ მე ვცდები!

- ვაი ჩემი ბრალი! ოხ, ღმერთო რა ჯოჯოხეთში ჩავვარდი! და მაინც არ შემიძლიან თქმა. რაც გენებოთ, ის იფიქრეთ, მე ვერას დაგიმტკიცებთ.

ოსკარმა მხრები იჭიმა, თითქო ამას ამბობსო: "მე მეგონა მაგარი და ხერხიანი კაცია და მარტო ჩერჩეტა კი ყოფილა".

- ხვალისათვის მოწმეები დაიბარეთ, - უთხრა ვერშემონმა მდივანს, რომელმაც ფერანის სიტყვები ჩაწერა, - დროა ბოლო მოედოს ამ საქმეს. ეხლა ჩვენთვის ყველაფერი ცხადია. ხვალ დილით ლეა მედანის სახლის სანახავად წავალთ. ფერან, აღარაფერი გაქვთ სათქმელი?

- არაფერი, კიდევ ვიტყვი, რომ უბრალო ვარ.

ვერშემონს გული ყელში მოეხჯინა და საწყალი ყმაწვილა კაცი ისევ ციხეში წააყვანინა.

რა წამსაც მორისი გაიყვანეს, გამომძიებელს მოახსენეს, რომ ერთს

ყმაწვილ ქალს თქვენი ნახვა უნდაო. სახელი აკითხვინა და, რომ მოახსენეს, მორისის და ამელი არისო, უბძანა შემოიყვანეთო.

ამელი შემოვიდა. ძალიან კი გამოცვლილიყო: წითური ლოყები გამფითრებოდა, თვალები ჩასცვივნოდა და ტუჩები გალურჯებოდა. საწყალს ქალს ის ერთი დღე, ციხეში გატარებული, რამდენსამე წელიწადად დაუჯდა.

- რას მეტყვით, ჩემო პატარავ, - უთხრა ვერშემონმა ალერსითა და გვერდით მოისვა.

- ამ სამის დღის წინად ციხიდან რომ გამომიშვით, თქვენ შემომიკვეთეთ, რომ გვიშველო, მართალი რამ შევიტყოთო. მე მეგონა, დრო არ მექნებოდა, რომ ყველგან დამევილო, საცა მირჩიეთ, მაგრამ ჩემს სამუშაოზედ ქარხანაში რომ მივედი, ჩემმა ამხანაგებმა ასეთის ცუდის თვალთ დამიწყეს ყურება, როგორც ქურდბაცაცასა. მეტი გზა არ იყო, უნდა მოვცლოდი, გამოვართვი რაც ქარხანიდან მერგებოდა და წამოვედი. ამ სახით დრო ვიხელთე და შევუდეხ ჩემის ძმის საქმეს.

- ძალიან კარგი. გახდით რასმეს თუ არა?

- ეხლავ მოგახსენებთ. გავუბი ლაპარაკი მეზობლებს ჩემის ძმის საქმეზედ, მაგრამ არავის იმის დაჭერის ამბავიც არ შეტყო და ჰგონებიათ, რომ გამოძიება მოსპობილი არის კიდევცაო.

- ეგრე ჰგონიათ? რა მიზეზს ამბობენ გამოძიების მოსპობისას?

- ამბობენ, რომ ქალი მოუკლავთ ვიღაცა დიდკაცებსა და არ უნდათ იმათი გამოჩენაო, ამასთან ამ საქმეში პოლიტიკაც ურევიაო.

- მაგისტანა ჭორებს რაზედ აფუძნებენ?

- ამბობენ, იმ ქალს ხშირად მოჰყვანდა ხოლმე ლაკუეს ქუჩაში თავისი მეგობრები, კაცი თუ ქალი, და ყველაზე ხშირად ჩოჰყვანდა ახალგაზრდა კაცი, ლამაზი, შავთმიანი, მართებული, რომელიც დიდკაცსა ჰგვანდაო.

- დიდკაცსაო?

- დიაღ. ერთხელ იმის კარწინ მდგარა მთელი ერთი საათი მშვენიერი ეტლი შავად და ყვითლად შეღებილი და კარებზედ ღერბები ჰქონია.

- ვინ მისულა ეტლით, კაცი თუ ქალი?

- ვერ მითხრეს, ვერ ენახათ. მე მარტო იმას მოგახსენებო, რაც ამ ორ დღეში შევიტყე მეზობლებისაგან, ესეც ამტკიცებს, რომ ჩემი ძმა უბრალოა. მაგისტანა საზოგადოებაში ჩემს ძმას მინ გარევედა?

გამომძიებელმა ანიშნა მდივანს, ჩაწერეო ქალის ნაამბობი.

- ჩემო კარგო, - უთხრა გამომძიებელმა ქალს, - თქვენი ძმა მალე დაიხსნიდა თავს, რომ გვიამბოს, რა აკეთა ღამე ოცს ივნისს.

- მე ვკითხე ადრევე და სულ ამას მეუბნებოდა, შინ რომ მოვედი, საწამლავი დავლიე ჯავრისაგან, რადგანაც მეორეს დღეს ჩემი საყვარელი ქალი სხვაზედ ჯვარს იწერდაო.

- აბა რა დასაჯერია! მაგრამ განაგრძეთ, სხვა რა შეიტყეთ?

- მე მითხრეს, რომ იმ მოკვლის ღამეს დილის ოთხს საათზედ ერთს მუშა კაცს უნახავს, რომ ერთი ყმაწვილი კაცი გამოვიდა ლაკუეს ქუჩის სახლიდან და გაიქცა კონტრესკარპის ბულვარისაკენ, იქ საკუთარი ეტლი უცდიდაო.

- ვინ გითხრათ ეგ? - ჰკითხა მაშინვე გამომძიებელმა.
 - მრეცხავმა დედაკაცმა, აუსტერლიცის ხიდის პირდაპირა დგას, დენიზა ჰქვიან სახელადა.
 - ეგ დიდად შესანიშნავია. აბა განმიმეორეთ იმისი ნათქვამი.
 - როცა იმ უბანში ვიდექით მე და ჩემი ძმა, დენიზა სარეცხს გვირეცხავდა. მე ეხლახან შეველ იმასთან, ყავა მითავაზა და როცა ვკითხე: მკვლეელი იპოვეს მეტეი თუ არა, მითხრა, რომ იმას თავის დღეშიაც ვერ იპოვნია და იტყვიან, საწყალს თვითონ მოუწამლავს თავიო, ეგ ხომ დიდი კაცების ოინებიაო და აბა ვინ გამოაჩენსო. ხშირად უნახავთო, რომ მღვდელსაც უვლია იმ ქალთანაო.
 - ჰოო! ეგრე გითხრათ უნახავს კი თვალთ მღვდელი?
 - არ ვიცი.
 - მერე?
 - მერე ისა, რომ დარწმუნებული ვარ, რომ ღამის ქეიფის შემდეგ მოწამლეს ქალი იმისთანა დიდკაცებმა, რომელთაც ვერას გაუბედვენო. ამასთანავე ერთი დენიზას მუშტარი ბეჯითად ამტკიცებდა, რომ მოკვლის ღამესა იმ სახლიდამ გამოვიდა ვიღაც კაციო, ძალიან კარგად ჩაცმული, გაფითრებული და ილლიის ქვეშ პორტფელი ეჭირაო. ის აჩქარებული მირბოდა კონტრესკარპის ბულვარისაკენ, იქ საკუთარი ეტლი უცდიდა. ჩაჯდა და მაშინვე წავიდაო. ამის მთხრობელი დარწმუნებულია, რომ სწორედ ის იყო ქალის მკვლეელი.
 - ჩემო კარგო, თქვენ იმ დედაკაცის ბინა მიგვასწავლეთ და, თუ მართალი გამოდგა ყველაფერი, რაც სთქვით, ძმას დაიხსნით.
 - მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძმა თავს დაიხსნის, თუ არა და ქვეყანაზედ სიმართლე აღარ ყოფილა.
 - დენიზამ გითხრა თავის მუშტარის სახელი?
 - არ უთქვამს, - უპასუხა ქალმა და დაანიშვნინა მდივანს დენიზას ბინის ადგილი.
 - სხვა არა შეგიტყვიათ რა? - ჰკითხა გამომძიებელმა.
 - სხვა არაფერი. მე კიდევ გამოვიკითხავ და მოგახსენებთ.
- ვერშემონი ადგა და გააცილა ამელი კარებამდინა. როცა ამელი წავიდა, უბძანა მდივანს, რომ დენიზა დაიბარეო მოწმად. ვერშემონს საშინლად უნდოდა მალე გაეგო საიდუმლო ამ საოცარის საქმისა, რომელსაც პირველში გულმოდგინედ მოეკიდა და ეხლა კი მოთმინებიდან გამოჰყვანდა, რადგანაც ყველაფერი, რაც აქამომდე შეეტყო, სულ მგონიაობაზედ იყო დაფუძნებული და არა მტკიცე საბუთზედ. მთელი ძალა ბრალისდებისა იმაში იყო, რომ მორისი ურჩობდა და არ ნდომულობდა ეთქვა, როგორ გაატარა ღამე ოცს ივნისს. ყოველდღე - დილით, საღამოთი, - ჰკითხავდნენ ხოლმე, გზა და კვალს უბნევდნენ, აწვალეზდნენ, მაგრამ ამის მეტი ვეღარა ათქმევინეს რა:
- ვერას გეტყვით, ვერასაო.

ახალი გეში

ახალგაზდა მრეცხავი დენიზა დაიბარეს და ყველაფერი, რაც ამელის ეთქვა, დაამტკიცა. ესეც დაუმატა, რომ, რაც მე ამ საქმეზე ვიცი, სულ ერთმა მუშაკაცმა მითხრა, სახელად არისტოდ ლებლანმაო.

- გჯერათ კი, რომ ის კაცი ტყუილს არ გეტყვოდათ? - ჰკითხა გამომძიებელმა.

- რას ბძანებთ! არისტოიდი თავის დღეში ტყუილს არ იტყვის.

- თქვენ იმას დაახლოვებით იცნობთ?

დენიზა ლამაზი ქალი იყო, ესეც ოცდახუთის წლისა, ლამაზად მოყვანილი და მოხდენილი. ცოტა წამოწითლდა, მაგრამ არ შერცხვა კი და მარდად უთხრა:

- დიად, ძალიან დაახლოვებით...

- ჰო, მესმის... თქვენი...

საყვარელი გახლავსთ, დიად, ბატონო, ჩემი საყვარელია, უთხრა თამამად ახალგაზდა ქალმა და დაასრულა სიიყვანვერშემონისა, რომელსაც ეთაკილებოდა ამის თქმა.

- ხშირად ხედავთ ხოლმე?

- აბა რა კითხი უნდა. მე, მადლობა ღმერთს, თავისუფალი ვარ და ისიც სულ ჩემთანა ზის ხოლმე, როცა არა მუშაობს და ან ნავით არ დაიარება. ეხლაც თან გამომყვა და აქ არის, დერეფანში მელის.

გამომძიებელმა ზარი დააწკარუნა და უბძანა, არისტოიდ ლებლანი მანდ დერეფანშია და დამიძახეთო. დენიზას გაუკვირდა ეს ამბავი.

- რად გინდათ, რომ ეძახით? - ჰკითხა შეწუხებულის სახით ქალმა, - იმას ცუდი არ უქმნია რა.

- ნუ გეშინიათ, იმას არას ვერჩით, - უპასუხა ღიმილით გამომძიებელმა.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ჩვენი ძველი მეგობარი შადია. გაწითლებულიყო როგორც ჭარხალი და წუხილით აქეთ-იქით იყურებოდა, ნეტა გამომძიებელთან რად მიმიბვამს, რომ უწყება არ მიმიღია დაბარებისაო. დენიზას სიცილმაც არ დაუწყნარა გული.

- არისტოიდ ლებლანო, - უთხრა ვერშემონმა, - მინამ კითხვაზედ მივარდება საქმე, ხელი მაღლა აიღეთ და დაიფიცეთ, რომ თქვენ რასაც მეტყვით, მართალს მეტყვით, მარტო მართალს და სხვა არაფერს.

შადიმ ხელი მაღლა აიღო, მაგრამ ხმა კი ჩაუწყდა, ენა ვერ დასძრა. ისე იყო, თითქო უეცრად ცივი წყალი დაასხეს თავიდან ფეხებამდინაო.

- რა დაგემართა? - შეჰკვირა დენიზამ, - ხომ არ შეგჭამენ; გამომძიებელს უნდა გკითხოს, მართლა შენის თვალით ნახე, რომ სისხამს დილაზე ლაკუეს ქუჩის სახლიდამ, საცა ის ლამაზი ქალი იდგა, ვიღაც კაცი გამოვიდაო?

- ეჰ, მარტო ეგ არის? - სთქვა არისტოიდმა, გაიწოდა ხელი და ჩვეულებრივი ფიცი წარმოსთქვა.

- თქვენ მართლა იყავით დილით ოცს ივნისს ლაკუეს ქუჩაში?

- დიად, წყალზედ მივდიოდი ნავის გასარეცხად. ნავი სწორედ, საცა ვდგევარ, იმის პირდაპირ მიზია, გავრის საწყლისპიროზედ.

- აბა როგორ მოხვდებოდით ლაკუეს ქუჩას, წყლის იქით პირს, თუ ნავი, თქვენის სიტყვით, თქვენის სახლის პირდაპირ იყო გავრის საწყლისპიროზედ?

შადიმ პირი დაალო და სირცხვილით ხან დენიზას დაუწყო ყურები და ხან ვერშემონსა.

- ნულარ უმაღავ ბატონს გამომძიებელს, - უთხრა დენიზამ, ცოტად აწითლებულმა, - მე ყველაფერი ვუამბე. მაახსენე, დასამალი რა გვაქვს!

- აი, ბატონო, - უპასუხა შადიმ, - მე წინა ღამეს დენიზასთან შეველ, მინდოდა მეთქვა, რომ ორის დღით მე და ჩემი ამახანაგები ნავით მივდივართ სასეირნოდ, და რადგანაც გვიან იყო, დენიზასთან დავრჩი იმ ღამეს. ამიტომაც მეორე დილას მე უნდა გამომეარა ლაკუეს ქუჩაზე, დენიზა ამ ქუჩაში დგას.

- კარგი, სჩანს თქვენ წამოსულხარ საწყლისპიროს სისწვრივ, - უთხრა გამომძიებელმა სიცილით.

- დიად, ბატონო. მშვენიერი დღე იყო, მიხაროდა, რომ თუ ამისთანა დღე დაგვიდგებოდა, კვირასაც კარგად ვისიამოვნებდით. ამ დროს ვიღაცა დამეტაკა, ტანად მაღალი კაცი იყო, კარგად ჩაცმული და ილლიის ქვეშ უშველებელი პორტფელი ეჭირა. მივბოდა საწყლისპიროსკენ, ასე რომ ბოდიშიც არ მოაზადა. ბრიყვი ყოფილხარ-მეთქი, მივაძახე და გამოვუდექი. თქვენ იქნება არ იცოდეთ, რომ მე ვერაფრად მეჭაშნიკება ხოლმე, როცა მუჯღუგუნსა მკვრენ. იმ ბატონმა შეუხვია კონტრესკარპის ბულვარისაკენ, იქ საკუთარი ეტლი ელოდდა, ჩაჯდა და გააქანა ეტლი. მე თან მივაყოლე ორიოდე მკვახე სიტყვა, სჯობს არ მათქმევინოთ, რაც შევუკუროთხე. აი ეს იყო და ეს.

- თქვენა გგონიათ, რომ სწორედ იმ სახლიდამ გამოვიდა, საცა ქალის-კვლა მოხდა?

- დიად, იმ ღამაზე ქალის სახლიდამ.

- ღამაზე ქალის სახლიდამაო? - გაიმეორა გამომძიებელმა.

- სწორედ. ეგრე ეძახდნენ იმ ქალს იმ უბანში.

- თქვენ თითონ ჰნახეთ, რომ იმ სახლის კარებიდამ გამოვიდა

- არა. მაგრამ ეხლავ მიხვდებით, რომ ის სხვა სახლიდამ ვერ გამოვიდოდა. დენიზა ორს სახლს იქიდანა ჰცხოვრობს და, როცა მე გამოვედი დენიზას სახლიდან, ქუჩაში არავინ იყო. ორიოდე ბიჯიც არ გადამედგა, რომ ის ბატონი უკან მომექცა. სხვა არავის სახლიდამ ვერ გამოვიდოდა, თუ არ იმ ღამაზის ქალის სახლიდამა.

- ეგ ჭკუას ახლოა. აბა ეხლა მითხარით: რა სახის კაცი იყო?

- არ უნდა იყოს ხნიერი, ძალიან მკვირცხლი იყო, კარგად მოსული, შავთმიანი, კარგა ზორბა ტანისა, მშვენივრად ჩაცმული და მაღალის შლიაპიტა, პირისახე კი არ დამინახავს.

- ეტლი ნაქირავები იყო, თუ საკუთარი?

- ეგ ნამდვილად არ ვიცი. ეტლისა მე არა გამეგება რა, ნავი იყოს, კიდევ

ჰო, შევატყობდი. მე მარტო ეს დავინახე, რომ შავად და ყვითლად იყო შეღებილი და ძალიან ლამაზი იყო. ჩემს თვალში საკუთარი უნდა ყოფილიყო.

- ეტლში რომ ჯდებოდა, ხომ არა უთხრა რა მეეტლეს?

- არა, კარი ღია იყო, გაფეთებით შევარდა და კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, რომ ეტლი მაშინვე გაქანდა.

- საით, ბასტილიის მოედნისკენ?

- დიად.

- რომ გაჩვენოთ, იცნობთ იმ კაცს?

- ვერა, უკანიდამ ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან, კუზიანების გარდა.

- ხომ სხვა არა გახსოვთ რა? ყოველივე წვრილმანი ცნობა, შესაძლოა, გამოგვადგეს რაიმე.

- სხვა არა ვიცი რა, რაც მოგახსენეთ, იმის მეტი. ყოველს ჩემს ნათქვამს შეგიძლიათ ისე მიენდოთ, როგორც თქვენს საკუთარს. ის დღე ძლიერა მაქვს გონებაში ჩარჩენილი.

- რა მიზეზით? - ჰკითხა გამომძიებელმა.

- იმ დღეს ერთი ახალგაზრდა ქალი წყლიდამ გამოვიყვანე და მოვარჩინე.

- ახალგაზრდა ქალიო - გაიმეორა ვერშემომნმა.

შადიმ მოკლედ უამბო სესილის ამბავი.

- რად გადავარდნილიყო წყალში?

- მად, რომ არ სდომებოდა შერთვა იმ კაცისა, რომელიც მშობლებს სდომოდა... იქნება ცივ წყალში ბანებამ გონებაში ჩააგდო; ეხლა ის ქალი ქმრიანია.

- ჩასწერეთ თუ არა ეს ჩვენება? - ჰკითხა გახარებულმა გამომძიებელმა მდივანს და მერე მიუბრუნდა ისევ შადის და ჰკითხა, - რა ჰქვია იმ ქალს?

- უწინ სესილ ტიუსსოს ეძახდნენ, ეხლა კი გუდარის ცოლია.

ვერშემომნმა გამოჰკითხა, ტიუსსოს და გუდარის ბინა სად იყო, ჩასწერა და მერე დაითხოვა დენიზაც და შადიაც, უთხრა კი, რომ ისევ მალე დაგიბარებთო.

- უცნაური ამბავია ეს ამბავი! რაღა სწორედ იმავე დროს მოხდა! - სთქვა გამომძიებელმა, როცა ისა და მდივანი მარტოკანი დარჩნენ, - ამ საქმის ოქმები წაკითხეთ ახალ ჩუმად მამიებელს და უთხარით გამოიძიოს, ამ ქალის დარჩობის ამბავს ხომ რაიმე კავშირი არა აქვს ჩვენს საქმესთან.

- დღეს აღარ ინებებთ მოწმეების გამოკითხვას?

- არა, სადღეისოდ ესეც კმარა, - უპასუხა გამომძიებელმა და მინამ მდივანი ქალაღდებს აგროვებდა, გამომძიებელი ღრმა ფიქრს მიეცა, ასე რომ ვერც კი გაიგო მდივნის წასვლა.

რაზედ ჩაფიქრდა ლეა მედანის მოკვლის თაობაზედ თუ? არა მგონია, იგი ისე მწუხარედ ოხრავდა, ხელებს ისეთის მტკივნეულობით იფშვნიტდა, რომ ცხადი იყო, რაღაც მძიმე სევდა მოსწოლიყო გულზედ.

- ეჰ საყვარელო ოსკარ, რა ამბავში ხაროთ? - ვიდაცამ უეცრად ზედ ყურთან წამოაძახა.

მაშინვე ფეხზედ წამოხტა, თითქო უკბინა რამემო და დაინახა თავისი

ძველი მეგობარი მათიე-დიუტალი, რომელიც უჩუმრად შამოსულიყო ოთახში.

- ნუთუ ეგრე ძალიან შეუპყრიხართ მაგ საიდუმლო საქმეს? - ჰკითხა მოხუცებულმა მათიე-დიუტალმა.

- არა. გამოძიება კარგად მიდის და მალეც გათავდება. ჩემი ნაღველი ეგ არ არის. თქვენ ხომ იცით, რა მკლავს, რა მტანჯავს და რა მილევს გონებას დღე და ღამ.

- რაო, აქამდე კიდევ შეყვარებული ხარობ?

- ჩემს საუბედუროდ.

- ეხლა ხომ დაახლოებული ხართ და ერთმანეთს ესიამოვნებით. იმან მითხრა, თითქმის დღე არ გავა, რომ ერთმანეთი არ ვინახულობთ.

- მართალია, და ის წუთნი, რომელთაც იმასთან ვატარებ, ჩემთვის მეტად ტკბილია და ამასთანავე მეტად მწარეცა.

- მწარე რაღადაო?

- ქალმა იცის, რომ მე სულით და გულით იმისი ვარ, იმისაგან კი ცარიელ ღიმილის მეტს არასა ვხედავ. თითქმის გამიტყდა კიდევ, რომ მეც ვუყვარვარ, მაგრამაო... გულ-დინჯად მეტყვის ხოლმე: მაგაზე მეტს ჩემგან სხვას ნურას მოელოდებითო.

- რადა?! იმ ქალზედ რაღაცა ხმები დადის უფრო სუბუქის თვისებისა და...

- ეგ სულ ცილია და ჭორი, სულ ტყუილია. მეტად უცნაური და სანდომიანი რამ არის. თვით ის საიდუმლოება, რომლითაც მისი ცხოვრება გარემოცულია, რაღაც მშვენიერებას უმატებს. ყოველდღე, როცა იმის სახლიდამ გამოვდივარ, გული მარწმუნებს, რომ ხვალ გაბედნიერდებიო, მაგრამ ის ხვალე არ მოდის და არა.

- მაშ თქვენ აღარა ჰხუმრობთ, როგორც გატყობთ.

- ხუმრობა რას მიქვიან, მე იმის გამო ლამის ჰკუიდამ შევიშალო, ლამის თავი მოვიკლა-მეთქი. რაც უნდა სთქვან იმაზე, მე არას დავიჯერებ. ის ქალი სიწმინდის, უმანკოების მაგალითია ყველასათვის. მე გაგიჟებით მიყვარს... ერთის სიტყვით, მიყვარს და, რაც უნდა დამემართოს, ჩემი უნდა იყოს. იქნება არ დამიჯეროთ და მე კი, ღმერთმანი, თავს მოვიკლავ, თუ ვერას გავხდი.

- ეჰ, კარგი ერთი. მართლა რომ ჰკუიდამ შეშლილხართ. თქვენ, ჩემო მეგობარო, ბაშვი ხომ არა ხართ, რომ მაგ სულელურს გულისთქმას აჰყოლიხართ. მაგრამ ამას კი გეტყვით, ტყუილად დაგიკარგავთ ეგრე მალე იმედი.

- ახლა უნდა იცოდეთ, რა ტანჯვაში ვარ. მე თითქმის ყოველ დღე იმასთანა ვარ, მაგრამ...

- თვითონ მიგიწვევთ ხოლმე?

- დიაღ, მეუბნება, რომ თქვენთან დროს გატარება მეტად სასიამოვნოა ჩემთვის, ჩემი უმცროსი ძმა თქვენა ხართო. როცა მივალ მე, მოვყვებით ჯერ ცუდ-უბრალო ტიტინს, მერე კი გული ამიდუღდება ხოლმე. ტრფიალებისაგან ცეცხლმოდებული აშფოთებულის გულის დელვით მოვუყვები და ვუამბობ მხურვალეს სიტყვით ჩემის გულის ვითარებას და

ისიც ყურს მიგდებს ხოლმე. ხოლო როცა ამაზედ მეტს გავბედავ რასმეს, მაშინვე წამოხტება და გოგოს ეძახის: "ეხლა კი მშვიდობით, ოსკარ, ხვალამდინაო". მეტყვის ხოლმე იმისთანა ღიმილით, თითქო მეუბნება, იმედს ნუ დაკარგავო. წამოვალ ხოლმე გონებაარეული, როგორც მთვრალი, ანუ ჭკუიდან შეშლილი და რამდენსამე საათს შევაჩერდები იმის ფანჯრებს და ვდგევარ ისე გიჟსაყით: შინ რომ მოვალ, ამივარდება ერთი საშინელი თავის ტკივილი და მეორე დღეს მოვალ ხოლმე აქ მთლად გამოსულელებული, გამოტუტუცებული.

მატიე-დიუტალმა ყურადღებით მოისმინა თავის ახალგაზრდა მეგობრის აღსარება, დაუწყო ყურება დაკვირვებით და უთხრა ღიმილითა:

- მე როგორც ვხედავ, თქვენი საქმე ისე ცუდად არ მიდის, როგორც მე მეგონა. ცოტა პრანჭია ქალი ყოფილა, მაგას პატარა მოცდა უნდა, მინამ დროს ჩაიგდებდეთ, სხვა არა უნდა რა მაგას.

- აბა როგორ ჩავიგდებ დროსა?

- მაგას კი მე ნუ მკითხავთ. ეგ მე, როგორც მოსამართლეს, კანონებში არ მიწერია.

- ეჰ, თქვენ იცინით და მე კი არა მკითხავთ! მკვდარი ვარ, მკვდარი, მის გამო.

ოთხმა დღემ გაიარა. ოსკარი იჯდა თავის ოთახში და ახალი ჩუმიდ-მაძიებელი გიურე თავის ძიების ამბავს უამბობდა. ძალიან დაღონებული იყო, რაღაც ფიქრში წასული. ბოლოს კი უეცრად თავი მალა აიღო. გიურემ მოახსენა, რომ შადის ჩვენების წყალობით, იმ ეტლის კვალი ვიპოვე, შავად და ყვითლად შეღებილი რომ ყოფილაო.

- იპოვეთ? - ჰკითხა გამოცოცხლებულმა გამომძიებელმა.

- დიად, ნაქირავები ყოფილა და იმ საღამოს ვიღაც ქალს უქირავნია. ქალის სახელი ვერ შევიტყე. ლეა მედანის სახელით კი მისულან და უქირავიათ, უწინაც თურმე ლეა მედანი ქირაობდაო მაგ ეტლსა.

- საოცარი ამბავია.

- ქალის მოკვლის შემდეგ ეტლის მატარებელი კაცი სხვას დასდგომია მოჯამაგირედ. დიდხანს ვეძებე და ბოლოს ვიპოვე. იმას ძალიან კარგად ახსოვს, რომ იმ ღამეს ერთი ქალი და ერთი კაცი კონტრესკარპის ბულვარის ბოლოში მიუყვანია.

- ქალი და კაციო? ეგ ამბავი არღვევს ყველას მას, რაც აქამდინ აღმოგვიჩენია.

- უეჭველად. ეს კია, ბატონო გამომძიებელო, რომ მე ამით არ მინდა სახელი წავუხდინო ჩემს წინად მაძიებელს, ხოლო ამას კი ვიტყვი, რომ ძალიან სუბუქად მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის და სუბუქად მოქცეულა.

- თქვენა გგონიათ, რომ მორის ფერანი უბრალოა?

- მე მაგას ვერ ვიტყვი. მის წინააღმდეგ ერთი მძიმე საბუთია. იგი გამოტყდა, რომ შამპანური ღვინოები მე ვიყიდე და მე მოვწამლე ღვინოვო.

- მერე სხვა რა იცით.

- ეტლის მატარებლისათვის შეუთვლიათ, რომ ღამის ათს საათზე,

ელისეის მინდვრებზედ რომ სამუსიკო სახლია, იქ მოდიო. მისულა და დანიშნულს დროს გამოსულა ქალი, რომლის ნიშნები ძალიან ჰგავს ლეა მედანის ნიშნებს. მკლავი გაეყარა თურმე ერთის კაცისათვის და ისე მოდიოდაო. ის კაცი, როგორც ამიწერეს, სრულებით არაფერში არა ჰგავს მორის ფერანსა. ქალს უბძანებია ეტლის მატარებელისათვის, კონტრესკარპის ბულვარის ბოლოს მიგვიყვანეო. რომ მისულან ერთს ყავახანასთან, დაუყენებიათ ეტლი, კაცი გამოსულა ეტლიდამ და წასულა; მცირეს ხანს უკან ისევ დაბრუნებულა და კალათით რაღაცა მოუტანია.

- ის ყავახანა ნახეთ?

- დიაღ, იქ ბუნდად ახსოვთ, რომ ამ ოთხის თუ ხუთის თთვის წინად ერთი კაცი შემოვიდა, ძალიან კარგად ჩაცმული, რაღაც დალია, კალათა მოგვაბარა და მერე, რამდენსამე საათს შემდეგ, შემოიარა და კალათა წაიღოო. არავინ არ იცის, ის კაცი ვინ იყო, ან რა ერქვა.

- სხვა, ეტლის მატარებელმა რა გითხრათ?

- კონტრესკარპის ბულვარის ბოლოს რომ მივედით, ქალმა ეტლი დამაყენებინა და მინამ კაცი კალათას გადმოიღებდა, ქალმა მიბძანა, ამავე ადგილას მოდი ღამის სამს საათზედაო. მე მოვედი და ერთი რუბი საათისა არ გასულა, ის კაცი, რომელიც ქალთან ერთად მოვიყვანე, შემოხტა ეტლში და დამიძახა: "რულის უბანში წადი, რაც შეგეძლოს ჩქარაო". მე გავაქანე ეტლი. ბულვარის მოსახვევში დამაყენებინა ეტლი, გამოვიდა ეტლიდამ, ხუთი მანეთი მაჩუქა და დამითხოვა. მინამ მე თვალიდამ არ მოვეფარე, იქიდან ფეხი არ მოუცვლიაო.

- სულ ეგ არის?

- სულ. ეტლის მატარებელი მოგახსენებთ, თუ რასმეს კიდევ საჭიროდ დაინახავთ, ჰკითხოთ. ეგ მოწამეა და თქვენ უფრო უკედ გამოიყენებთ.

- დაიბარეთ ეტლის მატარებელიც და ეტლის პატრონიცა ხვალზევითისათვის, - უთხრა გამომძიებელმა მდივანს, - ეგ ძალიან კარგი ამბები შეგიტყვიათ, უფალო გიურევ! მაგ კვალს ნუ დაჰკარგავთ და განაგრძეთ თქვენი ძიება.

- კიდევა მაქვს მოსახსენებელი.

- აბა რა გაქვთ?

- მე ვიცი, რომ სახლები ყველგან მოსჩხრიკეს. მაგრამ იქ კი არა, საიდამაც უნდა დაეწყოთ თავდაპირველად. მე პირდაპირ ქარხანაში წაველ, საცა ფერანი ჰმუშაობდა და იქაურობა მოვჩხრიკე, თუმცა ქარხანას პატრონი ძალიან გამიძალიანდა.

- იპოვეთ რამე?

- წერილი ვიპოვე, მაგრამ უნდა კი მოგახსენოთ, მე ამისი ვერა გავიგე რა.

აქ გიურემ ამოიღო წერილი. ის წერილი იყო, რომელიც, როგორც ჩვენ ვიცით, სესილმა მორისს მისწერა.

დიდის ბეჯითობით და ყურადღებით ჩაიკითხა ის წერილი გამომძიებელმა. ჯერ პირველში ვერ გაიგო კარგად, რა ეწერა. მერე კი, როცა უფრო და უფრო მოისაზრა საქმის გარემოება, მიხვდა, რომ ამ წერილს

შეუძლიან აუხსნას, როგორ გაატარა მორისმა ღამე ოცს ივნისს და რა მიზეზი იყო, რომ თავს იწამლავდა. როცა ჩავიდა იმ ადგილამდე, საცა სესილი ემუდარებოდა - ფიცს ქვეშ აჩვენე, რომ ღამე ოცს ივნისს მე შენთან არა ვყოფილვარო, გამომძიებელმა უნებლიედ წამოიძახა:

- აა! ძლივს არ ვიპოვეთ საიდუმლოს გასაღებიო.

გიურემ და მდივანმა შეხედეს გამომძიებელს, ნეტა რა მოხდაო. ვერშემონს ისე უხაროდა ეს ამბავი, რომ იმათ აღარ გაუზიარა თავისი სიხარული. თვითონ უნდოდა დაეჩემნა სახელი, რომ საიდუმლო მე გამოვაჩინეო და გადასწყვიტა, რომ ამას იქით თვითონ საკუთრივ აწარმოოს გამოძიება. ამის გამო გულდადინჯებით და ცივად სთქვა:

- რაცა ვსთქვი, ამ წერილს არ შეეხება. ზოგიერთი რამ, რაც მარტო აზრად მქონდა აღებული, ის მგონია გამართლდეს და ამიტომა ვთქვი, რაცა ვთქვი.

ისევ წერილს დაუწყო კითხვა. ბოლოში რომ ჩავიდა, ღრმა ფიქრს მიეცა. ეხლა აშკარად ჰხედავდა, რომ მორის ფერანი არაფერში იყო დამნაშავე და მთელი გამოძიება ტყუილს კვალში იყო ჩამდგარი. აშკარა იყო, რომ საწყალი მორისი აღთქმისა გამო იმეტებდა თავს და ამის საქმეს არავითარი კავშირი არა ჰქონდა ლეა მედანის საქმესთან. ვერშემონმა დააპირა, რომ საწყალი მორისი ხვალვე გაათავისუფლოს. დაწერა კიდევ წერილი ციხის ზედამხედველთან და სთხოვა, მორისს ისე ცუდად ნულარ მოეპყრობითო. ხოლო წერილი სესილისა კი არ გადასცა მდივანს საქმეში ჩასაკერებლად, თვითონ ჩაიდო თავის პორტფელში, ვინ იცის, იქნება იმისათვისაც, რომ მორისს ჩააბაროს.

- უფალო გიურევ! - უთხრა მან ჩუმად-მამძიებელს, - ამ წერილს საქმისათვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მართალს კვალში კი ჩამდგარხართ. გულმოდგინედ მოეკიდეთ ამ საქმეს შემდეგშიაც.

- მე ერთი სიტყვა კიდევ მაქვს სათქმელი. დღეს საღამოზედ ან ხვალ მე შეგატყობინებთ ზოგიერთს რასმეს იმ კაცზედ, რომელიც ხშირად დადიოდა თურმე იმ სახლში, საცა ქალი მოკლეს. მე საბუთი მაქვს, რომ ერთი მკვლელთაგანო ან მათა ამხანაგი ის კაცი უნდა იყოს. თუ უწყებას გაუგზავნით, დაიძალევა და გადიკარგება სადმე. ბძანება მიბოძეთ, რომ თუ საქირო იქნება, დავიჭირო.

- ძალიან კარგი. მე მთლად მოვენდობი თქვენს სიფრთხილეს, - უპასუხა გამომძიებელმა და მერე უბძანა მდივანს, - დაწერეთ ბძანება. მაგრამ რა ჰქვიან, არ იცით?

- ჯერ არ ვიცი. უბძანეთ დაწეროს დაჭერა იმ კაცისა, რომელიც ლეა მედანის მოკვლაში ურევია-თქო.

- ბატონი ხართ. აბა როდის შემატყობინებდა, რასაც გაიგებთ, - უთხრა გამომძიებელმა, როცა ბძანებაზედ ხელსაწერდა.

- იმედი მაქვს, ხვალვე, - უპასუხა გიურემ და გამოვიდა ოთახიდან.

- ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელის დღისა, - ამბობდა გახარებული ვერშემონი და სიხარულით ხელებს იფშვნიტდა, - საწყალი ბაღლი! აბა იმას გაუხარდება, აი!

X

ღამეებს სად ატარებდა გუდარი

ღამაში იზა, სეგლენის ქვრივი, ფრინდლანდის ბულვარზედ იდგა და ორი სართული ეჭირა ერთს მაღალს და ახალს სახლში. სხვა მდგმურების შესავალი ალაყაფის კარი იყო და იზას სადგომს კი საკუთარი კარი ჰქონდა ზედ ქუჩაზედ.

აბა ერთი ოთხი საფეხური ავიდეთ კიბეზე, მკითხველო, და შევიდეთ იზას სადგომში. წამოსასხამების მოსახდელი დიდი ოთახი შეღებილია მუხისა და მარმარილოსფრად, პარკეთიანს იატაკზე ძუის ხალიჩა შლია. ერთი კარი მარცხენა პატარა ხვეულს კიბეზედ გადის და კიბე კიდევ ადის საშინაო ოთახებში; მეორე კარი უშველებელ სასადილო ოთახის კარია, მესამე შუა კარი მარმარილოს კიბეზედ გადის და კიბის ბოლოს დგას ბრინჯაოს ლუსკუმა ავრორასი, რომელსაც ხელში მძიმე ხვამლი უპყრია. ზემოდ პირდაპირ კიბიდან შესავალია პატარა სასტუმრო ოთახში, ალჟირის ფარჩით მორთულში. ეს ჩიბუხის საწევი ოთახი იყო. აქ იზა მიიღებდა ხოლმე გარეშე მცნობთა და უცნობთა; ახლოდ ნაცნობებს კი დიდს სასტუმრო ოთახში მიიწვევდა. ჩიბუხის საწევ ოთახიდან დიდი გალერეა მისდევდა, ყვავილებით და სურათებით მორთული. ამ გალერეას იქით დიდი სასტუმრო ოთახია, ახალის გემოვნებით მოწყობილი. მისი თეთრი კედლები, ოქროთ დაფერილი ბრინჯაოები, ოქროსვარაყიანი ავეჯი, ალისფერის ატლასით გადაკრული, თეთრი ორხუა, რომლის შუაგულზედ უშველებელი თაიგულია ქარგაზე ნაკერი და ჭერი ხომ, სულ წითელის ყვავილებით მოხატული, მთლად უჭრელებდა ადამიანს თვალს. იქავ გვერდით მოსართავი ოთახია. მისი კედლები და ავეჯი აბრეშუმის პატარა-ყვავილებიან ფარჩით იყო გაკრული. მძიმე ფარდა რომ აგეხადნათ, გახვიდოდით დიდს და მშვენიერს საწოლს ოთახში. მთელი ოთახი გაკრული იყო ოქროსფერ აბრეშუმის ფარჩითა, რომელსაც ოდნავ ალისფერიც გაჰკრავდა. უშველებელი ოთხკუთხიანი საწოლი ტახტი, ზემოდამ ფარჩის კარავწამოდგმული, უკანა კედელთან იდგა და ტახტს ასასვლელად სამი საფეხური ჰქონდა; იმის პირდაპირ კი უზარმაზარი სარკე იყო ჩამოკიდებული. იზას, მოახლის სიტყვით, მეტად უყვარდა თურმე თმაგაშლილი წოლილიყო ტახტზე და თავისის მშვენიერებისათვის ეყურებინა სარკეში. მორთულობა ამ ოთახისა ოთხი სელი იყო, ერთი მაგიდა, ერთი სანებიერო პატარა ტახტი და ერთი ძველებურად გამოხარატებული შკაფი, სულ ყოველივე შავის ხისა. ბუხრის თავზედ იდგა ოქროთ დაფერილი ბრინჯაო ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს დროებისა, მაღლა ისევ იმავე ოქროსფერ ფარჩით გაკრულ ჭერზედ ეკიდა ფლამანდიის ხვამლი; ფანჯრებს ჩამოფარებული ჰქონდა იმავე ფარჩის მძიმე ფარდები. მზიან დღეში მზის შუქი ფარდების ნაკვეცებშუა რომ გამოიმჭვირვალებდა, კაცს ეგონებოდა ოთახში ოქროსფერი წვიმა არისო.

ამბობდნენ, რომ ზოგჯერ იზა კარს ჩაიკეტავდა თურმე მარტო, ჩაიცვამდა

ბოშის ტანისამოსს, მდიდრულს კი არა, ჭუჭყიანს, ძონძებიანს. რაკი მკითხველი იზას სადგომში შევიყვანეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეგ საქვეყნოდ გამოჩენილი ლამაზი ქალი, ბანკირის სეგლენის ქვრივი, პარიზში თავდაპირველად ვიღაც ქუჩის ჯამბაზს მოჰყვა თან და უკან სდევდა. ამ ყოვლად წარმწყმედელ ქეიფით ცხოვრებაში იზა მაინც კიდევ ჰნატრულობდა უწინდელს მხეცურს ყოფა-ცხოვრებასა. იმისთანა დრო ყოფილა, როცა ვარდის წყალი, რომელსაც ტანზე ისხამდა ხოლმე, ტანზე ცეცხლს უკიდებდა, ის წმინდა ბატისტის პერანგი სჩხვლეტავდა და მაშინ ჟინი მოუვიდოდა, დღისით ძონძებში გახვეულიყო და ღამით ძალსავეით სადმე მიგდებულიყო. ამისთანა დროს იმას დედაკაცობა აღარ ეტყობოდა, რაღაც გარყვნილების ვეშაპად გადიქცევოდა ხოლმე და გარედ, ქუჩისაკენ მიუწევდა გული ამ მდიდარ და უხვად მორთულ სადგურიდამ. გული აღარ უდგებოდა მშვენიერ სასადილო ოთახში, ძვირფას საჭმელებისაგან გულის ზიდილი მოსდიოდა, ბრწყინვალე საწოლს ოთახში სული უგუბდებოდა. მოსწყურდებოდა ხოლმე გარედ ყოფნა, მტვერი, ტალახი. მაშინ იმის გულს იამებოდა ხოლმე მარტო მყრალი ჰაერი ბაზრებისა, გაგიჟებით ჰნატრულობდა ხოლმე დამპალს ძეხვსა და მყრალს ყველსა. სული უგუბდებოდა მდიდარს ტანისამოსში და არ გაიხსნიდა კი, სულ შემოიფხრქნდა ხოლმე, რომ გადელედა და გამოეჩინა თავისი მართლა-და მშვენიერი გულ-მკერდი. უწინდელი ბოშის ცხოვრება წარმოუდგებოდა თვალწინ და აიტაცებდა ხოლმე.

ამისთანა დროს გადიცვამდა თავის ძველს ბოშის ჯუბას, გახუნებულს, ყალბ-ბუზმენტთანს, ჩაიცვამდა დაგლეჯილს შალვარს, ყვითელ წულებს; ყელზე, ყურებზე, ხელებზე აისხამდა ზიზილ-პიპილებს და ეგრე გულგახურებული, სანდომიანის ღიმილით გავარდებოდა და წავიდოდა პარიზის ახლო-მახლო ადგილებში, საცა დაბალი ხალიხი თავს იყრიდა ხოლმე სალოთავად და საქეიფოდ და გაერეოდა მთვრალ ხალხში. ყველას აკვირვებდა თავისის სიტურფით და დაგლეჯილის ტანისამოსით. რამდენს სამაგელს ხუმრობას ეუბნებოდნენ და რამდენს თვითონაც უპასუხებდა ხოლმე და მაცდურად თვალს უშვრებოდა. მაშინ სწორედ გამოქნილი ბოშა ქალი იყო, განადირებული, გულმხურვალე და თავალებული.

ერთხელ, როცა ამისთანა ბნედა მოუვიდა, - ექიმი ბნედას ემახდა ამისთანა ჟინს ამ დიდკაცებში გამოჩენილ ლამაზ ქალისას, ერთი ვიღაც კაცი აედევნა უზდელი, გარყვნილი, ურცხვი, ყველაფრის გამბედავი და სიტყვა-პასუხით უწმაწური. იზა გამოექცა, ის უკან გამოუდგა, წამოეწია, როცა კარგა მოშორებით იყვნენ საქეიფო ადგილისა, დაუწყო შეშინება, მუქარა, კინალამ არა სცემა, კინალამ ძალა არ იხმარა. ამ მხეცურმა ტრფიალებამ დაიმორჩილა იზა და ამ წუთში გაჩნდა მათ შორის სიყვარული. ეს კაცი გახდა იზას იდუმალ საყვარელად.

აი, იზამ ესე გაიცნო ანდრე გუდარი, რომელსაც ჯაგლაგს ემახდნენ.

იმ ღამეს ერთად გაატარეს დრო ერთს უწმაწურს დუქანში. დილით რომ გაიღვიძა იზამ ამ ჭუჭყიან და მყრალს ჯურღმულში, ერთბაშად გონზედ მოვიდა და მორჩა თავის უგუნურ ჟინისაგან. შერცხვა და ისე შეეზარა თავისი

ყოფაქცევა, რომ მეტი აღარ იქნება. თვალეები დაიხუჭა და აზრით გადავიდა თავის მდიდარს საწოლს ოთახში; ეს ტლანქი ძონძეები ეხლა ცეცხლს უკიდებდნენ წმინდა სამოსლის ჩვეულს ტანზედა. ადგა, ჩაიხედა ობმოდებულ სარკის ნატეხში და ჰნახა, რომ ისე ლამაზი არ არის, როგორც ყოველთვის ყოფილა, სწორედ გული აერია, თავისი ყოფა რომ დაინახა. ჩაიცვა ტანთ, სწრაფად გამოვიდა დუქნიდამ და დილის ოთხი თუ ხუთი საათი იყო, იქირავა ეტლი და შინ წამოვიდა.

თავის მდიდარ სადგომში რომ ჰნახა თავისი თავი, მაშინვე გაიძრო ძონძეები, ვერცხლის ტაშტში ვარდის წყლით დაიბანა ტანი და მიწვა თავის შავ ხავერდის დოშაკზედა. სიამოვნებთო შეხაროდა თავის სიტურფეს სარკეში და ამასობაში ჩაეძინა. მეორე დღეს აღარა ახსოვდა რა.

გაიარა რამდენმამე დღემ, იზა ბულონის ტყეში იყო სასეირნოდ და შინ დაბრუნდა სადილის საჭმელად, ჩაფიქრებული და დაღონებული. დილით ვიღაც სტუმრები ჰყოლოდა, დიდხანს ელაპარაკათ, რაღაც ეწყენინებინათ და ავგუნებად შექმნილიყო, ასე რომ სეირნობითაც გულიდამ ჯავრი ვერ გადევარა. ჯერ ტანთ არ გამოეცვალა, რომ მოსვლის უმაღვე ზარი დაუწკარუნეს და მოახლემ მოახსენა, ვიღაც კაცია, სახელად ანდრე, და თქვენი ნახვა უნდაო.

- ანდრეო! - გაიმეორა იზამ, - ვინ ანდრე?
- რა მოგახსენოთ, ამის მეტი არა უთქვამს რა.
- ვისგან არის? დილას რომ იყვნენ, იმათგან ხომ არა?
- არა მგონია. იმათობას არა მიუგავს რა. ვიღაც ღარიბს სამსახურის კაცსა

ჰგავს.

- მაშ არ უთქვამს, რა უნდა?

- არა, მარწმუნებდა კი, რომ უსათუოდ უნდა ვნახო ქალბატონი, საჭირო საქმეაო.

- მიიღე ჩიბუხის საწევარს ოთახში, მეც მოვალ.

მოახლე წავიდა. ცოტა ხანს უკან იზა შევიდა პატარა სასტუმრო ოთახში და დაინახა ვიღაცა კაცი, ფანჯარასთან მდგომარე. ზურგშემოქცეული იყო და ფანჯარიდამ ბაღს გადაჰყურებდა. როგორც ეტყობოდა, კაცს გული ხელთ არა ჰქონდა.

- თქვენ გენებათ ჩემი ნახვა? - უთხრა იზამ, - აი აქა ვარ, რა გნებავთ?

კაცი მოტრიალდა. იზას ხუნდად ეცნო ეს კაცი და ცდილობდა მოეგონა, სად ენახა.

- თქვენ დიდს კადნიერებაში ჩამომართმევთ, - უპასუხა კაცმა გაუბედავად და ხელში უგემურად ატრიალებდა შლიაპას, - მე თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი, რომ თქვენ... იქნება ვერა მცნობთ. ტყუილად გინებებიათ, თავის დღეში არ უნდა დაივიწყოთ ხოლმე თავგადასავალი. მერე დიდი ხანი არ არის, რაც ნელში საქეიფოდ ბრძანდებოდით.

- ჰო! - დაიძახა იზამ, წამოწითლდა და შუბლი შეიკრა. მაგრამ ორი წუთიც არ გასტანა ამისთანა ყოფამ, მაშინვე შუბლი გაიხსნა, გაიღიმა და გაბედვით და პირდაპირ უთხრა;

- შენა ხარ? - როგორ მიპოვე?

- ამ ერთის კვირის წინად ელისეის მინდვრებზედ ეტლში მჯდომარე გნახე; მას აქეთია სულ შენს კვალს ვეძებდი.

იზამ თვალი დააკვირვა. "ეს იქნება იმისთანა კაცი გამოდგეს, როგორც საჭიროა ჩვენის საქმისათვის. მშვენიერი თვალადიც არის... პატარა რომ გავბანოთ, გავკლიბოთ..." გაიფიქრა გულში იზამ და მერე ხმამაღლა უთხრა:

- კარგი ჰქენი, რომ მოხვედი და, რომ დაგარწმუნო, რომ შენი ნახვა მიამა, სადილად ჩემთან დარჩები.

- ბატონი ხარ, - უთხრა არხეინად ანდრემ და დაუმატა: - რაო, აქ განა კოცნა მიღებული არ არის?

- რატომ, - უპასუხა იზამ და მიუშვირა თავისი მშვენიერი ტუჩები, - სახელად ნეტა რა გქვიან?

- ანდრე.

- გვარის?

- გუდარი.

- აბა, ჩემო თვალის სინათლე ანდრე, ეხლა კი სადილი ვჭამოთ, - უთხრა იზამ, ჩაავლო ხელი და ჩაიყვანა ძირს სასადილო ოთახში.

მოსამსახურემ ორი კარი ერთბაშად გააღო იზას წინ.

- ჟან, - უბძანა იზამ მსახურს, - ერთის კაცის თეფშები და დანა-ჩანგალი კიდევ დააწყე და საჭმელი რომ მოიტანო, გადი. ჩვენ თვითონ იოლად წავალთ უშენოდაც. თუ ვინმე მოვიდეს, მე შინ არა ვარ არავისთვის.

გუდარს ყველა ეს სიმდიდრე მეტად ეხამა, ეუცხოვა. არ იცოდა, როგორ მოიქცეს, თავისს ბალანგაცვიფნულს შლიაპას რა უყოს, როგორ გადადგას ფეხი; სულელურად დაედრიჯა პირი და იცინოდა. იზამ შლიაპა ჩამოართვა, წინა ოთახში გაიტანა და იქ ჩამოჰკიდა ჩანგალზედ, მერე ხელი ჰკრა გუდარს, რომელიც კარებში გაშტერებით გაჩერებულიყო და კასკასით უთხრა:

- ნუ გეშინიან, თამამად გადადგი ფეხი. ჩვენ მარტონი ვიქნებით და სადილზედ გულახდილად ვისაუბრებთ.

სუფრაზე ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ. მოსამსახურემ საჭმელები მოართვა და მაშინვე გავიდა. თვითონ იზა ემსახურებოდა თავის სტუმარს. თუმცა გუდარი პირისპირ მარტო უჯდა იზას, მაგრამ ლაპარაკს ისე ვერ უბედავდა, როგორც ნელში. სიტყვა პირში უშრებოდა. გარემოცული სიმდიდრე ეხამებოდა. ლამაზი იზა ხომ თავბრუს ასხამდა. ერთის სიტყვით, ეხლა გუდარი მორცხობდა და იზა კი თამამობდა. ცოტას ჰლაპარაკობდნენ და ისე შეექცეოდნენ სადილს.

- მე დიდხანს ვერა ვბედავდი ზარის დაწკარუნებას, - უთხრა ბოლოს გუდარმა.

- რათა?

- მე მეშინოდა, ვაი თუ აქ სხვა იდგეს ვინმე-მეთქი.

- მერე როგორ შეიტყე ჩემი ვინაობას?

- აქ მეზობლებში ვიკითხე რა გქვიან და საოცარი ამბები მიაგმეს შენზედ.

- ნეტა რა გიამბეს? - იკითხა იზამ მხიარულად, გაიცინა და გამოაჩინა

თეთრი მარგალიტივით კბილები.

- მიაშხეს, რომ სხვა ქვეყნის ქალი ხარ; რომ ხანდისხან რაღაც უგუნურება მოგივლის ხოლმე; რომ პოლიცია უსათუოდ უნდა ხელს გაფარებდეს, თორემ ნებას არ მოგცემდნენ ბოშის ქალად ჩაცმისას და ქალაქგარეთ საქეიფოდ თრევისას. თვითონაც გაიგებ, ეს რომ მითხრეს, მაშინვე ვიფიქრებდი: ის არის მეთქი.

- სხვა რა გითხრეს?

- ესეც მითხრეს, რომ თუ ვაჭარი კაცი ხარ და იმის ვითარებას ჰტყობულობ, ნისიად ნურას ანდობო. ბოლოს ისიც მითხრეს, რომ არავინ იცის, საყვარელი ჰყავს თუ არა, ეს კია, რომ სულ დიდი კაცები დაიარებიან იმასთანაო. ერთის სიტყვით, შენზედ ამბობენ, მდიდარი უცხოს ქვეყნის ქალიაო, მაგრამ უჭკუო რამ კიაო.

- შენ იმათზედ კარგად იცი, რაცა ვარ, - უთხრა იზამ სიცილით, - მე თავისუფალი ქალი ვარ, არავის ზედ დამოკიდებული; რაც მინდა, იმას ვერავინ ვერ დამიშლის. შენ რაღა საქმეში ხარ?

- მე ეხლა უადგილოდა ვარ.

- წინად რაღა გიკეთებია?

- მე ერთს კაცს დახლიდრად ვედექი და ეხლა ადგილს ვემებ. სიტყვა-გაშვებით და, ჩვენ აქ იმისათვის ხომ არ ვართ, რომ საქმიანი ლაპარაკი გავჭიმოთ.

- რატომ მითამაო? - საქმეზედაც ვილაპარაკოთ; შენ ძალიან კარგი მოგივიდა, რომ ჩემთან მოხვედი.

- მე კი მეგონა გამაგდებდი.

- რომ გამეგდე, რას იზამდი?

- არაფერს. მე ძალიან მინდოდა შენი პირისახე დამენახა, როცა მე გამოგეცნაურებოდი. სწორედ გითხრა, თავის დღეში არ მოველოდდი, რომ ასე კარგად მიმიღებდი.

- რატომ არ მიგიღებდი კარგად? მე კეთილი დედაკაცი ვარ. თუ ნელში გაგიცანი, ეგ იმიტომ, რომ მომეწონე და ლამაზი სახისა ხარ. მეორე დილას იმიტომ გამოგექეცე, რომ ჩვენ სულ სხვადასხვა წრეში ვტრიალებთ და მეგონა, რომ ჩვენ შორის კავშირი ვერ მოხერხდება-მეთქი.

- მეც ეგრე მეგონა: შენ მდიდარი და მშვენიერი ხარ, მე ღარიბი.

- მაგრამ ლამაზი ხარ, საკვირველი ლამაზი. თუ გინდა, ადგილს გიშოვნის.

- მართლა?

- მაგრამ რასაც კი გაკისრებ, სუბუქი საქმე არ იქნება.

- არა უშავს რა, მითხარი, შენის გულისათვის ყველაფერზედ მზადა ვარ.

- ჩემის გულისათვის არა; მე არაფერი მიჭირს, - უპასუხა იზამ და გაუწოდა ღიმილით ხელი, - ჩემთვის მარტო ეს არის, საჭირო, რომ ხანდისხან გნახო ხოლმე. ამისათვის მე მსურს, რომ შენ ხალხში გამოგიყვანო.

- რა ადგილს მიშოვნის?

- სწორედ გითხრა, ადგილიც არ არის, რასაც მე გეუბნები. მე ნაცნობები მყავს, უცხო-ქვეყნელები... იმათ მითხრეს, რომ ჩვენთვის საჭიროა ერთი მხნე,

გამბედავი კაციო, იმისთანაო, რომ არაფრის წინ არ შედგესო, როცა საქმეს შევუკვეთავთო.

- მაგისთანა ხელობის კაცს შორს წასწევენ.
- ვინ იცის, იქნება ეგ არის იმათთვის საჭირო.
- აჰაა!..

ლაპარაკი ამაზე შესწყვიტეს ცოტას ხანს. მერე იზამ ღვინო დაუსხა გუდარს, კილო გამოიცვალა და უთხრია:

- კმარა მაგაეებზედ ლაპარაკი. აქ მო ჩემთან, ჩემო სულისავ, სხვა დროსაც მოვილაპარაკებთ შენს თაობაზე.

ანდრემ დალია ღვინო, ადგა, მაგიდას მოუარა და გვერდთ, მოუჯდა იზას, იზამ გაბედვით და ურცხვად დაუწყო ყურება.

- მე ცუდი გემოვნება არა მქონია, როგორც ვატყობ ჩემ თავს, - უთხრა იზამ, - ძალიან ლამაზი რამა ხარ.

გუდარმა ეს ქება ისე მიიღო, რომ არ წამოწითლებულა. უამისოდაც ხშირად უთქვამთ, რომ ლამაზი ხარო. ერთმანეთი დაჰკოცნეს და გააბეს უწმაწური ლაპარაკი ურცხვის არშიყობისა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ვერა ჰბედავდა ის ეთქვათ, რაც გულში უტრიალებდათ. ბოლოს იზამ სთხოვა, დაწვრილებით მიაშვე შენი ყოფა-ცხოვრების ამბავი: გყვარებია ვინმე, იჭვიანი ხარ თუ არა? თვითონ მე კი უწინ ძალიან იჭვიანი ვიყავი, მაგრამ თავი მოვირჩინე ამ სენისაგან, რაკი ვნახე, რა საშინელებაც მოსდევს ეჭვიანობას. ანდრემაც უამბო, რომ მეც იჭვის გამო ერთი კაცი შემომაკვდა და მას აქეთ უკულმა დატრიალდა ჩემი ბედიო.

- კაცი შემოგკვდომია! - დაიძახა იზამ, თუმცა აუშფოთებლად კი.

- ჰო, ესე იგი დუელში დავჭერ მძიმედ. მე მოკვლა არ მინდოდა; როცა ვიგერებდი, მაშინ შემომაკვდა.

- სამართალში ჩაგაგდეს?

- არა. სამართალს დავემალე და არც უდევნიათ ჩემთვის, სწორედ რომ გითხრა...

- მერე სინიდისი არ გტანჯავს?

გუდარმა მხრები აიჭიმა და გაიხარხარა.

- მაშ არაფერი არ დაგაბრკოლებს?

- არაფერი.

- მე დარწმუნებული ვარ: იმათ, ვინც მე გითხარ, რომ იცოდნენ, შენზედ უკეთესს კაცს აღარ მონახავდნენ.

- ყური მიგდე, იზავ! გინდა სიკეთე მიყო? უთხარი ჩემზედ და, თუ არ გამოვდგები, ისინი თავისთვის და მე ჩემთვის.

- ლაპარაკი ბევრი არ დამჭირდება, რომ მოგენდონ. რაკი მე წარგადგენ, საქმე გათავებული იქნება.

- იცი მაინც, რა საქმეში მომიხმარებენ?

- ყველაფერი ვიცი, - უპასუხა იზამ და თვალი თვალში გაუყარა.

- მაშ კარგი, მე მზადა ვარ, წარმადგინე, - უთხრა გუდარმა და ყელი მოიღერა.

- შენისთანა ლამაზს კაცს ძალიან უნდა ეთაკილებოდეს ღარიბად ყოფნა.

- მაშ არა?

- შენ ძალიან დაჩაგრული უნდა იყო ბედისაგან.

- ძალიან. მე ყველას ვეზიზღები და მეც ყველანი მძულან, გული კი ნატვრით სავსე მაქვს...

- მე შენ მიყვარხარ და გაგაბედნიერებ კიდევ. ეხლა კი დროა, შინ წადი.

- როგორ, სახლიდამ მაგდებ?

- ჰო, ეგ საჭიროა. ხვალ ისევ მოხვალ. მე დღეს საღამოზედვე შენს საქმეს შევუდგები.

- ეხლა კი ესე... ავდგე... და წავიდე რაღა? - იკითხა გუდარმა სულელურის ღიმილითა.

- სულელი ნუ ხარ, ეხლა ხომ იცი ჩემი ბინა, ჩემი ნახვა ყოველთვის შეგიძლიან. ხვალ ყველაფერს მიიღებ და საღამოზედ კი შემოდი ჩემთან. მოსამსახურეებისა მაინც აღარ შემრცხვება, რომ მიგიღებ.

ამ საწყენმა გულახდილობამ წამოაწითლა გუდარი და მაშინვე დაიხედა თავის ღარიბულ ტანისამოსზედ.

- მე ვეტყვი, - უთხრა იზამ, - რომ ის კაცი, რომელსაც მე გეუბნებით-მეთქი, იმისთანა კაცია, რომ ყველაფერს იკადრებს, არაფრის წინ უკან არ დაიხევს და მხოლოდ ის უნდა-მეთქი, რომ კარგად აძლიოთ.

- მაშ, მაშ, ეგ არის, რაც არის.

- მე ვეტყვი, საყვარელზედ რომ იჭვი აიღოს, კაცის მოკვლასაც არ მოერიდება, იმისთანა კაცია მეთქი.

- შენც კი გამიფრთხილდი, ძალიან იჭვიანი ვარ.

- კარგი ერთი! ნუ სულელობ.

ამ ლაპარაკში გუდარმა ზედიზედ დაუწყო ღვინოს სმა, თითქო უნდა ნაღველი რამ მოიკლასო.

- სადა დგეხარ? - ჰკითხა იზამ და ხელი ჩაავლო.

- ვილეტის ბულვარზედ, № 44.

- შენს სახელითა დგეხარ?

- ჰო.

- თუ საქმე გაგირიგე, ხვალ ბარათს მოგწერ და შიგაც ფული იქნება. მაშინვე გამოიცვალე სახლი და საღამოზედ ჩემთან მოდი.

- კარგი, მაგრამ ნუთუ ეხლა ესე უნდა წავიდე? - უთხრა გუდარმა და ანთებულის თვალით დააცქერდა.

- ჰო, დღეს ეგრეა საჭირო.

იზა წამოდგა და თვითონ გაიყვანა გარედ ოთახში.

- ერთი მაკოცნიე მაინც, - უთხრა გუდარმა.

ქალმა აჩქარებით აკოცინა, გააღო კარი და თითქმის ძალად გააგდო კარში. ეს კი უთხრა:

- ხვალამდისაო.

იზას ძალიან ეშინოდა მთვრალის კაცისა; შეეშინდა, რომ გუდარმა ბევრი ღვინო სვა, და მალე გამოაბძანა. სასადილო ოთახში რომ დაბრუნდა, სთქვა

თავისთავად:

- სწორედ ამისთანა კაცია ჩემთვის საჭირო.

მეორე დილას გუდარს მოუვიდა ბარათი და შიგ ფული. წაროდგინეთ რიგად იამებოდა ყმაწვილკაცს, როცა ბარათი გახსნა და შიგ ხუთმეტუმნიანი ბანკის ბილეთი ჰნახა და ამისთანა ბარათი:

“კარგად მოირთე და საღამოზედ მოდი. - იზა”.

გუდარი სიხარულისაგან კინაღამ არ გაგიჟდა. თავის დღეში არა მქონია ხელში ამოდენა ფული. ძლივს ნატვრა აუსრულდა, ღონისძიება მიეცა, კარგად ჩაიცვას და გულდაგულ შეებრძოლოს საზოგადოებას, რომელიც მას ახლოს არ იკარებდა.

ანდრე გუდარი გაიზარდა იეზუიტების ხელში. სკოლიდამ რომ გამოვიდა, კარგმა თვალადმა, წყნარმა, მაგრამ ზარმაცმა ჭაბუკმა ადგილი იშოვნა ჯამაგირით ერთს სოვდაგართან. მაგრამ უთვალყურო თავგანებებული ყმაწვილი გაბედოვლათდა და ადგილიდამ მალე დაითხოვეს. მერე ხან აქ დადგებოდა, ხან იქ და ყველგან ცუდი სახელი დაიგდო. ქეიფის მწყურვალედ მოყვარე ერთს სალხინოს არ გაუშვებდა, რომ არ დასწრებოდა. დაეთრეოდა ყველგან, საცა კი ქეიფი, ლოთობა და მრუმობა იყო. რადგანაც ლამაზის სახისა იყო, თვალად თუ ტანად, ურცხვად ეარშიყებოდა ქალებს.

როცა ალაღბედად იზას შეხვდა, მაშინ ამისთანა ყოფა-ცხოვრება მოწყენილი ჰქონდა და უნდოდა როგორმე თავიდამ აეცილებინა. რაც უნდა შემემთხვასო, ამბობდა თავის გულში, ამ უწმაწურის ცხოვრებიდან უნდა გამოვიდე, სიმდიდრე უნდა შევიძინო და ხალხში გავერიოო. დიდხანს ეძებდა ამისთანა შემთხვევას და გაბოროტებული კბილების კრაჭუნით ეტყოდა ხოლმე თავის თავს:

- რასმეს უნდა მოვკიდო ხელი! მაგრამ აზა რასაო?

ბოლოს ხომ იზა შეხვდა. ჩვენ ვიცით კიდეც, ამ უცნაურმა გაცნობამ სად მიიყვანა გუდარი.

მიიღო ფული თუ არა, გუდარი მაშინვე წავიდა, საცა მზად შეკერილს ტანისამოსს ჰყიდიან, თავიდამ ფეხამდე მოირთო და გადავიდა უფრო რიგიანად მოწყობილ სახლში მხარეს უბანში. ერთის კვირის უკან კაცი ვეღარ იცნობდა, ისე გამოიცვალა ყველაფრით.

ხუთმეტი თუმანი მარტო ბე იყო. ორის კვირის განმავლობაში ყოველს საღამოს იზასთან მიდიოდა და რას აკეთებდა იქ, ეგ საიდუმლოდ დარჩა. ეს კი იცოდნენ, რომ იქიდამ მოსულს ჯიბეები სავსე ჰქონდა ფულითა, ტამპლის ქუჩაში ყავახანაში შედიოდა და იქ ქაღალდს ჰთამაშობდა-ხოლმე. აქ გაიცნო თავდაპირველად ტიუსსო, რომელმაც შეამცნია თუ არა, რომ ეს ყმაწვილი კაცი წინდაუხედავად ფულებს აბნევს, დაუახლოვდა.

შემდეგი ისტორია გუდარისა სათქმელი აღარ არას. მკითხველმა იცის, რომ თანდათან დაუახლოვდა და დაუმეგობრდა გულკეთილ ტიუსსოს ოჯახსა, ფულის სესხებით ხელი გაუმართა და კუტრობას მოარჩინა, თუმცა ცოლი გაუუპატიურა და მერე ხომ ქალიც შეირთო. ჩვენ ისიც ვიცით, რა

ამბები მოხდა ამ შერთვის გამო და რა მტრულად მოეწყვნენ ერთმანეთში ახალი ცოლ-ქმარნი.

დროთა მიმავლობამ მათს ცხოვრებაში არაფერი არ შესცვალა. სესილი მარტო ხანდახან დილაობით ხედავდა ქმარს. ყოველს საღამოს გუდარი გადიოდა შინიდან და ძალიან გვიან ღამით დაბრუნდებოდა ხოლმე; სესილისათვის კი სულ ერთი იყო, საცა უნდა თრეულიყო მისი ქმარი.

გუდარი ხშირად დადიოდა იზასთან. მაგრამ ბოლოს იქაც ისე გაუხდა საქმე, რომ უწინდებულად ვეღარ ჰფარფარობდა და ჰთანამობდა; პირიქით, ენა დაიმოკლა და მორცხვობდა კიდეც. ტრფიალების და არშიეობის დრომ გადუარათ, გუდარი ეხლა საყვარელი კი არ იყო, მეგობარი იყო იზასი. იზა ეხლა უწინდებულად აღარ ექცეოდა, ბევრს უკადრისს აკადრებდა ხოლმე, ასე რომ მოახლეების წინაშეც არაფერს ჰრიდებდა. გუდარსაც სრულებით გაუქრა სიყვარული იზასი და თვითონ იზაც უწყენელად და არხეინად ელაპარაკებოდა ხოლმე ახალს საყვარლებზედ და მის ახალგაზრდა ცოლზედ, რომლის გაცნობაც იზას ძალიან უნდოდა.

ერთხელ საღამოს იზამ გუდარი გულზე მოიყვანა ცოლის ამბების გამოკითხვითა. მართლა-და სულელური მდგომარეობა იყო გუდარისა; ქმარიც იყო და არც იყო ქმარი და ამას როცა მოაგონებდნენ, სულ აიმღვრეოდა ხოლმე. ის აზრი, რომ სესილი ჯერ სხვას დაეკუთვნა, შეითვისა როგორც იყო და ჰნუგეშობდა იმით, რომ ეგ ჯვარისწერის წინ მოხდაო, სახელდობრ, მაშინ, როცა სესილი თავისუფალი იყო და მაშასადამე სესილისაგან კი არა ვარ გაცრუებული, არამედ ჩემის საკუთარის თავისაგანაო. არც იმან შეაძულა სესილი, რომ გუნებნაქცევად იყო, იმიტომ რომ გუნებნაქცეობაში სესილი მეტად დაშვენდა და ამან უფრო წაუკიდა ცეცხლი მის მხეცურ ჟინსა.

იმ ღამეს შინ რომ დაბრუნდა, გუდარი ძალიან გაჯავრებული იყო. სესილს გაეხადნა ტანისამოსი და საღამურ კაბით იჯდა პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც მის საწოლის გვერდით იყო. მოესმა რა, რომ კარი უეცრად გაეღო, გაოცებით შეხედა კარებს და, დაინახა თუ არა გუდარი, შეჰკვივლა და გაიქცა საწოლის ოთახისკენ. გუდარმა შეაყენა.

- ნუ მიდიხარ, - უთხრა ტკბილად, - მე სალაპარაკო მაქვს შენთან.

- ეხლავე მოვალ.

- არ იქნება, დარჩი აქ.

სესილი დარჩა და რა შეიკრა სისწრაფით კაბა, ჰკითხა:

- რა გნებავთ?

- დაჯეგ!

სესილი დაჯდა და თვალი გაუშტერა გუდარს.

- კარგო სესილი! - სთქვა გუდარმა, - მე მინდა ერთი კარგად და საფუძვლიანად მოგელაპარაკო.

- ყურს გიგდებთ.

- ძალიან კარგი, მაგრამ გთხოვ, სიტყვა არ გამაწყვეტინო. აი რამდენიმე თთვე არის, რაც ჯვარი დაგვიწერია და შენც იცი, რომ შენთვის ლაპარაკით თავი არ მომიბეზრებია. ეხლა კი არ შეიძლება არ გითხრა. ქალი თუ კაცი

ერთმანეთს ირთვენ ერთის დღისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ, მინამ ცოცხლები არიან, ამიტომაც მე მინდა ერთხელ და უკანასკნელად მოგელაპარაკო ამ საგანზედ. რაც ყოფილა, ყოფილა და წასულა, - და თუ საყვარელი გყოლია, რა ვუყოთ შენ მაშინ თავისუფალი იყავი. შენ მალე დედადაც შეიქმნები და მე მივიღებ კისრად შენის შვილის მამობას; ჩემგან არც სამდურავს გაიგონებ, არც ყვედრებას. მითამ ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი არ შემირთავს და შემირთავს მხოლოდ ახალგაზრდა ქვრივი, მორჩა და გათავდა. რაკი ეს ჩემი გულისპასუხი გითხარი, მე გკითხავ, ნუ თუ სამუდამოდ ესე განცალკევებით უნდა ვიცხოვროთ?

- მაგაზედ გსურდათ ჩემთან მოგელაპარაკნათ?

- ჰო, და შენც თვითონ ხედავ, რა თავაზითაც გელაპარაკები, - უთხრა გუდარმა, გაკვირვებულმა, რომ სესილმა ასე მკვახედ უპასუხა.

- თქვენ შემცდარი ხართ, მე თქვენი ცოლი არა ვარ. ბედმა იძულებული მყო ვიცხოვრო თქვენთან ერთს ჭერს ქვეშ, მაგრამ თავის დღეში კი მე თქვენ არ გეკუთნებით. თქვენ გინდოდათ დაგეჭირათ ადგილი, რომელიც სხვისგან იყო დაჭერილი, ეგ თქვენი საქმეა, ხოლო მე ვეკუთვნი სხვას და თავის დღეში არ ვულალატებ. თქვენს შესახებ ამას ვიტყვი, რომ ჩემის გულისთვის კი არა, თქვენის საკუთარის პატივისათვის უნდა საიდუმლოდ შეინახოთ ის, რაც ჩვენ შორის ლაპარაკია. თუ ამას არა იქმთ, სამასხაროდ გაიხდით თავსა.

- მეცა ვხედავ მაგას და ამიტომ მინდა ამ ჩემს სულელურს ყოფას ბოლოც მოვულო, - სთქვა გუდარმა და შუბლი შეიკრა.

- მაგითი რის თქმა გინდათ?

- იმის თქმა, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ და იქნები კიდევ ნებით თუ უნებლიედ.

- ჭკუიდამ შეშლილხართ! - დაიძახა სესილმა და ეცა თავის საწოლის კარებს.

მაგრამ გუდარმა გზა გადაუჭრა და თითქმის ცხვირწინ მიურახუნა კარები.

- ვიშ უნამუსოვ! ისევ უწინდელს უნამუსობას მაჰყავით ხელი! - უთხრა სესილმა.

- ჰო, ვიცი, შენი რევოლვერი გინდა აგელო, განა? უკაცრაოდ. კმარა ამდენი კამედიები, - უპასუხა გუდარმა, - ბატონო გუდარის მეუღლეც, მე ამაღამ თქვენთან მსურს ყოფნა.

- არასოდეს! მე ჯერ თავს მოვიკლავ.

ამას რომ ამბობდა, უნდოდა ხელიდამ გამოსხლეტოდა გუდარს, რომელმაც ხელი ჩასჭიდა კიდევ. რომ ვერა ქნა რა, მივარდა ყელში გუდარს და კინაღამ არ დაახრჩო. გუდარმა ძლივს გადირჩინა თავი და მიმგვილაობაში კაბა ჩამოახია. კდემამ და გაბოროტებამ ერთი ორად გაამხნევეს ეს უბედური ქალი; როგორც იყო ხელადამ გამოეცალა და გაიქცა კარებისაკენ, მაგრამ გუდარი დაეწია, ფეხი გამოსდო და საწყალი ქალი ძირს დაეცა ხალიჩაზედ.

- მიშველეთ, მიშველეთ! ყელსა მჭრიან - ყვიროდა სესილი, რაკი ხედავდა, რომ გამძალიანება ამას იქით ველარას უშველიდა.

სწორედ ამ დროს გარეთა კარი ვიღაცამ დაარაკუნა. სესილი თითქმის ნახევრად შიშველი, თმააწეწილი ეგდო იატაკზე და, რომ გაიგონა კარის რაკუნის ხმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოიკრიბა და ხელი ჰკრა გუდარსა. გუდარმა კარის რაკუნის ხმა ვერ გაიგო, საზარლად ხარხარებდა და იძახდა:

- ბატონო გუდარის მეუღლე, ჩემი იქმნები, ჩემი.

უეცრად ხელადამ გააგდო სესილი, წამოხტა გაფითრებული და მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო. კარებს იქიდან ვიღაცამ ხმამაღლად დაიძახა;

- კანონის სახელით, გააღეთ კარი!

ამ სიტყვებმა თვალის დახამხამების უმაღლეს სრულად შესცვალა გუდარი. მისი სახე, წუთის წინად თამამად მაცურებელი, ეხლა აჩენდა სულდაბალს ქალაჩუნობას და ლაჩრობას. სესილი კი, რაკი ჰნახა, რომ გუდარმა თავი დაანება, წამოხტა ფეხზედ, მიიმალა კუთხეში და ჰცდილობდა ხელებით როგორმე დაეფარა ნახევრად შიშველი ტანი.

ამასობაში მოახლეს, რაკი გაეგონა კარის რაკუნი, გაეღო კარი და რამდენიმე პოლიციელი შემოცვივდნენ და პირდაპირ წამოვიდნენ პატარა სასტუმროსაკენ, რადგანაც აქედამაც ხმაურობა მოესმათ. ძნელი არ არის წარმოიდგინოს კაცმა იმათი გაოცება, როცა შემოვიდნენ ოთახში და ჰნახეს თითქმის შიშველი ქალი, რომელიც იმათ შემოსვლაზედ მივარდა ფანჯარის ფარდას და ფარდის უკან დაიმალა. ჩუმად-მაძიებელმა გიურემ წარბი შეიკრა და მკვირცხლად მოატარა თვალი ოთახში. მორთულობა ოთახისა აქოთებული იყო, ზალიჩაზედ ეყარა კაბისა და თეთრეულის ნახევები, გუდარის თითებზე შავი თმის ბეწვები იყო, რომელნიც მიძგილაობაში ბეჭდებს ზედ აჰყოლოდნენ.

- ანდრე გუდარი რომელია? - იკითხა გიურემ და იგრძნო რომ აქ რაღაც ამბავი ყოფილა, რომლის გამოკვლევაც საჭიროა.

- მე ვარ, - უპასუხა გუდარმა.

- კანონის სახელით, მე თქვენ გიჭერთ, - უთხრა გიურემ. ჰკრა ხელი და მიაგდო პოლიციელებისაკენ, რომელნიც კარებთან იდგნენ. - ეს ქალი ვინღაა - დაუმატა მან და ანიშნა სესილი.

- ჩემი ცოლია, - უპასუხა გუდარმა, ცოტად თავის დონეზედ მოსულმა, - თქვენი მოვალეობაა მე დამიჭიროთ, ხოლო არავითარი ნება არა გაქვთ ჩემს შინაურს საქმეში გაერიოთ. ჯერ ისიც უმართებულო საქმეა თქვენის მხრით, რომ აქ შემოხვედით. წაბრძანდით და მეც მოვდივარ.

- ჩვენ აქ არ შემოვიდოდით, რომ თვითონ გაგეღოთ კარები, - უპასუხა გიურემ და, რადგანაც იგრძნო, რომ გუდარმა მართალი უთხრა, დაუმატა: - კარგი, წამობრძანდით.

პოლიციელებმა გუდარი წაიყვანეს, გიურე კი კარებში შედგა და უთხრა სესილს:

- ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ქალბატონო.

კარები გაიხურეს და გავიდნენ. სესილი მაშინათვე შევარდა თავის ოთახში, ხელდახელ გადიცვა კაბა და ისევ სასტუმრო ოთახში შემოვიდა. ცოტად გააღო კარი და ყური დაუგდო ქმრის და პოლიციელების ლაპარაკსა,

მაგრამ ვერა გაიგო რა. მარტო ამას კი მოჰკრა ყური, რომ გიურემ გუდას უთხრა:

- ხომ არა გსურთ თქვენს ცოლს გამოეთხოვოთ?

- რა საჭიროა, - უპასუხა გუდარმა, - მე დარწმუნებული ვარ, რომ შეცდომით მიჭერთ. ეს შეცდომა ეხლავ გამომჟღავნდება და ისე მალე დავბრუნდები შინ, რომ ჩემი ცოლი ვერც კი გაიგებს, ვიყავ სადმე თუ არა.

ამის შემდეგ გარეთი კარი მოარახუნეს, გავიდნენ პოლიციელები და გუდარი თან წაიყვანეს. მოახლე კი შემინებულას სახით შემოვიდა სასტუმრო ოთახში, მითამ ჰკითხოს ქალბატონს, ხომ არა გნებავთ რაო, და გულში კი ისა ჰქონდა, შეეტყო, ბატონი რად დაიჭირესო. სესილმა არა უთხრა რა მასზე, რაც მოხდა და უბძანა, - წადი, დაიძინეო.

მარტო რომ დარჩა სესილი, დაეცა ტახტზე დათენთილი და დაქანცული. საზარელი ამბავი ურცხვის ძალადობისა, რომელსაც ასეთის სასწაულით გადურჩა, ხელახლად წარმოუდგა თვალწინ. თუმცა ამისთანა საზარო ფათერაკში ჩავარდნილი იყო, მაგრამ ზეცამ შეიბრალა და დაიხსნა სწორედ იმ წამს, როცა ყოველივე ღონე მიხდილი ჰქონდა და უნამუსო ძალადობის მსხვერპლად უნდა გამხდარიყო. ზეცამ დაიხსნა იგი ამა სირცხვილისაგან. ამ ფიქრმა შეიპყრა სესილი მთლად და აზრადაც არ მოსდიოდა ქმრის დაჭერის ამბავი. იგი არა კითხულობდა, რად დაიჭირეს ჩემი ქმარი ამ შუალამისასო; იგი, ჰხედავდა რა თავის თავს თავისუფლად და ბედნიერად, ჰლოცავდა თავის ბედსა.

მერე კი, ცოტა ხანი რომ გავიდა, ფიქრად მოუვიდა, ვაი თუ გუდარი ისევ მალე დაბრუნდესო. რომ მიდიოდა, თვითონვე სთქვა, მალე დავბრუნდებიო. აქამომდე უძალიანდებოდა ქმარს, დღესაც რაღაც სასწაულმა დაიხსნა, მერე რაღა უშველიდა? აშკარა იყო, რომ გუდარი თავისას არ დაიშლიდა. სესილს ეშინოდა, შინ მოვა და ისევ მე მომვარდება უფრო მომეტებულის გააფთრებით და მაშინ აღარაფერი არ დამიხსნისო. ამის გამო იფიქრა, რომ ერთბაშად უნდა მოვსპო მასთან ყოველივე კავშირი; ქვეყანა ეხლა ვერასფერს ცუდს ვერ იტყვის, ქმრის დაჭერა ასლი მიზეზია, რომ ამ სახლს მოვშორდეთ.

ზარი დააწკარუნა.

- ჩემო კარგო ჟულიეტავ, - უთხრა მოახლეს, როცა ზარის ხმაზედ შემოვიდა, - ჩაიცვით. მე აქ დარჩენა აღარ მემიძლიან, მეშინია მარტო ყოფნა, დედ-მამასთან გადავალ. ბოხჩაში შეახვიეთ ჩემი თეთრეული და ხვალ დანარჩენსაც გადავიტანთ.

- უი, ქალბატონო, რა კარგად გინებებიათ, - უპასუხა მოახლემ, - მეც შიშმა ამიტანა და ძილი არ მომეკარა. რომ გენახათ, რა უზდელობით მოექცნენ პოლიციელები ბატონს! უსათუოდ რაღაც ძალიან ცუდი საქმე მოუხდენია.

სესილმა არა უპასუხა რა; სესილმა და ჟულიეტამ ჩააწყეს, რაც საჭირო იყო, ბოხჩაში, მერე წამოისხა სესილმა წამოსასხამი, მოახლე გამოიყოლა და გამოვიდა სახლიდამ. მალე მივიდნენ ტიუსსოს სახლთან და დაურაკუნეს კარი.

- ვინა ხართ? - ჰკითხა ტიუსსომ, წამოხტა რა ქვეშაგებიდამ და ფანჯრიდან

გადიხედა.

- მე ვარ, მამა, გამიღეთ, - უპასუხა სესილმა.

- შენა ხარ? ეხლავ.

დაიწყო ტიუსსომ თავის ჩუსტების ძებნა და ელდაცემული ადელი კი იძახოდა:

- ღმერთო ჩემო! ნეტა რა მომხდარა?

- მე მგონია, ქმარს გამოჰქცევია, - უპასუხა ტიუსსომ და სანთელი აანთო, - დიახ, გამოჰქცევია და ჰგონია, რომ მე ხელს შევუწყობ. როგორ არა! დამაცადოს, მე ვუჩვენებ!

- იქნება უბედურება რამ შეემთხვა?

იმის შიშით, რომ იქნება ძალიან ცუდი რამ მოხდაო, ადელმა სწრაფად გადიცვა კაბა და ძირს ჩამოჰყვა ქმარს.

- ასე გვიან რად მოსულხარ? - ჰკითხა ტიურსსომ ცოტა წყრომით, როცა სესილი სასადილო ოთახში შემოვიდა.

- დასაძინებლად მოვედი.

- რაო რა მოხდა განა? - ჰკითხა ტიუსსომ, შეიკრა წარბი და თვალები დააჭყიტა.

- ჩემი ქმარი დაიჭირეს, - უპასუხა გულდადინჯებით სესილმა.

- ახა, ღმერთო ჩემო! რის გულისათვის? - იკითხა მამამ გაფითრებით, დედა კი შეკრთა, რადგანაც იცოდა გუდარის ამბავი, რომ ხელიდამ ყველა ავი გამოუვიდოდა.

- მე რა ვიცი, - უპასუხა ქალმა, მოიხადა წამოსასხამი და შუბლზედ მოყრილი თმა გაისწორა.

- რაზედ გიტკენია, - ჰკითხა ადელმა და ანიშნა ხელი, რომელიც ძალიან დალურჯებული ჰქონდა სესილსა.

- ეს ქმრის სახსოვარია, - უპასუხა ქალმა და მწარედ ჩაიღიმილა.

- ნუთუ გცემს ხოლმე? - ერთხმად ჰკითხეს დედამ და მამამ.

- დღეს დაიწყო.

- და მაგისათვის დაიჭირეს? - იკითხა ტიუსსომ.

- არა, არა... ერთი მომასვენეთ ჯერ. მე ჩემს ოთახში წავალ და დავიძინებ. ხვალ ყველაფერს გიამბობთ.

სესილი ასეთს ცუდს ფერზე იყო, ისე აჟრჟოლებდა, რომ დედ-მამამ წაიყვანეს თავის უწინდელს ოთახში და ლაპარაკი სახვალიოდ გადასდეს. სესილი, როცა მარტო დარჩა თავის პატარა ოთახში, სადაც თავისი მშვიდობიანი ყმაწვილობა გაეტარებინა, დაეცა მუხლებზედ და ხელთაპყრობით წარმოსთქვა:

- ჰოი, ღმერთო ჩემო ნუ განმიტევენ! მე ამდენი ტანჯვა და წვალება გამომივლია!

ნაწილი მესამე

ქრთამი

ტიუსსო და კამპანია

ქალის სიტყვებით აშფოთებული და დარწმუნებული, რომ ყველაფერში ქალია დამნაშავე, ტიუსსო ძალიან ცუდს გუნებაზედ შემობრუნდა თავის ოთახში. დააპირა, ხვალ დილით შევიტყობ ყველაფერს სიძის დაჭერის თაობაზედაო. ჰფიქრობდა, უსათუოდ გუდარი შეცდომით როგორმე დაიჭირეს, ან იქნება სესილის ყვირილზედ პოლიციელები შეუცვივდნენ სახლში და ამის გამო მოხდა ყველაფერიო. ეს უკანასკნელი გარემოება კი უფრო ნაკლებ სჯეროდა. ყველაზედ მეტად გულს უსიებდა ადელი, რომელიც ნუგემის მაგიერ სწყევლიდა გუდარს და აყვედრიდა ქმარს, შენ გამიუბედურე შვილიო. ტიუსსო ჩაწვა ქვეშაგებში, მაგრამ ძილი არ მიეკარა. გუდარის აკვაცობა როგორ მოუვიდოდა ფიქრად: იგი ტიუსსოს თვალში ისეთი პატიოსანი, ისეთი გულკეთილი, ისეთი მდიდარი იყო ხან რა იფიქრა, ხან რა და ბოლოს, რომ ვერას გახდა რა, წამოჯდა ქვეშაგებზედ და დაიძახა:

- ოჰ, ღმერთო!

- რა დაგემართათ? - ჰკითხა შემინებულმა ადელმა.

- მე სანადლეოს დავდებ, რომ აქ პოლიტიკაა გარეული. გაზეთებშიაც რალაცებსაც სწერდნენ.

თუმცა სულელობაშია ჩამოსართმევი ამისთანა სიტყვები, მაგრამ დროთა ვითარებას შეეფერებთან. ნაპოლეონ III ხელმწიფობამ შემოიტანა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში კაცის დევნა რალაც პოლიტიკის მიზეზებით და თუ ჩვენი ნაცნობი ვინმე დიდის ხნით მიგვეფარებოდა თვალთაგან, მაშინვე ეს აზრი მოგვივოდოდა თავში: უსათუოდ პოლიტიკაში გარეულაო. ამიტომაც ამ აზრმა რომ გაურბინა გულში ტიუსსოს, საკვირველი არ არის, მაგრამ ადელმა კი მხრები აიჭიმა.

- ახ, ნეტავი არ იქნება, ეგრე იყოს! ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა და თვითონ იმისთვისაც, - შენიშნა ადელმა.

გათენდა თუ არა, ტიუსსო თავის სიძის სახლში წავიდა, რომ შეიტყოს რამე და ცოლი კი ადგა და თავის ქალთან შევიდა. სესილმა ძალიან ცუდად გაატარა ღამე, სრულებით დათენთილი იყო და იგრძნობდა დიდს სისუსტეს ტანისას და ძარღვებისას. ჩვენ ვიცით, რარიგადაც უყვარდა დედა და ამიტომაც მაშინვე უამბო ყველაფერი. მერე ორივემ დაიწყეს გამოცნობა მისა, თუ რა მიზეზით დაიჭირეს გუდარი. ადელმა სთქვა, რომ უსათუოდ სამარცხვინო ამბავს რასმეს ჩაიდენდაო, ან ქალწულს ქალს შეაცდენდა, ან ქმრიანზედ ძალას მოიხმარებდაო. ამაში შეუძლებელი არა იყო რა, რადგანაც გუდარი თითქმის სულ მუდამ გარედ დაეთრეოდა ხოლმე.

- ჩემთვის სულ ერთია, რა მიზეზითაც უნდა იყოს დაჭერილი, - ამბობდა სესილი, - მე ყოველ შემთხვევაში მისგან თავი დავიხსენი.

- თუ შეცდომით დაუჭერიათ, ხომ მალე დაბრუნდება ისევ შინა.

- მე რა მენალვლება. მამაჩემმა რაც უნდა სთქვას, მე გუდართან საქმე

გამითავევბია. მაგისტანა სიცოცხლეს მე ვერ ავიტან, არ შემეშლიან.

- ვაი ჩემს თავს! ქვეყნის ყბად გავხდებით.

- რაო?! შენ ყველაფერი იცი და მაინც გინდა, რომ მე იმასთან დავრჩე მარტო იმისთვის, რომ ქვეყანამ ყბად არ აგვიღოსო რას ამბობ! სიკვდილი სჯობს იმ კაცთან სიცოცხლეს. ცემას მომიყვა ეხლა და ამას იქით რაღა დააყენებს... იმის მეტი კი არა უნდა რა, რომ ვუჩივლო, მცემს-მეთქი. ტანზე ცხადი ნიშნები მაქვს ნაცემობისა და რა გზით იმართლებს თავს მეორე მიზეზი ცოლქმრობის გაუქმებისა ჩვენ შორის ის არის, რომ ჩვენი ხასიათები ერთმანეთთან ვერ მოდიან.

- მამაშენი მოკვდება და მაგას არა იქს.

- როცა საქმე მამაჩემის დახსნაზედ იყო მიმდგარი, მე დავემორჩილე, ეხლა კი არაფერი არ შეარყევს მის ქარხანასა ჩვენი გაყრა არაფერს არ შესცვლის, ქვეყნის თვალში გუდარი მამა ჩემის შვილისა, მამასადაძე, მეცა და ჩემს შვილსაც მის ქონებაზედ უფლება გვაქვს კანონითა.

- ყოველივე ეგ მაშინებს მე.

- აქ საშიშარი არა არის რა. მე უბედობამ ბევრი მწუხარება გამომატარა, ჩემი ქმარი ციხეში ზის და რად უნდა გიკვირდეს, რომ ამ ყოფაში მე მინდა ჩემს ქმარს სრულებით მოვმორდე.

- მამაშენსაც დაეკითხე.

- აბა რა უნდა დავეკითხო საწყალს მამას, - უპასუხა სესილმა, - მამაჩემმა ის უნდა იყაბულოს, რაც მე მსურს.

ამ დროს ქარხანიდამ ხმა მოისმა და ადელი მაშინვე ძირს ჩამოვიდა, ტიუსსო კი ძალიან გაჯავრებული შინ მოსულიყო. ვერაფერი ვერა შეეცყო რა და თავის სიძის დაჭერის ამბავი სულელობით თვითონვე ეამბნა მეკარისათვის, რომელიც გუდარის სახლს ედგა. თვითონ მეკარეს კი არა სცოდნოდა რა და არც რაიმე შეეცყო. გუდარიო, ეთქვა მეკარეს, ისე ხშირად გადიოდა სახლიდამ და მოდიოდა ღამე გვიან, რომ იმის წასვლა-მოსვლას ყურსაც არ ვადევნებდიო. მართალია, გუშინდამ კი სამი კაცი მოვიდა და იკითხეს - გუდარი სადა დგასო, მაგრამ მე გუდარის ამხანაგები მეგონა. ერთის სიტყვით, ისე ჩუმად დაეჭირათ გუდარი, რომ სახლში ვერც კი ვერავის გაეგო.

- აი ხომ ხედავ, ამ ამბავს პოლიტიკის სუნი უდის, - უთხრა ტიუსსომ თავის ცოლს.

ამ სიტყვებმა მოთმინებიდამ გამოიყვანეს ადელი. გაჯავრებულმა უამბო ქმარს, რომ საწყალს სესილს ყოველდღე უსიამოვნება ჰქონდა ქმართან; რომ ქმარი სცემდა; რომ გუშინ გუდარი არ დაეჭირათ, მოსტეხდა რასმეს და დააშავებდა, თუ არა გჯერა, წადი და დალურჯებული ტანი უნახეო.

ტიუსსოს ელდა ეცა, ეს რომ გაიგონა. როგორ? გუდარი, ამისი მეგობარი, იმისთანა კეთილი და პატიოსანი კაცი, ცოლსა სცემდა განა? ვინ იფიქრებდაო მაგრამ მოდი და ნუ დაიჯერებ, როცა თვალითა ჰხედავ! ტიუსსოს თავისი შვილი, თავის მამის-ერთა ქალი ძალიან უყვარდა და დიდად შეწუხდა, როცა გაიგო, რა დღეშიაც ჰყვანდა ჩავარდნილი. უსათუოდ აქ რაღაც უცნაური

საქმეა დაფარული, - ჰფიქრობდა ტიუსსო, - ერთი მე თვითონ გამოვკითხავ ჩემს ქალსა და რასაც შევიტყობ, იმის მიხედვით შევუდგები საქმესაო.

- მაინც ის ეხლა ჩემთვის საჭირო აღარ არის, - სთქვა ბოლოს თავისთავად ტიუსსომ და მით გამოაჩინა სწორედ ვაჭრული უმადურობა.

პატივსაცემს ბრინჯაოს მკეთებელს ის უმღვრევდა გულოს, რომ მე მამა ვიყავიო და ხელს არ და ვაწებდი ხოლმე ჩემს ქალსაო და ჩემმა მეგობარმა კი, რომელსაც მივათხოვე ჩემი ქალი, ცემაც დაუწყო! რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო, ცემა როგორ გაუბედა განა საკადრისია კაცისათვის, რომ ქალსა სცემოსო?

ტიუსსო ისე ჰცხარობდა, რომ ადელს უხაროდა, იქნება ღმერთმა მიშველოს და თვითონვე მოაშოროს თავისი ქალი იმ საძაგელს ქმარსაო. ადელი გაიქცა, რომ ეს სასიხარულო ამბავი თავის ქალს შეატყობინოს, ტიუსსო კი დარჩა მარტო, დაეყუდა დაზვას, აიფარა სახეზედ ხელები და ღრმად ჩაფიქრდა.

- “მართლა რომ ვსთქვათ, - ამბობდა გულში ტიუსსო, გუდარი რის მაქნისია ჩემთვის? ქარხანა ეხლა უიმისოდაც კარგად წავა. ტვინი წაილო ყვედრებით, მე რომ არა თყოფილიყავ, დაილუპებოდიო. ერთი რაღაც სულელი ბედოვლათია; მე რომ არ შევსწრებოდი და იმისი ფული ქარხანაში არ გამება, დღეს ლუკმა-პურის ნატრული იქნებოდა. ფულს ქარხანაში ვამუშავებ და დიდს სარგებელსაც ვამღევე. ჩემისთანა სულელი კაცი თუ, თორემ სხვა უჩუმო ვინ გაუყოფდა მოგებას სანახევროდ, მაშინ როდესაც არაფერს ის არ აკეთებს და სულ მე ვარ; მართალია, ჩემი სიძეა და ჩემის ქალის გულისათვის გავიამხანაგე და, თუ როგორც რიგია ჩემს ქალს ისე არ ექცევა, რიღასთვის უნდა მივეფეროთ მე დარწმუნებული ვარ, რომ გუშინდელი ამბავი იმიტომ მოუხდათ, რომ ცოლსაც ჰვალატობს. უნდა ახსოვდეს, რომ მისი ცოლი ჩემი ქალია; რომ ჩემი ქალი ჩვიდმეტის წლისაა და თვითონ ორმოცისა! მე სანაძლეოს დავსდებ, რომ საწყალი სესილი ეჭვს მიიტანდა... და იმას კი ცემაც უკადრებია. უკაცრაოდ, ამას იქით კი აღარას გაგაბედვინებთ. მე თვითონ ვურჩევ ჩემს ქალს, რომ სამართალს მიმართოს... ამას იქით ფულის სარგებელი ჩემს ქალს უნდა ვაძლიო ხოლმეო”.

ამ დროს მოახლემ გაზეთი შემოუტანა. ტიუსსოს მაშინვე მოაგონდა გუდარი და მისი დაჭერის საქმე პოლიტიკის მიზეზითა. მაშინვე გამალა გაზეთი და დააკვირვა თვალი იმ ადგილს, საცა საყოველღეო ამბებსა სწერენ ხოლმე.

- ეს რა ამბავია! - დაიძახა წაკითხვის შემდეგ და გაიქცა სასადილო ოთახისაკენ, საცა ადელი და სესილი ასხდნენ, - ეს კი მეტის-მეტია!

- რა ამბავია? - ჰკითხა სესილმა.

- აი, წაიკითხე! - უთხრა ტიუსსომ და მიაწოდა გაზეთი.

სესილმა ჩამოართო გაზეთი და დაიწყო კითხვა. იმ კითხვაში თანდათან ფერი მისდიოდა და ბოლოს ერთი ხმამაღლა დაიკვილა და გულშემოყრილი წაბარბაცდა დასაცემად, მაგრამ დედა მიემშველა და გულზე მოისვენა.

- ვაიმე, ვაიმე! - დაიძახა ტიუსსომ, - მე მოვკალ ჩემი მვილი!

აი რა ეწერა გაზეთში:

“ეს-ეს არის შვეტიცყეთ, რომ მარეს უბანში კაცი დაუჭერიათ. ძლივს იპოვეს ერთი იმათგანი, რომელთაც ქალი მოჰკლეს ლაკუეს ქუჩაში. ჩვენს მკითხველებს, რახსკვირველია, ეხსომებათ ეს ამბავი; ის არის ქარგალი, ბრინჯაოს მკეთებელი, სახელად მორის ფერანი. ჯერ ბევრში გამოტყდა, მერე კი ყველაფერი უაპრო. გამოძიება საწყალ ლეა მედანის თაობაზედ დიდის ოსტატობით მიჰყავს გამომძიებელს ოსკარ ვერშემონს. რაკი ხმა გავარდა, რომ ამ საქმეს გაარჩევენ ამ ახლო ხანში, მაშინვე აუარებელი თხოვნა მიუვიდა სასამართლოს თავმჯდომარეს უფ. მატეი დიუტალს სასამართლოში შესვლის ბილეთების გამო. ამ საქმის გარჩევაში დასწრება ისე ძნელი იქნება, როგორც ახალის ოპერის წარმოდგენაში. მკითხველებს ეხსომებათ, რა ყოფით იყო მოკლული საწყალი ქალი და რა სახით შიშველი იპოვეს მკვდარი. ბრალდებული ძალიან ახალგაზრდაა, იქნება ოცის წლისა. იგი ერთი ლამაზ ყმაწვალკაცთაგანია, რომელთაც გარს ეფუფუნებიან ხოლმე ქეიფის მოყვარე ქალები, მისი ურცხოზა წრეს გარდამეტებულია. გატყდა, რომ ღვინო მე-ვიციდუო, საწამლავი მე მოვამზადუო და ამტკიცებს, რომ საწამლავი თვითონ მე ვიხმარუო და, როცა პირში წაუდგებიან, ამბობს: "აბა დამიმტკიცეთო". რასაკვირველია, იმასაც ამბობს, რომ ლეა მედანს თავის დღეში არ ვიცნობდიო. ჩვენ ვეცდებით მკითხველებს ვაუწყოთ სულ ყოველი ფერი, რასაც გამოძიება აღმოაჩენს ამ საქმეში, რომელიც, როგორც ეტყობა, გამოჩენილთ საქმეთა შორის უნდა ჩაირიცხოს”.

რა თქმა უნდა, რომ ქმრის ამბავმა გული არ შემოჰყარა სესილს. მისი ქმარი რომ ქურდი გამომდგარიყო, ავაზაკი თუ კაცისმკვლელი, იმაზე მეტად, როგორც ეზიზღებოდა, ველარ შეიზიზღებდა. ან რა დარდი უნდა ჰქონოდა იმ კაცისა, რომლის სახელი დაირქვა მარტო მისთვის, რომ უფრო კარგად იძიოს შური. სესილს თავზარი დასცა მორის ფერანის დაჭერის ამბავმა და იმ საზარელმა ბრალმა, რომელსაც მორისს სწამებდნენ. უსათუოდ შეცდომით მომხდარაო, იფიქრა, მორისის ავაზაკობა შეუძლებელი საქმეაო. ამასთანაც ლაკუეს ქუჩის სახელი, ღვინისა და საწამლავის ყიდვის ამბავი განა აშკარად არ ამტკიცებს, რომ ჩვენს თავის მოკვლის განზრახვას პოლიცია შეუცდენიაო.

ყოველმა ამან ისე ააშფოთა საწყალი სესილი, რომ ხმა ველარ ამოიღო და ელდისაგან გულს შემოეყარა.

- სესილ, ჩემო კარგო სესილ, - ეუბნებოდა ალერსით დედა, რომელმაც მიიყვანა, სელზედ დასვა გულშემოყრილი ქალი და ძმარს ასუნებდა, - გონზედ მოდი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, თვალი აახილე! ვაი, ხმას არ იღებს, მოკვდება და ჩვენი ბრალი იქნება, რომ იმ საძაგელს მივეციო.

- არა, მარტო მე ვარ დამნაშავე, მე! - უპასუხა ტიუსსომ, - ამისი ფიქრი სულ მორისი იყო და მე კი იმის დაჭერის ამბავი ხელში მივაჩეჩე. მე მეგონა, რომ სულ ამის წინააღმდეგად იმოქმედებდა ეს ამბავი, ის კი არა, თუ ლამის შვილი ხელიდამ გამოგვეცალოს. მე მიხდოდა მეთქვა: "ეხლა ჰხედავ, რა კარგად მოგვივიდა მეთქი, რომ იმ ქალაბიჭას არ მიგათხოვეთ, აი რა კაცი ყოფილა..."

II

ორი მძიმე საქმე

გამომძიებელი ოსკარ ვერშემონი თავის კაბინეტში იჯდა და დიდის ყურადღებით უსმენდა ჩუმად-მაძიებელს გიურეს, რომელიც გამოძიებაში ძალიან შველოდა ვერშემონსა და რომელსაც ამხანად ბევრი ახალი ამბავი მოეტანა.

- მაშ, ბატონო გიურევ, - სთქვა ვერშემონმა, - თქვენის აზრით, ეხლა ნამდვილს გზაზედა ვართ დამდგარა, აღარ მოვსტყუვდებით?

- ერთს ბეწოსაც, ეტლის მატარებელმა იცნო. ერთხელ უწინაც მიუყვანია ის ლაკუეს ქუჩაში, ის არის მკვლელი თუ არა, ამასაც შევიტეობთ; ეს კი ნამდვილია, რომ იმ უბედურების დამეს, თორმეტს საათზედ ის კაცი ყოფილა ლეა მედანთან და გამოსულა იქიდან სამსა თუ ოთხს საათზედ დილით.

- რა ჰქვია?

- ანდრე გუდარი. ცოლი ეხლახანს შეურთავს, მაგრამ გამოჩენილი მრუში კაცია თურმე და ცოლს ძალიან ცუდად ეპყრობა. მე მოგახსენეთ ხომ, რომ დავიჭირე-მეთქი. მინამ ჯვარს დაიწერდა, ყველას არწმუნებდა, რომ ჩემის ფულის სარგებლითა ვცხოვრობო და მერე კი ამხანაგად გაუხდა სიმამრს. ვისაც კი გამოვკითხე იმისი ამბავი, ყველანი ცუდად იხსენებენ, რაც კი მაღალ ფარდების ფეხჩრვილი ქალია, ყველასთან შინაურია; პირველიდამ დაუწყია და უკანასკნელამდე ჩასულა. მე მგონია, რომ წყარო ცხოვრებისა კარგა ხანს მარტო აქედამა ჰქონია.

- თვითონ რაღას ამბობს?

- გამოტყდა, რომ ლეა მედანთან ყოფილა, მაგრამ დიდხანს არა ვყოფილვარ, მალე წამოვედი, მეშურებოდა, რადგანაც მეორეს დღეს ჯვარი უნდა დამეწერაო. მე რომ წამოვედი, ლეა მედანი ქვეშაგებში მწოლარე დავაგდეო. მოწამლულის ღვინის ბოთლების შესახებ სთქვა, რომ არა ვიცი რა, უსათუოდ ჩემს შემდეგ მიუტანიათო. აი ამიტომაც შეუძლებელია ფერანის განთავისუფლება, მით უფრო, რომ არ გვეუბნება, როგორ გაუტარებია ის დამე, თუმცა კი გამოვკითყდა, რომ შამპანური ღვინო მე ვიყიდე და საწამლავიც მე გავურიეო. ამასთანაც თვითონ მედუქნეებმაც იცნეს ფერანი,

- მართალი ზართ.

- გუდარის შესახებ კიდევ ამას ვიტყვი, რომ მის ცოლმა თავი დაანება სახლ-კარს და მაშინვე, დავიჭირე თუ არა გუდარი, სხვაგან გადვიდა, ასე რომ სახლის გასაჩხრეკად მჭედელი უნდა მიგვეყვანა და იმისთვის გაგვეტეხინებინა დაკეტილი კარები.

- იპოვეთ კი რამე?

- მაგდონი არაფერი. ხოლო ვიპოვეთ ბევრი ძველი თამასუქები,

რომლებშიაც მოხსენებული ვალი გადუხდია იმ დღის შემდეგ, როცა ლეა მედანი მოეკლათ. ამას გარდა გუდარს შეუტანია სიმამრთან საამხანაგოდ კარგა ბლომა ფული.

- ბლომა ფულიო?

- დიად, ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

- მაგ საგანზე გამოჰკითხეთ რამე?

- დიად, ვალების მოშორების თაობაზედ მითხრა, რომ ცოლს ვირთავდი და მინდოდა ჩემი საქმეები გამეწმინდა, მინამ ჯვარს დავიწერდიო. იმ დიდ ფულის თაობაზედ კი სთქვა, რომ ბირჟაზედ მოვიგეო და დაგვისახელა მაკლერი, რომელმაც უმოწმა, რომ გუდარმა ჯერ ლეა მედანის სიკვდილამდე ჯერ ფული მოიგო, მაგრამ ბევრით იმ ფულზედ ნაკლებიო.

- თქვენი აზრი როგორიღაა დანაშაულობის შესახებ?

- თუ გუდარს თვითონ არ მოუკლავს, მაგ საქმის დამწყობი ხომ ყოფილა და ყოფილა. ვინ იცის, იქნება ის ყმაწვილი კაციც შეცდენით გაუამხანაგებია. ხოლო დღეს ერთი ახალი და უცნაური ამბავიც მოხდა. მე შევიტყე, რომ გუშინწინ პოლიციაში გამოუცხადებიათ, რომ ვიღაც მარიანა პალიარს დაჰკარგვია მასთან გირაოდ ყოფილი ბანკის ბილეთები სწორედ იმ ნომრებისა, რომელიც ლეა მედანისთვის მოუპარავთ.

- იქნება მანდ შეცდომაა რამე.

- არა, ბატონო. მე ვნახე ის ყმაწვილი კაცი, რომელსა ეგ ამბავი გამოუცხადებია პოლიციაში. გულწრფელად მიაჩნო, რომ არა ვიცოდი რა მაგ გირაოებზედა, რადგანაც დედაჩემი ანაზღეულად გადაიცვალა და ძალიან გამიკვირდა, როცა მოვიდა ჩემთან ერთი კაცი, რომელსაც ის ბილეთები დედაჩემთან დაეგირავებინა და 60. 000 ფრანკი ესესხნაო. იმ კაცმა მაჩვენა დედისჩემის ხელწერილი, რომელშიაც ბილეთების ნომრები ჩამოთვლილი იყო.

- საკვირველი ამბავია.

- უფრო საკვირველი ის არის, რომ დამგირავებელი იმ ბილეთებისა არის პატივცემული ბრინჯაოს მექარხნე, რომელსაც ტიუსსო ჰქვია და რომელსაც აბრუგაუტეხელი სახლი აქვს... ასე რომ მე მერიდება კიდევ, რომ იმის სახლში გამოძიება მოვახდინო.

- მართალი ხართ. იქნება ის ბილეთები წინად უყიდნია, მინამ ჩვენ გამოვაცხადებდით გაყიდვის ყადაღას.

- მაშ რა ვქნათ?

- იმასა ვიქმ, რომ ჩემთან დავიბარებ იმ ბილეთების თაობაზედ გამოსაკითხავად, ავუხსნი რაშია საქმე და ამასობაში გამოვათქმევინებ ყველაფერს, რაც ჩვენთვის საჭიროა.

მიუბრუნდა ვერშემონი მდივანს და უბძანა ტიუსსოს დაბარება.

- აბა, გიურევ, - დაუმატა გამომძიებელმა, - მე მგონია გამოძიებას მალე გავათავებთ, ეხლა საქმე კარგად მიდის.

გიურე გამოვიდა. ვერშემონი დაებჯინა მაგიდას და ღრმად ჩაფიქრდა. უსათუოდ მისი ფიქრი სულ ეს საქმე იყო, რომლის გამოძიებაც მისთვის

მიენდოთ; უსათუოდ ახლად შეტყობილი ცნობები და უწინდელი ერთმანეთს წინ დაუყენა და ცდილობდა, რომ ლოლიკისა და სიმართლის შუქით გაანათოს ეს ბნელი და საიდუმლო დრამა. რასაკვირველია, დიდი სიფთხილევ უნდა ეხმარა, რადგანაც ამაზედ იყო დამოკიდებულო თუ არ სიცოცხლე, კაიკაცობის სახელი მაინც შეწამებულისა. წინასწარი დატუსაღება კაცისა, თუ შეცდომით არის მომხდარი, ხშირად ათახსირებს სამუდამოდ, ხშირად სამარცხვინო დაღსა სდებს ხოლმე მართალს კაცს. რა თქმა უნდა, რომ მაგის გულის ტკივილი ექმნებოდა ამაჟამად გამომძიებელს და ამიტომაც ასე ბეჯითად ჩაუფიქრდა ყოველს წვრილმანს გარემოებას ამ საიდუმლო საქმისა. აი, აილო ხელში კალამიცა; უეჭველია, იმისთვის აილო, რომ ზოგიერთი აზრი და შენიშვნები დასწეროს დასახსომებლად. მაგრამ უკაცრაოდ, ქალაღზე დასწერა სხვილის ასოებით “იზას” და მერე სამი ხანა სამიჯნურო ლექსი ზედ მოაყოლა.

ამისთანა დიდსა და მძიმე საქმეში გართულმა ვერშემონმა ვერ გაიგო, რომ კარი დაურაკუნეს. მდივანმა მოახსენა, ვიღაცა არისო.

- მობძანდეს, - თქვა გამომძიებელმა მოუთმენლობით. შემოვიდა ყარაული.

- რად მოხვედით, მე თქვენ არ დამიძახნიხართ - უთხრა წყრომით ვერშემონმა.

- მაპატივეთ, ტელეგრამა გახლავთ.

- მაჩვენეთ.

ვერშემონმა წაიკითხა შემდეგი:

“გავრი!

“დღეს ერთმა კაცმა დასახურდავებლად მოუტანა ზარაფს ბანკის ბილეთები, რომლის ნუმრებიც თქვენ გამოგიცხადებიათ. მომტანი დავიჭირეთ ბილეთებით ხელში. რას გვიბძანებთ?

- მისწერეთ, - უთხრა გამომძიებელმა მდივანს, - ის კაცი აქ გამოგზავნონ.

და ხელახლად მიუბრუნდა თავის ლექსების გალამაზების საქმეს.

მდივანმა მისწერა პასუხი და გაგზავნა; ჯერ ცოტა მოითმინა, რომ არ შეუშალოს ამისთანა მძიმე საქმეზედ ფიქრი და მერე კი გაუბედა და მოაგონა, რომ დღეს დაბარებულია საკითხავად ახლად დაჭერილი გიურესაგან ტუსადიო. ვერშემონს ძალიან ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ რას იქმოდა დაემორჩილა სამსახურის ვალდებულებას და უბძანა - მოაყვანინეთო.

ანდრე გუდარს დატუსაღების შემდეგ გადაეწყვიტა, რომ რაც უნდა მკითხონ, პასუხს არ ვეტყვიო. რასაც კი გიურე ჰკითხავდა, ყველაფერზედ უარს ამბობდა, თითქო შიშობს, არა წამცდეს რაო. ეს კი იყო, რომ გამოტყდა, ლეა მედანს ვიცნობდი და ძალიან დაახლოვებულად ვიყავიო.

თუმცა კონსიერჟერის ციხეში გამომძიებლის ოთახის შორიახლო იყო ანდრე გუდარი დატუსაღებული, რომ მის წაყვანწამოყვანაში დრო ტყუილად არ დაიკარგოს, მაგრამ მთელი სამი დღე იჯდა ისე, რომ არავის ჩვენება არ ჩამოურთმევია. მხოლოდ დატუსაღების მეორე დღეს გამოიყვანეს და პირისპირ დაუყენეს ეტლის მატარებელს, რომელსაც იგი მიეყვანა ოც ივნისის

ღამეს კონტრესკარპის ბულვარზედ. გუდარმა თვალა მოჰკრა თუ არა ეტლის მატარებელს, ფერი ეცვალა.

- ეს კაცი გეცნობათ, თუ არა? - ჰკითხა გიურემ.

- არა, უპასუხა გუდარმა, სახე კი მეცნობა და არ ვიცი სად მინახავს.

- აბა გაიხსენეთ, რომ ოცს ივნისს ლამაზი ეტლი იქირავეთ, ღამის ათ საათზედ, კონცერტიდამ რომ გამოხვედით, და უბძანეთ კონტრესკარპის ბულვარზედ წამიცვანო.

- მე ეგ კარგად მახსოვს.

- მაშ იმ ეტლის მატარებელს ვერა სცნობთ?

- ვერა, მე მაშინ არც კი შემიხედნია ეტლის მატარებლისათვის. იქ ნება ეს კაციც იყოს, რა ვიცი.

- თქვენ კი გეცნობათ ეს ბატონი? - ჰკითხა ეტლის მატარებელს გიურემ.

- თავიდან ფეხამდე.

- ძალიან კარგი, ეგეც სამყოფია. შეგიძლიანთ წახვიდეთ, გამომძიებელი დაგიბარებთ.

გუდარი ისევ თავის სენაკში ჩასვეს. ორმა დღემ და ორმა ღამემ კიდევ გაიარა. მეტად მძიმედ მიდიოდა დრო გუდარისათვის, ნამეტნავად ღამით, როცა ეგდო ხოლმე თავის ხმელს საწოლზედ და მარტო გათენებისას თუ მოუვიდოდა ძილი. ყველაზე მეტად ის ფიქრი აწუხებდა თუ - რა ამბავია ეხლა ჩემს სახლშიო. ეშინოდა, ცოლმა ტიუსსო არ გადაამატეროს და ეს უკანასკნელი, რაკი მე ტუსაღადა ვარ, არ წავიდეს დედაკაცთან, რომელსაც ჩემი ბილეთები აქვს გირაოდ, კუპონები არ მოსჭრას და არ წარადგინოს ფულის მისაღებადაო. გუდარმა ნება ითხოვა. შინიდან დავიბარო ვინმეო, მაგრამ უთხრეს, მინამ გამომძიებელი არა გკითხავს, შენთან კაცს არ მოვუშვებთ და, თუ გინდა, ბარათი მისწერეო. იცოდა რა, რომ ამ სახით ტუსაღებს მახეში გააბმენ ხოლმე, რადგანაც ტუსაღის ბარათებს პოლიციელები კითხულობენ, გუდარმა მეტად ოსტატური ბარათი დასწერა ცოლთან და სთხოვდა, ნუ გაამხელ ჩემის დატუსაღების ამბავს, ნამეტნავად ეცადე, არ შეატყობინო ეგ ამბავი შენს დედ-მამასაო და ჰპირდებოდა, მეც მალე დავბრუნდები შინ, რადგანაც ჩემი სიმართლე, რა თქმა უნდა, აშკარად მტკიცდებაო. ამასთან დაუმატა, რა ცუდ-უბრალოდ იჭერენ ხოლმე ციხეში სრულიად მართალს კაცსა და რამდენჯერ მოტყუებულა და შემცდარა ხოლმე თვითონ სამართალიცაო.

ამას გარდა იდუმლად დაწერა ერთი სხვა, ძალიან მოკლე ბარათიცა, ზედ დააწერა: “ფრიად საჭირო. სეგლენიხ ქვრივს, ფრიდლანდის ბულვარი”, გაირღვია სერთუკის კალთა და მაუდის და სარჩულის შუა დამალა.

მესამე დღეს დილით შემოვიდა ამის სენაკში ვიღაცა კაცი სენაკის დასაგველად და დასაწმენდად. ძალიან ჰგვანდა დიდის ხნის ნატუსაღევსა და ცბიერი სახე ჰქონდა. ამან უთხრა, თუ გნებავს ან ბარათის სადმე გაგზავნა, ან სიტყვის დაბარება, ჩემზედ მოაგდეო. ჯერ პირველად გუდარს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი და კინაღამ ის საიდუმლო ბარათი არ მისცა, მერე კი ეჭვი აიღო, ვაი თუ განგებ მოგზავნილი კაცია, რომ გამომათქმევინოს რამეო, და

ამიტომაც აიღო და მისცა ბარათი ტიუსსოსთან, რომელსაცა სთხოვდა, ყველას ასე უთხარით, რომ მე პარიზიდან სხვაგანა ვარ წასული სავაჭრო საქმეების გამო და ჩვენი ამხანაგობის პირობა შეინახე, მეც ხვალ გამოვალ ციხიდანაო.

ჯერ თითქმის არც კი ჩაებარებინა ბარათი, რომ ორი ყარაული შემოვიდა და გამომძიებელთან წაიყვანეს.

ძლივს მოუვიდა დრო თავი ემართლებინა. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა, რომ გამომძიებელთან წაიყვანეს, მინამ გამომძიებელთან მიიყვანდნენ, კარგა მანძილი უნდა გაევილო სასამართლოების ეზოში. ანაზდეულად ერთმა ფიქრმა გაურბინა გულში. აქეთ-იქით მიიხედა და ჩუმად დააგდო ტროტუარზედ იზასთან მიწერილი ბარათი, რის იმედიც ჰქონდა, აუსრულდა. თავი შეჰყო დერეფანში თუ არა, დაიხარა რომ ვიღაცა კაცი დასწვდა ბარათს, აიღო, წაიკითხა, ვის სახელზედ იყო, და იქავ ფოსტის ყუთში ჩააგდო.

გუდარი შევიდა რა გამომძიებლის ოთახში, მიიღო ისეთი სახე, თითქო არაფერში ურევივარ და არაფერი აინუნშიაც არ მომდისო. ვერშემონმა მოაშორა რა თვალი ქალაღდს, რომელზედაც დაწერილი ჰქონდა იზასთან ლექსი, შეხედა გუდარს და რა ჰნახა კაცი ლამაზად ჩაცმული, მართებულად მქცევი და სანდომიანის სახისა, გაოცდა. მაგრამ მალე გაიმართა ისევ და ჰკითხა რა გუდარს ვინაობა, განაგრძო;

- რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ თქვენ გედებათ მეტად მძიმე ბრალი.

- ასეთი საშიშარი და მძიმეა მართლაც, რომ არც კი მჯერა და სწორედ მოგახსენოთ ძალიან მიკვირს, რომ ამდონს ხანს ჩვენებაც არ ჩამომართვით. ჩემი ერთი სიტყვაა სამყოფი დარწმუნდეთ, რომ პოლიცია ჩემ შესახებ სტყუვდება.

- ლეა მედანს იცნობდით?

- დიახ, ჩემი საყვარელი იყო.

- დიდხანს?

- ორ თთვეზედ მეტი.

- სად ინახულეზდით ხოლმე?

- ლაკუეს ქუჩაში დროებით სახლი ეჭირა და იქ.

- მეორე სახლში, საცა მუდამი ბინა ჰქონდა, არ დადიოდით?

- თავის დღეშიაც.

- თუ იმ ქალის საყვარელი იყავით, მაშ რა მიზეზია, რომ თუ არა დროებით სახლში, თავისთან არ გინახულეზდათ ხოლმე?

- ღმერთო ჩემო, იმიტომ რომ მე ერთი მრავალთაგანი ვიყავ. თქვენც იცით, რა ქალიც იყო მედანი. მე ლეა მედანისათვის ის ვიყავ, რასაც იმისთანა ქალბატონები კაპრიზს ეძახიან.

- უცნაური ხელობა გჭერიათ.

- მე მაშინ უცოლო ვიყავ, თავისუფალი. ჯერ მაშინ მე იმოდენა შეძლება არა მქონდა, რომ იმისთანა ქალები, როგორც ლეა, ხასად დამესო და თუმცა იმაზე კარგა ფული გავაფუჭე, მაგრამ მე იმითიც მაღლიერი ვიყავ, რომ თავის

კაპრიზად გამიხადა.

- მაშ იმის გულთადი მიჯნური ყოფილხართ.

- ეგ ერთი და იგივე არ გახლავთ. მე მოგახსენებთ, იმის კაპრიზი ვიყავ მეტეჟი. მე ორი თთვე მეტი ვიცნობდი, მაგრამ მარტო ოთხჯერ კი მინახავს.

- უკანასკნელად სიკვდილის ღამეს ჰნახეთ?

- დიალ.

- როცა შეიტყეთ იმისი სიკვდილის ამბავი, რატომ მართლმსაჯულებას არ დაეხმარეთ, ავაზაკები როგორმე ხელში ჩაგვეგდო? იმას მაინც შეგვატყობინებდით, რა დროს გამოხვედით ლეა მედანის სახლიდამ.

- იმიტომ, რომ მეორეს დღეს ჯვარი უნდა დამეწერა, მაგრამ ჩემი ჯვარის წერა უცებ ჩაიშალა. მწუხარებისა და ალიაქოთის გამო აღარ მომგონებია ჩემი ყოფილი საყვარელი და ამასთანაც იმ დღეებში გაზეთი ხელშიაც არ ამიღია. ერთი თთვეც გავიდა, რომ მერე შევიტყე ლეას სიკვდილი. ჩემის აზრით, საცოდავი ლამაზი ქალი კაცისაგან კი არ არის, ფათერაკით არის მკვდარი.

- როგორ თუ ფათერაკით?

- ასე, რომ ის უცხოქვეყნელი იყო, მგონია, ბოშა იყო. მოგეხსენებათ, რომ ბოშის ქალები ხმარობენ ხოლმე რაღაც ბალახ-ბულახებსა. იმასაც ჰქონდა ეგ ჩვეულება. გთხოვთ მომიტევოთ, ყველაფერი უნდა დაწვრილებით გითხრათ, თუმცა ვშიშობ, ვაი თუ იფიქროთ, ვითომ საცოდავის ქალის მოთხრა მინდოდეს, მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა ყველაფერი მართალი მოგახსენოთ, რომ მოცხოვლილი ჩირქი ჩამოვირეცხო. ლეას ერთი საოცარი, ღრმად წამხდარი ბუნება ჰქონდა. ვნებათ-მხურვალება რომ მოუვიდოდა, მიიღებდა ხოლმე რაღაც დამათრობელს სასმელსა, რომელსაც თვითონ აკეთებდა და შამანურ ღვინოში ურევდა. ამ სასმელის ზედმოქმედებით ჩაიძინებდა და სიზმრად მოელანდებოდა ათასფერი მეძავ-მრუშობის სურათები, რომელთა გამოც სწორედ დაოსდებოდა ხოლმე. რამდენს ვურჩევდი, მაგრამ ვერ დავაშლევინე ეს წამბილწველი გარყვნილება და იმის სიკვდილს იმას ვაწერ, რომ წყეული სასმელი გარდამეტებით მიუღია. ეს მით უფრო დასაჯერია, თუ გაიხსენებთ, რა ყოფით იყო მწოლარე საწყალი, როცა თქვენ მკვდარი ნახეთ.

ვერშემონი დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს გუდარსა, რომელიც ჰლაპარაკობა თავისუფლად, გულდინჯად, არხეინად, როგორც კაცი, რომელიც დარწმუნებულია თავის სიტყვების სიმართლეზედ. ყოველი ეს გამომძიებელს გზა-კვალს ურევდა.

- მაშ თქვენა გგონიათ, რომ იმისი სიკვდილი ფათერაკის საქმეა?

- სწორედ.

- მაშ აბა ერთი მიაბზეთ, როგორ გაატარეთ თქვენ საღამო ოცს ივნისს სად შეხვდით ლეა მედანს?

- ერთის კვირის წინად ათს თუ თორმეტს ივნისს მე და ის ერთად ვიყავით არმენონვილის პავილიონში საუზმის საჭმელადა, რადგანაც ეთაკილებოდა იქ ცალკე ოთახში დარჩენა და არც უნდოდა თავისთან წავეყვანე, ლეამ...

- რატომ არ უნდოდა თავისთან წავეყვანეთ?

- აკი მოგახსენეთ, რომ არ უნდოდა ვენახე მე იმის კუროს და გულითადად მიჯნურსა.

- მოგწონდათ კი მაგისთანა მარჯაფა მიჯნურობა? - ჰკითხა კიცხვით ვერშემონმა.

- მე მაგის მეტი არა მდომებია რა, - უპასუხა ანდრემ აჩქარებით, რაკი ჰნახა რომ ამისი ნათქვამი არ მოეწონა გამომძიებელს, - მე შემხვდა ლამაზი ქალი, რომელიც სხვას უჯდა ხასად. მე ვუთხარი, თუ გინდა, დროებით გაგიმიჯნურდები და მერე თუნდა დავიწყებასაც მიმეც-მეთქი, ის თანახმა გამიხდა. მე ფიქრად სულაც არ მქონია, რომ გულითად მიჯნურად გავეხადე. თუ სწორე თქმა გინდათ, იმან თავის საყვარელს უღალატა და მე ამაში მონაწილეობა მივიღე. სხვა არაფერი.

ამისთანა გულჩირქიანობა მეტად ეზიზღა გამომძიებელს და უთხრა:

- განაგრძეთ.

- ლეამ შემომიკვეთა, ოცს ივნისს ლამის ცხრა საათზედ მოდი ჩემთან კონცერტში და იქიდან ერთად წავიდეთ ჩემს საიდუმლო სახლში ლაკუეს ქუჩაშიო.

- ეგ სახლი უწინაც გენახათ?

- დიად, ერთხელ წინადაც ვყოფილვარ.

- უთხარით კი, რომ მეორეს დღეს ჯვარს იწერდით?

- ვუთხარი და სწორედ ამის გამო შემეხვეწა, რომ უკანასკნელი თავისუფალი ღამე იმასთან გამეტარებინა.

- მერე?

გამომძიებელი დაეყუდა მაგიდაზედ, მოჰყვა ფჩხილების კვნეტას და ბეჯითად თვალს ადევნებდა ყოველს ცვლილებას გუდარის სახისას. გუდარი კი იდგა გულდინჯად და არხეინად და მართებულად, თითქო ვერა ჰგრძნობს ვერშემონის თვალის გამჭვრეტაობასაო.

- მე დანიშნულს ადგილს მივედი, - განაგრძო გუდარმა, - ვნახე ლეა და მოინდომა მაშინვე წამოსვლა.

- მარტო იყო?

- მარტო.

- იმ კონცერტში, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, მარტო ქალებს უკავალეროდ არ უშვებენ.

გუდარი აირია.

- იქნება თან მიჰყვა ვინმე და, მე რომ დამინახა, დაიმალა.

- ჩვენ შეტყობილი გვაქვს, რომ ლეა მედანი შესულა კონცერტში ხელი-ხელ გაყრილი ვიღაც თქვენის ტანის კაცთან და ისე ქეიფიანად ყოფილა, რომ კინაღამ უკან არ გამოუბრუნებიათ.

- სხვა იქნებოდა, მე არა ვყოფილვარ,- უთხრა სისწრაფით შემკრთალმა გუდარმა.

- მერე?

- ჩვენ მაშინვე წამოვედით. ეტლი გარედ ელოდდა ლეა მედანს. სწორედ ის ეტლის მატარებელი იქნებოდა, რომელიც მე პირში წამიყენეს, იმიტომ რომ

მიცნო. მე თვითონ კი არ ვიცოდი, თუ ეტლი ნაქირავებია, მე ლეას საკუთარი მეგონა. ლეამ უბანა ეტლის მატარებელს, მე და შენ რომ ვიცით, იქ წავგიმვანო; ეტლის მატარებელს, რასაკვირველია, ეცოდინებოდა ის საქეიფო სახლი ლაკუეს ქუჩაში, რადგანაც ჩემს გარდა ბევრიც სხვა მიუყვანია. ჩვენ ძალიან მალე მივედით. ეტლიდამ რომ გამოვედი, ლეას მოვავგონე, რომ ხვალ ადრე მინდა ადგომა და ამიტომაც ეტლის მატარებელს შევუკვეთე, სამს საათზედ მოდი მეთქი.

- მერე რა ჰქენით?

- შევედით ლეას სადგომში, რაცა საჭმელ-სასმელი ლეას ყოველთვის მზადა ჰქონდა ხოლმე; სახელდობრ, შაქრის პურები და ორი თუ სამი ბოთლი შამპანური ღვინო.

- სად იყო ყოველივე ეგ შენახული?

- სასადილო ოთახის განჯინაში. ლეამ მითხრა რომ გოგოს, რომელიც ამ სახლს უყურებს, ნაბძანები აქვს ჩემგან, რომ შაქრის პურები და შამპანური ღვინო მზად იყოს ხოლმე და თავ-თავის ადგილას იდგესო.

- ძალიან კარგი, მერე?

- ლეამ ქვეშაგებთან მოდგა პატარა მაგიდა და სინი ზედ დასვა. ჩვენ ქვეშაგებში მწოლარენი ვჭამდით და ვსვამდით.

- რამდენი ბოთლთ ღვინო გქონდათ?

- ერთი. მე ვიცი, რომ თქვენ ორი ბოთლი გიპოვიათ იქ და ერთში საწამლავი ყოფილა. სწორედ ეგ გარემოება ამტკიცებს ჩემის ნათქვამის სიმართლეს. უეჭველია, ჩემის წამოსვლის შემდეგ გაუხსნია მეორე ბოთლიც, ჩაუსხამხ თავისი გრძნეული სასმელი... გაუფთხილებლობით მეტი დაულევია და...

- მაშ ღვინო, თქვენის აზრით, თვითონ ჰქონია ლეა მედანს?

- დიად.

- ეგ გარემოება დიდად საყურადღებოა.

- მე ვამტკიცებ, რომ ის ორი ბოთლი შამპანური ღვინო განჯინაში მქონდა.

- მაშ იმ პატარა კალათაში რაღა იყო, რომელიც თქვენ ხელში გჭერიათ, როცა ლეა მედანთან ერთად მიდენილხართ ბულვარზედ?

გუდარი ხელახლად აირია.

- არ მახსოვს.

- აბა გაიხსენეთ როგორმე, -უთხრა გამომძიებელმა უცნაურის ღიმლით.

- მოგახსენებთ, არ ვიცი-მეთქი.

ეს რომ სთქვა, გუდარი ძალიან არეული იყო. იგრძნო, რომ გაება მახეში, წამოსცდა რა აშკარა ტყუილი, რომელზედაც დგომა ეხლა შეუძლებელიდა იყო. ეს მაშინვე გამოჩნდა.

- მაშ თქვენ, - განაგრძო გამომძიებელმა, - უარყოფთ, რომ ეტლის მატარებელი დააყენეთ ბულვარზედ, ყავახანაში შეხვედით, გამოართვით გაფთხილებით შეკრული კალათა, რომელიც იქ მიგებარებინათ მოსამსახურისათვის, მოხვედით, ისევ ჩაუჯექით ლეა მედანს ეტლში და წახვედით კალათით თან.

- ღმერთო ჩემო, მე მაგას პირდაპირ უარს არა ვყოფ, მაგრამ ვამბობ, არ მაგონდება-მეთქი ეგ წვრილმანი ამბავი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

- თქვენ გგონიათ, რომ მნიშვნელობა არა აქვს; მე კი შესაძლოა ვიფიქრო, რომ იმ კალათაში შაქრის პურები იყო და შამპანური ღვინო, რომელიც თქვენს ვახშამს შეადგენდა.

- მე თვითონ თავის დღეში მაგისთანა მცირე ვახშამს არ მივიტანდი.

- მაშ კარგი, პირისპირ დაგიყენებთ ყავახანის მოსამსახურეს, რომელსაც კალათა თქვენგან ჰქონია მიბარებული. ეხლა კი ისევ თქვენს ამბავს დავუბრუნდეთ. თქვენა და ლეა მედანმა შაქრის პური სჭამეთ და ერთი ბოთლი შამპანური ღვინო დალიეთ?

- დიად.

- რამდენს საათზედ წახვედით შინ?

- გათენებისას, სამს თუ ოთხს საათზედ.

- ქალს ეძინა?

- ეძინა კი არა, ძლივს-ძლივს გამოვეცალე ხელიდამ, არ მიშვებდა; მეხვეწებოდა პატარა გვიან წადი, უკანასკნელი ღამეა ერთად ყოფნისაო.

- თავის მოკვლაზედ ხომ არა გაუხსენებია რა?

- არა, აკი მოგახსენეთ, რომ არა მგონია-მეთქი წინადგანზრახვით მოეკლას თავი. როცა მე წამოვედი, ისეთს ყოფაში იყო, რომ ვერც კი გამიბედნია თქმა.. სულ მთლად გააფთრდა, რომ მე არა ვრჩებოდი.

- თქვენა გგონიათ, რომ მარტო დარჩა მითამ თქვენს შემდეგ სხვა არავინ მივიდოდა?

- მე მგონია, არავინ.

- ერთის სიტყვით, თქვენა გგონიათ, რომ ის უბედური ქალი მეტისმეტის მხურვალეებით იყო სნეული და ამისათვის ხმარობდა გრძნეულს სასმელებს, რომელიც ამჟამად მეტი მოსვლია და ამიტომ მომკვდარა.

- სწორედ.

ვერშემონმა ჯერ პირველად რომ ჰნახა გუდარი ეგრე მართებულად მქცევი და მოლაპარაკე, ეგონა, მართალი კაცია და ტყუილად დავიჭირეთო, მაგრამ ბოლოს კი რამდენსაც ელაპარაკებოდა, უფრო და უფრო სჯეროდა, რომ დამნაშავე უნდა იყოსო.

- მე კი მგონია, რომ საქმე ასე მომხდარა, - უთხრა გამომძიებელმა მშვიდობიანად, - თქვენ დაგითვრიათ საცოდავი ქალა და გინახავთ რა, რომ იმას გონება აღარა აქვს, მოწამლული შამპანური ღვინო შეგიპარებიათ.

- მეო? მითამ მე მოვწამლე? ღმერთო ჩემო! ეგ რა ბძანეთ? - დაიძახა გუდარმა.

გამომძიებელს ღიმილი მოუვიდა, რომ ისე ოსტატურად იქცევოდა გუდარი, მაგრამ მაინც არ მოტყუვდა.

- მაშ მე ვიამბობთ ყველაფერს დაწვრილებით, რაც იყო, - უთხრა გამომძიებელმა, - თქვენა და ლეა მედანმა ერთად ჭამეთ სადილი არმენონვილის პავილიონში ოცს ივნისს და არა ათის დღის წინად, და

დაათვერით ქალი, რადგანაც იცოდით, რომ საწყალს ღვინის სმა უყვარდა. წამოხვედით იქიდან და მთვრალი ქალი თქვენ მოგყვანდათ; კინაღამ ბაღში არ წაქცეულიყო, ასე რომ იქაურ მოსამსახურეებს სიცილი ასტეხოდათ. მაშინ თქვენ ეტლი მოგიყვანინებია და წასულხართ კონცერტში. კონცერტში შექეიფიანებული ლეა მედანი ხმამაღლა თურმე ჰლაპარაკობდა და ჰხარხარებდა. ზედამხედველს შეემჩნია ეს და თქვენ გერჩიათ ლეა მედანისათვის, წყნარად მოიქეციო. ათს საათამდე იქა ჰყოფილხართ, მოგსვლიათ ეტლი და იქიდან წამოსულხართ ბულვარებისაკენ. მონმარტის ბულვარზედ დაგიყენებიათ ეტლი ყავახანასთან, საცა თქვენ ოთხის საათის წინად მადერა დაგილევიათ. გამოგირთმევიათ იქ მოსამსახურისათვის მიბარებული კალათა, ჩამჯდარხართ ეტლში და მოსულხართ კონტრესკარპის ბულვარამდე... გაქვთ რამე სათქმელი ყოველს ამაზე, რაცა ვსთქვი?

- მე ისევ იმას მოგახსენებთ, - უპასუხა გუდარმა, რომელსაც იმოდენად უფრო ემატებოდა გულის სიმტკიცე, რამოდენადაც ბრალი თანდათან ჰცხადდებოდა, - რომ ლეა მედანი ვნახე-მეთქი კონცერტში ათს საათზედ, რადგანაც თვითონ დამინიშნა იქ ნახვა. მთვრალი არ იყო, მაგრამ მეტად აფორიაქებული იყო მეძავ-მრუმობის მხურვალეებითა. ჩვენ იქიდან წამოვედით ბულვარებზედ და იქნება ყავახანაშიც შევედი, ზოგჯერ შევდიოდი ხოლმე, მაგრამ კალათი იმ დღეს არც მიმიბარებია და არც წამომიღია, ეგ რამდენისამე დღის წინად იყო.

- ეტლის მატარებელს უნახვიხართ, რომ ყავახანიდან კალათა გამოგიტანიათ.

- სწორედ დღეები არევია. ერთხელ წინადაც წავუყვანივართ მე და ლეა მედანი ათს საათზე ლაკუეს ქუჩაში. მაშინ კი, მართალია, ყავახანიდან წამოვიღე კალათით ზღვის ლოკოკინა, რომელიც იმ საღამოს ვიყიდე და იქ მივაბარე. იმ დღეს მე და ლეა მედანს ერთად უნდა გვეჭამა ვახშამი იმის სახლში.

- კეთილი, თქვენი ჩვენება ჩაწერილია; პირში წაგიყენებთ ეტლის მატარებელსაც და ყავახანის მოსამსახურებსაც, ახლა ისევ ჩემსას გეტყვით: რომ მისულხართ ლეა მედანთან ლაკუერ ქუჩაში, თქვენ ამოგიღიათ ორი ბოთლი შამპანური ღვინო და შაქრის პურები. ჯერ ერთი ბოთლი გაგიხსნიათ და დაგილევიათ. უბედური რაკი დამთვრალა, თავი ველარ დაუჭერია: გაშიშვლებულა მთლად და თქვენ კიდევ მაინც გისმევიათ ღვინო და, როცა მიხდია ცნობა სრულად, მაშინ მეორე ბოთლიც გაგიხსნიათ მოწამლულის ღვინითა. გონებამიხდილს ცალკე ღვინით და ცალკე ვნებათ-მხურვალეებით იმ უბედურს, სრულიად თქვენზე მონდობილს, დაუღევია საწამლავი, რომელიც, მეცნიერთა გამოკვლევით, გამომდგარა იმისთანა საწამლავად, რომ ერთსა და იმავე დროს კაცსა ჰკლავს და სიტკბოებითაც ავსებს. საცოდავს თქვენთან მწოლარეს ხრიალი დაუწყია, თქვენ საწოლიდან გადმოგიგდიათ და საცოდავი ისე დაგდებულა თავდაყირა დათვის ტყავზედ, საცა ჩვენა ვნხეთ პირზედ მხიარულ ღიმილით, თითქოს სძინავსო. თქვენ კი ამდგარხართ, მალე ჩაგიცვამთ, გადმოგიქოთებითა იქაურობა და

მოგიპარავთ...

- აჰა, ახლა ქურდიცა ვყოფილვარ!

- თქვენ მოგიპარავთ ბანკის ბილეთები და საგარეო საქმეთა მიწერ-მოწერის ქაღალდები; მერე დანარჩენი საწამლავი შეგისხამთ ბუხარში და წამოსულხართ. მეოთხე საათის ნახევარი ყოფილა და კონტრესკარპის ბულვარზედ ეტლი გდგომიათ. ქუჩა სირბილით გაგირბენიათ და სირბილში დასჯახებიხართ ერთს მუშა კაცს, რომელსაც სწყენია და უკან გამოგდგომიათ. აი, ეს ამბავი როგორ ყოფილა, ბატონო ანდრე გუდარო.

გუდარმა სახეზედ ერთი წარბიც არ შეანძრია, სრულებით არა შეიმჩნია რა. ხოლო საფეთქლებზე ძარღვი სისხლით აევსო და ძლიერ დაუწყო ცემა.

- ღმერთო ჩემო! - თქვა მან წყნარად, - მე რაღა მეთქმის. თქვენმა ატაცებულმა გამოხატულობამ საოცარი ამბავი გამოსახა. რაც ლაკუეს ქუჩაში მოხდა, იმის მოწმად მარტო ერთი სულიერი იყო და ის სულიერი მე ვარ. მართალი გითხარით. მე არ მიჯერებთ და თქვენი გამოხატულება ჯერ კაცის მკვლელად მხდით მე და მერე ქურდად. აბა რა უნდა გითხრათ მაგაზედ? მე ქურდი ვარ, მე მოვიპარე ბანკის ბილეთები... სახლი ხომ გამისინჯეთ... აბა მიპოვეთ რამე კი? სად ჯანაბაში წავიღებდი? ეგ თქვენგან მოგონილი ზღაპარი კიდევ იქნებოდა რამე, რომ ერთი მცირედი, სულ უბრალო გეში რამ მაინც გეპოვნათ ჩემში,

- მერე ვინ გითხრათ, რომ არ გვიპოვნია?

გუდარმა წარბი დაუშო.

- თქვენ ამ მოკლე ხანში პირში წაგიყენებთ კაცს, რომელსაც თქვენგან მინდობილი ჰქონდა ის ბილეთები.

ამხანად კი გუდარმა თავი ველარ დაიჭირა, აიმღვრა და თვალგაფაციცებით დააცქერდა გამომძიებელს, ერთი შევიტყო, მართალს ამბობს, თუ მცდისო. რის ფიქრიც და შიშიც ჰქონდა დაჭერის დღის აქეთ, ეხლა სულ წარმოუდგა თვალწინ, უსათუოდ ბებერმა პალიარის ქვრივმა, ტიუსსოს თხოვნით, მოსჭრა კუპონები გირაოდ მიცემულს ბანკის ბილეთებს, გაგზავნა ბანკში დასახურდავებლად და კუპონები და თვითონ მიმტანიც ხელში ჩაიგდესო. ხოლო ეს შიში ისევ მალე მოიშორა თავიდან, ისევ მალე გაიმაგრა გული და გამოტეხის მაგიერ, რომელსაც ვერშემონი ელოდდა, - რადგანაც იმის ფიქრით, გუდარი მომწყვდეული იყო და მეტი ილაჯი აღარ ჰქონდა, - გუდარმა კიცხვის ღიმლით უთხრა:

- თქვენ ნომრები გქონიათ ბანკის ბილეთებისა, რომელიც მოუპარავთ ლეა მედანისათვის. ეგ ჩემთვის მეტად სასიხარულო ამბავია. თუ მართლა დაგიჭერიათ კაცი, რომელსაც ეგ ბილეთები გაუყიდნია, მაშ ხელში გყოლიათ ქურდი და დამნაშავე იმ საქმისა, რომელსაც მე მაბრალებთ. ხოლო მე კი სრულად დარწმუნებული ვარ, რომ აქ არაფერი დანაშაულობა არ მომხდარა და, თუ ლეა მედანს ბანკის ბილეთები ან თამასუქები რამ ჰქონია, ის მაგაებს არ შეინახავდა თავის დროებითს ბინაზედ ლაკუეს ქუჩაში და ამიტომაც ძნელი იქნება იპოვოთ ქურდი არ-მომხდარის ქურდობისა.

ვერშემონი მოთმინებიდან გამოჰყვანდა გუდარის არხეინობას და

ურცხვობას. გუდარს ისე ეჭირა თავი, თითქო ამ ლაპარაკმა გამომძიებელისამ უფრო თავი მოაბეზრა, ვიდრე შეაშინაო; თითქო დარწმუნებული იყო, რომ ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრიან, თუნდა ყველაფერი დამიმტკიცონ კიდეცაო.

- ანდრე გუდარ, - უთხრა ვერშემონმა, - კიდეც გეუბნებით, თქვენ წარმოგიდგენენ ბანკის ბილეთებს და იმ კაცს, ვისაც თქვენგან ჰქონია ბილეთები მინდობილი. ეხლა ეს მითხარით, პორტფელით რომ ქაღალდები წაიღეთ, რა უყავით?

- რა ქაღალდები?

- ერთი უშველებელი საგარეო საქმეთა შესახები მიწერ-მოწერა.

- მე ავი მოგახსენეთ, რომ საწყალ ლეას სახლიდამ დილით ადრიან გამოვედი და შინ წავედი-მეთქი.

- მაშ კარგი, ეტლის მატარებელი პირში წაგიდგებათ და გვიმოწმებს, რომ თქვენ ჩაჯექით ეტლში დილის ოთხის საათის ნახევარზედ.

- მე მაგას უარს არა ვყოფ.

- ის გვიმოწმებს, რომ თქვენ უბძანეთ გარეთუბანს რულს წამიყვანეო, მაშინ როდესაც თქვენი სახლი კი რივოლის ქუჩაში იყო. ჩანს, ლეას სახლიდამ პირდაპირ შინ არ წასულობართ.

- მე ბულონის ტყეში წავედი, რადგანაც ძალიან ცხელოდა და იმ ახირებულ ღამის შემდეგ მინდოდა ცოტა რამ წმინდა ჰაერზედ ვყოფილიყავი. გარეთუბანს რულს რომ მივედი, ეტლი დავითხოვე და შინ ფეხით წამოვედი, ელისეის მინდვრებზედ გამოვიარე; ეტლის მატარებელი მიმოწმებს, რომ ეტლიდამ გამოვედი, ხელში მარტო პატარა ჯოხი მეჭირა და ილლიის ქვეშ არარაიმე პორტფელი არა მქონია.

- იქნება პალტოს ქვეშ დამალული გქონდათ. ერთის სიტყვით, თქვენ არ გინდათ გვითხრათ, ის ქაღალდები რა უყავით?

- მე არ მესმის, რა ქაღალდებს ბძანებთ.

- მაშ თქვენ არა სტყდებით და ამტკიცებთ, რომ ლეა მედანი თქვენ არ მოგიკლავთ და არც არაფერი მოგიპარავთ იმის სახლიდამ; გვარწმუნებთ, რომ სიკვდილი ფათერაკად შეემთხვა, რადგანაც საწამლავი მეტობით მიეღო და სახლიდამაც მითამ არა დაკარგულა რა?

- დიაღ.

- კეთილი, სადღეისოდ ესეც სამყოფია. ხვალ პირში წაგიყენებთ ყველას, ვისაც კი უნახივხართ.

და მიუბრუნდა რა მდივანს, უბძანა:

- დასწერეთ ბძანება, რომ ბრალდებული მაზასში გადიყვანონ.

- თქვენ არც ერთი მცირედი გემიც არა გაქვთ ხელში ჩემს გასამტყუნებლად, - უთხრა გუდარმა და კისერი მოიღერა, - თქვენ ერთი მცირედი საბუთიც არა გაქვთ იმისთანა, რომლის ძალითაც ჩემი დატუსაღება შესაძლო იყოს. მე ვითხოვ ეხლავე განმათავისუფლოთ და პირობას გაძლევთ, მაშინვე გამოვცხადდე, როცა კი თქვენი ნება იქნება.

გამომძიებელმა მხრები მაღლა აიწია და ხელით ანიშნა ყარაულებს, რომ ტუსადი გაეყვანათ.

- ეს უსამართლობაა, - განაგრძო გუდარმა, - თქვენ თქვენს უფლებას ბოროტად ამოქმედებთ. მე მართალი ვარ. პასუხს გასცემთ... გაფთხილდით...

- წაიყვანეთ, უბრძანა ვერშემონმა ცივად.

გუდარი წაიყვანეს. ჯავრისაგან არ იცოდა რა ექნა. უწინდელ ციხეში მიიყვანეს და იქიდან გაიყვანეს მაზასში. სატუსალო ეტლში რომ იჯდა, სულ თითებს იკვნეტდა გაბოროტებისაგან.

მარტო რომ დარჩა, გამომძიებელმა განკარგულება მოახდინა, რომ საქმე ააჩქაროს და სრულად დარწმუნებულმა გუდარის ბრალეულობაზედ უბძანა, რომ სახვალიოდ ყველა მოწმეები დაიბარონ. მეორე ტელეგრამამაც მოვიდა გავრიდამ და იწერებოდნენ, რომ გამოვისტუმრეთ პარიზს კაცი, რომელსაც ზარაფთან მიეტანა ბანკის ბილეთებიო; ყველა ბილეთი კი ვერ ვიპოვეთ, მაგრამ ბარათი ვუპოვეთ ყუთში და იქიდან ყველაფერი სცნა პოლიციამაო. რაცა ვკითხეთ, არ ისურვა პასუხის მოცემა, მხოლოდ ეს კი გვაუწყა, რომ ეხლახან ერთი ბებერი ნათესავი ქალი მომიკვდა პარიზში და სიკვდილის წინ თავის ხელით გადმომცა ბანკის ბილეთებიო; ქაღალდებიდამა სჩანს, რომ ამ კაცის სახელი ბოიე არისო.

- ეს რა ამბავია? - დაიძახა ვერშემონმა, - აბა, რა საფიქრებელია, რომ ბოიე იყოს!

- შეუძლებელია! - შენიშნა მდივანმა, - უსათუოდ პოლიციას კარგად ვერ გაუგია საქმე. მაგრამ დღეს საღამოს იმ კაცსაც მოიყვანენ და ყველაფერს გავიგებთ.

ამ დროს შემოვიდა ჩუმად-მაძიებელი გიურე.

- აბა რას გვეტყვით? - ჰკითხა ვერშემონმა.

- ბევრს ახალს და კარგს ამბავს. კაცი, რომელსაც გამოუცხადებია ბანკის ბილეთების დაკარგვა, ტიუსსოა, გუდარის სიმამრი.

- ოჰო!

- გუდარს იმ უბანში საშინელი სახელი აქვს გავარდნილი; ჯერ დედის არშიყი ყოფილა, მერე ქალი შეურთავს. თავის სიმამრს ამხანაგად გახდომია, შეუტანია საამხანაგოდ ის ბანკის ბილეთები, რომელნიც მერე დაუგირავებია პალიარის ქვრივთან და გამოურთმევია სამოცი ათასი ფრანკი ძალიან დიდ სარგებლით, იმ პირობით კი, რომ ბილეთები დაბეჭდილ ქაღალდში ყოფილიყო შენახული და მარტო გუდარი მისულიყო ხოლმე კუპონების მოსაჭრელად.

- ძალიან გაფრთხილებულა წინადვე.

- გუდარის სახლობამ არა იცის რა. ყველანი, ვინც კი არიან მის სახლობაში, პატიოსანი ხალხია და ამ არამზადას მოუტყუებია. ყველაზე უფრო შესაწუხარი ის არის, რომ გუდარის ცოლი ორსულია.

- საცოდავები! ხომ არა გითქვამთ რა?

- არაფერი. მე მხოლოდ ტიუსსოს გამოგვითხე ბილეთების ამბავი. ქმრის დაჭერას, როგორც ეტყობა, ძალიან არ შეუწუხებია საწყალი ცოლი და სიმამრს კი ჰგონია, რომ გუდარი რაღაც საპოლიტიკო საქმეშია გარეული. მე ისე მებრალებოდნენ, რომ კარგადაც ვერ გამოგვითხე. მგონია, საჭირო იყოს,

ხვალვე ყველანი დაიბაროთ.

- რასაკვირველია. დაწერეთ ბძანება, რომ ფერანი განათავისუფლონ, - უბძანა ვერშემონმა მდივანს.

- უკაცრავად კი, - შენიშნა გიურემ, - ერთი დღე, წინ იყოს თუ უკან, არაფერია. ფერანი საჭირო იქნება ხვალ, როცა გუდარს მოწმეებს პირში წაუყენებთ.

- ფერანი ეხლა აქ რა შუაშია?

სთქვა ეს გამომძიებელმა და წავიდა საუზმის საჭმელად; როცა ისევ დაბრუნდა, მოსამსახურემ მოართვა ბარათი. ვერშემონმა გამოართვა და რომ ხელი იცნა, გაწითლდა და სირცხვილისაგან ფანჯრისაკენ გასწია, გახსნა ბარათი და წაიკითხა შემდეგი:

“საყვარელო მეგობარო! თქვენ თითქმის დამივიწყეთ. იქნება მიჯავრდებით რაზედმე? მე მინდა უსათუოდ გნახო დღეს საღამოს და კარგად ჩაგკოცნოთ.

იზა.”

- მოვალ-თქო,- უბძანა მოსამსახურეს.

მოსამსახურე რომ გავიდა, მიუჯდა მაგიდას და მოჰყვა საქმის ჩხრეკას. მაგრამ ყოველივე ღონე იხმარა და ვერაფერი ვერა გააკეთა რა. ხელები უთრთოდა, ვერა დაეწერა რა და ყოველ წუთს ამოიღებდა ჯიბიდან სასურველს ბარათს და სიხარბით გადიკითხავდა ხოლმე.

III

მასზედ, თუ ბოიე როგორ გამოდიოდა წყლიდამ დაუსველებელი

მას დღეს აქეთ, რაც ტიუსსომ შეიტყო დაკარგვა ბანკის ბილეთებისა, რომელნიც პალიარის ქვრივს ებარა, საშინლად შეწუხდა. სახლობაში არავის რა უთხრა ამ საგანზედ, მაგრამ ძალიან კი ეძნელებოდა ამისთანა ამბის საიდუმლოდ შენახვა. მთელი ღამეები არ ეძინა ხოლმე; ბილეთების დაკარგვას თან დაჰყვა გუდარის დაჭერაცა და ეს ამბავი მოსვენებას არ აძლევდა. გათენებისას ადგებოდა და მაშინვე წავიდოდა ხოლმე, რომ შეეტყო რამე. ჩვენ წინადაც ვსთქვით, რომ გუდარის დაჭერის მიზეზი რაღაც საპოლიტიკო საქმე ეგონა. მერე კი ეჭვი შეუვიდა, ეს ბანკის ბილეთები ამ საქმეში ხომ არაფერს მოასწავებსო. გუდარის ბარათმა ხომ სულ არია ტიუსსო, იმიტომ რომ გუდარი უთვლიდა, ფთხილად იყავი და არა წაგცდეს რა მაგ

ბილეთების თაობაზედაო.

ერთს სალამოს უწყებაც მოუვიდა. გამომძიებელი იბარებდა. ამან უფრო დააფიქრა და მთელი ღამე გაატარა მოუსვენრად, ესიზმრა, ვითომ თვითონაც დაატუსაღეს და ამის ელდით დილით ადგა და ყველაფერი უამბო ცოლსა. ცოლმა ძალიან იოცა პალიარის ქვრივის სიკვდილი და ბილეთების დაკარგვა, ხოლო ქმარს კი ნუგეში სცა, შენ აქ რა შუაში ხარო. დაიმშვიდა რა გული ცალკე მით, რომ გულწრფელად გაენდო ცოლსა და ცალკე ცოლის ნუგეშინის ცემითა, ტიუსსო ადგა და წავიდა გამომძიებელთან.

წავიდა თუ არა ქმარი, ადელი ადგა და შევიდა სესილთან. ახალგაზდა ქალი ჯერ კიდევ უქეიფოდ იყო ქმრის დატუსაღების დღის აქეთ და ამიტომაც ადვილად დაეთანხმა მორისის დას ამელის, რომ არ წასულიყო გამომძიებელთან, როგორც პირველად უნდოდა, და არ გაემჟღავნებინა საიდუმლო, რომელიც, სესილის ფიქრით, დაიხსნიდა მორისსა, და მოეცაძნა - იქნება გამომძიებელის დაპირებისამებრ უიმისოდაც გაეთავისუფლებინათ. ორსავე ქალს ეშინოდა, რომ სხვაფრივ საქმე გაჭიანურდება და საქმის გაჭიანურება უფრო ავნებს, ვიდრე უშველის რასმეს მორისსაო.

სესილმა შეიტყო თუ არა დედისაგან, რომ ტიუსსო გამომძიებელს დაუბარებია და დაკარგულა ბანკის ბილეთები, რომელიც გუდარს პალიარის ქვრივისთვის მიუბარებინა, სთქვა გულში: ეს საქმე სახუმარო აღარ არისო.

- მამას არაფრის ფიქრი არ უნდა ჰქონდეს, - უთხრა დედას სესილმა, - გუდარისაგან კი დასაჯერია, რომ ის ფული მოეპაროს.

- რას ამბობ? ხომ არ გაგიჟებულხარ? - დაიძახა დედამ.

- კი არ გავგიჟებულვარ და ის კაცი არც ერთს ბოროტს არ მოერიდება.

მამა რომ დაბრუნდა შინ რამდენსამე საათს შემდეგ, ასეთი ამბავი მოუტანა, რომ რასაც ელოდნენ, იმაზე მეტი იყო.

ტიუსსო მოვიდა სასამართლოდამ ფერმიხდილი, სახე სულ დაღმეჭოდა; ძლივსდა იდგა ფეხზედ, თითქო მთვრალიაო, და ღონემიხდილი დაეცა სკამზედ. თვალებს გიჟსავით აქეთ-იქით ატრიალებდა, მკლავები ჩამოეყარა, თითქო მათრახები ჰკიდიაო.

ადელმა და სესილმა ერთხმად დაიკვივლეს:

- ოჰ, ღმერთო! რა მომხდარა სამაგისო?

მისცვივდნენ ორნი, ხელთსახოცით მოსწმინდეს შუბლზედ ცივი ოფლი.

- ერთი სთქვი, რა მოხდა? - ჰკითხა ცოლმა.

- მამი, გვითხარით, ნუ გვაწვალებთ, - დაუმატა ქალმა,

- ოჰ, ნუღარ მკითხავთ, ნუ! - ძლივ-ძლივ წარმოსთქვა ბოლოს ტიუსსომ.

- რისთვის დაუჭერიათ? - ჰკითხა მოუთმენლობით სესილმა, - ქურდია თუ? იმას მოუპარავს ის ბილეთები?

- ჰო, ჰო, ქურდია, - ჰდუდუნებდა ტიუსსო და თავს იქნევდა.

- ღმერთო, დაგვიფარე! - დაიძახა ტიუსსოს ცოლმა, - საუკუნოდ მოგვეჭრა თავი.

- ჰო, ქურდია, ქურდი... მაგრამ ეგ კიდევ არაფერი.

- განა სხვაც რამეა?

- კაცის მკვლელიც ყოფილა! - სთქვა ტიუსსომ და თავში ხელი შემოიკრა.

ორმავე ქალმა ერთხმად დაიკვილეს ელდისაგან და თვალეზზედ ხელი აიფარეს, თითქო თვალწინ ედგათ კაცის მკვლელი. თუმცა გუდარი ძალიან ცუდ კაცად მიაჩნდათ, მაგრამ თავის დღეში ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ კაცის მკვლელიც იქნებოდა. უნდოდათ ერთ მძიმე დანაშაულობაში რასმეში გაბმულიყო, რომ მიზეზი ჰქონოდათ ცოლქმრობა გაეუქმებინათ და აი სურვილი გარდამეტებით აუსრულდათ კიდეც. საჭირო იყო თავის მდგომარეობაზედ ეფიქრათ რამე და გადეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. სესილი უფრო გულმშვიდად იყო; დიდი ხანია სესილი თავის ქმარს ზიზღითა და მძულვარებით უყურებდა, რასაც აქამომდე წინად ჰგონებდა და რაზედაც ეჭვი ჰქონდა, ყველაფერი აუხდა ეხლა. სამუდამოდ განთავისუფლდება იმ კაცის ხელადამ; თუმცა ქვეყნის სალაპარაკოდ კი გახდება, გაგრამ არავინ არ გაჰკიცხავს, ყველანი შეიბრალებენ და პატივისცემას არ მოაკლებენ. მართალია, სასამართლოში ასტეხენ ლაპარაკს სესილის თაობაზედ, რადგანაც ეგ საჭირო იქნება საქმისათვის. მაგრამ იტყვის, რომ გუდარი მძულდა და ოღონდ იმას კი არ შევერთე, თავის მოკვლა განვიძრახეო. თუ გუდარი ჩვეულებრივ ურცხვობაზედ თავს დასდებს და მოინდომებს ჯავრის ამოყრას მით, რომ გაამჟღავნებს - მე მაგას თავის დღეში ქმრად არა ვყოლივარ და მშობიარეც ჩემგან არ არისო, მაშინ მე თვითონ ვიტყვი ყველაფერსა, სთქვა გულში სესილიმა. მაშინ მთელს საზოგადოებას ზურგს შევუბრუნებ და აშკარად ვიცხოვრებ ჩემის შვილის მამასთანაო. ამასთან თავში გაურბინა იმ ფიქრმაც, რომ იქნება გუდარი სიკვდილით დასაჯონო და ამ ფიქრმა წარბიც არ შეუხარა სესილს, მისგან შეეყვარებულმა კაცმა იცოდა, რა ქალიც არის, და სიხარულით შეირთავდა და ჩამორეცხდა ჩირქს, რომელიც ანდრე გუდართან ჯვარისწერამ მის სახელს მოაცხო.

ადელს კი სწორედ მკვდრის სახე ედო. ის მარტო იმაზედ სწუხდა, ქვეყანა რას იტყვისო. ყველანი, ვინც შურით უყურებდნენ ჩვენის ქარხანის ფეხზედ დადგომას, ეხლა მოგვესევიან მშიერ მგლებივითაო. რას იტყვიან ჩემსა და გუდარის დაახლოვებაზედა? გამოძიება რამდენს რასმეს გამოამჟღავნებს? სირცხვილის სიწითლე მოეფინა სახეზედ. ეს ავაზაკი, რაკი ჰნახავს, რომ ხსნა არა აქვს, არავის დაზოგავს და ჩვენის სახლობის ჯავრის ამოსაყრელად საქვეყნოდ უამბობს ყველაფერსა და თავზედ ლაფს დამასხამს. ამ საშინელის ფიქრის გამო სცხვენოდა ქმრისათვის პირში შეეხედნა.

ტიუსსო დამჯდარი კაცი იყო. ძალიან უნდოდა, რომ სიძე გაბმულიყო, რადგანაც ამით თავიდან მოიშორებდა. ძალიან უნდოდა, სიძის ყვედრებას გადარჩენოდა, რადგანაც იმან დაიხსნა კუტრობისაგან და ეხლა სასიამოვნოდაც მიაჩნდა, რომ მიზეზი მიეცა ცუდად ეხსენებინა თავისი სიძე. ერთი რამ კი უმძიმებდა გულს. კაცისმკვლელობა სამარცხვინოდ ჰხდიდა არა მარტო გუდარს, არამედ იმათაც, ვინც ანგარების გამო ქალი მისცეს ავაზაკსა. რას იტყოდნენ სოვდაგრები იმ კაცზე, რომელსაც ერთადერთი ქალი ჰყვანდა და ისიც კი ჩაუგდო ხელში ერთს ვიღაც არამზადას, რომელსაც არც რაიმე თვალსაჩინო ხელობა ჰქონდა და არც ღონისძიება, დაემტკიცებინა, საიდანა

აქვს შეძენილი ქონება. როცა ტიუსსოს ფული უჭირდა, ამ გარემოებას ყურიც არ ათხოვა.

მაშინ ამბობდა ტიუსსო: “კაცს თუ ფული აქვს, პატიოსანი კაცია”. მისთვის ესეც სამყოფი იყო, რომ გუდარს დაჰმეგობრებოდა და სიმედ გაეხადნა. ხოლო ფული, რომელმაც ფეხზედ დაუყენა ქარხანა, სისხლში იყო მოსვრილი, ავკაცობით იყო მოპოვებული. მართალია, გამომძიებელმა უთხრა, რომ დაკარგული ფული ვიპოვნეთო, მაგრამ ის ფული ხომ იმათ უნდა დაუბრუნდეს, ვისთვისაც მოუპარავთ, ესე იგი საცოდავის მსხვერპლის მემკვიდრეებს, და მაშინ ხომ ტიუსსო ხელახლად ჩავარადება სიღარიბეში, ქარხანა დაელუპება. ტიუსსო აშკარად ჰხედავდა, რომ რისაც ეშინოდა, მაინც ის დაემართა და ზედაც შეეკეცა ის გარემოებაც, რომ ძალაუნებურად მფარველად გახდა ნაქურდალისა და ქალიც ისევ შინ დაუბრუნდა კაცისმკვლელის შვილითა. ხედავდა, რომ დაილუპა, ქვეყანაში შეირცხვინა თავი და ვერ გაეხედნა შეეჩვილა ვისთვისმე. მთელის თავის სახლობის წინააღმდეგ, თვითონ მოინდომა ქალის მითხოვება და ეხლა სირცხვილით ცოლისათვის პირზედაც ვერ შეეხედნა. ამ განწირულების ჟამს ტიუსსო ჰფიქრობდა - თავი უნდა მოვიკლაო.

ამ დროს დაარაკუნეს კარი და ოთახში შემოვიდა ვიღაც ადელის უცნობი კაცი. ადელმა ხელი მოჰკიდა სესილს და გადიოდა რა კარებში, სთქვა:

- კლოდ, შენთან ვიღაც არის.

ტიუსსომ მძიმედ ამოიოხრა და აიღო მაღლა თავი. მის წინ იდგა ლუი პალიარი. ტიუსსოს ძალიან მერცხვა, ეს ყმაწვილი კაცი რომ ნახა. მაგრამ ლუი პალიარი მიუახლოვდა, ჩამოართვა ხელი და უთხრა:

- ბატონო ტიუსსო, მე ვერ გაგიბედეთ დამეყენებინეთ, როცა გამობრძანდით გამომძიებლის ოთახიდან, თქვენ მაშინ ძალიან შეწუხებული ბრძანდებოდით. ეხლა კი, უკაცრავოდ, გაიხელით, საჭირო საქმე მაქვს.

- ჩემი საბელი ყელისა თქვენს ხელთ არის, - უპასუხა ტიუსსომ მწუხარის ხმითა, - მაგრამ გეფიცებით, მე აქ არაფრის ბრალი არა მაქვს, მე შემაცდინეს...

- მე მაგაში დარწუნებული ვარ და სწორედ ამიტომაც გაიხელით თქვენთან. მე ყველაფერი შევიტყე და ვიცი. თქვენ ისეთს განწირულებში ხართ, რომ მე წყლულზედ წყლულს არ მოგიმატებთ.

- მაღლობელი ვარ, - უპასუხა ტიუსსომ და მაგრად მოუჭირა ხელი.

- დედაჩემს უსესხებია თქვენთვის სამოცი ათასი ფრანკი და გირაოდ გამოურთმევია ბანკის ბილეთები, რომელიც იმ ავაზაკს თქვენთვის გადმოუცია. ის ბილეთები ნაქურდალია და მაშასადამე თქვენ არ დაგაკუთნებენ. ჩვენ დავხიოთ თქვენი პირობის წერილი, რომელიც დედაჩემისათვის მიგიციათ და დაწვეროთ ახალი თამასუქი მასზედ, რომ თქვენ ისესხეთ ჩემგან ის ფული კანონიერის სარგებლითა და ვადად, რამდენი ხანიც გნებავდეთ, ის დანიშნეთ, თანახმა ხართ?

- ოჰ, ბატონო პალიარ, თქვენ მიხსნით მე ჭირისაგან. თანახმა ხარო? როგორ არა ვარ თანახმა; მაგით სირცხვილისაგან ვიხსნი თავს და ამას იქით ეგ ფული ვალად მემართება თქვენგან და არა იმ ავაზაკისაგან.

ეს რომ უთხრა, ტიუსსომ მხურვალე მადლობით ჩამოართვა ყმაწვილს კაცს ორივე ხელი და მაგრად მოუჭირა. რაც გულზედ სევდა აწვა და ჰქენჯნიდა, ეხლა ანაზდეულად მოეხსნა და განებნივა. ეხლა რაღას ინაღვლის. ეს პატიოსანი კაცია, მისი სიძე კი კაცის მკვლელია. ეხლა სრულებით უარჰყო იგი. ეხლა კი ტიუსსო ბედნიერი კაცი იყო. ეხლა მარტო თვითონ იყო პატრონი თავისის ქარხნისა. მოცილე აღარა ჰყვანდა. პატიოსან კაცისაგანა ჰქონდა ნასესხი სამოცი ათასი ფრანკი მცირე სარგებლით, უგირაოდ, ეხლა ყველას უამბობს, რა ფლიდი, არამზადა და ავაზაკი იყო ამისი სიძე, რომელიც ჰბედავდა და ქალს უცემდა. პირველი მოწამე და მთხრობელი მე ვიქნები სასამართლოში და თუ სასამართლო გაამართლებს, მაშინ ქვეყანაზედ სამართალი აღარ ყოფილაო. თვალწინ მოელანდა კიდევ გილიოტინა. ჩემს სიძეს თავს მოსჭრიან, ჩემი ქალი დაქვრივდება და მერე ძალიან კარგს საქმროს ავუჩენო. ისიც კი უთხრა პალიარს, როცა შვეიცყე გუდარის დაჭერა, მაშინვე ფიქრად მომივიდა, სასამართლოში წარმედგინა ბანკის ბილეთები და ამიტომაც დედათქვევთან წავედიო.

ამავე დროს და ამავე ბანკის ბილეთების თაობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი პოლიციაში ჩუმად-მაძიებელთა უფროსს და ბოიეს, რომელიც უწინ ჩუმად-მაძიებელი იყო.

- ეგ რა დაგმართვიათ, ბოიევ! - უთხრა გაოცებით მისმა უწინდელმა უფროსმა, ნახა რა ბოიე ტუსადის ტანისამოსითა, - თქვენ, ეგრე დიდად ქებული პატივცემულთა ღვთისმომშიშ გვამთაგან, და ამ ყოფაში გხედავთ! თვითონ თქვენც ისეთი ღვთისმომშიში კაცი იყავით. მე არა მჯეროდა, რომ თქვენ მართლა დაგიჭირეს; მეგონა, აქ შეცდომია რამე-მეთქი. მე თქვენი საქმე მიკვირს და მეოცება, თქვენ თვითონ იძიებდით საქმეს თქვენ თვითონ იცოდით, რომ ბანკის ბილეთებია დაკარგული და მერე ის ბილეთები თქვენს ხელშივე ჩნდება. გაგიჟდით, თუ რა მოგივიდათ? ხომ იცოდით, რომ მაგ ბილეთებზედ ყადაღა იყო დადებული?

- მე გთხოვთ ყველაზედ უწინარეს ეგ გარემოება მიიღოთ ჩემის სიმართლის საბუთად, - უპასუხა ბოიემ მშვიდობიანად, - მართლა გიჟი უნდა ვყოფილიყავ, ან სულელი, რომ ეგ ბილეთები მომეპარა, მაშინ როდესაც ვიცოდი, რომ ყადაღაა დადებული. მე მარტო გავრში შვეიცყე პოლიციის კამისარისაგან, რომ ეგ ბილეთები ნაქურდალია, მოუპარავთ მაშინ, როცა ქალი მოუკლავთ ლაკუეს ქუჩაში.

- როცა დაუჭერხართ, მაშინ გითქვამთ, რომ ეგ ბილეთები მოუცია თქვენთვის სამკვიდროდ გარდაცვალებულს დედათქვენს სამსახურიდამ გასვლის წინა დღეებში. მართალია?

- სწორედ. ეხლაც ვამტკიცებ მაგას და გთხოვთ ნება მომცეთ, დაწვრილებით მოგახსენოთ მაგის ამბავი. თქვენ მე კარგა ხანია მიცნობთ და არა მგონია ბოროტის-მოქმედად მიცნობდეთ.

- თქვენ ისეთი ღვთისმომშიში კაცი ხართ, რომ არ შემძლიან თქვენზედ ცუდი რამ ფიქრად გავიტარო. - მე დეიდა მყვანდა, რომელიც ჩემთვის დედის მაგიერი იყო. როცა დედა მომიკვდა, იმან მიმაბარა მე წმინდა მამათა

სასწავლებელში. ჩემმა სინდიისიანმა ცხოვრებამ, ყოველთვის სამაგალითომ, და ზნეობითმა ყოფაქცევამ შეაყვარა ჩემი თავი დეიდაჩემს, ასე რომ მე უფრო ვუყვარდი, ვიდრე თავისი ღვიძლი შვილი, ერთი საძაგელი რამ, ქურდბაცაცა, რომელმაც ჩამწარა სიცოცხლის დღენი საცოდავს დედაკაცსა. უკანასკნელს სულის დაღევამდე მე გვერდთ ვყვანდი. დეიდაჩემს ერქვა მარიანა პალიარ და იდგა წმ. პავლეს ქუჩაში № 40. რაკი ვნახე რომ უკანასკნელ დღეშია, შვილს დეპეშით ვაცნობე. დროზედ, რასაკვირველია, არ მოვიდა. მერე მოვიდა, ისიც მარტო იმისთვის, რომ დედის ქონებას დაჰპატრონებოდა. აი რა კაცი იყო ჩემი დეიდაშვილი, ლუი პალიარი. თუნდა შვილი ერთი საძაგელი რამ იყოს, სალახანა, გარყვნილი, არამზადა, ქურდი, ურჯულო, მაინც დედას კანონი ნებას არ აძლევს, რომ შვილი გამოაკლოს მემკვიდრეობას და თვისი ქონება სხვას უფრო ღირსეულს ნათესავს დაუგდოს. ამასთანაც ჩემმა პატივცემულმა დეიდამ ძლივს იცოდა წერა-კითხვა. ანდერძი არ დაეწერა და, როცა აღსასრული მოუახლოვდა, მე მიბძანა აკანკალებულის ხმით - ვაი შენს დამკარგავსა, საცოდავო მოხუცო - (აქ ბოიემ ცრემლი მოიწმინდა ხელსახოცით): “შვილო ჩემო, მე არ მინდა რომ უმადურმა, უღირსმა შვილმა ჩემმა წაგართვას ის, რის მოცემაც მე მსურს შენთვის. კანონი ნებას არ მაძლევს ეს ფული შენ გიანდერძო და აჰა, ჩემის ხელით მომიცია შენთვის და ვერავინ ვეღარ გამოგართმევს”. ჯერ მე დიდს უარზედ დავუდგე, მაგრამ ბევრი მემუდარა და ბოლოს თანახმა გავუხდი და მაშინვე აღთქმა დავდე, რომ ნაწილს მოვახმარებ-მეთქი ღვთის სასურველს საქმეზედა. რაკი თანახმა გავუხდი, მოხუცებულმა მიბძანა, ყუთი გააღე და ამოიღეო დაბეჭდილი კონვერტი. კონვერტი ამოვიღე. წითელის ლაქით იყო დაბეჭდილი და ბეჭედზედ ორი ასო იჯდა: კ. დ. შიგ ეწყო ბანკის ბილეთები. რომ მივართვი, მიბძანა: აჰა, შენთვის მიჩუქებია დაანებე თავი სამსახურს და შენი ცხოვრება ღვთის სამსახურს შესწირეო. მერე გამგზავნა, მღვდელი მომიყვანეო. მე მინდოდა იმისი საკუთარი მოძღვარი მომიყვანა, მაგრამ თვითონ არ ინება და მე წავედი და ვინც პირველი შემხვდა, ის მოვუყვანე. ერთს წმინდა კაცს შევხვდი, აბატს დიუტილიელს, რომელსაც იმ ცოტას ხანში გაემართა სათნოების სახლი უპატრონო ყმაწვილების ბინის ასაჩენად და მოსავლელად. თქვენ, რასაკვირველია, შეტყობილი გექნებათ ამბავი ამ მართლად ღვთის სასიამოვნო საქმისა, რომლისათვისაც მე მინდოდა შემეწირა უფრო ბევრი წილი დეიდისაგან ნაჩუქარ ფულებისა. ღირსეულმა მამამ დიუტილიელმა გაანდო დეიდაჩემი და დეიდაჩემს თვითონ ეთქვა, რომ ის ფულები მე მაჩუქა, თვითონ მოძღვარმა მითხრა მე ეს ამბავი რამდენსამე დღის შემდეგ, ესე იგი მაშინ, როცა მე მივედი იმასთან, რომ დეიდისაგან ნაბოძებ ფულიდამ ნაწილი რამ შემეწირა იმ ღვთის საამურ საქმისთვის. ის ღირსეული კაცი, რომლის სიტყვას არ შეიძლება ადამიანი არ ენდოს, დაამტკიცებს ჩემს ნათქვამსა და ამ მძიმე საქმისათვის დაარღვევს აღსარების საიდუმლოებასა, თუმცა კი ნაჩუქარ ფულების ამბავი დეიდაჩემს ეთქვა აღსარების დროს კი არა, იმის წინად ლაპარაკში.

- აბბატი ყოველს მაგას გიმოწმებთ?

- უეჭველად. მე ამასაც დავუმატებ და ვიმოწმებ გავრის პოლიციის კამისარს, რომ რა წამსაც შევიტყე, ის ფულები ნაქურდალია, მაშინვე სულ დავუბრუნე ხუთის ბილეთის გარდა, რომელნიც შევწირე სათნოების სახლს, უპატრონო ყმაწვილთათვის გამართულსა. მე მდიდარი მეგონა ჩემი თავი და ეხლა, როგორცა სჩანს, მოვსტყუვდი. მე არ ვნანობ, მე ისევ უწინდელებრ შრომით მოვიპოვებ ჩემს ლუკმა პურსა. ნება მომეცით გთხოვოთ, ვითარცა ჩემს უწინდელს უფროსსა, გამოიკითხოთ ეს ამბავი აბატ დიუტილიელისაგან და ხელახლად მიმიღოთ სამსახურში.

ყოველივე ეს ასეთის გულწრფელობით იყო ნათქვამი, რომ კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა იმის სიტყვების სიმართლეზედ. უფროსი ჩუმად-მაძიებელის პოლიციისა დარწმუნებული იყო, რომ ბოიე უდანაშაულოა.

- მოხუცებულმა ქვრივმა პალიარმა იცოდა თუ არა საიდამ იყო ეგ ფულები? - მაინც ჰკითხა მან მეტის სიფხიზლისა გამო.

- არა; დეიდაჩემი ალებ-მიცემობდა, ასესხებდა ხოლმე ფულებს, ყიდულობდა ბილეთებსა და სხვ. უსათუოდ, არა სცოდნია და ისე უყიდნია ის ბილეთები იმ ავაზაკისაგან, რომელსაც მოუპარავს.

- ყველგან შეიძლებოდა იმათი დახურდავება?

- ყოველგან. ეს საქმე ასე იქნებოდა: უსათუოდ მაგ ბილეთებს გირაოდ მიიღებდა, და რადგანაც პატრონს არ გამოუხსნია, საკუთრებად დაჰრჩენია. აბა ქურდი, რასაკვირველია, გამოსახსნელად არ მოვიდოდა.

- მართალია, ბოიე. პარიზიდან ნურსად ნუ წახვალთ, უწინდელს სახლშივე დადექით და ყოველდღე აქ გვეჩვენეთ ხოლმე. ამ პირობით განთავისუფლებთ.

- თუ მიბძანებთ, აბატს დიუტილიელს მოგიყვანთ.

- საჭირო არ არის. მე თქვენც გიჯერებთ.

ბოიეს გულიდამ ლოდი აეხსნა, როცა პოლიციისდამ გამოვიდა თავისუფალი. პირდაპირ გასწია ადას ქუჩისაკენ და გაჩერდა ერთ პატარა სახლის წინ, რომელიც მღვდლის სადგურსა ჰგვანდა. მარმარილოს ქვაზედ ალაყაფის კარის თავში ეწერა: “სათნო სახლი უპატრონო ყრმათა მოსავლელად”. დაურაკუნა კარი, კარი გაუღეს და ბოიე შევიდა. დახვდა წინ ერთი ჩასუქებული ჭაბუკი, თურაშაულ ვაშლივით წითური, გძელის თმითა და გძელის ანაფორას მსგავსის სერთუკითა და ჰკითხა:

- რა გნებავთ?

- აბატ დიუტილიელი მინდა.

- მობრძანდით.

ჭაბუკმა აიყვანა ბოიე მეორე სართულში. ერთს კარებზედ ეწერა: “საზოგადო კრება”, მეორეზედ: “დირექტორის კაბინეთი”. ამ უკანასკნელ ოთახში შევიდნენ ჭაბუკი და ბოიე, ამათ დახვდათ ოთახში ერთი ორმოცის წლის კაცი კარგად ჩასუქებულ სახით, მკვირცხლის და ცბიერის თვალებითა, დახუჭუჭებულ თმითა; ბოიე რომ იცნა, სასიამოვნოდ გაუღიმა, ჩამოართვა ხელი და მაგრა მოუჭირა.

- თქვენა ბძანდებით, შვილო ჩემო? - უთხრა აბბატმა, - მობრძანდით, მე

თქვენთან სალაპარაკო მაქვს, თქვენ კი, გუსტავ, შეგიძლიანთ წახვიდეთ.

ჭაბუკი რომ გავიდა, აბატმა განაგრძო:

- საყვარელო შვილო, თქვენი წიგნი მარტო დღეს მივიღე. ძალიან დამაფიქრა, მაგრამ მივხვდი, რაც გინდოდათ და სწორედ ისეც მოვიქცევოდი, როგორც ვთხოვლობდით. ჩვენ ერთმანეთს უნდა პირი მივცეთ და სარჩლი გავუწიოთ. მე მხოლოდ იმან გამაკვირვა, რომ თქვენი წიგნი პროვინციიდან იყო და ფოსტით კი არ მომივიდა.

- მე დაჭერილი ვიყავ და ძალიანაც მიფრთხილდებოდნენ. ჩემი ამბავი ხომ იცით, ათასნაირი ოსტატობა შემეძლიან. ციხეში რომ ვიყავ, დრო ვიხელთე, წიგნი მოგწერეთ და ჯიბეში შევიანახე. მერე, როცა რკინიგზით წამომიყვანეს, მეორე კლასის ვაგონში ჩამსვეს. იქ თვალი მოვკარ ერთს ქურდს, რომელიც ერთს დროს მე დაჭერილი მყვანდა; იმანაც მიცნო და რა მნახა, ორ ჟანდარმშუა ვზივარ, გაიფიქრა, ჩემის ჯურის კაციაო. თვალი ვუყავ და წიგნი დავდე სკამზე და ერთი ოქროვ ზედ დავადე ისე უჩუმრად, რომ ჟანდარმებმა ვერ გამიგეს, იმან მარდად სტაცა ხელი წიგნსა და საქმე დამში იყო.

- როდის მოხვედით?

- წუხელ ღამით.

- მე კი წიგნი დღეს დილაზედ მივიღე. აბა ეხლა თქვენს საქმეს შევუდგეთ.

აბბატი დიუტილიელი ვერ იყო კარგად არქიეპისკოპოსთან. რამდენჯერმე ანაფორის ტარების ნება ჩამოართვეს, მაგრამ ის კი მაინც იცვამდა სხვის დაუკითხავად. ორჯერ თუ სამჯერ რაღაც სასულიერო საზოგადოება შეადგინა და სამართალმა გაუუქმა. მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავდა. ახალი საზოგადოება, რომელიც ხელახლად შეედგინა, რაღაც უცნაური რამ იყო. შეკრებდა ხოლმე ყოველ საღამოს უპატრონო ყმაწვილებსა და უქადაგებდა ზნეობასა და კარგ ყოფაქცევასა და ამ სახით მართალთა გზაზედ აყენებდა უპატრონო და გარყვნილ ყმაწვალებსა. ბევრი შემწე ამოუჩნდა ამ საზოგადოებას დიდკაცთაგანაც, რომელნიც ხანდისხან კადრულობდნენ და ამ კრებებზედ დაიარებოდნენ. ამ ღვთის საამურ საქმეზედ ბოიემ შესწირა დეიდისაგან ნაჩუქების ფულიდამ ნაწილი, როგორც თვითონ ამბობდა. ეს საზოგადოება დიდს გამორჩომას მოასწავებდა, წევრნი დიდს ფულს სწირავდნენ. აქამდის შინიდან მოარულნი ყმაწვილები იყვნენ, ეხლა კი ფიქრობდნენ, რომ ბინაც და საჭმელ-სასმელიც აეჩინათ. რაცა ვსთქვით, იქიდან მკითხველი მიხვდება, რა წითელი კოჭიც ბძანდებოდა აბატი, რომელიც ჩვენ წარვუდგინეთ. მაგრამ უფრო უკედ გაიცნობდით, რომ შესაძლო იყოს ჩამოგითვალთ, რამდენჯერ ყოფილა სამართავს ქვეშ და რამდენს და რაგვარს დანაშაულობაში ყოფილა შეწამებული ეს ღვთის მოშიში დირექტორი სათნო სახლისა.

- მოვილაპარაკოთ, - უთხრა აბბატმა.

- ხომ გესმით, - უთხრა ბოიემ, - როცა დეიდაჩემი მარიანა უკანასკნელ დღეში ჩავარდა, მე მოვგვარე მახლობელ ეკკლესიის მღვდელი, რადგანაც არ მინდოდა მომეყვანა იმის საკუთარი მოძღვარი.

- მე რატომ არ შემატყობინეთ?

ბოიემ ისე დაიგრიხა პირისახე, რომ ცხადად გამოხატა: “მე შენ, ჩემო საყვარელო, ვერ გენდობოდით”.

- საქმე საშური იყო, - განაგრძო ბოიემ, - და თუნდა ეგეც არ ყოფილიყო, განა სულ ერთი არ არის, ვისთვისაც უნდა ეთქვა აღსარება? მღვდელი მივიყვანე, წაუკითხა შესანდობარი ლოცვები და წავიდა. მას აქეთია თვალით აღარ მინახავს. როცა მკითხეს, ეს ამბავი დავმალე და ვუთხარი, რომ ვითომ თქვენა მყვანდით დეიდაჩემის მოძღვრად.

- ძალიან კარგი.

ბოიემ უამბო ყველაფერი, რაც ელაპარაკა პოლიციაში შესახეს მოხუცებულის პალიარისა და დაარიგა ამა და ამ სახით უნდა მიმოწმოო.

- კარგი, მაგას ყველაფერს დავიხსომებ, - უპასუხა აბბატმა, - მაგრამ ერთი ეს მითხარით: ეგ როგორ მოხდა, რომ დაჭერილი არა ხართ?

ბოიემ უამბო და აბატმა, რაკი პასუხი მიიღო, განაგრძო:

- მაშ ესე უნდა ვიცოდეთ, რომ ფული, თქვენგან აქ შემოტანილი, ეკუთვნის ჩვენს წმინდა საქმეს. თუმცა მოუტყუებინართ, მაგრამ თქვენ რა იცოდით, ეგ ფული საიდან არის, აიღეთ და გულწრფელად შემოგვწირეთ ჩვენ. ჩვენ ვუპატრონებთ მაგ ფულებს.

- ეგ თქვენ იცით.

- ნუ გეშინიათ. მე მაგ ფულებს ვერავინ გამომართმევს და თქვენ ჩვენთან ერთად დიდს მოგებას მიიღებთ.

- მე თქვენი იმედი მაქვს.

- სხვა დანარჩენი კი უნდა დაგებრუნებინათ. ახლა როგორ გგონიათ, მე გამომძიებელთან დამიბარებენ თუ არა?

- უფროსმა მგონი გული დააჯგრა ჩემის სიტყვების სიმართლეზედ. მაგრამ ვინ იცის, იქნება საქმისათვის საჭიროდ დაინახონ თქვენი ჩვენებაცა.

- ნუ გეშინიათ, თქვენი საქმე ჩემზედ მოაგდეთ.

- ჩემი ბარათი თქვენა გაქვს?

- აი, - უთხრა აბბატმა და ამოიღო ჯიბიდან ბარათი.

- ისევ მე მომეცით.

- სიამოვნებით. მითამ რის შიში გაქვთ? - ჰკითხა აბბატმა, როცა ჰნახა, რომ ბოიემ მოუკიდა სანთელს და ბარათი ფერფლად აქცია.

- დღეს ესეა, ხვალ რა მოხდება, არ ვიცით. პოლიცია სახლებსა ჩხრეკს და არ ვარგა, რომ ამისთანა ხელჩასაკიდებელი ბარათები ხელში ჩაუვარდეს ვისმე.

- მართალი ხართ, შვილო ჩემო, მეც გავფრთხილდები, რაკი მაგრეა, - უპასუხა აბბატმა, რომელიც, ეტყობოდა, ჩვეული იყო, რომ ამისთანა სათნოების სახლშიაც მოურიდებლად შემოვა პოლიცია მოსაჩხრეკად.

ბატონო აბბატო, - ჰსთქვა ბოიემ და წამოდგა ფეხზედ, - რამდენსამე დღეს ვერ გეჩვენებით. ვინ იცის, იქნება თვალი გვადევნონ. მე ამასაცა გთხოვთ, რომ უბძანოთ, თუ ვინიცობაა იკითხონ, ყველამ აქაურმა სთქვას, რომ მე და თქვენ ერთმანეთი არ გვინახავს დეიდაჩემის სიკვდილის დღის აქეთ.

- კეთილი.
- თუ ახალი რამ მოხდეს, მაცნობეთ.
- მოსვენებული იყავით, შვილო ჩემო, - სთქვა აბბატმა და გააცილა კარებამდის.

ბოიე შინ დაბრუნდა მოსვენებული და გახარებული. ხოლო მეკარის სიტყვებმა გააოცეს.

- მე ვიცოდი, რომ დღეს შინ დაბრუნდებით, - უთხრა მეკარემ.
- საიღამ იცოდით?
- კამისიონერმა დღეს ბარათი მოიტანა აქ თქვენს სახელზედა.
- კამისიონერმაო! ეს რას ნიშნავს?

გახსნა ბარათი და წაიკითხა:

“მოწყალეო ხელმწიფე, ერთს სულიერს ძალიან უჭირს თქვენი დახმარება და დღესვე საღამოს სურს თქვენი ნახვა. ექვს საათზედ მობძანდით თანხმობის მოედანზედ, ლილის ლუსკუმასთან. თუ დღეს არ შეგიძლიანთ, სხვა დრო დანიშნეთ, მოიწერეთ და ბარათზედ ასე დააწერეთ: “მინამ მოითხოვდნენ”. - კ. ტ.

- ვა! იგივე ასოებია, რაც ბანკის ბილეთების კონვერტის ბეჭედზედ იჯდა. უსათუოდ წავალ.

IV

ფასი იზას სიყვარულისა

დიდხანს გაგძელდა ლეა მედანის საქმის გამოძიება და არაფერი ხელჩასაკიდებელი საბუთი არ გამოჩნდა. მაგრამ, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, ერთმა სულ უბრალო გარემოებამ ძვირფასი გეში აღმოაჩინა და საქმე ჯეროვანს კვალში ჩააყენა. გუდარის გამოკითხვამ და მოწმეების პირში წაყენებამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ დამნაშავე გუდარია.

გუდარი ჰხედავდა, რომ თავის დაძვრენა ეხლა ძნელია და მაინც გული არ გაიტეხა და ყოველს კითხვაზედ გამომძიებელს მშვიდობიანის გულით და არხეინად აძლევდა პასუხს, ვითომდა აქ არაფერიაო. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ერთი იმედი ძალიან ამხნევებდა: დარწმუნებული იყო, რომ ბევრი ფარული შემწე ჰყავს და ყოველს ღონისძიებას იხმარებენ, როგორმე გამოიხსნან. იზა ეცდება მომიპოვოს ისეთი ძლიერი ქომაგები, რომელთა წინაშეც თვით სამართალი ქედს მოიდრეკსო, - ჰფიქრობდა იგი. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, ისეთი საფუძვლიანი საბუთიც არა იყო რა, რომ გაემტყუნებინათ. ერთი იმ ბანკის ბილეთების ამბავი აღონებდა და საქმეს ურევდა. გუდარი ამტკიცებდა, ჩემი საკუთარი ბილეთები იყოვო; ლეას იმათი ნომრები ჩაწერილი ჰქონდა იმიტომ ვითომ, რომ უფრო კარგად ჰყიდდა ხოლმე ბირჟაზედ, რადგანაც ბევრი ნაცნობი და ხელშემწყობი ჰყვანდაო. ლეა მედანი ჩემთვის ჰყიდდა და ყიდულობდა ბილეთებს ბირჟაზედ და ამ სახით

დიდს მოგებას მამლევდაო. ამ საგანზედ კითხულმა ბირჟის მაკლერმა უმოწმა, რომ ლეა, ჩემის შუამავლობით, ჰყიდდა და ყიდულობდა ბანკის ბილეთებსაო; ეგ ნაქურდალი ბილეთებიც ჩემის შემწეობით იყიდაო. მაკლერმა აჩვენა კიდეც, რომ ლეა მედანი აღებ-მიცემობა თავისის სახელითა და თავის დღეში არ გაუხსენებია, თუ სხვისთვის ან სხვისის ფულით აღებ-მიცემობდაო. გუდარი კი თავისას ამბობდა და მაგარზედ იდგა.

ვერშემონი სრულად დარწმუნებული იყო, რომ გუდარია დამნაშავე, როცა იზას ბარათი მოუვიდა. ახალგაზრდა გამომძიებელმა აღარ დაიგვიანა, ადგა და წავიდა იზასთან. რა თქმა უნდა, რომ იზა უწინდელზედ უფრო მშვენიერი ეჩვენა, მაგრამ იმ გუნებაზედ კი აღარ დახვდა, როგორც უწინ. აღტაცებით, მხურვალედ დაუწყო სიყვარულზედ ლაპარაკი. იზამ ჯერ გულკეთილად მოუსმინა, მერე კი კილო იცვალა და სთხოვა, სხვა საგანი ამოერჩია სალაპარაკოდ. მოჭრით უთხრა, რომ თქვენ რადგანაც გამომძიებელი ხართ, ვალად გაწევთ თქვენს ტრფიალს ქალს აცნობოთ ყოველივე გარემოება მაგისთანა იშვიათის და საიდუმლო საქმისა, როგორც ლეა მედანის საქმეაო. მართალია, ზოგიერთი რამ გაიმბიათ ჩემთვისა, მაგრამ რაც უფრო ღირსსაცნობია, იმას კი მიმაღავთო. წარამარა ლაპარაკი მაგ საქმეზედ მომწყინდა, მე მინდა ყველაფერი შევიტყო, მთლად ყველაფერიო.

ამას რომ ეუბნებოდა, ტრფიალებით და არშიყობით გადუტრიალა თვალი და იმით გაუთავა სიტყვა, რომ თუ კაცს უნდა სიყვარული დაუმტკიცოს ქალსა, ყველაფერი უნდა უამბოს, რასაც კი ქალის ცნობისმოყვარეობა მოითხოვსო. ჭემმარიტის სიყვარულის საბუთი ამაზედ უკეთესი სხვა მნელად იქნებაო. იზამ რა ჰნახა, რომ ვერშემონის სახეზედ გაოცება გამოიხატა, ბავშვურის სიწრფოებით დაუმატა, რომ საშინლად მიყვარს მაგგვარი გამოჩენილი სასისხლო სამართლის საქმეებიო. ღამღამობით ზედ დავაკვდები ხოლმე წიგნებს, საცა მაგისთანა ამბები წერია და მღელვარება, რომელსაც კითხვის შემდეგ ვგრძნობილობ, დიდს სიამოვნებას მამლევს: მაშინ მგონია თითქო თვალწინ ვხედავ მთელს მელოდრამასაო.

რაკი შეამჩნია, რომ ამ სიტყვებმა იმოქმედეს გამომძიებელზედ, პირდაპირ მიიტანა იერიში.

- მე საშინელი რამა გგონივართ განა? - უთხრა იზამ ათრთოლებულის ხმით, - მართალია, ყოველივე ეგ ქალური აზრი და წადილი არ არის, მაგრამ რა ვქნა, რომ ღმერთს სხვათა მსგავსად არ გაუჩენივარ.

- თქვენ გული არავისზედ მიგიწევთ, ქმარი არა გყავთ, შვილი არა გყავთ, არა გყავთ სახლეულობა და, რასაკვირველია, რომ მარტო ადამიანის ბიწიერებისათვის მიგეჩვიოთ ყური, - უთხრა ვერშემონმა და მაგრად მოუჭირა ხელი.

- გული რომ ვიზედმე მიმიწევდეს, მერე რაღას იტყვით?

- ნუთუ? - დაიძახა ვერშემონმა და გულნატკენობი, შეხედა იზას.

- მაშ?! მე ძმა მყავს და ერთს დროს მპატრონობდა... მე კი გულიდამ გადავივიწყე: იქნება უქონლობის გამო შიმშილითაც მოკვდა სადმე, - სთქვა იზამ კვნესით და თვალში ცრემლით, - ეჰ, ამას თავი დავანებოთ, სხვაზედ

რასმეზედ ვილაპარაკო.

- საცოდავი! არა, კიდევ იმაზე სჯობია ლაპარაკი. მე მოგინახავთ ძმას. როგორა გგონიათ, პარიზშია?

- არა, არა, სხვა დროს მოვილაპარაკოთ ჩემს ძმამ... როცა უფრო კარგად გავიცნობთ ერთმანეთს... როცა თქვენს საშინელს საქმეს ბოლო მოეღება... მაშ არაფერს შემატებინებთ?

- მე ყველაფერი გაიმბეთ, რის თქმაც შეიძლებოდა.

- მაშ არ გინდათ, რომ ჩემი რჩევა მოისმინოთ? იქნება რაიმე გამოგადგეთ.

- რა ბაშვი ხართ

- ახლა მორჩებით როდისმე მაგ საქმეს თუ არა? ერთი განთავისუფლდით, რომ ხშირად ვნახოთ ხოლმე ერთმანეთი. მალე გაათავებთ?

- ამ ერთს კვირაზედ.

- ძლივს!..

- მაშ მართლა ძალიან გასურთ ჩემი ხშირად ნახვა იზავ, განა არ იცით, რომ თქვენი ხილვა ჩემთვის უტკბოესი ნეტარებაა... ჩემი წყურვილია მოუშორებლივ თქვენთან ყოფნა... ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ მე გიყვარდეთ.

- იქნება შეგიყვართ კიდევ, ვინ იცის მე საყვარლისაგან იმას ვითხოვ, რომ მთლად მე დამეკუთვნოს. თუ მე გიყვარვართ, ჩემი ნება, ჩემი სურვილი თქვენი კანონი უნდა იყოს. კაცი, რომელსაც მე შევიყვარებ, მე უნდა ხმამოუღებლივ მემორჩილებოდეს. კაცმა, რომელსაც მე ვუყვარვარ, თავისი სიყვარული უნდა დამიმტკიცოს რაიმე თავგაწირვითა, წინდაუხედავად, გიჟურად უნდა ჩემთვის თავი გამოიმეტოს. ჩემს სიყვარულს უნდა ანაცვალოს ყოველი ანგარიში გონიერებისა, გვარი, სახელი, ქონება-ყოველისფერი, ყოველისფერი. ერთის სიტყვით, რაც კი რამ არის ქვეყანაზედ, ფეხი უნდა დაუგოს... მაშინ მეც ვიგრძნობ იმ სიყვარულს და აღარასფერი არ დამაყენებს: მთლად მივეცემი, მონად გავუხდები.

ეს მხურვალე სიტყვები მოისმინა ვერშემონმა და ისეთი ღიმილი მოუვიდა, თითქო მას ელაპარაკებოდა ბაშვი და არა მოწიფული ქალი.

- იზავ, სიყვარული იგრძნობება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადამიანი მთლად მიეცემა ხოლმე.

- ეგ მეც ვიცი.

- სიყვარულს ეჭვიც მოსდევს...

- ოო, მე ძალიან ეჭვიანი ვარ... და არა მწყინს, რომ სხვაც ჩემზედ ეჭვიანობდეს... ჩემის ქვრივობის დღენი რომ გადააქოთონ, ჩირქს ვერ მიპოვიან; ჩემს ცხოვრებაში ვერ ჰნახვენ ვერც ერთს მიზეზს ეჭვისათვის; მე სინიდისი ვერაფერში გამამტყუნებს.

ვერშემონი ჩააცქერდა მის საუცხოვო თვალებს, თითქო უნდა ამოიკითხოს რამეო. როგორღაც გულს არა სჯეროდა ის, რაც ყურს ესმოდა.

- თქვენი ყოფა-ცხოვრება ჰბადავს ბევრს ჭორსა, - უთხრა მან, - თქვენი ყოფაქცევა მეტად თავისუფალია.

- განა მე ნება არა მაქვს, როგორც მინდა, ისე მოვიქცე? როცა აქ მომიყვანა

ბიძაჩემმა, მე სეგლენი შევირთე. ყველას შემურდა ეს ამბავი. ჩემი ქმარი, მართალი უნდა თქვას კაცმა, წინდაუხედავად იქცეოდა, არა ყოფილა იმისთანა საშიშარი საქმე ფულის მოგებისა, რომ ის არ გარეულიყო. ჩვენი სახლი დიდკაცურად იყო დაყენებული; მე, პატარაობითვე დაჩვეული ხელმოკლედ ცხოვრებასა, იმის სახლში რომ შევედი და ვნახე იმისთანა აუარებელი სიმდიდრე, რასაკვირველია, მეოცა და მეუცხოვა. ჩემს ქმარს ვუყვარდი და პატივსაცა მცემდა. სრულს თავისუფლებას მამლევდა, თუმცა ჯერ ბაშივი ვიყავ. არც მე გამოვსულვარ იმასთან პირშავად. მომენდო და იმის ნდობის ღირსება არ შემიგინებია. უნდა გენახათ, რარიგად თავს მევლებოდნენ კაცები... რეებს არ მეუბნებოდნენ... მეც გამიტაცა ახალმა ცხოვრებამ იქამდე, რომ თავი აღარ მაგონდებოდა, უგუნურად ვფანტე ფულები. შევეჩვიე მდიდარს ყოფა-ცხოვრებას და ეხლა ძალიანაც მინდა, მაგრამ ვეღარ გადავჩვეულვარ. ეხლა მე ვხარჯავ ჩემს უკანასკნელს ფულსა.

- ეგ ხომ უგუნურებაა?

- რა ვუყოთ ან ხელახლა შევიძენ ქონებას, ან არა და თავს მოვიკლავ, როცა აღარა მექნება რა.

- მანდამდე საქმეს ვინ მიგაყვანინებთ.

- სწორედ გითხრათ, ხანდისხან თმა ამიდგება ხოლმე შიშით, როცა თვალწინ წამომიდგება ის უფსკრული, რომლისაკენაც მე მივიზიდები, მაგრამ რა ვქნა, თავი ვეღარ შემიმაგრებია, ვერ შევმდგარვარ. მე თქვენ მეუბნებით ამას, ოსკარ, იმიტომ, რომ მე გიყვარვართ და მაგ სიყვარულმა თქვენ ბოლო უნდა მოგიღოთ. მე ვიყავი მიზეზი ჩემის ქმრის გაკუტრებისა და ეხლაც მინდა, რომ არაფერმა არ დააბრკოლოს ჩემი წადილები... მე ქაჯი ვარ, მე ვლუპავ ყოველს მას, რასაც ვუყვარვარ.

- თქვენ საუცხოვო რამა ხართ: გულწრფელი, გულუბრყვილი. თქვენ ღმერთს გაუჩენიხართ ადამიანთა საბედნიეროდ.

- კიდევ გეტყვით, მე მზითვად მომაქვს ხოლმე წაწყმედა კაცისა და დაღუპვა.

- მე დიდად ბედნიერი ვიქნები, რომ თქვენის გულისათვის წავწყმდე და დავიღუპო.

- მომისმინეთ, ოსკარ, მე თქვენ მომწონხართ როგორღაც, - ლამის შეგიყვართ. თქვენ გაცილებით სჯობიხარ, იმ წარამარა ხალხს, რომელნიც მე გარს მეხვევიან. მე საცა მივალ, უბედურება მიმაქვს. მე ძმაზდ ხელი ავიღე და, ვინ იცის, სად დაიღუპა; მე ჩემი ქმარი დავღუპე, ყველაფერი გავუფლანგე... გეუბნებით, ვისთანაც მივალ, უბედურება მიმაქვს-მეთქი... თქვენ კი გულის კაცი ხართ, ყმაწვილი კაციც, თქვენ მოგელით ბედრიერი და ბრწყინვალე მომავალი. მინამ დრო გაქეთ, მომერიდეთ, მე გულიდამ ამომიღეთ. თუ მე შეგიყვარეთ, იცოდეთ, დაგლუპავთ კიდევც. დამივიწყეთ-მეთქი, თორემ ვგრძნობ, რომ შემიყვარდებით.

- თქვენ ამბობთ, რომ უბედურება მეწევა, თუ შეგიყვარდებით. პირიქით, იზავ, მაგ იმედით ვცოცხალვარ: ჩემი არსებითი ნატვრა ეგ არის. თქვენ არ იცით, რა განუზომელის სიხარულით ადავსეთ ჩემი გული, როცა მიაშბეთ,

რომ თქვენ ესეთს ბრწყინვალეს, ესეთს მშვენიერს გიცხოვრიათ ქვეყანაზედ და იმისი ტალახი კი არ მოგცხებიან; გარემოხვეული ათასნაირის მაცდურებით, არ დაცემულხართ და დაშთომილ ხართ ისევ ისე გულუბრყვილო, წრფელი, წმინდა, როგორც ყოფილხართ მაშინ, როცა თქვენს მშვიდობიანს და ღარიბს სახლში გიცხოვრიათ! ახ, ნეტავი ჰგრძნობდეთ, რა ცეცხლი მწვავდა, რა ეჭვები მიხოკდნენ უწინ გულს და რა ნეტარებით ამეცსო ეხლა გული თქვენის აღსარების შემდეგ.

- ეჰ, უპასუხა იზამ განგებ გაჯავრებულმა, მითამ ნანობსო, - მე არავინ არა მყვარებია თავის დღეში.

ოსკარს ორივე ხელი იზასი ხელში ეჭირა; გვერდთ უჯდა დივანზედა; მერე ტანზე ხელი მოჰხვია და მოიზიდა თავისკენ. თვალები აენთო.

- იზავ, - უთხრა მან თრთოლითა, - მე ლამის ჭკუიდან შევცდე, მე მიყვარხართ თქვენ სრულის ტრფიალებითა და დარწმუნებული ვარ, რომ თუ ნატვრა ჩემი გამიმტყუნდება, თავს მოვიკლავ... იზავ, ნუ მომატყუებთ, მართალი მითხარით. მე ისე ძალიან მიყვარხართ, რომ ყველაფერს ავიტან თქვენგან, ოღონდ კი მართალი მითხარით... თქვენს ქვრივობაში მართლა არა ყოფილა არც ერთი კაცი, რომ თავი მოეწონებინა თქვენის სიყვარულითა?

გეფიცებით ჩემს მამა-პაპას, არ ყოფილა, - უპასუხა იზამ ისეთის სიმართლის კილოთი, რომ ყველა ეჭვი განუქარვა.

- იზავ, მე თქვენ მიყვარხართ და მზადა ვარ ყველაფერში ჩემი თავი განაცვალოთ, - დაიძახა ოსკარმა და მაგრად მიიკრა გულზედ ქალი, - თუ ჩემი სამსახური მცირედ მაინც ავნებს თქვენს ბედნიერებასა, მაშინვე თავს დავანებებ. მე ძალიან მდიდარი ვარ და შეგვიძლიან ჩვენთავადაც კარგად ცხოვრება. სიმდიდრეში გყვარებითა ცხოვრება და არა მოგაკლდებათ რა. ყოველივე შენი სურვილი აღსრულებული იქნება, იზავ, თუ შემიყვარებ.

იზამ თმაზე ხელი გადაუსვა ყმაწვილ კაცსა, ღიმილით შესცქეროდა, ხოლო თვალებში წინანდელი ცეცხლი აღარ უჩანდა.

- ნეტავი მართალი იყოს, რაცა სთქვით, - უთხრა გულდინჯობით იზამ.

- ნუთუ ეჭვი გაქვთ მაგაზედ?

- მე იმაზედ კი არ გეუბნებით, რასაც მპირდებით. მაგ დაპირებულთაგან არც იმატებს, არც იკლებს სიყვარული... მე აკი გითხარით, რომ ძლიერს სიყვარულს მაშინ ვიგრძნობ-მეთქი გულში, თუ საბუთი მექნება, რომ ის, ვისაც ჩემს სიყვარულს ვუძღვნი, მზად იქნება ყოველისფერი ჩემთვის გამოიმეტოს.

- მე ვარ მზად.

- მაშ დროს ვიხელთებ, რომ ეგ საბუთი მივიღო მე თქვენგან... მაშინ გეტყვით: თუ გიყვარვართ, ესა და ეს უნდა ამისრულოთ-მეთქი. რასაც შემოგიკვეთთ, ისეთი მძიმე რამ უნდა იყოს თქვენთვის, რომ როცა სიყვარული გაგინელდება, შენ გახსოვდეს, რომ ჩვენ შორის იმისთანა საიდუმლოა, რომელიც ვალად გვდებს სამუდამოდ ერთად ცხოვრებასა.

ვერშემონი შეშფოთვით შეჰყურებდა ქალს და უნდოდა გამოეცნო, რის თქმა უნდაო.

- ახლა, იზავ, თქვენს გამგონს შეიძლება ეგონოს, რომ თქვენ გსურთ ავაზაკობა რამ მაქნევინოთ.

- თუნდ ეგეც იყოს! უკან დაიწევთ თუ?

ეს რომ თქვა, იზა დაიხარა ოსკარისაკენ, რომელიც ამჟამად მის წინ დაჩოქილი იყო. თავისის მხურვალეობით აღვსილის თვალით ჩააცქერდა ოსკარის ცეცხლმოკიდებულს თვალსა და ისე ახლო მიიტანა ტუჩები ოსკარის ლოყასთან, რომ ოსკარს ეგონა მაკოცაო.

მშვენიერი იზა ძალიან ხერხიანი იყო არშიყოფაში; როცა უნდოდა, ისე კეკლუცობდა, რომ მთელს თავის საოცარს სიტურფეს სრულის ბრწყინვალეობით გამოაჩენდა ხოლმე; კაცს გონებას წაართმევდა მისი მართლად მშვენიერი რხევა ტანისა და სიკეკლუცე თვითვეულის მოძრაობისა. კარგად იცოდა, რა მომხიბლავი სიტურფე ჰქონდა მის ღიმილს, რა უძლეველი ღონე მის თვალსა. თვითვეული ფეხის გადადგმა, ხელის გაქნევა, ტანის რხევა ისე ჰქონდა წინადვე განზრახული, რომ გამოიჩინოს ტანადობის სიტურფე და საოცარი მშვენიერება ყოველის ასოსი.

განა შეეძლო ჯერ კიდევ არშიყოფაში გამოუცდელს, გარაყვნილობისაგან ჯერ კიდევ გაუფუჭებელს ვერშემონს ამისთანა სირინოზისაგან არ დამარცხებულიყო? ოციოდე წუთმა გაიარა იმ ყოფაში, რომ იზა თავს ადგა ვერშემონსა და ამას კი სისხლი ტვინში აუვარდა. ჭკუა როგორღაც მოუდუნდა, აერია; დაეკარგა ლოლიკა და მის მაგიერ რაღაც გიჟური გამოხატულობა მოელანდა. ბოლოს ამ უცნაურმა ყოფამ გადუარა ოსკარს. დაივიწყა ყოველისფერი ქვეყანაზედ, გარდა იმ მშვენიერის თვალეებისა, რომელნიც დასცქეროდნენ, და უპასუხა მტკიცე ხმითა მასზე, რაც იზამ ისე მოჭრით ჰკითხა:

- არა, უკან არ დავიწევ, არაფრის წინაშე უკან არ დავიწევ... შენის გულისთვის, შენთვის, რომელიც მიყვარხარ, რომელმაც ლამის ჭკვიდამ შემშალოს. მითხარ, რა გინდა, იზავ, ყველაფერზედ მზადა ვარ; მიბძანე და მე აღვასრულებ... მე მიყვარხარ შენ, გაგიყვებით მიყვარხარ...

რამდენჯერმე გაიმეორა: “მიყვარხარ, მიყვარხარო”. იზა სტკბებოდა ამ სიტყვების მუსიკითა და, როგორც ფრთხილი ჩიტი, ხან იქით მიიხრიადა კეკლუცად თავს, ხან აქეთ, თითქო მშვენიერს სიმღერას ყურს ადევნებსო.

- ოჰ, რარიგად მიყვარხარ, - ამბობდა ხელახლად ვერშემონი, ისევ ისე დაჩოქილი, და ეხვეოდა იზასა.

იზა სწრაფად გამოუსხლტა ხელადამ და განზედ გაუდგა. ვერშემონი კი ისევ დაჩოქილი დარჩა. მერე მივიდა იზა ახლო, ერთი ხელი ნიკაპს ჩაავლო და მალლა აახედა, მეორე ხელი შუბლზედ დაადო და არშიყოფით უთხრა:

- კმარა ამდონი სიგიჟე... კმარა, თორემ ლამის მეც გავგიჟდე... ადევ!

სთქვა რა ესა, გაიქცა და ოთახის მეორე კუთხეში სელზედ ჩამოჯდა, ვერშემონიც წამოდგა, მივიდა იზასთან და საარშიყო ლექსების თქმას მოჰყვა.

- კმარა, გეყოფათ, - უთხრა იზამ მხიარულებით, - როგორ არ მოგწყინდათ, ბატონო ვერშემონო! აქ გვერდით ჩამოჯექით და მიაბზეთ რამე იმ საქმეზედ, რომელიც ამდენს დროს გართმევთ, იმ გაუთავებელ გამოძიებაზედ... მე

მინდა ყველაფერი შევიტყო... აბა თვითონ იფიქრეთ: ყოველთვის, როცა კი ჩემი მეგობარი ქალი მოვა ხოლმე, რომელმაც, როგორც ბევრმა სხვამ, იცის, რომ თქვენ ჩემი ხშირი სტუმარი ხართ...

- ეე!.. შეუნიშნავთ კიდეც...

- მა რა გგონიათ; ზედაც უმატებენ ზოგიერთს რასმეს ჩვენს თაობაზედ. ხომ იცით, ჭორებსა და კიცხვას მე ყურს არ ვათხოვებ ხოლმე. ჰო, იმას ვამბობდი; ჩემი მეგობარი ქალები ყოველთვის მეუბნებიან: “თქვენ უნდა იცოდეთ, იპოვეს თუ არა ნამდვილი დამნაშავე? რაზედ არის ეხლა გამოძიება დამდგარიო? და როცა ვიტყვი, რომ მეც იმდენი ვიცი, რამოდენიც თქვენ-მეთქი, აიმრიზებიან ხოლმე, რადგანაც ჰგონიათ, ვითომ მე ვიცი და იმათ კი ვუმაღავ.

- ძალიან გაგეხარდებათ, რომ იმათი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოთ?

- ძალიან... მე თავსაც მოვიწონებ მაგით, ჩემო ლამაზო გამომძიებელო.

- მაშ, ჩემო ლამაზო იზავ, ხვალ, როცა ჩემს სამსახურს მოვრჩები, საქმეს თან წამოვიღებ აქ და...

- და აქ ჩემთან ისაქმებთ...

- აქ ვისაქმებ... მითომ რატომ არაო... ეს კი მართალია, შემოვალ თუ არა თქვენთან, მაშინვე ჭკუა მეფანტება, მაგრამ თქვენ დამეხმარებით.

- მაშ! რა ბედნიერი ვიქნები, თუ ტყუილად შეწამებულს გამოვიხსნით.

- უნდა ვეცადოთ; ეგ ჩემი მოვალეობაა.

იზამ გააცილა კარებამდის ვერშემონი, გამოთხოვების დროს მიუშვირა რა თავისი ლოყა საკოცნელად, უთხრა:

- ხვალამდის!

მერე მოვიდა მაგიდასთან და ჩაფიქრდა.

- აბა, როგორ უნდა მოვახერხო მე ეგ? - ჰკითხა თავის თავსა.

დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, ზოგჯერ ტუჩებზე მხიარულის ღიმილი გაუთამაშებდა ხოლმე, ზოგჯერ წარბი შეეკვროდა. ბოლოს წამოდგა და თმები გაისწორა.

- არა, უსათუოდ მოვა, - სთქვა ხელახლად ხმამაღლა.

მერე ისევ მიუჯდა მაგიდას და მოჰყვა წერასა. წერილი გრძელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც კარგა ხანი მოუნდა.

ახალგაზდა გამომძიებელი, შინისაკენ მიმავალი, დიდხანს ვერ მოვიდა თავის დონეზედ მას შემდეგ, რაც გამოიარა იზასთან ყოფნის დროს. ბევრსა ჰცდილობდა სხვაზედ რაზედმე მიემართა ფიქრი, მაგრამ ტვინი არ უჯერებდა. მარტო ერთი იზა ედგა გონების თვალწინა. ჰგრძნობდა, რომ მისგან დამონებული იყო, ტყვედ წაყვანილი, გატაცებული ჰფიქრობდა, რომ ყველასა ვიქ, რასაც კი შემომიკვეთსო. ეხლა აშკარად ჰხედავდა, რომ იქნება სამსახურიც დააკარგვინოს, მაგრამ ამაზედ არა სწუხდა; იზას სიყვარული მეტად დიდი ფასია ყოველის დანაკარგისათვის და ის სიყვარული საკმაოა, რომ ცხოვრება ნეტარებად გაუხადოს.

ოსკარ დე-ვერშემონი არ იყო ხნიერი კაცი; ორმოცისაც არ

შესრულებულიყო და თვალად უფრო ახალგაზრდა ჩანდა. მაღალი, მშვენიერი ტანადი, გამოჩენილი იყო ზრდილობიანის ქცევითა და მოხდენილობითა; მიხრა-მოხვრა მშვიდობიანი ჰქონდა და ლამაზი. ძალიან კარგად და დიდის მოხდენით იცვამდა. ერთის სიტყვით, თვალად თუ ტანად მეტად ლამაზი რამ იყო..

ოსკარ ვერშემონი იყო უკანასკნელი შთამომავალი ძველის გვარის, რომლის წარმომადგენელიც ყოველთვის სამხედრო სამსახურს ჰრჩებოდნენ ხოლმე. როცა მამამისი მიშელ დე-ვერშემონი მოჰკლეს აფრიკაში და დედა დაუქვრივდა, მას შემდეგ დედამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა შვილის აღზრდასა და ცდილობდა შვილი ისეთს გზაზე დაეყენებინა, რომ არ მისცემოდა მეომარის განსაცდელით სავსეს ცხოვრებას. დედის მეოხებით ოსკარა გამოვიდა კაცი მშვიდობიანი, მორცხვი და ზნეობით თავშენახული. მამაკაცის ხასიათს, გაწურთვნილს დედაკაცის მზრუნველობით, ხშირად დაეტყობა ხოლმე დედაკაცური თვისება. ოსკარმა შეასრულა სწავლა ერთს პროვინციის უნავერსიტეტში და სწავლის დროს დედასთან სცბთვრობდა. მინამ იზას შეეყრებოდა, ერთი-ერთმანეთზედ უყვარადა ერთი მოახლე და ორი სხვა ქმრიანი ქალი, რომელთაც თვითონვე გააბედვინეს არშიყოზა. ამ არშიყოზის განმავლობაში ერთი პატარა სასაცილო საქმე დაემართა: ერთმა ქვრივმა მოიტაცა, ხნით ოსკარზედ ბევრით მეტმა, და ამის გამო იმ ქვრივს სამასხარო სახელი დაარქვეს: “ბალღების მტაცებელიო”. სწავლის შესრულების შემდეგ რამდენსამე ხანს პროვინციაში მსახურებდა, მერე კი ნაცნობების შემწეობით გადმოიყვანეს პარიზში.

შთამომავლობით ოსკარი ეკუთვნოდა ძველს თავადაზნაურობას. წინაპარმა მისმა ელუამ მიიღო გრაფობა 857 წელსა კარლოს მელოტისაგან. მას შემდეგ კაცი არ იყი ამის გვარში იმისთანა, რომ საფრანგეთის მხედრობაში თავი რითიმე არ გამოეჩინა. პირველ რევოლიუციის დროს გრაფ ელი დე-ვერშემონ პრინც კონდეს მიემხრო, ამის გამო დაჭერილ იქმნა, განსამართლებულ და სიკვდილით დასჯილ 5 იანვარს 1793 წ., მეორე ძმამ მიშელმა კი მიიღო კონვენტისაგან საპატიო ხმალი ვაჟკაცობისათვის, რომელიც გამოეჩინა ომში საფრანგეთის მტრებთან. ამ უკანასკნელისაგან იყო შთამომავალი ჩვენი ოსკარ ვერშემონი, რომელსაც უფლება ჰქონდა გრაფობით ეხსენებინა თავი, მაგრამ არ ჰნდომულობდა, რადგანაც მისი წინაპარი მიშელი დემოკრატი იყო გულით და არ ჰხმარობდა მაგ ტიტულს.

ოსკარ ვერშემონს მისცეს გამომძიებელის თანამდებობა პარიზში დედის სიკვდილის შემდეგ. მილიონერის სახელი ჰქონდა დავარდნილი და უმაღლესის თანამდებობის მიღებაც დაპირესული ჰქონდა. შინ რომ მოვიდა ოსკარი იზას სახლიდამ, ჰცდილობდა მოესაზრა რამ ლეა მედანის საქმის თაობაზედ, მაგრამ იზას სახე თვალწინ ედგა და მისი გონების თვალი გაჩერდა ხელახლად ამ მშვენიერს სულიერზედ, რომლისათვისაც მზად იყო ენაცვლებინა ყოველისფერი და თითქმის სიცოცხლეცა.

“ახ, ნეტავი მაშინ შემხვედროდა იზა, როცა ბიძამ მოიყვანა პარიზში უმანკო და წრფელი, - ფიქრობდა ოსკარი, - სულ ის ფიქრი მიკლავს გულს,

რომ ჩემამდე სხვა ყოფილა, რომლისთვისაც უალერსნია, უკონია იზასა... მაგრამ რა სულელი ვარ!.. განა უმაღლესი ნეტარება არ არის, რომ ეხლაც იყოს კაცი იმისაგან შეყვარებული?.. აი რასა ვიქ პატარა სახლს ვიყიდი, ძალიან მდიდრულად მოვრთავ და მოვაწყობ და, თუ მე მართლა ვეყვარები, დავაბინავებ იმ სახლში, მაშინვე გამოვაცვლევი ეხლანდელს ტანისამოსს და ჩავაცმევ ახალს, რომელსაც მე თვითონ ვაჩუქებ. მე მინდა, რომ ყველაფერი კაბიდან წულეზამდე მარტო ჩემგან ჰქონდეს. ნებას მივცემ, რაც ეხლა აქვს, ყველაფერი გაჰყიდოს და ის ფული როგორც უნდა ისე მოიხმაროს, ხოლო რაკი ფებს ჩემს სახლში შემოდგამს, მას დღეს აქეთ ყოველისფერი საკუთრივ ჩემგან ექნება... და თვითონ იზაც ჩემი იქნება, მარტო ჩემი...”

აქ გაურბინა გულში იმ ფიქრმა, რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სიზმარია. დაეცა დივანზედ, თავზედ წაივლო ორივე ხელი და ჰკითხა თავის თავს ხმამაღლა:

- ნეტა რა უნდა იმ ქალს ჩემგან? ნეტა სიყვარულის ნიშნად რა საბუთი სურს მომთხოვოს? რა დანაშაულობაში უნდა გამრიოს?

თუმცა ეხლა დანაშაულობაში გარევის ფიქრი ისე აღარ აშინებდა, მაგრამ მაინც ტანში ჟრჟოლამ გაურბინა.

- საშინელი რამ არის! - დაიძახა ოსკარმა, - მაგრამ მე იმ ქალისათვის რას არ ვიზამ, რას?! რა მართალია ეს ნათქვამი.. “ყველაზედ უწინარეს ქალი მონახეთო”.

გადაწვა დივანზედ, წარმოიდგინა თვალწინ იზა და ნებივრობას მიეცა, თუმცა იწოდა კი.

V

ქალი მონახეთ

მეორეს დღეს ვერშემონი დაპირებისამებრ წავიდა იზასთან და თან წაიღო ლეა მედანის საქმე. იზამ მადლობის ნიშნად ტუჩებში აკოცა. ამ კოცნამ ჰკუყა და გონება აურია საწყალს გამომძიებელს და, ჩამოჯდა თუ არა საწერს მაგიდასთან, იზა თავს დაადგა და ისე გადმოეყუდა, რომ მისი თმები ვერშემონის შუბლს ეხებოდა. იზას მომხიბლავ თვალთა მოქმედებით გონება ატაცებულმა ოსკარმა მაშინვე უამბო ყოველივე, რაც იცოდა ლეა მედანის საქმის თაობაზედ და თავის სიტყვა ამით დაასრულა:

- ნამდვილ დამნაშავედ მე ანდრე გუდარი მეგონა, თუმცა კი უნდა ვსთქვა, რომ მის გასამტყუნებლად გულსადები საბუთი არა არის რა, თუ საბუთად არ ჩავთვლით იმ ბანკის ბილეთებს, რომელიც მას ვუპოვეთ და რომელიც შესაძლოა ისე ჩავარდნოდეს ხელში, როგორც თვითონ ამბობს. იქნება მართალიც იყოს. ჩვენ არაფერი უეჭველი საბუთი არა გვაქვს დავამტკიცოთ, რომ ის ბილეთები სწორედ ლეა მედანისა ყოფილიყოს. გუდარი იმ ქალის საყვარელი ყოფილა, გუდარს ის ღამე, როცა ლეა მედანი

მოჰკლეს, იმ ქალთან გაუტარებია. აი მარტო ამაზე არის დამყარებული გამოძიება.

ეს რომ მოისმინა ყურადღებით, იზა სკამზედ ჩამოჯდა ოსკარის პირდაპირ და ჩაფიქრდა.

- საწყალი! - სთქვა იზამ დაღონებულის ხმით.

- მორისი? - ჰკითხა გამომძიებელმა.

- არა, ანდრე, - უპასუხა იზამ, - საწყალი ანდრე, რომ თავისის სიყვარულის მსხვერპლად შექმნილა, ეგ ცხადია. საწყალს სდევნიან და აწამებენ იმისთვის, რომ თავის საყვარელთან ყოფილა, სხვა არაფერი საბუთი გქონიათ მის წინააღმდეგ.

- კარგო იზავ! თქვენის ტრფიალის ბუნების ბრალია, რომ ეგრე გული შეგტკივთ მაგ შეყვარებულ კაცისათვის. მაგრამ აქ ეჭვი კი უადგილოა. სწორედ ის არის დამნაშავე.

- სტყუვდებით. ჩემი აზრი საბუთიანია... რა უნდა ჰქონოდა აზრად, რომ საყვარელსა ჰკლავდა? თქვენ ამბობთ: ბანკის ბილეთების გულისათვისაო. ხომ არ იცით, რომ ის ბილეთები სწორედ იმ ქალისა იყო? განა ჰკუთხას ახლო არ არის, რომ იმ კაცს ბორტის მაკლერების ცნობა არა მქონია, სცოდნია, რომ მისი საყვარელი ქალი ბირჟაზედ დიდის ხერხით აღებ-მიცემობას, აულია და თავისი ფულები იმისთვის მიუზღვია საწარმოებლად. აქ დაუჯერებელი რა არის? უკეთესს მისანდობს კაცს ვის იპოვიდა, თუ არ თავის საყვარელსა... სხვა უკეთესად ვინ გამოადგებოდა, თუ არ საყვარელი...

- თქვენ მართალი ხართ... თქვენ შეუდარებელი ამხანაგი ხართ გამომძიებლისათვის. მართალია, საყვარელი ქალი ყოველთვის უკეთესი მრჩეველია საყვარელისთვის.

- რომ სიმართლით ვსაჯოთ, ყოველთვის ჩვენ ჩვენი თავი იმათ ადგილას უნდა დავაყენოთ ხოლმე, რომელთა ზედაც ჩვენა ვსჯით... მე ჩემი თავი ლეა მედანიის ალაგას წარმომიდგენია. აბა იფიქრეთ: მე მყავს არშიყი, რომელიც ძალიან მიყვარს... ხოლო მე სხვა კაცისაგანაც დავალეებული ვარ, იმ კაცისაგან, რომელიც მე მაცხოვრებს. რომ ის კაცი ხელიდამ არ წამივიდეს, მე უნდა ჩემი სიყვარული დამეფარა: ამის გამო ვიჭერ ცალკე სახლს სადად, მაგრამ ლამაზად კი მოწყობილს. საცხოვრებლად ხომ არ მინდა, მარტო სიამოვნებისათვის. ნუთუ თქვენა გგონიათ, რომ, როცა კი იმ სახლში წავიდოდი ჩემს საყვარელთან საქეიფოდ, თან წავატრევი ბანკის ბილეთებს ოთხმოცის ათასის ფრანკისას? რა ჰკუთხა მოსასვლელია?

- მაგაშიაც მართალი ხართ... მე ქედს ვიხრი თქვენის გონიერების წინაშე, - გულმართლად უპასუხა გამომძიებელმა და თითქო შერცხვაო, დაუწყო ქალაღებებს შლა. იზამ ძალიან კარგად შეამჩნია, რომ მისმა სიტყვებმა ჯეროვნად გასჭრა.

- ლეა მედანიისათვის მოუპარავთ ძვირფასი ბრილიანტები და თქვენ ერთი იმათგანაც ვერ გიპოვნიათ, რომ იმათი გეში რამ მიიტანოთ მაინც. ლეა მედანი მოუწამლავთ უეჭველია მოსჩხრეკდით სახლს იმ კაცისას, რომელსაც თქვენ ეძახით...

- ანდრე გუდარს.
- დააღ, ანდრე გუდარის სახლს. თქვენ იმას ვერა უპოვეთ რა, არც საწამლავის ნიშანი რამ, არც კაცი, რომელსაც მისთვის ღვინო მიეყიდნოს.
- ეგ მართალია.
- ერთი ამას მაინც იკითხავდით: რის გულისათვის მოსწამლავდა საყვარელ ქალსა გაჭირვებული ცხოვრება ჰქონდა, თუ რა?
- შეძლების შესაძენად მოახდენდა მაგ ავკაცობას.
- ტყუილია, თქვენისავე სიტყვით, მეორე დღეს ჯვარი უნდა დაეწერა... ერთი აფთარი რამ უნდა იყოს ადამიანი, რომ წინა ღამით ერთი ქალი მოჰკლას და მეორეს დღეს კი მეორე შეირთოს. თუ გუდარს წინადვე გამოუტანია თავისი ბილეთები, ეგ იმიტომ, რომ სიმამრის საქმეს სჭირდებოდა და იქ უნდა მიეშველებინა ფული. განა ერთხელ და ორჯერ სასიმამროს უხსნია თავის სასიძოსაგან ფული?.. ცხადია, რომ ქურდობის მოსახდენად გუდარი იმ ავკაცობას არ ჩაიდენდა.
- ყოველი თქვენი სიტყვა მაოცებს მე, იზავ! მარტო დედაკაცისაგან თუ გაიგონებს ადამიანი მაგისთანა ცხადსა და მართალს მსჯელობას... უკანასკნელ დასკვნას მაინც თქვენგან მოელი... მიბძანეთ.
- მე არა მგონია, რომ ლეა მედანი გასაქურდლად მოეკლათ. ამბობენ, ლეა მედანი საპოლიტიკო აგენტად ჰყოლია ერთს უცხო ქვეყნის მთავრობასა. იქნება, რაც საჭიროა, იმაზედ მეტი რამ შეტყობილი ჰქონდა ლეა მედანს და საჭიროდ დაინახეს იმისი თავიდან მოშორება. სინიდისზედ პატარა შემომწყრალი მკვლელი, რასაკვირველია, ბრილიანტების ჩაჯიბვასაც არ ითაკილებდა.
- ვსთქვამთ ეგრე იყო, მითამ აქედამ რა გამოგყავთ?
- ის გაგომომყავს, რომ თქვენ ტყუილს კვალში ჩამდგარხართ. გუდარი აქ არაფერს შუაშია. ციხეში ჩასმით თქვენ იმას დიდი ზიანი მიაყენეთ.
- ეგ მაგდენი არაფერია, - უპასუხა ვერშემონმა არხეინად.
- ნამდვილი დამნაშავე, ჩემის აზრით, მორის ფერანია. უნახავთ რომ იმ ღამეს თავის ოთახიდან გასულა და შესულა. ღვინის გამყიდავი ამოწმებს, რომ ფერანს უყიდნია იმისაგან შამპანური ღვინო; თვითონ მორისივე ამბობს თავის პირით, რომ ღვინოში საწამლავი მე ჩავასხიო; დასასრულ, ვერა უთქვამს რა მასზედ, თუ ის ღამე სად და როგორ გაატარა.
- იმავე საათს, როცა გუდარი, მისივე სიტყვით, ლეა მედანთან ერთად მოდენილან, მორისი უნახავთ სხვა ქალთანა.
- უეჭველია, ის ქალიც ამხანაგად ჰყოლია. აბა ვინ გააბედვინებდა მაგისთანა ავკაცობას, თუ არ ქალი? უსათუოდ ქალმა გააბრაზა და ამის დასამტკიცებელიც ბარათია, რომელიც საქმეში გაქვთ ჩაკერებული; ის ქალი დაჰყოლია ფერანს მხოლოდ იმ პირობით, რომ ლეა მედანი მოეკლა და ლეა მედანის სიკვდილი საჭირო ყოფილა იმ ქალისათვის რომელისამე მიზეზის გამო. თუ ამაში ბრალი არა ჰქონდა, ლეა მედანის სიკვდილის შემდეგ, მეორეს დღესვე რად გადაკარგა პარიზადამ?
- თქვენი მსჯელობა სწორედ თავზარსა მცემს, იზავ! თქვენ ახალის შუქით

გამინათეთ ყოველივე გარემოება საქმისა. თქვენ მართალს ამბობთ; ის ბარათი სულ სხვა საბუთია, თუ კაცი კარგად დააკვირდება.

- აბა, ერთი ხელმეორედ გადიკითხეთ.

ოსკარმა მონახა ქალაქებში სესილისაგან მორისთან მოწერილი ბარათი, ამოიღო და ხმამაღლა გარკვევით კითხვა დაიწყო. მინამ ბარათს კითხულობდა, იზა ფეხზედ იდგა, ხელი ოსკარის მხარზედ ებჯინა და თავი ისე დაეხარა, რომ ლოყით ვერშემონის თმას ზედ ეხებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ გამომძიებელის გონება იზამ გაიტაცა და ამიტომაც ბარათი უგულისყუროდ გადიკითხა.

- მაინც კიდევ წინანდელს აზრზევე დგებართ? - ჰკითხა იზას ოსკარმა.

- საყვარელო ოსკარ, ნუთუ არ იცით, რომ მაგის დამწერი, ვიდრე ერთს სიტყვას დაწერდა, ათჯერ მოიფიქრებდა. რომ მაგ ბარათის ნამდვილი აზრი გამოიცნოს კაცმა, პირდაპირ კი არ უნდა წაიკითხოს, უნდა სთარგმნოს, ერთის სიტყვით, იმოდენა დრო მოანდომოს, რამოდენაც საჭიროა ახლად მოგონილის ასოებით დაწერილის წასაკითხავად... მე მხოლოდ ორიოდ სიტყვას განიშნებთ, რომელნიც ჩემთვის ეხლაც მეტად ცხადნი არიან.

იზამ ხელი გაიწოდა ბარათისაკენ ისე, რომ კინაღამ ოსკარის ტუჩებს არ შეახო და უჩვენა ბარათში შემდეგი სტრიქონი: “აი უკანასკნელი წყალობა, რომელსაც მე შენა გთხოვ, მორის. - და შემდეგ: - მორის, შემომფიცე, რომ ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში ამაზე იდგები, რომ მე არა ვყოფილვარ შენთან ოცს ივნისს ღამეს; რომ იმ დღეს მე შენ არ გინახვივარ...” და სხვანი.

- მე მგონია, ეს ცხადი საბუთია, -. სიტყვა იზამ.

ოსკარმა “ჰოს” ნიშნად თავი დაუქნია.

- ყური მიგდეთ, - დაიწყო ისევ იზამ, - მე მომანდეთ, მე, ეგ ბარათი; მე ნამდვილს აზრს მაგ ბარათისას შეგიტყობთ და ჰნახავთ მას მერმედ, რომ გამოსამძიებელიც აღარა დაგრჩებათ რა... მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბარათშია ამ საქმის გამოცანა.

ვერშემონმა ჭოჭმანი იწყო, იმიტომ კი არა, რომ ვერ ენდობოდა იზას, არამედ იმიტომ, რომ არ უნდოდა ამისთანა უსიამოვნო საქმით შეეწუხებინა საყვარელი ქალი. იზა ამის ჭოჭმანმა შეაწუხა და არ იყო რომ ცოტა გულნაკლულად არა ჰკითხა;

- ნუთუ ჰშიშობთ, რომ თქვენის ნდობის ღირსი არ ვიყო?

- რას ბრძანებთ! მე მარტო ის მაწუხებს, რომ თქვენ თქვენს გონებას ამისთანა უსიამოვნო საქმეზედ მოაცდენთ.

პირიქით, მე დიდის სიამოვნებით მოვეკიდები მაგ საქმეს. თუ მე რამდენიმე საათის ჯაფით გიპოვით დანაშაულობის საბუთს, რომელსაც თქვენ ამოდენა ხანია ეძებთ და ვერ გიპოვიათ, განა თავმოსაწონებელი არ იქნება ჩემთვის თუნდ ეგ არ იყოს, მე მგონია საკმაო საბუთები წარმოგიდგინეთ, რომ ნამდვილი დამნაშავე ის არის, ვისიც განთავისუფლება თქვენ გინდათ და ის უბედური, ლეტარდ ევარია თუ ვილაცა, სხვის მაგიერად იტანჯება.

იზა განგებ გადაასხვაფერებდა ხოლმე გუდარის სახელს, ხან ივიწყებდა,

მითამ-ლა..იმისი ცნობა არა აქვს. სხვა გამომძიებელი, ვერშემონივით შეყვარებული რომ არ ყოფილიყო, მაშინვე მიხვდებოდა, რომ აქ იზა რაღაცას ეშმაკობს, მაგრამ ვერშემონი კი სრულებით გაბრუებული იყო იზას სიყვარულითა და ვერაფერს მიუხვდა. ამ სახით ორისავ შეწამებულის ბედი ეხლა იზას ხელში იყო. შეყვარებული გამომძიებელი სრულად დატყვევებული იყო იზასაგან. რასაც იზა იტყოდა, ამას შეურყეველი ჭეშმარიტება ეგონა. ვერ მიუხვდა, რომ აქ იზა გუდარის სარჩლს ეწევა. ოსკარს ის უხაროდა, რომ საყვარელი ქალი ჰკისრულობს გამომძიებლის მოვალეობას, ამხანაგად უხდება. ამან წააქეზა, აილო და ბარათი გადასცა იზას.

ოსკარმა ვერ შეამცნია, რა სიხარულმა გაუნათა თვალეზი იზას, რა კმაყოფილების ღიმილმა გაურბინა ტუჩებზედ, როცა იზამ ბარათი ჩამოართვა და დაუყოვნებლივ ჯიბეში უკრა თავი!

- ეს ბარათი ქალის დაწერილია, - სთქვა იზამ, - და ქალის ეშმაკობას ქალი უფრო მალე მიხვდება, ვიდრე მამაკაცი. ზოგიერთი სიტყვები სწორედ საქალო გამოცანა არის. საყვარელ კაცთან მიწერილს ბარათში ბევრი გაუგებარი სიტყვებია სხვისათვის, მაგრამ თვითონ საყვარელ კაცისათვის კი ცხადია ხოლმე. აი სწორედ მაგისთანა სიტყვებს მე უნდა გამოვუნახო აზრი. იმედი მაქვს ნამდვილს კვალში ჩავდგები და თქვენც ჩაგაყენებთ... დიად, ჩემო კარგო გამომძიებლო, მე დაგიმტკიცებთ თქვენ, სადამდის მიაღწევს ხოლმე დედაკაცის ხერხიანობა. მე დიდის გულმოდგინებით დავაკვირდები ამ ბარათს, რომელსაც თქვენ, როგორც გეტყობათ, დიდს მნიშვნელობას არ აძლევთ.

უკანასკნელი სიტყვები უფრო რიხიანად სთქვა და თვალი დაამტერა ოსკარსა.

- ოო, ეხლა მაგ ბარათს სულ სხვა თვალთ ვუყურებ, სთქვა გამომძიებელმა, - წინად არც კი მინდოდა საქმიანს ქალადებში გამერია, მეგონა გარეშე საიდუმლოა და ვაი თუ გამომჟღავნებით ვისიმე ოჯახის მშვიდობიანობა დაირღვეს-მეთქი. მე გადაწყვეტილი მქონდა, ხვალ მორის ფერანი განმეთავისუფლებინა და ეგ ბარათი დამებრუნებინა.

- ხვალ უნდა გაგეთავისუფლებინათ? დახე, რარიგად იმუშავა თქვენმა ბედმა, რომ ეგ საქმე აქ მოიტანეთ... ეს ბარათი თვითონ ნამდვილი ბარათია, თუ ნამდვილიდან გადმოწერილი?

- ნამდვილია. ასლი არ გადმომიღებინებია.

- მართლა? - დაიძახა იზამ და ცოტად ამოიოხრა. დაეზჯინა მაგიდას და პირდაპირ თვალეზში ყურება დაუწყო ახალგაზდა გამომძიებელს და გამომძიებელი კიდევ ტრფიალებით შეჰღიმიდა.

- აბა ერთი გაბედეთ და სთქვით კიდევ, რომ აქ ჩემთან საქმის გაკეთება არ შეიძლება, განაგრძო იზამ, - აბა ერთი კიდევ გაბედეთ და სთქვით, რომ მე ამ საქმეში ცუდი მდივანი ვარ და მაშინ მე ვიცი!

- ძალიან მარჯვე და მშვენიერი მდივანი ხართ, იმისთანა მდივანი, რომელიც მთელს გამოძიებას თვითონ კისრულობს და რომელთანაც დროც სიტკბოებით მიდის და საქმეც კეთდება. ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: ჩემი

მშვენიერი მდივანი კი კმაყოფილია ამ საღამოსი?

- მითომ რატომ არა? მე ჭეშმარიტი გამოვიცანი, მე იქნება გადავარჩინო მართალი კაცი სასჯელს... მე ძალიან მოხარული ვარ, იმიტომ რომ მე მგონია კეთილი საქმე ვქენ.

- რაღა თქმა უნდა, რომ უკეთესი სიტუაციაა მართალის კაცის დახსნა.

- ეგ ეგრეა, მაგრამ მე ერთი რამ მინდა შევიტყო...

ეს რომ უთხრა, იზა დააცქერდა ვერშემონსა და მერე ჰკითხა:

- ეგ იქნება თქვენ ჩემის პატივისცემით მოგდით, რომ ნათქვამს მიწონებთ?

- თქვენც არ მომიკვდეთ...

- მაშ თქვენც ჩემსავით დარწმუნებული ხართ, რომ მართალია ის ვიღაცა... რამ დამავიწყა!..

- ანდრე გუდარი.

- დიად, მაშ ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგიჯდათ?

- სწორედ. ეს კი უნდა მოგახსენოთ, კარგო იზავ, რომ მაგისტვის დიდი ჯაფა არ-იყო საჭირო. მე თვითონ არ გითხარით, საქმე ისე ძნელია, რომ სწორე აზრი ვერ შემიდგენია-მეთქი? ამიტომაც ვაგვიანებდი გამოძიების წარდგენას სასამართლოში. მე მარტო ერთი საბუთი მეჭირა ხელში: ეგ ბანკის ბილეთები იყო, რომელიც გუდარის ხელში აღმოჩნდა. ბირჟის მაკლერმა გვიმოწმა, რომ ეგ ბილეთები ლეა მედანიასათვის მე თვითონ ვიყიდეო. მაგრამ მესმოდა კი, რომ მაგისტანა საბუთი მეტად მჩატე რამ არის და ამიტომაც ექვში ვიყავი. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე პირველია, რომელიც მე შემხვდა გამოსაძიებლად პარიზში და მძიმე საქმეც არის. ძალიან ცუდი რამ იქნება, ამ გამოძიებაში თავი შევირცხვინო, მით უფრო, რომ ყველგან გულდაჯერებით ვიძახოდი, დამნაშავე ხელში მყავს-მეთქი. განა მადლობელი არ უნდა ვიყო თქვენი, რომ შეცდომა ჩემი დამანახვეთ და გამისწორეთ? დედაკაცურის გულთამხილაობით პირუთვნელად - თქვენ ხომ არც ერთს შეწამებულს იცნობთ, არც მეორეს - თქვენ მეუბნებით: “აი, ნამდვილი დამნაშავე ვინ არის!” ყოველივე სიტყვა მოწმეებისა და პოლიციელებისა, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ, თქვენ დიდის ჭკუით გასინჯეთ და ასწონეთ და მაშინვე საქმესაც სწორეს თვალთ დაუწყეთ ყურება. ბარათს, რომელსაც არაფრად ვაგდებდი, თქვენის გამოძიებით დიდი მნიშვნელობა მიეცა ეხლა. მე ეგ ბარათი მორისის გასამართლებელ საბუთად მიმაჩნდა, თქვენ კი, პირიქით, მაგით ამტყუნებთ მორის ფერანსა, რომელმაც, გაგიტყდებით, ძალიან მომაწონა თავი, მაშინ როდესაც მეორემ შემამულა თავი თავის უწმაწურის ქცევითა და ლაპარაკითა.

- მაშ ეხლა თქვენ სწორედ დარწმუნებული ხართ?

- დიად, ჩემო კარგო, და ამასთანაც ჩემის თავისა მრცხვენთან. თქვენ ერთს საათში იპოვეთ ის, რასაც ჩვენ მთელი ექვსი თვე ვეძებდით და ვერ ვიპოვეთ.

- აი ეხლა კი სრულებით კმაყოფილი ვარ, - სთქვა გახარებულმა იზამ.

მას მერმედ ჩაჩუმდა და რამდენსამე წუთს ორივენი დაჩუმებულნი იყვნენ. ოსკარი გულაღელვებით თვალს ადევნებდა იზას.

- რამ დაგაფიქრათ, იზავ? - ჰკითხა ოსკარმა.

- მე ერთი თქვენი ნათქვამი მომაგონდა და იმაზე ჩავფიქრდი.
- რომელი?
- თქვენა სთქვით, რომ “სრულის მიუდგომლობით სჯითო, რადგანაც არც ერთს იცნობთ და არც მეორესაო”.
- დიაღ, ვსთქვი, მაგრამ ამითი მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ თვითონ პირდაპირ არ გამოგიკითხავთ შეწამებულნი, როგორც მე გამოვიკითხე და, მაშასადამე, იმათი მოხერხებული სიტყვა-პასუხი თქვენზედ ვერ იმოქმედებდა.
- ტყუილად თავს ჰმართლულობთ, მეც სწორედ ეგრე ავუხსენ ჩემს თავს თქვენი ნათქვამი. ეს კი უნდა იცოდეთ, რომ მე ერთი იმისთანა ნიჭი მაქვს, რომლის მოწყალებით ჩემ წინ ვერა სჭრის ვერც მოხერხებული სიტყვა, ვერც სასიამოვნო თუ უსიამოვნო სახე. მე სახისმეტყველი ვარ: თვალი კი მოვკრა და უმაღვე ყველაფერს გავუგებ ხოლმე კაცსა. დღეის აქამომდე არ მახსოვს, რომ მე ერთხელ მაინც მოვტყუებულვიყავ.
- ძვირფასი ნიჭი გქონიათ.
- და მე მინდა ის ნიჭი გამოვიყენო ამ ჩვენ საქმეშიაც, - სთქვა იზამ და გაიღიმა, - ნებას მომცემთ?
- რა ნებას?
- შეიძლება ვნახოთ ამ საქმეზე დაჭერილები?
- მესმის. ვერ ვიტყვი, რომ კანონი მაგის ნებას გვაძლევდეს, მაგრამ შეიძლება კანონს გვერდზედ ავუაროთ... რაიმე პატივსადების მიზეზის სახელითა.
- თუ შეიძლება, მე და თქვენ ერთად უნდა წავიდეთ.
- თუ ერთად წავალთ, მაშინ კი კანონიც ვერ დაგვაბრკოლებს.
- მაშ, საყვარელო ოსკარ, ისე მომიხერხეთ, რომ ორივე შეწამებული ვნახო.
- ძალიან კარგი. ძალიან საინტერესო იქმნება შევიტყო, თვითვეული მათგანი როგორ კაცად გეჩვენებათ.
- იმის ნებასაც ხომ მომცემთ, გამოველაპარაკო?
- ეგ კი ცოტა სამნელოა, მაგრამ რაკი ჩემთან ერთად იქნებით, მაგის ნებასაც მოგცემთ. მართო რომ წახვიდეთ, ციხირ უფროსები სალაპარაკოდ არ მიგიშვებდნენ, თუნდა ნახვის ნება გქონოდათ კიდეც.
- ლაპარაკი საჭიროა. თქვენ ხომ იცით, მე ბოშის ჯიშისა ვარ და ჩვენის ჯიშის ადამიანმა ცოტაოდენად მკითხაობაც იცის. სახეზე, ხმაზე, ხელებზე შევატყობთ ხოლმე, ვინ როგორი კაცია. რომ უფრო კარგად გამოვიცნათ, გამოლაპარაკება ფრიად საჭიროა.
- რაკი გსურთ, ბატონი ბძანდებით.
- როდის?
- იმედი მაქვს, ეხლავე არ მოინდომებთ წასვლას.
- არა, ხვალ წავიდეთ.
- ძალიან კარგი, ხვალ წავიდეთ, - უთხრა ოსკარმა და თვალი თვალში გაუყარა იზასა.
- თქვენ რაღაც გინდათ მითხრათ და ყოყმანობთ, - შენიშნა იზამ.

- ნუთუ ამას თქმა უნდა, რომ მე მარტო ამ საქმემ არ მომიყვანა თქვენს სახლში. ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, თქვენი ნახვა მინდოდა, თქვენთან ლაპარაკი თქვენზედვე... ნუთუ ჯერ კიდევ არ მოსულა ის დრო, რომ ჩემის გულის პასუხს ველირსო...

- ეხლა გვიან არის, - უთხრა იზამ სიცილით, - ეხლა მეტად დაღალული ვარ და ამასთანაც ჩვენის საქმისათვის კიდევ შრომა მომელის... ხვალამდის.

- რა ბმანეთ?

- დროზედ ჩამოაგდეთ ლაპარაკი და მომაგონდა, რომ ეხლა მეტად დაგვიანებულია...

მივიდა და ზარი დააწკარუნა.

- ჟუსტინა გაგაცილებთ, - განაგრძო იზამ.

- ჰოი, ბოროტო!

- ნახვამდმის! ხვალამდის!

იზამ მიუშვირა თავისი მშვენიერი ტუჩები; ოსკარმა აკოცა და მორჩილებით უკან გაჰყვა ჟუსტინას, რომელიც ამ წუთში ოთახში გამოცხადდა.

იზამ მარტოკა რომ დარჩა, კარები კლიტით ჩაიკეტა, მიუჯდა მაგიდას, ამოიღო მაგიდის უჯრიდამ პატარა ყუთი და ხმამაღლა სთქვა:

- დიად, უნდა ვისაქმოთ.

ყუთი სავსე იყო შუშებითა, ბალახ-ბულახეულებითა და სხვა ამგვარებითა. თვითონ ბოშამ და ბოშათა შორის გაზდილმა იზამ იცოდა წამლებისა და საწამლავების შედგენა და კეთება. სხვადასხვა შუშიდამ თვითო-ოროლა წვეთი დაასხა ლანბაქზედ და ერთმანეთში აურიო. მერე აიღო სესილის ბარათი, გულმოდგინებით გადიკითხა, ამოაწება ფრთა წამალში და ზოგიერთს სტრიქონებს წაუსო. ეს რომ გაათავა, ანთო პატარა კანდელი და იმის ალზედ გააშრო ბარათი. როცა აშრობდა, ოთახში სასიამოვნო სუნი დადგა. ეს საქმე რომ სრულებით გაათავა, იზამ დახედა ბარათს და ძალიან მოიწონა თავისი ნაკეთები. არავის არ მოუვიდოდა ფიქრად, რომ ეს ბარათი განგებ წაუხდენია ვისმე. ყველას ის ეგონებოდა, რომ ბარათზე დაღვრილა სურნელი წყალი რამ და იმას ამოუჭამია ზოგიერთი სტრიქონები და სიტყვებიო. ხოლო ხელუხლებლად დარჩა იმისთანა სიტყვები, რომელთაც ნამდვილი აზრი ვედარ გაიგებოდა, რაკი წინა და უკან ზოგიერთი სტრიქონები და სიტყვები ამოჭმული იყო წამლითა. ამოჭმულზედ შეიძლებოდა რაც უნდა ის დაეწერა კაცს, თუ კი ხელს მიაღსგავსებდა.

ეს ფიქრი მოუვიდა იზას, როცა სიამოვნებით დაჰყურებდა თავის ნამუშევარს.

- თუ საჭირო იქნება ჩაწერა წაშლილის სიტყვების სამაგიეროდ, შეიძლება ჩაიწეროს, - სთქვა იზამ და ეშმაკურად ჩაიცინა.

აიღო ბარათი და ჩასდვა მარმარილოს მაგიდაში, საცა პირის საბანი და პირის საკეთი იარაღი იყო. ამ მაგიდაზედ ბევრი შუშები ეწყო სხვადასხვაგვარ სურნელიანის წყლითა. ერთის შუშის ქვეშ ამოსდო ის ბარათი, მითომ

იმისათვის, რომ მერე ოსკარ გარშემონი დააჯეროს, შუშა გადმოვარდა, გატყდა და სურნელი წყალი დაესხა ბარათსაო. როცა ეს გაათავა, იზა ტანისამოსის გახდას მოჰყვა, მოახლე აღარ შეაწუხა. ჩამოიშალა თმები, რომელნიც გადმოეფინნენ ტიტველა მხრებზედ. იზამ ჩაიხედა სარკეში და თავის თავს თვალი ვეღარ მოაშორა. უნდა ვსთქვათ, რომ თვითონ იზა ტრფიალი იყო თავის მშვენიერებისა.

- დროა, - სთქვა მან ღიმილით, - ხვალ მთლად ჰკუაზედ შევშლი და რაც მინდა, იმას ვაქნევინებ.

მეორე დილას იზა მოირთო და დანიშნულს საათზე მოუთმენელად ელოდებოდა ვერშემონსა. როცა ოსკარის ეტლი მოგრიალდა კარების წინ, ჟუსტინა გაეგება და უთხრა, ნულარ შეწუხდებით, ეტლიდამ ნუ გამოხვალთ, ქალბატონი ეხლავ თვითონვე ჩამობძანდებაო. მართლაც, იზამ დიდხანს არ ალოდინა. ჩამოვიდა, ჩაუჯდა ეტლში და წავიდნენ.

იზა ძალიან მხიარულად იყო, მთელი გზა სულ იცინოდა, ძალიან უხაროდა, რომ ჯერ არ მინახავს ციხე და ეხლა ვნახავო.

- მართლა, ბევრი ისაქმეთ წუხელის, ჩემო პაწია მდივანო? - ჰკითხა ხუმრობით ვერშემონმა.

- რაზე უნდა მესაქმა? - ჰკითხა იზამ თავის რიგზე, მითამდა არაფერიო.

- როგორ თუ რაზედ? ბარათის წაკითხვას არ აპირობდით!?

- მართლა! მაგრამ სულ გადამავიწყდა, ფიქრად აღარ მომსვლია. რა წამსაც თქვენ წახვედით, ძალიან მოშლილი ვიყავ დაღალულობით და მაშინვე დავწეი.

- იმედი მაქვს, ბარათი არ დაგიკარგავთ.

- ჩვენ არაფერი არ დაგვეკარგება... დღეს საღამოზედ მოგართმევ იმ ბარათსა... მე ჩვეულებად მაქვს ბარათებს ხოლმე სატუალეტო მაგიდაზედ ვინახავ, რა თქმა, რომ ის ბარათიც იქ იქნება... ღმერთო, რა უცნაური ხასიათი მაქვს! გუშინ ის ბარათი ძალიან მენატრებოდა, ეხლა კი სულ გონებიდან ამომეცალა, არც კი მაგონდება.

- მოიმედე ვარ, რომ არის თქვენთვის ზოგიერთი იმისთანა საგანი, რომელიც არ გავიწყდებათ ხოლმე თავის დღეში.

- მაგალითებრ, რომელი?

- თქვენი დაპირება.

- ჩემი დაპირებაო? - სთქვა იზამ, მისწვდა და ნაზად ჩამოართვა ხელი, - ჩემს აღთქმას ჩემს დღეში არ დავივიწყებ ხოლმე.

- როდის ასრულდება?

- რა წამსაც მივიღებ საბუთს, რომელსაც მე მოვითხოვ.

- როდისღა?

- ეგ თქვენზე არის დამოკიდებული.

- მართლა? - სთქვა ვერშემონმა იმისთანა ხმითა და თვალეზიც ისე აუბრიალდა, რომ იზა პატარა აქეთ მოეცალა. იზამ შეატყო, რომ ოსკარი გათამამდა, შეეჩვია და ეშინოდა, არა გამიბედოს რაო.

მივიდნენ კონსიერჟერს. იზამ მკლავი მკლავში გაუყარა ოსკარს და ისე

შევიდა ციხეში. ციხეში რომ შევიდნენ, იზამ შეწუხებულის სახე მიიღო. ოსკარი ჰგრძნობდა, რომ მკლავი უკანკალებს იზას და ჰცდილობდა კარგს გუნებაზედ მოეყვანა. როცა გუდარის სენაკის კარი გაუღეს და გამომძიებელმა სთქვა:

- გუდარ, თქვენ...

ერთი კვილი მოისმა. იზამ შეხედა გუდარს თუ არა, გულს შემოეყარა. მოცვიდნენ ციხეში მოსამსახურენი და ყველანი გარს შემოეხვივნენ გონებაშიდღის ქალს. ბოლოს ხელით ჩაიყვანეს კანტორაში და იქ მოასულიერეს. - მალე წამიყვანეთ შინ, - უთხრა იზამ ოსკარსა, - მერე როცა მოიცლით, მოდით ჩემთან, მე ერთი იმისთანა სათქმელი მაქვს, რომელსაც აქ ვერ ვიტყვი.

ოსკარი დაემორჩილა. უბრძანა თავის მოსამსახურეს, ეტლი მოართვით და ქალი თავის სახლში წაიყვანეთ; მერე ეტლი ისევ აქ მომართვითო. როცა ეტლი თვალიდამ მოშორდა, ოსკარმა აღარ მოიცადა და პირდაპირ თავის სახლში წავიდა.

გუდარი რაღას ჰფიქრობდა? რაკი კარი გააღეს და იზა გამომძიებელთან დაინახა, მკლავი-მკლავგაყრილი, გაუკვირდა. უფრო გაუკვირდა და შეაშინა კიდევ იზას კვილმა. რამდენსამე ხანს ისე გაშრა, რომ თითქო გაქვავდაო. როცა კარები ისევ მოუხურეს და დაუკეტეს, მიიხედ-მოიხედა და იატაკზე ბარათი დაინახა, სწრაფად დასწვდა, გაიცინა და სთქვა:

- ეს ძალიან კარგია!.. აქედამ ყველაფერს შევიტყობ...

გახსნა ბარათი, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მათვალისწინებსო, და დაიწყო კითხვა.

VI

ძმა დამიხსენი და მე შეგიყვარებ

იზასთან რომ მოვიდა ოსკარი, ჟუსტინას მწუხარე სახეზედ შეატყო, რომ აქ რაღაც ცუდი ამბავია.

- რა ამბავია? - ჰკითხა ჟუსტინას.

- ქალბატონი ძალიან ცუდ გუნებაზედ მობძანდა. ძლივძლივს გადმოვსვით ეტლიდამ. მე და ჩემმა ქმარმა ხელით მოვიტანეთ საწოლამდე. მაშინვე გულს შემოეყარა და ექიმი დავიბარეთ.

- ექიმმა რა სთქვა?

- ჯერ შეშინდა, ავადმყოფი რომ ნახა, მერე გამოჰკითხა ქალბატონს და მარტო მაშინ მიჰხვდა, რითაც არის ავად. უთუოდ შეჰშინებია რისამე. თქვენ გეცოდინებათ, იქ რა მოხდა?

- მეც ის ვიცი, რაც თქვენ.

- ექიმმა წამალი დაუწერა და ძალიან არგო. ეხლა სძინავს.

- მაშ უკედ შექმნილა.

- დიად, ეხლა ლამაზად სძინავს. მე მიბძანა თქვენი, რომ რა წამსაც

მობძანდება, მაშინვე გამაღვიძეო. მაგრამ ძალიან დასუსტებულია, სჯობს, რომ ცოტა მოსვენებით იყოს.

- რასაკვირველია. მაგრამ რა მიზეზი შეემთხვა მაგისტანა? ნუთუ ციხის ნახვაზე მოუვიდა? ან იქნება დამნაშავეის დანახვა იყო მიზეზი? მაშინ შემოეყარა გულს, როცა იმას თვალი მოჰკრა...

- როცა ქალბატონი შინ მობძანდა იმ ყოფით, ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ შეგემთხვათ რამე და იმაზე შეწუხებულა ყველამ იცის, რომ ქალბატონის თქვენ ძალიან მოსწონხართ.

ოსკარი ცოტად წამოწითლდა, ჟუსტინამ კი განგებ დაუწყო ლაპარაკი, რომ ქალბატონს მოჰსწონხარო და მერე დაუმატა:

- იმედი მაქვს მომიტევებთ, რომ თქვენი ამბავი გამოგვკითხე თქვენს მსახურს და მიპასუხა, არა ვიცი რაო. ქალბატონი რომ მარტო მობძანდა, საკვირველი არ არის, რომ მე და ჩემს ქმარს თქვენი ფიქრი მოგვეცა, ხომ არა შეემთხვა რაო.

- მაშ თქვენ სწორედ დარწმუნებული ხართ, რომ ძარღვების სისუსტე მოუვიდა...

- დიალ, ბატონო. მე მგონია, იმისაგან არის ეგრე, რომ ამ უკანასკნელს დროს ძალიან მოკრძალებით სცხოვრობს, თითქო მონასტერშიაო. აი, სულ ამ მოკლე ხანში შეიცვალა. ამას წინად მხიარულად იყო ხოლმე, თვითონ დადიოდა სტუმრად და თავისთანაც იწვევდა. ეხლა კი სულ სხვაა. მარტო თქვენზედ ჰფიქრობს; როცა თქვენ მოგელით, არ იცის, რა ქმნას ხოლმე, მინამ თქვენ მოხვალთ. რადგანაც მეტად გულდახურულია და არ უნდა, რაც გულში აქვს, სხვას შეატყობინოს, ამიტომაც ძარღვების სისუსტე მოსდის ხოლმე. იქნება არ ვარგოდეს, რომ ამისთანებს ვყბედობ, მაგრამ მე ძალიან მაფიქრებს ქალბატონის ავადმყოფობა. ამისათვის თუნდა დამძრახონ კიდევ, ოღონდ ქალბატონი კი კარგად მყვანდეს.

ყურებამდი წამოწითლებულმა ოსკარმა ორმოცდაათფრანკიანი ბილეთი ჩაუდო ხელში ჟუსტინას და უთხრა:

- ფიქრი ნუ გაქვსთ, ჟუსტინავ! თქვენ ძალიან კარგადა ჰქმენით, რომ ყველაფერი მითხარით.

ჟუსტინამ თავი ისე აჩვენა, თითქო არ მინდაო ფულის გამორთმევა.

- ოჰ, ბატონო! თქვენ კეთილის გულისა ბძანებულხართ, მაგრამ ეს კი საჭირო არ არის...

- ინებეთ, ჟუსტინავ, ინებეთ. იზა ქვეშაგებად არის?

- არა, როცა წამალი დალია და არგო, ქვეშაგებიდამ აბძანდა, ექიმის რჩევით იბანა ცივ წყალში, მერე ტანთ ჩაიცვა, მიწვა პატარა ტახტზე და ჩაემინა.

- მაშ ეხლა კარგად არის?

- დიალ, მიბანდით, იქნება ეხლა ღვიძავს კიდევ.

- ერთად წავიდეთ.

შევიდნენ ორნი იზას საწოლში ფეხაკრეფით; ეშინოდათ, არ გამოეღვიძებინათ იზა, რომელიც ჯერ კიდევ ძილში იყო, თუ განგებ

იმძინარებდა თავსა.

- თქვენ წადით, - უთხრა ოსკარმა ჟუსტინას, მე აქ მარტო დავრჩები, მინამ გამოიღვიძებს.

ჟუსტინა გავიდა. მარტო რომ დარჩა ოსკარი, ჩამოჯდა იზას პირდაპირ და ისე დააშტერდა, თითქო თვალებით შეჭმა უნდა იმ მშვენიერის მძინარის ქალისაო.

ოთახში არც ბნელოდა, არც სინათლე იყო და ამ შუქთან სიბნელეში იზა საუცხოვო რამ იყო. თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა ოქრომკედლით მორთული და ისე მშვენივრად გადაწოლილიყო, რომ სიტურფე მისის თვალტანადობისა კალმით ნახატი გეგონებოდათ. გულთან კაბის ღილები გახსნილი ჰქონდა და გული ცოტად გადაღელილი. ოსკარს ამის დანახვაზედ გონება დაეხრა და რაღაც გაგიჟებით დასცქეროდა ლამაზს ქალსა. სწორედ დნებოდა. უნდოდა მივარდნოდა, გულში ჩაეკრა და კოცნით და ხვევით გაეღვიძებინა, მაგრამ ადგილიდამ ვერ დაიძრა: სიყვარულმა და გულთა თქმამ იქავ ადგილზედ დალურსმა. ბოლოს იზამ თვალი აახილა, მიმოიხედა გაოცებით გარშამო, თითქო ვერ მიმხვდარა სადა ვარო და ოსკარი რომ დაინახა, თვალებზედ ხელები აიფარა და ტირილი დაიწყო.

- ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! - იძახოდა იზა.

გაოცებული და შეშინებული ოსკარი მივარდა მაშინვე.

- იზა, ჩემო პაწაწავ, რა დაგემართათ? რა გატირებთ? მიზარით, ნუ მკლავთ. ეს ორი უკანასკნელი საათია მე მკვდარი ვარ, არ ვცოცხლობ კი, ვიტანჯები. მე ხომ არა გაწყენინეთ რა მითხარით, ნულარ მაწვალებთ.

იზა ტახტიდამ ჩამოვიდა, ხელი მოჰკიდა ოსკარს და გვერდით მოისო. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

- არა, ჩემო მეგობარო, არა, თქვენ არა ხართ მიზეზი, - უპასუხა იზამ, - პირიქით, თქვენგან, როგორც ჩემის კეთილისმყოფელისაგან, მოველოდები შველას და ხსნასა!.. ოჰ, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ!

- ნუ სტირით, იზავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ამ სიტყვებზედ მოეხვია. იზამ თავი იმის მკერდზედ მოიხარა და გულამოჯდომით სტიროდა. ოსკარს სისხლი თავში აუვარდა და სრულებით დაიბნა.

- კმარა, იზავ, - უთხრა მან ათრთოლებულის ხმითა, - ერთი თქვენის მწუხარების მიზეზი მითხარით... იზავ, გესმის, მე მსურს ყველაფერი შევიტყო... მითხარ, შენ გეთაყვანე, შენ!..

- ვერ გეტყვით, ვერა! ვიცი, გიყვარვართ და მე მეშინია თქვენი სიყვარული არ დამეკარგოს.

- ხომ იცი, რომ მე შენს სიყვარულს გულიდამ ველარ ამოვიღებ, მითხარი...

- რომ იცოდე, რა ცეცხლი მიკივია გულში. ის მერჩივნა მომკვდარვიყავ. სინიდიისი, სინიდიისი მამხილებს მე და მეუბნება, ეგ სულ შენი ბრალიაო...

- ნუ სტირი, იზავ, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო!

ეუბნებოდა და ჰკოცნიდა თვალებში, თითქო თავისის კოცნით უნდა ცრემლები მოსწმინდოსო.

- მომხედე მე მაგ მშვენიერის თვალებითა, - განაგრძო ოსკარმა, - გული დაიმშვიდე და მითხარი, რა გაწუხებს. შენ თვითონ არ იცი, რას ვლაპარაკობ; მეც ვერა გავიგე რა... გონება მოიკრიფე... მითხარ, ისეთი რა მოხდა?

- თქვენ არ მომიძულებთ, რომ მე უღირსი რამ მომეხდინოს... თქვენს სიყვარულს არ მომაკლებთ, რაც უნდა დამმართოდეს?

- ღმერთო ჩემო გულს მიხეთქ... ნუღარ მაწვალე, მითხარი ჩქარა.

- მაშ ყური მიგდეთ.

ხელიდამ გამოუსხლტა, დაეცა ოსკარის წინ მუხლებზედ და მოჰყვა ხელების მტვრევას.

- ახა, ღმერთო ჩემო! აღარ იტყვი, რა ამბავია? - დაიძახა ბოლოს ოსკარმა, სრულიად შემკრთალმა და შეშინებულმა.

- ოსკარ, - დაიწყო იზამ ვედრების ხმითა, თითქო რაშიმე დამნაშავე არისო, - ის დაჭერილი კაცი, რომელიც დღესა ვნახეთ, ჩემი ძმა არის. ანდრე გუდარი კი არა ჰქვიან, გიორგი გრეგორია. დიად, ჩემი ღვიძლი ძმია და მე უმადურმა, როცა ბედნიერებაში ჩავვარდი, დობა აღარ გავუწიე და დავიწყებას მივეც.

- მაშ ეგ არის? ეხლა მესმის თქვენი მწუხარება, - უთხრა ოსკარმა და ფეხზედ წამოაყენა, - ნუ სტირი, საყვარელო მეგობარო. ეხლა ვიცი, რა მიზეზითაც შემოგეყარათ გული. ოჰ, თქვენმა გულისშემოყრამ რარიგად შემაშინა.

იზამ ისე აჩვენა თავი, მითამ არა მესმის რაო, იდგა ისე, ხელებს იმტვრევდა მწუხარებით და დუდუნებდა, მითადა თავის თავს ელაპარაკება:

- ჩემი ძმა! ჩემი... ციხეში ზის!

- ნუ გეშინიათ, იზავ! გამომძიებელის განკარგულებით ციხეში ჯდომა უპატიურობა არ არიო. თქვენ თითქო წინადვე იგრძენით, რომ მახლობელ კაცს ესარჩლებით, გუშინ რომ ისე ჰკვიანურად მიმტკიცებდით მის სიმართლესა.

- ოჰ, ეხლა უფრო მეტად მჯერა, რომ გრეგოროს მაგამი ერთი ბეწვი ბრალიც არა აქვს.

- ჩემო საყვარელო იზავ, გამიგონეთ. მე გუშინვე დავრწმუნდი, რომ მართლა უბრალოა და მინდოდა კიდევ გამომეშვა, მაგრამ დღეს სხვა ახალი საბუთი ჩავგივარდა ხელში... ფიქრი კი ნუ გაქვთ, ერთი ორიოდე დღე კიდევ მოუგვიანდება ციხეში, სხვა არაფერი... მე ბძანებას მივცემ, რომ დღეის იქით კარგად მოეპყრან.

იზას კანკალი მოუვიდა, ოსკარმა რომ სთქვა, ახალი საბუთი ჩავგივარდა ხელშიო.

- კიდევ ბრალს რასმეს სდებენ? ოსკარ, მითხარით, რა ახალი ცილი შეუწამებიათ?

- ნუ სწუხართ, ჩემო კარგო; მე გეუბნებით, რომ ყველაფერი გარიგდება-მეთქი.

- მაინც მინდა ყველაფერი ვიცოდე.

- თქვენ ხომ იცით, იზავ, რომ ანდრე გუდარი არაფერს პასუხს არ

იძლეოდა, როცა პირში წავუყენებდით ხოლმე მოწმებსა; ცუდის ყოფაქცევის კაცი ყოფილა თურმე გუდარი ამტკიცებს, რომ ბანკის ბილეთები ჩემი არისო, თქვენ კი ამბობთ, ჩემი ძმა ღარიბიაო...

- მე ეგ არ მითქვამს; მე მარტო ის გითხარით, რომ ერთი დამთხვეული რაღაც რამ არის-მეთქი, გზაკვალარეული. საშინელი მოთამაშეა ქალაქისა, მაგრამ თუნდა დავიფიცავ, რომ ავკაცობას კი არ იქმნოდა თავის დღეში. აბა მითხარით, სხვა რა საბუთი უპოვნეთ?

ოსკარმა ამოიღო უბიძამ ბარათი, გიურესაგან ხელმოწერილი და წაიკითხა შემდეგი: “დღეს სასამართლოში ვერ გიახლებდით; ჩვენ ახალს გეშს წავაწყდით; თუ არა ვცდებით, ჩვენ შეურყეველი საბუთი გვექნება გუდარის გასამტყუნებლად. გუდარიც მაგას უარს ვერა ჰყოფს. იმედი მაქვს, ხვალ საბუთი წარმოგიდგინოთ”.

- ჭკუაზედ შეშლილან.

- ხვალ ყველაფერს შევიტყობთ, - უთხრა ოსკარმა, -კმარა მაგაებზედ ლაპარაკი. თუ, როგორც იმედი მაქვს, შესაძლო იქნება, ხვალვე გამოვუშვებ.

ორივე ჩაჩუმდნენ კარგა ხანს.

- ჩემო კარგო და ძვირფასო იზავ, - განაგრძო მერე ოსკარმა სატრფიალო ხმითა, - რა საშინელი მწუხარება გამოვიარე მე დღეს; რომ იცოდეთ, რა ტანჯვაში ვიყავ, თქვენს ცრემლებს რომ ვუყურებდი... რარიგად მიყვარხართ მე, იზავ! ოჰ, რა გიჟური გულისთქმა მწვავს და მდაგავს. უნდა იცოდეთ, რა ცეცხლი მეკიდება, როცა გულზედ მიგიკრავთ ხოლმე...

ამის თქმაზედ გადაეხვია იზას და ცეცხლმოკიდებულ ტუჩებით ზედ დააკვდა იზას ლოყასა. გონება სრულიად გამოეცალა.

- თავის დღეში, იზავ, მე არ მიგრძნია ის, რასაც ეხლა ვგრძნობ შენს ახლოს. როცა გეუბნები “მიყვარხარო მე მგონია რომ ჩემი სიტყვა უღონოა გამოსთქვას ის, რასაც ვგრძნობ. იზავ, შენ მე არას მეუბნევი პასუხად. იზა, მომხედე და მითხარ რამე... იზავ, რატომ არ გებრალეები!..

იზა თითქო ეხლა გამოფხიზლდაო, შეხედა ოსკარს გაოცებულმა, თითქო უკვირს, ეს როგორ მოხდა, რომ მე ოსკარი მეხვევაო. სწრაფლად გამოეცალა ხელადამ, ორივე ხელი ჩამოართო, ისე მოიხარა თავი, რომ პირისახე ოსკარის პირისახეს დაუსწორა, თვალები აუბრიალდა, ტუჩებმა თრთოლა დაუწყეს და ისეთის სიკეკლუციით უთხრა, რომ კაცი ვერ გამისთქვამს:

- მართლა გიყვარვართ კი?

- მართლაო!.. მიყვარხარ გაგიჟებით, აღტაცებით!..

- თუ მოინდომებ, მეც მეყვარები. მე იმას აღარ გამოვუდგები, რა ბოლო ექმნება ჩემს სიყვარულს. მე თუ შევიყვარებ კაცს, მთელის ძალით შევიყვარებ, მერე იმისთანა სიყვარულით, რომელიც არასდროს და არასფერში ადამიანს თავს არ აზოგვინებს... ხოლო მოიგონე კი, რა გითქვამს შენ ჩემთვის...

- რაღა მოგონება უნდა... მიბძანე და ასრულებული იქნება.

- ამ რამოდენისამე დღის წინად შენ მე მითხარი: ოღონდ კი შემიყვარე და რასაც მთხოვ, ყველას აგისრულებო.

- ეხლაც მაგასვე გეტყვი.

განგებ თუ შემთხვევით, იზამ ერთი ხელი განუთავისუფლა ოსკარსა და ოსკარმა ლამაზი იზა გულზედ მიიკრა.

- მეც ჩემის მხრით გითხარი: მე მარტო იმისთანა სიყვარული მჯერა-მეთქი, რომელიც ყოველიფერზედ მზად არის კაცს თავი გააწირვინოს.

- მიბძანე, ჩემო სალოცავო იზავ... მიბძანე, ყველას აღვისრულებ, იმიტომ, რომ მიყვარხარ.

სთქვა ეს და დაუწყო კოცნა.

- მე გითხარი მაშინ შენ, იმისთანა საქმეს დაგავალე-მეთქი, რომ როცა ჩვენი სიყვარული განელდება, შენ გახსოვდეს, რომ ჩვენ შორის საერთო საიდუმლოა, რომლის მიზეზით განუყრელად უნდა ერთად ვცხოვრებდეთ.

- მითხარ რაღა, რა გინდა! ჯერ კი ჩემი კოცნა უკანვე დამიბრუნე.

- აჰა, კარგი, - უთხრა იზამ და აკოცა, - თუ მოინდომებ, შენი ვიქნები... მე შენ მიყვარხარ, ოსკარ.

ვერშემონი სიხარულისაგან სულ გადირია. მაგრამ ამ დროს იზა ხელადამ გამოუსხლტა, ერთი-ორი ფეხი უკან დაიწია და უთხრა:

- წადი და ეხლავ გამოუშვი გიორგი... ანდრე გუდარი... და მერე ისევ ჩემთან მოდი... მაშინ საუკუნოდ შენი ვიქნები.

- რას ამბობ, რას?

- ეგ ის მსხვერპლია, რომელსაც სიყვარულის სახელით მე შენგან ვითხოვ, ძმა დამიხსენი და მე შეგიყვარებ.

ოსკარმა გორებადაბნეულივით შეხედა იზას, თითქო ვერ მიმხვდარა, ეს რა ამბავი დაემართაო. ქალი ითხოვდა სწორედ იმას, რის აღსრულებაც შეუძლებელი იყო.

- გამიგონე, ოსკარ - განაგრძო იზამ, - დღეს დილით შენა მკითხე, როდის აღსრულდება შენი პირობაო. მე გიპასუხე, მაშინ-მეთქი, როცა რაც მინდა, აღმისრულებ. შენ მითხარი, ვინ იცის, როდის იქნება ეგაო. რომ შორს არ გადაგვედვა, მე პასუხად მოგეც, რომ შენზე არის დამოკიდებული-მეთქი. ოსკარ, თუ მე შენ მართლა გიყვარვარ, დღესვე გამოუშვებ ჩემს ძმას ციხიდან.

- შეუძლებელია.

- მაშ, მშვიდობით!

- იზავ, თქვენ ჩემგან უნამუსობას ჰთხოულობთ. განა შეგიძლიათ უნამუსო კაცი შეიყვაროთ?..

- მე იმას შევიყვარებ, ვისაც მე ვუყვარვარ. ან მშვიდობით, ან ნახვამდის, ოსკარ... თუ გიორგის გამოუშვებ, დღეს საღამოზედ ისევ ჩემთან მოდი... მაშ ეგრე, საღამომდის...

იზამ კეკლუცად და სანდომიანად გაუღიმა და უცებ გავარდა ოთახიდან.

- საშინელებაა! - დაიძახა ოსკარმა, წამოხტა სკამიდან, ყელსახვევი მოიგლიჯა, თითქო ყელში რაღამაც წაუჭირაო. ბარბაცით მთვრალივით მივიდა, დაავლო ხელი ქუდს და წავიდა შინ. მიმავალი ქუჩა-ქუჩა მიიძახოდა:

- არასოდეს! არასოდეს!

ამასობაში იმისი ცეცხლმოკიდებული ტვინი სხვაფრივ ჰმოქმედებდა; იზას საწოლი, ხვევნა-კოცნა, ყოველივე ეს წარმოუდგა თვალწინ, საუცხოვოს

შუქით გაბრწყინვალეებული; მერე მოეჩვენა სენაკი ტუსადისა. ამ სენაკიდან ტუსადი რომ გამოუშვას, სამაგიეროდ მიიღებს ტრფიალებას მშვენიერის ქალისას. ეს ფიქრები მოაწვა გულზე, ჰჯიჯგნიდა გულს და გამწარებული თანდათან ფეხს უჩქარებდა, ასე რომ ვერც კი ამჩნევდა, რომ გამვლელ-გამომვლელი ამის დანახვაზედ შედგებოდნენ ხოლმე და უკვირდათ - ამ კაცს რა ემართებაო.

შემოდგომის ბოლო იყო; ციოდა და ოსკარი კი გულგადაღელილი, უყელსახვევოდ მიემურებოდა, წამდაუწუმ იხდიდა ქუდს და შუბლიდამ ოფლს იწმენდა. საკვირველი არ არის, რომ გამვლელ-გამომვლელს ჭკუაზედ შემცდარი ეგონათ.

ბოლოს შედგა და გონება მოიბრუნა. ოჰ, არა! გულმა სრულიად დასძლია და დაიმორჩილა, უფრო გულდამშვიდებული კი წავიდა, მაგრამ აი არ ფიქრებმა დაუწყეს თავში ტრიალი.. “უბედური! - ჰფიქრობდა იგი, - ძმა რომ ჰნახა დატუსაღებული ციხეში და საშინელს ბრალში გარეული, ელდა ეცა... თავის თავს აბრალებს ძმის ამ ყოფას, მე ავიღე ჩემს ძმაზედ ხელიო. გულჩჩვილია, როგორც ყოველი ქალი და მარტო გულის ძგერას აჰყოლია. უნდა ძმა ციხიდან დაიხსნას და ამათ შეიმსუბუქოს თავისი დანაშაული მის წინაშე. სცოდნია, რომ კაი კაცი ყოფილა და არა სჯერა ეხლა იმისი ავკაცობა, მაგრამ სამაგელი რამ კია... მართალია, ქალი იმის ხელით არ უნდა იყოს მოკლული, მაგრამ მაინც სამაგელი რამ არის... ახლა, მართლა რომ ვსთქვათ, იმისთანას მითამ რას ითხოვს ჩემგან იზა? მარტო სამართლიანობას, სხვას ხომ არაფერს! მე ხომ არავითარი უეჭველი საბუთი არ მიჭირავს ხელში მის გასამტყუნებლად. ჩემი ვალია ციხიდან განვათავისუფლო და მარტო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დავაყენო. რაკი არაფერი საბუთია, მე ცუდად ვშვრებოდი, რომ ციხეში მეჯდა აქამდინაც... ან საიდან მომივიდა ფიქრად, რომ, რაც იზამ მთხოვა, უკადრისი საქციელია... სადა მქონდა გონება? ისე როგორ მოვლორდი, რომ იზას ვუთხარი, შეუძლებელია-მეთქი? აქ შეუძლებელი რა არის, რომ თვითონ სამართლიანობა ითხოვს, უსაბუთოდ კაცი არ იტანჯებოდეს. იზა მართალია დღესაც, როგორც გუშინ. თავის პატიოსანის გულით გამოიცილო მართალი და ეხლა ითხოვს ჩემგან, ცუდკაცობას კი არა, კარგს საქმეს, სამართლიანობას”.

“იზას სურვილი რომ ავასრულო, - განაგრძო ოსკარმა ფიქრი, - ის კაცი განვათავისუფლო და ხვალ გამოჩნდეს, რომ კაცის მკვლეელია, მერე... მერე რა? ხვალინდელი დღე ჩვენ არ გვეკუთვნის. უსაბუთოდ დატყვევება ციხეში კაცისა ბოროტმოქმედება იქნება ჩემის მხრით, მით უფრო, რომ გუშინ დავრწმუნდი, დამნაშავე სულ სხვა კაცია... ამას გარდა, ანდრე გუდარი სხვა ქვეყნის კაცია, იმისი დატუსაღება ერთს ალიანქოთს ასტეხს. ყოველივე ეგ საჭიროა ცნობაში მოიყვანოს კაცმა”.

ამ ფიქრებში მყოფი ოსკარი შედგა და გადაეყუდა წყლის პირს გავლებულს მუაჯირსა და ხმამალა სთქვა:

- საწყალი იზა! რარიგად უნდა სწყენოდა ჩემი მკვახე სიტყვა! რით უნდა გავისწორო ჩემი დანაშაული? იმით, რომ უნდა სურვილი აღვუსრულო...

მაგრამ განა ეგ იკმარებს კი?..

თვალი ააყოლა წყალს და სახეზედ სიამოვნება გამოეხატა; წარმოუდგა თვალწინ იზას სიყვარული და ოსკარის ნეტარებას სამზღვარი არა ჰქონდა.

ბოლოს გაიფიქრა; ერთი კარგად უნდა გადავსინჯო კიდეც საქმე და, რაც საჭიროა, იმისთანა განკარგულება მოვახდინო.

ეს რომ გადაწყვიტა, სრულიად დადინჯებულმა გაჰსწია სასამართლოსაკენ. ეგრე გვიან მისვლამ გააკვირვა მოსამსახურეები. რაც მოხელენი იყვნენ, თითქმის სულ წასულიყვნენ შინ. მდივანი ოსკარისა ჯერ არ წასულიყო და ეს ძალიან იამა ვერშემონსა.

- ძალიან მიხარიათ, რომ აქ დამხვდით, - უთხრა მდივანს, დაწერეთ...

ამ სიტყვაზედ ცოტა შედგა და იმწამსვე დაუმატა:

- თქვენ წინ, მგონი, გუდარის საქმეა.

- დიად.

- მე მომეცით... მე ახალი ცნობები მივიღე... ეგ კაცი შეცდომით ჩავვიგდია ამ ყოფაში... ერთი ჩქარა დაწერეთ ბძანება, რომ გამოუშვან.

- გამოუშვანო - ჰკითხა გოცებულმა მდივანმა.

- დიად, ააჩქარეთ, თუ ღმერთი გწამთ.

ეს რომ სთქვა, გამომძიებელი წამოწითლდა; მდივნისა შერცხვა და ქალაღდებს შლა დაუწყო. მდივანმა ბძანება მოამზადა. გამომძიებელმა ხელი მოაწერა და უთხრა:

- თქვენ თვითონ წაიღეთ, თორემ ხვალამდე არ გამოუშვებენ და თვითონ გუდარიც აქ მომიყვანეთ.

მდივანი თავის ქნევით გამოვიდა ოთახიდან. ამისთანა ამბავი თავის უფროსის წინდაუხედაობად ეჩვენა.

მარტო რომ დარჩა ოსკარი, მოაგროვა ქალაღდები, რაც გუდარის საქმეს ეკუთვნოდა, და პორტფელში ჩაიწყო.

- მტყუანია თუ მართალი, ეგ მე არ ვიცი, - სთქვა თავისთავად ოსკარმა, - იმწამს კი, როცა მე ხელი მოვაწერე, ჩვენ მისი გასამტყუნებელი საბუთი ხელში არა გვქონია...

ამით დაიმშვიდა გული, გააღო ფანჯარა და ჩაფიქრდა. ფეხის ხმა მოისმა და უკან მოიხედა. მდივანმა გუდარი შემოიყვანა ოთახში. ვერშემონმა მაშინვე მიკეტა ფანჯარა და უთხრა გუდასს:

- რად დაგვიმალეთ, გუდარ, თქვენი ნამდვილი სახელი?

- საფრანგეთში ანდრე გუდარის სახელით ვიმყოფებოდი. ჩემი ნამდვილი სახელი კი გიორგი გრეგოროა.

- თქვენ იცნობთ გრაფინას სეგლენ-ზინსკისას?

- ჩემი მწყალობელია.

- იმის წყალობითა ხართ დღეს თავისუფალი.

- თავისუფალიო! მადლობელი ვარ, ძლიერ მადლობელი!

- გრაფინამ იმისთანა საბუთები წარმომიდგინა თქვენზედ, რომ მიზეზი აღარა გვაქვს ციხეში გამყოფოთ.

- მოგახსენებდით, რომ მართალი ვარ-მეთქი. თუმცა მაწუხებდა ციხეში

ჯდომა, მაგრამ იმედი მქონდა, მალე გამიშვებდით.

- მე გირჩევთ, ეხლავ წახვიდეთ და გრაფინას მადლობა გადუხადოთ.

- ყველაზე უწინ იმას ვეახლები .

გუდარი გამოვიდა, გამომძიებელმა ამოიოხრა და თვალები დაბლა დაიღო. მდივანმა, გაოცებულმა გუდარის გამოშვების გამო, მოაგროვა ქაღალდები და დააპირა შინ წასვლა.

- გამომძიება მაგ კაცზედ უმაღლესის მთავრობის ბძანებით მოისპო - ჰკითხა მან გამომძიებელს.

გამომძიებელმა უფრო ძირს ჩაჰკიდა თავი, რომ თავის სახის სიწითლე არ შეემჩნივებინა.

- არა, მე სრულებით დავრწმუნდი, რომ სხვა არის დამნიშავე, გიურე შეცდა, ბოთე კი მართალი გამოდგა.

- დამნიშავე მორის ფერანია?

- სწორედ. მე ხელში მაქვს ბარათი ქალისა, მისის ამხანაგისა, და ის ბარათი ამტკიცებს იმის დანაშაულობას. ხვადამბარათს თქვენ გადმოგცემთ... ეხლა კი შეგიშლიან შინ წახვიდეთ. მე კიდევ ცოტა ხანს დავრჩები აქ, მინდა ბარათი დავწერო.

მდივანი წავიდა. ოსკარმა ბარათი დაწერა, დაბეჭდა და ზედ დააწერა; "გრაფინას სეგლენ-ზინსკისას, ფრინდლანდის ქუჩა". მოსამსახურეს უბძანა ბარათი წაიღეო და თვითონ შინ წავიდა.

გზადაგზა, რაღა თქმა უნდა, გუდარის განთავისუფლების ამბავი მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ გაიფიქრა, ავჩქარდიო, მერე კი თავის თავი დაარწმუნა, რიგიანად და კაცთმოყვარებით მოვიქეცი და ლეა მედანის მკვლელი ფერანია და სხვა არავინაო. მას მერმედ თვალწინ წარმოუდგა გონების მიმტაცებელი სახე იზასი და ლეა მედანის სახე დავიწყებას მიეცა.

სრულად დარწმუნებული იყო, რომ ეხლა იზა ამისია, რადგანაც გუდარი განათავისუფლა. ამ იმედით ერთი პატარა ლამაზი სახლიც იყიდა იზასათვის შალიოს ქუჩაში და აპირებდა იქ დგომას იზასთან ერთად, თუმცა საქვეყნოდ კი სურდა თავის უწინდელს სახლშიაც ბინა არ მოეშალა.

ახლა გუდარის ამბავს მოვყევით. როცა შეიტყო გამომძიებლისაგან ციხიდან გამოშვების ამბავი, მაშინვე მიხვდა, რომ ეს იზას საქმეა. არც აქამდე ჰქონდა ეჭვი, რომ დღეს იქნება თუ ხვალე ციხიდან გამოუშვებდნენ და სასამართლომდის მისი საქმე არ მიახწევდა. ეს იყო მიზეზი, რომ ყურსაც არ იბერტყავდა და პასუხს არ აძლევდა ხოლმე გამომძიებელს. თვითონაც მტკიცედ იყო დაჯერებული, რომ გასამტყუნებელ საბუთებს ვერ იპოვიდნენ. თუ იმ ბანკის ბილეთებს იტყვიანო, - ფიქრობდა გულში, - მე მოწმეს ვიშოვნი, რომ მე და ლეა მედანი ერთად აღებ-ვიცემობით ბანკის ბილეთების შესახებაო, მარტო ეტლის პატრონისაღა, რომელიცა ჰმოწმობს, რომ მოკვლის ღამეს მე და ლეა მედანი მიუყვანივართ. მეც უარს არ ვამბობ, მეც ვამტკიცებ, რომ იმ ღამეს ლეა მედანთან ვიყავ, აქ იმისთანა რა საბუთიაო. ჰგრძნობდა კი, რომ ყოველივე ეს ვერაფერი პასუხია და გულში მაინც შიშობდა. გამომძიებელს ლაჰარაკში შეატყო, რომ გულში დარწმუნებულია ამას

დანაშაულობაზედ. მაშ რატომ ჩვეულებისამებრ არ მითხრა, რომ ვწუხვარ, უბრალო კაცი ამდენს ხანს დაჭერილი მყვანდიო. ჩანს, სხვა მიზეზით გამომიშვა და არა იმიტომ, რომ მართალი ვეგონეო. მე ლაპარაკში შეგატყე, რომ მირჩევდა, რაც მალე წახვალ პარიზიდან და გადიკარგები, უფრო უმჯობესი იქნებაო. მაგრამ ხვალისათვის რაღა დროს ფიქრი იყო, საქმე ის იყო, რომ გუდარი დღეს თავისუფალია.

- თავისუფალი ვარ! თავისუფალი! - იძახოდა გულში გზადაგზა. როცა იზასთან მივიდა და კარის ზარი ჩამოაწკარუნა, ჟუსტინა მიეგება, იცნო და უთხრა:

- ჩქარა ადით. გრაფინა გელით.

შევიდა იზას ოთახში და ორივე ხელი გაუწოდა იზას. იზამ ძალიან ცივად ჩამოართვა ხელი, მაგრამ გუდარმა იცოდა იზას უხიაკობა და არ იწყინა ამისთანა დახვედრა.

- მე ციხიდან გამომიშვეს და მოველ, მადლობა გადაგიხადო.

- ხომ ხედავ, აღთქმული აგისრულე. შენმა გაუფთხილებლობამ კინაღამ ბოლო არ მოგიღო.

- მართალია.

ტყუილუბრალოდ დროს ნუ ჰკარგავთ. აქ მალე ერთი კაცი უნდა მოვიდეს და არ მინდა შენ აქა გნახოს. როგორც დაგარიგე წიგნში, სწორედ ისე მოიქეცი, თუ არა? გამოგკითხეს რამ?

- თითქმის არ გამოუკითხავთ რა. მარტო მკითხა, შენი ნამდვილი სახელი რა არისო? როგორც მოგეწერა, მეც ისე ვუთხარი. სხვა პასუხებიც მზადა მქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მალე უნდოდა თავიდან მოვეშორებინე და ასე გამოვიდა, თითქო ჩემი მადლობელი დარჩა, რომ ისე მალე მოვშორდი.

- შენ უნდა იცოდე, რომ შენმა სიმართლემ კი არ დაგიხსნა ციხიდანა. არც ერთი საბუთი არა გაქვს, თავი იმართლო, დღეს, ხვალ და ხვალ ზევით შიში ნურაფრისა გაქვს. გამომძიებელი დღეს აქ მეყოლება დამწყვდეული. ხვალზევით კი კვირაა. მაშასადაე, შენს ხელთ არის თითქმის სამი დღე. რაც შეიძლო, აჩქარდი და ამ სამს დღეში გადიკარგე საითმე პარიზიდან. ფული გაქვს?

- თითქმის არაფერი.

- მე მოგცემ. აი სამი ათასი ფრანკი, გასწი და მომწერე ხოლმე... ნემეცურად.

იზამ ფული ჩააბარა.

- გმადლობ! - უთხრა გუდარმა და ფული ჯიბეს იკრა.

- ჰკვიანად იყავ. ამაღამვე თავს უშველე. მეორედ თუ ისევ ხელში ჩაუვარდი, ვეღარ დაგიხსნი.

- მშვიდობით, იზავ. ერთს არ მაკოცნიებ?

- აჰა, ოღონდ კი მალე წადი... მაშინვე წიგნი მოიწერე... მე გული არ მომისვენებს, მინამ არ შევიტყობ, რომ სამშვიდობოში ხარ.

გამოესალმნენ ერთმანეთს და, როცა გუდარი გადიოდა, იზამ უთხრა:

- შინ ნუ შეხვალ... ყველაზე უარესი მტრები შინა გყავს.

- მაგას მეც დაგიფიცავ.

გუდარი წამოვიდა იზას სახლიდან ძალიან ავ გუნებითა. იმას ეგონა, რომ იზა ტრფიალებით მიიღებდა. ამის მაგიერ იზა ძლივს ახერხებდა, რომ თავისი ზიზღი არ გამოეჩინა.

- იზავ, დამაცა, მაგვარ დახვედრისათვის, როცა იქნება, პასუხს მამცემ, - ბურღლუნებდა გზადაგზა გუდარი, - მაგას ვალად დაგაწერ. ჯერ რაც შეიძლება ბლომად დაგტყუებ ფულებს, მერე ვიფიქრებ, როგორ გადაგიხადო სამაგიერო. მწარედ ინანებ, რომ უმადურად მომექეცი.

გუდარი პარიკმახერთან შევიდა, წვერი მოიპარსა, თმა გაიკრიჭა, მერე წავიდა ტიუსსოს სახლისაკენ.

“რატომ არ უნდა წავიდე იქ, - ფიქრობდა გზადაგზა, - იქ ანგარიშები მაქვს გასასწორებელი”.

ათი წუთი არ გასულა გუდარის წასვლის შემდეგ, რომ მოსამსახურემ ოსკარის ბარათი მოუტანა იზას.

- პასუხს თხოულობენ? - ჰკითხა ჟუსტინამ მოსამსახურეს.

- არა. ბატონო, - უპასუხა მოსამსახურემ.

მოსამსახურე წავიდა და ჟუსტინამ ბარათი ქალბატონს წაუღო. იზამ სანთელი მოიდგა ახლო, წაიკითხა ბარათი თუ არა, მოჰყვა ერთს საშინელს ხარხარს. მიაწოდა ბარათი ჟუსტინას და უთხრა:

- ერთი წაიკითხე, ჟუსტინავ, სულ გადარეულა. ხა, ხა, ხა!

მოახლემ წაიკითხა და ისიც მოჰყვა ხარხარს.

- ხა, ხა, ხა! აბა ჰკუა ეგ არის, აი! - სთქვა ჟუსტინამ, - ხა, ხა! ლამის სიცილმა დამაოსოს. ქალბატონო, ამას კი სწორედ ჰყვარებიხართ.

- მართალია, მაგრამ ცოტა ჭარბად მოსვლია.

დაეცა ტახტზედ და დიდხანს სიცილი არ მოუშლია.

- აბა, ჟუსტინავ, უნდა მოვემზადნეთ, ჩემო კარგო მე პირობა მივეც და უნდა ავასრულო. ხვალ ჩვენ მდიდრები ვიქნებით.

VII

აყალმაყალი ოჯახში

მას მერმედ, როცა კლოდ ტიუსსომ ლუი პალიარი ჰნახა და სხვა ახალის პირობით შეეკრა, სახელდობრ, როცა უნდოდა და რამდენიც უნდოდა ცოტცოტობით შეეძლო გადაეხადა ვალი და სარგებელიც ცოტა იყო დანიშნული, მას მერმედ-მეთქი, ტიუსსოს სახლში ისევ მხიარულება დატრიალდა. სესილის თხოვნამ ქმართან განქორწინების შესახებ გასჭრა; მშვიდობიანობა ჩამოუვარდათ სახლში, სიძეს ყველამ ზურგი შეაქცია და თითქმის მისი სახელის ხსენებაც აღარ იყო ხოლმე. როცა სესილზედ ჰლაპარაკობდნენ, მამის გვართ ახსენებდნენ ხოლმე. ტიუსსომ რამდენჯერმე ინახულა გიურე, ეხმარებოდა კიდევ საქმეში და ბევრი ავკაცობა შეიტყო თავისის სიძისა. ტიუსსოს უხაროდა, რომ მისი სიძე ისე გაბმული იყო

დანაშაულობაში, რომ ხსნა აღარ საიდანა ჰქონდა.

იმ საღამოს, როცა გუდარი გამოუშვეს და როცა ჩვენ გვინდა შევიყვანოთ მკითხველი ტიუსსოს სახლში, ტიუსსო დიდს წვეულობას აპირებდა. ის დღე სესილის სახელწოდების დღე იყო. რაც ავი დღეები იყო, როგორც იყო გადურჩნენ ეხლა. უხაროდათ კიდევ, რომ შემთხვევა მიეცათ პატარა ემხიარულნათ და გაერთოთ საწყალი სესილი. მორისის თაობაზედ კაი ამბები ამოსდიოდათ. დილით ამელი ყოფილიყო და ეამბნა, რომ მდივანი ვნახე გამომძიებელისა, მხიარულად დამიხვდა და მითხრა, ამ ორიოდ დღეში გამართლებულს მორისს განათავისუფლებენო. სესილი დედ-მამის სახლში თავის ჩვეულებრივს ცხოვრებას მიეცა, რაკი ქმარს მოშორდა სამუდამოდ, გადმოიტანა დედ-მამასთან თავის მზითევი, სამკაულები და წინანდელი ოთახი დაისაკუთრა. ნელის სიხარულით უცემდა გული ამ ახალგაზრდა ქალს, რაკი ხედავდა, რომ დედ-მამის სახლში აღარაფრის შიში არა აქვს; რომ საუკუნოდ მოშორდა თავის მტანჯველსა; რომ ყველა თავს დასტრიალებს და ყველა პატივს სცემს. რა სიამოვნებით უყურებდა ეხლა თავის მომავალ დღეებსა. შვილს გავზდიო, მოტყუებულის ქმრისა აღარ მეშინებაო. სესილი გულმავიწყი არ იყო; რომ მოაგონდა, რა უბედურებაც გადახდა, უკვირდა, ცოცხალი როგორ გადავრჩიო. მაშინ მოაგონდა თავგამომეტებული ყმაწვილი კაცი, რომელიც ხიდიდამ გადავარდა წყალში და სესილი წყლიდამ გამოიყვანა. მოაგონდა და იმისი ნახვა მოუნდა, მოუყვანეს შადი. როცა შადიმ ჰნახა, რომ მეორედ მადლობას უხდიან, სიამოვნებით წამოწითლდა, ვეღარ უთხრა უარი ტიუსსოს და ამის ქარხანაში ქარგლად გადმოვიდა. მოკლე ხანში ეს ვაჟკაცი ყმაწვილი ბიჭი თითქმის შვილად გახდა ტიუსსოს ოჯახში. ისე მიენდნენ, რომ მთელი ქარხანა ამას ჩააბარეს, ამას მიანდეს ფულის მიღება და დარიგება. ძალიან მოსწონდა შადის ეს თანამდებობა, იმიტომ რომ მის ცოცხალს და მკვირცხლ ბუნებას ძალიან შეეფერებოდა ეს ხელ-ფეხის დაუწყნარებლობა.

სასადილო ოთახი ბრწყინვალედ იყო გაჩაღებული. თოვლსავით თეთრს სუფრაზედ ელვარებდა სუფრის სამკაული. ყვავილების კონებით მორთული იყო ყოველი კუთხე და მშვენიერი სურნელება მოფენილი იყო მათგან მთელს ოთახში. ყველანი მოისწრაფიდნენ სესილის მოსალოცავად და ანუგეშებდნენ, რომ თქვენის ქმრის უბედურება თქვენს სახელს ჩირქს არ მოაცხებსო. ყვავილებით აავსეს მთელი ოთახი. სესილი ჩავიდა ქარხანაში და მადლობა გადაუხადა ქარგლებს და მუშებს, რომელთაც თვითო ყვავილების კონა მიართვეს “პატარა ქალბატონს”, ტიუსსომ კიდევ ფუნჯი დააღვეინა თავის მუშებსა. სესილმაც ყველას სადღეგრძელო დალია და ძალიან მხიარულად იყო, რომ ყველას ასე ჰყვარებია. სადილი მზად იყო და ყველანი დასხდნენ.

მარტო მახლობელნი იყვნენ სადილად მოწვეულნი. მათ შორის იყო ლუი პალიარი, რომელიც ყოველთვის ეუბნებოდა ხოლმე ტიუსსოს, “თუ ფული გნებავთ, ნუ დამერიდებით, მე თავისუფალი ფული მაქვს”. მოწვეული იყო აგრეთვე ამელი, მორისის და, და შადი, რომელმაც უთხრა ტიუსსოს:

- მე ღვინოები ჩამაბარეთ და, რაც ბოთლებია, მე მომიწყეთ ახლო. აი,

ნახავთ, როგორ გამოვიყენებ, იმედი მაქვს, ნახშირი არ გაწვევინოთ.

სესილი ლუი პალიარის და შადის შუა იჯდა, ტიუსსო თავის ქალის პირდაპირ ცოლისა და ამელის შორის. როცა სამზარეულოდამ კარი გამოაღეს და საჭმელები შემოიტანეს, საჭმელების სუნმა დაავიწყათ სურნელება ყვავილებისა.

- კატერინავ, - სთქვა მზიარულებით ტიუსსომ, - მაგ სილამაზესთან რომ სიმღერაც გცოდნოდა, ქვეყანაზედ ვერავინ ვერ შეგედარებოდა. აბა, ჩემო გვრიტებო, იმედია, კარგად შევექცევით.

ტიუსსომ მსუნაგსავით ტუჩები გაილოკა ენით.

მინამ წვენსა ჭამდნენ, ხმა არავინ ამოიღო. წვნიანის შემდეგ შადი წამოდგა, გამოიჭიმა, როგორც ძელი, აიღო ჭიქა ხელში და სთქვა:

- მოწყალენო ხელმწიფენო, ქალნო და კაცნო წმინდა სესილის დღეგრძელობისათვის იყოს!

- ღმერთმა აცოცხლოს წმინდა სესილი! - განიმეორა ყველამ.

- ღმერთმა ჩვენს პატარა ქალბატონს ძეობა მშვიდობიანად გადაახდევინებინოს, - განაგრძო შადიმ.

ჭიქები დაცალეს და ტიუსსომ უთხრა ჩუმად პალიარს.

- უბედურებაა, რომ იმ საძაგლის ჯიშისა იქნება... საწყალი ჩემი ქალი!

სესილმა და ადელმა ერთმანეთს შეხედეს და ჩუმად ჩაიცინეს. ტიუსსოს ფიქრად არ მოსვლია, რომ სესილი დიდ ბედნიერებად თვლიდა შვილის ყოლას.

შადი თამაძობას ძალიან კარგად ასრულებდა. ხუმრობას და მასხარობას დასასრული არა ჰქონდა. ტიუსსოს ცოლმა სიცილით უთხრა შადის, ფრთხილად იყავიო. პალიარი დიდის ყურადღებით ექცეოდა კდემამოსილს ამელის, რომელიც გვერდო უჯდა. ტიუსსომ დაიმკლავა ხელები, როცა მზარეულმა მოუტანა და წინ დაუდგა მთელი ინდოური.

- ახ, ნეტავი! - დაიძახა აღტაცებით შადიმ და თვითო ხელში თვითო ბოთლი აიღო; - ახ, ნეტავი ქუჩები ამისთანებით იყოს მოკირწყლული, მაშინ მე კბილებით ვივლიდი.

ტიუსსო ამ დროს სჭრიდა ინდოურსა და ჩასცა თუ არა ჩანგალი მკერდში, შედგა და სთქვა:

- შვილებო, იცით, ამას ინდოურს რად ეძახიან? არა განა? იმიტომ, რომ ქათამია...

- ხა, ხა, ხა! - ჩაიხარხარა შადიმ.

- რას იცინი აქ სასაცილო არა არის რა. სიტყვა გამაწყვეტინე, მე მინდოდა მეთქვა, ეგ ქათამია ინდოეთისა, იქიდან არის პირველად მოყვანილი; ჯერ ინდოურს ქათამს ეძახდნენ, ეხლა მარტო ინდოურს ეძახიან.

ზარის წკარუნი მოისმა.

- ასე გვიან ვინ უნდა იყოს? - იკითხა ტიუსსომ, - ნეტავი კარები დაკეტილი ყოფილიყო. აბა, ჰნახე, შადი!

შადიმ დააპირა გასვლა თუ არა, კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ვიღაც კაცი. თითქო გველმა უკბინაო, სესილმა ისე დაიკვივლა:

- აქ ვინ მოგიყვანათ! აქ რა გინდათ?

ტიუსსო, მისი ცოლი და ამელი კარებისკენ ზურგმექცეულები ისხდნენ, სესილის პირდაპირ. შადის და პალიარს, სესილის გვერდით მსხდომარეებს, პირი კარებისაკენა ჰქონდათ, ამათგან მარტო სესილი იცნობდა ახლად მოსულს ანდრე გუდარსა, რომელიც ქუდმოუხდელი, გულხელდაკრებილი მიეყრდნო ზურგით კედელს და იქ გაჩერებულმა მკვახედ და კანდიერად წამოიძახა:

- ეს კაი ამბავია! მე ციხეში სული ამომდიოდა და ესენი კი ქეიფობენ!

ეს ხმა რომ გაიგონეს, ადელმა და ტიუსსომ მოიხედეს უკან. ყველანი წამოხტნენ ფეხზედა. ტიუსსომ გულზედ მოსულმა შეჰყვირა:

- შენ აქა ხარ... გამოქცეულხარ განა, არამზადავ... ეხლავ გაეთრიე, თორემ დაგაჭერინებ... შადი, წადი, პოლიციას შეატყობინე.

- რაებს ჰბოდავ, შე სულელო, შენა.. მე ჩემ ცოლურისას ვარ, მე სათქმელი მაქვს და ვიტყვი კიდეც. აბა ვნახავთ, ყურს როგორ არ დამიგდებთ... მე ყველაფერი ვიცი, რაც ჩემზედ საქმე ჩაგიდენიათ, ყველაზედ მძიმე საბუთები ჩემს წინააღმდეგ თქვენ წარგიდგენიათ. მე აქ არ მოგიჯდებით... ნუ გეშინიათ, მაგრამ აქედამ ისე ფეხს არ მოვიცვლი, რომ თქვენ სამაგიერო არ გადაგიხადოთ. მე აღარაფრის შიში მაქვს; რაც დამემართა, უარესს ვედარ მიზამთ, მე...

სესილი მიუხვდა, რასაც აპირობდა ის უბედური, აჩქარებით მივარდა, მკვახედ და მოკლედ უთხრა:

- აღარა გაბედოთ რა! გადით ქედამ...

ანდრემ ჩაიხარხარა.

- ის გირჩევნიათ, ბატონო გუდარის ცოლო, ხმა ჩაიწყვიტოთ, - უთხრა პასუხად გუდარმა, - თქვენ, რომელიც ცოლად არ მყოლიხართ თავის დღეში... რამდენიც გსურდეთ შვილები იყოლიეთ... თუ შენ ცოლობა არ გაგიწევია, დედაშენი ხომ...

მანამ სიტყვას დაასრულებდა, სესილმა დაავლო სუფრიდამ უშველებელს დანას ხელი და მივარდა გუდარს. დანა მოუღერა, თითქო დაკვრას უპირობსო, და შეჰყვირა:

- აბა ერთი სიტყვაც და აქვე სულს გაგაფრთხობინებ.

რომ სესილი მუქარას აასრულებდა, ამაში ეჭვი არ იყო. გუდარმა ამაზედ გული დაარწმუნა, რაკი სესილი ასე გააფთრებული დაინახა. სიტყვა შეწყვიტა და, უნებლიედ უკან დაწეულმა, ხელები მოიშველია, რომ დანა აიცდინოს.

ადვილად მისახვდომია, რა ალიაქოთი შეუდგათ აქ დამსწრეთა. მარტო ადელი დაეცა სკამზედ, თავი ჩაჰკიდა და თრთოლამ აიტანა, როცა გუდარის უკანასკნელი სტყვები მოესმა. შიშით გული მისდიოდა, აი ან ეხლა დაასრულებს სიტყვებს, ან ეხლაო. ტიუსსო კი ვერაფერს მიმხვდარიყო. რაკი დაინახა თავისი ქალი დანით ხელმოღერებული, სხვებთან ერთად მივარდა ქალს და ხელი დაუჭირა. ყოველივე ეს ისე უმაღლ მოხდა, რომ უკანასკნელმა სიტყვებმა გუდარისამ მის ყურამდინ არ მიახწია. ეგონა, სესილი გააფთრდა იმიტომ, რომ ქმრის დანახვა ეზიზღათ. შადი და პალიარი ცდილობდნენ

დანა წაერთმიათ, მაგრამ სესილი არა ნებდებოდა, იცოდა, რომ გუდარი მარტო ამ დანის შიშით ვეღარ ბედავს ლაპარაკსაო. ამიტომაც უთხრა შადის:

- დანას ნუ მართმევთ! ეგ უბედური გააგდეთ აქედამ, თორემ აქავ მოვკლავ. მოვკლავ, თუ ერთი კიდევ ხმა ამოუღია.

- ეგ ადვილია, - უპასუხა შადიმ, - მაგის აქედამ გაგდება ჩემს კისერზედ იყოს.

მინამ პალიარი დასტრიალებდა სესილს, რისხვით გააფთრებულს, შადი გუდარს ეცა.

- თავი დამანებეთ! რაც თქვენი საქმე არ იყოს, ნუ ერევით, - დაუყვირა გუდარმა, - მე ჩემს სახლში ვარ. მე აქ მინდა ყოფნა, და მინამ წავალ, მინდა, რომ ამ სულელმა იცოდეს...

სესილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იხმარა, გამოუსხლტა ხელიდამ პალიარს, მივარდა გუდარს და შეჰკვივლა:

- უსიკვდილოდ ვერ მომრჩება...

- არ გეყურება, ხმა არ უნდა ამოიღო... ხმა გაიკმანდე-მეთქი... და აქედამ გაეთრიე, - უთხრა შადიმ გუდარს და ასეთი მუშტი უთავაზა შიგ პირისახეში, რომ გუდარი კინაღამ გადიქცა. შეეჭიდნენ ესენი ერთმანეთს და ძიძგილაობა დაიწბეს. პალიარი მივარდა, ორივეს ჰკრა ხელი, გარედ გაყარა და კარები მოიკეტა.

გუდარმა, როგორც იყო, თავი დაახწია შადის, გავარდა ქუჩაში და დაიძახა:

- მობძანდი, მობძანდი, თუ კაცი ხარ...

- შენ თუ არ მითხარ, მე კი გაგეცეოდი განა! - უპასუხა შადიმ და გამოუდგა.

აქ ისევ ერთმანეთს ეცნენ. თუმცა ერთნაირის ღონითა სცემდნენ ერთმანეთს, მაგრამ შადის, როგორც უფრო ყმაწვილ კაცს, თითქო ღონე თანდათან ემატებოდაო, გუდარს კი აკლდებოდა. ბოლოს გუდარი ისე დაოსდა, რომ შადის ცემაზედ მარტო ღრიალებდა და ილანძლებოდა.

- ეშმაკმა წაგიღოს, შე არამზადავ! - ყვიროდა შადი, - მე გიჩვენებ შენს თამაშას, მაგ შენის დინგისაგან თხლე-შეჭამადს გაგიკეთებ.

ეს რომ უთხრა, ხელღონიერმა შადიმ ჰკრა მოგვერდი, არხში გადუძახა გუდარი და მუხლი გულში დააჭირა.

- დამნებლები თუ არა, ხომ ზედავ ქვეშ ამოგიდე და, რომ მოვინდომო, სულს აქა დაგალევეინებ, - უთხრა შადიმ.

უეცრად შადიმ იგრძნო, რომ გუდარმა წამოიწია და კინაღამ ქვეშ არ ამოიღო თვითონ შადი. თვითონ შადიმაც არ იცოდა, როგორ მოხდა ეს ამბავი. უმაღლ წამოხტა ფეხზედ და მოემზადა ხელახლად სცემოდა, მაგრამ წამოდგომისვე უმაღლ გუდარმა მოჰკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ცხვირპირდამტვრულმა მელიამ პატარა შორს გაიგულა თავი თუ არა, მობრუნდა, შადის მუშტი მოუღერა და შემოსძახა:

- დამაცა, შე არამზადავ, მე შენ ამას არ შეგარჩენ...

ტანისამოსს რომ ისწორებდა, შადიმ თვალი შეასწრო, რომ მიწაზედ რაღაც

ბარათი გდია კარგად დაკეცილი. დასწვდა და აიღო.

- ეს რა უნდა იყოს... წიგნია, თუ საჭიროა, ხომ მოვა კიდეც წასაღებად და მაშინ ვნახოთ... ჯერ ჩვენი ანგარიშები არ გაგვისწორებია.

ყველა გაიკვირვებს, რომ ორი კაცი ერთმანეთს სცემდნენ და სხვა ორნი კი არ ჩამოეშველნენ. მაგრამ, როცა პალიარმა ხელის კვრით ორნი გარედ გამოაგდო და მიუკეტა კარები, სესილი შეეხვეწა:

- გევედრებით, ნუ მიეშველებით, ბატონო პალიარ, აქ დარჩით და მამაჩემს ნუ გაუშვებთ.

ბევრი ცდა მოუნდა პალიარს, რომ ტიუსსო შინ დაეყენებინა.

- მე მინდა თვითონ დავუხვდე იმ სამაგელს. ოჯახის უფროსი მე ვარ, - ამბობდა ტიუსსო, - გაგვაუპატიურა და ჩემ ვალია გადავუხადო სამაგიერო. გამიშვით, პალიარ, გამიშვით.

- ნუ, ბატონო ტიუსსო, ნუ ინებებთ. მაგისათვის თქვენ როგორ შეგაწუხებთ. თუ შადი ჭკუას ვერ ასწავლის, როგორც რიგია, მაშინ მე აქ არა ვარ მე იმან გამქურდა, დედაჩემი მოატყუა და მე უნდა მოვსთხოვო პასუხი, მე...

- მაშ ერთი მივხედოთ მაინც, რა ყოფაში არიან, - სთქვა ტიუსსომ.

მაშინ სესილმა ხელი მოჰკიდა მამას და თითქმის ტირილით უთხრა:

- მამი, მე არ მინდა, რომ შენ წახვიდე... გეხვეწები... განა არა ხედავ, რარიგადა მწყინს მაგისთანა ამბები... ნუ წახვალ, შენი ჭირიმე! ნუთუ გინდა, რომ ავად გამხადო!..

- არა, ჩემო პაწაწავ, რასაკვირველია, არ მინდა. ბატონო პალიარ, ერთი გაისარჯეთ და გახედეთ, რა ამბავშია შადი...

ამ დროს კარიც გაიღო და შადი შემოვიდა მწუხარე სახით, ცხვირპირდასისხლიანებული, ტანისამოსდაგლეჯილი და გასისხლიანებულის ხელებითა, თუმცა გაფხაჭნილიც არსად რა ჰქონდა. შადის ძარღვიანი მკლავი და მუშტი ჰქონდა და კარგადაც იცოდა იმათი ხმარება.

- რა ჰქენ, - ჰკითხეს შადის.

- თუ ეხლაც ისე მირბის, როგორც ჩემგან მოჰკურცხლა, ცხრა მთას იქნება გადაცილებული. თუ სურდა, რომ რამდენსამე დღეს არავის ეცნო, ეხლა ხათრიჯამი უნდა იყოს, ისე ლამაზად შევუშალე ცხვირ-პირი, რომ თქვენი მოწონებული.

- ჩემო საწყალო ბაღღო! - უთხრა ტიუსსომ და მადლობით ჩამოართვა სისხლით მოსვრილი ხელი.

- ეს არაფერია! სამზარეულოში წავალ, თავ-პირზე ცოტა ცივ წყალს შევისხამ, გავგრილდები და ამით გათავდება ყველა. მე კარი ჩავკეტე, რომ პურის ჭამა აღარ დაგვიშალონ.

- მართალი ხარ, - სთქვა ტიუსსომ, - რაც იყო, იყო. არა ღირს ამაზედ თავი შევიწუხოთ. დროა პურის ჭამას დავუბრუნდეთ. ხვალ ვნახოთ, რა უნდა ვიმოქმედოთ.

ყველანი ისევ სუფრაზედ დასხდნენ. სესილი გვერდთ მოუჯდა დედას

და ეალერსებოდა.

- ჩემო კარგო შვილო! მე მეგონა, რომ აი ეს-ეს არის ცოცხლები დავიმარხებით-მეთქი, - უთხრა დედამ ჩუმად.

- ნულარ გეშინია, დედი! ყველაფერი ამით გათავდა.

- ჩემო საყვარელო, რა გინდოდა გექნა?

- მოვკლავდი, ერთი სიტყვა კიდევ რომ ეთქვა. ჩემს დღეში ის არ გავმხდარვარ, როგორც იმ წუთს ვიყავი... აი გამისინჯე ხელები, თითქო ცეცხლი მიკიდიო.

ჩემო საწყალო სესილ, სულ ანთებული ხარ და კანკალებ. რა გემართება, გეთაყვა?

- არაფერი. მშვიდობით გადვურჩით... გამხიარულდი, მამა გვიყურებს.

მართლა-და ტიუსსო შეწუხებულის სახით მოვიდა ამათთან.

- რა ამბავია? ავად ხომ არა ხარ, სესილ?

- ფიქრი ნუ გაქვს, მამი... მე ცოტად აშფოთებულა ვარ.

- ჩემო კარგო, ვაჟკაცო შვილო, ასაშფოთებელი მიზეზი კი გაქვს. ჩემს დღეში ისე გამშაგებული არ მინახვიხარ. სწორედ მოგახსენოთ, შენს მეგობრობას უფრო ვირჩევდი, ვიდრე შენს მტერობას. საშინელი რამა ყოფილხარ.

შადი პირდაბანილი და გაფაქიზებული შემოვიდა. თუმცა თვალი ცემისაგან დალურჯებოდა, მაგრამ მაინც კარგს გუნებაზედ იყო და ქეიფიანად, როგორც ყოველთვის.

- ბატონო ტიუსსო, - სთქვა მან სიცილით, - სულ მარტო თქვენ არ მიირთვათ, თორემ ომგადახდილს ასეთი მადა მაქვს, რომ კამეჩიც არ მეყოფა.

- მობძანდი, რაც იყო, ნულარ მოვიგონებთ, - ამბობდა ტიუსსო, - ხვალ ვეცდები, რომ ამისთანა ამბები ჩემს სახლში აღარ მოხდეს... აბა, დავსხდეთ რაღა!..

ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა. მაგრამ ისეთი მხიარულება აღარ იყო, როგორც თავდაპირველ. ამელიმ ნახა, რომ სესილს ფერი წასვლია, მივიდა და ჰკითხა დაბლა ხმით:

- ავად ხომ არა ხარ?

- ჰო, ცოტა ავგუნებად შევიქენ. ნურა გრჯის კი რა. ცოტა ხანს კიდევ, და მერე ერთს რასმეს მიზეზს მოვიდებ და ნებას მოვსთხოვ სუფრიდამ ადგომისას. შენ ამაღამ ჩვენთან დარჩი. მეშინია, ღამე უფრო ცუდად არ შევიქნე და დედას ჩემის შეწუხება არ მინდა.

ტიუსსოს ცოლი შიშით და შეწუხებით უყურებდა თავის ქალსა.

- რა ამბავია, ამელი? - ჰკითხა მან.

- მე სესილს ვუთხარ, რომ უსათუოდ ამ შფოთისაგან დაიღალეოდი და ურიგო არ იქნება ცოტა მოგესვენა-მეთქი.

- ამელი მართალს ამბობს, - სთქვა ტიუსსომ.

სესილს ნება მისცეს ადგომისა. სესილი და მისი მეგობარი ამელი ერთად გამოვიდნენ ოთახიდან. დანარჩენთა განაგრძეს სადილი კარგა მხიარულად.

შუალამე იყო, ჯერ სადილი არ გაეთავებინათ, რომ ამელი ჩამოვიდა

სესილის ოთახიდან და უთხრა, სესილი ცუდად შეიქმნა და ექიმია საჭიროვო.

- ათი წუთი და ექიმს აქ დავბადავ, - სთქვა შადიმ.

- სწორედ ამ ალიაქოთის ბრალია, - სთქვა ადელმა, - საცოდავი ჩვენი ქალი!... ტიუსსო, იმისი ყოფა მე ძალიან მეფიქრები.

- რას ამბობ, დედაკაცო! - დაიძახა ტიუსსომ და დაჰკრა ხელი მაგიდას, - თუ სესილს დაემართა რამ, მე ტიუსსო არ ვიქნები, თუ იმ არამზადა გუდარს ჩემის ხელით არ მოვკლავ.

ექიმი მოვიდა და დიდხანს არ მოუნდა ავადმყოფის სინჯვას. დედას გამოუცხადა, რომ ალიაქოთს და შფოთს ძალიან შეუწუხებია ქალი და ამის გამო წინა დღით მშობიარობა მოსალოდნელია და ამიტომაც ამაღამ ავადმყოფს ვერ მოვშორდებიო. ტიუსსომ ჰკითხა, ხომ საშიში არა მოელის რაო. ექიმმა უპასუხა, ჯერ მაგის თქმა არ შემძლიანო. თუმცა ეს კი მალონებს, რომ ძლიერი სიცხე აქვს და მეტად აღელვებულია, მაგრამ მე აქ ვეყოლები და თქვენ ნურას ფიქრი ნუ გაქვთო. ტიუსსომ დაუჯერა ექიმს და წავიდა დასაძინებლად, მაინც არაფრის გამოსადეგი იყო; ადელ და ამელი კი სესილთან დარჩნენ, რომ ექიმს დაეხმარონ, თუ საჭირო იქნება.

სესილი მეშვიდე თვეში ძლივს იდგა. ამაზედ შადიმ, თუ სახუმროდ არა, დედ-მამის ნუგეშად მაინცა სთქვა, რომ დედა შვიდი თვის ორსული იყოვო, როცა ვოლტერი დაიბადა, მაგითი ვოლტერს დღე არ დაჰკლებიაო. ნეტავი ჩვენმა ყმაწვილმაც იმდენი იცოცხლოს, რამდენიც ვოლტერმა იცოცხლაო. მაგრამ ამ ხუმრობამ ტყუილად ჩაუარა შადის, რომელმაც, რა ჰნახა, რომ ხუმრობა როგორღაც თავს არ მოდის, ხელი ჩაავლო პალიარს და შინ წამოვიდნენ.

საშინელი ღამე იყო ის ღამე მშობლებისათვის. ტიუსსოს მწუხარებით ძილი გაუკრთა. ბოლოს ადგა და წავიდა, რომ შვილის ამბავი იკითხოს. ცოლი და ამელი ტირილით დახვდნენ. სესილი თანდათან უკანდაუკან მიდიოდა და დედა ხედავდა, რომ მისი ქალი სიკვდილისა და სიცოცხლის შუა... სხვა გზა არ იყო, უკანასკნელი ღონისძიებადა უნდა ეხმარათ და მკვდარი შვილი აყოლეს. დილისათვის ყოველიფერი მორჩომილი იყო, სესილს ჩაემინა და ყველას გული დაუმშვიდდა. როცა გაიღვიძა, კიდევ საჭირო იყო ექიმის მოყვანა. სესილი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ მორჩენაზედ ჯერ ძალიან შორს იყო. ექიმმა ბეჯითად გასინჯა და თავი გაიქნივ-გამოიქნივა; ისეც მძიმე სნეულება ახლა სხვა, უფრო მძიმე სნეულებად გადაექცა. ანთება აუვარდა ტვინში, ბოდვა არ მოეშალა. ბოლოს ვეღარც რა ესმოდა, ვეღარც ვერავისა ცნობდა. მთელის საათობით გაჭიმული იწვა ლოგინზედ შეშინებულის დედის წინ, ხელს აფათურებდა, თითქო რაღასაც ეძებსო და სულ ამას იძახოდა:

- მოკვდა... აი სულ ცივია... მორის... ერთი გამიგონე, მომხედე... აგერ იქ, იქ! - ყვიროდა საწყალი და ხელს იშვერდა თახჩისაკენ, - უშველეთ საწყალს, თავსა სჭრიან... აგერ მკვდარიც დაეცა...

ამ საშინელის მოჩვენებით ზარდაცემული და შეშინებული დაეცემოდა ხოლმე ქვეშაგებზედ გონებამიხდილი.

წვეულების მეორე დილას სესილის განთავისუფლების შემდეგ, როცა კარგამყოფობის იმედი მოეცათ, ამელი გამოეთხოვა ტიუსსოს ცოლს და წავიდა ძმის საქმეზედა. ადელმა დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა, შენი საქმე ისაქმე, ნუ აუჩქარდები, აქ სამაგისო, ღვთის მადლით, აღარა არის რაო. ამელი სასამართლოსაკენ წავიდა. ეხლაც მარტო მდივანი დახვდა, მაგრამ უწინდებურად მხიარულად კი აღარა. მდივანმა უთხრა:

- ჩემო კარგო, მე რომ იმედი მოგეცით, იმ იმედმა უქმად ჩაგიარათ. თქვენის ძმის წინააღმდეგ სხვა ახალი მძიმე საბუთები აღმოჩნდა... ეხლა რასაც სამართალი იტყვის, ის იქნება.

ადვილად მისახვედრია, რარიგად მოუკლავდა გულს საწყალს ქალს ეს ამბავი. ამელი დაბარბაცდა და, რომ სკამისთვის ხელი არ ჩაეველო, ძირს დაეცემოდა. თვალთაგან ცრემლები ღაპაღუპით წამოსკდა და გულამოჯდომით მოჰყვა:

- მძიმე საბუთებიო... სამართალი იტყვისო... ოხ, მაღალო ღმერთო! ღმერთო ჩემო! ჩანს, დაწყევლილები ვყოფილვართ.

მდივანმა ანიშნა და მოსამსახურემ გამოიყვანა საწყალი ამელი ოთახიდან. დერეფანში ჩამოჯდა სკამზედ და იმედდაკარგული მწუხარებას მიეცა. უეცრად ერთი სიტყვა მოესმა და იმან გამოაფხიზლა.

ხალხი ირეოდა სასამართლოს დერეფანში და, რომ ნახეს ახალგაზდა, ლამაზი ქალი, რომელიც იქავ კუთხეში ტიროდა და ვაებდა, ჰკითხეს მოსამსახურეს, ვინ არის და რა დაჰკარგვიაო. მსახურმა ხმადაბლა უთხრა, მაგრამ ასე კი, რომ ამელიმ გაიგო:

- აი, ლეა მედანი რომ მოჰკლა, იმისი დაა.

ამელი მაშინვე წამოვარდა ფეხზედ გიჟივით, მოიწმინდა ცრემლები და მრისხანის ხმით უპასუხა:

- ტყუით, ჩემი ძმა კაცისმკვლელი არ-არის. მე ვარ დაი პატიოსანის კაცისა.

სთქვა ეს თუ არა, აბრიალებულის თვალებით, ფერმკრთალი, თმაწიწილი გაიქცა თავის მეგობარ სესილთან. იქ მაინც ნუგეშს მომცემენ და იმედსაო. განა ერთხელ სესილმა არ უთხრა, რომ “მე წავიხდენ ჩემს თავსა და იმას კი დავახსნიო”.

ეს სიტყვები მოაგონდა იმედდაკარგულს ამელის, როცა სესილთან მიდიოდა. ცხადი იყო, რომ სესილმა რაღაც იცოდა იმისთანა, რომლის ძალითაც შეიძლებოდა მორისის დახსნა. ეხლა, როცა გაიგებს, რომ სხვა გზა აღარ არის მორისის დახსნისათვის, სესილი მაშინვე წავა გამომძიებელთანა, ყველაფერს ეტყვის და ძმას გამითავისუფლებსო. ეს უკანასკნელი იმედიდა იყო საწყალის ამელისათვის და რამდენადაც უახლოვდებოდა ტიუსსოს სახლს, იმდენად იმედი ემატებოდა. რა ეჭვი უნდა აქ, ერთი სიტყვა სესილისა და ჩემი ძმა დახსნილი იქმნებოა. ტიუსსოს სახლში რომ მივიდა, მაშინ სესილის ყოფა სწორედ ბეწვზედ იყო მიმდგარი. ტიუსსო ტიროდა, ადლი ქვითინებდა და ჰლოცულობდა, მოახლემ კი უთხრა გაოცებულს ამელის: “ამბობენ, სესილი ველარ მორჩებოა”. ეხლა მარტო თავის ძმისათვის კი არა, თავის მეგობარ ქალისათვისაც საშინელი კვნესა ამოუშვა გულიდან.

- სწორედ დაწყევლილნი ვართ, დაწყევლილნი! ვაიმე, ძმაო, მომიკვდი? - დაიკვივლა და გულშემოყრილი იქავ დაეცა. ლუი პალიარი მოსულიყო წინადვე სესილის ამბის შესატყობლად და, რომ ნახა ამ ყოფაში ამელი, აღარ მოჰშორებია, მინამ გონში არ ჩააგდო. ეუბნებოდა: ტყუილად შიშობენ დედ-მამანიო, საშიში არაფერია, ჯერ კიდევ იმედია მორჩენისაო. ამელი ჭკუიდან შეშლილივით ყურს უგდებდა და თვალგაშტერებით უყურებდა პალიარს. პალიარს შეეშინდა, ჭკვიდან ხომ არ შესცდა უბედურიო, ისე აფოთინებდა ხელებს და ისე არეული ჰქონდა თვალეზი. პალიარი ხელახლად მოუყვა სესილის ამბავს, მაგრამ ამელიმ უეცრად გააწყვეტინა და უთხრა:

- მარტო მაგას არა ვჩივი და არა ვტირი... ძმა მეღუპება, ძმა...

ამ ხანად კი პალიარი ვერაფერს მიუხვდა და სთხოვა. ერთი კარგად გამაგებინე, რა ამბავიაო. საწყალმა თვალში ცრემლით უამბო, რა ბრალსაც სდებდნენ მის ძმასა. ამ ამბავმა ააჟრჟოლა ყმაწვილი კაცი, მაგრამ მალე დაიმორჩილა თავისი თავი. ქალი არწმუნებდა, რომ აქ რაღაცა ამბავი მალავს თავსა და ვერ გამიგია, თორემ ჩემი ძმა მართალიაო. პალიარმა დაიჯერა ამელის სიტყვა, რადგანაც გულში ამელის სიყვარული შეჰპარვოდა. იმედი მისცა, მე ჩემს თავს დავსდებო, რომ მორისი გავამართლოვო. ამელიმ უამბო: გამომძიებელთან ვიყავი, იქ იმედი გადამიწყვიტეს; აქეთ გამოვეშურე, რადგანაც სესილი დამპირდა, მე დავიხსნი შენს ძმასაო, მაგრამ დახეთ ჩემს უბედურებას, სესილი ამ დღეში და ამ ყოფაში დამხვდაო.

- მაშ, როცა სესილმა ეგ გითხრათ, რატომ მაშინვე არ შეეხვეწეთ, წასულიყო და გამომძიებლისათვის ეთქვა ყოველასფერი?

- თვითონ სესილსაც უნდოდა, მაგრამ გამომძიებელი დაპირებული იყო, დღეს არა, ხვალ შენს ძმას გამოვუშვებ, რადგანაც თვითონ ნამდვილი დამნაშავე ვიპოვეთო.

- მეტი საბუთი სიმართლისა საქმეს არ წაახდენდა.

- მე აკი მოგახსენეთ, რომ მე და სესილს ეგ ღონე უნდა გვეხმარა, როცა სხვა ილაჯი აღარ იქნებოდა.

- რადა?

- არ ვიცი... ეს კი გავიგე, რომ სესილმა სთქვა, მე დავიღუპები და იმას კი დავიხსნიო... ზოგჯერ კაცს იმისთანა მიზეზი აქვს, რომ რაც უნდა, იმას ვერა იქმს, ნამეტნავად სესილი ვერ იქმოდა მაგას, რადგანაც ჩემის ძმის და სესილი ამბავი ყველამ იცოდა... ცოლქმრობის პირობა ჰქონდათ მიცემული, როცა იმ სამაგელმა, რომელიც გუშინა ვნახეთ, ამდენი სამაგლობა ჩაიდინა.

- კიდევ სხვას ბევრს სამაგლობას ჩაიდენს საკვლაოდაც... ეხლა, ბატონო ამელი, ... უთხრა პალიარმა, დაუდგა პირდაპირ და ორივე ხელი ჩამოართვა, - ნუ სტირით და კარგად შემომხედეთ მე. ჩემს კისერზედ თავია პატიოსანის კაცისა, იმისთანა კაცისა, რომელიც, რასაც იტყვის, იმასვე ფიქრობს. მე მომენდეთ, როგორც ერთგულს მეგობარს და გეფიცებით, რაც უნდა დამემართოს, თქვენს ძმას დავიხსნიო.

- ოჰ, რა კეთილი კაცი ყოფილხართ, ბატონო ლუი!

ლუი პალიარმა მოიზიდა ამელი და აკოცა. ამელის უფრო ძლიერ

ამოუჯდა გული და ტირილს მოჰყვა.

- ხომ არ ჯავრობთ ამ კადნიერებისათვის, ბატონო ამელი?

ამელიმ თავისი მშვენიერი, ცრემლიანი თვალები მიაკრა პალიარსა და ჭარხალივით აწითლებულმა უთხრა:

- არა, გულმა ღელვა დამიწყო... ისე მეუცხოვა ნახვა კაცისა, რომელსაც ასეთი კეთილი გული ჰქონია.

- დიად, მეც მაგასა ვგრძნობ, თქვენ რომ გხედავთ, საწყალო.

პალიარმა თვალი თვალში გაუყარა, ამელიმ კდემობით თავი დაბლა დაილო და რადგანაც პალიარს ამისი ხელები კიდევ ხელში ეჭირა, უთხრა:

- უკაცრაოდ, ბატონო ლუი! მე უნდა წავიდე, სესილი მინდა ვნახო.

პალიარმა ხელი გაუშვა. ამელი მაშინვე წავიდა სესილის ოთახისაკენ.

VIII

ღამე სიყვარულისა

მშვენიერი შემოდგომის ღამე იყო. სადამოხედ ღრუბელი ჩამოწვა, მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ ისევ გადიყარა და ჰაერი მაშინვე გამოიცივალა. ცივი ნესტი, რომელიც ძვალ-რბილში შეატანდა კაცს, ნოტიო სითბოდ გადაიქცა. კაცს ეგონებოდა ზაფხულის ბოლონდელი დღე არისო. იზა სრულიად შიშველი ჩამდგარიყო ვერცხლის აუზში და ჟუსტინა ასხურებდა ვარდის წყალს მის მთრთოლარე ტანსა. შავის თმებით გარემოსილი პირისახე იზასი ღიმილით გამოიყურებოდა. იზამ ჰკითხა თავის მოახლეს:

- დღეს ხომ მაინც არ ცივა?

- ღვთის მადლით, - არა, - უპასუხა მოახლემ ღიმილით, - უმაგისოდაც შეიძლება გაცივდეს ადამიანი თქვენისთანა ჭირვეულის გუნებისა. რომელს კაბას გვიბძანებთ მოგიმზადოთ.

- რომელიც ყველაზე უფრო დარბაისლურია. შენ თვითონ იცი, ჟუსტინავ, რომ ეხლა სულ ერთია. ჩქარა კი, ის გველის.

ჟუსტინამ გადააცვა თეთრი უმტვერო, კრუჟევებით მორთული წმინდა ბატისტის პერანგი.

- მოასწრებთ მორთვას, თქვენს მორთულობას ბევრი არა უნდა რა.

იზა ჩამოჯდა. მოახლემ ჩააცვა თითქო განგებ გათლილ, ლამაზს ფეხზედ აბრეშუმის ჩულქები. იზა წამოდგა და სარკესთან მივიდა.

- თავს მე თვითონ დავივარცხნი. შენ ის გძელი შავის ხავერდის კაბა მომეცი.

- აი ბერების ანაფორას რომ ჰგავს?...

- სწორედ... თვალის დახამხამების უმაღლ შეიძლება კაცმა ტანიდამ გადიძროს. ჩქარა...

იზამ თავი დაივარცხნა ისე ლამაზად, რომ კარგს პარიკმახერსაც გაუჭირდებოდა. ჟუსტინამ კაბა მოართვა და იზამ სწრაფად გადიცვა; ვერავითარი

სიტყვა ვერ გამოხატავდა იზას მშვენიერებას, ისეთი რამ იყო იმ შავ ხავერდის კაბაში. ჟუსტინამ პატარა მაქმანის მოსახვევიც მოუტანა, იზამ კეკლუცად მოიხედა და ცოტად მოიფარა სახეზედაც. იზა მზად იყო.

თავის საწოლ ოთახში შევიდა, პატარა ყუთის პატარა ოქროს გასაღები, საათის გასაღების ოდენა, ამოიღო და თმებში დაიმალა.

– იქნება რამდენიმე დღე მომიგვიანდეს, – სთქვა იზამ, – შენ კარგად გამოგავე ბუხარი, რომ არავინ შეამცნიოს ფერფლი ქაღალდებისა, რომელნიც ჩვენ დავწვით... მშვიდობით ხვალამდე.

იზა კიბეზედ ჩამოვიდა. ეტლი ელოდდა. ეტლში ჩაჯდა. ჟუსტინამ უბძანა ეტლის მატარებელს, თანხმობის მოედანზედ წადიო. ეტლი წავიდა და რამდენსამე ხანს შემდეგ გაჩერდა. მაშინვე მეორე ეტლიდამ გამოვიდა კაცი და იკითხა: ქალი ხომ არა ზის მაგ ეტლშიო. ეტლის მატარებელმა ”ჰო” უთხრა და ის კაცი მივიდა და ეტლის კარი გამოაღო.

– თქვენა ხართ, იზავ? – უთხრა ოსკარ ვერშემონმა, – ხელი მიბოძეთ, წავიდეთ.

იზა მიიყვანა მეორე ეტლთან და, როცა ორივენი ჩასხდნენ, ეტლი მაშინვე დაიძრა.

– იზავ, კმაყოფილი ხართ ჩემი?

– განა არა ხედავთ, რომ პირობა აგისრულეთ?..

– რომ იცოდეთ, იზავ, რა თრთოლამ ამიტანა. დანიშნული საათი გადავიდა და მე მეგონა აღარ მოხვიდოდით.

– მე როცა სიტყვას ვაძლევ, ავასრულებ კიდეც ხოლმე.

– პირობას მაძლევ, რომ გეყვარები?

– მე მიყვარხართ და ეგ თქვენც იცით...

– ყოველთვისაც გეყვარები?...

– ყოველთვის...

– რომ იცოდე, შენ ჩემთვის რა ხარ, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ბედო!.. შენ რომ ჩემი არ ყოფილიყავ, თავს მოვიკლავდი, იზავ! სიცოცხლე უშენოდ შეუძლებელია.

– ნუ სულელობ... რატომ ჩემთან არ მოხვედით?

– ყური დამიგდე, იზავ, და სასაცილოდ კი ნუ ამიგდებ.

ოსკარმა ტანზედ ხელი მოჰხვია და თავისაკენ მიიზიდა. იზა არ ეწინააღმდეგებოდა. იგი უყურებდა ოსკარს ნელის ღიმილითა და ოსკარი მის თვალში კითხულობდა სიყვარულს.

– იზავ, მე შენ გაგიყვებით მიყვარხარ, – განაგრძო ოსკარმა, – თავის დღეში იმისთანა რამ არ მინახავს შენს გარემო, რომ ეჭვი ამელოს რაზედმე.... მაგრამ ვეჭვობდი კი; რაც შენ გარემო იყო, ყველაზედ ეჭვი მქონდა.

– როგორ?

– ისე რომ ჩემი გული შენს აზრებზედაც იჭვნეულობდა... მე ვიცი, შენ თავისუფალი ქალი ხარ და შენი ცხოვრება შენს ნებაზედ არის. მე არა მაქვს ნება შენს წარსულს ცხოვრებაში ხელი გავურიო.

– ჩემი წარსული ცხოვრება უსაყვედუროა და წმინდა. ჯერ პატიოსანი გასათხოვარი ქალი ვიყავ და მერე პატიოსანი დედაკაცი.

– მწამს, იზავ, მე შენი სიტყვა. მაგრამ შენს მკვდარს ქმარზედაც კი ეჭვი გულს მიღრღნის. ყოველი ეს ნივთიულობა, ეს ავეჯი, ეს მორთულობა, რომელიც გარს გარტყია, ყოველს წუთს მაგონებენ შენს ქმარს, მისი სახსოვარი შენს სახლში სუფევს... ეს ამბავი გულს მიკლავს და ვერ ამიტანია. ვიცი, ეს სიგიჟეა, სიყმაწვილეა, სულელობაა, მაგრამ რა ვქნა, თავი ვერ დამიმორჩილებია... მე ვიწვი და ვიტანჯები. შენ ბედნიერებით გარემოცული ხარ, რაც გინდა, ყველას აისრულებ ხოლმე და მე კი ვკვდები, რომ ყოველივე ეს სხვისაგანა გაქვს და არა ჩემგან.

– წვერულვაშიანო ბავშვო, – უთხრა გულმართლად იზამ, – განა არ იცი, რომ ჩემი ფიქრი თქვენთან განუშორებელია მას აქეთ, რაც გნახეთ თქვენ?

– მართლა? ყური მიგდე, იზავ! მე მკლავს ის ფიქრი, როცა მაგონდება, რომ შენ ერთს დროს სხვისა ყოფილხარ, რომ სხვა მოგხვევია შენ, რომ სხვას ულაპარაკნია შენთან, ისე როგორც მე, რომ სხვას მოუწყვეტია შენის ტუჩებიდამ კოცნა, როგორც მე...

– დაჩუმიდით, – უთხრა იზამ და სიცილით ხელი მიაფარა ტუჩებზედ, – თქვენ იმოდენასა იქმთ, რომ მათქმევინებთ, რაც სათქმელი არ არის და რაც დაფარულად უნდა მქონდეს.

– მითხარ, მითხარ, გეხვეწები, ჩემო ძვირფასო, საყვარელო. ოჰ, რომ იცოდე, რა საუცხოვო მუსიკაა შენი ლაპარაკი.

– მაშ კარგი. როცა ქმარს ვირთავდი, არ ვიცნობდი ჩემს საქმროს. ჩემი გათხოვება სწორედ ანგარიშის საქმე იყო. როცა პარიზში მომიყვანეს, მე ის კაცი კი არ მაჩვენეს, რომელიც უნდა შემეყვარებინა, არამედ ის კაცი, რომელიც უნდა შემერთო. ჯვარი დაგვწერეს, სულ ყოველიფერი მზად იყო, ყველაფერი წინადავე გარიგებულყო. მე სეგლენს არ ვიცნობდი. განა გგონიათ, რომ ამისთანა ცოლქმრობაში სიყვარული შესაძლოა? მე ავი გითხარით, ოსკარ, რომ მე არავინ არა მყვარებია, ვიდრე თქვენ არ გაგიცანით. განა ჩემის სულელობის საბუთები ხელთ არა გაქვთ?

– ჩემო კარგო, ძვირფასო, საყვარელო... ჩვენ ხელიხელსგაყრით შევუდგებით ერთად სიყვარულის აღყვავებულს გზასა...

– ქმარი მე მეგობრად, ამხანაგად მყვანდა; იგი ითხოვდა ჩემგან მარტო ტკბილს მუსაიფს და მუსაიფით შექცევასა; უნდოდა სახლში მეგობარი ჰყოლოდა, მანუგეშებელი ავადმყოფობაში... და მეც მარტო ამ სამსახურს ვუწევდი...

– მართლა თუ?

– ნუთუ თქვენა გგონიათ, რომ ორჯელ შესაძლო იყოს სიყვარული? განა გული დასაფხრეწი საგანია, რომ ყველას თვითო-თვითო ნაკუწი დაურიგდეს? ახ, რა სასაცილონი ხართ მამაკაცი, რომ სიყვარული ასე მჩვრად მიგაჩნიათ.

– მე აღტაცებაში მოგყევარ, იზავ!...

ყოველივე ესე გულმართალის ხმით იყო თქმული, კაცს ეგონებოდა, რომ იზა უმანკო, წმინდა რამ არის. ხმის კანკალში ისმოდა კდემა, მორცხვობა, ტრფიალება. ოსკარს უხაროდა, ყურს უგდებდა, ყოველივე სიტყვა უკვდავებად მიაჩნდა. როგორც წვეთი წვეთზედ, ისე ესხურებოდა ხოლმე ყოველი სიტყვა მის გულს და ყოველი სიტყვა უძლიერებდა მწვავს ცეცხლსა.

– მაინც და მაინც მე მინდა, იზავ, რომ ყოველისფერი ჩემგანა გქონდეს... ხომ არა ჯავრობ, რომ შენის გულისთვის ყველაფერზედ ხელი ავიღე?

– ვჯავრობო?! ჩემი სურვილი ის არის, რაც თქვენი.

– არც ინანებ თავის დღეში... შენი სიცოცხლე იქნება ჩემს ხელში ერთი ხანგრძლივი ბედნიერება... მე შენ მიმყევხარ ახალს ბინაზედ, მაგრამ ის ბინა შენია. ერთხელ როგორღაც წამოგცდა, რომ სიმდიდრის ჩვეულს შემოგეხარჯა ქმრისაგან დარჩენილი ფული. მიაწებე შენი სახლი შენს მოვალეებს და ახალს სახლს იშოვნე. მე მინდა მიგიღო შენ, როგორც მშობელი მიიღებს ხოლმე შვილსა, ტიტველ-შიშველი. ჩემის კარის დირეზედ დაიხდი ფეხთსაცმელსა, ტანთსაცმელს ცეცხლში ჩაჰყრი, ამით დასწვავ შენს წარსულსა, ასე რომ მისი ფერფლიც აღარ დარჩება ჩემის გულის სატკენად. აგრე განწმენდილი დაიწყებ ახალს ცხოვრებას, ცხოვრებას სიყვარულისას და ბედნიერებისას, რომელსაც მე ფიანდაზად შენს ფეხთა-წინ გარდაგიშლი.

– მე მცხვენინან, რომ ჩემის გულისთვის მაგაებსა სჩადით... აღარ ვიცი, რა პირითღა გიყუროთ, რომ ვხედავ ამისთანა საბუთს თქვენის სიყვარულისას, მაშინ როდესაც მე მეგონა არ გიყვარვართ-მეთქი.

– ოჰ, იზავ, მე ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შემადლებინა შემოგწირო ყველასფერი. რაც კი შენთვის საჭიროა. მე მდიდარი ვარ და მუნწსავით კი ვცხოვრებდი უსიხარულოდ, უნუგემოდ. შენა გნახე და მაშინვე შევიტყე, რა სამოთხეა სიცოცხლე. მე ვიპოვე ჩემში იმისთანა სიმები, რომელთ ყოფნა არც კი მომსვლია ფიქრად. რომ იცოდე, რა ნეტარება ყოფილა სიყვარული. ჩემი სიყვარული ბაშვის სიყვარულსა ჰგავს, ყოველივე ჩემი ფიქრი მას მიერთმის. მე გონებიდამ ვიშლები, ბედნიერი ვარ, რომ შენ ჩემი ხარ, მე მეკუთვნი, გიყვარვარ. ბედნიერება, რომელსაც აქამდის ვნატრობდი, ეხლა მეწვია, ეხლა ვიცანი და ხელთა მაქვს... ოჰ, იზავ, მომაკვდავთა შორის მე უბედნიერესი კაცი ვარ...

ჰკოცნიდა იზას, იზაც ჰკოცნიდა და ოსკარი სულ ამას იმახდა: – მიყვარხარ, მიყვარხარ.

იზას ხელი უთრთოდა, თითქო ტრფიალებით აღტაცებულიაო, და ეუბნებოდა აკანკალებულის ხმით:

– ყოველთვის ეგრე გეყვარები?... ფიცს მამღევ, თუ არა?

– მე მიყვარხარ, მეყვარები... თავსაც დავდებ სასიკვდილოდ შენის გულისთვის... ჩემო იზავ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მე მგონია თავის დღეში მეორედ აღარ ეღირსოს ადამიანს ამისთანა საათი გამოუთქმელის ბედნიერებისა. ახ, ნეტავი ამ ბედნიერებაში ამომივიდეს სული, დავიძინო და ხვალ აღარ გავიღვიძო...

– აბა სიკვდილი რა ფიქრად მოსასვლელია ამისთანა დროს...

ეტლი შედგა.

– ჩვენ მოვედით თქვენს ახალს სახლში, ქალბატონო, – უთხრა ოსკარმა, – გრაფინია სეგლენ-ზინსკაია დღეის ამას იქით აღარ არსებობს... ინებეთ და ჩამობძანდით, ბატონო იზავ, ბარონესსავ დე-ვო, გრაფინიავ დე-ვერშემომონ.

იზა ისე გაოცდა, რომ ერთის ფეხით უკან დაიწია. რარიგად აიშვერდნენ ტუჩებს წინაპარნი ოსკარისა, ეგ გულადნი მეომარნი, როცა ჰნახავდნენ თვის გადაგვარებულს შთამომავალს, მაგ მართლმსაჯულობის წევრს, რომელსაც

აგრეთის პატივისცემით შეჰყვანდა თავის სახლში ქუჩაში ნათრევი ქალი. დიად, მათი მტვერი, მათი ძვლები შეიძროდნენ, თუ გაეგოთ, რომ მათი უკანასკნელი უღირსი შთამომავალი ამრიგად ფეხქვეშ უგებს მშვენიერს იზას მათს განთქმულს სახელს!

იზა მაშინვე მიჰხვდა, თავი როგორ უნდა დაეჭირა. გამოვიდა ეტლიდამ და თავი ისე აჩვენა, მითამ მეტად აღელვებულია ბედნიერებისა და სიხარულისაგან. რომ გადმოვიდა ეტლიდამ, აქეთ-იქით მიიხედა. ღამის სიბნელე აშინებდა და ვიდრე ეტლი განშორდებოდა, მივიდა ოსკართან და უთხრა დაბალ ხმით:

– სადა ვართ? მე შიშმა წამიღო...

შიში და იზა? იზამ, როგორც ყოველისფერში გამოცდილმა ქალმა, თვალი გადაავლო თუ არა მათ წინ აყუდებულს სახლს, გარშემო ბალით მორთულს, სიხარულით აკანკალდა, ოსკარს კი ეგონა, რომ შიშით მოსდის კანკალიო.

– ნუ გეშინიან, იზავ! აქ შენს სახლში ხარ...

– ჩქარა შევიდეთ, მე მეშინიან... მცივა... – მიეკრა ოსკარს და ოსკარმა ხელი მოჰხვია.

– იზავ, თანახმა ხარ მასზედ, რაცა გთხოვე?

– თანახმა ვარ, – უპასუხა იზამ, – მე თქვენს ხელში ვარ, როგორც ყმა.

მივიდნენ კარებთან, შევიდნენ თუ არა, იზამ თავი ოსკარის მხარზედ მოიხარა და მაშინვე გადაავლო თვალი გარეშემოს. მდიდარი მარმარილოს კიბე, უზარმაზარი ვაზები, მშვენიერი ლუსკუმები და ხომლები აოცებდნენ მაყურებელს. ბოლოს გადიწია მძიმე ფარდა კარისა და შევიდნენ ოთახებში.

– ეს სულ ჩემია, ჩემი, – ამბობდა იზა გახარებული.

რასაკვირველია, მოსამსახურენი ოთახიდან დაითხოვა ოსკარმა და ჩაკეტა კარები. იზა უძრავად იდგა. ხელებგაშლილი, სიწითლემორეული, თითქო მორცხობსო, რომ უცხო კაცთან მარტო არისო. ვერშემოწი ტრფიალებით გატაცებული მივიდა იზასთან და უთხრა ხვეწნით:

– ჭირვეულობა მაპატივე... იზავ, რადგანაც ამის შემდეგ შენ ჩემი ცოლი ხარ... ხომ არა ჯავრობ?... მე ჩემი თავი შემძულდა, რომ შენ ჩემ გამო აგრე მორცხვობით წამოწითლდი.

იზა ხმას არ იღებდა და თითქო მართლა სცხვენიანო, თავი მაღლა ვერ აეღო. ეს შეამცნივა ოსკარმა და შეწუხებულის ხმით უთხრა:

– იზავ... იზავ... თუ გიყვარდე, გეხვეწები....

– მე თქვენი ვარ... თქვენ ხელთა ვარ... მაგრამ...

ოსკარმა შეიყვანა იზა ერთს მშვენიერად მორთულს ოთახში და უთხრა: ეს ოთახი შენიაო, აქ მოისვენე და მეც მალე მოვალო.

ოსკარი რომ გამოვიდა, იზა მარტო დარჩა. მიიხედ-მოიხედა და რა ნახა ასეთი მდიდრული მორთულობა, წინადვე მომზადებული ძვირფასი სამკაული ქალისა, აღტაცებაში მოვიდა.

– მადლობა ღმერთს, – სთქვა მან, – ყოველივე ეს ჩემია. ჩემი!.. მოვალეები აღარ შემაწუხებენ!.. ეხლა უდარდელი, უზრუნველი ცხოვრება მექნება.

სიამოვნებით სავსე გადაწვა მშვენიერს ტახტზედ. უეცრად თვალი მოჰკრა ზარის ზონარსა. ფიქრად მოუვიდა: მოდი, ზარს დავაწკარუნებო, ეგონა, რომ

სახლში მარტო თვითონ და ოსკარი არის. დასწია ზონარს, მაშინვე კარი გაიღო და შემოვიდა მოახლე. იზას ისე გაუკვირდა, რომ დაიკვილა.

– რას მიბძანებთ, ქალბატონო? – იკითხა მოახლემ.

მოახლემ ეს უთხრა მოლდავანურად, ესე იგი იმ ენაზედ, რომელიც იზას ღვიძლი ენა იყო. მოახლე იყო მორთული ისე, როგორც იზას სამშობლოში ჰრთვენ ხოლმე მდიდარნი მებატონენი შინამოსამსახურე ქალს. ძალიან იამა იზას, რომ შემთხვევა მიეცა თავის ღვიძლ ენაზედ ლაპარაკისა. გამოჰკითხა მოახლეს და შეიტყო, რომ დღეს დილაზედ მოვიდა მოლდავიდამ, საიდანაც ვერშემონს სამი მოახლე დაეხარებინა იზას საამებლად. არც ერთმა მათგანმა ერთი სიტყვა არ იცოდა ფრანციცულად და მარტო მოლდავანურად ლაპარაკობდნენ; მეტისმეტი გულმოდგინება იყო ეს ვერშემონის მხრით. ამ ახალი მოახლის შემწეობით იზა მოირთო, მერე შევიდა თავის საწოლს ოთახში, ჩაიკეტა კარები, გაარღვია სკამის გადასაკრავი და ოქროს პაწია გასაღები დამალა გარღვეულში.

სამის დღის უკან ამ ამბის შემდეგ აგენტი გიურე მივიდა იზას უწინდელ სადგომში და ნება ითხოვა სეგლენის ქვრივის ნახვისა. კარის მცველმა უთხრა, რომ ეს სამი დღეც არის სახლი დაკეტილია და დაცლილიო. მოსამსახურენი სულ დაითხოვეს და თვითონ სეგლენის ქვრივი იზა თავის ქვეყანაში, მოლდავიაში წავიდაო. აქ ერთს კაცს ჩააბარა თავის ავეჯი და უბრძანა: ყოველისფერი გაყიდე და მოვალეები მოიშორეო. ამ ორი კვირის შემდეგ გაჰყიდნან მის ქონებასა. გიურეს ეწყინა ეს ამბავი და ბუდღუნით გამობრუნდა.

– ტყუილად მეუბნებიან ისინი, რომ მე ვცდები, – ამბობდა გულში გიურე, – მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელში მყვანდა ნამდვილი დამნაშავე... უთუოდ ისა და იზა ერთად გაიქცნენ. იმავ დღეს, როცა ციხიდან გამოუშვეს... რა ვუყოთ... სულ ერთია! ეხლა მე კვალი მიტანილი მაქვს და თვალიდამ ვეღარ დამეკარგება. მაგას ითხოვს ჩემი საკუთარი მართებულობა და აგრეთვე იმ კაცის სიმართლეც, რომელსაც ჰსურთ გადაახდევინონ სხვების დანაშაულობა... უსათუოდ ზევიდამ იყო ნაბძანები, რომ ის კაცი გამოუშვეს... ვნახოთ, მაინც და მაინც ამ ორის კვირის შემდეგ იყიდება იზას ქონება და მე მივალ დასათვალიერებლად.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე

სახლი ბაზილიოსი, ტარტიუფისა და ამხ.

I

გიურე ჰმოქმედებს

გამოძიება ლეა მედანის სიკვდილის თაობაზედ გათავდა და მორის ფერანის განსამართლების დღეც დანიშნეს. თავმჯდომარეს სამჯავროისას მატეე დიუტალს თავი მოაბეზრეს თხოვნითა: ბილეთები მოგვეცი განსამართლებაში

დასასწრებადო. მთელი პარიზი მიემურებოდა, რომ დასწრებოდა ამ დაფარულის საქმის გარჩევის დროს, მით უფრო, რომ გაზეთებმა ხმა დააგდეს, ამ საქმეში რაღაც სახელმწიფო საიდუმლოება თავს იმალავსო.

აგენტს გიურეს ჯავრით გული ყელში მოებჯინა, რომ ყური არ ათხოვეს ამის ნაკვალევსა და ამიტომაც დროებით დაეთხოვა თავის უფროსს და ისევ შეუდგა თავის ნაკვალევს, – ერთი მე მაინც დავრწმუნდე, ვცდები თუ არაო. ყველაზედ წინ ეტლის მატარებელს მიატანა, რომელიც ლეა მედანის მოკვლის დღეს გუდარს ჰყოლია. ეტლის მატარებელმა უთხრა, რომ მე შემძლიან გაჩვენოთ ის სახლი, საცა გუდარი, ჩემის ფიქრით, შევიდა, მაგრამ კი ვერ დავიფიცავ, მართლა იქ შევიდა თუ არაო. ის სახლი იზას სახლი გამოდგა: გუდარი იქ შესულიყო. რა თქმა უნდა, გიურემ მაშინვე გამოიკითხა მშვენიერის იზას ვინაობა. უამბეს ბევრი უცნაური ამბავი ამ ქალზედ, უამბეს, თავდაუჭერელ ქალსავით სცხოვრებდაო, თუმცა საყვარელი კი არა ჰყოლიაო; ბანკირის ქვრივი ფულს ბზესავით აბნევდა და უზარმაზარ ვალებში ჩავარდაო. მერე წავიდა გიურე პოლიციაში, იქ ბევრი ვერა შეიტყო რა იზაზედ, მაგრამ მაინც ერთი კაი ცნობა მოიპოვა: იქ უთხრეს, რომ ერთი გემის ჯარისკაცია, სიმონ რივო, იზას ამბავი იმან დაწვრილებით იცისო. მაშინვე იმ ჯარისკაცისაკენ გაექანა დაულალავი გიურე და აუხსნა, რომ ერთს კაცს გაგიჟებით უყვარს იზა; იმაზედ ჯვარის დაწერა უნდა და თუ იზას ვინაობა არ შევიტყეთ, დაიღუპებაო. მე იზა უღირსი დედაკაცი მგონია, მაგრამ ხელში კი არავითარი საბუთი არ მიჭირავს, რომ ეს დავამტკიცო. ბებერი ჯარისკაცი სიმონი მასლაათზედ თავის დღეში უარს არ იტყოდა ხოლმე, ოღონდ კი შემთხვევა ჰქონოდა და ამასთანაც საშინლად ეჯავრებოდა ქალები საერთოდ და იზა საკუთრივ. ბევრი თხოვნა აღარ დასჭირდა გიურეს. სიმონმა უამბო, რომ მე ერთს გემის ჯარისკაცს რიგობერს სოვაჟს ვიცნობდი, ერთი თოკიდან გამოშვებული რამ იყო და, მადლობა ღმერთს, მოკვდაო. იმ რიგობერმა მიაბზო, რა წითელი კოჭიც ბმანდება ის ქალი, რომელიც ბანკირმა სეგლენმა შეირთო. ის რიგობერი დაათრევდა იმ ქალს საქეიფოდ დუქნებში და მიკიტანხანებში და ერთობ იმისთანა ადგილებში, საცა მართებული ადამიანი ფეხს არ შესდგამს. და როცა ვუსაყვედურე, რაზედ ჰრყვნი მაგ საწყალ ქალსაო, ეს პასუხი მომცაო:

– ჰრყვნიო! – მითხრა ხარხარით რიგობერმა, – იცით, სადა ვნახე პირველად ეგ ქალი? ვიდდინის ახლო, სოფლის პირას, ერთის კვირის გამარცული იყო ოსმალებისაგანა. იზა ჯერ იმათ აფიცრებს ასთრეოდა, მერე მოსწყენოდა ოსმალების მეტისმეტი ბრიყვული ქცევა, მოჰგონებოდა, რომ ქრისტიანია, რომ თავისის ქვეყნის მტრებთან ქეიფი და ყოფნა სამარცხვინოა და გამოქცეულიყო. მე სოფლის პირას გზაზედ მომავალი შემხვდა და ასე იყო მისუსტებული ცალკე შიმშილისაგან, ცალკე შიშისაგან, მდევარი არ დამეწიოსო, რომ არაქათი აღარა ჰქონდა. მას აქეთია იზას მე ვინახავ, ვაჭმევ, ვასმევ და ესეც ვიცი, რომ ღამით ბევრჯელ შინ არ არის და სად ატარებს ღამეებს, კი არ ვიცი.

– სწორედ ის კია, ბანკირი სეგლენი რომ შეირთო? – ჰკითხა გიურემ.

– ნამდვილად. დამაცათ, ჯერ სადა ხართ! რამდენსამე ხანს შემდეგ, ვნახოთ, ჩვენი რიგობერი მორთულა როგორც დიდიკაცი ვინმე და ის გოგო, როგორც მეფის ქალი... რიგობერი განგებ თავს ისე აჩვენებდა, ვითომ-და ფრანციული ერთი

სიტყვაც არ ესმის. ის ნათრევი გოგო, რიგობერი და ერთი ვიღაცა კი იმათი მსგავსი სათოკე გაამხანაგებულებენ და ჰყვლეფდნენ თურმე პატიოსანს ხალხსა... მგონია, რარიგად ცულლუტობს ეხლა, როცა დიდი კაცის ცოლად გახდა.

ეს ამბები რომ შეიტყო გიურემ, გული დააჯერა, რომ ნამდვილს კვალშია ჩამდგარი. მთელი ორი დღე ზედიზედ მივიდა სასამართლოში, მაგრამ გამომძიებელი იქ ვერა ჰნახა. მესამეს დღეს შეხვდა და დაუწყო ლაპარაკი. ვერშემონმა სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა:

– ტყუილად ნუ ირჯებით, მე აკი გთხოვთ თქვენ, ნულარას ეძიებთ-მეთქი. გამომძიება გათავებულა და საქმეც წარდგენილია გასარჩევად. მე გამოსაკითხავი აღარა მაქვს რა. მე ჩემი აზრი შემიდგენია და დარწმუნებული ვარ, რომ არა ვცდები. თქვენც გირჩევთ, ხელი აიღოთ მაგ საქმის გამოკვლევაზე, თუ გინდათ, რომ უსიამოვნობაში რაშიმე არ ჩაიგდოთ თავი.

ამის თქმაზედ ვერშემონმა დაჰხია მოხსენება, რომელიც გიურემ წარუდგინა.

“სხვა გზა არ არის, თავი უნდა დავანებო მაგ საქმეს, – იფიქრა გიურემ, – უსათუოდ ზევიდამ ბრძანება რამ მოსვლია”.

გიურემ მართლა განიზრახა თავის დანებება, მაგრამ მეორეს დღეს შადი, რომელიც ტიუსსოსთან ენახა, მოვიდა ამასთან და საქმე ხელახლად გადატრიალდა.

– თქვენ როგორ მომაგენით? – ჰკითხა გიურემ.

– ძალიან ადვილად, პოლიციაში ვიკითხე თქვენი სადგური.

– რა გნებავთ?

– ლეა მედანის საქმეზედ მოვედი.

– ეგ საქმე მე აღარ შემეხება, თავი დავანებე; მაგის მიზეზით ბევრი უსიამოვნობა მივიღე. დამნაშავე უჩემოდაც იპოვეს და მალე გაასამართლებენ კიდევ.

– ეგ ყველაფერი ვიცი, მაგრამ უნდა კი გვიშველოთ რამე.

– მე არ მესმის, რა შველაზედ ლაპარაკობთ.

– მე არ მიკვირს, იმიტომ რომ საქმეს კარგად ვერ ავხსნი ხოლმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ფერანი მართალია და გვინდა ეს როგორმე დავამტკიცოთ.

– ბიჭოს! მაშ თქვენც ჩემი აზრისანი ყოფილხართ.

– და არც ცოტა საბუთები გვაქვს. მაგრამ, გიმეორებთ, იმ საბუთების ახსნა მე არ შემიძლიან. მე აქ იმისთვის გაიხელ, რომ გთხოვთ წამობრძანდეთ ჩემს მეგობარ პალიართან, რომლის დედასაც გირაოდა ჰქონდა დაკარგული ბანკის ბილეთები. პალიარმა კანონები კარგად იცის და ის დაგიმტკიცებთ, რომ ფერანი ამ საქმეში მართალია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გარჯას გასამრჯელოც უნდა და მუქთად არ ჩაგიტარებთ შრომას.

– მე თქვენგან გასამრჯელოს არც ვითხოვ და არც ვინდომებ. თქვენ კაი ხალხი, მუშა-კაცნი ხართ და, თუ რამ შემიძლიან, გიშველით, იმიტომ მაინც, რომ მეც თქვენის აზრისა ვარ. ვიცი, რომ ჩემის ხელობის კაცთა შორის ბევრი ცუდი კაცია, საცა არა ჰკითხვენ, ყველგან ეჩრებიან, მაგრამ იმისთანანიც არიან, რომელნიც პატიოსნად ასრულებენ თავის თანამდებობას... მე ძველი ჯარისკაცი

ვარ; ომის დროს მეც მიომნია ჩემის ქვეყნის მტრებთან და სისხლი მიღვრია. თქვენი შველა ჩემი ვალია და გიშველით კიდევ. გამოძიება გათავებულია; ჩვენ მეორეს, ჩვენს საკუთარს გამოძიებას მოვახდენთ და, იმედი მაქვს, ისე მალე გავათავოთ, რომ განსამართლების დღემდე მოვასწროთ.

– მაშ თანახმა ხართ?... ძალიან კარგი. მართალი ბრძანეთ, თქვენი ხელობისა ბევრი ცუდი კაცია, მაგრამ კაი კაცებიც კი ყოფილან.

– თქვენ უსათუოდ მორის ფერანის მეგობარი ხართ.

– დიაღ, ამხანაგები ვართ; ერთს დროს ერთად ვმუშაობდით. მე იმისი დაჭერის ამბავი ეხლახან შევიტყე, როცა ტიუსსოსთან გადავედი. თქვენ გეცოდინებათ, რა საბუთები აქვთ იმის გასამტყუნებლად?

– მოკლულის ქალის სახლში ორი ბოთლი შამპანური ღვინო საწამლავით იპოვეს.

– ეგ ვიცი.

– იმ საღამოს ფერანს ეყიდნა სწორედ იმისთანა შამპანური ღვინო და ჰფიცავს, რომ საწამლავი ჩემის თავის მოსაკლავად ჩავყარეო.

– არ მესმის, – სთქვა შადიმ და ტუჩი აიშვირა.

– ესეც იციან, რომ ღამით შინიდან გამოსულა. არც თვითონ ამბობს ამაზედ უარს, მაგრამ სად გაატარა ღამე, ამას კი ჰმალავს.

– მაინც რას ამბობს?

– პასუხს არ იძლევა, ამბობს, რომ მაგის თქმა არ შემიძლიანო.

– არც ეგ მესმის. მაგრამ იქნება ჩვენ როგორმე აგიხსნათ ეგ ამბავი.

– მე იმედი მაქვს, რადგანაც მე დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავე ფერანი არ არის.

– როდის ინებებთ მობრძანებას?

– ეხლა პალიარი განა შინ არ იქნება?

– შინ არის და თქვენ გელით.

– მაშ რაღას ვიცდით, ეხლავ წავიდეთ.

ნახევარ საათს შემდეგ პალიარის ოთახში ისხდნენ ორივენი.

– მე ძალიან მაწუხებს ამბავი ერთის ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც შავი ბედი სდევნის, – უთხრა პალიარმა გიურეს, – ერთი პატიოსანი, გულუბრყვილო ქალია და ეხლა ისე უნუგეშოდ და უპატრონოდ დარჩა, რომ შეგეცოდებათ.

– პატიოსნება და გულუბრყვილობა იშვიათი ღირსებაა, ნამეტნავად იმ წრის ხალხში, – მიუგო გიურემ მძიმედ.

– იქნება არც ისე იშვიათია, როგორც თქვენა ფიქრობთ, – უპასუხა პალიარმა, – თქვენ რომ მუშა ხალხს ისე დაახლოვებით იცნობდეთ, როგორც მე, მაშინ სულ სხვას იტყოდით. ამაზედ ლაპარაკი მერე იყოს, ეხლა ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. ის მუშა ქალი, რომელზედაც მე მოგახსენებთ, სულ მარტოდმარტოა, ობოლი, ნათესავთაგან მარტო ერთი ძმაღა ჰყავს და ის უბედურიც ახლა დაჭერილია ლეა მედანის საქმის თაობაზედ. მე არ ვიცნობ ყმაწვილს, მაგრამ შადი და ტიუსსოს სახლობა კი კარგად იცნობს. ყველანი ესენიც დარწმუნებულნი არიან, რომ ფერანი მაგ საქმეს არ იქმოდა.

– ეგ ვერაფერი საბუთია. კაცის კვლა ხომ ხელოსნობა რამ არ არის. კაცის კვლას სწავლა და ცოდნა არ უნდა. მომხდარა, რომ ძალიან მშვიდობიანს კაცს მიზეზი მოსცემოდეს და კაცი მოეკლას.

– დანაშაულობას ხომ საგანი რამ უნდა ჰქონდეს, კაცს იმისთვის ხომ არ მოჰკვლენ, რომ აიღონ და იმისი სისხლი დალიონ, რამე საგანი უნდა ჰქონდეთ. აბა რა საგანი უნდა ჰქონოდა იმ საწყალს ყმაწვილს, წასულიყო და ლეა მედანი მოეკლა? აბა როგორ გაიცნობდა უბრალო დღიური მუშა ქეიფის ქალს მაღალის წრისას? სახლში კი შეუშვებდა?

– მაგაში მეც გეთანხმებით. მეც დარწმუნებული ვარ, რომ მორის ფერანი მართალია.

– უფრო კარგი. მე აღვუთქვი ამელი ფერანს, რომ არაფერს არ დავზოგავ-მეთქი და შენის ძმის სიმართლის დასამტკიცებლად საბუთებს კი შეგიგროვებ-მეთქი. თქვენ შემეწევით, თუ არა?

– დიაღ. ეს არის, რომ გამოძიება გათავებულია და ფერანს მაინც გაასამართლებენ. მაგრამ არა უშავს რა. ოღონდ საბუთები ჩავიგდოთ ხელში და დაე გაასამართლონ, ხომ გაამართლებენ.

– საბუთებს ვიპოვით.

– მაშ ერთი ბეჯითად მოვილაპარაკოთ ჩვენს საქმეზედ. მე ჩუმად ძებნას შევუდგები და თქვენც კი უნდა მიშველოთ. თქვენთვის, როგორც მოსაქმე კაცისათვის, ადვილია ზოგიერთი ამბავი შეგვიტყოთ, მე კი, როგორც პოლიციის აგენტს, დამიძალავენ. თქვენი სახელი? – ჰკითხა გიურემ შადის.

– არისტიდ ლებლანი, მეტს სახელს შადის მეძახიან, თქვენც ეგრე დამიძახეთ.

– ბატონო შადი, მგონია თქვენ გენახათ იმ დილით კაცი, რომელიც გამოვიდა თურმე იმ სახლიდან, საცა ლეა მედანი მოჰკვლეს?

– დიაღ, მე ვნახე.

– მითამ ის კაცი იყოს ქალის მკვლელი? თქვენ როგორ გგონიათ?

– თავს მოვიჭრი, რომ სწორედ იმის მოკლულია და არა მორისისა, რომელიც არ შეიძლება არ მეცნო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მკვლელი ის ჯაგლაგი გუდარია, რომელიც ეხლახან ლაზათიანად მივბეგვე.

– როგორ თუ მიჰბეგვეთ?

შადიმ ყველაფერი უამბო.

– ამელი ფერანმა როდის გაიცნო ტიუსსოს სახლობა?

– სესილის დობილია; ამელის ძმა ტიუსსოსთან ჰმუშაობდა.

– დიდი ხანია მას აქეთ?... იქნება მორისი ქალის მკვლელის ამხანაგია?

– ვისი? აიმ ჯაგლაგისა? რას ბრძანებთ! მორისს ჭირივით ეჯავრებოდა გუდარი, რადგანაც სესილს ირთავდა. მორისს და სესილს ერთმანეთი უყვარდათ. გუდარის წყალობით მოუვიდა, რომ მორისი სახლიდან დაითხოვეს. იმ ჯაგლაგმა სწორედ ჯადონაქნარივით შეაყვარა თავი სესილის მამას, და სესილს რომ არ უნდოდა გუდარის შერთვა, ეგ იმითი მტკიცდება, რომ ჯვარისწერის დღეს ქალი წყალში გადავარდა, თავს ირჩობდა და მე გამოვიტანე წყლიდან.

– დაიცათ, – უთხრა გიურემ, – ყოველივე ეგ შეტყობილი ჰქონდა გამომძიებელს, მაგრამ გამომძიება როგორღაც უცნაურად წაიყვანეს... უსათუოდ მალლიდამ რაიმე ბძანება იყო. დიად, მე მახსოვს, რომ ეგენი ყველაფერი ცნობილი ჰქონდა გამომძიებელს. დილით 21 ივლისს თქვენ სესილი წყლიდამ გამოგიყვანიათ. სესილი წყალში ჩავარდნილიყო აუსტერლიცის ხიდიდამ განა?

– დიად.

– აი რას მოგახსენებთ, ბატონებო, – სთქვა ბოლოს გიურემ, – რასაც აქ ვიტყვით, ჩვენშივე უნდა დარჩეს. არავის დამრახვა არ გვინდა, მაგრამ გულახდილად ლაპარაკი კი საჭიროა. ჩვენ არაფერი არ უნდა დავმალოთ, რაც კი საქმის ასახსნელად საჭიროა.

– მართალია, მართალი! – დაიძახეს პალიარმა და შადიმ ორივემ ერთად.

– მორის ფერანს და ტიუსსოს ქალს ერთმანეთთან ხომ არაფერი ჰქონიათ? იქნება ჯვარისწერის წინა ღამეს სესილი თავის საყვარელთან იყო, რომ მასთან ერთად მომკვდარიყო.

– დამაცათ! – დაიძახა შადიმ, – ერთი რაღაც მაგონდება... დიად, სწორედ, როცა ექიმმა გონზედ მოიყვანა სესილი, სესილს გულის ზიდილი ძალიან მოუვიდა. ექიმმა წარბი შეიკრა და დაიძახა: “ჩქარა, საკაცეო!” მე გაოცებულმა ვკითხე: “განა უკედ არ შეიქმნა? მე მეგონა სულ გადარჩა-მეთქი”. აქ სხვა რაღაც ნიშნებია და ჯერ კი ვერ გამიგია, – მიპასუხა ექიმმა, – მე დარწმუნებული ვარ, რომ მინამ წყალში ჩავარდებოდა, დიდი წვალეება გადაჰხედაიო”.

– თქვენ კარგად გახსოვთ, რომ, რასაც ამბობთ, სწორედ ეგრე იყო? – ჰკითხა გულაღელვებით გიურემ.

– დამაცათ, კიდევ რას გეტყვით. საავადმყოფოში რომ მივედი და ვნახე სესილის უკეთობა, ექიმს ვუთხარი: “ამისთანა ლამაზი და თავს კი ირჩობდა-მეთქი!” “აბა, წყალმა დაიხსნა კიდევ სიკვდილისაგანა”. მერე დაუმატა: “საწყალს მძიმე ნაღველი ჰქონია, თავი სასიკვდილოდ დაუდვია, მაგრამ მინამ წყალში ჩავარდნილა, ჯერ საწამლავი დაუღევიაო”.

– როგორ, მაგისტანა ამბები გცოდნიათ და გამომძიებელს არ შეატყობინეთ?

– ამელიმ მითხრა, რომ თვითონ სესილი ჰნახავს გამომძიებელს. სესილს ეთქვა: “ნუ სწუხარ, ჩემო ამელი, ჩვენ დავიხსნით შენს ძმასა; მე ჩემს თავს დავღუპავ და იმას კი გადავარჩენო”.

– არც ეგ უთხარით გამომძიებელსა? – უსაყვედურა გიურემ გულფიცხად.

– განა კი მკითხეს რამე? – უპასუხა შადიმ, – აი, თქვენ ყველაფერს ყურს უგდებთ და სხვანი კი დამიყვირებდნენ: ”ბევრს ნუ ჰბოდავთ, თქვენ ისა სთქვით, რასაც გკითხავთ!” მოდი და აქ სთქვი რამე.

– მართალია, ზოგჯერ გამომძიება სულელურად მიჰყავთ ხოლმე. ჩვენ ყველაზედ უწინარეს ეგ ამბავი დაწვრილებით უნდა შევიტყოთ. მე ტიუსსოსთან წავალ და სიფრთხილით გამოვკითხავ სესილს.

– განა არ იცით...

– რა?

– ისა, რომ საწყალი ქალი ძალიან ავად არის. აი ორი დღეა გონებაშიხდილი წევს. ექიმს ფიქრი მიეცა, იქნება აღარ ადგესო, – უთხრა შადიმ და თვალში ცრემლი მოერია.

– ახა, ღმერთო ჩემო! აი უბედურება! მე თვითონ იმ ექიმსა ვნახავ, რომელსაც საავადმყოფოში უწამლნია. იმის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ექნება.

– მე მგონია, თვითონ მორისი რომ ნახოთ ციხეში, ცუდი არ იქნება, – უთხრა პალიარმა, – ერთი მოხერხებულად რომ გადუკრათ სიტყვა ამ ამბავზედ, იქნება ყველაფერი ათქმევინოთ.

– ნახვა არ შეიძლება. ის ეხლა კონსიერჟერში აღარ არის, – მაზასშია; ჯერ ექიმს გამოკვითხავ და მერე მორისის ვექილს ვნახავ და ყველაფერს ვუამბობ.

– ამბობენ, ქალის მოკვლის მიზეზი გაქურდვა იყო. მორისს ყველაფერი გადაუქოთეს და ვერა უპოვეს რა. მაშინ როდესაც ნაქურდალი ბანკის ბილეთები კი გუდარს დედიჩემისათვის დაეგირავენინა... ჰო, მართლა, მაგ ბილეთებს რა უყვეს? მე ვერ გამიგია, ამ საგანზედ რატომ ჩაფუშეს საქმე.

– როგორ? განა თქვენთვის არა გამოუცხადებიათ რა? საკვირველი გამოძიებაა! ბანკის ბილეთები ერთს პოლიციის აგენტს უპოვეს და იმას უთქვამს, რომ ჩემმა დეიდამ სიკვდილის ჟამს მაჩუქაო. იმ აგენტს ბოიე ჰქვია.

– ბოიე! – დაიყვირა პალიარმა, – ოჰ, ის არამზადა! იმან მოჰპარა საწყალს დედაჩემს ის ბილეთები.

– მართლა, მაგ კაცზედ ვერაფერს მეტყვიოთ? ვინ არის, რა კაცი არის? ესენი ყველაფერი გამოგვადგება საქმისათვის.

– ბოიე ჩემი დეიდაშვილია. თუმცა დეიდამისი დიდი ღვთისმოყვარე იყო, მაგრამ უქმროდ კი შვილი ჰშობა. ბოიეს პატარაობაში “ღვთის შვილს” ეძახოდნენ. დედა სამადლო სახლში მოუკვდა და დედაჩემმა თავისი დისწული აიყვანა გასაზღვლად და მიაბარა იეზუიტების სემინარიაში, ამ სკოლიდამ გამოვიდა საზიზღარ კაცად. ორჯერ თუ სამჯერ სამართალში იყო ავზნეობისათვის განსამართლებული, ერთხელ კიდევ რაღაც ავკაცობისათვის. ყოველთვის იეზუიტები ჰქომავობდნენ და გადაარჩენდნენ ხოლმე. ბოლოს პოლიციაში ადგილი უშოვეს. საძაგელი რამ არის და ძალიანაც მეჯავრება. თუმცა თვალად კეთილ სულსა ჰგავს, მაგრამ ბოროტია და შურისმძიები. სწორედ მელიაა კაცის სახითა. დედაჩემი დააჯერა, რომ დიდი ღვთისმოყვარე კაცია, ამით აუბა თვალეში, დასტყუა ფულები, თუმცა განსვენებულს არ უყვარდა ხშირად გახსნა ქისისა. ჩემზედ საძაგელ ხმებსა ჰყრიდა, ამბობდა, რომ თოკით დასარჩობიაო და პირში მეუბნებოდა, შენი უკეთესი მეგობარი მე ვარო.

– იმ ბანკის ბილეთებზედ რაღას იტყვიოთ?

– აკი მოგახსენეთ. ეხლა აშკარაა, რად დამიბარა მე სწორედ იმ დროსათვის, როცა დედაჩემს ენა ჩავარდნილი ჰქონდა და გონება – მიხდილი. მარტო მომაკვდავ დედაკაცთან მყოფს ვინ დაუშლიდა იქაურობა სულ გადაექოთებინა? განსვენებულს არ უყვარდა შინ ფულის შენახვა. ეგ ბანკის ბილეთებიც იმიტომ დარჩენია შინ, რომ დაბეჭდილ კონვერტში ყოფილა. არამზადა ბოიე გახსნიდა იმ კონვერტს, იფიქრებდა, რომ არავის ეცოდინება ამ ბანკის ბილეთების ამბავიო და

მოიპარავდა. ამის დასამტკიცებლად აი რა საბუთია: იმისი სამსახურიდამ უეცრად გასვლა და პარიზიდამ გაპარვა.

– აი, თვითონ ბოიემ კი რა აჩვენა: – მე აქამდის არ ვიცოდი, რომ ლაპარაკი დედათქვენზედ იყო, – იმანა სთქვა, რომ დეიდაჩემს მე ძალიან ვუყვარდი და ღვიძლი შვილი კი თვალის დასანახავად ეჯავრებოდაო. როცა კვდებოდა, უნდოდა ულუკმაპუროდ არ დავეგდე და შვილის უჩუმრად აილო და კონვერტი ბანკის ბილეთებით მაჩუქაო. ჯერ კი უარი ვუთხარიო...

– ოჰ, ის მყრალი, ისა! უარი ვუთხარიო! უნამუსოდ სტყუვის, მერე რაო? – ჰკითხა პალიარმა გულზედ მოსულმა.

– იმას რომ დავუჯეროთ, მითომ იმიტომ მიიღო ეგ საჩუქარი, რომ მოძღვარს ურჩევია.

– კარგი ამბებით კი ექნება ყურები გამოჭედილი მის მოძღვარს.

– მის მოძღვარს კი არა, დედათქვენის მოძღვარს. დედათქვენი შეჭხვეწნია მოძღვარს და იმის შემწეობით ძლივს-ძლივს აუღებინებია საჩუქარი.

– აქ ცხადი ტყუილია. დედაჩემმა იცოდა, რომ ეგ ბილეთები სხვისა იყო, აბა როგორ აჩუქებდა? დედაჩემი ძალიან პატიოსანი დედაკაცი იყო და მაგას არ იქმოდა.

– მაგაზედაც პასუხი მზადა ჰქონდა. დედათქვენს მითამ ეკითხნოს მოძღვრისათვის, ვადითა მაქვს დაგირავებული და ვადა გადაცილებულიაო, შემძლიან როგორც მინდა ისე მოვიხმარო ეს ბილეთებიო? მოძღვარს უთქვამს: “შეგიძლიანთო”, და მაშინ აილო და მე მაჩუქაო. არ მინდოდა ამელო, მაგრამ ბევრი მეხვეწა და მეტი რა გზა იყოვო.

– და ეს ყველაფერი დაუჯერეს? არა, ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდათ, რომ იმისთანა ხელმოჭერილი დედაკაცი, როგორც დედაჩემი იყო, სამოც ათას ფრანკს ისე ადვილად არ ასესხებდა, მერე უცხო კაცსა.

– ამაზედ ბოიეს პასუხი მზადა ჰქონდა. სთქვა, რომ დეიდაჩემი უწინაც ფულს ასარგებლებდა და ურიის სარგებელს იღებდა და იმით სცხოვრებდა, ეგ იმის ხელობა იყოვო.

– უნამუსო კაცი რომ იქნება, იქნება. არ ეყო, რომ გაქურდა, ცილსაცა სწამობს.

– ჩვენ მაგ ბოიეს თვალი უნდა ვადევნოთ. ესეც სახეში მისაღებია, რომ პირველი გამოძიება იმის ხელში იყო. იმის რჩევით არის დაჭერილი მორის ფერანი, მოწმეებიც იმის ნაშოვნია. ეხლა იმის საკეთილო ის იქნება, რომ როგორმე ანდრე გუდარი გაამართლოს, თორემ, თუ ანდრე გუდარი გაება ამ საქმეში, იმ ბილეთებს ჩამოაცლიან.

– აბა დაგვარიგეთ, თვითოეული ჩვენგანი რა გზას დაადგეს, და ჩვენ დაუყოვნებლივ საქმეს შევუდგებით, – სთქვა პალიარმა.

– მე მღვდელი ჩამაბარეთ, – სთქვა შადიმ, – და ნახავთ, რაებს გამოვათქმევინებ. ასე მოვიკატუნებ თავს, ისეთის ფარისევლობით მოვექცევი, რომ ყველაფერს წინ გამიშლის.

– კარგი, მე შევიტყობ იმ მღვდლის ბინას და თქვენ გაცნობებთ. უთხარით, რომ ქვრივის პალიარის შვილისაგანა ხართ და შვილს უნდა შეიტყოს, დედამ ხომ არაფერი დაავალა შვილსა-თქო.

– მე რაღას მანდობთ? – ჰკითხა პალიარმა.

– თქვენ ამელი ნახეთ, მგონია თქვენი საწყენი არ იყოს, – უთხრა გიურემ და ჩაუცინა, – და სთხოვეთ, რომ, რაც იცოდეს თავისის ძმის შესახებ, ყველაფერი გაიმბოთ.

– ძალიან კარგი, – უთხრა პალიარმა და წამოწითლდა, – მაგრამ ეს წინადაც გამომიკითხავს და ყველაფერი უამბნია, რაც იცოდა. გამომძიებელმა ერთს რაღაც ბარათზედ მკითხა, ვითომ ჩემს ძმას მიეღოს და მის ქაღალდებში კი არ აღმოჩენილიყოსო.

– უსათუოდ ეგ ის ბარათია, რომელიც მე ვიპოვნე ქარხანაში, საცა მორისი ჰმუშაობდა. ამბობენ, ყველაზედ დიდი საბუთი მორისის დანაშაულობაზედ ის ბარათიაო, ქალისაგან არის დაწერილი, რომელიც ფერანს ამხანაგად ჰყოლია ამ საქმეში. ქალი სწერს და ემუდარება: შენ გაიწირე თავი და მე კი დამიხსენიო.

– როგორ? ნუთუ მართლა მაგისტანა ბარათი არის სადმე! – დაიძახა პალიარმა და ფერი წაუვიდა.

– გეუბნებით, ეგ უსათუოდ ის ბარათია, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ.

– არა, ბარათი, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, სესილის დაწერილია და თვითონ ამელის ხელით გაგზავნილია მორისთან.

– ვაი შენს ბიჭს! იქნება ამ ბარათშიაც ხერხი რამ უხერხეს... ეხლა მე ნება არა მაქვს მაგ საქმეში გავერიო და ქაღალდები გადავსინჯო. მაინც ეგ ამბავი დავიწყებას არ უნდა მიეცეს და ხელზედ უნდა დავიხვიოთ.

ამასობაში შადი ადგა და ჯიბეების სინჯვა დაიწყო. სახეზედ რაღაცა ელდამ გაურბინა, თითქო რაღაც აგონდება და ვერ მოუგონიაო.

– რას ეძებთ? – ჰკითხა გიურემ.

– ბარათზედ რომ ლაპარაკი დაიწყეთ, მომაგონდა, რომ, როცა ის გუდარი ჯაგლაგი მიგიტყებთ, უბიძამ რაღაც ქაღალდი გავარდა. ავიღე და შევიხანხე, ეხლა ველარ მიპოვია, არ ვიცი, რა ვუყავი. ვინ იცის, გამოგვდგომოდა რაშიმე.

– არა მგონია, რომ იმისთან ოსტატს ავაზაკს შეენახა ჯიბეში ქაღალდი, რომელიც მისი გამამტყუნებელია.

– ძალიან კარგს იზამთ, ის ბარათი იპოვოთ, – სთქვა გიურემ, – მაგისტანა ავაზაკებმა იციან შენახვა იმისთანა ქაღალდებისა, რომელნიც თვითონ იმათაც თავსა სჭრიან და სხვასაც. ერთი კარგად მონახეთ!

– ჯიბეებში კი არა მაქვს, მაშინ პატარა შექვიფიანებული ვიყავ და იქნება დავკარგე კიდევ... მოიცათ, სწორედ ახალის შალვრის ჯიბეში მექნება, – მაშინ ის მეცვა. საღამოზედ შინ რომ მივალ, მოვნახავ და, თუ ვიპოვე, მოგიტანთ.

– განა ხელმოსაკიდებელი არის რამე იმაში? – ჰკითხა პალიარმა.

– არ ვიცი, – უთხრა შადიმ, – არ წამიკითხავს, ისე ჩავიდე ჯიბეში და მერე გადამავიწყდა.

– ბატონო შადი, – უთხრა გიურემ, – მგონი თქვენ იმ უბანის ახლო სდგებართ, საცა ლეა მედანი მოჰკლეს.

– ძალიან ახლო, მხოლოდ წყლის მეორე ნაპირას. ხშირად ზოგიერთის მიზეზისა გამო დავდივარ ხოლმე, ლეა მედანიის სახლის გვერდით რომ სახლია, იქ.

– ის მიზეზი მე ვიცი. თქვენა და ის ქალი ერთად მინახვიხართ გამომძიებელთან.

– თქვენ მაშინ იქ იყავით?

– თუ ხსოვნა არა მღალატობს, მგონი იმ ქალს დენიზა ჰქვია. ოცდახუთის წლისა თითქმის იქნება და ძალიან ლამაზია.

– სწორედ ამბობთ. მე ვხედავ, რომ პირში გემო გქონიათ.

– თუ გნებავთ, ბატონებო, – უთხრა გიურემ, – ყველანი ერთად წავიდეთ იქ, საცა ქალი მოჰკლეს, სახლში კი ნუ, – გარეშემო მივათვალ-მოვათვალაიეროთ. ერთი უნდა გავზომოთ რამოდენა მანძილია იმ სახლიდან, საცა ფერანი იდგა, აუსტერლიცის ხიდამდე, საიდანაც სესილი გადავარდნილა წყალში. ის გზა გამოვიკვლიოთ, რომელზედაც ქალის მკვლეელი მიმავალა ეტლამდე.

– საცა მე ის ჯაგლაგი გუდარი ვნახე? – იკითხა შადიმ.

– დარწმუნებული კი ხართ, რომ სწორედ გუდარი იყო?

– არა, სახე არ დამინახავს და ვერ ვიცანი. მაგრამ ეგ არაფერია, მე დარწმუნებული ვარ, რომ მარტო მაგისტანა უნამუსოს შეუძლიან მაგისტანა საქმის მოხდენა.

– თქვენ, ბატონო შადი, შეიარეთ თქვენსა და ის ბარათი მონახეთ. თუ რაშიმე გამოსაყენია, სჯობს ეხლავე ვიცოდეთ.

– იქნება საქმისათვის ფული იყოს საჭირო, – უთხრა გიურეს პალიარმა, – გთხოვთ ნუ დამზოგავთ, რამდენიც გნებავდეთ, მიბძანეთ.

– მადლობელი ვარ, – უპასუხა გიურემ, – ჯერ საჭირო არ არის და, თუ დამეხარჯება რამე, ანგარიშს მოგართმევთ. ეხლა კი დროა წავიდეთ.

ყველანი წავიდნენ. რამდენსამე წუთს შემდეგ კონტრესკარპის ბულვარზე მივიდნენ.

– ეტლი აქ იდგა, – სთქვა შადიმ, – აქედამა სჩანს ის სახლიც, საცა ქალი მოჰკლეს. აქამდინ მგონი ის სახლი არავის დაუჭერია.

– შვიდი თვეა მას აქეთ, რაც ქალი მოჰკლეს და მას აქეთ ვერავის გაუბედნია მაგ სახლის დაჭერა, – სთქვა პალიარმა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო სახლს სინჯვა.

– ეგ გამოძიებას კარგად მოუხდებოდა, – შენიშნა გიურემ, – არც სახლის პატრონი იქნება წაგებაში, იმიტომ რომ ლეა მედანიმა ერთი წლის ქირა წინ მისცა.

გიურე იმ გზაზედ წავიდა, რომელზედაც გაუვლია კაცს, შადის რომ შეხვედრია, და მინამდის შადი თავის სახლში მიირბენდა ბარათის მოსატანად, გიურე შევიდა იმ სახლში, საცა მორისი მდგარიყო. მორისის სახლის კარებთან რომ მივიდა, შედგა, ამოიღო საათი, დანიშნა და ჩამოვიდა უკანვე კიბეზედ. მერე გასწია აუსტერლიცის ხიდისაკენ და ყოველ ფეხის გადადგმას სთვლიდა. როცა უკან მობრუნდა, შადიც მოსულიყო და ბარათი მოეტანა. გიურემ გამოართვა ბარათი და წაიკითხა, მაგრამ ვერა გაიგო რა.

– აბა რას იტყვით? – ჰკითხა შადიმ.

– სრულიად ვერა გავიგე რა, – უპასუხა გიურემ, – ვგრძნობ კი, რომ ამ ბარათში რაღაც საიდუმლოა. აი რა სწერია: გახსოვდეს ისტორია გიორგი გრეგოროსი, რომელიც მე გიამბუ. გიორგი გრეგორო შენა ხარ, არ გაამჟღავნო კი, უარზედ დადევ და განთავისუფლებული იქნები. შენს გასამტყუნებლად არაფერი საბუთი არა აქვთ, ყოჩაღად იყავ. გამოხვალ თუ არა, მაშინვე მნახე.

– სულ ეგ არის?

– დიად. ძნელი გასაგებია, მაგრამ საჭიროა კი ეს ბარათი შევინახოთ.

– საავადმყოფოში წავიდეთ, თუ არა? – ჰკითხა შადიმ.

– დიად, უნდა წავიდეთ.

სავადმყოფოში რომ მივიდნენ, შადიმ იკითხა იმ ექიმის სახლი, რომელიც სესილს სწამლობდა. ორი მისი ამხანაგი გარედ დარჩნენ ქუჩაში.

– რა დაგმართვიათ? – ჰკითხეს ორივემ ერთად, როცა შადი მოვიდა გულამღვრეული.

– აი ბედი! – დაიძახა შადიმ, – საწყალი ექიმი ამ ათის დღის წინად მომკვდარა.

– ეგ ვერაფერი ამბავია, – სთქვა გიურემ, – მაინც იმის სიკვდილი გზას ვერ გადაგვიღობავს.

კარგად დაარიგა, ვინ რა უნდა ისაქმოს, დაუნიშნა დრო და ადგილი, სად უნდა მოიყარონ თავი. მერე გამოეთხოვა პალიარს, შადის და წავიდა.

II

სასოწარკვეთილება

გამომძიების გათავების შემდეგ მორის ფერანი მაზასში გადაიყვანეს. საწყალი ძალიან გამოიცვალა, სამის თთვის ციხეში ჯდომამ ხალისი მოუკლა. რაკი ჰხედავდა, რომ თავის გამართლების გზა არა ჰქონდა და რომ ესეთის მიდგომით გამომძიება მიდიოდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ჰგრძნობდა, რომ ხსნა აღარ არის და იღუპება. ეხლა, თუნდ რომ ეთქვა კიდევ, როგორ გაატარა 20 ივნისის ღამე, არ დაუჯერებდნენ. ამოდ ეძებდა სახსარს, თავი როგორმე გამოეხსნა უსამართლო ბრალდებისაგან. 20 ივნისის ღამეს ქალთან ერთად ენახათ. ქალის დასახელებაზედ უარზედ იდგა. გამომძიებელს ეგონა, რომ ის ქალი ამის ამხანაგი ყოფილა და ამ ქალისათვის გადაუცია ბანკის ბილეთები, რომელნიც ლეა მედანიისთვის მოუპარავსო.

– ქალი მოუწამლავს ერთგვარის საწამლავით, რომელიც შამპანურ ღვინოში აურევია და, თუმცა ამბობს, რომ ჩემის თავის მოსაწამლად ვქენი ეგ საქმეო, მაგრამ სტყუისო. თუ ეგ მართალია, ცარიელი ბოთლები მორისის სახლში უნდა გვეპოვნა და ვერ ვიპოვნეთო. ამასთანაც შამპანური ღვინო, რომელიც მორისს უყიდნია, მეტად ძვირია, იმ უბანში, საცა მორისი ცხოვრობს, არ იშოება და მარტო ერთს დუქანში არისო. იმ დღეს მარტო მორისს უყიდნია შამპანური ღვინო, მამასადამე, მისი დანაშაულობა უეჭველიაო.

მორისს არ შეეძლო უარყო ასეთი დალაგებული მსჯელობა. მაგრამ უკვირდა, როგორ მოჰხდა, რომ ამდენი საბუთი ჩემ წინააღმდეგ მოგროვდაო, და გული დააჯერა, რომ განზრახ მოიყვანეს საქმე ასე, და მოწმეებიც განზრახ ტყუილს ამბობენო. პირველ ხანში უნდოდა თავი ემართლებინა, მაგრამ ციხეში ჯდომამ ხალისი წაართვა და გამბედაობა მოუკლა. არაერთხელ თვალში ცრემლი მოჰრევია და გულამოჯდომით უტირნია, როგორც ბაშვსა. ხშირად მოჰგონებია სესილი და ამ მოგონებას ხშირად გაუმწარებია ამისათვის სიცოცხლე. სესილი სხვისი ცოლია, სხვაზედ ჰხარჯავს თავის ალერსსა, მაშინ როდესაც თვითონ მორისი ამოდენა წვალებამია. ერთხელ თავის მოკვლაც მოიწადინა, და ეს ამბავი გაუხდა მიზეზად, რომ გამომძიებელმა იფიქრა: უთუოდ დამნაშავე არის და განსამართლების შიშით თავის მოკვლა მოუწადინებიაო. რამდენსამე დღეს კიდევ იმედი მოეცა, რომ საქმე კარგად გაუთავდებოდა, რადგანაც გამომძიებელმა ტკბილად დაუწყო ლაპარაკი. მაგრამ უეცრად ყველაფერი ხელახლად გამოიცვალა.

– ფერან, თუ თქვენის თავის სიკეთე გინდათ, გამოტყდით ყველაფერში, – უთხრა გამომძიებელმა ბოლოს დროს, – ამით შეიმსუბუქებთ სასჯელს. ჩვენ ხელში გვაქვს საბუთი, რომ თქვენ ამხანაგი ქალი გყოლიათ. იმისი სახელი გვითხარით.

– მე არ მესმის, რა გინდათ ჩემგან. გეუბნებით: დანაშაული არა მაქვს და არც ამხანაგი მყოლია. მე ვხედავ, რომ რაღაც უცნაურის გზით მრავალი საბუთი მოგროვდა ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ გეფიცებით – დამნაშავე არა ვარ.

– ამ ბარათზედ რაღას იტყვით, რომელიც თქვენს სამუშაო უჯრამში ვიპოვეთ?

სესილის ბარათი რომ ნახა ფერანმა, გულმტკივნეულად შესძახა:

– იმისი ბარათია!

– აი, ხომ ხედავთ, – უთხრა გამომძიებელმა, – თქვენ უნებურად გამოგტყხათ თქვენმავე სიტყვამ, იმის ბარათიაო; გვითხარით იმ ქალის სახელი.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ეგ ბარათი გიპოვნიათ, მაგრამ ეგ ბარათი მევე მამართლებს, რადგანაც მანდ ისა სწერია, რის თქმაც მე ვერ შემიძლო.

– თქვენ მაინც ისევ კამედიას თამაშობთ. თქვენა გგონიათ, რომ ზოგიერთი დამალული სიტყვა ამ ბარათისა ძნელად გამოსაცნობია. ძალიანა სცდებით, ჩვენ ძალიან კარგად გამოვიცანით. აი წაიკითხეთ.

მორისმა გამოართვა ბარათი. ჰნახა, რომ ბევრი ასო და სიტყვა წაშლილია და, დანარჩენი რომ წაიკითხა, კანკალი მოუვიდა ელდისა და გაკვირვებისაგან.

– კაცს, რომელსაც განზრახ წაუშლია ასოები და სიტყვები ამ ბარათში, უნამუსობა ჩაუდენია, – სთქვა მორისმა.

– ჩუმაღ! განა თქვენც უნდა სხვას სწამებდეთ უნამუსობას?

საწყალმა ყმაწვილმა კაცმა ნაღვლიანად გაიღიმა, იფიქრა, რომ ბედს ჩემზედ სრულებით ხელი აუღიაო. ამ ბარათის პოვნას უნდა დაეხსნა მორისი ამ ვაებისაგან აღთქმის გაუტეხელად, მის მაგიერ რაღაც უცნაურის უბედურობით ეს ბარათი ყველაზედ მეტ საბუთად შეიქმნა ამის წინააღმდეგ.

– მაშ ყველა გათავებულა, – სთქვა მორისმა, – მე ვიღუპები, მაგრამ აღთქმას კი არ ვუღალატებ და იმას დავიხსნი.

– მაშასადამე, აღიარებთ განა თქვენს დანაშაულს?

– არასფერს არ ვაღიარებ და, რაცა ვთქვი, ის მარტო მე ვიცი. აბა რა ვქნა, რომ იმისთანა კაცები არიან, რომელთათვისაც ჩემი დალუპვა საჭირო ყოფილა და რომელთაც ამდენი საბუთი მოუციათ თქვენთვის ხელში, რომ გზა აღარა მაქვს თავი ვიმართლო. თქვენ თქვენი მოვალეობა აასრულეთ, ბატონო გამომძიებლო, გამამტყუნეთ, მე ამას იქით აღარაფერზედ პასუხს აღარ მოგცემთ. მე დამარცხებული ვარ, მაგრამ მაინც გეტყვით კიდევ, თავის დღეში არ ვიცნობდი და არც მინახავს ლეა მედანი და არც დანაშაული მაქვს იმ საქმეში, რომელსაც მე მაბრალებთ.

– ჩვენ საკმაოდ ვიცით, რაც საჭიროა, შეგიძლიანთ ამას იქით ხმაც აღარ ამოიღოთ, თუ გნებავთ. მაგრამ კი ძალიან შეგიწყნარებდათ სამართალი, თუ რომ იმ ქალს დაგვისახელებდით.

– სათქმელი აღარა მაქვს რა.

– მაშ სრულებით უარზედ სდგებართ?

მორისმა მხრები აიწია და მალლა აიხედა. ვერშემონმა კიდევ ერთხელ მოსთხოვა ქალის სახელი; მორისი, როგორც მუნჯი, ისე იდგა. მაშინ გამომძიებელმა წაუკითხა მორისის ნათქვამი, რომელიც ცოტად გადაესხვაფერა გამომძიებელს. ამ სიტყვების მაგიერ: “მე ვილუპები, მაგრამ აღთქმას კი არ ვუღალატებ და იმას დავიხსნი”, ესე ჩაეწერა გამომძიებელს: “თქვენ ყველაფერი გცოდნიათ. მე ვილუპები, მაგრამ აღთქმას კი არ ვუღალატებ, ქალზედ არაფერს ვიტყვი და გადარჩენილი იქნება”.

ამ გადასხვაფერებამ მარტო ღიმილი მოჰგვარა მორისს და მწუხარედ გააქნევინა თავი. აღარა სთქვა რა, დაავლო კალამს ხელი და ხელი მოაწერა. გამომძიებელს გულზედ მოეშვა, თითქო ამის თქმა უნდაო: ძლივს არ გათავდა ეს საქმე და ძლივს არ განვთავისუფლდით. ბძანება დასწერა, რომ ფერანი მაზასში გადევანათ.

გზადაგზა ფიქრობდა საწყალი ყმაწვილი კაცი: რა ვქნა, ვინ უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც ეგრე გადაუსხვაფერებია სესილის ბარათი და ესე ბეჯითად მე რადა მდევნის? მაშინ მოაგონდა, რომ ამ საქმეში რაღაც საპოლიტიკო ქაღალდები არის დაკარგული და უსათუოდ საჭიროდ დაინახეს ნამდვილის დამნაშავის მაგიერ ხელი წაევლოთ ვისთვისმე და მე, ბოგანა კაცს, უბინაოს, უოჯახოს, ქვეყანაში გამოუჩენელს, წამავლეს ხელი. აბა ამის შემდეგ, რადა თქმა უნდა, გამამტყუნებენ და, თუ საქმეს აგძელებენ, მარტო იმისთვის, რომ ხალხს თვალი აუბანო.

მაზასის ციხეში რომ მიიყვანეს, მორისი ბედს დაემორჩილა. ეხლა მარტო თავის დის ნაღველიდა ჰქონდა, რომელიც უპატრონოდ, უბინოდ, უმწეოდ და უნუგემოდ ჰრჩებოდა. ეგ ნაღველი უწყლავდა გულს იმ უსიხარულო ციხეში. მას შემდეგ, რაკი თავის მოკვლა ვერ მოუხერხდა, ქედი მოიდრიკა და უდრტვინველად ელოდდა, რას მოუტანდა ბედი.

ახალგაზრდა ვექილმა, რომელიც დაუნიშნეს მორისსა, გადიკითხა საქმე, დარწმუნდა, რომ დამნაშავეა მორისი და სთქვა გულში: სამართალს სასჯელის შემსუბუქებასდა თუ ვთხოვო, თორემ სხვა აღარა გაეწყობა რაო. მაგრამ მორისი

რომ ჰნახა, აზრი გამოიცვალა. მორისმა გადაწყვეტილად უთხრა, რომ სასჯელის შემსუბუქება მე არ მინდა, მე მარტო ჭეშმარიტება და სიმართლე მჭირიაო.

– რაც საჭიროა, მე უფრო ვიცი, – უთხრა ვექილმა, – ხოლო არ დაივიწყოთ, რომ ვექილი იგივე მოძღვარია. მე უნდა მითხრათ ყოველისფერი მართალი და არაფერი არ უნდა დამიმალოთ.

– მართალი ის არის, რომ მე დამნაშავე არა ვარ. 20-ს ივნისს ღამე ჩემს სახლში გავატარე, მარტო ვიყავ თუ იყო კიდევ ვინმე ჩემთან, მაგის თქმა არ მინდა. ეს კია, რომ ჩემის ოთახიდან ფეხი გარედ არ გამომიდგამს. მე ორი ბოთლი შამპანური ღვინო ვიყიდე, ერთში კი არა, ორივე ბოთლში საწამლავი ჩავყარე და მოწამლული ღვინო დავლიე. როგორ მოჰხდა, რომ ჩემი ცარიელი ბოთლები მოკლულის ქალის სახლში გამოჩნდა, ვერ გამიგია. გარწმუნებთ, რომ, რასაც ბრალსა მდებენ, იმაში დამნაშავე არა ვარ.

– დიდათა სცდებით, რომ მაგ გზით მოგიწადინებიათ თავი იმართლოთ.

– გზა რას მიქვიან! – დაიძახა უბედურმა მორისმა და ცრემლები გადმოჰყარა, – მე მართალს ვამბობ. არ ვიცი, ვის მაგიერად მსჯიან მე, ვხედავ კი, რომ უნდა დავიღუპო... თუ სიკვდილისაგან ვერ დამიხსნით, გემუდარებით, თქვენ მაინც დაიჯერებთ, რომ უბრალო ვარ და უკანასკნელს საათამდე იძახეთ, რომ მე დამნაშავე არა ვარ, არა და არა!

ვექილსაც კი გული ამოუჯდა. მორისსა ჰკითხა: სახლობა, ნათესაობა გყავს რამე თუ არაო. ეგონა, იქნება იმათ ათქმევინონ რამეო. საწყალმა უპასუხა, რომ მარტო ერთი დაჲ მყავსო, და სთხოვა ვექილს, იმისი ამბავი შემიტყეო. ვექილმა ალუთქვა და წავიდა. გულში თავის თავს სიტყვა მისცა, რომ დიდის მეცადინეობით ამ უბედურების გამართლებას შევუდგებო.

ვექილის ნახვამ ცუდი ზედმოქმედება იქონია მორისზედ, რადგანაც იმისი აზრი საზოგადოების აზრად ეჩვენა. ამ სახით ყველას კაცის მკვლელად მიაჩნდათ მორისი. მთელი ეს დღე ისე გაატარა, რომ თავჩაღუნული იჯდა თავის სენაკის კუთხეში დ გულამოჯდომით სტიროდა. ნეტავი ჩემამდინ მოუშვან ვინმე მაინც, ერთი გამომეკითხნა, ჩემი მახლობელი რას ჰშვრებიანო. ხოლო ამ საქმის საიდუმლომ აიძულა გამომძიებელი, რომ არავინ მოეშვა მორისთან. ნაპოვნი ბარათი, რომელიც მორისის გამტყუნების დიდ საბუთად უნდა ყოფილიყო, აჩვენებდა, რა ყოფაშია უნდა ყოფილიყო მისი ამხანაგი ქალი. გამომძიებელს იმედი ჰქონდა, მარტოდ დამწყვდეული ფერანი, როცა იქნება, გამოგვიტყდებაო.

მორისი, რომელიც შეეჩვია თავის მარტოობას, ძალიან გაოცდა, როცა საღამოზედ, ციხის გუშაგმა ვახშამი რომ შემოუტანა, რაღაც ბარათიც მისცა. ვექილს შესცოდებოდა მორისი და ეთხოვნა, რომ ნება მიეცით წიგნების მიღებისა და წერისაო. მორისს ეგ ნება მისცეს იმ პირობით კი, რომ ჯერ წაეკითხებიანებინა გამომძიებლისათვის. ნახვა ვისიმე კი აკრძალული ჰქონდა.

მიღებული ბარათი რამდენიმე დღის წინად დაწერილი იყო. აბა იფიქრეთ, რარიგ გაუხარდებოდა! აჩქარებით მივარდა ბარათს, ჰნახა, რომ თავის დისაგან არის და სწრაფად გადიკითხა. ბარათში ეწერა: “ჩემო უბედურო და გულითად საყვარელო ძმაო, ბედმა შენზედ ხელი აიღო და ჩვენ ამაოდ ვეძებთ ნუგეშსა. ჩვენ ვიცით, რომ შენ მართალი ხარ და საბუთებს ვეძებთ. მაგრად იყავ, გულს ნუ

გაიტეხ. შენ პატიოსანი და შრომისმოყვარე კაცი ხარ და როგორ შეიძლება, რომ შენ მაგ საშინელის დანაშაულობის მხსვერპლად შეიქმნე. ამბობენ, რომ არ გინდა თქმა, როგორ გაგიტარებია ღამე, როცა ქალი მოუკლავთ. რატომ არ გინდა დაასახელო ის ქალი, რომელიც იმ საღამოს შენთან ერთად უნახავთ? შენმა კეთილისმყოფებმა მითხრეს, იქნება ქმრიან ქალთან ჰქონდა საქმე და იმიტომ არ ამბობს ვინ იყო, რომ არ შევარცხვინოვო. იმათ არ იციან, რომ შენ გულში ერთის სიყვარული გქონდა, იმის გულისათვის თავიც მოიწამლე, აქაოდა სხვას ირთავსო – და აბა ამ დროს სხვა ქალთან როგორ იქნებოდი?!. ეხლაც თვალწინ მიდგას ის საშინელი დილა, როცა მე შენ მომაკვდავს მოგასწარი და არაფერი უსიამოვნება არ მოგვადგებოდა, რომ ჩვენ მაშინ სოფელში არ წავსულიყავით... შეიტყე თუ არა, რომ სესილის ქმარი ანდრე გუდარი დაიჭირეს?.. (აქ სიტყვები წაეშალათ) სესილი თავის დედ-მამის სახლში გადმოვიდა და უნდა ითხოვოს, ქმარს გაჰყარონ. სესილს სულ შენ ახსოვხარ; ყოველთვის შენზედ ვლაპარაკობთ (აქ კიდევ ორი სტრიქონი იყო წაშლილი). მერწმუნე, ჩემო კარგო ძმაო, რომ შენი სიმართლე უეჭველად დამტკიცდება. ჩემზედ ნურაფერს შესწუხდები: სესილი ძალიან მწყალობს და არაფერი მიჭირს, მეტის მუშაობით არ ვიღალეები. გულს ნუ გაიტეხ, მალე ვნახავთ ერთმანეთს. შენი ჭირიმე, მითხარი, ვინ იყო ის ქალი, რომელიც შენთან ერთად უნახავთ. მე ვნახავდი იმ ქალს და ყველა ამ უბედურებას გადავრჩებოდი. ქალს არა მოუვა რა, რისა უნდა ეშინოდეს? მე მითხრეს, რომ, თუ ამისთანა საქმეში ქალის ნამუსზედ ლაპარაკი ჩამოვარდება, სამართალი გაუფრთხილდება, როგორც დიდ საიდუმლოს. ჩემო კარგო ძმაო, გამომძიებელმა მითხრა, თუ გვეტყვის, როგორ გაატარა ის ღამე, მაშინ უეჭველად გავამართლებთო. საყვარლის გულისათვის როდი უნდა გაიფუჭო თავი და არ უნდა შეირცხვინო ნამუსი. შენი და ჩვენი ნამუსი განა არა ჰღირს იმ ქალის ნამუსადა? და ძალიან ნაკლებ ჰყვარებიხარ, თუ თავის მშვიდობიანობის დარღვევის შიშით იქამდის მიგიყვანა, რომ შენ, უბრალო, უდანაშაულო, მაგისთანა საშინელ დანაშაულობაში გაგაბა. ჭკუაზედ მოდი, მაგასა გთხოვს შენ შენი საყვარელი ამელი. გაზედე, გაზედე, ჩემო საყვარელო ძმაო, დაასახელე ის ქალი, უსინდისობა არ იქნება შენგან, სიკვდილს გადარჩები, ნამუსსაც არ შეირცხვენ”.

მორისმა დაუწყო კოცნა ამ ბარათსა და რამდენჯერმე გადიკითხა. საწყალს კარგს ამელის ფიქრში სულ ძმა ჰყოლია! მორისს იამა, რომ სესილი ქმარს ეყრება. ბარათი დიდის ხნისა იყო – იმ დროისა, როცა გამომძიებელი იმედს აძლევდა მორისს, მალე გამოგიშვებო. მხოლოდ ერთგან ბარათმა ძალიან შეაწუხა მორისი. ეგ იქ, საცა ეწერა: “საყვარლის გულისათვის თავი როდი უნდა გაიფუჭოვო...”

მართალია, – ჰფიქრობდა მორისი, – ამელი ყოველდღე ხედავს ხოლმე სესილს და უთუოდ გამოჰკითხავდა რასმეს ამ ბარათზედ. სესილი უთუოდ არას ეუბნება და მე ამ სადაგელ დანაშაულობაში მხვევს და ვერ უთქვამს ბოდიშადაც, რომ ქმრის შეწუხებას ვერიდებო.

იმედგადაწყვეტილმა ჩაჰკიდა თავი და ხმამაღლა სთქვა:

– მე არ მეგონა ის ამისთანა... მე მაინც ჩემს ფიცს არ გადავალ.

ითხოვა ქალადი და თავის დას მისწერა მოკლე ბარათი სავსე ძმურის სიყვარულითა და ალერსითა. გულის დასამშვიდებლად არწმუნებდა, რომ ნუ, ნუ

გემინიან, უეჭველად გამამართლებენო. სთხოვა ყველაფერში სესილს დაეკითხო, შენი და ჩემი ბარათებიც აჩვენე ხოლმე და ჰკითხე, რას იქმოდა იმ შემთხვევაში, რომელსაც ამელი თავის ბარათის ბოლოში იხსენიებდა. ეგონა, რომ სესილი მიმიხვდება, რასაც ვამბობო. ბარათის რომ დასწერა და ციხის გუშაგს მისცა, მორისს ცოტა გულზედ მოეშვა.

მეორე დღეს მოკლე ბარათი მიიღო ამელისაგან. სწერდა, რომ პირველი ბარათის შემდეგ სესილი ძლიერ ავად გახდა; რვა დღეა ქვეშაგებში წევსო და ექიმმაც იმედი გადიწყვიტაო. ღმერთს შეავედრე, – სწერდა ბოლოს ამელი. მორისს თავზარი დაეცა – ეგ ერთადერთი მოწმობაც, რომელსაც შეეძლო მოერჩინა მორისი, ხელიდამ წაუვიდა, უკვდებოდა ის, ვის გულისათვისაც მთლად დასდვა თავისი სიცოცხლე.

– უნდა ვილოცო იმისთვისაც და ჩემთვისაც! – დაიძახა გულმოკლულმა, – მე დალუპული ვარ.

თავი დავანებოთ მორისს და ისევ დავუბრუნდეთ იზას, რომელიც იყო მიზეზი მორისის წვალეებისა. მკითხველს მოვაგონებთ, რომ ბოიემ მიიღო ხელმოუწერელი ბარათი, რომელშიაც ეწერა: ამ სადამოზედ თანხმობის მოედანზედ მოდიო. დააპირა წასვლა თუ არა, მეორე ბარათი მიიღო, ნუღარ გაირჯები, მინამ ხელახლად შეგატყობინებდეთო.

ორივე ბარათი იზას სიტყვით იყო დაწერილი. გამოძიებული საქმე რომ გადაჩხრიკა, იზამ შეიტყო, რომ პირველი გამოძიება ბოიეს მოუხდენია, რომ მისგან მოგროვილ საბუთების ძალით გამოძიებელს ბძანება მიუცია მორისის დაჭერისა. მამასადამე, ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ისევ ბოიესათვის ჩაებარებინა ეგ საქმე. თუმცა იზამ შეიტყო, რომ ბოიე სამსახურში აღარ არის, მაგრამ მაინც თავის განზრახვა არ შესცვალა. ამ მიზეზით გაუგზავნა ბოიეს ბარათი და სთხოვდა თანხმობის მოედანზედ მოსვლასა.

იზას არ ეგონა, რომ ვერშემონი ესე მალე დაჰყვებოდა და გუდარს გამოუშვებდა. ამჟამად ბოიე საჭირო არ იყო და ამიტომაც ამისი ნახვა აღარ ინდომა. ხოლო გუდარის გამოშვებით საქმეს ბოლო ჯერ კიდევ არ მოედებოდა, საჭირო იყო დამნაშავე ეპოვნათ, რომ გაესამართლებინათ და დაესაჯათ. მორისის გასამტყუნებლად შესაძლო იყო საკმაო საბუთები არა ჰქონოდათ და ამის გამო იქნება ხელახლად დაეწყოთ გამოძიება. ეს იზას ვერაფრად ეჭაშნიკებოდა მრავალის მიზეზისა გამო, მაშინ ბოიე დასჭირდებოდა და ამიტომაც მისწერა: თუ საჭირო იქნები, შეგატყობინებო. ბოიე მოუთმენლად ელოდდა მესამე ბარათსა და ბოლოს მოუვიდა კიდევაც.

რალა თქმა უნდა, ბარათი იზასაგან იყო ვერშემონისაგან ნაყიდს სახლში რომ გადავიდა, იზა ტყვესავით იყო; ერთის წუთითაც კარზედ ვერ გამოდიოდა, რადგანაც ოსკარი პირველს ხანებში დღედაღამ სულ შინ იყო. ბოლოს როგორღაც მოახერხა ერთი საათით გამოსვლა და მაშინვე პირდაპირ თავის მოახლე ჟუსტინასთან წავიდა, რომელიც იქავ გვერდით სასტუმროში იდგა. იმისაგან შეიტყო – ვიღაც უცნაური კაცები მოდიოდნენ და იზას კითხულობდნენო; გუდარიც მოსულა და გაჰკვირვებია, როცა შეუტყვია, რომ იზა უეცრად

დაიკარგაო. გუდარს შეეტყო ჟუსტინას ბინა და გამოეგზავნა ბარათი იზას სახელზედ. იზამ გამოართვა ეს ბარათი, წაიკითხა და დასწერა მაშინვე ორი ბარათი – ერთი ბოიესთან და მეორე გუდართან. ორივეს სთხოვდა, მნახეთო.

ვერშემონმა რომ გადიყვანა ლამაზი იზა თავის სახლში, იმ პირობით გადიყვანა, რომ მოსამსახურეებიც კი სულ ახლები ჰყოლოდა. იზა ჯერ ეთანხმა ამაზედ ულაპარაკოდ, მაგრამ გულში კი განიზრახა, ჟუსტინას ისევ მოვაყვანინებო, რადგანაც ჟუსტინა იყო მისი ავან-ჩავანი ყველაფერში. ჟუსტინა, იზას სურვილისამებრ, იქავ გვერდით დადგა. მეორეს დღეს გადმოსვლის შემდეგ იზამ დრტვინვა დაიწყო: ახალმა მოახლემ არა იცის რა და ვერც მალე დაისწავლის ჩემს სამსახურსაო. იზამ ნაღვლიანად ამოიოხრა და ჟუსტინას თავი ინატრა. ყოველ დღე თითო-ოროლა სიტყვას გადუგდებდა ხოლმე ვერშემონს თავის ძველ მოახლეზედ და ვერშემონის ყური შეაჩვია ნელ-ნელა; ბოლოს ვერშემონმა იგრძნო, რომ თავის ძვირფას საყვარელს ძველი მოახლე უნდა დაუჭიროს. მინამ ეს მოხდებოდა, იზამ ერთხელ კიდევ ჩუმად ინახულა თავისი ავან-ჩავანი მოახლე და იმან უამბო, რომ ამ ოთხს დღეში საჯაროდ გაიყიდება იზას ავეჯეულობა მოვალეების გასასტუმრებლად.

– ხომ არ დაგავიწყდა, რაც გითხარ პატარა ყუთის შესახებ? – ჰკითხა იზამ.

– მე ბელარს ვუთხარი, – უპასუხა ჟუსტინამ. – დამპირდა, რაც უნდა ბევრი დამეხარჯოს, მაინც ვიყიდი იმ ყუთსაო.

– შენც უნდა დაესწრო გაყიდვის დროს. რა ვიცი, არ შეეშალოს და სხვა ყუთი არ იყიდოს.

– ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება.

– როცა იყიდის, მეორეს დღესვე კარებთან ახლო ფანჯარაში დადოს თავის მაღაზიაში სხვა ნივთებ შორის.

– ეგეც მითქვამს.

– ხომ გითქვამს ჩვენის კარის მცველისათვის, რომ, თუ ჩემს სახელზედ ბარათები მოვა, შენ გადმოგცეს ხოლმე.

– თქვენი რწმუნების ქალაღი იმას ვაჩვენე და ფოსტაშიაც წავიღე, იქ მითხრეს ეგ ქალაღი საკმაოაო.

– ვეცდები ამ ორ დღეში კიდევ გნახო, თუ როგორმე თავს დავისხლეტ.

– რარიგად მოგბეზრდათ მგონია ამისთანა ცხოვრება!

– მომწყინდა და ეგრე!

გამოეთხოვა მოახლეს, ჩაჯდა ეტლში და იფიქრა: “მართალია, ვის არ მოსწყინდება ამისთანა სიცოცხლე, მაგრამ რა ვქნა, უნდა ვითმინო, მინამ სამართალი თავისას იტყვის. იმ სულელს კი ისევ პარიზში უნდა ყოფნა და ნახავთ, თუ ხელახლად არ გაეზას. რაც უნდა მომივიდეს, დღესვე უნდა მოვახერხო, რომ პარიზს მოშორდეს”.

თავის უწინდელ სახლისკენ რომ გაიარა, თუმცა უკან გადაწვა ეტლში, მაგრამ მაინც თვალი შეასწრო, რომ ერთი ვიღაცა კაცი ყურადღებით ჰკითხულობდა კედელზედ გაკრულს განცხადებას იზას ნივთების გაყიდვისას. იზას გაეცინა და შუბლი გაეხსნა. რომ სცოდნოდა ის კაცი ვინ იყო, სწორედ

თრთოლა მოუვიდოდა. ის კაცი იყო პოლიციის აგენტი გიურე, რომელმაც წინა დღით უთხრა მტირალს ამელის:

– რა გატირებთ? სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენს ძმას დავიხსნით.

III

რა იმოქმედა შადიმ

იმისთანა ქალებს, როგორც იზაა, პარიზში ის უპირატესობა აქვთ, რომ გაზეთები თვალყურს ადევნებენ და ყოველს წვრილმანს ამბავს მათ შესახებ სწერენ ხოლმე. ხოლო როცა ამ ლამაზის ქალის ქონების გაყიდვა იყო, გაზეთებმა თავის ჩვეულებას უღალატეს და ხმა არ ამოიღეს, თუმცა ეს ქონება იმისთანა იყო, რომ სახსენებლად ღირდა. მართალია, ოთახების მორთულობა არც სილამაზით, არც ლაზათით გამოჩენილი არ იყო, მაგრამ მეტად ძვირფასი იყო.

მას აქვთ, რაც ეგ განცხადება გამოკიდებული იყო, გიურე ყოველდღე იზას ძველს სახლს აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე. ხშირად შეხვედრია აქ იზას მოახლეს ჟუსტინას და უკვირდა, ეს ძველი მოახლე აქ რისთვის დაიარებო. ყოველთვის, როცა ჟუსტინა შევიდოდა ხოლმე ოთახებში, საცა იზას ქონება იყო გამოფენილი გასასყიდად, გიურე თან შეჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ვერაფრის ალლო ვერ აიღო.

ორი დღე ხალხს უშვებდნენ ნივთების გასაჩხრეკად. გიურე დიდის გულმოდგინებით ჰსინჯავდა ყოველ ნივთს და ამ სინჯვას მთელი ოთხი საათი მოახმარა. მისმა გამოცდილმა თვალმა აქაც ვერა შეამჩნია რა. ყველაფერი მდიდრული იყო – ძვირფასი, მაგრამ ულაზათო, ერთი სიტყვით იმისთანა, როგორსაც კაცი შეხვდება ხოლმე ქეიფის მოყვარე ქალის სახლში, რომელიც ეხლახან გამოსულა მოედანზედ.

იმ დღეს, რა დღესაც გაყიდვა დანიშნული იყო, გიურე ყველაზედ წინ მივიდა, იმის გვერდით დადგა, ვისაც უნდა გაეყიდნა. იმისთანა ადგილი ამოირჩია, რომ იქიდან ყველას დაინახავდა. რაღა თქმა უნდა, იქ მოგროვილი ხალხი იმისთვის არაფერი იყო, თუმცა ბევრს რასმეს კი გაიგონებდა იზაზედ და იმის ქონების თაობაზედ, რომელიც არაერთხელ გამოუტანიათ გასასყიდად. ამ ნივთებს თავისი ისტორია ჰქონდა. ხან ერთს იზას მაგვარს ქალს ჩაუვარდებოდა ხელში, ხან მეორეს. გიურე თვალს ადევნებდა მარტო ჟუსტინას, რომელიც შემოვიდა თუ არა, მივიდა ერთს გამოჩენილ ავეჯის ვაჭართან და ხმადაბლა დაუწყო ლაპარაკი. საშინლად უნდოდა შეეტყო, რაზედ ლაპარაკობდნენ. ლაპარაკის შემდეგ ორნივე გავიდნენ მეორე ოთახში. გიურეს უნდოდა თან გაჰყოლოდა, მაგრამ იმოდენა ხალხი იყო, რომ ვერ გაატანა და თავის ადგილას დარჩა, ჟუსტინა და ვაჭარი ისევ მალე მობრუნდნენ და სწორედ გიურეს პირდაპირ დასხდნენ ოთახის მეორე თავში.

ჟუსტინამაც შეამჩნია, რომ ის უცნაური კაცი გულმოდგინებით თვალს ადევნებს, და ვერ მიმხვდარიყო, ვინ იყო და რა უნდოდა. წამდაუწუმ გიურეს შეჰხედავდა ხოლმე. მაგრამ ვერას ამჩნევდა.

როცა გაყიდვას მოჰყვნიენ, ხალხმა მოძრაობა დაიწყო. შადიც აქ შემოვიდა და გიურემ უთხრა, აქ ჩემთან დადექიო. თქვენ ამოგეფარებით და თვალყურს ისე დავიჭერო.

გაყიდვა დაიწყო. გიურემ დაინახა, რომ ჟუსტინამ ავეჯის ვაჭარს აჩვენა ერთი პატარა ლამაზი ყუთი, რომლის გაყიდვის რიგი მოვიდა.

– ყუთი გააღებინეთ, – დაიძახეს მსყიდველებმა.

– რით გავაღოთ, გასაღები დაკარგულია, – უპასუხა გამსყიდავმა, – ხომ ხედავთ, ყუთი ახალია.

ეს ყუთი ახალი ათ თუმნადა ღირდა. იმ ვაჭარმა, რომელიც ჟუსტინასთან ლაპარაკობდა, პირდაპირ ცხრა თუმანი შეაძლია.

– “თუ ვისთვისმე ძალიან საჭირო არ არის ეს ყუთი, გროშს მეტს აღარავინ მისცემს, – გაიფიქრა გიურემ, – მაგისტანა მდიდარს ავეჯის ვაჭარს რად უნდა ეგ ყუთი; არც იმ მოახლისათვის არის საჭირო. აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს”.

შადის ყურში უჩურჩულა, შენც ივაჭრეო.

– ცხრა თუმანი და სამი მანეთი, – დაიძახა შადიმ და იფიქრა, ხომ არ გაგიჟდა ეს გიურეო, – განა არ იცით, რომ მაგდენი ფული მე არა მაქვს, – უთხრა ჩუმად გიურეს.

– ცხრა თუმანი და რვა მანეთი, – დაიძახა ვაჭარმა.

– ათი თუმანი, – წასჩურჩულა გიურემ შადის.

– ათი თუმანი, – დაიძახა შადიმ და გაწითლდა, რადგანაც მთელმა ხალხმა ამას დაუწყო ყურება.

ჟუსტინამ თავი მაღლა აიღო და უნდოდა დაენახა ეს ბედოვლათი მსყიდველი.

– ათ თუმან ნახევარი, – დაიძახა ვაჭარმა.

– თერთმეტი თუმანი, – უპასუხა შადიმ.

– თერთმეტი თუმან-ნახევარი...

– თორმეტი თუმანი. – დაიყვირა შადიმ და მოპირდაპირეს სიტყვა გააწყვეტინა.

– თორმეტი თუმან-ნახევარი, – უპასუხა ვაჭარმა.

შადის უნდოდა კიდევ გადაემატნა, მაგრამ გიურემ ნება არ მისცა:

– კმარა, – უთხრა გიურემ, – მე ვიცი, რაც საჭიროა ჩემთვისა. მაგ ყუთს თვალი არ მოაშორო, შემიტყუეთ, სად წაიღებენ.

საცილობელი ნივთი ავეჯის ვაჭარს დარჩა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა და გიურეს მახვილ ყურამდე მოაწია ჟუსტინას სიტყვამ: “ძლივს!” ამის შემდეგ მოახლე ოთახიდან გავიდა.

ნაყიდს ყუთს, რასაკვირველია, ეხლავე არ დაანებებდნენ და ვაჭარი, რომელმაც იყიდა, ოთახში დარჩა. რაღა თქმა უნდა, გიურემ თვალი აღარ მოაშორა.

ბოლოს შემოიტანეს დიდი კალათა, რომელშიაც ოცდახუთი ბოთლი შამპანიური ღვინო ეტევიდა. უნდა ესეც გაეყიდნათ.

– კალათა ოცდახუთ ბოთლიანი, – დაიძახა გამსყიდველმა, – მაგრამ ოცდასამი ბოთლი შამპანური ღვინოა; ორი ბოთლი დაუხარჯავთ.

ამოიღო ერთი ბოთლი, გააცალა ნამჯე, რომელშიაც შეხვეული იყო, გასინჯა, რაგვარი ღვინოა, და გამოაცხადა.

– აბა ერთი ეგ ბოთლი ღვინო მიბოძეთ, – უთხრა გიურემ გამსყიდველს. ბოთლი მოაწოდეს. გასინჯა ბოთლი და ჩუმად უთხრა შადის:

– ეს მთელი კალათა უნდა ვიყიდოთ, ივაჭრეთ.

– ოცდასამი ბოთლი შამპანური ღვინო ოცდახუთი მანეთი, – დაიძახა გამსყიდველმა.

– ოცდარვა, – უპასუხა შადიმ.

ვიღამაც კიდე გადუმატა; შადიმ ასწია ფასი და სამ თუმნად დაინარჩუნა შამპანური ღვინო, გიურემ უბიძამ ქალადი ამოიღო და შემდეგი დასწერა: “გიურემ იყიდა, პოლიციის აგენტმა, რომელიც სთხოვს გამსყიდველს ამაზევე შეამოწმოს, რომ კალათას ორი ბოთლი შამპანური ღვინო აკლდა ამადაამა ნიშნისა”. ხელი მოაწერა და ბარათი ფულთან ერთად გადასცა გამსყიდველსა, რომელმაც თხოვნა აუსრულა და შეამოწმა.

მინამ გამსყიდველი მოწმობას წერდა, ვაჭარმა, რომელსაც თვალს ადევნებდა გიურე, დაუძახა მუშას, ჩააბარა ნასყიდი ყუთი და უთხრა – წაიღეო.

– ჩქარა გაჰყევით, შადი, – უთხრა გიურემ, – ერთი შემიტყე, სად მიიტანენ; ჩვენი საქმისთვის ეგ ძალიან საჭიროა.

შადი გაჰყვა. ათის წუთის შემდეგ ყუთი მიიტანეს ავეჯის დუქანში სენ-ჰონორეს ქუჩაზედ. შადი იქავ კედელს აეფარა, თვალი ადევნა და ჰნახა, რომ ვაჭარმა აიღო და თვალსაჩინო ადგილას დუქნის ფანჯარაში დასდგა. მერე გასინჯა საათი და შევიდა დუქანში.

შადიმ იფიქრა, რაც საჭირო იყო ხომ გავიგეო და წამოვიდა ისევ გიურესთან. როცა შადი მივიდა, გიურე ნახა ქუჩაში – ეტლში იჯდა და ამას უცდიდა, ნასყიდი კალათა თანა ჰქონდა; გიურემ სთხოვა, ჩაჯექ და წამომყეო; შადი არ გაჰყვა, მეც აქ ნასყიდი მაქ საქონელი და უნდა წავიღოვო. მაშ კარგი, – უთხრა გიურემ, – პალიართან შევიყარნეთ ხვალა. დღევანდელმა დღემ უქმად არ ჩავვიარაო. გიურე მაშინვე პოლიციაში წავიდა და იმ ავეჯის დუქანთან რომ გაიარა, საცა ყუთი მიიტანეს, შედგა და დარწმუნდა, რომ ის ყუთი მართლა აქ მოუტანიათ და ფანჯარაში დგას. ნეტა რა მიზეზი იყო, რომ ეს ყუთი იყიდაო? – იფიქრა გიურემ, – რასაკვირველია, მოგებისათვის იყიდა, მაგრამ იზას მოახლეს რაღა საქმე ჰქონდაო? გიურეს ეჭვი მოუვიდა, აქ რაღაც საიდუმლო საქმე თავს იმალავსო.

პოლიციაში რომ მივიდა, ჩააბარა ნასყიდი კალათა და წარუდგინა მოწმობა გამსყიდველისა. გამობრუნდა აქედამ და ისევ ავეჯის ვაჭართან მივიდა და უთხრა: აღარ ვივაჭრეთ ეგ ყუთი, რადგანაც არ გვინდოდა ფასი აგვეწიაო.

– როგორ მომყიდით ეხლა მაგ ყუთს, რომლის გამო ეგრე ცხარედ დავეტაკენით? – ჰკითხა გიურემ.

– მე თქვენ ვერ მოგყიდით, – უპასუხა ვაჭარმა.

– რატომ?

– გაყიდულია.

– როგორ? ეგრე მალე?

– ერთმა ქალმა შემომიკვეთა ამის ყიდვა და მეც იმისთვის ვიყიდე... დარწმუნებული ვარ, რომ ფასზედ ყოყმანობას არ დაიწყებს.

– მეწყინა, ღვთის წინაშე, – უთხრა გიურემ, რომელსაც ეჭვი გაუძლიერდა, – მე ძალიან მინდოდა მაგ ყუთის ყიდვა; ჩემის ავეჯის მაგვარია და სწორედ მაგისთანა ყუთი მაკლდა. მაგრამ მგონია სხვაგანაც ვიშოვი.

– უფრო იაფადაც; მე მოგართმევთ სულ ახალს სწორედ მაგისთანას.

– მაგაზედ მერეც მოგელაპარაკებით. მშვიდობით; იმედი მაქვს, ისევ მალე განახოთ.

გიურე გამოვიდა და ვაჭარმა კარებამდინ გამოაცილა. რაღა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობამ აიტაცა. აქ თუ ერთი მიზეზი არ იყოს, ვინ მისცემდა ამდენს ფულს ძველ ყუთში? ცხადია, აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს: უეჭველად უნდა შევიტყო, რა ამბავიაო.

დუქნიდამ რომ გამოვიდა, გიურე ისე აეფარა კედელს, რომ თითონ ყველას ჰხედავდა დუქანში შემსვლელს და გამომსვლელს და მას ვერავინა. მთელი ერთი საათი აქ ატუზული იდგა. საღამოს ხანიც მოახლოვდა. ამ დროს დუქანში შემოვიდა მდიდრად ჩაცმული ქალი პირბადითა, თან მოჰყვა კაციც, რომელსაც სახე პალტოს საყელოში დაემალა. გიურე დაუპირისპირდა დუქანს და ქუჩის მეორე მხრიდამ დაუწყო ცქერა. ვაჭარმა ქალი და კაცი მიიყვანა ყუთთან, რაღაცა ლაპარაკი დაიწყო, რაღაც დანიშნა ქალადში და ფული მიიღო.

“დასწყევლოს ღმერთმა, – იფიქრა გიურემ, – ამ ვაჭარმა მგონი მასხარად ამიგდო: მითხრა, რომ გაყიდულია და ეხლა კი მიჰყიდა ამ ბატონებს. თუ გაყიდული იყო წინადავე, აქ რაღას მორბოდნენ. განა თითონ მედუქნე ვერ გაუგზავნიდა? რა უთავბოლოდ არის გაბმული და არეული ეს ამბავი. უსათუოდ ყველაფერი უნდა შევიტყოთ”.

ვიდრე გიურე ამ ფიქრში იყო, ვაჭარმა ქალი და კაცი მიაცილა ეტლამდე, რომელიც დუქნის კარებთან იდგა. ვაჭარმა ეტლის კარი გამოაღო და, რომ სვამდა ეტლში ქალს, მოახსენა:

– ეხლავ მოგართმევთ. ნუ შესწუხდებით, ბატონო, – განაგრძო ვაჭარმა, – ყოველს სიფრთხილეს მოვიხმარებ. ყუთს არა დაუშავდება რა, ისე მოგართმევენ.

ქალი და კაცი ჩასხდნენ ეტლში, ვაჭარმა მიხურა კარები ეტლისა და შემობრუნდა დუქანში.

– რას ნიშნავს ყოველივე ეს? – ჰფიქრობდა გიურე დ იკვნეტდა ულვაშებს, – ნეტა ვის იგდებენ მასხარად? უსათუოდ უნდა შევიტყო ეს საიდუმლო. ცხადია, სწორე კვალში ვარ ჩამდგარი.

გიურე უფრო გაიოცებდა, რომ ამათი ლაპარაკი გაეგონა. დუქანში რომ შევიდნენ, ახალგაზრდა ქალმა იკითხა:

– ეს პატარა ყუთი, რომელიც აი იმ ფანჯარაშია გამოდგმული, ახალია თუ არა?

– სულ ახალია, ბატონო. აიმ ყუთზედ არა ბძანებთ? ახალია, ახალი.

კაცმა, რომელიც ქალს თან მოჰყვა, შეჰნიშნა, რომ ურიგო არ იქნება, ყუთი გაგველო და გვენახა, შიგნით როგორიაო.

- რა საჭიროა! – უთხრა ქალმა.
- ჩემის აზრით, სჯობია გავალოთ, – უპასუხა კაცმა, – მაშინ ნახავთ, იმისთანაა, როგორც გინდოდათ, თუ არა.
- მე საკმაოდ გასინჯული მაქვს. რამდენად აფასებთ?
- ოცს თუმნად.
- მეტის-მეტია, – დაიძახა ქალმა, – სურვილი მეტად ძვირად დამიჯდება.
- განა ქვეყანაზედ არის რამე იმისთანა, რომ შენთვის, ჩემო მეგობარო, მეძვირებოდეს?
- განა არა ვიცოდი, რომ ჩემთვის არაფერს დაიშურებდით? ნეტავი თან არ მომეყვანეთ.
- თუ შეიძლება, ყოვლად დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ჩვენსა ეგ ყუთი, – უთხრა კაცმა ვაჭარსა.
- ადვილია. გვიბძანეთ, სად არის თქვენი სახლი?
- აი, ფული მიიღეთ და გამოგზავნეთ ამ ადრესით: ”გრაფინია იზა სეგლენ-ზინსკაიას შალიოს ბულვარზედ”.
- კაცმა ჩააბარა ფული ოცი თუმანი.
- განა არ შეიძლება ჩვენვე როგორმე ეტლით წავიღოთ? – იკითხა ქალმა.
- რადა, ბატონო! ვინ იცის, იქნება ეტლში დაუშავდეს რამე ყუთსა. მე საიმედო კაცს ვიშოვნო და ის ეხლავ მოგართმევთ. თითქმის თან გამოგაყოლებთ.
- იმედი მექნება, რომ არ დააგვიანებთ.
- ნუ სწუხართ, ყველაფერს თქვენის სურვილისამებრ აღვასრულებ.
- ეტლი წავიდა, ხოლო გიურე კი ისევ თავის საფარშივე დარჩა. დიდი ხანი არ გასულა, მოვიდა მუშა, ჩაიბარა ყუთი და წაიღო.
- ერთი ვნახავ, სად მიიტანენ ყუთსა, – იფიქრა გიურემ და მუშას შორი-ახლო აედევნა.
- ნახევარს საათს შემდეგ ყუთი შეიტანეს ერთს ლამაზს სახლში შალიოს ბულვარზედ.
- როცა მუშა გამოვიდა სახლიდამ, გიურე წინ დახვდა და ჰკითხა:
- თქვენ მგონია ამ ლამაზ სახლიდამ გამობძანდით?
- დიად.
- მე აქ ერთს სახლს ვეძებ და ვერ მიპოვნია... ის სახლი ეკუთვნის ვიღაც გიურეს.
- გიურესო?... არ ვიცი. ძალიან იშვიათად მოვხვდები ხოლმე ამ ადგილებს...
- მე კი მგონია, რომ ეს სახლი, საიდანაც თქვენ გამოხვედით, ან ეხლაც გიურესი არის, ან კიდევ ოდესმე ყოფილა.
- არა, ბატონო. ეგ სახლი ქალისაა და მასთან ვიღაცა კაციც ცხოვრობს.
- ქალისა არისო?
- დიად, გრაფინია იზა სეგლენ-ზინსკაიასია.
- რა ბძანეთ? – იკითხა მუშამ.
- არაფერი... მადლობელი ვარ, მე წავალ გიურეს სახლს მოვნახავ.
- მოშორდა მუშას და ხმამაღლა სთქვა:

– ცხადია, ნამდვილს კვალში ჩავდექი. ჰოო, იზა ყიდულობს ყუთსა, რომელიც თვითონვე გააყიდვინა. რატომ წინადვე არ დაინარჩუნა? ჯერ, უსათუოდ, დაჰვიწყებია და მერე მოჰგონებია, რომ ყუთში ეჭვის მისატანი რამ ქაღალდი დარჩენია. თორემ სხვა რა მიზეზი უნდა იყოს? დაყოვნება აღარ მოგვიხდება. ხვალვე დილით ვერშემონი უნდა ვნახო. საჭიროა ახალი გამოძიება. გუდარი რად მისულა მაშინ იზასთან? ერთი ნება უნდა ვითხოვო, ის ყუთი გავსინჯო.

აქ გიურეს მოაგონდა, რომ მთელი დღე არა უჭამია რა და წავიდა სადილის საჭმელად.

IV

ყავახანა “სოვაჟი”

ჩვენ წინადა ვთქვით, რომ იზამ დაიბარა ბოიე – მნახეო, და ერთი რაღაც მიკიტანხანა დაუნიშნა, იქ მოდიო. იმავე დროს დაიბარა გუდარი, ნახა, დაარიგა როგორ მოიქცეს და თავის მაგიერად გაგზავნა ბოიეს სანახავად.

იზამ იცოდა, რომ ბოიე საჭირო იქნება, რადგანაც მისმა მოხერხებამ გააბა მახეში მორის ფერანი. ვიდრე გამოძიება ბოიეს ხელთ იყო, არავის ეჭვი არა ჰქონია, რომ სწორედ მორისია დამნაშავე. ხოლო, როცა გამოძიება სხვას მიანდეს, მაშინ ეჭვი გუდარზედ გადიტანეს. იზამ მოახერხა, რომ მეორე გამოძიების საბუთები ჩააფუჩეჩა, მაგრამ საქმის გარემოება ხელახლად შეიცვალა და იზა ცდილობდა მოიპოვოს იმისთანა საბუთები, რომ პირველი გამოძიება გამართლდეს.

თუმცა გუდარიც განათავისუფლეს და საქმეც წარდგენილი იყო პროკურორთან, მაგრამ პროკურორმა საქმეს წუნი დასდო, ბევრი რამ აკლიაო და ითხოვა ხელახლად შევსება საქმისა. ამიტომაც იზასათვის საჭირო იყო ისევ ბოიე გაეწესებინათ სამსახურში და იმისთვის ჩაებარებინათ საქმე. რაღა თქმა უნდოდა, რომ ბოიეს, საითაც უნდოდათ, ყურს იქით უზამდნენ და გააუქმებინებდნენ გიურეს გამოძიებასა. ამ მიზეზით იზამ მესამე ბარათი მისწერა ბოიეს და, როცა გუდარი გაგზავნა ბოიეს სანახავად, ეს დააბარა:

– თუ მორის ფერანს დასჯიან, შენ გეშველება. ამისთვის საჭიროა, მორის ფერანის წინააღმდეგ უეჭველი საბუთები მოვაგროვოთ... მიშველე მაგ საბუთების მოგროვებაში და შენ სრულებით თავგადარჩენილი იქნები.

გუდარს იზაზედ დიდი ხანია გული აყრილი ჰქონდა; ჰხედავდა, რომ იზასა სძულდა და თვალის დასანახავად ეჯავრებოდა, და თუ შველის, უფრო იმისთვის, რომ თვითონ იზამ დაისხლიტოს თავი ამ საქმიდამ და თვითონ გუდარი კი თუნდ ჩამოერჩოთ, არას ინაღვლიდა. ძალიან შეწუხებული გამოეთხოვა იზას და წამოვიდა. ეხლა აშკარად დაინახა, რომ იზა თავისათვისა ცდილობს და გუდარი ფიქრშიაც არ მოსდის; რომ იზას მარტო თავის თავი უყვარს, გული, გრძნობა არა აქვს და მარტო გარყვნილებას მისდევს.

– გესმის თუ არა, – უთხრა გამოთხოვების დროს იზამ გუდარსა, – ეცადე, რაც გითხარ, თორემ დაილუპები... იცოდე, მეორედ მე შენ ვეღარ დაგიხსნი, შენთვის მე არა მცალიან.

– კარგი, მე წავალ, – უთხრა გუდარმა ისე, რომ არც კი შეუხედნია იზასათვის.

გუდარი წამოვიდა ისე, რომ არც კი გამოემშვიდობა.

– ჰოო, ეგრე მექცევი განა, მშვენიერო ქალო! – ამბობდა გუდარი გზადაგზა, – მე გეჯავრებით, რადგანაც ეხლა მე საჭირო აღარა ვარ, განა? დამაცა, შე უნამუსოვ, შენ! თქვენ აქ ხალხსა ჰხოცთ, თქვე თოკიდან გამოქცეულებო, თქვენა! თქვენის გულისათვის აქ კაცები სიცოცხლეს არა ჰზოგვენ და თქვენ კი მარტო თქვენის თავისათვის სცდილობთ. ჰოი, შე ნამუსდაკარგულო! მოპარულის ფულებით რომ ფარფაშობ და ცხვირი მაღლა აგიღია!.. იქნება დაგავიწყდა, რომ არიან იმისთანანი, რომელთაც იციან, რა წუმპეში გდებულხარ და რა ტალახში გიცხოვრია... ძალიანაც ნუ იწევ თავში, თორემ პირში ტყვია ხომ არა გვაქვს ჩასხმული, შენის საქმეების გამოქვეყნება ძნელი არ არის!.. თუ მე დავილუპები, შენც ჩემთან ჩაგიტრევე, იცოდე!.. რაც უნდა დამემართოს, დღევანდელს შენს სიტყვებს გულში ჩავიმარხავ და დრო მოვა, როცა...

აქ თვალი მოჰკრა, რომ ვიღაცანი თვალს ადევნებენ და ორიოდე პოლიციელიც ავის თვალთ შემოსცქერია. ვინ იცის, იქნება გიჟადაც ეგონათ. ხმა გაიწყვიტა და ააჩქარა ფეხი. ბინდი მორეული იყო, როცა ბოიესთვის დანიშნულ მიკიტანხანასთან მივიდა. აქ ერთი დედაკაცი შეხვდა და ჰკითხა:

- ბატონო, ვერ მიმასწავლებთ, სოვაჟის ყავახანა რა ადგილას არის?
- აი ემანდ არის, – უთხრა დედაკაცმა და იქავ ცხვირწინ მიუთითა.
- ექა?
- დიად, აი მაგ დიდ სახლში.

გუდარმა თვალი გადაავლო და ნახა იქაურობა მინგრეულ-მონგრეულია, შეფიქრდა და ხელახლად ჰკითხა:

- ეს არის?
- სწორედ, – უპასუხა დედაკაცმა და მოშორდა.

გაოცებული გუდარი მივიდა ნანიშნევ სახლთან. რვა საათი იყო, როცა გუდარი სამიკიტნოში შევიდა. კარი შეაღო თუ არა, სინათლე ეცა თვალში და ისეთი სუნი გამოვიდა, რომ კაცს თავბრუს დაასხამდა. გუდარი რომ შევიდა და მიიხედ-მოიხედა, გაუკვირდა – ამისთანა უწმინდურებაში რა ფიქრად მოუვიდა იზას, რომ კაცი მოიწვიაო. სამიკიტნო ხალხით გატენილი იყო, გუდარი თვალგაფაციცებით იყურებოდა, აგებ გამოვიცნო, ვინ არის იზასაგან დაბარებული კაციო. ამ ფიქრში იყო, როცა ერთი იქ მყოფთაგანი ადგა და ამისაკენ გამოსწია.

- თქვენ მგონია, ვიღაცას ეძებთ? – ჰკითხა გუდარსა.
- დიად.
- სახელი მითხარით, ვისა?
- ბოიეს.
- მე გახლავარ.
- ძალიან კარგი.

– თუ გნებავთ, ჩვენ აი იქით კუთხეში თავისუფლად მოვილაპარაკებთ.

– სულ ერთია ჩემთვის.

წავიდნენ და ორნივე კუთხეში დასხდნენ, ხოლო ორივეს ეგრე ყოფნა როგორღაც ეჩოთირებოდათ.

– თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, – უთხრა ბოლოს გუდარმა, – რაზედაც უნდა მოვილაპარაკოთ?

– არ ვიცი, – უპასუხა ბოიემ ქურდულად და თავის ქნევით, – მე მარტო ის ვიცი, რომ თქვენ რაღაცა უნდა შემომიკვეთოთ. დიდს ფულს თურმე მპირდებიან გასამრჯელოდ, თუ ავასრულე, რასაც მომთხოვენ. მეუბნებიან ამასთანაც, უწინდელს თანამდებობაზედ ისევ შეგიყვანთ და გაგამწესებთო. ყველა ეს კარგია, მაგრამ რას ითხოვენ ჩემგან, ის კი ჯერ არ შეუტყობინებიათ. არ შეიძლება გვიბძანოთ, თქვენ ვინა ბძანდებით?

– იმას ითხოვენ, რომ თქვენგან დაწყობილი საქმე თქვენვე უნდა განაგრძოთ, – უთხრა გუდარმა და პასუხი კი არ მისცა უკანასკნელ კითხვაზედ, – უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენმაგიერი აგენტი, რომელსაც თქვენ შემდეგ მიანდეს ის საქმე, შემცდარია და სტყუის. ლეა მედანის საქმეზედ გელაპარაკებით. თქვენ თქვენად წარუდგინეთ საბუთები, რომელსაც ჩვენ მოგცემთ ხელში.

– ერთი დამაცათ, – შეჰნიშნა ღიმილით ბოიემ, – ჩემმა მოადგილე აგენტმა რომ გამოძიება წარადგინა, ის უჩემოდაც დაწუნებულია გამომძიებლისაგან, იმიტომ რომ გამომძიებელი იმასვე სდებს ბრალს, რომელიც მე დავაჭერინე. ჩანს, ჩემი გამოძიება სწორე გამოძიებად უცვნიათ და ის კაცი კი, რომელიც ჩემმა მოადგილემ დააჭერინა, გაუმართლებიათ და განუთავისუფლებიათ. ამაზედ მეტი მგონი საჭირო აღარა იყოს რა.

– არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაგ უსამართლოდ დაჭერილს უნდა ჯავრი ამოიყაროს მასზედ, თუ რად დამიჭირესო?

– ძალიან ცდება, თუ ეგრეა. გამომძიებელი შეცდა, რომ ის ხელიდამ გაუშვა. იმას, ვისაც ეხლა ბრალსა სდებენ, არ შეიძლება ამხანაგი არა ჰყოლოდეს და ძალიან დასაჯერია, რომ...

ბოიემ სიტყვა არ დაათავა. გუდარს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენის განძრევაც ვეღარ გაჰბედა.

– მე მაინც არ მესმის, ჩემგან რასა თხოულობთ, – სთქვა ბოიემ.

– ადვილი გასაგები კია, – უთხრა მკვახედ გუდარმა, – ჩვენ გვინდა, რომ ჩვენგან გასამრჯელო მიიღოთ და ჩვენც იმისთანა სამსახური გაგვიწიოთ, როგორსაც პოლიციას უწევდით.

– სუ! ეგრე ხმამაღლა ნუ ამბობთ მაგას, – უთხრა ბოიემ ქურდულადვე, – სწორედ მაგ საგანზედ აქ არაფერი არ ითქმის... იქ, პოლიციაში, ვირჯებოდი სიმართლის აღმოსაჩენად, საზოგადოების საკეთილდღეოდ... აქაც ხომ ამათივე სახელით არ ითხოვთ ჩემს სამსახურსა?

– ჩვენ თავის დღეში ვერ მოვრჩებით ჩვენს ლაპარაკს, თუ აგრე მოვყევით. ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ და არაფერი კი ვთქვით.

– ჩემი ბრალი არ არის. თქვენი სურვილი თქვენვე უნდა სთქვათ და არა მე. ყველას ხომ არ გავენდობი: არ გიცნობთ, არ მიცნობთ.

– მე კი, აქ რომ მოვდიოდი, კარგად ვიცოდი, ვისთან მექნებოდა საქმე. ჩვენ თქვენ გიცნობთ; ვიცით, რა ხელობის კაცია ხართ. ძალიან, ძალიან კარგად გიცნობთ, რაცა ხართ, ბატონო ბოიევი.

– მეც კარგად გიცნობთ თქვენ, ბატონო ანდრე გუდარ, – უპასუხა სიცილით და ხელების ფშვნიკით დათხოვნილმა აგენტმა.

ანდრე თითქო ეკლებზედ იჯდა, წამოხტა მაშინვე და შეშინებით დაუწყო ყურება თავის მესაუბრესა. რამდენსამე წუთს სინჯავდნენ ერთმანეთს და ერთსა და იმავე დროს მიხვდნენ, რომ ორივენი დიდი თოკივით გამოშვებულები არიან, რომ ერთი მეორეს ვერ წაუვა. გუდარი აქ რომ მოდიოდა, ეგონა, ბოიე ჩემთან როგორ მოვა, საითაც მინდა, თავს იქით ვუზამო. ეგონა, ვეტყვი თუ არა, რომ კარგად გიცნობ, ბატონო ბოიე, მაშინვე ქედს მოიდრეკს და მეტყვის: “მიბრძანეთ, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვარო”. ეგრე კი ვერ აუხდა. ბოიემაც თავის მხრით უთხრა, მეც კი კარგად გიცნობო და ისეთის კილოთი უთხრა, ისეთი თვალით დააცქერდა, რომ გუდარი თავივით ფეხებამდე აირია.

– დიად, ბატონო გუდარ, მე ვიცი, ვინცა ხართ, და ძალიან კარგადაც ვიცი. თქვენ კაი მსხვილი სალახანა კაცი ხართ. თქვენ დიდი ავანჩავანი ბძანდებით ნამუსზედ ხელაღებულ ლამაზ ქალებისა. და იმის გამო, რომ მარტო ხორცის სიამოვნებას აპყობიხართ და არც კი გინდათ შეიტყოთ, სული-გული აქვთ იმ ქალებს თუ არა, – თქვენ ჯაგლაგს გეძახიან. დიად, მე ძალიან კარგად გიცნობთ თქვენ, ანდრე გუდარ, რომელსაც მეტსახელს ჯაგლაგს გეძახიან. მაგრე ქეიფის ცხოვრებისათვის ფულებია საჭირო, ხოლო თქვენ თავის დღეში შრომით და ჯაფით ფული არ გიშოვნიათ. მე ვიცი, რომ ლეა მედანს ბანკის ბილეთები ჰქონდა და თქვენ წაგიღიათ.

ანდრეს ჯერ გონება დაეხრა, მიიხედა-მოიხედა და, რა ნახა, რომ ამათკენ თვალი არავის უჭირავს, ბოიეს სიტყვა გააწყვეტინა:

– ჰო, მართლა, ის ბანკის ბილეთები, რომელიც მერე თქვენ მოიპარეთ!

– ეჰ, ბატონო გუდარ, – უპასუხა ბოიემ, – რად იხმარეთ იმისთანა სიტყვა, რომელიც მე, თქვენზე რომ ვლაპარაკობდი, ვერ გავბედე გამომეთქვა. თქვენ თვითონ მაიძულებთ უკადრისის სიტყვის ხმარებას და მე თქვენსავე სიტყვას გაგიმეორებთ: ლეა მედანს ბანკის ბილეთები ჰქონდა და თქვენ მოიპარეთ.

– ყური მიგდეთ, – უთხრა გაჯავრებით გუდარმა, – თავი დავანებოთ მაგისთანა ლაპარაკსა, თორემ ყბედობის მეტს ვერას გავაკეთებთ.

– მითამ?

– ბატონო ბოიევი, ერთმანეთის წაყვედრებას ბოლო მოვუღოთ.

– მეც ეგ მინდა.

– თქვენზედ დიდი ეჭვია პალიარის ქვრივის ბანკის ბილეთების დაკარგვის გამო.

– ეგრე კია?

– თქვენ თანამდებობაზედ ხელი აგაღებინეს, ცხოვრების სახსარი შემოგაკლდათ. ერთი რომ წაუფრუროს ყურში გამომძიებელს, ხომ დაგიბარებენ და მოგკითხვენ, საიდან გიშოვნიათ ბანკის ბილეთები, რომელიც დეიდათქვენსა ჰქონდა მობარებულიო?

ბოიე სულ იცინოდა და გუდარი კი თანდათან სცხარობდა.

– მე ვიტყვი, ეგ ბილეთები იმიტომ გამოვართვი-მეთქი, რომ კაცი, ვისაც მიუბარებია, ვერ გაბედავს უკანვე მოითხოვოს, რადგანაც ეს ბილეთები მოპარული აქვს-მეთქი, – უპასუხა ბოიემ.

– თქვენ ლამის ყელში სისხლი მომგვართ. ერთი მითხარით, გინდათ თუ არა მოვრიგდეთ?

– რასაკვირველია. ამას კი გეტყვით, ტყუილად ნურავინ ინდომებს, რომ მე თავზედ წამომაჯდეს და მხედნოს, თქვენ გეგონათ, რომ, რაც გინდათ, იმას მაქნევინებთ, რადგანაც ჩემი ავკარგიანობა გცოდნიათ. მაგრამ მეც ხომ ვიცი თქვენზედ ზოგიერთი რამ, იქნება მასზედაც მეტი, რაც თქვენ იცით ჩემზედ... მხრებს რად იჭიმავთ? არ გეჭაშნიკათ თუ? თუ მე ხელს მოვკიდებ გამოძიებას, დარწმუნებული იყავით, გიურეს გამოძიებას სულ მოვშლი... მე უადგილოდ ვარ, ფულები მიჭირს, მართალია, მაგრამ თქვენგან კი მაინც არ შევშინდები. სამჯერ მომსვლია თქვენი ბარათი. ნუთუ იმისთანა სულელი გგონივარ, რომ არ შევიტყობდი, ბარათებს ვინ იწერება ჩემთან? მე ვიცი, ბატონო გუდარ, ჩემი თავი თქვენთვის ძალიან საჭიროა და ამიტომაც შემიძლია მოგთხოვოთ, როგორაც კაცმა, რომლის ხელშიაც თქვენი საბელია ყველისა.

გუდარი მიხვდა ეხლა კი, რომ ძალიან ოსტატ და ჭკვიან კაცთან აქვს საქმე; რომ ეს ბოიე ეშმაკობაში და ოსტატობაში ბევრით წინ არის თვითონ გუდარზედ. დარწმუნდა, რომ ამ იეზუიტს, ამ ტარტიუფს, ამ დონ-ბაზილიოს ვერაფერში მოატყუებს. მიხვდა, რომ ამისთანა კაცთან ბძანება არ გაუვა, უნდა თვითონ დაემორჩილოს. გუდარს დიდი ხანი ველარ მოეკრიბა გონება, რომ პასუხი გაცეცა. შიშმა აიტაცა. ბოლოს როგორც იყო შეშინებულის ხმითა ჰკითხა:

– აბა რას მომთხოვთ გასამრჯელოს?

– ჯერ თქვენ მითხარით, რა საქმეს მკიდებთ, – უპასუხა ბოიემ უწინდელეებრ ღიმილით.

გუდარმა არეულად შეხედა ბოიეს და პასუხი ვერ მისცა.

– მახლას, – უთხრა ბოიემ, – მე რომ აქ მოვდიოდი, ვიცოდი, რა საქმეზედაც მემახოდით. აბა ერთი დავლიოთ, ბატონო გუდარ, და მოვილაპარაკოთ.

ღვინო დაუსხა, თვითონაც დაისხა, და რომ დალიეს, ბოიემ უთხრა: თქვენა გწამებდნენ ლეა მედანის მოკვლას; თქვენ დაჭერილიც იყავით... მძიმე საბუთებია თქვენს წინააღმდეგ. განგათავისუფლეს, მაგრამ ყოველს წუთს იმის შიშში ხართ, აი, მოვლენ და ხელახლად დამიჭერენო.

გუდარმა უთხრა – მართალიაო, და ბოიემ ისევ იმ ღიმილით განაგრძო:

– თქვენი შიში უმიზეზო არ არის, ბატონო გუდარ. მე ჩემის მხრით გეტყვით, რომ დიდი წინდაუხედაობა იქნება თქვენგანით, რომ მას შემდეგ, რაც გადაგხედათ, კიდევ პარიზში დარჩეთ; მაგრამ რა? ეგ თქვენი საქმეა. მაინც კიდევ გიჯობთ თავი მიიძალოთ სადმე და სამალავს ადგილს მე გიშოვნით, თუ გნებავთ. მე წვერიდამფუძნებელი ვარ ერთის საზოგადოებისა, რომელიც შველის და ნუგეშს აძლევს ყოველს კაცს, რომელიც იმ საზოგადოებას მიჰმართავს. მაგრამ საქმეს რომ დავუბრუნდეთ, ისა სჯობია. თქვენ გაგათავისუფლეს, მაგრამ მანამ სამართალი ქალის მკვლელს ანუ გამქურდავს არ იპოვის, – თუ ვინიცობაა, არ დამტკიცდა,

რომ ლეა მედანმა თითონ მოიკლა თავი, – ისინი, ვისზედაც მცირედი რამ ეჭვი აქვთ მოტანილი, ვერ იტყვიან, გადავრჩითო... მე ვიცი კაცი, რომლის წინააღმდეგ მცირეოდენი საბუთებია. იმას გასამართლებენ და თქვენ ეხლა აი რის თქმა გინდათ: “ბატონო ბოიევი, თქვენ გამოგიძიებიათ ეს საქმე; თქვენის რჩევით დაიჭირეს ის ყმაწვილი კაცი – მორის ფერანი. რა საკვირველია, დარწმუნებული ხართ, რომ დამნაშავე ის არის. გაგვიმჟღავნეთ ყოველისფერი, რაც კი მისი წინააღმდეგია. ჩვენ ფული ბევრი გვაქვს და გიშველით, სხვა ახალი საბუთებიც მოვაგროვოთ”.

გუდარს გაეცინა; სწორედ ისა სთქვა, რისი თქმაც თვითონ გულში ედვა და ვერ გაეხედნა კი.

– სწორედ ეგ არის, ბატონო ბოიევი, სწორედ, – უთხრა გუდარმა.

– ერთის სიტყვით, – განაგრძო ბოიემ საქმიანის კაცის კილოთი, – თქვენ გინდათ ანდრე გუდარი დაიხსნათ და მორის ფერანი კი დაასჯევინოთ სამართალსა. რა თქმა უნდა, რომ ანდრე გუდარისათვის ეგ ძალიან კარგი იქნება!

ბოიე დაამტერდა გუდარს ისე, რომ გუდარმა ვერ გაუძლო და თავი ჩაღუნა.

– სწორედ მაგის თქმა მინდოდა, – უთხრა ბოლოს გუდარმა.

– აბა რას მომცემთ მაგისათვის? – ჰკითხა ბოიემ.

– კარგი იქნებოდა თქვენ გეთქვათ, რას ითხოვთ? – ჰკითხა თავის რიგზედ გუდარმა.

– ძალიან ბევრს, – უპასუხა ბოიემ, – თქვენ გამო ორიათასხუთასი თუმანი ხელიდამ გამომეცალა. ის ბანკის ბილეთები ხომ ჩემს საკუთრებას შეადგენდა.

გუდარს თავბრუ დაესხა. ნუთუ დანაკარგს მოგვთხოვს? – გაიფიქრა გულში.

– აბა, რამდენს ითხოვთ? – უთხრა გუდარმა.

– მე იმას ვიქმ, რომ თქვენ ხელს აღარავინ გახლებთ...

– პარიზში კი მინდა დარჩომა, იცოდეთ.

– შეგიძლიანთ. თქვენც დამეხმარებით საბუთების მოგროვებაში მორის ფერანის წინააღმდეგ. თუ საქმე გაჭირდება, მე გიშველით აქედამ გაქცევას. ჯერ ხომ თავისუფალი ხართ და ეგრეც იქნებით. მორის ფერანის გასამტყუნებლად ასეთს საბუთებს გიპოვნით, რომ ხსნა აღარ იყოს. თუმცა პოლიციაში აღარა ვარ, მაგრამ იქ ბევრი მეგობრები მყვანან, ყველაფერს შემატყობინებენ და, თუ რამ საშიში იქნება, მაშინვე გაცნობებთ. თქვენც ხომ ეს გინდათ?

– რასაკვირველია. თქვენ უნდა ყოველივე ღონისძიება იხმაროთ, რომ ჩემზედ ერთი ბეწო ეჭვიც აღარ ჰქონდეთ.

– მაგას თქმა აღარ უნდა.

– ასოცდახუთს თუმანს მოგცემთ.

– ბეისათვის თუ! – იკითხა ბოიემ, – როდის მომცემთ?

– ხვალე. მაშინვე, რაკი ფერანს გაამტყუნებენ...

– გაამტყუნებენ თუ გაამართლებენ, თქვენი რა საქმეა. ოღონდ თქვენ ხელი არ გახლონ, სხვა რა გინდათ.

– ფერანის გასამართლების შემდეგ კიდევ მაგდონს მოგცემთ.

– არა, ორასორმოცდაათს თუმანს ვითხოვ.

– ბევრია, მაგრამ რა გაეწყობა. თქვენს სიტყვაზედ იყოს. ამ დღიდან მე ხელი არავინ არ უნდა მახლოს.

– მომითმინეთ, პირობა გარკვევით და რიგიანად უნდა დაიდვას. ჩემი ვალია, რომ თქვენ თავისუფალი იყოთ და, თუ ხელახლად გეშს მოიტანენ თქვენზედ, აქედამ უნდა გაგაპაროთ. ამისათვის ვითხოვ თქვენგან ორას ორმოცდაათს თუმანს წინად. ასოცდახუთს მას მერმედ, როცა სამშვიდობოში გაგიყვანთ, თუ თქვენი გაპარება საჭირო იქნება.

– ეგ მეტად მძიმე პირობაა.

– ასე კია და! – უთხრა ღიმილითვე ბოიემ, – ამაზედ ნაკლებ მე არ დაგჯერდებით. დღესვე შევუდგები თქვენს საქმეს. რას იტყვით, თანახმა ხართ, თუ არა?

– თანახმა ვარ. ეს კი იცოდეთ, რომ, თუ მე ხელახლად დამიჭერენ და მკითხვენ რასმეს ბანკის ბილეთების თაობაზედ, მე ვაჩვენებ, რა პირობითაც დავუგირავე პალიარის ქვრივსა და ამ ჩვენებიდამ ცხადი იქნება, რომ თქვენ, თუ არ ქურდობით, სხვა გზით ვერ ჩაიგდებდით ხელში იმ ბილეთებსა.

– მუქარა რა საჭიროა, – უთხრა ბოიემ, – პირობა ხომ შევკარით და ჩხუბი ეხლა მეტისმეტი იქნება.

– მაშ კარგი, ერთი დავლიოთ, – უთხრა გუდარმა.

– ეგა სთქვით, თქვე დალოცვილო! – უპასუხა ბოიემ და დაისხეს ორივემ ღვინო.

– ხვალ ხომ ვნახავთ ერთმანეთსა...

– ყველაზედ უწინარეს სიფრთხილე გვინდა. დღესვე წაგიყვანთ იმ სახლში, საცა დრომდე თავი უნდა დაიმალოთ... იმედი მაქვს, გუდარ, რომ უთავბოლო ცხოვრებამ ღვთის სიყვარული არ დაგიკარგათ. მე თქვენ ღვთის სახლში მიმყევხართ. იქ სულ ღვთისმოყვარე და ღვთის მლოცველი ხალხია. ლოცვისა და სულის ცხოვნების საქმის მეტს იქ ვერასა ნახავთ. შეიფერებთ კი ამისთანა ცხოვრებას?

– მაგისი რა მოგახსენო, ეს კი მგონია, სამალავად მაგისთანა სახლი ასლი იყოს, – უთხრა გუდარმა, – პოლიციას ფიქრადაც არ მოუვა იქ მომნახოს.

– მართალსა ბძანებთ. ამასთანაც არც იქ იქნებით ძალიან ხელფეხშეკრული. იქაურების ავკარგიანობას ყველაფერს გეტყვით, რომ წინადვე იცოდეთ, რა ხალხთან გექნებათ საქმე.

ამის მერმედ წამოდგნენ, გუდარი გაუსწორდა მედუქნეს და კაი გუნებაზე შეიქნა. ბოიე ძალიან კაცი გამოადგა. უხაროდა, რომ საქმე კარგად წარემართა. იზას გამომძიებელი ხელში ჰყვანდა, ბოიესაგან კიდევ ყოველდღე შეეძლო შეეტყო, რა მდგომარეობაშია საქმე და შიშია რამე თუ არა. გუდარს უნდოდა გზადაგზა მოლაპარაკებოდა ბოიეს გულახდილად. დააპირა სამიკიტნოდამ გამოსვლა თუ არა, სამი ვიღაცა კაცი შემოვიდა და გუდარი შიშით ისევ ჩაჯდა.

– რა დაგემართათ? – ჰკითხა ბოიემ.

– ნახეთ, ვინ შემოვიდნენ?

– ვინ? – ჰკითხა ბოიემ მარდად.

– პოლიციელები, რომელთაც მე დამიჭირეს.

ბოიემ მიიხედა იქით, საითკენაც გუდარმა აჩვენა და მაშინვე გუდარსავით იქავ ჩაჯდა.

– სუ, – უთხრა გუდარს, – ხმას ნუ ამოიღებთ. ისე უნდა მოვახდინოთ, ვერ დაგვინახონ.

ორივენი მაგიდას დაეხეხნენ და ჩალუნეს თავები ისე, რომ სახე არ უჩნდათ.

ამ სამ ახალმოსულებში ერთი გიურე იყო, მეორე პალიარი და მესამე ის გემის ჯარისკაცი, რომელმაც გიურეს უამბო ამას წინად იზას ამბავი.

როცა ამ ჯარისკაცთან მოვიდა მედუქნე და ალაგი უჩვენა დასაჯდომად, ჯარისკაცმა გულკეთილობით უთხრა:

– თუ გამორჩომა გექნებათ, დღეს გექნებათ. ასე მწყურთან, რომ ზღვას დავაშრობ.

ბოიემ ყურები აცქვიტა, უნდოდა გაეგო, რას იტყოდნენ ახლად მოსულები დ მის ყურამდე მოაღწია ჯარისკაცის შემდეგმა სიტყვებმა:

– აი, აქ ეძინა ხოლმე რიგა სოვაჟსა და იმ ქოხში კი, რომელიც თქვენა ნახეთ, ის ქალი იდგა.

ამ დროს მედუქნემ გაიარა ბოიეს და გუდარის ახლო. ბოიემ დააყენა და ჩუმად თითქმის ყურში უთხრა:

– შეიძლება აქედამ ისე გავიდეთ, რომ ამ დიდს კარებს ავცდეთ?

– ჰმ, – უპასუხა მედუქნემ, – რაო? განა იმათ შორის არის იმისთანა ვინმე?

ბოიე მიხვდა, რასაც ჰკითხავდა მედუქნე და უპასუხა:

– არის.

– მაშ ფთხილად უნდა ვიყვნეთ. თქვენს უკან პატარა კარია, იქიდან ისე გახვალთ, რომ ვერავინ დაგინახავთ.

– მაღლობელი ვარ, – უთხრა ბოიემ და ხელში ფული ჩაუდო, – აბა როგორმე გავიპაროთ, – უთხრა მერე გუდარს, – იმათ ჯერ თვალის არ მოუკრავთ ჩვენთვის.

მარდად წამოდგნენ და იმ პატარა კარიდან რომ დააპირეს გაპარვა, ანდრეს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ბოიემ შეაყენა და ორივენი ხმამაღლებლივ გაიპარნენ.

– გიურე ცდილობს, როგორც ეტყობა, – სთქვა ბოლოს ბოიემ, – აშკარაა, თქვენ დაგეძებთ, ან თქვენ გადევნებთ თვალყურსა. უსათუოდ ახალი ამბავი რამ მომხდარა.

– მითამ? – იკითხა გუდარმა და ფიქრს მიეცა.

– აი თქვენ თვითონ იფიქრეთ: თუ არ თქვენის მიზეზით, რად მოვიდნენ ისინი აქ?

– თქვენა გგონიათ, რომ პარიზიდანმევე ამედევენ მე და თან მომყვენენ?

– მე ეგრე მგონია.

– აგენტები გიურე კიდევ ჰო, მე მიცნობს; მეორენი მგონია აგენტები არ არიან.

– არ იცნობთ?

– არა, მე მარტო გიურე ვიცანი.

– მე გიურეს არ ვიცნობ, ახლად შესულია პოლიციაში. მეორეს კი, აი ყმაწვილი კაცი რომ იყო, ვიცნობ – იმ დედაკაცის შვილია, რომელსაც თქვენ ბილეთები დაუგირავეთ. აი ხედავთ, აქ რაღაც ქსელია გაბმული და თქვენს საქმეს შეეხება.

– ეე! მაშ თქვენი დეიდაშვილი ეგ არის?

ბოიემ პასუხი არ მისცა. ფიქრობდა, რა მიზეზი უნდა იყოს, რომ პალიარი ასდევნებია გიურესა. ჩუმად ხომ არ დაუნიშნავთ ჩემზედ გამოძიებაო. ძალიან შეშინდა, თუმცა არ აჩვენა კი გუდარს, რომ გულში შიში შეეპარა.

– მესამე ვილა იყო? – ჰკითხა გუდარმა.

– იმას კი არ ვიცნობ, აგენტს კი არა ჰგვანდა.

– იქნება აქაურია ვინმე და ბელადად მოუძღვა.

– არა მგონია. აქ მცნობი არავინ გამოუჩნდა.

ცოტას ხანს ორივე დაჩუმდნენ.

– თქვენი განზრახვა ხომ არ გამოგიცვლიათ? – ჰკითხა გუდარმა.

– რომელი?

– სადღაც სახლში უნდა მიგეყვანეთ თავის დასამალავად.

– ნუ სწუხართ, იქ მივდივართ. მაგრამ ჯერ უნდა იცოდეთ იმ საზოგადოების სახელი და მერმე ერთი სხვა სახელი რამ უნდა მოვიგონოთ თქვენთვის, რომ იმ სახელით ჩაგწერონ.

– მიბძანეთ, მე ყველაფერში თქვენზედა ვარ მონდობილი.

– თქვენ დაბინავდებით ერთს სახლში, რომელსაც ჰქვია: “კეთილ გზაზედ დამაყენებელი ბინა ჭაბუკთათვის”. აბბატ დიუტილეილის გამგეობის ქვეშ არის.

– ეგ კარგია, მე დამაყენებთ სახლში, რომელიც მღვდლის გამგეობის ქვეშ არის, განა? – უთხრა გუდარმა და გულიდამ ყოველივე სიმძიმე აეხსნა. იცოდა, რომ ამისთანა სახლში პოლიცია ფეხს ვერ შემოსდგამდა, თუ უმაღლესის მთავრობის ბრძანება არ იქნებოდა, – მიმიღებენ კი? – დაუმატა კითხვა გუდარმა.

– მაგისი მე ვიცი. თქვენი შესვლა იმ სახლში არ ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდებასა.

– როგორ? – იკითხა გაოცებულმა გუდარმა.

– ისე.

აქ ბოიემ უამბო ყველაფერი წესი იმ სახლისა და დაარიგა, როგორ უნდა მოიქცეს იქ ყოფნის დროს.

დავანებოთ თავი ამათს ლაპარაკსა და მივბრუნდეთ ისევ სოვაჟის ყავახანაში.

ბოიე მოსტყუვდა. არც გიურეს და არც იმის ამხანაგებს ფიქრადაც არა ჰქონიათ, გუდარს უკან აჰყოლოდნენ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ გიურემ პოლიციაში შეიტყო გემის ჯარისკაცის სიმონ რივოს ამბავი. ისიც ვიცით, რომ ამ სიმონ რივომ უამბო იზას ვინაობა. როცა გიურე დარწმუნდა, რომ თავიდათავი მონაწილე ლეა მედანის მოკვლაში იზა ყოფილა, ხელახლად მივიდა სიმონთან. ჩამოუგდო იზაზედ ლაპარაკი, სიტყვა-სიტყვაზედ შეჰყვინენ და ბოლოს სიმონმა უამბო, რომ იზას ერთი საყვარელი ჰყვანდა მოლდაველი, სახელად გიორგი გრეგორო-გოლესკოვო. გიურეს, რასაკვირველია, მაშინვე მოაგონდა, რომ ანდრე გუდარმა ეგ სახელი დაირქვა, როცა ბოლოს გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა. ცხადი იყო, რომ გიურე კაი კვალს აედევნა. სიმონმა ესეც უამბო, რომ ორის წლის წინად ეგ გიორგი გრეგორო რიგა სოვაჟმა მოჰკლა. მაშინ გიურემ სთხოვა სიმონს, ერთი წამიყვანე და ის ადგილები მაჩვენე,

საცა იზა იდგა პირველ ხანებში, პარიზში რომ მოვიდაო. პალიარმაც, რომელსაც ყოველისფერი ეს უამბო გიურემ, მოინდომა თან გაყოლა. აი რა მიზეზი იყო ამათის მოსვლისა სოვაჟის ყავახანაში. სწრაფად მიათვალ-მოათვალა იქაურობა და ისევ გამოვიდნენ.

– რიგას ამბავი ჩვენთვის საჭირო არ არის, – სთქვა გიურემ, – ჩვენ ჩვენი მოხილვა განვაგრძობთ.

– ეხლა აქეთ წამობრძანდით, – უთხრა სიმონმა და ქოხი დაანახვა. საცა იზა მდგარიყო. შიგნით ქოხი სულ მინგრეულ-მონგრეული იყო; აი აქ იძინებდა ხოლმე ის უნამუსო გოგო, მე მერეც შევხვედრივარ იმას, როცა დიდი კაცის ცოლად შეიქმნა. მაგრამ, ვფიცავ, თავის დღეში ისეთი ლამაზი არა ყოფილა, როგორც იმ დილას, როცა მე და ლეიტენანტმა ვნახეთ; ის მაშინ გამოდიოდა... ხომ იცით, რის თქმა მინდა... ისე იყო ჩაცმული, რომ ბევრს რასმეს დაინახავდა კაცი... ტანსაცმელი მგონი ძვირად არ ექნებოდა ნაყიდი.

– ღარიბად იყო?

– ასე რომ დაგენახათ, გროშის ჩუქებასაც კი აკადრებდით.

– მაგ ყოფაში იყო ამ ორის წლის წინათ?

– ორი თუ არა, სამი წელიწადი კი იქნება მას აქეთ... აბა ახლა აქეთ გამომყევით.

სიმონმა გაატარა თავის ამხანაგები ეზოზე და გაიყვანა ქუჩაში.

– შე კაი კაცო, ამ ტლაპოში რაზედ გვატარებ, – უთხრა პალიარმა.

– არა უშავს რა, როგორმე გავინაპირებთ. ნუ გეშინიანთ, გუბეში არ შეგიყვანთ... არხებზედ ფეხდაფეხ გადახტომა შეიძლება.

რამდენსამე ხანს იარეს წუმპესა და ტალახში. ბოლოს სიმონი მივიდა და ერთს დაქცეულ ქოხთან გაჩერდა.

– აქ ჩვენ არავინ დაგვიშლის. აქაურები ამ ადგილს შიშით ვერ მოჰკარებინან.

– შიშითო?

– დიად, შიშით. მკვდარი გიორგი გოლესკო აქ იპოვეს.

– აქ მოეკლათ გოლესკო?

– აქ მოეკლა ბებერს სოვაჟს. თავის დროზედ ბევრი ლაპარაკი იყო ამაზედ.

– გამოძიება იყო?

– რა გამოძიება? ყველგან ხომ ცხვირს არ წაჰყოფს პოლიცია.

– აი კაი ამბავი! – დაიძახა გიურემ.

– რად გინდათ, გამოძიება იყო თუ არა?

– მაშინ დამტკიცებული იქნებოდა მაინც, რომ ის კაცი მართლა მოკლული ყოფილა. თორემ ეხლა, ვინ იცის, იქნება ჭორად დადის ეგ ხმა. ხალხი ყბედია და ჭორიკანაობა უყვარს. მაშ თქვენ ამბობთ, რომ გიორგი გოლესკო იქ მოჰკლეს, საცა ეხლა სამიკიტნაა.

– ბებერმა რიგამ აქ მოათრია მკვდარი. ეს ამბავი გვიან შეიტყეს; როცა სოვაჟი დაიჭირეს, გააღეს კარები და მკვდარი, ნახევრად შეჭმული თავგებისაგან. აქ იპოვეს. მას აქეთ ამ ქოხს “მკვდრის სახლს” ეძახიან. და აქაური ბრიყვები, რომელთაც არც ღმერთი სწამთ, არც ეშმაკი, გაივლიან ამ სახლის წინ თუ არა, პირჯვარს გადიწერენ ხოლმე.

– ეს ამბავი კარგად უნდა შევიტყოთ. თუ დავამტკიცებთ, რომ გრეგორო გოლესკო მოუკლავთ ამ სამის წლის წინად, მაშინ კაცი, რომელმაც ეხლა ეგ სახელი დაირქვა, ძალიან გაეზმის. ჩვენ კი ვიცით, რომ სხვის სახელი დაირქვა, სამართლისათვის კი საჭიროა უეჭველი საბუთი.

– თუ გნებავთ, ისევ დუქანში შევიდეთ. ხახა ამომიშრა, – უთხრა სიმონმა, – ცოტა ჩაღბობა უნდა. იქ ყველაფერს, რაც მინახავს, გიამბობთ.

– როგორ თუ გინახავთ?

– ჰო-და მინახვს...

– ერთი წამოდით ჩქარა, გვიამბეთ ყველაფერი.

– მოვასწრობთ, დრო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

სამნივე ისევ დუქანში მობრუნდნენ და მაგიდას გარს მოუსხდნენ. გარს ყველანი ჩამოეცალნენ ამათ, რადგანაც მედუქნემ ანიშნა, რომ აქ პოლიციის აგენტიაო. ერთი ლაზათიანი ჭიქა გამოშუშა თუ არა სიმონმა, დაიწყო:

– ჯერ ის უნდა გითხრათ, ვინ იყო გრეგორო გოლესკო. იზას საყვარელი იყო და იზასაც უყვარდა სხვა საყვარლებზედ უფრო მეტად და, როცა იზამ შეატყო, რომ გოლესკო ბევრს უშლის, უთხრა – პარიზიდან წადიო. თვითონ გოლესკოსაც ძალიან უნდოდა თავის ქვეყანაში წასვლა, რადგანაც ჯიბეზედ ძალიან თხლად იყო. უნდა გითხრათ, ყველა ის მასხარები ზამთარს აქ ატარებდნენ და გაზაფხულდებოდა თუ არა, დაიქსაქსებოდნენ ხოლმე, ზოგი საით გადიკარგებოდა, ზოგი საით. ჯამბაზები, ქუჩის მასხარები, კამედიანტები და სხვა ამისთანა ცუდლუტი ხალხი სულ ამ არემარეში დგას ხოლმე. იმ წელს ყველანი გაიფანტ-გამოიფანტნენ, მარტო ბებერი რიგა სოვაჟი და გოლესკო დარჩნენ, რადგანაც გოლესკოს სოვაჟისაგან უნდა მიეღო თავისი წილი ნაშოვარიდგან და ისე წასულიყო. ბებერი სოვაჟი არ აძლევდა. ორივე თოკიდან გაშვებულები იყვნენ და, რაღა თქმა უნდა, ჩხუბი მოუვიდოდათ. ერთს სადამოს სოვაჟთან საქმე მქონდა და აქ მოვედი. მოვუახლოვდი სახლს თუ არა, დავინახე, რომ ის ბებერი ეშმაკი ქოხში ფარნით ხელში რაღაცას ჰკოდვილობს. უნდა გითხრათ, ის ბებერი არამზადა უნდა მე წამეყვანა, იმისთანა საქმე იყო. მე ვიცოდი, რომ ისე სიტყვით არ გამომყვებოდა. მე მივიძალე კუთხეში და დავუწყე ლოდინი. ის ავაზაკი დადიოდა ქოხში, თითქო რაღაცას დაეძებდა. როცა თავი გამოჰყო კარებიდან, წინ ვიღაცა შეეფეთა, ფანარი მიანათა და იცნო გოლესკო.

– “დროა, სოვაჟ, გავსწორდეთ, – უთხრა გოლესკომ, – დიდი ხანია დროა”.

– მე ეგ მიამა. დეე ერთი მითელონ-მეთქი ერთმანეთი, ახია მაგათთანა კაცებისათვის; ორივე დასარჩობები არიან-მეთქი; მე სული გავიკმინდე, ვნახოთ, რით გათავდება-მეთქი ამათი საქმე... დეე მგლებს ერთმანეთი დაეჭამათ – მე რა ხელი მქონდა. ვინ იცის, რომ გამოვჩენილიყავ, ორივე მე მომცვივნოდა და ერთი ლაზათიანად მივებეგვე, პატრონი ვინ იყო.

სიმონი შედგა და მოჰყვა ნელ-ნელა წუწვნით სმა ღვინისა.

– მერე რა მოხდა? – ჰკითხა გიურემ მოუთმენლობით.

– მოთმინება იქონიეთ, რას ეჩქარებით, – უთხრა სიმონმა და განაგრძო: – ბებერმა სოვაჟმა გააქრო ფანარი, მერე იქით მიდგა, ასე რომ მე ისე ვეღარა

ვხედავდი. გოლესკო კი თვალწინ ამეყუდა მთელის თავის ტანითა. თუმცა ბნელოდა, მაგრამ თვალი სიბნელეს შეჩვეული მაქვს და ყველაფერს ვხედავდი.

–“რიგა, შენ გინდა უკანასკნელი ლუკმაც გამომაცალო პირიდან, რაღა? – უთხრა გოლესკომ, – მე ჩემი მამე და წავალ ჩემთვის!”

– “მე შენი არა მაქვს რა”, – უპასუხა იმ ბებერმა არამზადამ.

– “გეუბნები, რიგა, მე ჩემი მომეც, თორემ შენი აღსასრული მოვა”.

ბებერმა ავაზაკმა მხარი აუქცია, თავისის კატის თვალეზით შეამცნია, რომ გოლესკოს ხელში დამზაჩა უჭირავს.

– “დიდი ტუტუცი რამ ყოფილხარ, – უთხრა რიგამ, – რომ აქ ჩემთან საჩხუბრად მოსულხარ!

– “მომცემ თუ არა ჩემსას? – ჰკითხა ხელახლად გოლესკომ.

ამ დროს ავაზაკმა სოვაჟმა გაიძრო უშველებელი სარტყლის დანა, ყასბის დანის მსგავსი, და უკან მოექცა გოლესკოსა. რომ მოატყუოს მტერი, ფანარი იქ კუთხეში მაიგდო. გოლესკოს ეგონა, სოვაჟიც იქავ იქნებო და ესროლა დამზაჩა. ის კი არა, თუ სამაგელი სოვაჟი უკანიდან მოეპარა და შიგ ბეჭებში ჩასცა დანა. საწყალს გოლესკოს უნდოდა მობრუნებულიყო, მაგრამ დაბარბაცდა და დედამიწაზედ გაიშხლართა. სოვაჟმა იპოვა თავისი ფანარი, აანთო და დაუწყო სინჯვა თავის ნამოქმედარს.

– თქვენ ადგილიდამაც არ დაიძარით? – ჰკითხა პალიარმა.

– ეი, რა ყოჩალი ყოფილხართ! მე რა ხელი მქონდა? ბებერი ავაზაკი ცალ ფულადაც არა ჰღირდა და არც გოლესკო იყო ამაზედ მეტის ფასისა. სოვაჟმა გადმოუბრუნა ჯიბეები, ამოაცალა, რაცა ჰქონდა, რაღაც ქალაღდეები უპოვა და ჯიბეში ჩაიწყო.

– ყოველივე ეს გამოგვადგება, – სთქვა პალიარმა, – კარგა კი უნდა დავიხსომოთ.

– მართალს ამბობთ, ჩემო პაწიავე! ქალაღდეები რომ ჯიბეში ჩაიწყო იმ ბებერმა ავაზაკმა, რომელსაც არ უყვარდა სხვასთან ლაპარაკი, სთქვა თავისთავად: “ყველამ იცის, რომ გოლესკო წასულია, ვის მოუვა ფიქრად მაგისი მონახვა”. მერე აიღო მკვდარი, შეიტანა იმ ქოხში, რომელიც მე გაჩვენეთ, და მეც თან ავედევენე. როცა დაიხარა, რომ მკვდარი ძირს დადოს, ერთი ასეთი მუშტი ვუთავაზე თავში, რომ თავბრუ დაესხა. დედამიწაზედ დაეცა, ზედ დავაჯექ, ხელები შევუკარი და კრიჭა ავუკარი, რომ არ დაეყვირნა. ახ, ნეტავი მაშინ კი დაგენახათ და! მალე მოვიდა გონს, ფორთხალობა დაიწყო, უნდოდა ხელიდამ გამომცლოდა, მაგრამ ვერ მივართვი. მე სიცილით ვკვდებოდი, ის რომ კაპასობდა და ტუჩებს იკვნეტდა, სხვა ღონე რომ არა ჰქონდა.

– რაო, ეშმაკის თესლო! – ვუთხარი მე, – კარგად მოგთელე თუ არა? იღმუილე რამდენიც გენებოს, მე ისე ჩაგჭედე, რომ ხელიდამ ვერ წამიხვალ. მგონია, არაფერი მომიტეხნია შენთვის. მე, ჩემო ძმაო, კარგად ვიცი ხოლმე ჩაბეჭვა. აი, ამისთანა ბოლო ჰქონდა იმ ახმახს გოლესკოსა.

გიურემ ყოველივე ეს ჩასწერა თავის სახსოვარს წიგნში.

– ეხლა საკმაოდ ვიცით ეგ ამბავი, – სთქვა გიურემ, – ჩვენი გამოძიება შესრულდა. ხვალ მოვითხოვ, რომ გამოძიებელმა მომისმინოს. თუ უარს მეტყვის, გაზეთებში გამოვაცხადებ.

– სულ იმ გოგო საქმე კი იყო, – სთქვა სიმონმა, – მე ვიცი, რა წმინდა წყლისაც არის ის ქალი, რომელზედაც მე და თქვენ ვლაპარაკობთ. იმის ხელიდამ რა არა გამოვა!

– იმ ეჭვის გარდა, რომელიც მიიტანეთ, როცა იმისი ნივთები ისყიდებოდა, სხვა ახალი ამბავი ხომ არა შეგიტყვიათ რა იმ ქალზედ? – ჰკითხა გიურეს პალიარმა.

– მე ამოწერილი მაქვს პოლიციის წიგნიდამ ზოგიერთი ამბავი იმ ქალზედ და ის ისეთი ამბებია, რომ ბევრს არას მოვეთავაზები იმ ქალბატონსა. რაც პოლიციაში იმაზედ შემიტყვია, კარგად უხდება იმას, რაც თქვენგან შევიტყეთ, – უთხრა გიურემ სიმონს.

– ახ, რა ლამაზია ის ნამუსზედ ხელაღებული, რომ იცოდეთ! – სთქვა სიმონმა.

გიურემ გაშალა თავისი სახსოვრის წიგნი და წაიკითხა შემდეგი:

“იზა ღარიბის ბოშის შვილია, ბოშებს თან დასდევდა ქუჩა-ქუჩა; უკანასკნელ არეულობის დროს სოფლები ქურდობით გააჩანაგეს. რადგანაც ყველაზე ლამაზი იყო, ბოშებში თავკაცს ეჯდა ხოლმე ხასად. მეტად უსირცხვილო ყოფაქცევის ქალია. ერთხელ ერთს სოფელში სულ მთლად გატიტვლებული იზა ნაცემ-ნატყეპი ენახა ერთს ვიღაცა ზინსკის, რომელიც გრაფობით ახსენებდა თავს. იმ ზინსკიმ ხასად დაისვა, ჭუჭყს და ტანტალს შეჩვეული იზა ძლივს იშვნევდა მდიდრულ ყოფა-ცხოვრებას და შეიყვარა თავისავითვე ბოშა გიორგი გოლესკო, რომელიც სამართალში იყო მიცემული ქურდობისათვის და ავაზაკობისათვის. იმას გაჰყვა და გაიქცა”.

– მართალია, ამისთანა ადამიანთან დიდი თავაზა არ დაგჭირდებათ, – უთხრა პალიარმა.

– ხვალ შევუდგები საქმეს, – სთქვა გადაწყვეტილად გიურემ.

თვითო ჭიქა ღვინო დალიეს და სამიკიტნოდამ სამნივე ერთად გამოვიდნენ.

V

სასამართლოში

მინამ აგენტი გიურე გამოძიების ამბავში იყო, შადისა და პალიარის შემწეობით სცდილობდა ყოველიფერი ნახული და სმენილი რიგზედ მოეყვანა და ცხადის საბუთებით მისულიყო გამოძიებელთან, თითონ საქმე თავის წესზედ მიდიოდა; ვერშემონმა შეავსო გამოძიება, ბრალდებითი ოქმი შედგენილი იყო და გასამართლების დღეც დაენიშნათ.

გასამართლების დღეც მოვიდა; მორისს დიდხანს ჰქონდა ლაპარაკი თავის ვექილთან. ვექილი თითქმის დარწმუნდა, რომ მორისი უბრალოა, მაგრამ ბევრს ეცადა და ვერ ათქმევინა, სადა და როგორ გაატარა ღამე ოცს ივნისსა. მორისსს

ყოველივე იმედი გადუწყდა. სესილი ავად იყო და ამის გამო ვერ შეეძლო იმისათვის ეკითხნა რამე და საწყალი დარწმუნდა, რომ ბედისწერა სდევს და გამართლება შეუძლებელია. ამელი არა ჰშორდებოდა ავადმყოფს სესილსა; რამდენიმე დღის განმავლობაში ძალიან უკეთობა დაეტყო სესილს და ამელი ეხვეწებოდა ვეჯილს, ეცადოს, რომ გასამართლება სხვა დღისთვის გადადონ. საწყალს ქალს ცოტაოდენი იმედი მიეცა, რადგანაც პალიარი, რომელიც ყოველდღე დადიოდა სესილის ამბის შესატყობლად, ნუგეშს აძლევდა და ამხნევებდა. პალიარმა დააჯერა კიდევ ამელი, რომ ჩვენ ნამდვილ დამნაშავეების კვალში ჩავდექითო. ტიუსსო და იმისი ცოლი სწორედ დახოცილები იყვნენ: აღარც არაფერი ესმოდათ, ვერც არაფერს ჰხედავდნენ. იმათი ფიქრი სესილის მორჩენა იყო.

გასამართლების დღე რომ მოვიდა, იმ დილით მორისი მოირთო დიდის მეცადინეობდით და ჰფიქრობდა, როგორ გავიმართლო თავიო; ისევ იმ გადაწყვეტილებაზედ დადგა, რაზედაც აქამდინ იყო: ყველაფერზედ მართალს ვიტყვი, ხოლო იმას არ გამოვცვლი, რომ შინ მარტოკა მოვედი და თავი უნდა მომეკლა, რადგანაც ქალი, რომელიც მე მიყვარდა, მეორეს დღეს სხვაზედ ჯვარს იწერდაო.

დიდი დარბაზი სასამართლოსი სავსე იყო ხალხითა. ბრალდებულის სკამი ცარიელი იყო ჯერ კიდევ. მსაჯულნი თავის ადგილას ისხდნენ, მარჯვნივ მოჩანდა ტანმაღალი ბრალმდებელი. წინ ისხდნენ დიდის ყოფით მორთული ქალები, თითქო მოსულან თავის მდიდრულის ტანისამოსის საჩვენებლად. ყმაწვილი კაცები და ახალგაზრდა ვეჯილები ფეხის თითებზედ დგებოდნენ, რომ ქალები გაესინჯათ. ყველაზედ უფრო დიდი ყურადღება სამმა ქალმა მიიზიდა: ჟანნა დესილიაკმა, რომელსაც წყალობდა ჰერცოგი X, ბერატში სახელმწიფო მინისტრის საყვარელმა და ამაზედ კიდევ უფრო მეტად იზამ, რომელიც აოცებდა ყველას თავისის საგანგებო მშვენიერებითა.

დარბაზში ხმაურობა და მოძრაობა იყო, რადგანაც ყველანი ისწრაფიდნენ თავიანთი ადგილები დაეჭირათ; ხშირად მოისმოდა “სუს” ძახილი, რომ როგორმე ხმაურობა შეეწყვიტათ. თავმჯდომარის ბრძანებით შემოიტანეს და გაარიგეს მაგიდაზედ ნივთიერი საბუთები, რომელთ დანახვაზედ ბევრს ღიმილი მოუვიდათ. ამ ნივთიერს საბუთებს შეადგენდნენ: წმინდა ბატისტის პერანგი, სულ კრუჟევებით მორთული, ორი ბროლის ჭიქა და ორი შამპანური ღვინის ბოთლი.

ბოლოს თავმჯდომარემ დაიძახა:

– ბრალდებული შემოიყვანეთო.

ყველანი ატოკდნენ, აბრეშუმის კაბების შრიალი გაისმა და ჩურჩული ქალებისა, რომელნიც მოუთმენლობით ფეხზედ წამოხტნენ. მორისი შემოვიდა და თან მოსდევდა ორი ჟანდარმი. საწყალი გაფითრებული იყო, მაგრამ დამშვიდებული კი; მშვიდობიანის თვალთ დიდხანს ჰსინჯავდა ხალხსა. ისეთი გულმტკივნეულობა აღძრა და ისე მოეწონა ხალხს, რომ თვითონვე შერცხვა და აწითლდა. იზა ხმაამოუღებლივ დაამტერდა მორისსა, თითქო თვალთ შექმა უნდაო და უნებურად წამოიძახა:

– რა მშვენიერია ეს ყმაწვილი კაცი!

იზამ თვალი ველარ მოაშორა. როცა ხმაურობა შესწყდა, თავმჯდომარემ უბრძანა ბრალმდებელის ოქმის წაკითხვა. წაიკითხეს ოქმი და მორისმა მოისმინა თავჩაკიდებით. ტუჩებზედ უთრთოდა ღიმილი ძრახვისა. მაგ ოქმის კითხვამ გული აუმღვრია. ჩვენ ხომ ვიცით, რა საბუთებითაც ამტყუნებდნენ: ორი ბოთლი შამპანურ ღვინისა, რომელიც ეყიდნა ლეა მედანის მოკვლის წინადღეს; იმ ღამეს შინ არყოფნა მორისისა, მისი ბულვარზედ ყოფნა ერთ ვიღაც ქალთან და ბოლოს ბარათი, საიდანაც ჩანდა, რომ ამხანაგად ერთი ვიღაც ქალი ჰყოლია. როცა ბრალმდებელმა ეს წარმოსთქვა: “ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საქმეში მარტო მორისი არა რეულა, რომ ხელთმძღვანელი ვიღაც ქალი ყოფილა, ქალს წაუქეზებია და ეგ ავაზაკობა მოუხდენინებია”, – იზამ წარბები შეიკრა.

ოქმის კითხვაში ბევრმა დრომ გაიარა. მერე უკბილო ბრალმდებელმა, ტუჩებზედ ღიმილით, გააჭიანურა თავისი სიტყვა დიდის კოპწიაობითა და პრანჭიაობითა. მისი მჭევრმეტყველობა ნაფიცთა მსაჯულთათვის არ იყო, სცდილობდა მოსწონებოდა ქალებს, რომელთაც მიშელე “ყვავილების გრეხილს” ეძახდა. როცა ვითომ ერთი მოსწრებული სიტყვა წარმოსცდებოდა, მაშინვე ერთ-ერთს ქალს დააცქერდებოდა – მოეწონა თუ არაო. მსაჯულებს თითქო ეძინათ თვალთდაუხუჭავად; იმათი მიბინდული თვალები იყურებოდნენ და ვერაფერს ვერა ჰხედავდნენ. თავმჯდომარემ მათიე დიუტალმა თვალი შეასწრო იზას და გაუცინა, ხოლო იზა ისე ატაცებული იყო მორისის სილამაზითა, რომ ვერაფერი ვერ შეჰნიშნა. იზას თვალი და გული მთლად მოიტაცა მორისმა, მაგ უმანკო კრავმა, რომელიც ეგრე გაბედვით, ეგრე გულგრილად, უდანაშაულოდ უნდა დასჯილიყო სიკვდილით დამნაშავის მაგიერ.

მორის ფერანს ეგონა, ამ ხალხში და მოწმეებთა შორის ჩემი კეთილისმყოფელი, გულშემატკივარი ვინმე უსათუოდ იქებაო, მაგრამ მოსტყუვდა. მისი დაც კი არ მოსულიყო. მაშინ იფიქრა, რომ უსათუოდ ახალი საბუთები აღმოუჩენიათ, ასე რომ ჩემი მეგობრებიც კი დარწმუნებულან ჩემს დანაშაულობაზედაო. როცა მოწმეები დაასახელეს, არც მისი დაჲ აღმოჩნდა, არც ტიუსსოს ქალი. დას არაფერი მიზეზი ჰქონდა, სესილის თაობაზედ კი წარმოდგენილი იყო ექიმის მოწმობა, რომ ძალიან ავად არისო. თუმცა მორისის მომხრე ვექილმა ითხოვა, განსამართლება სხვა დღისთვის გადიდვას, მაგრამ თხოვნა არ შეიწყნარეს. ყოველ ამან დაარწმუნა მორისი, რომ ამისი საქმე წინადვე გადუწყვეტიათ, დამნაშავედ არის ცნობილი და, რაც უნდა ჰქმნას და ილაპარაკოს, ველარა დაიხსნის რა. როცა საწყალმა მორისმა მწუხარეს თვალთ შეხედა თავის ვექილსა, ვექილმა მხრები აიწია და თითქო ამის თქმა უნდაო: ”რალა გინდათ ჩემგან? რაც შემეძლო, არაფერი დამიზოგავს”.

მორის ფერანს ჰკითხეს: დამნაშავედ სცნობ შენს თავს თუ არაო, – უარი სთქვა. ამ უარის თქმაზედ ღიმილი მოუვიდათ მსაჯულებს და ნაფიცთა. მერე შეუდგნენ მოწმეების კითხვას ფერანი ჰხედავდა, რომ აქ მოწვეულნი მოწმეები მისი უცნობნი არიან. მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ეგ ვნახეთ ამა და ამ საათზედაო; ერთმა მათგანმა აჩვენა, რომ შამპანური ღვინო ჩემგან იყიდაო; რომ ბოთლები რომელიც ლეა მედანის სახლში იპოვეს, ჩემის დუქნიდამ არისო.

თავმჯდომარემ, დარწმუნებულმა რომ ამის შემდეგ ფერანი თავს ველარაფრით იმართლებსო, ჰკითხა:

– ფერან, რა პასუხს იძლევიტ ყოველ ამაზედ?

– არაფერს პასუხს, ბატონო თავმჯდომარევ!

– თქვენ ხომ უარს არა ჰყოფთ, რომ ამ მოწმისაგან გიყიდნიათ შამპანური ღვინო?

– დიად, ბატონო (იმათ, რომელნიც თანაუგრძობდნენ მორისს, გაუკვირდათ ეს სიტყვა მორისისა).

– ხომ მართალია, რომ კლოდ ბერნარის წიგნის შემწეობით იმისთანა საწამლავის შეზავება ისწავლეთ, რომელსაც სასიამოვნო სიკვდილი მოსდევს?

– დიად, ბატონო.

– თქვენ ის საწამლავი შეურიეთ ღვინოს და ლეა მედანს მიუტანეთ?

მორისმა მწუხარედ ჩაიღიმილა და უპასუხა:

– ბატონო თავმჯდომარევ, გეფიცებით, რომ მოწამლული ღვინო ჩემთან დარჩა და არსად წამიღია; გეფიცებით, რომ ჩემს დღეში ლეა მედანთან ფეხი არ შემიდგამს; გეფიცებით, რომ არ ვიცი, ის ქალი ვინ იყო.

– ხომ იყიდეთ ორი ბოთლი შამპანური ღვინო, მაშინ როდესაც თქვენ ყოველთვის იაფის ფასის ღვინოსა სვამდით; თქვენ გიყიდნიათ შამპანური ღვინო საუკეთესო ღირებულებისა და მიგიციათ იმისთანა ფასი, რომელიც თქვენთვის სამძიმოა. ვთქვათ ეგ არაფერი. თქვენის თავის მოსაწამლავად მოწამლეთ ის ღვინო?

– დიად, ბატონო.

– ახლა ვინ გინდათ მაგითი დააჯეროთ? თქვენ უქონელი მუშა კაცი ხართ, თქვენ იაფის ფასის ღვინოსა ხართ ჩვეული და გინდათ დაგვაჯეროთ, რომ ის ძვირფასი ღვინო მარტო თქვენთვის იყო და სხვა არავისთვის? თქვენ ის ღვინო გიყიდნიათ იმიტომ, რომ ვისთვისაც გდომებიათ, ის ჩვეულს იყო საუკეთესო ღვინოების სმასა და, რასაკვირველია, იმისათვის უკეთესს ღვინოს ამოარჩევდით. თქვენ გშინებიათ, ვაი თუ პირველ დაწაფებაზედვე ღვინო დაიწუნოს და აღარ დალიოსო და ამის გამო ამოგირჩევიათ კაი ღვინო.

– ბატონო თავმჯდომარევ, ჩემს სიცოცხლეში ის პირველი იყო, რომ იმისთანა ღვინო ვიყიდე. რაკი თავი სასიკვდილოდ მქონდა გადადებული, მე ფულზედ რაღას დავლონდებოდი; რაც მითხრეს, მქონდა, ავიღე და მივეცი მაშინვე.

– კარგი, ნაფიცნი თქვენს ჩვენებას ასწონენ. თქვენ ამტკიცებთ, რომ შინ იყავით, გეძინათ, ოთხი მოწამე კი, თქვენი მეზობლები, ამბობენ, რომ ჩვენ გავიგეთ, ღამის ორს საათზედ კარების რაკუნით; თქვენ ამ დროს ლეა მედანის სახლიდამ შინ მოსულხართ.

მორისმა მხრები აიჭიმა და უთხრა:

– მე თქვენ მართალი მოგახსენეთ; და ეხლა, რადგანაც არ მესმის, ჩემგან სხვას რას თხოულობთ, პასუხს აღარაფერზედ მოგცემთ.

ამ სიტყვებმა დიდი ზედმოქმედება იქონიეს მსმენელებზედ; გულწრფელმა, მშვიდობიანმა სიტყვა-პასუხმა, მართებულმა ქცევამ მორისისამ ყველა გააოცა. გულშემატკივრობის ხმაურობამ, რომელიც მას მოესმა, ხალხისაკენ მიახედა

მორისი და, მიიხედა თუ არა, თვალი მოჰკრა იზასა. ლამაზ ქალს ღიმილი ეხატა სახეზედ. ცეცხლი, რომელიც ქალის თვალში ელვარებდა, ყმაწვილ კაცს ეოცა, ქალის გაშტერებით მაყურებელმა თვალმა არია ყმაწვილი კაცი, უნდოდა თვალი გაესწორებინა, მაგრამ ვერ გაუძლო ქალის თვალთა მეტყველებას და თავი ჩაღუნა. იგრძნო, რომ თავში სისხლი აუვიდა.

თავმჯდომარემ ჰნახა, რომ ხალხმა გულშემატკივრობა აღმოუჩინა მორისსა და გაიხმაურა, წარბი შეიკრა და მკვახედ უბრძანა ბოქაულს:

– ბოქაულო, სთხოვეთ აქა მსხდომარეთა ხმაურობა შესწყვიტონ. თუ კიდევ განიმეორებენ, მე მოვითხოვ, რომ აქედამ გაბრძანდნენ. შემოიყვანეთ მოწამე.

ბოქაულმა მოახსენა:

– აბბატი დიუტილეილი.

ეს სახელი რომ გაიგონა იზამ, რომელსაც თვალი ვერ მოეშორებინა აქამომდე მორისისათვის, მოიხედა და შეხედა ახლად შემოყვანილს მოწამესა.

აბბატი მიუახლოვდა თავმჯდომარეს. როცა თავმჯდომარემ დააფიცა აბბატი და კითხვა დაუწყო, იზამ თავი ჩაღუნა და თავის ხელსახოცს კვნიეტა დაუწყო.

– ჩვენ მოვისმინეთ ჩვენება რამდენისამე მოწამისა, – უთხრა თავმჯდომარემ ნაფიცთა მსაჯულთა, – მაგრამ აქამდის ვერ აგვიხსნია, რა დამოკიდება ყოფილა მორისსა და ლეა მედანის შორის. თქვენ, ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო, მოისმინეთ ჩვენება, რომელიც სრულებით ამტკიცებს, რომ სწორედ მორის ფერანს უყიდნია ღვინო და მოუწამლავს კიდევ. გარდა ამისა, თვითონვე მორისი, საბუთებით გამტყუნებული, ამას უარს არა ჰყოფს. ფერანი ამტკიცებს, რომ ლეა მედანს არ ვიცნობდი და თავის დღეში იმასთან არა ვყოფილვარო... ბატონი აბბატი იმ უბედურის ქალის მოძღვარი ყოფილა; ეს საკვირველი არ არის, ხშირად შეიძლება შეჰხვდეს კაცი იმისთანა ნამუსდაცემულს ქალებს, რომელნიც ჩაფლულ არიან ბოროტების მორევში, მაგრამ სარწმუნოება კი არ დაუკარგავთ. ბატონი აბბატი დიუტილეილი ცდილობდა დაეყენებინა უბედური ქალი კეთილს გზაზედ. ბატონო აბბატო, ხშირად დადიოდით ხოლმე ლეა მედანთან?

– ბატონო თავმჯდომარევ, სრულებით არ ვიცოდი, რა ყოფა-ცხოვრების ქალი იყო ლეა მედანი; მე მითხრეს, რომ ძალიან კეთილმომქმედი ქალია, მდიდარია, ღვთისმოყვარე, ბევრი უბედურება გამოუვლია თავის ქვეყანაში და ყოველთვის მზად არის უბედურთა შემწეობისათვისაო. როცა მე ვმართავდი “საზოგადოებას გზადაბნეულთა შემწეობისათვის”, მაშინ მე მიმასწავლეს იმ ქალთან. მივედი და მაშინვე მომცა კარგა ფული და მითხრა, როცა საჭიროება მოითხოვდეს, ნუ დამზოგავთ კეთილ საქმისათვისაო.

– რა აზრისა იყავით თქვენ იმ ქალზედ?

– უნდა მოგახსენოთ, ბატონო თავმჯდომარევ, რომ მე მაგაებში ერთი უმეცარი რამა ვარ. მე რამდენჯერმე ვყოფილვარ იმასთან და მეგონა, რომ ის ქალბატონი მაღალის საზოგადოების ქალია; მე მეგონა, რომ სცდილობს-მეთქი თავისი წინანდელი ცოდვები კეთილის საქმეებით მოინანოს. კიდევ მოგახსენებთ, მე ის ძალიან დიდის გვარეულობის ქალი მეგონა, მარტო ამ საშინელმა საქმემ

ამიხილა თვალები და ვიცან, რა ქალიც თურმე ყოფილა. შინაურობაში ბარონესობით იხსენიებდნენ და მე კი ლეა მე-მედანის სახელით ვიცნობდი.

– ხშირად დადიოდით იმასთან?

– ძალიან იშვიათად, ბატონო თავმჯდომარევ, მხოლოდ მაშინ, როცა დამიბარებდა საქმისათვის.

– როცა ინახულებდით ხოლმე, საეჭვო არაფერი შეგიძინებიათ?

– თავის დღეში, ბატონო თავმჯდომარევ. რომ შემემცნია რამ, ფეხს აღარ შევდგამდი.

– სტუმრები ხშირად გინახავთ იმასთან?

– ყოველთვის. ლეა დე-მედანი მიმიღებდა ხოლმე სასტუმრო ოთახში და იქ სულ ოთხჯერ ვყოფილვარ და ოთხჯერვე სტუმრები დამხვედრიან.

– იქ ეს ბრალდებული ხომ არ გინახავთ? ბრალდებულო, ფეხზედ წამოდექით და ეჩვენეთ ბატონს აბბატსა, – უთხრა თავმჯდომარემ მორისს.

მორისი, ბრძანებისამებრ, ფეხზედ წამოდგა და მშვიდობიანის ღიმილით დაუწყო ცქერა აბბატსა, – ვნახოთ, რას იტყვისო.

– ბატონო აბბატო, იცნობთ ბრალდებულსა?

– დიად, ბატონო თავმჯდომარევ.

დარბაზში ყრუდ გაისმა ხმა სიბრაღისა.

– ლეა მედანთან გინახავთ ეგა?

– დიად.

– ხომ არა სცდებით?

– არა, ბატონო თავმჯდომარევ, ნამდვილად ვიცი. ეგ უნდა მე მიცნობდეს! მე ორჯერ მინახავს იქ, ერთხელ ლეა დე-მედანთან მარტოდ. მე მეგონა, ქალის ნათესავია-მეთქი, ერთმანეთს ძალიან ჰგვანდნენ და “შენობით” ლაპარაკობდნენ.

თავმჯდომარეს კმაყოფილების ღიმილი გამოეხატა ტუჩებზედ. აღმაცერად გადაჰხედა ნაფიცებსა, თითქოს ამას ეუბნება: “არც ეხლა გჯერათ? ამას ხომ ღვთისმსახური კაცი ამტკიცებს. მოდით, ეხლაც ნუ დაიჯერებთო”. ბრალმდებელმა გამარჯვებულის სახით გადაავლო თვალი მთელს ხალხსა. “განა მე ტყუილს ვიტყვოდი! აი თვითონ მღვდელი ჰმოწმობს”, ამბობდა ბრალმდებელის თვალი. ნაფიცთა მსაჯულთა ერთმანეთს დაუწყეს ყურება, პირები დააღეს და თავის ქნევით გაიფიქრეს: “ეს კი ხუმრობა არ არის; მღვდელი ტყუილს არ იტყვის”. ხალხს გული აემღვრა, ვექილმა წარბი შეიკრა, აბბატი კიდეც გულხელდაკრებილი, თავჩაკიდებული მოწიწებით იდგა. გამჭრიახი მაყურებელი მაშინვე შეატყობდა, რომ აბბატს ტუჩები უთრთის და საფეთქლებში მარღვი ძალიან უცემს, ხოლო სახე კი დინჯადა აქვს. მარტო იზამ შეამცნია ეს. მორისი ძლივს სულს იბრუნებდა; ცხადი იყო, რილასიც თქმა უნდოდა. თავმჯდომარე, კმაყოფილი, რომ აბბატმა ასეთი ცხადი საბუთი მისცა მორისის გასამტყუნებლად, მიუბრუნდა მორისს:

– ბრალდებულო, რა პასუხს მოგვცემთ?

რამდენსამე წუთს ყველამ ხმა გაკმინდა. აბბატი ისევ თავჩაღუნული იდგა და მარტო მაშინ თავი მაღლა აიღო, როცა მორისმა სკამს მუშტი დაჰკრა, ტანში მთლად გაიმართა, მიაპყრა თვალი თავმჯდომარეს და წამოიძახა:

– მე მოგახსენეთ, რომ აღარას ვიტყვი-მეთქი... მაგრამ მე ესეც ვთქვი, რომ მართალს ვიტყვი-მეთქი. რაც მაგან სთქვა, მაგის მოთმენა არ შემიძლიან... მე იმას მოგახსენებთ, ბატონო თავმჯდომარევ, რაც რამდენსამე დღის წინად მითქვამს, როცა მე და ეგ კაცი პირისპირ დაგვაყენა გამომძიებელმა.

– მართებულად ილაპარაკეთ, – გააწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ.

– ეგ მიჰქარავს, – განაგრძო მორისმა, – ვინც უნდა იყოს, მღვდელი თუნდ ეპისკოპოზი, მაინც ვიტყვი, რომ ურცხვი მატყუარაა. პირში გეუბნები, შე ავაზაკო, მიჰქარავ-მეთქი. თუ იმ ქუჩის გოგოსთან შენა თრეულხარ, იმიტომ თრეულხარ, რომ შენი ძალღური წადილი მოგეკლა: შენ მე იქ არ გინახვივარ, არა! მიჰქარავ, სცრუობ, სტყუი!

ამ სიტყვებზედ მთელი ხალხი ფეხზედ წამოცვივდა, თითქო მეხი დაეცაო. ბრალმდებელმა კი დაიძახა:

– ბატონო თავმჯდომარევ! მღვდელს შეურაცხყოფთ იხსენიებს და მე თქვენთვის მომიხსენებია, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ.

– ჟანდარმებო, დააჩუმეთ ბრალდებული, – დაიძახა თავმჯდომარემ, – ბრალდებულო, თუ მაგრიგადვე მოიქეცით, გარედ გაგაყვანინებთ. ბატონო აბბატო, შეუნიღვით. მე ძალიან მეჯავრება ის, რაც მოჰხდა.

– ბატონო თავმჯდომარევ, მე მართალი მოგახსენეთ, – სთქვა აბბატმა, – ჩემი სინიდისი წმინდაა. მე ჩემს თავს ვერას ვუსაყვედურებ. მე შემინდვია მაგისათვის, საწყალი, ისეც ძლიერ უბედურია!

მორისმა მხრები აიჭიმა.

აღელვებული ხალხი კიდევ რაღასაც მოელოდდა მორისისაგან, მაგრამ მორისმა ზიზლით გადაავლო თვალი აბბატსა, ჩაჯდა და ძლიერ ამოიოხრა, თითქო გულზედ მოეშვა მას შემდეგ, რაკი ისა სთქვა, რაც უნდოდა. გადიწყვიტა გულში: ლაპარაკში, რომელიც მისს სიკვდილს-სიცოცხლეს შეეხებოდა, აღარ გარეულიყო, დაებჯინა სკამს და გულგრილად დაუწყო ყურება მსაჯულებსა და ამ სახით თვალი მოაშორა იზას ცეცხლით აპრიალებულს თვალებს.

ცოტას ხანს გაჩუმებული და იმედგაცრუებული ხალხი ისევ თავის ადგილას დასხდა. თავმჯდომარე გადიხარა მსაჯულებისაკენ და ჩუმად რაღაცა უჩურჩულა. მერე თვალით აჩვენა ბრალმდებელს, რომ ბრალდებული დაწყნარდა და საქმეს განვაგრძობო. თავმჯდომარემ ჰკითხა:

– ბატონო აბბატო, ხომ სცნობთ ბრალდებულსა? სახელდობრ, თქვენ გინახვთ ორჯერ ეგ ლეა მედანთან.

– მღვდელმა თავი დაიქნია და ანიშნა – ვიცნობო.

– ეგ და ლეა მედანი მარტოკანი ერთად გინახვთ და გაგიგონიათ, რაც ულაპარაკნიათ. რა აზრისა იყავით მაგათ ერთმანეთთან დაახლოებაზედ?

– მე აკი მოგახსენეთ, მაშინ ლეა მედანი მე დიდი კაცის ქალი მეგონა, დარწმუნებული ვიყავ, რომ კეთილზნობიანია. მეგონა, რომ ბრალდებული იმის ნათესავია და ამის გამო ეგრე დაახლოვებულნი არიან. გარდა ამისა, ერთმანეთს ძალიან ჰგვანდნენ, ისიც ამისთანა ქერა იყო, როგორც ესა, ამისთანავე სანახაობა ჰქონდა და ეგეთივე ცისფერი თვალები. ეს მსგავსება უფრო მაჯერებდა, რომ ნათესავები არიან. ჩემი აზრი მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როცა შევიტყე, ვინა

ყოფილა ის უბედური ცოდვილი ქალი. ეხლა კი მგონია, ბრალდებული იმ ქალის საყვარელი იყო.

– ბრალდებული გინახავს იმ ოთახში, საცა ის ქალი მკვდარი ჰნახეს?

– არა, ბატონო თავმჯდომარევ.

– ერთმა მოწამემ სთქვა, რომ ლეა მედანთან ლაკუეს ქუჩაში ხან ყმაწვილი კაცი დადიოდა, ხან მღვდელიო.

– არა, ბატონო თავმჯდომარევ, მე ლეა მედანთან დავდიოდი მხოლოდ იქ, ბირონის ქუჩაზედ რომ სახლი ჰქონდა.

– იქ შეხვდებოდით ხოლმე ბრალდებულსა?

– დიად, ბატონო.

თუმცა მორისი სცდილობდა, თავი შეემაგრა, მინამ ჰკითხავდნენ მოწამეს, მაგრამ ვეღარ მოითმინა, მოიხედა აბბატისაკენ და სცდილობდა თვალი თვალში გაეყარა. მოისმინა თუ არა აბბატის ჩვენება, წამოვარდა ფეხზედ გაცეცხლებული, წინ გადმოიხარა, მუშტები შეიკუმშა და პირზედ ქაფით, გაცოფებულმა შეჰყვირა:

– თქვენ მიჰქარავთ, მიჰქარავთ და მიჰქარავთ! თქვენ უსათუოდ გინდათ კალთა გადააფაროთ ნამდვილს დამნაშავეს, იმიტომაც ეგრე ურცხვად სცრუობთ!... ცრუო, მატყუარავ! თქვენ მიჰქარავთ, რომ ამბობთ – გიცნობო. საიდამ მიცნობთ, რომ თავის დღეში არ გინახვივარ... რომ შემემლოს, ჩემის ხელით დაგარჩობდი. შე არამზადავ, შენა! შენ მღვდელი კი არა, შენა ხარ...

ამხანად უფრო ძლიერი არეულობა ასტყდა. თავმჯდომარე ფეხზედ წამოდგა, მთელი ხალხი დაიძრა და თანაგრძნობა გამოაცხადა მორისის სიტყვაზედ, რომელშიაც უტყუარი გულმართლობა ისმოდა და ეს გულმართლობა ყველამ იგრძნო. რაკი ასეთი აშფოთება და გაფოთება ჰნახეს მორისისა, ჟანდარმები მაშინვე მისცვივდნენ: ჰშიშობდნენ, არ ეცეს მოწამესა, რომელიც შიშის გამო უკან ევარებოდა ჟანდარმებსა. ვექილი მივარდა მორისისა სწორედ მაშინ, როცა ორმა ჟანდარმმა თავმჯდომარის ბრძანებით საყელოში ხელი სტაცეს მორისისა. ვექილი ცდილობდა დაეწყნარებინა მორისი და ის უბედური კი გულამოჯდომით და განწირულებით ეუბნებოდა:

– სტყუის, სტყუის, გეფიცებით, სტყუის... ჩემს დღეში არ მინახავს მე ეგ. ჩემს დღეში მე იქ არა ვყოფილვარ. სტყუის!

თავმჯდომარე ისევ ფეხზედ იდგა. ბოლოს, როგორც იყო, ხალხი დაწყნარდა. როცა ყველანი დაწყნარდნენ, საწყალი მორისი, სრულიად გათახსირებული, დაეშვა თავის სკამზედ. მარტო იმის ქვითინილა ისმოდა. თავმჯდომარემ გაუჯავრებლივ უთხრა:

– ბრალდებულო, ავად ხსენება და მუქარა უფრო მეტად ამძიმებს თქვენს ყოფასა. მაგვარი თავის გამართლება უკადრისობაა. მე მოვალე ვიყავ დამესაჯეთ მაგისათვის. მაგრამ მეცოდებით და იმედი მაქვს, რომ მაგ სათაკილო ქცევას თქვენვე შეინანებთ და მეორედ აღარ გაბედავთ. ჩვენ შევაჩერებთ საქმის გარჩევასა. როცა მარტო დარჩებით და კარგად ჩაფიქრდებით, თქვენს დღევანდელს შეცდომას შეინანებთ. ბატონო აბბატო, თქვენ სინიდისს ქვეშ ლაპარაკობდით; რაც იცოდით, მართალი სთქვით. მე ვითხოვ თქვენგან ბოდიშს ამ უბედურის მაგიერ და გთხოვთ

შეგვიჩინოთ, რომ კისრად დაგდეთ ეს მძიმე მოვალეობა, რომლის აღსრულებისათვის თქვენ იძულებულ გყავთ მართლმსაჯულებამ.

– მე აქ, ბატონო, ერთი უბრალო მოწამე ვარ და მოვალე ვიყავ მართალი მეთქვა. მე, როგორც სულიერმა მამამ, უნდა შევუნდო მაგ უბედურს და შეცდომილს ყმაწვილს კაცსა და თქვენცა გთხოვთ შეიწყნაროთ. შინ რომ დავბრუნდები, მაგისათვის ვილოცებ და ღმერთს შევავედრებ, რომ თავისის მოწყალების მაღლი მოჰყვინოს.

– ხვალ დილის ათს საათამდე საქმის წარმოება შეჩერებული იქნება, – გამოაცხადა თავმჯდომარემ.

მორისი არ გაიყვანეს კი, გაიტანეს როგორც მკვდარი. მთლად უღონო და მისუსტებული იყო. ხალხი დაიშალა და ძალიან გულაღელვებული წავიდა.

– როგორ დავიხსნა ეგ ყმაწვილი? როგორ ვუშველოვო? – ამბობდა იზა, როცა თავის ეტლში ჯდებოდა.

მარტო დამსწრე ხალხს ეცოდებოდა საწყალი მორისი და მარტო ისინი გულმტკივნეულობდნენ საწყალის ყმაწვილკაცისათვის. ხოლო საზოგადოდ კი, გაზეთების წაკითხვის შემდეგ, სულ სხვასა ჰფიქრობდნენ. გაზეთებში დაბეჭდილებიდანაა სჩანდა, რომ ბრალდებულების ოქმი მორისის წინააღმდეგ საფუძვლიანად არის შემდგარი. იქიდან სჩანდა, რომ მორისი ლეა მედანის საყვარელი ყოფილა; რომ მორისს მოუშაადებია საწამლავი და ვერ უარუყვია, რომ ლეა მედანთან გაეტარებინა ღამე, რადგანაც ვერ უთქვამს, სადა ყოფილა იმ დროს. გარდა ამისა, ბარათიც ამტყუნებდა; ბარათში ცხადი იყო, რო ვიღაც ქალი ეხვეწებოდა: – ნუ გამცემო.

მეორე დღეს უფრო ბევრი ხალხი მოგროვდა სასამართლოში, ნამეტნად ქალები. დილის გაზეთებს აეწერათ საკვირველი სიტუარფე მორისისა და აბა რა საკვირველია, რომ ქალები თავს მოიყრიდნენ. გარდა ამისა, მოწმებთაგანი ყველა არ იყო ჯერ ნაკითხი, ერთი კიდევ დარჩენოდათ და იმისი ჩვენება მეტად საინტერესო იყო ქალებისათვის. ეგ ერთი – ექიმი იყო, რომელსაც უნდა ეამბნა, მკვდრის გაჭრამ რა აღმოაჩინა და როგორ მოხდა სიკვდილი ლეა მედანისა. ის ყოფა, რა ყოფითაც მკვდარი ლეა მედანი ენახათ, რასაკვირველია, მოითხოვდა იმისთანა სიტყვების ხმარებას, რომელნიც ქალის ყურისათვის გასაგონი არ არის და ეგ ამბავი თავმჯდომარემ წინადვე აუწყა მაყურებელთა.

– წინადვე მომიხსენებია, – უთხრა მაყურებელთ თავმჯდომარემ, – რომ ჩვენ აქ ჭეშმარიტების აღმოჩენა გვინდა და ექიმს ვერა ვთხოვ, რომ სიტყვა-პასუხს დააკლოს რამე. ამიტომაც წინადვე გაცნობებთ, რომ ექიმის ჩვენებაში იქნება ზოგიერთი იმისთანა სიტყვა გაერიოს, რომ სასმენელად სათაკილო იყოს და მსმენელთათვის უსიამოვნო. მათ, ვისაც ამისთანა სიტყვების ეთაკილებათ, ვთხოვ თავი მოარიდონ და აქედამ წაბმანდნენ.

ქალები წამოწითლდნენ, სიცილით თავები ჩაღუნეს, მაგრამ არცერთი მათგანი ადგილიდან არ დაიძრა. მარტო ერთი წამოდგა და გავიდა. ეგ იყო აბბატი დიუტილეილი. იზა დარჩა, მორისის სიახლოვეს გადაჯდა და თვალი მოუშორებლივ გაუშტერა.

მორისი, გუშინდელ დღეს აქეთ, საცოდავი სანახავი იყო. დარწმუნებული იყო, გამამტყუნებენო, და მხნეობა ჩამოერთვა; ჰგრძნობდა, რომ ყველასაგან თავმინებებული და დავიწყებულია.

– ეგ საძაგელი, ეგა! – ამბობდნენ ზოგნი, – მაგისტანანი სულ ეგეთები არიან. რარიგად შეუშინდა სასჯელს!...

საწყალი ტანჯული ვერც ველარას ჰხედავდა, ვერც ველარას ყურს უგდებდა. ექიმი დიდხანს ჰლაპარაკობდა და იმ ლაპარაკიდან სჩანდა, რომ მორისი ავზნე კაცია, გარყვნილია, ღამე გაუტარებია ღუგუშისა და მოუწამლავს. ამ ჩვენების შემდეგ თავმჯდომარემ ჰკითხა მორისს – პასუხად რას იტყვიო; ხოლო მორისი გაქვავებულსავით იდგა და ხმა ველარ ამოეღო. თავმჯდომარეს უნდოდა კიდევ ბრალმდებლისათვის ეთქვა, დაიწყეო.

მაგრამ რამდენისამე წუთის წინად ბოქაული მოვიდა მორისის ვექილთან, რაღაც უთხრა ყურში და ბარათი მისცა. ბარათი წაიკითხა ვექილმა გაცემით და სიხარულით წამოდგა მაშინვე ფეხზედ და სიხარულისაგან აჩქარებულმა უთხრა თავმჯდომარეს:

– ბატონო თავმჯდომარე, გთხოვ, კიდევ ერთ მოწამესაც ჰკითხეთ.

თავმჯდომარემ მხრები აიწია და უპასუხა:

– ნუთუ გგონიათ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ნაფიცთა მსაჯულთა ჯერ კიდევ თავისი აზრი არ შეუდგენიათ ამ საქმეზედ.

– ბატონო თავმჯდომარე, მე ჩემს თხოვნაზედ ვდგევარ. მოწამე ავად იყო, როგორც ამტკიცებს ექიმის მოწმობა. ავადმყოფობის გამო ჩვენება არ ჩამოურთმევიათ. ეხლა აქ მოსულა და მე ვითხოვ თქვენის მიუდგომელობისაგან, რომ ეკითხოს. საკაცით მოუყვანიათ აქ მოწამე.

თავმჯდომარემ ჰოჭმანი შეჰქმნა და თვალთ დაეკითხა ბრალმდებელს. ბრალმდებელმა ურჩია.

– თქვენი თხოვნა აღსრულდება, – უთხრა ვექილს თავმჯდომარემ, – ვინ არის ის მოწამე?

– გუდარის ცოლი.

ხალხი ყოველთვის ხარბია ხოლმე ახალ ამბებისა, მაგრამ ამ ახალმა ამბავმა არავითარი ცვლილება არ მოახდინა. სულ სხვა ზედმოქმედება იქონია გუდარის სახელის ხსენებამ მორისსა და იზაზედ. ამ სახელის ხსენებაზედ იზამ კისერი მოიღერა და თითქმის ხმამაღლა იკითხა:

– ეს ვინ გუდარის ცოლი უნდა იყოს?

მორისი წამოდგა, გამოიჭიმა. მისი სახე სრულიად შეიცვალა. დაუწყო ყურება თავმჯდომარეს და მერე, როცა თავმჯდომარემ უბრძანა ბოქაულებს, მოწამე შემოიყვანეთო, მორისმა თვალი კარებს გაუშტერა.

– სესილი არის, სესილი! – ამბობდა თავისთავად მორისი და არა სჯეროდა კი, რომ ის იქნებოდა.

ხალხმა შეატყო მორისს, რომ სწრაფად შეიცვალა სახეზედ და მიჰხვდა, რომ ამ მოწამეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

როცა კარი გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა, ფერმკრთალი ქალი, რომელიც ამელისა და ბოქაულს ძლივს მოჰყავდათ, ოთახში ხმა გაისმა გაცემისა.

შემოვიდა დარბაზში თუ არა, სესილმა თვალთ მამინვე იპოვა მორისი და რა ნახა, რომ მორისი მისკენ ხელებს იწვდის, გაიღიმა და ტუჩები დასძრა. მორისმა გაიგო, რომ სესილმა სთქვა: “მე აქა ვარო”.

თავმჯდომარემ უბრძანა, რომ სესილი დასვან და, როცა დასვეს, ჰკითხა:

– ბატონო, ღონე საკმაოდ გაქვთ მოკრებილი, რომ გვიპასუხოთ?

– დიად, ბატონო თავმჯდომარევ, პასუხის მოცემის ღონე კიდევა მაქვს, მიბრძანეთ და მოგახსენებთ.

ადვილად გასაგებია, რარიგად იმოქმედა ამ ახალის მოწამის აქ მოსვლამ. თუმცა ხალხმა არ იცოდა, რას იტყოდა სესილი, მაგრამ ჰგრძნობდა კი, რომ რაღაც დიდს ამბავს შევიტყობთო. ხალხმა ხმა გაიკმინდა და ყველანი სმენად გადიქცნენ. ხალხი ხან მორისს უყურებდა და ხან მოწმად მოსულს ქალსა. იზა გაბოროტებით უყურებდა სესილს, რომელმაც ასე უცბად მიიზიდა ამოდენა ხალხის გული.

– თქვენ იცნობთ ბრალდებულსა? – ჰკითხა თავმჯდომარემ.

– ძალიან კარგად, ბატონო, მე კარგა ხანია ავადა ვარ და არ ვიცოდი, რა მდგომარეობაშია ეგა. მარტო დღეს შევიტყე მაგისი ყოფა და თუმცა ექიმმა დამიშალა, მაგრამ მაინც აქ მოვედი. ექიმმა მითხრა: უსიკვდილოდ ვერ გადარჩები, თუ შინიდან გახვალო... რა ვუყოთ, ოღონც მართალი დავიხსნა და მე რაც მომივა, მომივიდეს!

– რა გაქვთ სათქმელი?

– გარწმუნებთ, ბატონო თავმჯდომარევ, რომ მორისი უბრალოა. გეფიცებით, რომ უბრალოა...

– შვილო ჩემო, – უთხრა ალერსით თავმჯდომარემ, – მაგისთანა მოწმობა საკმაო არ არის მაგის გასამართლებლად. მართლმსაჯულებას საბუთი უნდა.

– დიად, ვიცი, ბატონო, რომ საბუთები უნდა მოგახსენოთ, – სთქვა სესილმა და დაიწყო საშინელი ტირილი.

– გული დაიმშვიდეთ, ბატონო და გვიამბეთ.

– დიად, ყველაფერს მოგახსენებთ... თქვენა სწამებთ მორის ფერანსა, რომ ოცს ივნისის ღამეს თავის საყვარელი ქალი მოუკლავს.

საცოდავი სესილი ამბობდა ამას და სცდილობდა გაეღიმნა, განაგრძო ლაპარაკი ხმაწყვეტითა და თავისთავს ისე ძალას ატანდა, რომ მორისს გული ამოუჯდა და უნდა დაეჩუმებინა, მაგრამ ვეჟილმა ნება არ მისცა.

– მორისს საყვარელი არა ჰყავს, – სთქვა სესილმა, – მაგას მარტო მე ვუყვარვარ...

– თქვენ ხომ ქმარი გყავთ?

– დიად. ოხ, ღმერთო ჩემო, რა ძნელი გამოსათქმელია!

დარბაზში ისეთი სიჩუმე იყო, რომ თუმცა სესილი სუსტის ხმით ჰლაპარაკობდა, მაგრამ ყოველივე სიტყვა, ყოველივე ხმა, ყოველივე კვნესა ისმოდა.

– ჩვენ ერთად შეზდილები ვართ და იმ აზრით ვიზდებოდით, რომ თავის დროზედ ცოლ-ქმარნი შევიქმნებოდით... მერე მოინდომეს ჩემი სხვაზედ გათხოვება... მაშინ შევფიცე მორისს, რომ თავს მოვიკლავ და სხვას არ შევირთავ-მეთქი...

სესილი ერთს წუთს შედგა; თავმჯდომარე ხან ამ ქალს უყურებდა, ხან ხალხს გადაჰხედავდა, თითქო კითხულობსო: "რაებს ამბობს? ეს სრულებით საქმეს არ შეეხება: ჭკვიდამ ხომ არ შემლილა?"

სესილი ღიმილით უყურებდა მორისსა, თითქო ეუბნებაო: ნუ გეშინიან, რაკი დავიწყე, ბოლომდისინაც გავალ!

– ოცდაერთს ივნისს მე სხვაზედ უნდა დამეწერა ჯვარი... მე ვკითხე ჩემს დედ-მამას – არ იშლით, მათხოვებთ-მეთქი? მე მითხრეს, რომ უეჭველადაო. მაშინ შინიდან გავიქეცი ოც ივნისს საღამოს. მე და მორისმა ერთმანეთს პირობა მივეცი, რომ ერთად უნდა დავხოცილიყავით, რადგანაც ერთმანეთს ვეღარ შევირთავდით. ბასტილიის მოედანზედ შევხვდით ერთმანეთს და მორისმა თავის სახლში წამიყვანა...

– მაშ, თქვენ იყავით საღამოს ოცს ივნისს კონტრესკარპის ბულვარზედა?

– დიად, ბატონო თავმჯდომარე, მე გახლდით.

ნაფიცნი მსაჯულნი და ხალხი დიდის გულმოდგინებით ყურს უგდებდნენ.

სესილმა განაგრძო:

– მოგახსენეთ, თავისთან წამიყვანა-მეთქი... მაშინ მე ვუთხარი: "მორის, დღეს ჩვენი ქორწინებაა, მე და შენ დღეს ცოლ-ქმარნი ვართ ღვთისა წინაშე..." აი ეს ბეჭედი, რომელიც ეხლა ხელზედ მაქვს, მორისმა მომცა. ზედ ამოჭრილია ჩვენი სახელი და რიცხვი. მე ვუპასუხე: "მე შენი ცოლი ვიქნები, მაგრამ თავი კი უნდა მოვიკლა, რადგანაც სხვასა მრთავენ და უკადრისობა იქნება ქმარი მყვანდეს და შენ საყვარლად დაგიჯდე". თვითონაც თავის მოკვლა მოიწადინა, რაკი ეგრეაო. წავიდა, იყიდა ეგ ღვინო... მე ძალიან კარგადა ვცნობ მაგ ბოთლსა.

ამის თქმაზედ ანიშნა ბოთლზე, რომელიც იქავ მაგიდაზედ იდგა ნივთიერთა გეშთა შორის.

– მორისმა შამპანურ ღვინოში საწამლავი აურია, რამდენიმე შაქრის პურიც მოიტანა... ჩვენ დავნაყრდით და მერე დავიძინეთ...

სესილმა თავი ჩაღუნა, ფერწასულს ლოყებზედ ალიმული აუვიდა კდემისა გამო.

– თქვენ მითამ ორივე ბოთლი დალიეთ? ეგ ძალიან ბევრი იქნებოდა თქვენთვის! – უთხრა თავმჯდომარემ.

– მაგან დაგვიხსნა კიდეც, მგონია... ჩემმა აგებულებამ ვერ აიტანა იმოდენა ღვინო... ბოლოს შუაღამის სამს საათზედ მე გამომეღვიძა... ავად ვიყავ, თავი საშინლად მტეხდა, გულში ცეცხლი მეკიდებოდა... მივიხედ-მოვიხედე, სადა ვარ-მეთქი, და ვიგრძენ, რომ ჩემთან მორისია...

ეს რომ სთქვა, აკანკალდა, თითქო მკვდარს ხელი შეახოო.

– მე მეგონა, მკვდარია... ის მკვდარი იყო და მე კი ცოცხალი! ელდაცემული წამოვვარდი ქვეშაგებიდან და მინდოდა ფანჯარიდან გადავვარდნილიყავ... ფანჯარიდან მდინარე სენა დავინახე. მაშინ მე... მორის!...

დაიძახა ეს და საცოდავი ქალი გრძნობამიხდილი სკამიდან ძირს იატაკზედ დაეცა.

ყველანი საწყალს ქალსა მისცვივდნენ. გუშაგებმა დაიჭირეს მორისი, თორემ უნდოდა მიჰშველებოდა. ამელი მიჰვარდა თავის მეგობარს და სესილი ოთახიდან

გამოიტანეს მკვდარსავითა. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი ასტეხა სასამართლოს დარბაზში: ხალხი აირივ-დაირივა, თავმჯდომარე და ბრალმდებელი მთლად დაიფანტნენ, რომ სესილის ეგეთი ჩვენება მოისმინეს და ყურს აღარ ათხოვებდნენ ხალხს, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა თავის გულმტკივნეულობას მორისის მიმართ. მორისი აქეთ-იქით ეცემოდა თავის გალიაში, ჰშფოთავდა, თუმცა ვეჭილი დაწყნარებას ურჩევდა და ანუგეშებდა – საქმე ეხლა მოგებულიაო... მაგრამ მორისს თავის თავის დარდი აღარა ჰქონდა... საქმე იმაში იყო, რომ სესილი იმ ყოფაში იყო, რომ შეიძლება მომკვდარიყო კიდევ და ეგრე უგუნურად თავი შეეწირა მორისისათვის... ოხ, რარიგად უყვარდა ეხლა სესილი! რარიგად დაუყუჩა ორიოდე წუთით ამოდენი ხნის ტანჯვა და წამება!...

ხალხი მოუთმენლად ელოდდა, რით გათავდება საქმეო. ნაფიცნი მსაჯულნი, გულნატკენნი ახალგაზდა ქალის გულუბრყვილო ლაპარაკითა, ერთმანეთში ჰლაპარაკობდნენ და წინადვე შეედგინათ თავისი განაჩენი. იზა ათრთოლდა, ტუჩებს იკვნეტდა და ამბობდა გაცოფებული:

– უჰ, რარიგად ჰყვარებია ეს ქალი!

ბოქაულმა შეამცნივა, რომ ბრალმდებელს ლაპარაკი ჰსურს, ჰსთხოვა ხალხსა – დაწყნარდითო, მაგრამ დიდხანს ვერ დააწყნარა. ბოლოს, როგორც იყო ბრალმდებელმა სთქვა:

– ბატონო თავმჯდომარე, ამ ახალის მოწმის ჩვენებისა გამო, მე გთხოვთ ახალი გამოძიება მოახდინოთ და ხელახლად ცნობები შეაკრებინოთ.

ხალხში უკმაყოფილების ხმა გაისმა.

– ბრალდება უმთავრესად დაფუძნებული იყო მასზედ, რომ ბრალდებულს ვერ ეთქვა, სად გაატარა ღამე ოცს ივნისსა, – უთხრა თავმჯდომარემ ნაფიცთ მსაჯულთა, – ამ ახალის მოწმის ჩვენება მთლად აუქმებს ბრალდებასა... ბრალდებულო, თქვენც ამტკიცებთ მას, რაც ამ ახალმა მოწამემ გვაუწყა? – ჰკითხა თავმჯდომარემ მორისსა.

მორისი წამოდგა, მოიწმინდა ცრემლები და აღელვებულის ხმითა სთქვა:

– მე პატიოსანი სიტყვა მიცემული მქონდა, რომ არავისთვის და არასდროს არ გამემჟღავნებინა ის, რაც მოჰხდა ოცს ივნისის ღამეს. მე ჩემს საცოლოს შევფიცე, რომ მომკლან კიდევ, არ გავამჟღავნებ-მეთქი. ეხლა თითონვე აღიარა და მით განმათავისუფლა ფიცისაგან. ეხლა ვაცხადებ, რომ ოცს ივნისის ღამე მე გავატარე სესილ ტიუსსოს ქალთან; რომ მე ჩემის ოთახიდან არ გამოვსულვარ და ჩემს ოთახში დილით მნახა ცოცხალ-მკვდარი ჩემმა დამ ამელიმ და სიკვდილისაგან დამიხსნა. რაც სთქვა სესილმა, ტიუსსოს ქალმა, მართალია.

– ბრალმდებელის სურვილისამებრ, – სთქვა მკვახედ თავმჯდომარემ, – მე საქმეს გადავდებ სხვა დროსთვის და ახალის ცნობების შესაკრებად დავნიშნავ ხელახლად გამოძიებასა.

განსამართლება ამით გათავდა.

ვერ ითქმის, რარიგად მწუხარებამ შეიპყრო მორისი, როცა ჟანდარმებმა ხელახლად წაიყვანეს. ვეჭილი ეუბნებოდა, რომ გაგამართლებენო; მორისს კი არც არა ესმოდა რა, ვერც არასა ჰხედავდა. მისი ფიქრი მარტო სესილი იყო, სესილი, რომელმაც ჭემმარიტების შუქი მოაყენა ამის საქმეს. მორისი მასზედ კი არა

ჰფიქრობდა – რა ჰქმნა სესილმაო, არამედ მისი ფიქრი თვითონ სესილი იყო. თავისის თვალთ ჰნახა, რომ სესილი გადიქვა სკამიდამ, ჰნახა, რომ მკვდარსავით ასწიეს და გაიტანეს; უნდოდა მივარდნოდა და ზედ დაჰკდომოდა, ხოლო ჟანდარმებმა არ გაუშვეს და თუმცა სტიროდა, ჰყვიროდა, თავს იკლავდა – გამიშვითო, მაგრამ ხელი ჩაჰკიდეს და ისევ საპატიმროში წაიყვანეს.

როცა საპატიმრო ეტლში სვამდნენ, მორისი ისე დაფანტული იყო, რომ ვერ დაინახა დიდძალი ხალხი, რომელიც ელოდდა ამის გამოსვლას, რომ გულმტკივნეულობა გამოეცხადებინათ. როცა საფეხურზედ შესდგა ფეხი, მაშინ მოიხედა ხალხისაკენ, რომ შეეტყო, რა ხმაურობააო, და მსწრაფლვე თავი ჩაღუნა... მან დაინახა გამტერებით მოჰყრობილი მწვავე თვალი იზასი.

მორისი ჩაჯდა ეტლში და ეტლი მაშინვე წავიდა. იზა დიდხანს უყურებდა მიმავალს ეტლს, მწუხარე, ჩაფიქრებული მიემართა თავის ეტლისკენ, რომელიც იქავ სასამართლოს წინ იდგა.

რას ჰფიქრობდა იზა? მნელი გამოსაცნობი არ იყო, თუ კაცი დააკვირდებოდა მის ბოროტებით სავსე თვალს, მიქცეულს პატარა გუნდზედ, რომელიც სასამართლოს კიბიდამ ჩამოდიოდა. ლუი პალიარს და ამელის ჩამოჰყვანდათ სესილი და შადი კიდევ დარბოდა ეტლის საშოვნელად. სესილი ცოტა მოჯობინებულიყო; უღიმოდა კიდევ თავის მხლებელთა და იზამ ვერ შესძლო რომ არ ეთქვა:

– ვიშ, რა მშვენიერი რამ არის!

ეტლი იზასი წავიდა. იზა ეტლის კუთხეში მიჯდა და ტირილს მოჰყვა. ნეტა რა უნდა ვქნა, იძახდა თავისთავად. იზა აქამდის მთელის გულისთქმით მიეცემოდა ხოლმე ყოველს ჟინსა. ეხლა კი ჰგრძნობდა, რომ მორისის სიყვარული ჩაუვარდა გულში. საკმაო იყო ერთი ნახვა მორისისა, რომ იზა სიყვარულით ანთებულყო. ყოველმა უკადრისმა წადილმა გაიღვიძა იზას აგებულებაში, როგორც იმ ღამეებში, როცა ბოშის ტანისამოსით მორთული აქა-იქ დაეთრეოდა და ეძებდა იმ უკადრისთა წადილთა დაკმაყოფილებასა. დიად, იგივე ჟინები აეშალა, მხოლოდ ეხლა ეს ჟინები უფრო გაუძლიერდა, უფრო მეტს ითხოვდა, რადგანაც უკადრისთა გულისთქმათა გარე იზას გრძნობას სხვა გარემოებაც დაემატა. ეს გარემოება იმაში მდგომარეობდა, რომ საცოდავის ყმაწვილკაცის სიცოცხლე და სიკვდილი იზას ხელში იყო და იზა სიყვარულისათვის თავისუფლებას მიაწიებდა... მაგრამ ვინ იცის, – ჰფიქრობდა იზა, – იქნება ამ აღებ-მიცემობაზედ უარი სთქვას იმ უგუნურმა. თუკი ქალის ნამუსის დასაცველად ხვაშიადი არ გაამჟღავნა და თავი სასიკვდილოდ გადასდვა, სხვას რას არ იქმს ეგ თავზე ხელაღებული, გიჟი გმირიო?

ყმაწვილს სესილი უყვარს და ვაი თუ მე ზურგი შემომაქციოს, მე, იზასაო! ამ ფიქრზედ იზას თვალში რისხვის ელვამ გაურბინა. როგორ? კაცმა მე უნდა დამიწუნოს, უარმეოს იმისთვის, რომ სხვა უყვარსო?! მოაგონდა იზას, რომ მორისმა ყურადღებით ერთხელაც არ შემოჰხედა. დამინახა კიო? აქ მოაგონდა, რა აღტაცებითაც მიაგება მორისმა თვალი სესილს. მოაგონდა მისი სიხარული სესილის დანახვაზედ, მისი თვალთა მეტყველება, მისი ქცევა... ცხადია, იმის თვალში სესილის მეტი ქვეყანაზედ სხვა ქალი არავინ არის, რადგანაც სესილის

გულისთვის თავის სასიკვდილოდ გადაედვა და კაცის მკვლელის სახელით უნდა მომკვდარიყო. სისხლი უდუღდა იზას საშინელის ძლიერებითა. მორისი უნდოდა, უყვარდა იგი და სწყუროდა მისი სიყვარული... როგორ ვაჯობო მე იმ ქალს, როგორ შევეცილო, ნამეტნავად ეხლა, როცა თავისი თავი მსხვერპლად მოუტანა მორისსა და მით უფრო ძლიერად დაიპყრო ჭაბუკის გულიო. რა ვქნა, რა მოვახერხო?

ხომ ვიცით, იზა რაც არის, და ამის გამო არ გაგვიკვირდება, როცა შევიტყობთ, რა ფიქრი მოუვიდა თავში იზას. აი რა ფიქრი მოუვიდა: გუდარს გავცემ, სესილს ვნახავ და ვეტყვი: "მე ეხლა ზედმიწევნით გიცნობთ; თქვენ პატიოსნებაზედ ხელს არ აიღებთ, თქვენ არ ინდომებთ მორისის სიყვარულსა, რადგანაც ქმარი გყავთ. ბარათი მისწერეთ მორისს და მე გამატანეთ, მისწერეთ, რომ, რაც შეგეძლოთ, ყოველივე ღონე იხმარეთ მის გადასარჩენად, ხოლო ამაზედ ნუ დაამყარებს ნურას იმედს; რომ იმას თქვენ თავის დღეში ვედარ ინახულებთ". ამრიგად მე დავიხსნი მორისს სასჯელისაგან და სესილს გუდარის ხელიდამა, – იფიქრა იზამ.

ამაების ფიქრში იყო ეტლის კუთხეში მიწოლილი იზა. უეცრად სიცილი აუტყდა და დაიძახა:

– ჭკუილამ შევიძალე, თუ რა ამბავია... განა თვითონ მე დავუთმობდი სხვას ჩემს საყვარელსა?

მხრები აიჭიმა, წამოსწორდა, აღელვებულმა ხელებზედ დაიგლიჯა ხელთათმანი, გიჟსავით სიცილს მოჰყვა და სთქვა:

– სულ ერთია, ესე თუ ისე, ის ჭაბუკი ჩემი იქნება. მე მიყვარს და გათავდა... ყველაზედ უწინარეს საჭიროა, რომ ჩემმა სულელმა ხელახლად გამოძიება მოახდინოს... საჭიროა ჯერ გავანთავისუფლებინო.

ჩაფიქრდა... თავში გამოისახა ხერხი, თუ როგორ აქმნევინოს ოსკარ ვერშემონს ის, რაც საჭიროა განზრახულისათვის.

– აბა, ანდრე გუდარი როგორ გავცე? რა ვიხერხო, რა? – ჰფიქრობდა იზა.

ამ წუთში ვერავინ ვერ იცნობდა თავმომწონეს და მედიდურს იზასა. გულზედ ჯავრი ეწვა, მკვახედ იყურებოდა, ტუჩებს იკვნეტდა... ჰფიქრობდა, – რა ვიხერხო, და წამდაუწუმ ამბობდა: "არა, არა! ეგ არ შეიძლება! ანდრე გუდარი რომ გავცე, ხომ ჩემი თავიც დავიღუპე, არა, ორივე უნდა დავიხსნა, ორივე!"

ამ დროს ეტლი იზას სახლების კარის წინ გაჩერდა და, როცა იზამ ფეხი ეტლიდამ გამოადგა ჩამოსასვლელად, მოსამსახურეების მაგიერ წინ შეეფეთა ვიღაც უცნობი კაცი, რომლის დანახვაზედაც იზას შიში შეეპარა.

– რა გნებავთ, მოწყალეო ხელმწიფევ? – ჰკითხა იზამ.

– თუ არა ვცდები, თქვენ მგონია სეგლენის ქვრივი ბძანდებით? – ჰკითხა თავის რიგზედ გიურემ (გიურე იყო).

– დიალ, მე ვარ. რა გნებავთ? ეს რა ამბავია? ჟუსტინავ, ჟუსტინავ! – დაიძახა იზამ გაფითრებულმა.

– ნუ ჰყვირით, ბატონო! ნურც გამოდიხართ ეტლიდამ. კანონის სახელითა მე თქვენ უნდა დაგატუსალოთ!.. მე ბრძანება მაქვს მაგ საგანზედა... ნება მიბოძეთ ჩავჯდე თქვენთან ეტლში და ბრძანებას მაშინ გაჩვენებთ. გთხოვთ, ბატონო,

ალიაქოთს ნუ ასტეხთ, ალიაქოთით ვერას გახდებით, პოლიციის მოხელენი გარშემორტყმულნი არიან.

– გაფრთხილდით, მერე არ ინანოთ, – უთხრა იზამ სრულიად დაფანტულმა.

გიურემ ერთი პოლიციის მოხელე გვერდით მოუსვა იზას და თვითონ კი წინ სკამზედ ჩამოუჯდა. იზა ეტლის კუთხეში მიიკუნტა, თითქო ზიზღობს მოხელეებთან ჯდომასაო, და უყურებდა მათ შიშითა და ელდითა. იზას ვერაფერი ვერ გაეგო, ეს რა ამბავი დაემართა, და ჯერ არ გამოფხიზლებულიყო ოცნებისაგან, რომ ეტლი პოლიციის წინ გაჩერდა.

იზა გაქვავებულსავით იჯდა ეტლში და პირი ისე გაშრობოდა, რომ ხმა ვეღარ ამოეღო. გიურემ ეტლის კარები გააღო, გადმოხტა ეტლიდამ და თავაზით, მიაწოდა რა იზას ხელი, უთხრა:

– მოვედით, ბატონო. თუ თქვენი ნება იქნება, ხელი მიბოძეთ და გადმობრძანდით.

VI

რა მოჰხდა ტიუსსოს სახლში

ჩვენ უნდა ვაუწყოთ მკითხველსა, როგორ მოჰხდა, რომ სესილი ისე მისწრებაზედ გამოცხადდა სასამართლოში, და მისმა ჩვენებამ იძულებულ-ჰყო, განსამართლება სხვა დღისათვის გადაედვათ და ახალი გამოძიება დაენიშნათ. იმ საძაგელის ამბის შემდეგ, რომელიც გუდარმა ჩაიდინა ტიუსსოს სახლში იმ დღეს, როცა წვეულობა ჰქონდა ტიუსსოს სიხარულის ნიშნად, რომ სამუდამოდ თავიდამ მოიშორა თავისი უნამუსო სიმე, – სესილი ძალიან მწუხარედ შეიქმნა, ძვირად დაუჯდა დედის დახსნა გაბიაბრუებისაგან. მკვდარივით შეიტანეს თავის ოთახში. შვიდი თვის ორსული მშობიარედ გახდა და მკვდარი ჰშობა. მაგ მშობიარობამ უკანასკნელ განწირულების დღეში ჩააგდო. გამოკეთდა ცოტად თუ არა, მშობიარობის ანთება მოუვიდა და მისი სიცოცხლე ბეწვზედლა ეკიდა. სწეულებამ ძალიან გამოსცვალა სესილი; ბოდვამ და სიცხემ გონება წაართვა. საწყალი ამელი, რომელიც მას უვლიდა, ორგზით იტანჯებოდა, რა ჰხედავდა, რომ ძმის სიცოცხლე დამოკიდებულია სესილის მორჩენაზედ. ამ ავადმყოფობაში როგორც სიკვდილი, ისე მორჩენაც სწრაფია და უცები ხოლმე. სრული მორჩენა ერთბაშად მოდის, თუმცა ღონე გვიან უბრუნდება, აგებულება სუსტია, მაგრამ სული კი განცხოველდება ხოლმე. სესილსაც ეგრე მოუვიდა. ერთხელ ექიმმა, კარში რომ გამოდიოდა, ჩაავლო ხელი ტიუსსოს და უთხრა:

– პატარა ხანს ჩემთან გამოისეირნეთ.

შეშინებული ტიუსსო გაჰყვა და ჰკითხა ათრთოლებულის ხმით:

– სთქვით, ექიმო, სთქვით! რის თქმა გნებავთ? ჩემი ქალი უკანასკნელ დღეშია, განა?

– დიად, – უპასუხა ექიმმა და ხელი ჩაავლო ტიუსსოს, – ძალიან ცუდად არის. საყვარელო ტიუსსოვ, გულმაგრად იყავით... საჭიროა დედა მოაშოროთ...

– ოჰ, ღმერთო! ღმერთო! – ქვითინებდა ტიუსსო, – მითხარით, ბატონო ექიმო, ქალი მეკარგება?

– გული გაიმაგრეთ, ძალიან ცუდად არის.

– მაშ მომიკვდება? – ჰკითხა საცოდავმა მამამ გულისმწველის ხმითა.

– ჯერ ყმაწვილი ქალია, მაგარი აგებულება აქვს. როცა კაცი ახალგაზრდაა, იმედი დაკარგული არ უნდა იყოს. მაგრამ მაინც, საყვარელო ტიუსსოვ, მე თქვენის ოჯახის მეგობარი ვარ და მოვალე ვარ წინადავე გაცნობოთ... თქვენი ქალი ძალიან, ძალიან ავად არის. თუ რამე საქმე გაქვთ თქვენს ქალთან, დაემურეთ მოლაპარაკებას, თორემ, ვინ იცის, იქნება ეს ღამე ვეღარ გააღწიოს.

საშინელი სანახავი იყო საცოდავი მამა. ერთი შეჰკვივლა და ბაშვსავით ღრიალი დაიწყო. დაავიწყდა, რომ ექიმს გამოჰყვა, თავი დაანება, შინისაკენ გამოიქცა და გზადაგზა იძახდა:

– ვაიმე, შვილო, ვაიმე!

შინ რომ მოვიდა, მაშინვე ავადმყოფის ოთახში შევიდა. ადელი, მისი ცოლი, დაღალული, დათენთილი მწუხარებისაგან, სიცოცხლემიღეული ევდისა და უძილობისაგან, თავთ ეჯდა თავის ქალსა, ჩაჰღიმოდა სესილსა და, სესილი რომ სულთაბრძოლაში იყო და ტუჩებს აცმაცუნებდა, დედას ეგონა, მე მელაპარაკებო, და უხაროდა. ქმრის ფეხის ხმა რომ მოესმა, მოიხედა და მივარდე ზედ, რაკი ნამტირალევი ჰნახა. გამოიყვანა გარედ ძალად და ჰკითხა დაბალ ხმით:

– ექიმმა იმედი გადიწყვიტა?

ტიუსსო ისე გამშრალი იყო, რომ პასუხი ვერ უთხრა. მარტო “ჰოს” ნიშნად თავი დაუქნია, უფრო მწარედ დაიწყო ტირილი და გადებვია ცოლსა. ადელი გაშეშდა, თვალი გაუშტერდა, ისე რომ ცრემლიც კი შეუშრა.

– რა გითხრა, რა? მალე წაგვერთმევა? – ჰკითხა ქმარს მკაფიოდ.

– ღამეს ვეღარ გააღწევსო, – უპასუხა ქვითინით ქმარმა.

ადელი გამოეცალა ხელიდამ ტიუსსოს. მთლად გათახსირებული იყო. მივიდა ქალის ქვეშაგებთან, გადმოაწყო წამლების შუშები – საჭირო აღარ არისო... ჩაჯდა, ორივე ხელეში ჩაავლო ქალის ხელს და, თითქო გაქვავდაო, ისე უძრავად ჩაჰყურებდა თვალებში.

ეგ ჩაჩუმებული, შეკავებული მწუხარება საშინელი რამ იყო და დედა უფრო საცოდავი სანახავი შეიქმნა, ვიდრე სულთმობრძავი ქალი.

დედ-მამის ოთახი სესილის ოთახის პირდაპირ იყო. ტიუსსო თავის ოთახში შევიდა და ქვითინით და ტირილით დაეცა ტახტზედ. ქვევით სასადილო ოთახში იყვნენ ამელი, შადი და პალიარი. წინად რომ შეწუხებული ტიუსსო ჰნახეს, მიჰხვდნენ, რაც ამბავი იყო და ამელიმ ხამამალლა ტირილი დაიწყო. სესილის სიკვდილს მისის ძმის დაღუპვაც ზედ მოსდევდა. ჯერ კიდევ დილით ვეჭილს ეთქვა, სესილის ჩვენება საკმაოა, რომ მორისმა თავი იმართლოსო. სესილი კი კვდებოდა! მორისიც დაიღუპება... მწუხარებისაგან ქანცგაწყვეტილი ქალი დაეცა მუხლებზედ და ლოცვას მოჰყვა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საცოდავი

ამელი ერთის მხრით მეგობარსა ჰგლოვობდა და მეორეს მხრით ძმასა. ერთადერთი საყვარელი, ერთადერთი თავისიანი ხელიდამ ეცლებოდა და ეღუპებოდა!

პალიარი ანუგეშებდა, მაგრამ ამელი ყურს არ აუგდებდა.

– ოჰ, ღმერთო! ნუთუ შენგან შეჩვენებულ ვართ! შეგვიბრაღე! შეგვიწყაღე ჩვენ! – ევედრებოდა ღმერთს საცოდავი ქალი.

შადიც მწარედ სტიროდა კედელთან მიყუდებული. მას აქეთ, რაც სესილი წყლიდამ გამოიყვანა, გულში ჩაუვარდა დამძური სიყვარული სესილისა და ტიუსსოს სახლობას რომ დაუშინაურდა, უფრო გაუძლიერდა ეგ სიყვარული. ტიუსსოს სახლში ისე იყო, თითქო თავისიანებში არისო.

– საწყალი! – ჰკვნესოდა შადი, – თუკი ესეთი მოკლე დღე ჰქონდა, ჰღირდა-ღა, რომ წყლიდამ გამოვიყვანე? არა, უსამართლობაა, უსამართლობა! ვაი ჩვენს უბედურებას!

სთქვა და ტირილს მოუმატა. ავადმყოფის სახლში ადელი გაქვავებულსავით იჯდა, ხელი ეჭირა სესილისა, თვალს არ აშორებდა ქალსა, რომელსაც სიცოცხლე ნელ-ნელა თავს ანებებდა. არავისი ტირილი და ქვითინი არ ესმოდა, ეგონა, რომ მარტო სულთამბრძოლის ხრიალი-ღა ისმის. საცოდავნი სულ მიწასთან გასწორდნენ მწუხარებისაგან. ქალის სიკვდილის მომლოდინეთა სრულიად იმედი გადიწყვიტეს და თავი დაანებეს ქალის მოვლასა. ამისთანა მწუხარების ცეცხლით მთელი ოთხი საათი გაატარეს და ამ ოთხის საათის განმავლობაში ვერავინ ვერ ჰბედავდა შეეხედნა სესილისთვის, გული უკვდებოდათ, რომ ესმოდათ საცოდავის ქალის უკანასკნელი ხრიალი.

ტიუსსო პირველი იყო, რომ მივიდა და დაჰხედა თავის ქალსა; საცოდავს მამას ფერი წაჰსვლოდა, სახე დაღმეჭოდა. კედელ-კედელ ძლივ მივიდა ქალის ქვეშაგებთან. სულთამბრძოლის ხრიალი შესწყდა. ცოლი მისი იქავ იჯდა სესილთან და თავგალუნული, გამწარებული ელოდდა ქალის აღსრულებასა. ტიუსსო ჰბარბაცებდა მთვრალსავით და სულ მას იძახდა: “დაგვენთქა ყოველივე იმედი, დაგვენთქა!”

ადელს ამისი სიტყვები არ ესმოდა. ტიუსსომ ძალა დაატანა თავის თავსა, მივიდა, ცოლს ზურგთ უკან დაუდგა, დაჰხედა სესილს და ხმამაღლა დაიძახა. მოეჩვენა. ვითომც სესილმა შემომცინაო, და გულზედაც მოეშვა. ამის ხმაზედ ამოცვივდნენ ქვევიდამ პალიარი და შადი სწორედ იმ წუთს, როცა ტიუსსო გადებხვია თავის ცოლს და სიხარულით ატაცებულმა უთხრა:

– ადელ, ადელ, ჩვენმა შვილმა მოიხედა!

საცოდავი დედა სცდილობდა გაეღიმნა.

მართლაც, სესილს ღიმილი მოუვიდა და თავისუფლადაც სუნთქვა დაიწყო, აღარ ისმოდა უბედურების მომასწავებელი ხრიალი.

– უკედა ხარ, სესილ? – ჰკითხა მამამ.

ყველას ეჩვენა, რომ ის ბნელი ოთახი განათლდაო, როცა სესილმა სუსტის ხმით უპასუხა:

– დიად, მამავ, დიად, უკედა ვარ, უკედ. დიდხანს მეძინა, ბედნიერი ვარ, რომ კიდევ გხედავთ. უჰ, რა მძიმე ძილი იყო... ყელი მიშრება, წყალი მწყურიან, დედი!

ადელმა კანკალით მიაწოდა ჭიქა წყალი და წამოუწია თავი. უნდა ეკოცნა და ვერ გაჰბედა.

სესილი სრულეებით გამოზრუნდა. შიში აღარაფერისა იყო.

იმედმა კვლავ ჩამოაგდო ამ სახლში სიხარული. უბედურება ისე ახლო იყო, რომ ესეთი სწრაფი მოხედვა ავადმყოფისა არც კი სჯეროდათ. ავადმყოფს დიდის სიფრთხილით თავს დასტრიალებდნენ და ადელი ნებას არ აძლევდა არავის, ხმა გაეცა სესილისათვის. ამელის სული მისდიოდა სესილთან ლაპარაკისათვის, უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ დედისა ერიდებოდა.

მეექვსე დღეს სესილი სულ კარგად შეიქმნა. იმოდონად მოჯობინდა, რომ ოთახში სიარული შეეძლო დედის შემწეობით. ადელს შიში სრულეებით გაუქრა, ასე რომ ზოგჯერ მოშორდებოდა ხოლმე კიდეც თავის ქალსა და მოახლის ანაბარად სტოვებდა. სესილმა ერთხელ ჰკითხა მოახლეს:

– ამელი ქვევით არის?

– დიად, ბატონო, იქ გახლავთ. ძალიან შეწუხებულია.

– უთხარით, ისე კი, რომ დედამ არ გაგიგოთ, აქ ამოვიდეს ერთს წუთს.

მოახლე ჩუმად ჩაიპარა კიბეზედ და ამელის ანიშნა, სესილი გეძახისო. ამელი მაშინვე ამოვიდა სესილთან. სესილმა ხელი ჩამოართვა და ჰკითხა:

– რაო, ამელი, რას იტყვი ახალს? მორისისა რა იცი?

თუმცა ამელი სცდილობდა ცრემლი შეეკავა, მაგრამ ვერ შესძლო; თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა, დაეცა მუხლებზედ სესილის წინ, სესილის ხელი მიიფარა სახეზედ და ჰკვითინებდა. სესილი მწუხარებით დაჰყურებდა საცოდავსა, ბოლოს ხელი მოაცილა და უთხრა:

– რა მოჰხდა განა? მითხარი. მორისი კიდეც დაჭერილია?

– დღეს არჩევნ იმის საქმეს და მძიმე საბუთები აქვთ მის გასამტყუნებლად. მე სასამართლოში შიშით ვერ წავსულვარ. საწყალს ჩემს ძმას ვერ უთქვამს, როგორ გაატარა ოცს ივნისს ღამე. მე ვუთხარი იქ, რომ დილით ჩემი ძმა ცოცხალ-მკვდარი ვნახე-მეთქი, თავი მოეწამლა შენი გულისათვის-მეთქი. მაგრამ ორმა მოწამემ კი აჩვენა, რომ შუადამის ორს საათზედ, ქალის მოკვლის დღეს, გარეთი კარი და მორისის ოთახის კარი გაიღო.

სესილი წამოდგა და დააპირა ტანთ ჩაცმა.

– ჩქარა, ჩქარა, – სთქვა სესილმა, – გაგზავნე, ეტლი მოაყვანინე, მომეცი შალი და ძირს ჩამიყვანეთ. სასამართლოში უნდა წავიდე, მე იქ ვუამბობ, როგორ და სად გაატარა ღამე ოცს ივნისს მორისმა.

ამელი განცვიფრებული, გაფითრებული იდგა ისევ დაჩოქილი და თავის ყურებს არ უჯერებდა... შეჰშინდა, რომ მორისის ხსენებაზედ ისევ ხომ არ მოუზრუნდა ანთებაო.

– ამელი, ჩქარა, ეტლი მოაყვანინე, შალი მომეც, უთხარი, ძირს ჩამიყვანონ... მე შევატყობინებ, როგორც გაატარა ის ღამე მორისმა. ის ღამე ჩვენის ქორწინების ღამე იყო და იმ დღიდან მე მორისის ცოლი ვარ, გესმის? აი, ჰნახე, იმისი ბეჭედი მაქვს ხელზედ.

რადგანაც ყველას ეგონა, რომ ბეჭედი, რომელიც სესილს ხელზედ ჰქონდა, გუდარის ჯვარისწერის ბეჭედი, ამიტომაც ამელიმ იფიქრა, რომ სესილი

ბოდვაშია, და ნანობდა, რად ვახსენე მორისიო. იქნება ამითი სესილი ხელახლად ავად გახდესო. იქნება თანაც გადიყოლიოს ავადმყოფობამა და მეგობარი ქალიც დავეკარგო და ძმაც ველარ გადავარჩინოვო. ეშინოდა, რომ საცაა ტიუსსოს ცოლი ამოვა და მისაყვედურებსო. სცდილობდა დაედინჯებინა სესილი, რადგანაც სესილი ძალიან აღელვებული იყო.

– დღეს ველარ მივუსწრობთ გასამართლებას, აქამდინ გათავებული იქნება, – უთხრა ამელიმ.

– ხომ რამდენიმე დღე მოუნდებიან? – იკითხა სესილმა.

– რასაკვირველია; დღეს, დიდი საქმეა, რომ მართო მოწმეების გამოკითხვას მორჩნენ.

– მაშ ჩვენ ხვალ წავიდეთ, – უთხრა სესილმა, – ხვალ უფრო უკედ ვიქნები. მე სამართალი მიბარებდა მოწმად... მე ეგ მახსოვს, მე მესმოდა, როცა ჰლაპარაკობდით ჩემს დაბარებაზედ, მაშინ ძალიან ავად ვიყავ და ვხედავდი, შენ რომ სტიროდი.

ამელი გაოცდა, ვერ გაეგო, რას ჰნიშნავდა ბოდვა, ეგრე უეცრად შემწყდარი. სესილი მიუხვდა გაოცებას, ჩაჯდა, მოიზიდა თავისკენ ამელი, მოეხვია და უთხრა:

– შენა გგონია, ჩემო ამელივ, რომ მე ბოდვაში ვარ? არა, ჩემო კარგო. მე არა მიჭირს რა, ძალიან კარგადა ვარ, ოღონდ სისუსტე მაქვს... ერთი ყური დამიგდე, ჩემო საყვარელო, შენ მგონია ეჭვითა ხარ შენს ძმაზედ.

ამელიმ თავი ჩალუნა და იტირა.

– თავი მაღლა აიღე, ამელივ, ერთი შემომხედე და!.. შენი ძმა პატიოსანი კაცია, თავი გაიწირა ჩემის გულისათვის. ხოლო ეხლა მე აღარაფერს არ უნდა მოვერიდო. მე ფიცი ჩამოვართვი შენს ძმას, არ გამცე-მეთქი ჩვენის შვილის გულისათვის... საცოდავი ბაშვი ეხლა მკვდარია...

ამელიმ ხელახლად შეჰხვდა სესილს და იფიქრა: ბოდვა ხელმეორედ მოუბრუნდაო. სესილმა შეამცნია, რომ ამელი კანკალმა აიტანა, მოეხვია და უთხრა:

– ნუ გეშინიან, მე არა ვბოდავ. მე მართალს გეუბნები. შენ ჩემი და ხარ და მორისი ჩემი ნამდვილი ქმარია... ოცს ივნისის ღამეს ჩვენ თავები მოვიწამლეთ... დილის სამს საათზედ მორისს თავი დავანებე, წყალში მინდოდა თავი დამერჩო, რადგანაც მორისი მკვდარი მეგონა. ჩემი შვილი მორისისაგან იყო...

ამელი გაოცდა, თავის ყურებს არ უჯერებდა. ამ სახით ყველა ცხადი იყო; აღარაფერი ეჭვი არა ჰრჩებოდა, სესილის ნათქვამი შეწამების კვანძსა ჰხსნიდა. მისი ძმა არამც თუ ჰმართლდებოდა, არამედ პატიოსნებით იმოსებოდა, რადგანაც დიდსულოვნობით სასიკვდილოდ თავსა სდებდა, ოღონდ სირცხვილისაგან ქალი დაეხსნა. ამელი გადაეხვია სესილს, ატირდა, მაგრამ ეხლანდელი ცრემლი სიხარულისა და ნუგეშისა იყო და უთხრა:

– მართალია, მართალი, შენ ჩემი და ხარ. ოხ, სესილ, რარიგად მიყვარხარ!

როცა სესილმა თავი გაიწირა, რომ გადაარჩინოს მამა, მორისის მაგიერ ჯავრი ამოიყაროს, და შეირთო გუდარი იმ განზრახვით, რომ ისე დაამწაროს სიცოცხლე, როგორც ის სხვას ამწარებდა, მაშინ საჭირო იყო გარეგანი მართებულება დაეცვა, საჭირო იყო ქვეყნის პატივი არ დაჰკარგოდა და ოჯახი

დაედგინა. ქმარს, მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა დაჰმორჩილებოდა თავის ბედს და საიდუმლოდ შეენახა ის ამბავი, რომელიც მას ქვეყნის სასაცილოდ ხდიდა. მაშინ სესილს მარტო თავისი შვილის ფიქრი და დარდი ჰქონდა. რაკი შეიტყო, რომ მორისი ცოცხალია, გული მოუკვდა, ეს რა ვქენი, სხვა რად შევირთეო. რაღა ეშველებოდა? რადგანაც ეხლა შვილის ყოლას მოელოდა, სესილმა ყოველივე თავისი მზრუნველობა მასზედ მიაქცია; უნდოდა, პატიოსანი სახელი და გაუჭირვებელი ცხოვრება მიენიჭებინა თავის შვილისათვის, ამიტომაც აიღო და ის ბარათი მისწერა მორისს, რომელიც იზამ გადასხვაფერა და რომელიც ყველაზე მძიმე საბუთად წარუყენეს პირში საცოდავს მორისს.

ეხლა კი სხვა იყო, ეხლა ქმარს თავი დაანება, განქორწინება მოჰხდა ცოლ-ქმართა შუა. თუმცა სამართალმა სესილი სრულიად გაამართლა, მაგრამ ცოტა არ იყოს ცუდი ზედმოქმედება იქონია საზოგადოებაზედ. საზოგადოება ყოველთვის ცუდის თვალის უყურებს ხოლმე ცოლ-ქმართა განქორწინებასა: ქორწინება სიკვდილამდე დაურღვეველია, არასდროს არ უნდა გაუქმდეს, რაც უნდა ვაივაგლახი გამოიარონ ცოლ-ქმარმაო. სჯობს, კაცმა თვალი დახუჭოს ცოლისა თუ ქმრის საქციელზედ და ნუ მოშორდებიან კი ერთმანეთსაო. როგორც გინდათ მოიქეცით, ოღონდ კი ერთად იყავით ოჯახისა და შვილების გულისათვისაო... პატიოსანს ქალს, თუნდაც ავაზაკს და ბილწს ქმარს გამოჰქცეოდეს, არვინ სახლში არ უშვებს. რაღა? იქნება შეეზიზღა ბილწ კაცთან ყოფნა, იქნება მოერიდა გარყვნილებასა და ზოგჯერ ავაზაკობასაც, მაგრამ ვინ არის გამკითხველი? ყველა ამას იმახის: “ქმარს თავი დაანებაო”. პირიქით, თუ ქალი, რაც უნდა ცუდი ყოფაქცევისა იყოს, ქმართან არის, მაშინ იმისი ავზნეობა, თუნდა მთელმა ქვეყანამ იცოდეს, არავის აინუნშიაც არ მოსდის, მაინც კიდევ ყველგან კარი ღია აქვს, ყველა მაინც კიდევ პატივით და ალერსით მიიღებს ხოლმე. სესილმა იცოდა ეს ამბავი. სესილი შვილს მოელოდა და თავის შვილის სახელის გულისათვის განიზრახა ისე მოქცეულიყო, როგორც მისწერა მორისსა. როცა საზიზღარმა მოქმედებამ გუდარისამ დღენაკლები მშობიარება მოუსწრაფა, ავად გაჰხადა და შვილიც მკვდარი აყოლა, მაშინ სესილის გული აღივსო უფრო მეტის მძულვარებით და მტრობით გუდარის მიმართ. შვილი აღარა ჰყვანდა და რაღა დააბრკოლებდა? ეხლა იმისათვის სულ ერთი იყო, ქვეყანას რაც უნდა ეთქვა, აღარაფრის შიში და რიდი აღარა ჰქონდა. აქამდინაც ავადმყოფობამ დააბრკოლა, თორემ წავიდოდა და ყველაფერს გამოაცხადებდა და, რაკი მაინც ცოტად მოჯობინდა, განიზრახა: უსათუოდ წავალ, ყველაფერს ვაღიარებ და დავიხსნი მორისსაო.

ამელი და სესილი დიდხანს ჰლაპარაკობდნენ. სესილმა უამბო ოცის ივნისის ღამის ამბავი დაწვრილებით და, როცა გაათავა, უთხრა ამელის:

– ეხლავ გაიქეც ვექილთან. საჭიროა, რომ ხვალვე სასამართლოში ჩვენება ჩამომართვან. ყველაფერი, რაც ჩემგან შეიტყე დღეს, თავიდან ბოლომდე უამბე.

თვალის დახამხამების უმაღლესი ამელი მზად იყო წასასვლელად, ხოლო ამ დროს ადელიც შემოვიდა. რა დაინახა დედამ, რომ სესილს თვალეები აჰპრიალებია და გაფითრებული ლოყები შეჰფიცხებია, შეშინდა და დაიძახა:

– ვუიმე, ამელის უწყენინებია რაღაც, – უსათუოდ მორისზედ გეტყოდა რასმეს. ეჰ, შვილო, რა გაუფრთხილებელი რამა ხარ! შენ ისევ ცუდად შეჰქმნილხარ.

– არა, დედი, – უთხრა სესილმა ღიმილითა, – პირიქით, ძალიან კარგადა ვარ და ხვალ გარედ გასვლას ვაპირებ.

– რას ამბობ, რას? – შეჰბღავლა დედამ.

– დედიჯან, დღეს მორისის საქმეს არჩევენ. სწამებენ, რომ ოცს ივნისის ღამეს ქალი მოჰკალიო, და მორისს არ უნდა თქმა მისი, თუ სად გაატარა ის ღამე. ხომ უსიკვდილოდ ვერ გადურჩება მაგისტანა ბრალსა.

– ახლა შენ რას უშველი მითამ, ჩემო კარგო?

– როგორ თუ რას ვუშველი? იმისი დახსნა ჩემს ხელთ არის. ოცს ივნისს ღამე ჩვენ ერთად გავატარეთ.

– ვუი შენს დედას, შვილო! შენი შინიდან გასვლა და შენი სიკვდილი ერთი იქნება.

– შესაძლოა, მაგრამ მორისს ხომ გადავარჩენ.

ადელმა გულამოჯდომით ტირილი ამოუშვა, რაკი თვალწინ წამოუდგა ის ხიფათი, რომელსაც მისი ქალი ეგრე გაუფრთხილებლად ეძლეოდა.

ამელი სესილის თხოვნისამებრ მაშინვე ვექილთან გაიქცა; მაგრამ შინ ვეღარ მიასწრო, გასულიყო. მერე პალიართან გაიქცა და პალიარმა კიდევ გიურესთან მიიყვანა. გიურემ დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ და შემდეგ, რაც მოჰხდა სასამართლოში, ხომ სულ ვიციო.

VII

ყუთი იზასი

საათმა ექვსი დაჰკრა თუ არა, შადი, პალიარი და ამელი მივიდნენ და კარის ზარი დაუწკარუნეს გიურეს. გიურემ მაშინვე გაუღო კარი.

– თქვენა ბძანდებით? – წარმოსთქვა გიურემ და თავის სტუმრებს ხელი ჩამოართვა, – ახალი ხომ არა შეგიტყვიათ რა?

– შევიტყეთ და ძალიან კარგი ამბავიცა, – უთხრა შადიმ.

– დაბძანდით, – უთხრა გიურემ, – და მოვილაპარაკოთ.

– ბატონო გიურე, – სთქვა პალიარმა, – ერთმა დიდმა ამბავმა მოგვიყვანა თქვენთან. სესილი უკედ არის. გუშინ დიდხანს ელაპარაკნა ამელისთან და ეთხოვნა – მორისის ვექილი ჰნახეო. ამელი წასულიყო და შინ ვერ ენახა; ეხლა ჩვენ გათენებისვე უმაღლეს თქვენთან მოვედით, რომ რჩევა გკითხოთ და დარიგება მოგვცეთ.

– საქმე რაშია? – ჰკითხა გიურემ სწრაფად.

– თვითონ ამელი გაიმბობთ და ჩვენ კი ვექილთან წავალთ, იქნება შინ მოვახელოთ როგორმე, მინამ სასამართლოში წავა.

– ვერ მოახელებთ. ვექილი მორისისა კვირაში სამჯერ სენ-ჟერმენში დადის. ეხლაც იქ არის და იქიდან პირდაპირ სასამართლოში მივა. ნუ აჩქარდებით, გულდაწყნარებით მოვისმინოთ ის ამბავი, რომელიც ამელიმ უნდა გვიამბოს.

ამელიმ სესილის ნათქვამი ყველაფერი დაწვრილებით უამბო. გიურეს არ გაუკვირდა, თუმცა ძალიან კი გაუხარდა.

– მე ვიცოდი, რომ ეგრე უნდა ყოფილიყო! – დაიძახა გიურემ, – მორისს არაფერი ბრალი აქვს! ეს ამბავი სულ სხვა კაცის საქმეა, აი იმისი, ჩვენ რომ ვიცით. საჭიროა ხელახლად მისი დაჭერა.

– ჯერ ჩემი ძმა გამოიხსენით, – შეევედრა ამელი.

– გამოვიხსენით, სხვას რომ დავიჭერთ.

– ეხლა ჩვენ რას გვირჩევთ? – ჰკითხა ამელიმ.

– თქმა აღარ უნდა, რომ მორისს უნდა მიეშველოთ და მე კი ნამდვილის დამნაშავეს დაჭერას შევუდგები. – უთხრა გიურემ, – მაგრამ აბა როგორ მიეშველებით? ვექილს მარტო სასამართლოს დარბაზში ჰნახავთ... მოდით, ბარათი მივწეროთ თავმჯდომარესა.

– მეც მაგას ვფიქრობდი, – სთქვა პალიარმა, – და თქვენთვის უნდა მეკითხნა, რა მივწეროთ-მეთქი. ამელი სცდილობდა ენახა თავმჯდომარე, მაგრამ უარი უთხრეს.

– საკვირველიც არ არის, – სთქვა გიურემ, – როცა საქმე გარჩევაშია, მაშინ ყველა ნათესავეები დამნაშავესა თავს აბეზრებენ ხოლმე ხვეწნითა და თხოვნითა. რა თქმა უნდა, რომ თავმჯდომარე მოვალეა დამნაშავეს ნათესავეებს ერიდებოდეს ხოლმე, თორემ ბევრი ბოროტება წარმოსდგება მართლმსაჯულებისათვის.

– მაშ მაგ საბუთით, რომელიც მართლა რომ პატივსადებია, თქვენ არ გვირჩევთ ბარათის მიწერასა?

– რატომ! ოღონდ კი ბარათი პირდაპირ სასამართლოში მიუტანონ და იქ მისცენ თავმჯდომარეს, სურს საქვეყნოდ წააკითხვიან იმ ბარათს, სურს უყურადღებოდ დასტოვებს.

– მაშ შეუძლიან არ წაიკითხოს... ეგ ცუდი ამბავია.

– შეუძლიან, მაგრამ არა მგონია ეგა ჰქმნას. სასამართლოს საგანი ჭეშმარიტების აღმოჩენაა და თქვენი ბარათი ჭეშმარიტების აღმოჩენას ხელს შეუწყობს. ამასთანაც თავმჯდომარე მიუდგომელი და მტკიცე გულის კაცია; ამიტომაც ჩვენს ბატონებს არ უყვართ. გამომძიებელიც რომ მაგისთანა კაცი ყოფილიყო, ჩვენი საქმე უეჭველად კარგად იქმნებოდა.

– ამ საქმეში ყველანი როგორღაც უცნაურად იქცევიან, თითქო გონება დაუკარგავთო. ვშიშობ, რომ ვაი თუ თქვენს ბარათს ათასნაირი ფათერაკი დახვდეს და ადგილამდე ვეღარ მიაღწიოს. ჩემის ფიქრით, სჯობია ბარათი არ მივწეროთ.

– სხვა საქმე რომ იყოს, უსათუოდ გირჩევდით ბარათის მიწერას, ხოლო ამ საქმეში ამდენი იდუმალი ხვანჭია, ამდენი მოულოდნელი ფათერაკია, რომ, მინდა თუ არა, თქვენს აზრს უნდა დავეთანხმო. სხვა ღონეც შეიძლება მოვიხმაროთ და თუმცა უფრო ძლიერ იმოქმედებს მაყურებლებზე და მსაჯულებზე, მაგრამ მეტისმეტი გამოვა...

– აბა რა ღონეა? – ჰკითხეს ამელიმ და პალიარმა ერთის ხმით.

შადიმაც ყურები აცქვიტა რაკი გაიგო, მეტისმეტი იქნებო, იფიქრა, უსათუოდ საჭირო იქნება ერთი აყალმაყალი ავტეხით და აყალმაყალის ატეხა ხომ ჩემი საქმეა, უსათუოდ ჩემი დახმარება დასჭირდებათო.

– სწორედ, ეს უფრო უკეთესი იქმნება, – სთქვა გიურემ, – ჩვენ ძირს გამოვუთხრით ბრალდებასა და სამართალი იძულებული იქმნება ახალი გამოძიება დანიშნოს. მეც ეგ მინდა. სხვაფრივ ვერა გავაწყობთ. ამ საქმეში როგორღაც ნაწვეტ-ნაწვეტი ამბებია, რაღაც ქაღალდებია დაკარგული. ადვილად საფიქრებელია, რომ სამართალმა, თქვენს ბარათს რომ მიიღებს, საჭიროდ არ დაინახოს ახალის მოწმის გამოკითხვა.

– ეგ ხომ მეტად დიდი უსამართლობა იქნება! – დაიძახა შადიმ.

– მითამ რაღაო? ახალი მოწამე ვინ არის? ავადმყოფი ქალი... გთხოვთ, ნუ მიწყენთ, რასაც ვიტყვი. მე ვიცი, რომ სესილი პატიოსნებით სავსე ქალია, ხოლო მოსამართლემ მაგისი არა იცის რა. იგი სჯის მარტო მით, რასაც საბუთი იტყვის. აბა იფიქრეთ, რა ფასი ექმნება მოსამართლეების თვალში იმ ქალის ჩვენებას, რომელიც დედ-მამის სახლიდამ გაქცეულა, მამის მოჯამაგირესთან მისულა, რომელსაც, რაკი უნახავს, რომ სურვილი არ უსრულდება, თავი სასიკვდილოდ გადუდვია და რომელიც გათხოვების უმალ ქმარს გაჰყვია... აბა თქვენვე სთქვით, რა ფასი ექმნება ამისთანა ქალის ჩვენებას!... ნუ დაივიწყებთ ამასაც, რომ ავადმყოფობის გამო გამოძიებაში არ გამოცხადდა, ეხლა კი ისევ ის ავადმყოფი მოდის და ამბობს, რომ, როცა ქალი მოჰკლეს, იმ დამეს მე ჩემს საყვარელთან ვიყავი, ქმარი მყვანდა, მაგრამ მე მის ცოლად თავის დღეში არა ვყოფილვარ, შვილი ჩემის ქმრისა კი არ იყო, ჩემის საყვარლისა იყოვო. ვინ არ იფიქრებს, რომ მოსულა და თავის საყვარლის გამოხსნა და გამართლება უნდაო. მაგ სიტყვებში მსაჯულები მარტო ურცხვობას დაინახვენ და იტყვიან: უსათუოდ ჰკვიდამ შემცდარია ეს ვიღაც არისო და მის სიტყვებს ყურადღების ღირსად არ გაჰხდინან.

– ეგ ხომ გადამეტებული უსამართლობა იქნება!

– მე ხომ არ ვამტკიცებ, რომ უსათუოდ ესე მოჰხდება-მეთქი, მე მარტო იმას ვამბობ, რომ შეიძლება ესეც მოჰხდეს-მეთქი. ადვილად საფიქრებელიც არის.

– მაშინ რაღა გვეშველება? – ჰკითხა მოუთმენლად ამელიმ.

– აი რა: საქმის გარჩევას დაიწყებენ ათს საათზედ. თქვენ თერთმეტზედ სესილი სასამართლოში მოიყვანეთ. მე ბარათს მოგცემთ და შეგიშვებენ. თქვენ ბოქაული იკითხეთ, ჩემი კარგი ნაცნობია და ჩემი ბარათი აჩვენეთ. ის წავა და მორისის ვეჟილს შეატყობინებს სესილის მოსვლას!.. დარწმუნებული კი ხართ, რომ სესილს იქ მისვლა შეუძლიან?...

– თუ საჭირო იქნება, ხელში ავიყვან და ისე მივიყვან სასამართლოში, – სთქვა შადიმ.

გიურემ დაწვრილებით დაარიგა, როგორც უნდა მოიქცნენ.

– თქვენ რომ მაგ ამბავში იქმნებით, არც მე დავიკრებ გულზედ ხელებსა, – დაასრულა სიტყვა გიურემ.

გიურეს სტუმრები სესილთან წავიდნენ. გიურემ რომ გააცილა, დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა და დიდხანს ჰფიქრობდა, ბოლოს ხმამაღლა სთქვა:

– დღესვე უნდა დავიჭირო ის ქალბატონი... მერე იმ კაცს დავუწყებ ძებნას.

ეს რომ გადაწყვიტა, მაშინვე წავიდა გამომძიებელთან, ესე იგი ოსკარ ვერშემონთან, მაგრამ შინ არ დაჰხვდა და მოსამსახურემ, რომელიც გიურეს კარგად

იცნობდა, სიცილით უთხრა, რომ ახალგაზდა გამომძიებელი რამდენიმე ღამეა შინ აღარ მოდისო.

ეწყინა ეს ამბავი გიურეს, რამდენიმე ხანი ეხეტიალა ქუჩებში და მერე თერთმეტს საათზედ სასამართლოში წავიდა. ვერშემონივ პატარა ხანს უკან იქ მოვიდა. გიურემ უთხრა, სალაპარაკო რამა მაქვსო, მაგრამ ვერშემონმა სიტყვა მოუჭრა, თითქო ეწყინაო:

– თქვენ სწორედ ატაცებულსავითა ხართ, – უთხრა გიურეს, – მაგ საქმემ ტვინი შეგირყიათ მგონი... მე ავი გითხარით, რომ მაგ საქმის გამოძიება გათავდამეთქი. დღეს გარჩევაც გათავდება და ის სადაგელი ღირსეულს სასჯელს მიიღებს...

– ბატონო, დამნაშავე რომ არ არის? მე ცხადი საბუთები მაქვს.

– მე თქვენი უჯიათობა არ მესმის. თითქო ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე და გსურთ, როგორმე გააბათ.

– უკაცრავად კი არ ვიყო და მეც ეგ მომდის თავში ფიქრად... მეცა მგონია, რომ ამ საქმეში ვილასაც ხელს აფარებენ და მტლად უდებენ იმ საცოდავს, რომელსაც დღეს ასამართლებენ.

– მაგითი რის თქმა გინდათ?

– ყველაზე უწინარეს ის, რომ თქვენ მოვალე ხართ ჩემი სიტყვა მოისმინოთ.

– მე მაგაზედ უარს გეუბნებით და განგიმეორებთ ჩემს ბრძანებას, რომ თქვენ სხვა თქვენი საქმეები აწარმოვოთ და მაგას თავი დაანებოთ, – უთხრა ვერშემონმა. გიურე გამოეთხოვა, გააღო კარები და, რომ გადიოდა, სთქვა:

– მე თავად ვიცი, რაც უნდა ვქმნა. ისიც ვიცი, რომ სამსახურიდამ გამომავლებენ, მაგრამ მაინც კიდევ ჩემს თანამდებობას არ ვულალატებ და ჩემს მოვალეობას ავასრულებ.

გამოვიდა და ვერშემონი გაოცებული დარჩა. ოსკარს ვერ გაეგო, ეს უჯიათობა და დაჟინება რას ჰნიშნავდა. ბეჯითად დაჯერებული იყო, რომ მორისია დამნაშავე. იზაც, თავის მხრით, კვერსა სცემდა, მართალი ხარო. ბოლოს, იფიქრა: უსათუოდ გიურეს ბოიეს მტრობით მოსდის და უნდა იმას სახელი და აბრუ გაუტეხოს და თვითონ თავი გამოიჩინოსო.

ოსკარს გული სრულებით დაუწყნარდა მას აქეთ, რაც გრიგორი გოლესკო განათავისუფლა. თვითონ სტკბებოდა ქალის სიყვარულითა, რომელიც ღმერთად მიაჩნდა და სხვას არას დასდევდა. მარტო იმისი ეშინოდა, ვაი თუ სხვა ახალი გამოძიება თავზედ მომახვიონო.

გიურეს სიტყვები ვერშემონს ძალიან ეწყინა. უსათუოდ ჩემი წყენა უნდოდა, თორემ იმისთანაებს არ მეტყოდაო. მაგრამ რადგანაც თავისი საკუთარი საქმე უფრო იზიდავდა მის გულსა და გონებასა, მალე გადაივიწყა გიურეს ნათქვამი. სასამართლოს დარბაზში შესვლა არ ინდომა, თავის ოთახში შევიდა და ჩაფიქრდა. ფიქრში რომ იყო, ერთი ნაცნობი შემოვიდა.

– საქმის გარჩევაში არ დაესწარით და არც გაიგეთ, რა ამბავი მოჰხდა? – ჰკითხა მან.

– რა მოჰხდა?

ნაცნობმა უამბო სესილის ნაამბობი და გამოძიების ხელახლად დანიშვნა. ადვილად გამოსაცნობია, რარიგად იმოქმედა ახალგაზდა გამომძიებელზედ ამ

ამბავმა. სჩანს, გიურე მართალი ყოფილაო. ჩემზედ რას იფიქრებენ ჩემი უფროსები, როცა შეიტყობენ, რომ გიურეს სიტყვაც არ მოვუსმინეო. ამღვრეული, გულნაკლული ვერშემონი წამოვიდა სასამართლოდამ.

ამასობაში გიურეც თავისას არ იშლიდა. ხან ერთს ოთახში შევიდოდა, ხან მეორეში და, ვისაც კი შეჭხვდებოდა, ეფიცებოდა, ამტკიცებდა მორისის უბრალოებას, მაგრამ ვერაფერს გაჰხდა. ბოლოს უფროსს ბრალმდებელთან მივიდა. სხვა დროს არც ეს ბატონი ათხოვებდა ყურს გიურეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასამართლოში მოჰხდა სესილის მიზეზითა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია გიურეს ლაპარაკისათვის.

გიურემ ყველაფერი უამბო, რაც კი იზას თაობაზედ შეეტყო. მისის სიტყვით, ლეა მედანის მკვლელი ანდრე გუდარი იყო, მაგრამ ხელთმძღვანელი და მოთავე კი იზა არისო.

– როცა იზას ავეჯეულობას ჰყიდდნენ, მე ვიყიდე ერთი დიდი კალათა, რომელშიაც შამპანური ღვინის ბოთლები იყო. იმ ბოთლებს ორი აკლდა და ეს ამბავი შემოწმებულია იქაურის მოხელესაგან. სწორედ ის ორი ბოთლი აკლდა, რომელიც ლეა მედანის სახლში ეპოვნათ. მე გთხოვთ, ბრძანება მომცეთ და ორის დღის განმავლობაში ნამდვილნი დამნაშავენი ჩვენს ხელთ იქნებიან.

– მაშ კარგი. თქვენ ეხლავ წაბძანდით ელისეის მინდვრების პოლიციის მოხელესთან და ბრძანება გადაეცით სეგლენის ქვრივის დაჭერის თაობაზედ. მერე თვითონ მიდით სეგლენის ქვრივთან და გაფრთხილებით უაყალმაყალოდ დაატუსაღეთ. გუდარის დასაჭერადაც ბრძანებას მოგცემთ.

– საქმის გარემოება ისევ იმავე გამოძიებელს უნდა მოხსენდეს ხოლმე ჩემგან, თუ არა?

– ვერშემონს აღარ შეუძლიან გამოძიების წარმოება... ხვალ შეიტყობთ, ვისაც მიენდობა ახალი გამოძიება.

გიურე სრულიად კმაყოფილი წამოვიდა, რაკი ის ორი ბრძანება მიიღო.

– ძლივს!.. – დაიძახა გიურემ, – მე წინადვე ვიცოდი, რომ საფრანგეთში მართლმსაჯულება მოიძევება კიდევაც.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორც აასრულა გიურემ პირველი ნაწილი მინდობილობისა. იმ დროს, როცა ლამაზი იზა მიიყვანა პოლიციაში, ჩვენი ოსკარ ვერშემონი ღრმად ჩაფიქრებული ნელ-ნელა მიდიოდა ელისეის მინდვრებზედ იმ სახლისაკენ, საცა სტკბებოდა თავის საყვარელთან. იქ მოელოდდა გულის დამშვიდებასა, რადგანაც სინიდისი სტანჯავდა, რომ თავის მოვალეობა ისე ვერ აასრულა, როგორც რიგია. ყოველი, რაც უწინ იზას მეოხებით ნამდვილი და ჭემმარტი ეგონა, ეხლა სულ სხვა გამოვიდა. გამოძიება მიდგომით აწარმოვა, ქალის ტრფიალებას ეყმო და ხელთმძღვანელადაც ქალი გაიხადა. სისუსტე გამოიჩინა, რომ ქალს აჰყვა და თავისი მოვალეობა დაივიწყა.

სესილის ჩვენება ძირს უთხრიდა მთელს შენობას ბრალდებისა, რომელიც ისეთის ოსტატობით მისგან აგებული იყო. ეს კიდევ არაფერი: უფროსების თვალში ან დამნაშავის ამხანაგად უნდა გამოჩენილიყო, ან უნიჭო კაცად. ეს მძიმე საქმე პირველი იყო, რომელიც გამოსაცდელად მიენდო თავმჯდომარის თხოვნით და შემწეობით. მაგ საქმეზედ დამოკიდებული იყო მისი სახელი, თავის გამოჩენა და

სამსახურში დაწინაურება. ეხლა კი მაგ საქმის გამო დამცირების მეტი არა მოელოდდა რა. სულ ცოტა რომ ვთქვათ, ეხლა უკან დამაყენებენ, უკან დამწევენ და იქნება სამსახურიდამაც გადამაყენონო. ის არა სჯობია, რომ მე თვითონვე დავასწრო და სამსახურიდამ გამოვიდეო?

ჯერ უწინ პატივმოყვარეობა იტაცებდა ამის სულსა და გულსა, ეხლა კი მარტო იზას სიყვარული-და ამოქმედებდა. მითამ რა? გამოვა სამსახურიდამ და უფრო ბედნიერიც იქნება, რადგანაც არაფერი არ დაუშლის ნეტარებით იცხოვროს საყვარელ ქალთან. ეხლა წავალ, ვეტყვი სამსახური აღარ მინდა-მეთქი და ვიცხოვრებ მარტო იზას სიყვარულით. პარიზიდან ორივე ერთად წავალთ სხვაგან სადმე, იტალიაში ჯვარს დავიწერთ, მერე ჩემს მამაპაპეულს სოფელში დავბრუნდებით და იქ ერთმანეთის სიყვარულით და ტრფიალებით ვიცხოვრებთ, როგორც სამოთხეშიო.

რამდენადაც მიუახლოვდა იმ სახლს, საცა საყვარელი ქალი ეგულებოდა, იმოდენად უფრო სამაცდუროდ ეხატებოდა თვალწინ ის ბედნიერი ცხოვრება ცოლთან, რომელსაც შეუწუხებლად ანაცვალა თავისი პატივმოყვარეობა.

შესავალის კარის გასაღები თავისი ჰქონდა და ყოველთვის ჯიბეში ატარებდა. იმით გაალო კარი და ისე წყნარად შევიდა, რომ არავის გაუგია. შევიდა სასტუმრო ოთახში და, რომ იზა იქ არ დაუხვდა, იფიქრა, უთუოდ გვიან არისო და საათი გასინჯა. ეგონა, რომ იზას ლოდინით გული გადალევია და სასადილო ოთახში შესულა. მაგრამ, როცა იქაც ვერ იპოვა იზა, შესწუხდა და მოსამსახურე იხმო; შემოვიდა მოახლე.

– გრაფინია სადა ბძანდება?

– ეხლახანს დაატუსადეს, – უპასუხა მოახლემ.

– რას ამბობთ! – დაიძახა გაოცებით ვერშემომნა, ეგონა, მოახლე ჭკუიდან შეშლილაო.

– გრაფინია სასამართლოში წაბძანდა, – უთხრა მოახლემ, – ჩვენ აქ მოველოდდით, დაბრუნდებო, მაგრამ მის მაგიერ პოლიციის მოხელე მოვიდა სამის კაცითა და ქალბატონი იკითხა. მე ვუპასუხე, რომ დილას აქეთია გრაფინია სასამართლოშია და საცაა მობძანდება-მეთქი. მოხელემ მიბრძანა – აქედამ ფეხი არ მოიცვალოვო. არ უნდოდა, რომ პოლიციის მოსვლა შემეტყობინებინა ვისთვისმე. როცა ქალბატონი მობძანდა, ჯერ ეტლიდან ფეხი არ გადმოედგა, რომ მოხელემ ბრძანება აჩვენა, უნდა დაგატუსადოთო. მე ვერ ვინახულე ქალბატონი, უკან ეტლის კუთხეში მიჯდა, მოხელენიც გვერდთ მოუსხდნენ; მე კი მითხრეს, თუ გრაფინიას პატივისცემა გაქვს, ნურავის ნუ შეატყობინებ, ეხლავ დავბრუნდებითო. მე ელდა მეცა, შევვარდი ჩემს ოთახში და იქ ვიჯექ მარტო, მინამ თქვენ დაიძახებდით. მეგონა პოლიციელები დაბრუნდნენ-მეთქი და მეც თქვენს ძახილზედ მაშინვე გამოვიქეც.

მოახლის ნაამბობმა თავზარი დასცა ვერშემონსა. ფერი ეცვალა, ტუჩები დაეღმიჭა. ამაოდ ეკითხებოდა თავის თავს, რას მოასწავებს იზას დაჭერა, მაგრამ პასუხი ვერ მიეცა. ნეტა ვისი ბრძანებით დაიჭირეს იზაო? რა ბრალსა სწამებენ? მე ხომ არა ვარ მიზეზი? მაგრამ ან მე რა მიქნია იმისთანა? შევცდი, სხვა ხომ არაფერი. ვაი თუ ბრალმდებელმა პასუხისგებაში მიმცეს მაგ შეცდომისათვის? დამნაშავეის

ამხანაგობას ხომ არა მწამებენ? ხომ არ ჰგონიათ, რომ მიდგომით განვითავისუფლე გიორგი გოლესკო, ანდრე გუდარად რომ იხსენიებოდა? რა ვქნა, როგორც საქმე მახსოვს, მე ამ შემთხვევაში გონიერებით და სიმართლით მოვიქეციო. ეს ხომ ასეა, მაგრამ ცხადი კია, რომ იზა ჩემის მიზეზით არის ამ ყოფაში ჩავარდნილი. იზა წმიდაა, პატიოსანი ქალია. მე კი ამისთანა დღე დავაყენე. მაგრამ რითა და როგორ, ვერ გამიგიაო.

ხან რა სულელური აზრი მოსდიოდა თავში, ხან რა. გვიან რომ არა ყოფილიყო, ეხლავ გაიქცეოდა უფროსს ბრალმდებელთან საკითხავად... ყველა-ყველა და, დახმარება უნდაო. როგორ? იზამ, იმ ნარნარმა და ნაზმა ქალმა, მთელი დამე საპატიმროს დახშულს და მყრალს ოთახში უნდა გაატაროსო! მერე ჩემის მიზეზითაო! ამას რომ ჰფიქრობდა, ცივს ოფლს ასხამდა. მისი ყოფა საშინელი რამ იყო. სწორედ მიწასთან გასწორდა, გაშრა, მოიშალა. ჰგრძნობდა, რომ ამ წუთს არავითარი ღონისძიება არა აქვს, როგორმე მიემშველოს, და ეს უფრო ცეცხლს უკიდებდა და ათახსირებდა. ვაი, ვაი, მე ვარ, მე ვარ იმის წვალეების მიზეზით! – იმახდა საწყალი გამომძიებელი და თავში იცემდა.

პოლიციელები, უეჭველია, ჩემს დასაჭერადაც მოვლენო. ჰფიქრობდა ვერშემონი. მაგრამ ამ საგანს ყურადღებას არ აძლევდა... რას ვაქნევ თავისუფლებასა. თუ იზა იმ ყოფაში მეყოლება და იმას იქიდან არ დავიხსნიო. მაგრამ რა გზითა? სჯობს მოვუცადო პოლიციელებს, ვნახოთ, რა გამოვა. უეჭველია, ქალადი ექნებათ იზას დაჭერის თაობაზე და იმ ქალადში მიზეზი უსათუოდ მოხსენებულია. შვეტიცობ რასმეს მაინცაო.

თანდათან გული დაუდინჯდა. დიად, პოლიციელების დაბრუნებას უნდა მოვუცადოვო, – სთქვა გარდაწყვეტით ვერშემონმა. ამ ფიქრში რომ იყო, ფეხის ხმაც მოესმა.

– აი მოვიდნენ, – შემოვიდა და მოახსენა მოახლემ, – პოლიციის კამისარი კი აღარ მოჰყოლია და სხვანი კი ისინივე არიან.

ვერშემონმა თვითონ გაულო კარები და გიურე შემოვიდა. ვერშემონმა თვალი შეასწრო თუ არა, გაცოფებით შეჰყვირა:

– თქვენ, თქვენ აქაც მოხვედით?

განჩხლება ვერშემონისა ადვილად გამოსაცნობია. გულდამშვიდებით როგორ უნდა ყოფილიყო მას აქეთ, რაც ამ ერთს დღეს მწუხარება გამოიარა. ჯერ სესილის ჩვენება ქვეყნის სასაცილოდ ჰხდოდა, მერე იზას დატუსაღებამ მოუკიდა ცეცხლი, ახლა ამ გიურეს მოსვლა და ნახვა, იმ გიურესი, რომელმაც უმართებულო ლაპარაკით დილას ისე აწყენინა. აბა მოთმინებიდამ როგორ არ გამოსულიყო?! ჯერ ეგონა, რომ ეს ყველაფერი გიურეს ემმაკობააო. ჯავრის ამოსაყრელად მოაჭორა რამე საწყალს იზაზედაო. იმაზედ უფრო აფთრდებოდა, რომ გიურე მის წინ თავმოწონებით იდგა და თავისი უფროსი აინუნშიაც არ მოსდიოდა. სისხლი თავში აუვარდა ვერშემონს და უფრო და უფრო ხმა აიმაღლა:

– მაშ თქვენა ხართ, მოწყალეო ხელმწიფევი! დღეს დილაზედ ყურიც რომ არ ვათხოვე თქვენს სულელურს ყბედობასა და ეხლა ჯავრს იყრით, განა! თქვენ ჩემი, თქვენის უფროსის, დაბეზლება გაბედეთ, განა! თქვენ უნამუსო ენამტანია ხართ, სახლში უვარდებით თქვენს უფროსს, მის კერძო ცხოვრების გამოძიებაში

შედიხართ, რომ მიზეზი იპოვოთ და თავზედ ლაფი დაასხათ! ჩემდა სამარცხვინოდ რაღაც ჭორები დაუყარეთ ქალს, რომლის სიყვარულის ბედნიერება მე მაქვს... აი შე ურცხვო!... რატომ დილას ხელი არ გამომიწოდეთ და ფული არა მთხოვეთ, რომ ეგ ჭორები თქვენთვისვე შეგენახათ? ვისი ბრძანებით გაბედეთ და აქ შემოხვედით, გრაფინიას სახლში, ჰა? მე ვარ თქვენი უფროსი და მაგისტანა ბრძანება არ მომიცია. მითხარი და, შე ფლიდო და ავაზაკო!

გიურე წინანდელეზრ თავმოწონებული იდგა და ზიზღით შეჰყურებდა თვალეზში ვერშემონსა. ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ, მაგრამ მაინც თავისი დაიჭირა. წელში გამართული, როგორც ომში ჯარისკაცი, იდგა და სცდილობდა არ გამოემჟღავნა ის, რასაც გულში ჰგრძნობდა, თუმცა გული ყელში ჰქონდა მოზჯენილი ჯავრის გამო. სხვა პოლიციელებს უკვირდათ, ამოდენა ლანძღვა როგორ აიტანაო. გიურეს უნდოდა პასუხი მიეცა, მაგრამ ჯავრისაგან ვერ შეძლო.

– სულმდაბალო მამუზდარავ! – განაგრძო ვერშემონმა, – ეხლა პირგამშრალი დგებარ განა ჩემ წინა? ეხლა კარგად იცი, რომ მე ადვილად დავარღვევ იმ აზლაბუდას, რომელიც შენ გაგიბამს პატიოსანის ქალის გასაბმელად. სათქმელი რომ აღარა გაქვს, ხმაც ვერ ამოგიღია, შე უსინდისოვ!

გიურეს უნდოდა ხელდახელ სცემოდა, მაგრამ თავი შეიკავა და საშინელის ხმით შესძახა:

– ბატონო ვერშემონ, აი ჩემი პასუხი: მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

– როცა მე მელაპარაკებით, ვერშემონობით კი არ უნდა მახსენებდეთ, უნდა მითხრათ, ბატონო გამომძიებელო-თქო.

– თქვენ გამომძიებელი აღარა ხართ; დღეს თქვენ გადაყენებული ხართ, როგორც უღირსი, და ხვალ კი, ვინ იცის, იქნება დამნაშავის ამხანაგადაც შეგრიცხონ.

ვერშემონს სირცხვილმა აღიმული მოუკიდა სახეზედ და თავი ჩაღუნა.

– თქვენ თქვენი თავი ჩემი უფროსი გეგონათ, – განაგრძო გიურემ, – და შეურაცხყოფა მომაყენეთ. მე მაგ შეურაცხყოფას უკანვე გიბრუნებთ. მე და თქვენში თქვენ უფრო გეკუთვნით უსინდისობის სახელი, ეგ უფრო მართალი იქნება.

– გიურე... თქვენ მგონი გავიწყდებათ, რომ...

– რაებს ამბობს! მე არა მავიწყდება რა... თქვენ ჩემი უფროსი აღარა ხართ... თქვენ აქ გარეშე კაცი ხართ, კურო აიმ გოგოსი, რომელსაც იზას ეძახიან.

– ხმა გაიწყვიტე, შე უბედურო! – დაიძახა ოსკარმა და დააპირა ეცეს გიურეს.

– თუ ერთს ფეხს წინ წამოსდგამთ, ჩემ ხელქვეითებს ვუბრძანებ, მანდვე გაგაკავონ.

ორივენი ჩაჩუმდნენ. გიურეს ხელქვეითნი იმ სახით მოიმართნენ, რომ ერთი გიურეს სიტყვა და ვერშემონის გაკავება ერთი იქნებოდა. ბოლოს გიურემ უთხრა:

– ბატონო ვერშემონო! ის, ვისაც ეხლა აქ შეურაცხყოფა მიაყენეთ, შვილია იმისთანა კაცისა, რომელსაც თავის ქვეყნისათვის სისხლი დაუღვრია. ის მოკვდა ქვეყნისათვის და თუმცა ქონება არ დაუგდია შვილისათვის, მაგრამ უჩირქო სახელი და მაგალითი მოვალეობისა კი დამიტოვა... ბატონო ვერშემონო, მეც ჯარისკაცად ვიყავ, როგორც მამაჩემი და, როცა ჯარიდამ გამოვედი,

საცხოვრებლად რაიმე ღონისძიება უნდა მეშოვნა. სხვა ხელობა რომ არა ვიცოდი რა, პოლიციის მოხელეობა ვიკისრე. ჩემი მოვალეობაა აღმოჩენა და პოვნა ავაზაკებისა, კაცისმკვლელებისა და ქურდებისა. თქვენ მიჰქარავთ, რომ მეუბნებით, აბლაბუდა გაგიბამს ქალის შესარცხვენადაო. ბატონო ვერშემონო, თქვენ მიჰქარავთ, რომ მამბეზლარადა მხდით. მე მამბეზლარა კი არა ვარ, მე ვარ პოლიციის მოხელე. თქვენ მხრებს იწევთ და თითქო იმის თქმა გინდათ, – ეგ ორივე ერთიაო. სტყუით, თუ მაგას ჰფიქრობთ. თქვენ მექსელედ გამხადეთ, განა! დიაღ, მე აბლაბუდას ვაბამ, რომ ის ბუზი დავიჭირო ხოლმე, რომელსაც ბოროტება და ჭირი თან დააქვს. აბლაბუდის ჭიას ყველანი ზიზღით უყურებენ ხოლმე და ბუზს კი, რომელსაც ჭირი და სნეულება თან დააქვს, გულდინჯად შეხვდებიან... მე დავიჭიროე ის ქალი, იმიტომ რომ ლეა მედანის მკვლელის ამხანაგია.

– მიჰქარავთ! მიჰქარავთ! – დაიძახა ვერშემონმა.

– მე თქვენ მოგახსენეთ, რომ მე თქვენი ხელქვეითი აღარა ვარ და გთხოვთ, ეგრე ნუ მელაპარაკებით, უთხრა წყრომით გიურემ.

– რაში ჰხედავთ ამხანაგობას?

– მე თანამდები არა ვარ მაგისი პასუხი მოგცეთ. მე ჩემი მოვალეობის აღსასრულებლად მოვსულვარ მონდობილობისამებრ. სწორედ გითხრათ, ჯერ უნდა თქვენ აქედამ გამებძანებინეთ, როგორც კაცი, რომელმაც მე მოხელეს თანამდებობის აღსრულების დროს შეურაცხყოფა მომაცენა. თქვენ აქ ვინა ხართ, რომ ჩემი მოქმედების ანგარიშსა მთხოვთ? პირიქით, მე უნდა გკითხოთ თქვენ: აქ, ამ სახლში, თქვენ რა ხელი გაქვთ?

– რას ჰნიშნავს ეს კომედია, ბატონო გიურე?

– მე მონდობილი მაქვს, გავჩხრიკო ეს სადგური და წავიღო ყოველისფერი, რაც კი საეჭვოდ მეჩვენება. ხელმეორედ გთხოვ, ბატონო ვერშემონო, მიბრძანოთ – თქვენ აქ რას აკეთებთ. მე სხვაფრივ ვუცქერი ამ საქმეს: თქვენა გქონდათ მონდობილი გამოძიება, და როდესაც მე ვაპირებდი ნამდვილ დამნაშავეზედ მითითებას, თქვენ ყური არ მათხოვეთ. დღეს კი მე იძულებული ვიყავ მიმემართნა უფროსს პროკურორისათვის და მივიღე მისგან ბრძანება უმთავრეს დამნაშავეს დატუსაღებისა, მოვდივარ აქ და გხედათ თქვენ ამ დამნაშავეს სახლში. როგორა გგონიათ, საბუთი მაქვს თუ არა, რომ თქვენც ამ დამნაშავეს ამხანაგი მეგონოთ?

ვერშემონს აღარ ესმოდა უკანასკნელი სიტყვები გიურესი; რაკი გაიგო, რომ გიურეს მიუმართნია უფროსის პროკურორისათვის და მისგან აქვს ბრძანება იზას დატუსაღებისა, დაიწყო იმაზედ ფიქრი, თუ რა დანაშაულობა უნდა ჰქონდეს იმის საყვარელს.

– მაშ, მე თქვენ პროკურორთან დამამბეზლეთ?

– მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, – მიუგო გიურემ.

– მაშ, თქვენის წყალობით დამითხოვეს სამსახურიდამ?

– შესაძლებელია. მე თქვენ ათასი საბუთი წარმოგიდგინეთ, რომელნიც ამტყუნებდნენ ნამდვილს დამნაშავეს და თქვენ ეს ყურისგდების ღირსად არა სცანით.

– საბუთები ზინსკის ქვრივის წინააღმდეგ? – ჰკითხა შუბლის მოღრუბლვით ვერშემონმა. – თქვენ ჩემთვის მაგ საგანზედ არაფერი გითქვამთ.

– რას გეტყვობდი, რომ ყურს არ მიგდებდით?

ოსკარი ალელვებული წავიდა პურის საჭმელი ოთახისკენ. გიურე უკან გაჰყვა. მას ფიქრადაც არ მოსვლია ის აზრი, რომ გამომძიებელი იზას ამხანაგი ყოფილიყოს; რაღაც უჩურჩულა ყურში ერთ მოხელეს; მოხელე გავიდა, პატარა ხანს უკან დაბრუნდა და იმანაც რაღაც წასჩურჩულა გიურეს. ოსკარმა დაისხა წყალი, უცბად გადაჰყლაპა და დაბრუნდა ცოტა დამშვიდებული.

– გიურე, თქვენ მითხარით, რომ მე სამსახურიდგან დამითხოვეს, – სთქვა იმან, – ჩემთვის რომ არა უცნობებიათ რა?

– დღეს ხელი მოაწერეს და ხვალ გაცნობებენ.

– მაგ ამბავს ჩემი არც სიამოვნება შეუძლიან, არც შეწუხება. მე გადავწყვიტე სამსახურიდამ დათხოვნის ქალაქი მიმეცა, რაწამს შევიტყე, რაც მოჰხდა სასამართლოში. მაგრამ ჯერ მე კიდევ სამსახურში ვარ და თქვენა ხართ ჩემი ხელქვეითი. დავივიწყოთ, რაც მოჰხდა და გთხოვთ შემატყობინოთ მიზეზი ზინსკის ქვრივის დატუსაღებისა და აგრეთვე წარმომიდგინოთ საბუთები, რომელნიც, როგორც ამბობთ, გაქვთ თქვენ.

– ეგ მართალია. თქვენ დათხოვნილი იქნებით მხოლოდ ხვალ, თქვენ ჯერ კიდევ შეგეძლოთ ბრძანება მოგეცათ ჩემთვის, მე რომ ამ მოქმედების უფლება არა მქონდეს მონიჭებული თქვენის უფროსისაგან. მე შემეძლო პასუხი არ გამეცა თქვენთვის, მაგრამ ვასრულებ თქვენს სურვილს, რადგან, რაც თქვენ იზა შეიყვარეთ, მას აქეთ მის ხელში სათამაშოდ გაჰხდით.

– გიურე, გთხოვთ, უცხო საგანზედ ლაპარაკს თავი დაანებოთ. სწორედ პასუხი მომეცით: მიჩვენეთ თქვენი საბუთები.

გიურემ შეჰნიშნა, როგორ იტანჯებოდა ვერშემონი, როდესაც კი იზას სახელს ახსენებდნენ და შეეცოდა.

– ხომ არ დაგვიწყებიათ რა გამომძიების ამბები?

– მე ყველაფერი მახსოვს, – უპასუხა ვერშემონმა, – სთქვით!

– ხომ გახსოვთ, რომ ანდრე გუდარის დანაშაულობის ძებნის დროს ჩვენ გამოვკითხეთ მეეტლეს, რომელსაც წაეყვანა დამნაშავე დანაშაულობის ღამეს. იმან აჩვენა, რომ ეტლში მჯდომი რულში ჩამოხტა ეტლიდამაო. მე კიდევ გამოვკითხე იმ მეეტლეს და მაჩვენა, რომ მოგზაური, როგორც მახსოვს, ფრიდლანდი ალლეიაში ჩამოხტა და ერთს სახლში შევიდა, რომელშიაც მაშინ, როგორც შევიტყე, იდგა ქვრივი სეგლენისა.

– ფრიდლანდის ალლეიაში, იზას სახლში? ეგ შეუძლებელია.

– მე თქვენ არ გითხარით, რომ მაგის საბუთები მაქვს-მეთქი. ის კაცი, რომელიც თქვენ განათავისუფლეთ, რადგან გიორგი გოლესკო გეგონათ, არის ანდრე გუდარი, იზას უწინდელი საყვარელი. მე მაქვს კანონიერი მოწმობა გიორგი გოლესკოს დამარხვისა, რომელიც კიდევ გუდარის წინადა ჰყავდა იზას საყვარლად და რომელმაც იზას გულისთვის მოიკლა თავი.

– არა, არა, ეგ შეუძლებელია. თქვენ არ უნდა გქონდეთ მაგის საბუთები.

– მე არაფერს არ ვიტყვი, რაც კი ჩემის თვალით არ მენახოს.

ვერშემონი ამ სიტყვებზედ საცოდავი სანახავი გაჰხდა. ჯერ არა სჯეროდა, ცილისწამება ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ გიურეს ნათქვამი ჭკვავედ

ახლო იყო და სახე საზარლად შეეცვალა: იზა სხვას უყვარდა და იზასაც უყვარდა ის სხვა; ვერშემონს მოაგონდა, რომ თითონ ამანვე განუთავისუფლა იზას მისი საყვარელი გუდარი. იზამ იცრუა, როცა სთქვა, რომ გიორგი გოლესკო ჰქვია. მკვდარის საყვარლის სახელი ცოცხალს გადაარქვა. შესაძლებელია, რომ იზას მშვენიერება და ცბიერება ერთად თავსდებოდნენ? არა, არა სჯეროდა ვერშემონს ამისთანა საძაგლობა. გიურე მიუხვდა მის აზრს.

– რაკი შევიტყე, რომ მკვლელი შესულიყო იმ სახლში, რომელიცა სდგას ფრიდლანდის ალღეიაში, მაშინვე გამოვიკითხე იმ სახლის მდგმურების ვინაობა. მე შევიტყე, რომ იმ სადგურში მდგმური ქალი, რომელშიაც დამნაშავე შევიდა, უცხო ქვეყანაში წასულიყო; შევიტყე, რომ ის საშიშარი ადამიანი ყოფილა...

– საშიშარი?!

– დიად, თქვენ რომ თქვენის გულის ღელვას არ აჰყოლოდით, თქვენს გონებას რომ დაჰკითხებოდით და გამოგეკითხნათ იმ ქალის ამბავი...

– რა საჭირო იყო! მე ბევრი არაფერი მწამს ხალხის მითქმა-მოთქმისა.

– მე ვხედავ, რომ თქვენ მხოლოდ თქვენგანვე თვალთ ნახული დაგარწმუნებთ.

– მიჩვენე საბუთები!

– პირველი საბუთია უეცარი მიმალვა იმ ქალისა გუდარის გამოშვების მეორეს დღეს.

– მე კარგად ვიცი იმ ქალის მეორე სადგურში გადასვლის მიზეზი, – წარმოსთქვა მწარეს ღიმილით ვერშემონმა, – და თუ სხვა თქვენი საბუთები მაგ ღირსებისა არის...

– იმისი მოძრავი ქონება გასაყიდად იყო დანიშნული და მე დავესწარ გაყიდვაზედ, – გააწყვეტინა სიტყვა გიურემ, – მე ვიყიდე ერთი კალათი შამპანურ ღვინოებით სავსე, რომელსაც ორი ბოთლი აკლდა; შამპანური ღვინო იყო სახელმწიფო ქარხნისა.

– ეგ რა ვუყოთ! ცოტა ბოთლებია მაგავე ქარხნისა?

– გამყიდველმა მომცა მოწმობა, რომ მე კალათი შამპანურ ღვინის ბოთლებით ამა და ამ ყოფაში ვიყიდე. მასუკან მე შევნიშნე, რომ იზას უწინდელი გოგო იქვე იყო და ერთი ვაჭარი ჰყვანდა თანა.

გოგო რომ ახსენა, ვერშემონმა წარბი შეიკრა და ყური უფრო ბეჯითად დაუგდო.

– ეს ვაჭარი მონაწილეობას არ იღებდა ვაჭრობაში, ვიდრე ერთის ყუთის ვაჭრობა არ გამოაცხადეს; გოგომ რაღაც ანიშნა და, თუმცა მე ამ ყუთის ფასი ძალიან მაღლა ავწიე, მაინც ვერ ვაჯობე. მე ამ ყუთის ამბავი მიკვირდა: გოგომ ფასი ისე მაღლა ააწევინა, რომ, უეჭველია, აქ სხვა რაღაც მიზეზი უნდა ყოფილიყო. უეჭველად შიგ დამალულია რამე-მეთქი, ვიფიქრე მე და ყური ვუგდე, სად წაიღებდნენ იმ ყუთს. ვაჭარმა ეს ყუთი მაშინვე ფანჯარასთან დასდო; მე შევევაჭრე, იმან მიპასუხა, რომ გაყიდულიაო. პატარა ხანს უკან მოვიდა ეტლი, რომლიდამაც ქალი და კაცი გადმოხტნენ და დაუწყეს ვაჭრობა; იმათ კი არ უთხრა, რომ გაყიდულიაო. მორიდდნენ ფასზედ, იყიდეს ეს ყუთი და წამოიღეს მყიდველის სახლში, აქ, იმავე პირთან, რომელსაც უწინ ეკუთვნოდა ის ყუთი.

- ეგ ვაჭარი სენტ-ონორეს ქუჩაზედა სდგას, განა?
- დიად.
- მაშ ეგ მე და იზა ვიყავით და მე ვიყიდე ის ყუთი, თქვენ კი მე მარწმუნებთ, რომ ის ყუთი იზას უწინდელს სადგურშიაცა ჰქონდა, ფრიდლანდის ალღეიასთან?
- მე ხელწერილი მაქვს ვაჭრისაგან მოცემული.
- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მაშ ყველაფერი მართალი ყოფილა. წამომყევ, გიურე, წამომყევ! – დაავლო ხელი სანთელს და წაიყვანა პოლიციის მოხელეები მეორე სართულში.
- აი ეს ყუთი, – წამოიძახა გიურემ.
- გიურე, თქვენ თითონ გააღეთ, მე ადგილიდამ ველარ ვიძვრი, – სთქვა ვერშემონმა.

ოსკარმა კანკალით გადასცა შანდალი ერთს მოხელეს და თვითონ დაეცა სავარძელს. გიურემ ამოიღო ჯიბიდან გასაღებები და ეძებდა ამ ყუთის გამოსადეგს. მალე გააღო ყუთი და შიგ ფოსტის ქალაღდის და სამი პაწაწა ლაჟვარდისფერის ყუთის მეტი ვერა ნახა რა. გიურემ გააღო ისინიც. ოსკარი წამოდგა, რომ დაენახა, რა იყო ამ ყუთებში და გაცვიფრებისაგან დაიყვირა; ერთს ყუთში მშვენიერი მორთულობა ეწყო იაგუნდისა და ბრილიანტისა. იაგუნდები თითქმის კაკლის სიმსხოები იყვნენ; ეს თვლები ძვირფასად უნდა ჰღირებულიყვნენ.

- მე არსად მინახავს ეს ძვირფასი თვლები, – წარმოსთქვა ვერშემონმა.
- სახეზედ სიცოფე გამოეხატა. ვინ აჩუქა იზას ეს თვლები და რისთვისო?!
- თქვენ არ იცოდით, რომ ეს ძვირფასი თვლები ჰქონდა იზას? – ჰკითხა გიურემ.

– როდესაც გავიცან ზინსკის ქვრივი, – მიუგო ოსკარმა, – მე მოვთხოვე, რომ წარსულთან საერთო აღარაფერი ჰქონოდა და გაეწყვიტა ყოველივე კავშირი. ამ აზრით იზა გადავიდა ფრიდლანდის ალღეის ახლო სადგურიდამ; ჩემის სურვილისამებრ მთელი თავისი მოძრავი ქონება ჩაქუჩით გაჰყიდა; ყველას თავი დაანება, ვისაც კი იცნობდა და მარტო ჩემთან სცხოვრობდა, მარტო ჩემთან. მე ისიც მოვიწოდომე, რომ სახელი გამოეცვალა. ყველაფერი გაჰყიდა; ყველაფერი, რასაც აქა ჰხედავთ, ჩემგან არის ნაყიდი. აი ამიტომ ვამბობდი, რომ აქ ვერაფერს ვერ იპოვით-მეთქი. ეს ყუთი იმიტომ გავადე, რომ იზა მარწმუნებდა, ერთი კვირა თვალს ვერ ვაშორებ მაგ ყუთსაო. მე გავაყიდინე ყოველივე ნივთეულობა; ამოვარჩევინე და ვუყიდე ახალი. მე შემეძლიან დაგაჯეროთ, რომ ეს ნივთები მე არც მიყიდნია და არც მინახავს ამის მეტად.

გიურე ყურს უგდებდა ვერშემონის ლაპარაკს და როდესაც გაათავა, მოაგონდა, რომ ლეა მედანს ძვირფასი თვლები დაჰკარგოდა და ვერსად ვერ იპოვნეს.

- ჩვენ ამ ნივთებს წავიღებთ, – სთქვა გიურემ, – უნდა შევიტყოთ, საიდან იშოვნა ესენი იზამ?

გიურემ გადააქოქა მთელი ყუთი, მაგრამ ვერა იპოვა რა. ერთმა მოხელემ შენიშნა, რომ ყუთს უკან დამალული უჯრა უნდა იყოსო...

- აბა მოძებნეთ, თუ ეგეები გეხერხებათ, – უთხრა გიურემ.

– მე ეგები ვიცი, რადგან ყმაწვილობის დროს ხის ამოჭრასა ვსწავლობდი. მართლაც რომ მალე გამოჩნდა მიმალული უჯრა.

– ეს რა უნდა იყოს? რაღაც მინებია, – სთქვა გიურემ და ამოიღო პატარა ყუთი, შუშებითა და მინებით სავსე, შინაურ აფთიაქის მსგავსად. – იცით, რა არის ესა? – ჰკითხა ვერშემონს.

– არა.

– ესეც თვლებთან იყოს, სთქვა გიურემ და ამოიღო კიდევ რამდენიმე წერილი. – აბა ეს რაღაა?

პირველი წერილი გერმანულად იყო დაწერილი, რომელიც გიურემ არ იცოდა. მაგრამ დაჰხედა თუ არა ქალაღდს, სიხარულით წამოიძახა:

– ძლივს!

– რა ამბავია? – ჰკითხა ვერშემონმა.

– დახედეთ. ეს ერთი სტრიქონი ყველაფერს გაგაგებინებთ. მე ვიცოდი, რომ არა ვცდებოდი.

– ღმერთო ჩემო, – წამოიძახა ვერშემონმა, როდესაც წერილის თავში წაიკითხა: “ელლა კერმედან” და კონვერტზედ: “ლეა მედანს, ქუჩა ლაკუე, პარიზში”. კონვერტზედ ერთის პრუსიის ქალაქის შტემპელი იყო.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, – განაგრძელა სიტყვა ვერშემონმა და ძლივს იმაგრებდა ქვითქვითს, – მაშ ყველა მართალი ყოფილა. ჩემგან გაღმერთებული ქალი საზარელი რამ ყოფილა და მე მისი სათამაშო. მე მან დამაფარვინა თავისი ავკაცობა... ოჰ, იზა!

– ბატონო ვერშემონო, თქვენ თვითონვე განსაჯეთ თქვენი საქმე. თქვენ გამომძიებელი ხართ და უბრალო კაცზედ მეტი გესმით.

იმან უბრძანა მოხელეებს ყუთის გატანა; სხვა აღარაფერი გაუჩხრეკია, რადგან ყოველისფერი ვერშემონის ნაყიდი იყო. მოხელეები რომ გავიდნენ, ოთახში დარჩა მარტო ოსკარი – დაჩოქილი, სირცხვილისა და დარდისაგან გაწითლებულიყო და სავარძლის ბალიშში თავი ჩაეყო.

მოხელეები ჩასხდნენ ეტლში და უბრძანეს მეეტლეს პოლიციაში წასვლა.

იმათი წასვლა რომ გაიგო, გოგო შევიდა ოთახში და შემინებულმა უკან დაიწია, რაკი დაინახა, რომ ოსკარი ძირს ხალიჩაზედ წევს და ჰქვითქვითებს.

– რა დაგმართვიათ, ბატონო, ხომ არა გცემეს იმ წყეულებმა?

ვერშემონმა პასუხი არ გასცა, იქნება ვერც კი გაიგონა, ახალგაზდა გოგო რას ეუბნებოდა. გოგოს კი ეგონა, რომ ადგომა აღარ შეუძლიანო და ხელი მიაშველა.

– ადექით და მომეყუდეთ მე, – უთხრა გოგომ.

ვერშემონი ადგა და გოგოს შემწეობით მივიდა კუშეტკასთან.

– აქ მოისვენეთ, – უთხრა გოგომ, – მე წავალ და ექიმს დავიბარებ.

ოსკარს ძლივსღა ესმოდა გოგოს ნალაპარაკევი; განცვიფრებული უყურებდა მას; რაკი დაინახა, რომ გოგო წასვლას აპირებს, გააჩერა.

– ნუ დაიბარებ... აქ დარჩი... მე არაფერი არა მინდა რა.

ძლივს შეიმაგრა ვერშემონმა ტირილი. გოგომ შეატყო, რომ ვერშემონი საშინლად სწუხდა, თუმცა მიზეზს კი ვერ მიჰხვდა. ისე შეეცოდა ვერშემონი, რომ ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუვარდა თვალიდგან.

– ყოჩაღად იყავით, – უთხრა გოგომ.
– სწორედ რომ დიდი სიყოჩაღე მეჭირება, – მიუგო იმან მწარე ღიმილით.
– უნდა გრაფინიაზედ ვიზრუნოთ რამე.
– მართალია, უნდა ვიზრუნოთ რამე... როგორ უნდა გაატაროს იქ ღამე... ეს შეუძლებელია... ჩადით ძირს და უთხარი, ცხენები შეაბან.

– ეხლავე. ოღონდ ნუ შესწუხდებით და ყველაფერს ეშველება.

გოგო გავიდა. ოსკარს, მარტო დარჩა თუ არა, კიდეც ტირილი მოუვიდა; მოაგონდა გიურეს სიტყვები: ”თქვენ გამომძიებელი ხართ; თქვენ თვითონვე განსაჯეთ თქვენი საქმე”. ის იჯდა კუშეტკაზედ, თავჩამოკიდებული, და ფიქრით იყო გატაცებული: არა, ეს შეუძლებელია; ის განსაცვიფრებელი, მშვენიერი ქმნილება კაცისმკვლელი როგორ იქნება; აქ რაღაც საზარელი შეცდომაა. იზას, თუნდა მტყუანიც იყოს, თავი როგორ უნდა დავანებო! მე უნდა დავიხსნა ის მოხელეების კლანჭებიდამ, საზიზღარის ციხიდან, მაგრამ როგორ დავიხსნა?

მოულოდნელად იმისი გონება დაუბრუნდა კიდეც დღევანდელის დღის ამბებს. რად ჰზრუნავდა იზა გუდარისათვის, რადა სცრუობდა და სცდილობდა, ყოველისფერი შეეტყო გამომძიების თაობაზედ. უწინ ვერშემონს ეჭვი არა მოუვიდოდა რა იზაზედ, ეხლა კი შეეხარა იმის ურცხოებისა, მისი გარეგანი სინაზე ჰფარავდა თურმე ავკაცობას, ცბიერებას. რა საშინელებაა! იზა არის საყვარელი გუდარისა და მისი ამხანაგი ლეა მედანის მოკვლაში. ეს შეუძლებელია, მაგრამ მართალი კია. სიცოფის მაგივრად იქვნეულობამ დაუღრღნა გული ვერშემონს; დაეცა კუშეტკაზედ და ქვითქვითით ამბობდა:

– მაინც რომ მიყვარს ის ქალი!... არა! ის დამნაშავე არ იქნება... იზა უბედურია! ანდრე გუდარი არის მკვლელი და ღირსი სასჯელისა. იზამ კი არა იცოდა რა; იზა მსხვერპლია; იმას უყვარდა ის საზიზღარი კაცი და უნდოდა მისი შველა... როგორ შეიძლება ამხანაგი იყოს! არა, არა! მე ამას დავამტკიცებ. მე შევცდი და მევე გავასწორებ ჩემს შეცდომას. მე წავალ უფროსს პროკურორთან, ვეტყვი ყოველისფერს და შევხვეწები, რომ სამსახურიდამ არ დამითხოვონ, რომ მევე ჩამაბარონ ამ საქმის გამომძიება. მე უარს არ მეტყვიან...

ვერშემონი გიჟსავით ჰლაპარაკობდა; მერე წამოდგა, თვალები მოიწმინდა და დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული, ხმამაღლა თავისით ლაპარაკი, ხელების ქნევა, თითქო ვილასაც ელაპარაკებო.

– მე გამომძიებელი ვარ... მე შევასრულებ ჩემს მოვალეობას... თუ იზა დამნაშავეა, სასჯელში მივცემ... მომეცით შეძლება თავისუფლად ვიმოქმედო; ნუ დაატყვევებთ ჯაშუშის სიტყვით.

ვერშემონი გაჩერდა, მიეყუდა კარებს და შუბლზედ ხელი წაივლო. რამდენსამე წუთს თვალწინ წარმოუდგა მისი ცხოვრება იმ დღიდან, როდესაც პირველად ჰნახა იზა ბაღში იზასავე სახლში. იმან იგრძნო, რომ იზა მხოლოდ გუდარის განთავისუფლებასა სცდილობდა. მიჰხვდა, რომ გამოასულელეს და დაჰკიდა თავი.

ვიღაცამ მხარზედ ხელი დაადო. ვერშემონმა მოიხედა და დაინახა მატყე დიუტალი, ყელზედ შემოეხვია.

– ოჰ, ჩემო მოძღვარო! – დაიყვირა იმან. – შემობრალეთ, თუმცა დამნაშავე ვარ, მაგრამ უბედურებაც საკმაოდ მომადგა.

VIII

ცრუ-მოწამე

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი ამბავი იმ დღიდან, როდესაც იზა გამოვიდა ეტლიდან სასამართლოს პირდაპირ და დაინახა სესილი, რომელიც კიბეებზედ მღივს ჩამოდიოდა ამელისა და პალიარის შემწეობით. იზამ რომ დაინახა მშვიდობიანი და გადაშლილი სახე სესილისა, ბრწყინვალეობა მისის დიდროვანის ცისფერ თვალებისა, მისი მიმკრთალებული სახე, შავის თმებით შემოზღუდული, უნებურად წამოიძახა:

– ოჰ, რა მშვენიერებაა!

შადი ძირს ჩამოიჭრა, რომ ეტლისათვის დაემახნა და დაემშვიდებინა ტიუსსო და იმისი ცოლი, რომელნიც ისე შეშინებული იყვნენ თავიანთ ქალის ქცევით, რომ ვერ გაჰხედეს სასამართლოში მისვლა და ელოდდნენ ამბავს ერთს ყავახანაში სასამართლოს პირდაპირ. ისე წუხდნენ ისინი თავიანთის ქალის ქცევის გამო, რომ საუზმეც კი არა სჭამეს. ტიუსსო მაინც ცოლს ნუგეშს აძლევდა:

– ექიმმა სთქვა, რომ ფიქრი აღარაფრისაა და რაღას ქვითინებ? რისა უნდა გვეშინოდეს? თუ გული შეუღონდება, იქ არა ჰყავს ნაცნობები და მეგობრები, მაშინვე შეგვატყობინებენ. მეც არ მომწონს იმისი სხვის საქმეებში გარევა, იმიტომ კი არა, რომ მორისის საქმეში გაერია, მორისი ყოველთვის მყვარებია და მიყვარს. არა, ძნელი ის არის, რომ სხვას უნდა სიკეთე მოუტანოს და შეიძლება ამითი თავისთავს ავნოს. ექიმმა, იცი, კიდევ რა სთქვა: რომ დაუშალოთ ამ საქმეში გარევა, უფრო ავნებთ, ვიდრე ნების დართვითაო.

– მე მაგას არა ვჩივი, ჩემი ქალი ისე იქცევა, როგორც მისი ვალია... მაგრამ მე მეშინიან!... – ადელმა ტირილი დაიწყო.

– კარგია, კმარა! ის კი არ გვეყოფა, რომ ჩვენ ჩვეულებისამებრ ვერ მოვიქეცით დღეს და შენ კიდევ აქ ტირილი მორთე! მე ვიცი, რომ სესილს სრულებით არა უშავს რა და რასა სწუხართ, აბა ერთი?!

ორივენი დასხდნენ მაგიდასთან და ბიჭმა ჰკითხა: რას ინებებთ მოგართვათო?

– ჩვენ ჯერ საუზმე არ გვიჭამია და მე კარგადა მშინ, – უთხრა კლოდმა ცოლს, – მოვატანინოთ რამე საჭმელი და ჭამის დროს ვერც კი შევამჩნევთ, დრო როგორ გაირბენს.

ადელმა ხმა არ გასცა. მოიტანეს საუზმე. ტიუსსოს უნდოდა უფრო მტკიცე ხასიათი გამოეჩინა, მაგრამ საჭმელი გემოთაც ვერა ჰნახა.

– შენ განგებ იმიტომ არასა სჭამ, რომ მეც არა ვჭამო რა, – უთხრა იმან ცოლს. ცოლმა ქვითქვითი დაიწყო; ცოლის ცრემლებს დანახვაზედ იმასაც ამოუჯდა გული.

– მეც შენსავით მწუხარედა ვარ, – უთხრა ქმარმა, – და უფრო მწუხარედა ვხდები, შენ როცა შემოგხედავ ხოლმე. ახლა შიმშილით ხომ არ დავიხოცებით... იქნება გგონია, რომ მე შენზედ ნაკლებ მტკიოდეს გული!

ადელი სცდილობდა გაეღიმა; მოიწმინდა თვალებზედ ცრემლი და ჩანგალი აიღო; ცოლიცა და ქმარიც ერთმანეთს ატყუებდნენ: არცერთს არა ჰშიოდა. ორივე იტანჯებოდნენ და უმაღავდნენ ამ ტანჯვას ერთმანეთს. ადელი სულ იმაზე ჰფიქრობდა, ჩემი ქალი ბოლომდის მიიყვანს საქმეს თუ არაო, და იმის ჩვენება, რომელმაც მისი ქმარი უნდა დაჰლუპოს, თითონ სესილს ხომ არას ავენებსო.

– კარგია, ადელ, – უთხრა კლოდმა, – მალე მოვმორდებით ამ ტანჯვას; ეს უკანასკნელია.

კარები გაიღო და შემოვიდა შადი; მწუხარე ცოლ-ქმარნი წამოხტნენ და ხელები შადისკენ გაიწვდინეს.

– ჩვენ ვაჯობეთ, – წამოიძახა შადიმ, ძლიერ ადელვებულმა, და ყურიც არ ათხოვა ყავახანაში მყოფს უცხო პირებს.

– სესილი? – ჰკითხა ადელმა.

– ძალიან კარგად არის. ერთს წუთს კი დასუსტდა, მაგრამ უფრო გასჭრა. ეხლა ჩინებულად არის, აგერ თითონ ისიც.

– ჩქარა წავიდეთ, ჩქარა, – დაიძახა ადელმა.

– მოითმინეთ, – მიუგო შადიმ, – ხომ იცით, რომ ჩვენ მშვირები ვართ, მეტადრე სესილი. ექიმმა ბრძანა, რომ ბულიონი და ლოკოკინები ვაჭამოთ.

სესილი შემოვიდა; ადელი ყელზედ შემოეხვია. თავის ქალის ღიმილი რომ დაინახა, თითონაც გაუბრწყინდა სახე.

– აკი გეუბნებოდი, – უთხრა გახარებულმა ტიუსსომ, – მაგამი ჩემი სისხლი დგას; რაც შიში მეტია, მით უფრო ღონივრდება ეგა. წავიდეთ ცალკე ოთახში და იქ გვიამბეთ ყოველისფერი.

ტიუსსოს ცოლი სულ თავის ქალს შესცქეროდა, უნდოდა შეეტყო, რა მოჰხდა სასამართლოში. თუმცა ცოტა დაამშვიდა იგი ქალის ღიმილმა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერა ჰბედავდა იმის წარმოდგენას, რომ ყოველისფერი მშვიდობით გათავდა. კლოდი კი სრულებით გამხიარულდა.

შადისა და ტიუსსოს გარდა ძალზედ არავის არა ჰშიოდა. ცალკე ოთახში საუზმე იმიტომ უნდოდათ, რომ შინაურულად ყოფილიყვნენ. ყველანი რომ თავ-თავის ალაგას დასხდნენ, ამელიმ ყოველისფერი დაწვრილებით უამბო. საექვო აღარ იყო, რომ მორისს ეშველა. თითონ ტიუსსომ წინად არ იცოდა, როგორი იქნებოდა სესილის ჩვენება და ვერ წარმოიდგენთ, როგორ განცვიფრდა, როცა ყველაფერი გაიგო; თვალები კინაღამ გამოუცვივდნენ ბუდიდამ; ხან ერთს შეჰხედავდა, ხან მეორეს და თავისის მსხვილის ტუჩების ცმაცურით მხოლოდ ამ სიტყვებს ამბობდა:

– ნუთუ ეგ მართალია? მაშ მართალია? მაშ განგებ მოგონილი არ არის?

– რასაკვირველია, მართალია, – ეუბნებოდნენ ღიმილით.

- მაშ შენ შენის ქმრისათვის ცოლობა არ გაგიწევია?
- არასდროს.
- ოოო!

პირველში თითქო აპირებდა თავისის ქალის ზნეობის შემაგინებელ ქცევის გაკიცხვას, მაგრამ, რაკი დაინახა, რომ სხვები მას არ თანაუგრძნობდნენ, ფიცხლავ შესცვალა თავისი განზრახვა. ეს საქმე ურიგოდაც არ მოჰხდა: ტიუსსოს ეზიზღებოდა გუდარი და ეს გუდარი თავის დღეში იმის სიძე არა ყოფილა. მისმა ქალმა შეატყო, რომ ის კაცი, რომელთანაც უნდოდათ მისი შეკავშირება, ავაზაკი იყო, და განდევნა იგი. მორისი კი კარგი ყმაწვილი კაცია; ქალმა შეატყო, რომ ის იყო გულმართალი, და პირდაპირ, ზნეობის შეურცხვენლად დაუთმო მას თავისი გული. მორისი ღირსი იყო ამ ჯილდოსი. ოჰ, რა ხასიათის ქალია, რა კარგი ქმნილებაა!

– ამ საქმეში ეტყობა ძლიერება, გაბედულობა, – სთქვა ტიუსსომ, – რა მტკიცე ხასიათია დამალული მაგ ნაზს ქმნილებაში! ჩემი სისხლია, ჩემი სისხლი–მეთქი!

მართლა რომ სესილმა ძალა გამოიჩინა და გაბედულობაც. იმან უარჰყო კანონიერი, მაგრამ უღირსი ქმარი. თუმცა საფრანგეთის კანონი არ მისცემდა არასდროს ნებას ახალის შეუღლებისას; ამისათვის ბევრი საბუთი იყო საჭირო და სესილს საბუთად ჰქონდა მხოლოდ უზომო სიძულვილი თავის ქმრისა. მაგრამ სიძულვილი კანონიერი საბუთი არ არის!

საუზმის შემდეგ ყველანი შინ წავიდნენ.

– აქ ვიღაც კაცი გახლავთ, ბატონო, ფერანის დამცველი ვარო და სესილთან ლაპარაკი მინდაო, – უთხრა გოგომ ტიუსსოს, როდესაც ტიუსსო შინ შედიოდა.

ადელს ეშინოდა, რომ ვაი თუ სესილმა დღევანდელი დაღალულობა ვერ აიტანოსო და უთხრა ქმარს, ასე შეატყობინე იმ კაცსაო; მაგრამ სესილმა არა ჰქნა და მოინდომა მასთან ლაპარაკი. ეს რამდენიმე ხანია ტიუსსოს სახლში ყველანი სესილს ემორჩილებოდნენ. რამდენსამე წუთს შემდეგ სესილი მარტო ელაპარაკებოდა ფერანის დამცველს ტიუსსოს კანტორაში.

სესილმა ყველასფერი დაწვრილებით უამბო დამცველს. როდესაც ლაპარაკი წერილზედ ჩამოვარდა, სესილმა გამოუცხადა, რომ მე დავწერე წერილიო, მაგრამ როცა დამცველმა იმ წერილის ასლი უჩვენა და სესილმა წაიკითხა, განცვიფრებულმა წამოიძახა:

- ვინ ჩაიდინა ამისთანა ურცხვი საქმე!
- რა, თქვენი წერილი ხომ გადასხვაფერებული არ არის?
- ეხლავე შეიტყობთ.

სესილი დაჯდა მაგიდასთან და წერილი ისე გადაასწორა, როგორც დაეწერა.

– ეს წერილი გასამართლებლად გამოადგებოდა იმას, – სთქვა დამცველმა, – წერილი განგებ არის გადასხვაფერებული.

– გარდა ჩემის... გარდა გუდარისა, მე არ ვიცი, ვის რას გამოადგებოდა მორისის დაღუპვა, – სთქვა სესილმა.

– უეჭველია, ნამდვილი დამნაშავე უნდა იყოს სადმე. ეხლა დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მორის ფერანი თქვენის წყალობით განთავისუფლებული იქნება.

– ჩემის წყალობითაო! მერე ჩემთვის არ იტანჯებოდა ის საცოდავი ამდენს ხანსა! როდის განათავისუფლებენ?

– ჯერ ერთი საბუთი კიდევ არის იმის წინააღმდეგ.

– რომელი საბუთი? თქვენ კარგად იცით, როგორ გაატარა იმან ღამე ოცს ივნისს. ის საშინელი წერილი მე გავასწორე. შამპანურ ღვინის თაობაზედ მე თქვენ ხომ გითხარით, რომ ის თუმცა იმ ვაჭრისაგან არის ნაყიდი, რომლისაგანაც საწამლავი უყიდნიათ, მაგრამ სხვა ნიშანი აზის. ხომ ჰხედავთ, რომ აღარც ერთი საბუთი აღარ ივარგებს მის გასამტყუნებლად.

– არა, ჯერ ერთი გარემოება კიდევ არის, რომელსაც გამოძიება სჭირდება, თუმცა კი მორისი უარჰყოფს: არა, მართალი არ არისო.

– ეგ რაღაა?

– ერთის მღვდლის ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ მე მორის ფერანი ხშირად მინახავს მოკლულთანაო.

– ლეა მედანთან... მერე რაო?

– ფერანი იმის საყვარელი იყოვო.

– მღვდელი ამბობს მაგას? – წარმოსთქვა ზიზღით სესილმა, – მორისს ჩემს გარდა სხვა არავინ არ უყვარს. ეგ მღვდელი ცილისმწამებელი ყოფილა. მორისმა რაღა უპასუხა?

დამცველმა უამბო, რანაირად უმართებულოდ ეგინებინა მორისს მღვდლისათვის და როგორ გულმოსული უარჰყოფდა მის ჩვენებას; სესილი სიხარულმა აიტაცა.

– დარწმუნებული იყავით, რომ იმ მღვდელს უცრუვინა, – სთქვა ქალმა.

– მნელი ეს არის, რომ იმისი წოდება დიდს მნიშვნელობას აძლევს მის ჩვენებას.

– თქვენა ბრძანეთ, რომ ნამდვილ დამნაშავეებს უნდათ მორისის დაღუპვა; ცხადია, რომ იმათგანვე უნდა იყოს ისიც, რომელმაც ჩემი წერილი ისე ურცხვად გადაასხვაფერა და ისიც, რომელმაც ეგეთი სიცრუე სთქვა სასამართლოში.

– თქვენ, მე მგონია, ძალიან გაბედულობით ამტყუნებთ; მაგრამ, როცა კი მაგონდება მორისის ცხარე ლაპარაკი, მეც ეჭვი მომდის მღვდლის ჩვენების სიმართლის გამო.

– იქნება მაგ მღვდელს უკისრნია ნამდვილის დამნაშავის გამართლება და ეხლა აღარავის და აღარაფერს ჰზოგავს, ოღონდ თავისი დაპირება შეასრულოს?

– ეგ არაფერი ქრისტიანობა იქნებოდა: ბრალიანის გამართლება და უბრალოს გამტყუნება.

– ყველა მღვდელი ქრისტიანულად როდი იქცევა!

– მართალსა ბრძანებთ. ახლა, თუ შეგიძლიანთ, შეიტყეთ რამე იმ მღვდლისა და მე კი წავალ ჩემის საერთო აზრის ასასრულებლად.

დამცველი გავიდა და სესილი დაბრუნდა თავის დედ-მამასთან.

– მე თქვენთან სალაპარაკო საქმე მაქვს, – უთხრა შადის.

სესილმა უამბო თავის ნალაპარაკევი დამცველთან და სთხოვა შეეტყო იმ მღვდლის ვინაობა, რომელმაც მორისის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

მეორეს დღეს გაზეთებში დაბეჭდილი იყო გუშინდელის სხდომის ამბავი სასამართლოში და სხვათა შორის მღვდლის ჩვენებაც. სესილმა მოინდომა, შადი მაშინვე წასულიყო და შეეტყო რამ იმ მღვდლის თაობაზედ, მაგრამ პალიარმა არჩია ჯერ გიურეს მოველაპარაკოთო, რომელიც ამტკიცებს, ვითომ ნამდვილის დამმნაშავის კვალისთვის მიეგნოს. თითონ გიურე დაგვარიგებს, როგორ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი. სესილი თუმცა უარზედ იდგა და უნდოდა, რომ საჩქაროზედ გაეგო რამ იმ მღვდლისა, მაგრამ შადი მაინც ჯერ გიურესთან წავიდა. გიურეს ამ დღეებში ძალიან ბევრი საქმეები ჰქონდა და შადიმ ის შინ ვერა ნახა, სესილს ძალიან ეწყინა და დააყვედრა შადის, რატომ ჩემი სიტყვა არ დაიჯერეო. იმ დღეს აღარაფერი იქნებოდა, შადიმ და პალიარმა დააწყეს, რომ მეორე დღეს დილაადრიან გიურესთან შეყრილიყვნენ.

ადელი თვალს არ აშორებდა თავის ქალს და სიამოვნებით შეჰნიშნა, რომ სესილი თანდათან მოჯობინდა: აღარც სუსტად იყო და ფერიც კარგი ჰქონდა. მთელმა სადამომ მხიარულად გაიარა; ყველას ის იმედი აცხოველებდა, რომ მორისი მალე განთავისუფლდებო. ამელი ხშირად შეჰხედავდა ხოლმე პალიარს და თვალებით მადლობას უხდიდა ისეთის მონაწილეობის მიღებისათვის იმის ძმის ბედში.

მეორე დღეს განთიადისას შადი და პალიარი დანიშნულს დროს მოვიდნენ გიურესთან, რომელიც ის იყო სხვაგან წასვლას აპირებდა. გიურე ასე ადრე იმიტომ გამოდიოდა შინიდან, რომ ოსკარ დე-ვერშემონმა ხრიკი არა მომიგდოს რაო. ოსკარისათვის იზა ღმერთი იყო და ის არას დაჰზოგავდა მის დასახსნელად. საჭირო იყო თვალყურის დევნება. გიურემ არ უამბო თავის სტუმრებს, წინა დღეს რაც მოჰხდა, არ უთხრა, რომ მტკიცე საბუთები ჰქონდა ეხლა ხელში. ვიდრე ისინი თავის მისვლის მიზეზს ეტყოდნენ, გიურემ სთხოვა ნება, რომ მათგან მოტანილს გაზეთებში წაეკითხა სასამართლოს გუშინდელის სხდომის ამბავი. ის სრულებით კმაყოფილი იყო ყოველისფრისა, რაც მოჰხდა და გულდაჯერებული, რომ მორისი უბრალოა, მარტო ერთს რასმეს სწუხდა:

- როგორ დავარღვიოთ იმ მღვდლის ჩვენება? – სთქვა მან.
- მაგ ჩვენების თავობაზედ მოვედით ჩვენც თქვენთან, – უპასუხა პალიარმა და უამბო სესილისა და ფერანის დამცველის ნალაპარაკევი.
- რა ვქნათ, რა ვუყოთ? – ჰკითხა პალიარმა.
- ეხლავე შეიტყოთ, რა უნდა ვქნათ. ვიდრე ჩაცმას გავათავებდე, შადი წავიდეს ეტლის მოსაყვანად. ჩვენ არავინ არ უნდა გვნახოს; ჯერ პოლიციაში წავიდეთ და შემდეგ – საცა საჭირო იქნება.

შადიმ მალე მოიყვანა ეტლი, რამდენსამე წუთს შემდეგ ეტლი პოლიციის წინ გაჩერდა; გიურე გადმოხტა ეტლიდან და შევიდა კანცელარიაში გუშინდელის ტუსადის ამბის შესატყობად. იზა ჯერ საერთო ოთახში ჩაესვათ, მაგრამ შუალამის დროს ცალკე ოთახში გადაეყვანათ. გიურეს ეს არაფრად მოეწონა და იკითხა – ვისის ბრძანებით გაუწიეთ ეგ თავაზა იმ ქალსაო? იმას ეგონა, რომ ახალგაზდა გამომძიებლის გვარს დაუსახელებდნენ, მაგრამ ბძანება თურმე სასამართლოს თავმჯდომარის მატყე დიუტალისა ყოფილიყო და იმ მიზეზით იყო გამოცემული, რომ ვითომ საჭირო იყო ტუსადის საიდუმლოდ შენახვა. გიურემ შეიტყო აგრეთვე,

რომ იზას, იმავე თავმჯდომარის ნებადართვით, მიეწერა მოკლე წერილი პრუსიის საელჩოში. ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკა გიურეს. “ალბად მალლა ჰმოქმედებენ, უნდა გავუფრთხილდეო”, გაიფიქრა.

გიურე ისევ ეტლში ჩაჯდა და სცდილობდა თავისი შთაბეჭდილება დაემალა თავის ამხანაგებისაგან. რამდენსამე წუთს შემდეგ ეტლი გაჩერდა ობსერვატორიის მოედანზე და გიურემ წაიყვანა შადი და პალიარი ყავახანაში.

– აგერა, მოვედით, – სთქვა მან, – დავსხდეთ, ვისაუზმოთ და ვიფიქროთ, როგორ უნდა მოვიქცეთ. იცნობს ვინმე იმ მღვდელს დიუტილეილს?

ორივემ უპასუხეს, არ ვიცნობთო; გიურე საშინლად დალონდა.

– თქვენ მაინც უნდა იცნობდეთ, პალიარ, უნდა გენახათ მაინცა.

– მე? – უპასუხა იმან განცვიფრებით, – მე ჩემს დღეში იმისი სახე არ მინახავს.

– მე ქალაქებს რომ ვმინჯავდი, იქიდან შევიტყე, რომ იმ მღვდელს დედათქვენი უზიარებია სიკვდილის წინ. თვითონ უჩვენა, რომ ის ქალაქები, რომელნიც ბოიეს ხელში ყოფილა, პალიარის დედამ მომცაო.

– ჰმ! ეხლა მივხვდი; ეგ ჩემის დეიდაშვილის საქმეა; ყველანი ერთმანეთზედ კუდი-კუდს გადაბმული არიან. თქვენ მართალი ხართ, ბატონო გიურე, წმინდა შეთქმულობაა მორისის დასალუპავად.

– კარგი იქნება, რომ ეგ საქმე კარგად გავიგოთ.

– ჩემთვის ყველა ცხადია. ჩემთვის რომ ყური დაეგდოთ და ჩემის დეიდაშვილის გარდა ჩემთვის რომ ეკითხნათ გასამართლებელ საბუთებისა, ესე მალე არ გასამართლებდნენ იმ ავაზაკსა. ის მღვდელი, რომელმაც დედაჩემი აზიარა, ღირსეული კაცია; შეიძლება მე და ის ერთის აზრისა არ ვიყოთ, მაგრამ მე მაინც ყოველთვის პატივსა ვცემ იმას. ის მღვდელი ღირსეული კაცია-მეთქი, გეუბნებით, ღირსეული.

– თქვენ იმას იცნობთ?

– ვიცნობ.

– მამ ბოიეს ჩვენება კიდევ ტყუილია.

– ნამდვილად.

– ეგ დიდი საქმეა... ის მღვდელიც მაგას იტყვის, რასაც თქვენ ამბობთ?

– უეჭველად. აბბატი ლორენი იცნობდა ბოიეს და არა დედაჩემს. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ მე იმან შემატყობინა, რომ დედაჩემის უკანასკნელი საფიქრებელი მე ვიყავი. ბოიეზედ ის, ეტყობოდა, ზიზღით ჰლაპარაკობდა. ბოიეს უნდოდა მიემხრო ეს აბბატი და მის შემწეობით დედაჩემისაგან გამოეტყუენა რამე, მაგრამ აბბატი არ დასთანხმდა. ლორენმა მითხრა აგრეთვე, რომ დედათქვენმა თქვენს დეიდაშვილს არაფერი არა უანდერძა რა და ესე სთქვაო: ბოიე კარგი ყმაწვილი კაცია, კაი ადგილი უჭირავს; იმას არაფერი გაუჭირდება, მაგრამ თუ უბედურება შეემთხვა რამე, ჩემი შვილი არას დაჰზოგავს მისთვისო, ზიარების შემდეგ ლორენი გამოსულიყო დედაჩემის ოთახიდან, ბოიეს შეჰხვედროდა და მხოლოდ ეს ეთქვა: “დედათქვენი წმინდა ადამიანია; შეატყობინეთ იმის ავადმყოფობა იმის შვილს და ილოცეთ მისთვის”. აი, ეს არის მთელი ამბავი.

– ძალიან კარგი. უნდა ცხარედ მოვეკიდოთ ამ საქმეს. მე დიუტილეილს არ ვიცნობ, მაგრამ ეხლავე წავალ მასთან; თქვენც იქვე იმის სახლის ახლო იყავით. თუ საჭირო ვნახე რამე, მაშინვე განიშნებთ, რომ მოქმედების დრო არის; მაშინ შადი ეტლში ჩაჯდება და ამ ბარათს საჩქაროზედ პოლიციაში წაიღებს. იქ ოთხს კაცს მოგცემენ. ვიდრე ისინი არ მოვლენ, პალიარი სახლიდამ არავის გამოუშვებს. ჩვენ უნდა ხელთ მოვიგდოთ ის ცრუ-მოწამე. აბა, წავიდეთ!

– წავიდეთ, წავიდეთ!

ყველანი გაემართნენ ადას ქუჩისაკენ; მივიდნენ თუ არა იმ სახლთან, რომელიც დანიშნული იყო “ახალგაზდა ცოდვილთ ზნეობის გასასწორებლად”, შადიმ მიუთითა იქვე ახლო ერთს სახლზედ, რომელსაც წამალს უსვამდნენ. საუზმის დრო იყო; ყველა მუშები წასულიყვნენ და კედელთან წამლის კასრები ელაგა.

– აი, საქმეც ვიშოვეთ, – სთქვა შადიმ, – ვიდრე გამოხვიდოდეთ, ჩვენ ამ სახლს წამალს წავუსვამთ, უფრო არავინ რას მიგვიხვდება.

– ეგ კარგი მოიგონეთ. აბა წადით, მეც მივდივარ, ყური ჩემკენ გეჭიროთ.

პალიარმა და შადიმ გაიხადეს პალტოები, მუშებისაგან დატოვებული წინსაფრები გაიკეთეს და მიჰყვეს წამლის წასმას ხელი. გიურე შევიდა დიუტილეილის სახლში, რომლის კარები გაუღო ჩვენმა ნაცნობმა სქელ-სქელმა მსახურმა.

– მე სალაპარაკო მაქვს აბბატ დიუტილეილთან, – სთქვა გიურემ.

– არ შეიძლება თქვენი გვარი მიბრძანოთ?

– აბატმა ჩემი გვარი არ იცის. მე ერთის ქველმოქმედ ქალისაგან ვარ გამოგზავნილი. – ერთმა აზრმა გაუელვა თავში გიურეს და თავის სიტყვებს ეს დაუმატა:

– მე გრაფინია იზა ზინსკაიასაგან ვარ გამოგზავნილი!

– ცოტა ხანს მოითმინეთ. მსახური ავიდა მალლა და საჩქაროზედ დაბრუნდა უკან.

– მობრძანდით ზემოდ, ბატონო, – უთხრა იმან.

გიურე შევიდა აბბატის კაბინეტში; აბბატს თითქოს ფეხები უკან ჰრჩებოდა მიგებების დროს. გიურემ რომ ის დაინახა, წამოიძახა:

– თქვენ... თქვენ... ეს თქვენა ხართ აბბატი დიუტილეილი?!

შემინებულმა აბბატმა უკან დაიწია; იმანაც იცნო გიურე და არაფრად ესიამოვნა, რომ ის ასე მალე იცნეს.

– როგორ მოჰხდა, რომ მე თქვენ კიდევ შეგხვდით, – უთხრა გიურემ, როგორ დაიძვრინეთ თავი, იმოდენა ავკაცობას რომ გაბრალდებდნენ? ოჰ, ეხლა მესმის, რა არის ეს ”თავშესაფარებელი სახლი” და როგორ უსწორებთ ზნეობას ახალგაზდა ცოდვილებს!

აბბატი თითქო მიწასთან იყო გასწორებული; თავი მალლა ვედარ აიღო; მაგრამ თავს ძალა დაატანა, ეცადა გაეღიმა და უთხრა გიურეს:

– ღმერთო ჩემო! სრულებით დამაყრუეთ თქვენის “ოჰ, უჰ”-ის ძახილით. მე ერთი სიტყვა არ მესმის თქვენის ლაპარაკისა. ალბად სხვა გგონივართ ვინმე.

აბბატმა გული გაიკეთა და გვერდ-გვერდ დაუწყო ღიმილით ყურება გიურეს.

– მაშ თქვენ მე ვერ მიცნობთ განა? – უპასუხა მხიარულად გიურემ, – მაშ მე შევცდი.

გიურემ დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული და ყურსაც არ ათხოვებდა აბბატის სიცრუევს. ისე ათამაშებდა გიურე მას, როგორც თავს კატა. მერე მივიდა ფანჯარასთან, აჯხადა ფარდა და სთქვა:

– ეს სახლი დიდიკაცის სადგომსა ჰგავს; არ ეტყობა, რომ ღარიბებისათვის არის დანიშნული. – გიურემ გადიხარხარა. აბბატი გაწითლდა და განცვიფრდა, რომ გიურე ესე მოურიდებლად იქცეოდა.

– ბატონო ჩემო, – უთხრა იმან გიურეს, – მე თქვენ არ გიცნობთ; თქვენ თუ გრაფინია ზინსკაიამ გამოგზავნათ, რას ჰნიშნავს ეგ უცნაური ქცევა?

გიურემ მისწია ფარდა, გაიხედა ეზოში და თვალები გაუბრწყინდნენ. ეტყობოდა, რაღაცა საყურადღებო დაინახა. მან ვერ დამალა თავისი შთაბეჭდილება. აბბატმა რომ ეს შეჰნიშნა, წელში გაიმართა და მოუთმენლად უთხრა:

– ახლა აღარ მეტყვით, მოწყალეო ხელმწიფევ, რა მიზეზით მოსულხართ? ნუთუ გნებავთ, რომ ბიჭებს დავუძახო?

გიურემ ხმა არ გასცა და ეზოს თვალს არ აშორებდა. პატარა ხანს უკან მივიდა მეორე ფანჯარასთან, რომელიც ქუჩისაკენ იყო, და გააღო.

– რას ჰჩადიხართ, – ჰკითხა განცვიფრებით დიუტილეილმა.

– მინდა ვნახო, რა აწერია თქვენს სახლს, – უპასუხა გიურემ.

– გთხოვთ მაგ ხუმრობას მეტად ნულარ გააგრძელებთ, თორემ იძულებული ვიქნები... – აბბატმა ზარი აიღო. გიურე მივარდა და სტაცა ხელი.

– კმარა, კმარა! ხმას ნულარ ამოიღებთ, ემილ დიუტილეილ, კანონის ძალით თქვენ დატუსაღებული ხართ.

აბბატი დიუტილეილი წელში გაიმართა, აიტუზა გიურეს წინ და უთხრა:

– მესამედ გეუბნებით მე, რომ თქვენა სცდებით. ჩემი გვარი დიუტილეილია. ჩემს წოდებას პატივი უნდა სცეთ: ამას თქმა არ უნდა. მე ყოველისფერს თქვენს ქცევას მოგიტევებთ. მხოლოდ გთხოვთ, მითხარით, რა დაგაბარათ გრაფინია ზინსკისამ.

– მე მხოლოდ ერთი რამა მაქვს დაბარებული: შენა და ერთი კიდევ სხვა უნდა დაგატუსალოთ.

გიურემ რომ ეს წარმოსთქვა, დიუტილეილი კარებისაკენ გაექანა; უნდოდა გაქცევით დაეხსნა თავი და თანაც ეშინოდა, გიურე არ გამომიდგეს დასაჭერადაო. მაგრამ გიურე ყურს აღარ ათხოვებდა. დიუტილეილმა აიწია თავის ანაფორის კალთა და გაცხარებული ჩაიჭრა კიბეზედ. გიურე დაბრუნდა ფანჯარასთან და ხელახლავ ანიშნა. მასუკან ჩავიდა ქვევითა და დაიწყო სხვა ოთახების მოძიებვა, თუმცა სქელ-სქელი მსახური ეურჩებოდა.

აბბატმა მიაღწია გარედ კარებამდე, მაგრამ დაკეტილი დაჰხვდა; დაიწყო ბრაზუნნი, წყევლა, ქოლვა, მეკარეს ძახილი, რომელიც მეორე მხრივ მოვიდა კარებთან.

- ეს რას ნიშნავს? კარები დამიკეტეს? – ჰკითხა აბბატმა.
- როგორ თუ დაგიკეტეს?
- ის სად არის?
- ვინ ისა?
- პოლიციის მოხელე...

- ვაიმე, პოლიცია! – დაიყვირა სქელ-სქელმა მსახურმა, ფერი ეცვალა და იმ წამსვე მოჰკურცხლა... აბბატმა კარები კინალამ გაამტვრია, მაგრამ ვერ გააღო კი.

გიურემ დაინახა, რომ ვიღაცა აძვრა კიბეზედ, და უკან გამოუდგა. უცნობი შევიდა ოთახში და უნდოდა კარები ჩაეკეტა, მაგრამ გიურე ძალით შევიდა ოთახში.

- ძლივს არ გიპოვნეთ, ანდრე გუდარ!
- რა გინდათ ჩემგან?
- კანონის ძალით მე თქვენ გატუსაღებთ.

გიურემ შეამჩნია, რომ გუდარი აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს გაქცევას აპირებოდა, და შეუტია:

- ალაგიდამ არ დაიძრა, თორემ გაგათავებთ.

- რა უფლებით მატუსაღებთ? მე განთავისუფლებული ვარ. გვარები შესცდენოდათ და სხვა საბუთი რომ ვერა მოიპოვეს რა, განმათავისუფლეს.

- მე ეხლა ვერას გიპასუხებთ. თქვენ ჩემი ტუსაღი ხართ და თუ მცირედსაც არის წინააღმდეგობას გამიწევთ, ცოცხალი ვერ გადამირჩებით. ნუ სცდილობთ გაქცევას; სახლი გარშემორტყმულია, ვედარსად წახვალთ...

ძირიდან ხმაურობა მოისმა. გიურემ შუბლი მოიღუმა. გუდარმა ყური მიუგდო.

აბბატს ძლივს-ძლივობით ქუჩის კარები გაეღო და გაქცევასა ჰლამობდა, მაგრამ შადის მოყვანილმა მოხელეებმა დაიჭირეს. ის თურმე წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მაშინადვე გაეთოკათ და ეტლში ჩაესვათ. გუდარმა რომ კიბეზედ ფეხის ხმა გაიგონა, ეგონა, მე მეშველებიანო; წელში გაიმართა და აპირებდა გიურესთან შეჭიდებას. გიურე კარებში ჩადგა; მალე მოხელეები მოეშველნენ.

- წაიყვანეთ ეს კაცი, – უთხრა გიურემ, – და ხელებზედ ხუნდები გაუკეთეთ.

მოხელეები მისცვივდნენ და ძალით უნდოდათ შეეკრათ, მაგრამ გუდარს არც ღონე ჰქონდა, არც სიმამაცე; მაშინვე დაჰნებდა მოხელეებს.

- ჯერ პოლიციაში გაგზავნეთ, – სთქვა გიურემ, – მაგის დაჭერა დიდი ამბავია; უნდა ფრთხილად ვიყოთ.

- კარების მცველის ჩვენებით, – სთქვა პოლიციელმა, – ჩვენ ერთი მღვდლად ჩაცმული კაცი დავატუსაღეთ.

- დიუტილეილი... ძალიან კარგი, ორივე წაიყვანეთ. ჩვენ კი სახლი გავჩხრიკოთ და, ვინცა ვნახოთ, დავიჭიროთ. მთელი დასტა უნდა ხელთ მოვიგდოთ, მარჯვედ იყავით.

ამ დროს შემოვიდა ვიღაც უცხო პირი; მოხელეებს ხელი ჰკრა და მივიდა გუდარის მისაშველებლად.

- ეს რა ამბავია? ეს ვისი ბრძანებაა? – სთქვა იმან.

– ჩემი, – უთხრა გიურემ და იცნო ბოიე, – ეს თქვენა ბძანდებით, ბატონო ბოიე? ესეც ერთი; მე თქვენ გატუსაღებთ.

– მე მატუსაღებ? – უთხრა ბოიემ მედიდურად, – რომლის უფლებით, მაჩვენეთ ბრძანება! გეტყობათ ფანტაზიას გაუტაცნიხართ.

– მე ჩემს ვალს ვასრულებ და ჩემის უფლების ძალით გატუსაღებთ თქვენ, პოლიციის ჯაშუშო.

გიურემ დაურიდებლად სტაცა ხელი ბოიეს და ისე მაგრად ჩასჭიდა, რომ ჩააჩოქა.

– მოღალატევე, პირმოთნე სულო, წუწკო ჯაშუშო, ეხლა შენ ჩემი ტყვე ხარ. წაიყვანეთ ესა და უთხარით, რომ სხვებთან ერთად წააბძანონ, – უთხრა იმან სხვა მოხელეებს.

ბოიე მიწასთან იყო გასწორებული. თავი ჩაღუნა ძირსა, სილაჩრე და სიწუწკე გამოიჩინა. მიჰხვდა, რომ ეხლა ანდრე გუდართან ერთად წაიყვანდნენ პოლიციაში, იგრძნო, რომ ილუპებოდა და დაუწყო მიმწყდარის ხმით ხვეწნა გიურეს:

– ბატონო გიურე, თქვენა სცდებით, თქვენ მე არ მიცნობთ და ამიტომ ცუდი კაცი გგონივართ. თუ თქვენ ჩემი დაჭერა გაქვთ მონდობილი, მე ჩემის უფროსების ბრძანებას წინ ვერ გადვუდგები. მაგრამ გთხოვთ, მიცნათ თქვენს ამხანაგად და სხვა დამნაშავეებში არ გამრიოთ.

გიურემ ზიზღით შეჰხედა, რაკი ჰნახა, რომ თავის ამხანაგებს ჰღალატობდა ბოიე.

– არაფერი საბუთი არა არის რა, რომლის ძალითაც შეიძლებოდა ჩემი დაჭერა, – გააგრძელა ბოიემ, – გარდა იმისა, რომ მე ამ სახლში მნახეთ. ეს ადვილად აიხსნება; მე აქ ჩემის სამსახურის გამოსობითა ვარ. გთხოვთ ნება მომცეთ, საყვარელო მეგობარო, რომ მე თითონ მივიდე პოლიციაში. აი ეხლავე წავალ...

გიურემ თვალის არ დაახამხამა. მოხელეებმა გუდარი ძირს ჩაიყვანეს. გიურემ ერთს მოხელეს, რაღაც უთხრა და სხვაგან გაისტუმრა.

– არა, ბატონო ბოიე, – უთხრა გიურემ მკვახედ, – თქვენ იმიტომ როდი დაუტუსაღებნიხართ, რომ ამ სახლში გნახეს. თქვენ ძალიან კარგად უნდა იცნობდეთ მაგ ორს პირს, რომელთანაც თქვენ იყავით.

– მე თქვენ გეუბნებით, რომ აქ სრულებით შემთხვევითა ვარ.

– რა საჭიროა ჩემთან თავის გამართლება. თქვენ ხომ იცით, რა არის სამსახური: მე უფროსების ბრძანებას ვასრულებ.

– იმათა ბრძანეს ჩემი დაჭერა?

– დიად.

– მერე რას მაბრალებენ?

გიურემ დაინახა, რომ იმისაგან გაგზავნილი მოხელე და პალიარი ერთად მოვიდნენ:

– ბატონო პალიარ, შეატყობინეთ ბატონს ბოიეს მაგის დაჭერის მიზეზი.

– ოჰ, აქ შევხვდით მე და შენ ერთმანეთსა? შენ კიდევ შენის დაჭერის მიზეზსა ჰკითხულობ? შენ დაჭერილი ხარ, როგორც ქურდი, ქურდი-მეთქი, გესმის?

ბოიე ცოტა შეჰკრთა, რაკი პალიარი იცნო, მაგრამ მალე გასწორდა, თავი ძირს დაჰკიდა და უთხრა:

– მე შენგან ლანძღვა-გინებას დიდი ხანია შევეჩვიე, ჩემო დეიდაშვილო. ეხლა მესმის: შენ მე ცილი დამწამე და სთქვი, რომ ვითომ მე მომეპაროს ის, რაც ნებით არის მოცემული. შენ არ იცი, რომ ამას თითონ დედიშენის მაზიარებელი მღვდელი დაამტკიცებს?

– რომელია ეგ მღვდელი? – ჰკითხა პალიარმა.

– ეგ ის მღვდელია, რომლის სახლშიაც თქვენ მე მდევნით და არა სცემთ პატივს მის წოდებას. თქვენ სდევნით აგრეთვე ერთს პირს, რომელსაც მე ვერ წავექომაგები, მაგრამ რომელსაც ამ სახლში ალაგი აქვს. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს სახლი თავშესაფარი ბინაა.

– მაშ შენ ამტკიცებ გიურესა და ამ ბატონის წინ, რომ დედიჩემის მაზიარებელი ამ სახლის პატრონი იყო?

– დიად, პატივცემული აბბატი დიუტილეილი.

– მერე დედაჩემმა უთხრა მაგას, რომ მან სამკვიდროდ დაგიტოვა კონვერტით ფული?

– სწორედ ეგრე ეთქვა აბბატისათვის. მაგრამ მე კარგად ვიცი, შენ ისეთი ურწმუნო ხარ, რომ არ დაიჯერებ მაგის სიტყვებს.

– ეგ ის მღვდელი არ არის, რომელმაც ლეა მედანის მკვლელობის თაობაზედ აჩვენა, რომ იმ ქალთან ხშირად ჰხედავდა მორის ფერანს?

– სწორედ ის არის. შენ არა გჯერა იმის სიტყვა? მე ვიცი, რომ შენ მღვდლები გეჯავრება.

– აი, ჩემო საყვარელო, მე აბბატ ლორენს რჩევასა ვკითხავ და ორივეს ერთად შევყრივ, იმასა და აბბატ დიუტილეილს.

– აბბატ ლორენსაო! – წამოიძახა განცვიფრებით ბოიემ.

– დიად, აბბატ ლორენს; შენ იმედი გქონდა, რომ შენს სიტყვას დავიჯერებდი და არ შევკრებდი ჯეროვანს ცნობებს. მე, სწორე გითხრა, პირმოთნე არა ვარ, და ყოველს სარწმუნოებას პატივსა ვცემ, რომელიც კი გულწრფელია და ბიწს არა ჰშველის. მე ეგ შენი აბბატი დიუტილეილი მეზიზღება, რადგან ღირსია ზიზღისა; მაგრამ აბბატ ლორენს კი პატივსა ვცემ, რადგან პატივისცემა შეჰჭერის.

– მე აბბატ ლორენს არ ვიცნობ, – სთქვა ბოიემ, – და ამიტომაც განვცვიფრდი, იმისი სახელი რომ წარმოსთქვით.

– შე საცოდავო, რაღასა სცრუობ, აბბატი დიუტილეილი დაჭერილია.

– დაჭერილია?! თქვენ დაიჭირეთ?

– იმან უნდა გამოაცხადოს აბბატ ლორენთან, რომ მან დედაჩემი აზიარა.

– აბბატი დიუტილეილი დედიშენის უკანასკნელს ჟამს მოვიდა; წინად ვიღაც სხვა მღვდელი იყო.

– ნუ სცრუობ. აბბატი ლორენი მოსულიყო უკანასკნელს ჟამს; დედიჩემის ექიმმა იცნო იგი, დედაჩემს ეთქვა იმ მღვდლისთვის, მთელს ჩემს ქონებას ჩემს შვილს ვუტოვებ და თუ ჩვენს ნათესაობაში საწყალი გამოჩნდება ვინმე და ღირსი შეწევნისა, ის შეუწევნელს არ დააგდებსო. მაგრამ აქ თავის გამართლების დრო არ არის. გინდოდა შენი დაჭერის მიზეზი შეგეტყო და აი, შეიტყე!

– წაიყვანეთ აქედამ, – სთქვა გიურემ.

ბოიემ დაუწყო თავის დეიდაშვილს წყევლა და გინება, მაგრამ მოხელეებმა დიდხანს იქ არ გააჩერეს.

– რა მომაგონებდა, რომ აქ ამდენ ნადირს შევხვდებოდი! აქ შეთქმულობა გაუმართავთ ფერანის წინააღმდეგ, ესენი ყველანი კაი ვაჟბატონები არიან, მაგრამ დიუტილეილს არც ერთი არ შეედრება. ეს ოთხჯერ თუ ხუთჯერ ჩამვარდნია ხელში.

– დიუტილეილი ვილაა?

– აბბატია, გაკრეჭილი, გადაყენებული, ყოველივე ავი ზნე მაგას სჭირს; რამდენჯერმე გვარის გამოცვლისათვის მღვდლის ტანისამოსის ტარება აღკრძალული აქვს. ამ სახლს რაღაც სხვა დანიშნულება აქვს; აქ უეჭველად ბევრი ავკაცობა უნდა იმალებოდეს, უნდა კარგად მოვჩხრიკო. ორი მოხელე აქ დავაყენოთ; მე კი წავალ, ვნახავ, რას მიბრძანებენ.

– ჩვენც წამოვიდეთ?

– დიად, თქვენ სხვა ახალის ეტლით გამოგვყევით უკან. თქვენ ორივე ახალგაზდები ხართ, მარჯვე და ღონიერნი. თუ იმ წყეულებმა გაქცევა მოინდომეს, ხელი მოგვაშველეთ. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ გუდარი ხელიდამ წაგვივიდეს.

პალიარი წავიდა შადის მოსამებნად და ჰნახა, რომ ის ერთს სურათთან იყო გაჩერებული.

– რა სურათებია აქა? – წამოიძახა შადიმ, – ზოგი ისეთი უწმაწურია, რომ შეხედვაც კი გეზიზღება.

გიურე მგონი მიჰხვდა, რის თავშესაფარი ბინა უნდა იყოს აქა. მაგრამ მარტო ბოიეს ნახვა არა კმარა, რომ კაცმა სთქვას, აქ ავაზაკებისა და გარყვნილების საბუდარი უნდა იყოსო.

ყველანი ძირს ჩამოვიდნენ; მოხელეებს ორი ეტლი ჰქონდათ; ერთში გუდარი ჩასვეს; მასთან ორი მოხელე ჩაჯდა; ხელებზედ ხუნდები ჰქონდა გაკეთებული. გუდარი ყურს არაფერს ათხოვებდა და თითქო დარწმუნებული იყო, მალე განმათავისუფლებნო. მეორე ეტლში ჩასვეს დიუტილეილი და ბოიე, მათთან ჩასხდნენ გიურე და ერთი მოხელე. მეოთხე მოხელე კოფოზედ დაჯდა.

შადი და პალიარი ახდილს ეტლში ჩასხდნენ. ეტლები გაემართნენ პოლიციისაკენ. გიურემ ორს პოლიციელს უთხრა: მაგ სახლს უყარაულეთ, შიგ ყველა შეუშვით, მაგრამ გარედ კი ჩემს მოსვლამდის ნურავის გამოუშვებთო. გიურემ ის სახლი, ერთის სიტყვით, თავგების მახედ გადააქცია.

მივიდა თუ არა პოლიციაში, გიურე შევიდა უფროს პროკურორის ოთახში. იმას არაფრად მოეწონა, რომ აქვე იყვნენ მათიე დიუტალი და ოსკარ ვერშემონი. ვერშემონი საცოდავი სანახავი იყო.

– ახალი ამბავი რა იცით? – ჰკითხა პროკურორმა.

– მე ვიპოვე ანდრე გუდარი, – უპასუხა გიურემ, – ის იმალებოდა ერთის მღვდლის სახლში, რომელსაც დიუტილეილს ეძახიან და რომელიც მოწმად იყო დანიშნული ლაკუეს ქუჩაზედ კაცისკვლის გამოძიების დროს. იმათთანავე იყო პოლიციის მოხელე ბოიე რომელსაც ის საქმე ჰქონდა მინდობილი. მე საეჭვოდ მეჩვენა მათი მეგობრობა და სამივე დავიჭირე.

– ძალიან კარგად გიქნიათ. თუ ეგ ბატონები ერთმანეთთან კარგად არიან. ეგ საქმე მართლა რომ საეჭვოა.

ეხლა ცხადი იყო, საქმე რად წავიდა ცუდად. იმ პოლიციის მოხელეს, რომელსაც საქმე ჩაბარებული ჰქონდა, ბრალდებულთან კავშირი ჰქონია და, რასაკვირველია, გამოძიებას სხვაფრივ წაიყვანდა. გიურემ რამდენისამე სიტყვით დაუხატა სახე ესრედ წოდებულის აბბატ დიუტილეილისა. ამ ამბავმა მათიე დიუტალი ძალიან გააკვირვა, რადგან რამდენისამე დღის წინად იმ მღვდელმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მასზედ თავის მშვიდობიანობის ჩვენებით. გიურემ უამბო აგრეთვე, როგორის ურცხვის სიცრუით მოეხსენებინა ბოიეს და ყველა დაერწმუნებინა, რომ ბანკის ქალაღებე, რომელთაც სასამართლო ეძებდა, ვითომ პალიარის დედას ეანდერძნა. ცხადი იყო, ამ სამს კაცს პირი შეეკრათ სიმართლის დასამალავად. არ იყო ურიგო შეეტყოთ, რა ჰხდებოდა დიუტილეილის სახლში; გიურეს მაშინვე მიანდვეს იმ სახლის დაწვრილებით განჩხრეკა.

– თუ ვნახე რამე, ვის უნდა შევატყობინო? – ჰკითხა გიურემ პროკურორს.

რამდენისამე წუთს ყველანი ჩუმად იყვნენ; ვერშემონი ტუჩებს იკვნიტავდა; მას უნდოდა თავის ალაგის ხელმეორედ დაჭრა, თავის შეცდომილება განახლებულის ცდით მოენანია და იმიტომ მოვიდა დღეს პროკურორთან. მათიე დიუტალიც დაჰპირდა შემწეობას. გიურე მოვიდა სწორედ იმ დროს, როცა საქმე კარად ჰთავდებოდა.

პროკურორმა მათიე დიუტალს შეჰხედა. გიურემ შეჰნიშნა ესა და წარბი შეიჭმუხვნა; იგი მივიდა ვერშემონთან და დაბალის ხმით უთხრა:

– მე არაფერი არა მითქვამს რა თქვენს წინააღმდეგ. რადგან ისედაც მწუხარება გადგათ... მაგრამ, თუ ამ საქმეს კიდევ ხელს მოჰკიდებთ, მე ჩემს მოვალეობად ჩავსთვლი, უარი ვთქვა თქვენთან სამსახურისა და, რასაკვირველია, მიზეზსაც გამოვაცხადებ.

ვიდრე გიურე ამას ელაპარაკებოდა ვერშემონს, მათიე და პროკურორიც ერთმანეთს დაბალის ხმით ელაპარაკებოდნენ. მათიე სცდილობდა, რომ იმის ახალგაზდა მეგობრისთვის კიდევ ჩაებარებინათ ამ საქმის გამოძიება.

– გთხოვთ დიდის თხოვნით, ამ საქმეს თავი დაანებოთ, – ჩურჩულით ეუბნებოდა გიურე ვერშემონს, – თავი დაანებეთ, თუ გიყვართ იზა, რომელსაც ჩვენ დამნაშავედა ვრაცხავთ. თქვენ, თქვენდა უნებურად, იმის მხარეს დაიჭერთ და არ მოისმენთ ჩემს მოხსენებას, რომელიც კი მას შეეხება. თუნდა კიდევ მისი სიყვარული გულიდამ ამოფხვრილი გქონდეთ და გძულდეთ, გეზიზღებოდეთ ის ქალი, მაინც მართლის გულით ვერ განსჯით. თუ თქვენ ამ თანამდებობას კიდევ მიიღებთ, მაშინ მე უნდა გამოვაცხადო, რომ თქვენ იყავით საყვარელი იმ ქალისა, რომელსაც ჩვენ ბრალსა ვდებთ.

ვერშემონი ფანჯარასთან მივიდა, ეტყობოდა რაღაცის მოსაზრება უნდოდა. გიურემაც უკან დაიწია და უძრავად ელოდდა გარდაწყვეტილებას. პატარა ხანს უკან პროკურორიც დაჰყაბულდა.

– თქვენ გარდაწყვეტილი გაქვთ, ბატონო ვერშემონო, რომ მართლ ამ საქმეს დაადგეთ?

გიურე თვალგაშტერებით უცქეროდა ვერშემონს, რომელმაც ძალდატანებით უპასუხა პროკურორს:

– ბატონო პროკურორო, მე ეხლა სხვაფრივ მოვიფიქრე. დიდადა გმადლობთ თქვენის კეთილის გულისათვის და გთხოვთ სიმართლის დასაცავად სხვა გამომძიებელი ამოირჩიოთ. ამ ამბების შემდეგ შეიძლება მოფერებით მოვიქცე, გთხოვთ ისევ ჩემი თანამდებობა მიბოძოთ და სხვა საქმეში გამომცადოთ. მე ჩემს გასამართლებლად მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ მოვსტყუვდი ერთის მოხელისაგან, რომელმაც განგებ ტყუილი ამბები შემიკრიბა. იმან მზრუნველობა გამოუჩინა სამართალში მისაცემთა პირთ.

– მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენის გარდაწყვეტილების, – უთხრა პროკურორმა, – თქვენ სხვა საქმეს მოგანდობენ.

გიურე მაშინვე წავიდა დიუტილეილის სახლის გასაჩხრეკად.

პროკურორის სახლიდამ რომ გამოვიდნენ, დიუტალმა უქო ვერშემონს მისი გარდაწყვეტილება. ეს იყო საუკეთესო ღონისძიება მის ეხლანდელს მდგომარეობაშია.

ქალაქში იმ საღამოს ბევრს ჰლაპარაკობდნენ, “ახალგაზდა ცოდვილთ ზნეობის გასასწორებელ თავშესაფარ ბინაზედ” და იმის შესახებ, რომ იმ სახლში ბევრი ხალხი დაეჭირათ; საქმე ისე სამარცხვინო იყო, რომ, როცა სასამართლოში იქნება გარჩეული, კარები ჩაკეტილი უნდა იყოსო.

გიურემ იმ საღამოზედვე ჰნახა ახალი გამომძიებელი, რომელმაც შეატყობინა, რომ გამოკითხვა ხვალ ვეღარ მოჰხდება, ახალს ბრძანებამდე უნდა გადიდოსო. უმთავრესს ბრალდებულს, გრაფინია იზა ზინსკისას ეთხოვნა, რომ პირდაპირ უფროსმა პროკურორმა გამომკითხოსო, და ამ თხოვნაზედ დასთანხმებულიყვნენ. გიურე შეწუხებული გამოვიდა გამომძიებლის სადგურიდან.

– საკვირველია ეს ამბავი, – სთქვა იმან, – ეტყობა კიდევ საქმის გაჭიანურებას აპირებენ. უეჭველია, დამნაშავედ აღარავინ არ გამოჩნდება.

IX

ლაკუეს ქუჩაზედ კაცისკვლის საქმე

გიურეს სულ ის აწუხებდა, რომ თანდათან იზას უფრო მეტს პატივსა სცემდნენ, თუმცა კი თავის თავს ანუგეშებდა: მე ჩემი მოვალეობა შევასრულეო. ორს დღეზედ იმან იპოვნა დამნაშავენი, რომელთ მოძებნა მინდობილი ჰქონდა. გარდა ამისა შეიტყო, რა იყო მართლა ის ”თავშესაფარი ბინა ჭემმარიტების გზიდან გადახვეულთ მოსარჯულებლად”.

მეორე დღეს, როდესაც გიურე სასამართლოში მივიდა, მას შეატყობინეს, რომ იზასთან მნახველი მნახველზედ მოდიო. უცხო-ქვეყნელები სხვადასხვა ბარათების შემწეობით მოდიან მასთან და ცალკე ოთახში ებასებიანო. როდესაც

იზა უფროსს პროკურორთან დაეხარებინათ, თან ყარაული არ გაეტანებინათ, და პროკურორს, შემდეგ ბაასისა, გაეცილებინა ის ნახევარ დერეფნამდე. გიურემ შეიტყო აგრეთვე, რომ იზა მხოლოდ თავის სურვილით რჩებოდა ციხეში; რომ მოენდომებინა, წუთსვე გამოუშვებდნენ. გიურე ამ ამბებზედ ტუჩებს იკვნიტდა და შუბლს იღუშავდა. იქნება რამე შეცდომა მომიხდა გამოძიების დროსაო?

იზას ამხანაგი გუდარი კი საიდუმლოდ ჰყვანდათ დამწყვდეული. ყარაულსაც კი უშლიდნენ მასთან ლაპარაკს და იმის ყურის გდებას.

აქ რაღაც ამბავი იყო და გიურეს კი ვერა გაეგო რა. ვერშემონი აქ არაფერს შუაში იყო; გამომძიებელი სირცხვილისა თუ მწუხარებისა გამო სასამართლოში ფეხსაც აღარ ადგამდა.

ორი უფრო წუწკი დამნაშავე, ბოიე და დიუტილეილი მეორე ციხეში გადაიყვანეს და თან მათი თანაზიარები გაატანეს.

გიურემ შეიტყო, რომ გუდარი და იზა ერთმანეთს პირში უნდა დაუყენონ ლაკუეს ქუჩაზედ, იქ სადაც კაცისკვლა მოჰხდა. მამ ეტყობოდა, რომ თუმცა იზას ზრდილობიანად ექცეოდნენ, მაინც ბრალეულად სთვლიდნენ. გიურემ ამითი მაინც ინუგეშა: მე ჩემი ვალი, მხოლოდ ჩემი ვალი შევასრულო.

მართლა-და, რაღაც ამბავი იყო. ძლიერის სახელმწიფოს ელჩმა იზას დაჭერის მეორე დღეს მოინდომა მისი გამოშვება და თავდები წარმოადგინა. მაშინვე გამოუცხადეს იზას, რომ, როცა კი გინდა, შეგიძლიან ციხიდან გამოხვიდეთ, მაგრამ იზამ თვითონვე არ მოინდომა. მას დაუნიშნეს ცალკე ოთახი; სადილი შინიდან მოჰქონდათ და სამსახურისთვის მისი საყვარელი გოგო ჟუსტინა მიუჩინეს. იზა ციხეში ისე იყო, როგორც თავის სახლში.

იზა მიიწვიეს პროკურორთან. მორთულ-მოკაზმულმა გაიარა გრძელი დერეფნები, რომელნიც სასამართლოსა და ციხეს შუა იყვნენ. თან ყარაული მისდევდა გზის მასწავლებლად და არა საყარაულოდ. უფროსი პროკურორი ფეხზედ წამოდგა, სავარძელი უთავაზა, სთხოვა დამჯდარიყო, მწერალი გაისტუმრა და ღიმილით უთხრა:

– თქვენ ისეთი ძლიერი მფარველები გყავთ, ჩემო ბატონო, რომ ვერც კი მომიხერხებია საქმეზედ ლაპარაკის დაწყება. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენ მხოლოდ თქვენის სურვილისა გამო ხართ კიდეც ციხეში...

– დიალ, და აი ორის სიტყვით მოგახსენებთ მთელს საქმეს, მაგრამ ჯერ ნება მომეცით ამდენის ყურადღებისათვის მადლობა მოგახსენოთ... ერთის კანცელარიიდან საჭირო ქაღალდები მოეპარათ; იმის ქურდი გამოდგა ერთი ქალი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ერთს დიდის თანამდებობის მქონე კაცთან, ეს უკანასკნელი უეცრად გადაცვლილიყო ერთს ღამეს, როდესაც ის ქალი მასთან იყო. ქალი მაშინვე სხვა ქვეყანაში გაეგზავნათ და არც ფულები მიეცათ, რომელსაც ჰთხოვლობდა. უცებ გაისმა ხმა, რომ ის ქაღალდები ეყიდნათ იმ პირთ, რომელთათვისაც ისინი გამოსადეგნი იყვნენ. მაშინ იმ ქაღალდების კანონიერ პატრონთ მოენდომებინათ მათი დაბრუნება და მოსულიყვნენ საფრანგეთში, სადაც ის ქალი წამოსულიყო. გვიანდა იყო: ქაღალდები გაყიდული დახვდათ... ყიდვით რომ ვეღარ იყიდეს, გადაწყვიტეს სხვა ღონისძიებით შექენა... ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

– ეს ქალი იყო ელლა მედანი. მე იმის მეგობარი ვიყავ, დიდი ფული შემომამძლიეს, თუ იმ ქაღალდებს ხელში ჩაიგდებო... მე უარი ვთქვი... მეუბნებოდნენ: – თქვენ იმის მეგობარი ხართ, სადილად დაათვრეთ და ის ქაღალდები ხელში მოიგდეთო.

– მესმის...

– თქვენ ღიმილზედ გატყობთ, რომ ჰფიქრობთ: “ეგ პატიოსნება როდიაო!” მაგრამ კიდეც ამის გამო გმადლობთ თქვენის თავაზიანის ქცევისათვის. თქვენ ხომ მოგეხსენებათ, ვინცა ვარ, და იცით კიდეც, რომ მხოლოდ ჩემისთანა ქმნილებას ელაპარაკებიან ამგვარად. მაინც მე უარი ვთქვი. საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა; უნდა ეპოვნათ ვინმე. მაშინ მე შევხვდი იმ უბედურს, რომელსაც უწინაც ვიცნობდი; საშინელს გაჭირვებულს ყოფაში იყო. მე ის მიყვარდა, რადგან მშვენიერება რამ იყო, და თან მრცხვენოდა ამ სიყვარულისა, რადგან სილამაზეს გარდა სხვა არა ებადა რა.

– ვისზედა ბრძანებთ მაგას?

– ანდრე გუდარზედ, რომელსაც “ჯაგლაგს” ეძახიან.

– განაგრძეთ.

– იმას არც სახლი ჰქონდა, არც ფული, არც ტანისამოსი... არც ზნეობით იდგა მაღლა... ყველაფერი გამოუვიდოდა ხელიდამ. ის რომ დავინახე, მომაგონდა, რაც მითხრეს და შემდეგ საქმე დავიწყე; მეც ფული მიჭირდა; ვალები მაწუხებდა. მე ვუთხარი გუდარს, რომ ამ საქმისთვის მოეკიდნა ხელი; მე თუმცა მომქმედ პირად არ მინდოდა ყოფნა, მაგრამ მოგებაში კი წილი უნდა დაედო. დიდძალი ფული შემოგვამძლიეს: ასი ათასი ფრანკი. მე ნახევარი მოვთხოვე; ის დაჰყაბულდა. მე უნდა მიმეღო ფული და იმისათვის უნდა გადამეცა... პირობა შევკარით.

– მაშინ თქვენ დააწყეთ, – უთხრა პროკურორმა ზიზლით, – მოგეკლათ ის ქალი და იმას უნდა შეესრულებინა?

იზამ შეჰნიშნა ცუდი შთაბეჭდილება, თავი მაღლა აიღო და მკვახედ წარმოსთქვა:

– არა. აკი გითხარით და კიდეც გიმეორებთ, რომ დამნაშავე არა ვარ.

– უკაცრაოდ, სიტყვა გაგაწყვეტინეთ.

– მაშინ მე ასე მოვიქეცი: ჯერ ხუთასი ფრანკი გავუგზავნე, რომ რიგიანად ჩაეცვა. ის ძალიან ლამაზი იყო; ელლა კი სხვა ყოფა-ქცევის ქალი იყო, უფრო გრძნობას მისდევდა, ვიდრე გულს; გუდარს უნდა ლეა მედანის გული მოეგო – ელლა, ლეა სულ ერთია – და ისე მიეზიდნა, რომ ლეას იმისაგან აღარაფერი არ დაემალნა; მაშინ შეემლო ქაღალდების ხელში ჩაგდება. ხომ მოგახსენეთ, ქაღალდები მოპარული იყო, თუ დაუბრუნებდა თავიანთ პატრონს, მივიღებდით ასი ათასს ფრანკს; ნახევარს იმას მივცემდი.

– მაშ მხოლოდ ეგ ლაპარაკი და პირობა იყო თქვენს შორის?

იზა წამოდგა, ხელი გაიშვირა და მძიმედ წარმოსთქვა:

– ვფიცავ ყოვლად ძლიერს ღმერთს!

– მასუკან?

– მასუკან მე ხშირად ვხედავდი ელლას და ველაპარაკებოდი ჩემის საყვარელის გუდარის მშვენიერებაზედ. მე ვიცოდი, რომ იმას უყვარდა

საყვარლების წართმევა. ერთხელ ელლა ვახშმად დავპატიჟე და გუდარსაც ვუთხარი, ვითომდა მოულოდნელად მოსულიყო. საქმე რიგიანად წავიდა. მე, როგორც სახლის პატრონი, რამდენჯერმე გავედი მეორე ოთახში ორის-სამის წუთით და იმათ მარტო ვტოვებდი. ელლა რომ წავიდა, მე ვკითხე გუდარს, ხომ არა გითქვამს რა მეთქი? ხვალ საღამოზედ მე მასთან ვიქნებიო. გუდარი იმის საყვარელი გაჰხდა; მე აღარც კი მინახავს იგი. ან ლეა როგორ მოითმენდა ამას? როცა კი შევხვდებოდი, ყოველთვის ქაღალდებს ვაგონებდი. ერთს საღამოს მთხოვა ელისეის მინდორზედ კონცერტში მივსულიყავ და თან ორი ბოთლი შამპანური ღვინო და ფული წამეღო. ორივენი იქ მოვიდნენ, ლეა მთვრალი იყო; არც კი უნდოდათ იმისი შემოშვება. ანდრე ერთს წუთას მოვიდა ჩემთან და მითხრა: “მე ვიცი, ქაღალდები საცა არის; ამაღამვე ხელთ მოვიგდებ და ხვალ განთიადისას ჩავაბარებ, მელოდებოდე. შენგან მოტანილი ორი ბოთლი შამპანური ღვინო ამ საქმეს სულ ბოლოს მოუღებსო”. “მერე შენ ნურაზედ შესწუხდები, – ვუპასუხე მე, – როდესაც ქაღალდებს ხელთ იგდებ, მერე დამალვაც კი არ დაგჭირდება, ის შენ კვალში არ ჩაგიდგება”. იმან მწარედ გაიღიმა და მე კი იმ ღიმილს მაშინ ყურადღება არ მივაქციე. “მაგის ფიქრი სრულებით არა მაქვს, – მითხრა იმან, – ის კვალში ვეღარავის ვეღარ ჩაუდგება... ხვალ, იზა, ჩვენ მდიდრები ვიქნებით”. ეს რომ სთქვა, მაშინვე თავის საყვარელთან დაბრუნდა.

– ეგ როდის იყო?

– ცხრამეტს ივნისს, საღამოს.

– იმ ავკაცობის წინა-ღამეს?

– დიაღ.

– განაგრძეთ, – უთხრა პროკურორმა და ეტყობოდა, რომ დიდის გულისყრით ისმენდა ამ ამბავს.

– მე დავბრუნდი იმ პირთან, რომელმაც კონცერტში მიმიყვანა; მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ხვალ ქაღალდებს გადმომცემს და მეც პატრონებს ჩავაბარებ-მეთქი.

– ვისთან დაბრუნდით?

– თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ მე არ შემიძლიან მაგის პასუხი მოგცეთ, – მედიდურად უთხრა იზამ. – მე მასუკან, – ვითომდა ვერ შეამჩნია პროკურორის სირცხვილეული სახე და განაგრძო: – ძლივს-ძლივობით შევისრულე ჩემი სურვილი; ეხლა შემემლო მოვალეთა ხროვასაგან თავი დამეხსნა. მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა: ქაღალდების პატრონებისათვის დაბრუნება უეჭველად განაშორებდა ლეასა და გუდარს; ლეა მონახავდა დამნაშავეს, შეიტყობდა, რომ მე მოვახერხე ეს საქმე და ერთს სირცხვილს მაჭმევდა. თუმცა კანონიერად მართალი არ ვიყავ, მაგრამ სინიდისი კი წმინდა მქონდა და სასამართლოსი არ უნდა მშინებოდა. მე უსამართლობით სიმართლე მოვიპოვე. მე გვიან დავბრუნდი შინ: კონცერტის შემდეგ ყავახანაში შევედით პურის საჭმელად; ღამის სამი საათი იყო. შინ რომ მიველ, ტანისამოსი გამოვიცვალე, ტანი დავიბანე და ის იყო დაწოლას ვაპირებდი, როცა ზარის ხმა შემომესმა. ჟუსტინამ კარი გააღო და გუდარი შემოიყვანა. მე შევხედე მას და თითქო თვალებითა ვკითხე – გაარიგა საქმე და ქაღალდები მომიტანა, თუ არა? სახეზედ შემლილი იყო: მთვრალსა ჰგვანდა;

ნაცრისფერი დასდებოდა, შუბლზედ ცივი ოფლი სდიოდა. მე ვკითხე – რა ჰქენი-მეთქი? იმან მანიშნა, გოგო დაითხოვეო. გოგო გავიდა; გუდარმა ყველა კარები გაშინჯა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, მერე მოვიდა და ყრუდ მითხრა: “გავათავეო!” “ქალაღმბები მანდა გაქვს?” – ვკითხე. “აგერა!” – გაიხსნა დოშლული და ამოიღო. “მლივს!” – წარმოვთქვი მე მხიარულად. ქალაღმბები პორტფელში ეწყო; მე გადავშინჯე და დავუმაღლე გუდარს. ის აღელვებული იდგა და ხმას ვერ იღებდა. ეტყობოდა, რაღაც ამბავი მომხდარიყო. ხომ ძალით არ წაართვა და ლეა უკან არ მოსდევს? ხომ არ ეშინიან, რომ ლეამ აქ არა ჰნახოს, ჩემთან? მე ვკითხე გუდარს, რა მოხდა, რომ აგრე აღელვებული ხარ-მეთქი? იმან სულელურად შემომხედა მე და პასუხი არ მომცა. მე ხელმეორედ ვკითხე. საშინელი უბედურება მოჰხდაო, მიპასუხა იმან. “რა ამბავია, სთქვი ჩქარა!” “ლეა მოკვდაო”. – “რას ამბობ”, – ვკითხე მე შეშინებულმა. იმან სხაპასხუპით ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებსა ჰყლაპავდა, თითქო ეშინოდა სიტყვა არ გამაწყვეტინონო. “შენ ხომ კარგად იცნობდი იმას; შენ იცი, რარიგად უყვარდა სხვადასხვა სიყვარულის წამლების სმა, რომელნიც სისხლს აღელვებენ, ახალს სიცოცხლეს აძლევენ ადამიანს, გონებას აკარგვინებენ; იმან ის წამლები შეურია შამპანურ ღვინოში და მითხრა. ეს უკანასკნელი ღამეა შენის მარტოხელობისა, უნდა მხიარულად ერთმანეთს გამოვეთხოვოთო”. მეორე დღეს გუდარის ქორწილი იყო დანიშნული; ამასაც გაიმბობთ. გუდარმა მიაგზო, რომ მამალებდაო, გინდა თუ არა, შენც დალიეო, მე ტყუილად მივიყუდებდი ხოლმეო ჭიქას, რადგან გონების დაკარგვისა მეშინოდა. იმას შეენიშნა ესა, ჰგონებოდა, რომ ეშინიან წამლისაო, მთელი მინა ბოთლში ჩაესხა, ერთი-ერთმანეთზე სამი ჭიქა დაელია და სიცილით ეთქვა: “ჰხედავ, რომ ეს საწამლავი არ არის; უფროდაც გამამხიარულაო”. სრულებით დათვრა, გაშიშვლდა, საწოლს ტახტს მოებლაუჭა, დაწოლა უნდოდა, მაგრამ ხალიჩაზედ დაეცა და სთქვა: “ანდრე, მიშველე რამე, მეძინებაო”. გუდარი მივარდნილიყო ასაყვანად, მაგრამ ხელში უსულო გვამი შერჩენოდა. მე ტანში ჟრუანტელმა გამირბინა და შეშინებულმა ვუთხარი გუდარს: “უბედურო, შენ მოჰკალი ისა?” ის წელში გაიმართა, თითქო ცილისწამება, შეურაცხყოფა მივაყენე, თვალებში სიცოფე გამოსჭვიროდა, მაგრამ მე ყოველგვარის შეხედულობის ატანა შემიძლიან. თვალი გაუშტერე და მინდოდა შემეტყო, რა ედო გულში. ეს იმან ვეღარ აიტანა; შუბლი და ლოყები გაუწითლდა; თვალები დაეხუჭა, ტუჩები მოეკუმა და ძირს დაჰკიდა თავი. მაშინ მე გავიმეორე: “რა გიქნია, შე უბედურო? შენ მოგიკლავს საწყალი!” “მართალია”, – მითხრა იმან ყრუდ: “რომ არ მომეკლა, ვერაფერს მივიღებდი!” მე ზარი დამცა ამ ამბავმა, დავეშვი დივანზედ და არ მინდოდა დამეჯერა, რაც გავიგონე. მე ვიცოდი, რომ ანდრე გუდარი უნამუსო იყო, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ხელიდამ კაცისკვლა გამოუვიდოდა. მიმიხვდა ის ჩემს აზრს და ეცადა თავის დანაშაული ჩემზედ შემოეგდო. ის მეუბნებოდა: როდესაც ეგ საქმე მომანდე, შენა მკითხე, ყველაფერზედ თავი გადადებული გაქვს თუ არაო, და დამწამა სხვა ამგვარი სიცრუვე, რომელზედაც მე პასუხი არ მივეცი. მე გავქვავდი: მე არა მჯეროდა, რომ ამ ყმაწვილმა კაცმა, ესეთმა ახალგაზდამ, ესეთმა მშვენიერმა მოჰკლა მშვენიერი ქალი, რომელსაც ეს ღმერთად მიაჩნდა. აღარ მახსოვს, რომელმა მისმა შეურაცხყოფამ დამიბრუნა ჩემი გონება; მგონი, მაშინ მოვედი გონზე, როდესაც

იმან შემომადგლია ზოგიერთი ნაქურდალი ქონება ელლასი... იმას მოეცაღნა იმ დღემდე, როდესაც ელლას უნდა აელო ზანკიღამ მთელი თავისი ფული; ორიგ ერთად წასულიყვნენ ზანკში და იმ კაცს დაეშალა ელლასთვის ფულის მიტანა იმის სადგურში ბირონის ქუჩაზედ. იმან დამიწყო რაღაც ლაპარაკი ასორმოცდაათ ათას ფრანკზე და სხვა ძვირფას ნივთეულობაზედ. მე ეს ლაპარაკი საშინლად შემეზიზღა და შევეყვირე: “მომშორდი, შე ბედშავო, მომშორდი და მადლობელი იყავ, თუ შენის ავკაცობის დამალვას მოვითმენ”. მაშინ იმან გამოიჩინა თავისი სილაჩრე: ფეხქვეშ ჩამივარდა და მარწუნებდა, რომ ჩემის ერთგულობისათვის ჩაიღინა ის საქმე, რომ მე იმას საშინლად ვუყვარდი და ჩემის გულისთვის მზაა თავი დადოს; იმას ეგონა, რომ ვითომ მე მინდოდა მეტოქე თავიღამ ამეციღნა. ამ დროს ამიღო იმან მოპარული ძვირფასი ნივთები და წინ დამიწყო; მთხოვდა დიდის თხოვნით, მიმეღო ეს ნივთები. იმ სანახავის გამოთქმა ენით შეუძლებელია; ბოლოს მე დავითხოვე ის სახლიღამ, მხოლოდ სიტყვა მივეცი, რომ არ გავამხელიდი; ამ სიკეთის მეტი აღარა შემეძლო რა.

– ქალღდები ხომ მაინც არ დაგიბრუნებიათ; ისინი თქვენთან იპოვნეს.

– ყველაზედ საჭიროები ელლას გაეყიღნა; სხვებში კი არა მომცეს რა, რადგან დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდათ რა.

– მაშ იმ კაცისკვლას თქვენთვის არაფერი სარგებლობა მოუტანია.

– მე მაინც აღარაფერი მეჭირვებოდა და იმ საშინელის საქმის შემდეგ მაინც ხელს არაფერს მოგვიღებდი, და გუღარს კი კარგად ფული წაეღო, ინგლისში რაღაც ღირსების ყიღვა უნდოდა და იქვე გაჰყიღა ბევრი ძვირფასი ნივთი.

– იმ ძვირფასს ნივთებსა და მოკაზმულობაზედ რაღას ბრძანებთ, რომელნიც თქვენს სახლში აღმოჩნდნენ ქალღდებთან ერთად და რომელნიც ოქრომჭედელს ლეა მეღანისთვის მიეყიღნა?

– აკი მოგახსენეთ, რომ იმავე დიღას ის უბედური წავიღა ჩემის სახლიღამ და იქვე ჩემს ფეხთით დატოვა ხალიჩაზედ რამდენიმე ძვირფასი ნივთი. ეს ის ნივთები არის. მას შემდეგ მე გუღარი აღარ მინახავს.

– ჩვენ უნდა ბრძანება ავასრულოთ, – უთხრა პროკურორმა, – ცხადია, რომ თქვენ დამნაშავე არა ხართ, მხოლოდ ცოტაოდენი პასუხისგება თქვენც გაწევთ ამ საქმეში. მაინც მე მზადა ვარ ყოველივე თქვენი სურვილი აღვასრულო. გნებავთ, ეხლავე განგათავისუფლოთ?

– არა, მე ჯერ მინდა დამნაშავე გამოვამკარავო; გთხოვთ პირისპირ დამიყენოთ და იმის წინ განვიმეორობ, რაც ეხლა გითხარით. მე სხვა საბუთებზედაც მიგითითებთ.

– ჩვენ ის მოწამლულის სახლში წავიყვანოთ.

იზას ჟრუანტელმა გაურბინა, მაგრამ თავი შეიღაგრა და განაგრძო:

– გთხოვთ, იქ ერთმანეთი პირში წავიყენოთ.

– ბატონი ბძანღებით.

– მასუკან კიღევ ამასა გთხოვთ, რომ ნება მომცეთ ვნახო და ბოღიში მოვთხოვო იმ კაცს, რომელიც ღირსია თანაგრძნობისა, მაგრამ რომელსაც ჩემგან საქმის დაფარვის გამო ბევრი უსიამოვნება მიადგა.

– ვისზედ ბრძანებთ მაგას?

– მორის ფერანზედ.

პროკურორს გაუკვირდა ამგვარი სურვილი იზასი და არა სჯეროდა იმისი გულწრფელობა.

– ეგ ძალიან ძნელია. მორის ფერანის გამოშვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გუდარს დაწვრილებით გამოვკითხავთ და სრულებით გულს დავაჯერებთ, რომ იმას ლეა მედანის მოკვლაში მონაწილეობა არა მიუღია რა.

– საცოდავი! ის აგერ ოთხი თვეა ციხეში ზის და ისე ექცევიან, როგორც კაცისმკვლელს.

– თუ ხვალ, პირისპირ რომ დაგაყენებთ, გუდარი აღიარებს თავის დანაშაულს, ფერანს მაშინვე გამოვაშვებინებ.

– მაშ გთხოვთ, მაგ ამბის მახარობლად მე თითონ გამხადოთ; იმედი მაქვს, ხვალ პირში წაყენების შემდეგ თავისუფალი ვიქნები.

– კარგია, რომ წინდაწინვე მითხარით თქვენი სურვილი. ეხლა მოვითხოვ მაგის ნებას.

იზამ წასვლა დააპირა, მაგრამ პროკურორმა კიდევ ჰკითხა:

– თქვენ მგონია ბრძანეთ: ხვალ ქორწილის დღეა... ამას მასუკან გიამბობთო...

– მე აკი მოგახსენეთ, რომ ერთხელ სიგიჟესავით რაღაც დამემართა და მე გავხდი გუდარის საყვარელი; მასუკან მოსვენებას არ მამლევედა და მრცხვენოდა ჩემის საქციელისა. ერთხელ ის მოვიდა ჩემთან მძიმეს საქმეებში გაბმული დ ამე ვურჩიე, თუ ამ საქმეს მოჰკიდებ ხელს, განთავისუფლდები-მეთქი. ის ყველაფერზედ დამთანხმდა; მე ვუთხარი, ფული რომ მიიღო, უფრო მშვიდობიანად უნდა იცხოვრო-მეთქი. ამაზედ იმან მიპასუხა, მე ეხლა ცოლის შერთვას და პატიოსან ცხოვრებას ვაპირებო. მე მინდოდა დამეხსნა იმისგან თავი და წავაქეზე; ამ საქმისთვის ფულიც ვასესხე. როდესაც ვთხოვე ფულის დაბრუნება, მითხრა, რომ საქმეს მოვახმარე, ერთს კაცს ვასესხე, რომლის ქალზედაც ჯვარი უნდა დავიწეროვო და რომლის სახლშიაც ეს ორი წელიწადია დავდივარო. ამით მე მინდოდა ელლასაგანაც თავი დამეხსნა და რიგიანად ხალხშიაც გავრეულიყავო. ფულები იმას მოეხმარებინა თავის სიმამრისთვის, რომელსაც ერთს საქმეში ამხანაგად გახდომოდა.

არც პროკურორმა, არც გამომძიებელმა ამ საქმისა არა იცოდნენ რა. პროკურორმა იცოდა, რომ გუდარი ორის წლის განმავლობაში სესხად ამლევედა ტიუსსოს ფულს და ორმა წელიწადმა გაიარა, რაც იზამ ხუთასი ფრანკი გაუგზავნა გუდარს; რომ გუდარი ერთი წელიწადი მეტი ითვლებოდა ელლას საყვარლად, როდესაც ლაკუეს ქუჩაში ეს მოეწამლათ. პროკურორმა არ იცოდა, რომ იზაც სტყუოდა და ჭეშმარიტებაზე შორს აყენებდა.

– ძალიან მოხარული ვართ, რომ თქვენი უბრალოება მამლევეს ნებას თქვენის განთავისუფლებისას და არა სხვა ბრძანებისას. მე ვწუხვარ, რომ ისე სწრაფად დაგატუსაღეს და, თუ გნებავთ, ეხლავე განგათავისუფლებთ.

– თქვენ არ მითხარით, ჯერ ბრძანება უნდა მივიღოვო?

– დიაღ, მაგრამ მე ნება მაქვს განგათავისუფლოთ მხოლოდ ზოგიერთის პირობებით.

– მე არ მესმის, რასა ბრძანებთ, – უთხრა აღელვებულმა იზამ.

– მე შემოდლიან ახალს ბრძანებამდე განგათავისუფლოთ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, იმ პირობით, რომ პარიზი დამ არ გახვიდეთ და, როცა კი დაგიბაროთ, მაშინვე გამოცხადდეთ.

იზამ ტუჩებზედ იკვნიტა და გაწითლდა. იმას თავისუფლება სხვარიგი ეგონა.

– მე მაგისტანა თავისუფლებას კი არ ველი პირში წაყენების შემდეგ, – სთქვა იმან.

– მესმის. მეტადრე ეხლა, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა, ჩვენ არა გვაქვს უფლება თქვენის დაჭერისა. მეც, მგონი, მაგისტანა ბრძანებას მივიღებ. ხვალ ჩიტსავით თავისუფალი იქნებით, – დაუმატა ღიმილით პროკურორმა და გააცილა დერეფნამდე, სადაც გოგო ელოდდა იზას.

მეორე დილას იზა ჩაჯდა ეტლში პროკურორის მწერალთან ერთად. ათის წუთის წინად გუდარიც ჩაესვათ ეტლში ორს მოხელეს შუა. ეტლები ლაკუეს ქუჩისაკენ წაიყვანეს.

ეტლიდამ რომ გამოვიდა, იზამ შეჰნიშნა მესამე ეტლი, რომელიც ელლას სახლთან გაჩერდა, იმაში ისხდნენ უფროსი პროკურორი და გამომძიებელი. იზამ დაინახა, რომ ლეა მედანის სახლის დარაბები ღია იყო.

მოსამართლენი, ბრალდებულნი და მოხელენი შევიდნენ ლეას სახლში. მხოლო ერთი მოხელე დააყენეს კარებთან.

იზა ზრდილობიანად დასვეს ცეცხლთან. პროკურორმა უთხრა, თქვენ აქ პატარა უნდა მოიცადოთ, ჯერ გუდარს გამოვკითხავთ და შემდეგ გთხოვთ, თქვენც ზევით ამობრძანდეთო.

– ბატონი ბრძანდებით, – უთხრა იზამ.

იზა საშინლად აღელვებული იყო: სახეზედ ნაცრისფერი ედო, თვალები უელავდნენ, ეტყობოდა, რომ საბრძოლველად ემზადებოდა.

გუდარი მეორე ოთახში ორს მოხელეს შუა იდგა. ციხეში ყოფნის დადი დასმოდა მის შეხედულობას; ის ელოდდა მოუთმენლად გამოკითხვას და გულგაუტეხლად იყურებოდა იმ ოთახისკენ, სადაც კაცისკვლა მოჰხდა და რომლის კარებიც ჯერ ჩაკეტილი იყო. პროკურორმა და გამომძიებელმა გააღებინეს ეს კარები, შეაყვანინეს გუდარი და დაიწყეს გამოკითხვა. გუდარი ეხლა თითქო გულმაგრად. გამომეტებულად იდგა. გამომძიებლის გამოკითხვაზედ ის პასუხს აძლევდა; პროკურორი თვალებში ჩასცქეროდა.

– გუდარ, თქვენ ეხლა იმ ოთახში ხართ, სადაც კაცისკვლა მოჰხდა, – უთხრა გამომძიებელმა, – აქ მოსწამლეს საწყალი ქალი, თქვენი სიყვარულით გატაცებული; გაფიცებთ, რომ მართალი სთქვათ; სასტიკმა გამომძიებამ დაამტკიცა, რომ 20 ივნისს ღამე აქ თქვენს მეტი არავინ შემოსულა. ლეა მედანი მომკვდარა, როცა თქვენ მასთან იყავით. მიაშბეთ როგორ იყო?

– მე იმასვე გეტყვით, რაც უწინაც მითქვამს. მე 20 ივნისს ღამე აქ ცოტა ხანს დავყავ; მე ადრე წავედი, რადგან მეორე დღეს ქორწილს ვეპირებოდი და არ მინდოდა შეეტყოთ, რომ ქორწილის წინა ღამე სხვაგან გავათიე; მე ლეა ქვეშსაგებში მხიარულად დავტოვე; იყო დილის სამი საათი, ან ოთხის ნახევარი; მე

იმისი სიკვდილი, რომელსაც უფრო შემთხვევას ვაბრალებ, კარგა ხანი გავიდა, მაშინ შევიტყე.

– მაშ თქვენ თქვენს სიტყვას ადგიხართ, რომ არა ხართ დამნაშავე?

– თუ გნებავთ, დავიფიცავ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა; პროკურორმა გამომძიებელს დაბლა ლაპარაკი დაუწყო. გიურე დააცქერდა გუდარს, რომელიც სცდილობდა აეტანა ეს დაკვირვება, მაგრამ ვერ შესძლო და იქით მიიხედა. ამ დროს გამომძიებელმა უთხრა გუდარს:

– თქვენ პირში წამოგიყენებენ ერთს ქალს, რომელთანაც აღიარეთ თქვენი დანაშაული.

გუდარს ტანში ჟრუანტელმა გაურბინა და გიჟსავით შეჰხედა მოსამართლეებს. – ეს რას ჰნიშნავს, – ჰფიქრობდა, – ვისზედ ამბობს გამომძიებელი? ვის წამომიყენებენ პირში? ვის გაუუმხილე დანაშაული? ეს ცილისწამებაა! რომელმა მოწამემ წარმოსთქვა ესა?

– თქვენ პირში წამომიყენებთ ერთს ქალს, რომელთანაც მე ვაღიარე ჩემი დანაშაული?! თქვენ რომ არ გეთქვათ, მე თვითონ მოგკითხავდით მაგას.

პროკურორმა ანიშნა და მისმა მწერალმა შემოიყვანა იზა. გუდარმა, იზა რომ დაინახა, განცვიფრება ვერ დამალა. თითქმის ყველამ გაიგო, რომ წაიბუტბუტა:

– იზა დაჭერილია!

ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ იზას იმედიღა ჰქონდა გუდარს, და ეხლა იზაც, იმისი დამხსნელი, დაჭერილია იმავე საქმის თაობაზედ. რა უნდა ექნა? როგორ უნდა დაეჭირა თავი? ორივენი დაღუპულნი არიან თუ არა? გამომძიებელმა გააწყვეტინა ეს ფიქრები.

– იცნობთ ამ ქალსა?

გუდარი ამ კითხვამ სულ არია. ის თითქო თვალებითა ჰკითხავდა იზას, რა ვუპასუხოო, მაგრამ იზა უძრავად იყო გაჩერებული. მხოლოდ ხანდისხან აკანკალდებოდა ხოლმე, როდესაც შეჰხედავდა იმ ქვეშსაგებს, სადაც ლეამ სული დალია, მაგრამ აქ გასაკვირველი არა იყო რა. სიკვდილის ფიქრიც კი აკანკალდებდა იზას.

გუდარმა თავის დაქნევით ანიშნა – ვიცნობო.

– ამასთანაც გაიმეორებთ, რომ ლეა მედანიის მკვლელი თქვენ არა ხართ?

– მაშ ეგ მაგანა სთქვა? – წამოიძახა თავზარდაცემულმა გუდარმა.

– თქვენ გამოუცხადეთ ამას, რომ მოსწამლეთ თქვენი საყვარელი, ლეა მედანი?

– შენა სთქვი?.. შენა სთქვი?

– მე ყოველისფერი გავამხილე, – წარმოსთქვა იზამ, – სულ ყველაფერი შენი ბრალია; შენ იცოდი და გაქცევა ვერ მოახერხე. მე ვუამბე, რომ შენ 21 ივნისს ჩემთან მოხველ აქედამ, სადაც ღამე ლეა მედანთან გაგეთენებია. ჩემი სახლი გაჩხრიკეს, იპოვნეს ქაღალდები და სხვაც ძვირფასი ნივთეულობა, რომელიც შენ დასტოვე და მე უნდა გამემხილა, ვინ მოიტანა ისინი იქა.

გუდარმა თავი ჩაჰკიდა, არ იცოდა, რა უნდა ექნა: გაემტყუნებინა იზა თუ დათანხმებულიყო. იქნება განთავისუფლების შემდეგ ჩემს საშველად იზრუნოსო,

გაიფიქრა იმან და შეჰხედა იზას თვალებში; მაგრამ იზა იმის ფიქრებს ყურს არ უგდებდა.

– შენ გამოხველი ლეა მედანის სახლიდამ, – განაგრძო იზამ, – და მოიტანე ქალაღებები. მე გკითხე, როგორ ჩაიგდე ხელში-მეთქი, და შენ მიპასუხე: ჯერ დავათვრე და მერე მოწამლული შამპანური ღვინო დავალევინეო... მაშინ მე საზიზღარი კაცი დაგიძახე და გითხარ: გადი სახლიდამ, თორემ დაგაბეზღებ-მეთქი.

გუდარმა არ იცოდა, რა ეპასუხნა; ის უცქეროდა იზას თვალებში, თითქო უნდოდა შეეტყო, ხომ კიდევ კომედიას არა ჰათამაშობსო. მაგრამ იზას ზიზღით შეხედვამ გაუმხილა მას ჭეშმარიტება. იმან იგრძნო, რომ იზას უნდოდა თავის თავის შველა და არავის დაჰზოგავდა დასალუპავად. სიბრაზემ გაუელვა სახეზედ, მაგრამ იზა გულმაგრად უცქეროდა გუდარს. გუდარი ძლივსა ჰსუნთქავდა, მუშტებსა ჰკუმავდა, ასე რომ გიურეს შეეშინდა, არ მივარდესო, და ახლო დაუდგა.

– ამაზედ რას იტყვით, გუდარ? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– რას გეტყვი? – ჰკითხა გუდარმა და წელში გაიმართა, – ბევრს არაფერს... დიად, მე მოვკალ ლეა მედანი, მაგრამ ორი მკვლელი ვიყავით, მე და იზა.

იზა აკანკალდა, სისხლი თითქო გაუჩერდა, კინაღამ წაიქცა, მაგრამ ვერავინ-რა შეამჩნია. პატარა ხანს უკან ისევ დამშვიდდა და ზიზღით უთხრა პროკურორს:

– აკი მოგახსენეთ.

პროკურორმა გაუღიმა და თითქო უნდოდა ეთქვა: – ნუ გეშინიანთ, ჩვენ ვიცით, საქმე როგორც იყო, ცილისწამებას არ დავიჯერებთ.

გამომძიებელმა, მწერალმა და გიურემ მხოლოდ ერთი რამ შეჰნიშნეს გუდარის სიტყვებში: დანაშაულის აღიარება. სამივემ ერთმანეთს შეჰხედეს, თითქო უნდოდათ ეთქვათ: ეხლა კი ჩვენს ხელშიაო!

გუდარმა შეჰნიშნა, რომ მისმა გამხელამ ვერ იმოქმედა ისე, როგორც იმას უნდოდა და გაცხარებით წარმოსთქვა:

– დიად, იზას რჩევით მოვიყვანე აქ ლეა, მაგისი მეგობარი; მაგისი ბრძანებით მოვწამლე შამპანურის ღვინით, რომელშიაც საწამლავი მაგან ჩაასხა. აი სიმართლე, თუ სიმართლეს ეძებთ!

– შენ ჩემი დალუპვა გინდა, – უთხრა იმან იზას, – მაგრამ ისა სჯობს, ორივე დავილუპნეთ: ორივემ ჩვენ-ჩვენი წილი სასჯელი მივიღოთ! – ამ სიტყვებმაც ვერ იმოქმედა იქ მდგომებზედ. გუდარმა შეჰნიშნა, რომ ყველა თანაუგრძნობდა მის თანამონაწილეს; ამან სულ გადარია გუდარი.

– თქვენ გინდათ სიმართლე შეიტყოთ, – განაგრძო გუდარმა, – და კი არა გჯერათ, როდესაც მართლს გეუბნებით. ახლა მე თქვენა გკითხავთ: თითონ თქვენ არ უწყობდით ხელს ამ დედაკაცს? თითონ თქვენ არ მოინდომეთ მაგისი შემწეობით ამ საქმის ჩადენა?

ამ სიტყვებზედ ყველანი აღელდნენ. გუდარმა დაინახა, რომ გიურემ რაღაც ანიშნა მოხელეებს, ეგონა შეკვრას მიჰირებენო, კუთხეში მიდგა და დაიყვირა:

– ნუ ინდომებთ ჩემს შეკვრას და პირში ბურთის ჩაჩრას; ვინც კი მომიახლოვდება, აქვე დავარჩობ!

გიურემ რაღაცის ძებნა დაიწყო ჯიბეში.

– ამ დედაკაცმა, – განაგრძო გუდარმა და ტუჩებზედ სიბრაზის დორბლები მოსდიოდა, – რომელსაც სხვარიგი კავშირი ჰქონდა ლეა მედანთან, მითხრა მე, – გაუსაყვარლდი, მოჰკალ, ქალაღდები და ნივთეულობა წამოიღე და ჩვენ გავიყოთო; ჩვენ ასი ათასი ფრანკი გვექნებაო. აი სიმართლე! შეგიძლიან დარწმუნებული იყო, რომ არა მოგივა რა; მე ვარ პასუხის გამცემიო. მეც დავუჯერე. მე კაცისმკვლეელი ვარ, მაგრამ ესეც ჩემი ამხანაგია. ორნივ ერთად გაგვასამართლეთ და აღარას ვიტყვი.

იზამ მედიდურად ზეზე აიხედა და ზიზლით წარმოსთქვა:

– დიდი ხანია, რაც ამათ ყოველისფერი ვუამბე, შენის დანაშაულისა რომ მეშინოდა. შენ რომ ჩემთვის ნამარცვი გაგეყო, მე არ გავყიდდი თითქმის ყოველს ჩემს ქონებას. ამ ბატონებმა იციან, მე რა მაცხოვრებდა, მაგრამ აბა შენ გვიბრძანე, ვინ მოგცა ის ოცი ათასი ფრანკი, რომელიც შენს სიმამრს მიეც და ან შენის ქორწილის დღეს მიტანილი ფული?

მოსამართლეებმა თავები გაიქნ-გამოიქნიეს, თითქო ეუბნებოდნენ გუდარს: – აბა რას იტყვიო? მაგრამ გუდარი გიჟსავით იყო; იმას თითქო აღარა ესმოდა რა. იზამ განაგრძო:

– რაც მაშინ გითხარი, ეხლაც იმასვე გეტყვი. მე გითხარი: შენ ღარიბი ხარ; ერთი საქმეა შესასრულებელი, რომელიც თუმცა ძნელია, მაგრამ ჩირქმომცხობი კი არ არის. ვილასაც მოუპარავს ბანკის ბილეთები და პატრონები საფრანგეთის პოლიციას სხვადასხვა მიზეზებით ვერ მიჰმართავენ, რომ ეს ქალაღდები მოამებნინონ. თუ იმ ქალაღდებს ხელში ჩაიგდებ, ასი ათას ფრანკს მიიღებ-მეთქი. ტყუილია თუ?

– მართალია. მერე?

– მე გითხარი: “იმ ქალს გაგაცნობ-მეთქი. შენ ლამაზი ხარ, გაჰხდი იმის საყვარელი და ისე მოახერხე, რომ ან თითონ მოგცეს ის ქალაღდები, ან თითონვე ჩაიგდე ხელში”. ესეც ხომ მართალია?

– შენ ესეც მითხარი “მაშ, შემიძლიან იმ ქალაღდის პატრონებს ვუთხრა, რომ იმ კაცს, რომელიც ამ საქმეს ჰკისრულობს, ფული ეჭირვება და ყველაფერზედ მზად არის-თქო?” მე დავყაბულდი. შენ დაუმატე: “თუ საჭიროება იქნება, შენ შეგიძლიან მოჰკლა ის, ვინც კი გზაზედ გადაგელობება?” მე მაგაზედაც დავთანხმდი. ტყუილია თუ?

იზამ უარი სთქვა ამაზედ და განაგრძო.

– არა, ეგ ტყუილია! მე ისე მიყვარდა ლეა მედანი, რომ მაგისთანა საშინელი აზრი ვერ გამივლიდა თავში და სხვას იმიტომ მივანდე იმ ქალაღდების მოპოება, რომ არ მინდოდა მე და იმის შუა მტრობა ჩამოვარდნილიყო რამე.

იზას დამშვიდებულმა კილომ, მისმა ვითომ-და მართალმა სახემ გუდარი მოთმინებიდამ გამოიყვანა. ის გაგიჟებულს ხარსავით იყურებოდა აქეთ-იქით და თითქო აპირებდა რქებზედ მტრის აგებას.

– მერე თქვენა გჯერათ ესა, – დაიღრიალა იმან, – გჯერათ ესა? გავათავოთ! თუ თქვენ არ გინდათ ჩემ მაგიერ გარდაახდევინოთ, მე თითონ გადავახდევინებ.

ის მივარდა იზას, მაგრამ გიურეს თვალი იმისკენა ჰქონდა. დააპირა თუ არა გუდარმა იზას ყელში წავლება, გიურე მივარდა და ერთმანეთს შეეჭიდნენ.

მოსამართლეები შეშინებული კუთხეში მიიმალნენ, იზა ტახტს ამოეფარა; მოხელეები თავის უფროსს მიემშველნენ, მაგრამ გიურე განთავისუფლებული იყო და დაუყვირა:

– კარები ყველგან ჩაჰკეტეთ, რომ არ გაგვექცეს!

ერთმა მოხელემ კარები ჩაჰკეტა, მეორე წინ აეფარა პროკურორსა და მოსამართლეებს; გიურემ წარმოსთქვა:

– შევკრათ.

გუდარმა მიიხედ-მოიხედა; გაქცევა შეუძლებელი იყო... მხრები მაღლა აიწია და სთქვა:

– ცოცხალს ხელში ვერ ჩამიგდებთ.

მოხელეები მოემზადნენ საბრძოლველად; გუდარი მივარდა ერთს პატარა შკაფს, მუშტით შეამტვრია და დაიწყო რილასიც ძებნა. ყველას ეგონა, რევოლვერს ეძებსო, მაგრამ გუდარმა გამოიღო ერთი შავი მინა, ტუჩებთან მიიღო და ერთბაშად გადაჰყლაპა, რაც მასში იდგა. სახე დაემანჭა, ტანი აუკანკალდა, სკამს მიეყუდა; ერთხელ კიდევ წელში გაიმართა და დაიყვირა:

– თქვენ ყველანი ლაჩრები ხართ... – მერე მიუბრუნდა ტახტს უკან დამალულს იზას: – მხოლოდ შენ... შენ...

მკლავები გაუშეშდა; სახე საშინლად დაედმიჭა, ტუჩებზედ დორბლი მოუვიდა და დაეშვა ძირს. რამდენჯერმე კიდევ შეიფორთხალა, ერთი საზარლად დაიძახა და გაიჭიმა.

გუდარის მკვდარი გვამი-ღა იდო იატაკზედ.

X

იზას ახალი ჭირვეულობა

მოწვეულმა ექიმმა შეამოწმა, რომ გუდარი უეცრად მომკვდარაო. ყველას გაუკვირდა, რომ გაჩხრეკის დროს ვერავინ ვერა ჰნახა საწამლავი, რომელიც გუდარს ალბათ იმიტომ შეენახა, რომ, თუ მოწამლული შამპანური ღვინო ვერ გასჭრიდა, ეს დაეღვეინებინა.

პროკურორმა შემდეგი ოქმი დააწერინა:

ბრალდებული ტყუილად სცდილობდა დაებრალეებინა თავისი დანაშაული აგრეთვე იზა სეგლენისათვის, მაგრამ მისგანვე გამტყუვნებულმა აღიარა, რომ მარტო მოექმედნა ის ავკაცობა; გაცოფებული მივარდა პატარა შკაფს, მოძებნა იქ საწამლავი, დალია და სხვ.

სასამართლოს მოხელეები წავიდნენ და მიანდეს გიურეს, პოლიციის კომისარი მოეყვანა და გვამი წაეღო.

იზა ჯერ შეშინდა, მაგრამ მასუკან კი თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც ექიმმა შეამოწმა გუდარის სიკვდილი. იზა ეხლა თავისუფალი იყო. პროკურორი ბოდიშს ითხოვდა მასთან, რომ ამისთანა საშინელის სანახავით შეაწუხა. გიურე

გააკვირვა ამ ბოდიშმა. პროკურორმა ბოლოს უთხრა იზას, რომ თქვენ თავისუფალი ხართო.

– მაშ შემძლიან წავიდე? – ჰკითხა იზამ.

– დიად, მაგრამ იმ პირობით კი, რომ პარიზიდან არ წახვალთ იმ დრომდე, ვიდრე სრულს თავისუფლებას არ მიიღებთ ყველგან ცხოვრებისას.

პროკურორმა შეჰნიშნა უსიამოვნობა იზას სახეზე და დასამშვიდებლად უთხრა:

– ნუ სწუხართ, ჩვენ ნამდვილად დავრწმუნდით, რომ თქვენ მართალი ხართ.

– მე თქვენა გთხოვთ, – უთხრა იზამ პროკურორს, როდესაც კიბეზედ ერთად ჩამოდიოდნენ, – მოგეცეთ ნება, რომ მე თითონ შემეტყობინებინა მორის ფერანისათვის იმის განთავისუფლების ამბავი.

– სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია; მაგრამ ეხლავე კი მზად იქნება ბრძანება იმის გამოშვების თაობაზე. თქვენ მალე ჰნახავთ იმ ყმაწვილკაცსა.

– დღეს გამოუშვებენ ციხიდან?

– დიად.

იზას სახეზედ კმაყოფილება გამოეხატა; იმას კიდევ დაავიწყდა გუდარის სიკვდილი.

– რამდენს საათზედ განთავისუფლებენ იმ საცოდავს? – ხელახლად ჰკითხა იმან.

– ოთხზედ, – უპასუხა მწერალმა.

– დიდად მადლობელი გახლავართ, – სთქვა იზამ.

ეტლები მოიყვანეს; პროკურორმა იზას ეტლში ჩაჯდომა უშველა.

– მე გთხოვთ, არ დაივიწყოთ, – უთხრა იზას პროკურორმა, რომ ზოგიერთის პირობებითა ხართ განთავისუფლებული. წაბრძანდით შინ და ელოდებოდეთ, ვიდრე სრულებით განთავისუფლებული იქნებით.

– ბატონი ბრძანდებით. როდის მომივა მაგისი ბრძანება?

– ხვალ მაინც და მაინც. იქნება დღესაც.

– ნება მომეცით, მადლობა მოგახსენოთ მაგდენის თანაგრძნობისათვის.

– მართლმსაჯულება ყოველთვის ისე მკაცრი არ არის, როგორც ამბობენ.

პროკურორი გამოეთხოვა იზას და ჩაჯდა ეტლში გამომძიებელსა და მწერალთან ერთად.

– რას ჰფიქრობთ თქვენ ამ საქმეზედ? – ჰკითხა პროკურორმა გამომძიებელს.

– ეგ ქალი დამნაშავეა.

– რაო?

– დამნაშავეა, მაგრამ თავის უნებურად. იმ უბედურის კაცის სიყვარულს მიუცია მაგისთვის მოქმედების ძალა.

– მერე მაგას ხომ არ წაუქეზებია კაცის მოკვლისათვის?!

– მაგას ვინ ამბობს.

– მაშ ჰქმმარიტებისათვის მიგვიგნია და არ გვიქნია უსამართლობა. როგორის კეთილის გულისაა ეგ ქალი, სულ იმაზედ ჰფიქრობს, ეგები ფერანი ვნახო და ბოდიში მოვითხოვო ჩემის სიჩუმის გამო მიყენებულის ტანჯვისაო.

იზამ დააჩქარა მეეტლე. ნახევარ საათის შემდეგ მივიდა თავის სახლში, სადაც ვერშემონისაგან დაჭერილი მსახურები დაეთხოვნათ და მათ მაგიერად იზას უწინდელი მსახურები იყვნენ. ოსკარს იზას დაჭერის შემდეგ აღარ გაეწლო იმ სახლში. ის პარიზში აღარ დამდგარიყო.

იზას საშინლად ჰშიოდა, ხელად დასაუზმდა. მეეტლეს ეტლის შებმა უბრძანა და უთხრა ჟუსტინას:

– წამოდი, ჩამაცვი; დღეს მე ძალიან ლამაზად უნდა ვჩნდე.

პატარა ხანს უკან იზას ეტლი ცარიელი წავიდა მაზასის ციხისკენ. ოთხს საათს თხუთმეტი წამი აკლდა, როდესაც ის გაჩერდა ციხის კარებთან. ლაქიამ იკითხა – მორის ფერანი ციხეშია კიდევ, თუ არაო. პასუხად უთხრეს, რომ მორისი ჯერ არსად წასულაო. ლაქიამ სთხოვა ეთქვათ ფერანისთვის, რომ კარში ელოდებიან.

მორისი გამოვიდა ციხიდან, შეისუნთქა წმინდა ჰაერი და თავბრუ დაეხვია. თავის შესამაგრებლად კედელს მიეყუდა და ამ დროს მოაგონდა, რომ ეტლი ელოდდა. იზას ლაქია მიუახლოვდა მორისს.

– მგონი თქვენ მორის ფერანი ბრძანდებით? – ჰკითხა იმან.

– მორის ფერანი ვარ.

– გრაფინია ზინსკისა გთხოვთ მიბრძანდეთ მასთან და გიგზავნით თავის ეტლს.

– გრაფინია ზინსკისა? – განიმეორა განცვიფრებით მორისმა.

ის ჩაჯდა ეტლში და წავიდა.

გზაზედ სხვადასხვა ფიქრები მოსდიოდა მორისს. ოთხი თვის ციხეში ყოფნამ სრულებით გამოაშტერა იგი. ოთხს კედელს შუა გამომწყვდევის გამო არ იცოდა, რა მოჰხდა მის ტყვეობის დროს. იმან არ იცოდ გუდარის სიკვდილი, არ იცოდა რომ სესილი დაქვრივდა, არ იცოდა, ვინ იყო გრაფინია ზინსკისა. პირველში თავის ამბავი ზღაპრული ამბავი ეგონა და წარმოიდგინა, რომ ის მიჰყავდათ რომელღაც ფერიასთან. შემდეგ იფიქრა, რომ გრაფინია იმ ქველმოქმედ ქალთაგანია, რომელნიც ზრუნვენ ციხიდან ახლად გამოშვებულების ბედისათვის. იმან არ იცოდა, რომ ამისთანა ქველმოქმედი ქალები პარიზში არ მოიძებნებოდა.

ეტლი გაჩერდა იზას სადგურთან. კიბეზედ რომ ავიდა, მორისს დაჰხვდა ჟუსტინა, რომელმაც უთხრა:

– მომყევით მე.

განცვიფრებული მორისი გაჰყვა ჟუსტინას და შევიდა იზას ოთახში. იქ ჯერ არავინ იყო. მორისს კარგად ეცვა ტანთა; დიდი ხნის ციხეში მყოფობის გამო მუშაობისაგან დაბებრებული ხელები გასთეთრებოდა და გაჰნაზებოდა. სახითაც ძალიან ლამაზი იყო; მორცხვობა უფრო ამშვენებდა იმის სახეს. ჟუსტინამ სთხოვა, დამჯდარიყო, მაგრამ მორისი ისევ გაჩერებული იდგა, თითქო ელოდდა ამ გამოცანის ახსნას.

უცებ გაიღო კარი და შემოვიდა იზა, მხოლოდ ნახევარზედ ჩაცმული; ღიმილით მივიდა ის მორისთან და თითქმის ძალათი დასვა კუშეტკაზედ. მორისი აღტაცებაში მოვიდა იმის დანახვაზედ.

– მადლობელი ვარ, რომ შეასრულე ჩემი თხოვნა.

მორისმა აიხედა მაღლა და მოაგონდა, რომ ეს ქალი სასამართლოში ენახა.

– მე მინდოდა მენახე, – განაგრძო იზამ, – იმიტომ, რომ ბოდიში მაქვს თქვენთან მოსახდელი.

– ბოდიში ჩემთან?! რას მეუბნებით მაგას?

– მე ვიყავ მიზეზი თქვენის დაჭერისა და ციხეში ყოფნისა.

– მაგას რას ამბობთ? მაშ თქვენ დამაბეზღეთ... მერე მე რომ არ გიცნობთ?

– არა, მაგას როდი ვამბობ. აბა, ყური დამიგდეთ!

იზა მიუახლოვდა მორისს და პირდაპირ თვალებში დაუწყო ცქერა. მორისმა იგრძნო მისი ნაზი, მგზნებარე შეხედულობა, სიახლოვე მისის ტანისა, რომელსაც ტანისამოსი თითქმის არა ჰფარავდა. ის ყურს უგდებდა, მაგრამ კი არა ესმოდა რა და არც იზა ამორებდა თავის მომხიბვლელ თვალებს.

– დიად, მე ვიცოდი, ვინც იყო დამნაშავე, მაგრამ მეცოდებოდა იგი და ვიფარავდი. მაგრამ რაკი გნახეთ, რომ ილუპებოდით, რაკი გავიგონე, რომ კეთილშობილურად მართლულობდით თავს, იმ დღეს სასამართლოში გადავსწყვიტე თქვენი დახსნა. სამის დღის წინად ყოველისფერი ვუამბე გამომძიებელს. დამნაშავე დაჭერილია, ყოველისფერში გატყდა და მე მოვახერხე, რომ თქვენ განეთავისუფლებინეთ.

– მაშ თქვენ დამავალეთ მე ეგ თავისუფლება?! გმადლობთ, გმადლობთ. რითი უნდა გადაგიხადოთ თქვენი ეგეთი სიკეთე?

იზამ ორივე ხელი ჩამოართვა, კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდა, მღელვარებით შეჰხედა თვალებში და უთხრა:

– სიყვარულით.

ეს ისე მსწრაფლად იყო წარმოთქმული, რომ მორისმა პასუხის მიცემა ვეღარ მოახერხა, მხოლოდ გაწითლდა თავით-ფეხებამდე. მაგრამ იზას ეტყობოდა, რომ ის მოუთმენლად ელოდდა პასუხს. მორისმა, ვითომ ვერ გაიგო იზას სიტყვები, თავი ძირს ჩაღუნა და უთხრა:

– მე ბევრი ტანჯვა გამოვიარე და თავის დღეში არ დავივიწყებ იმ სიხარულის წამს, რომელიც მე თქვენ მომანიჭეთ. თავისუფლებაზედ უკეთესი რა იქნება კაცისათვის!

იზა იმისთანა ქალი არ იყო, რომ გაჭირვებაში უკან დაეხია. იმან ეს პასუხი მორისის გაუბედავობას დააბრალა და ეგონა, წათამამება ეჭირვებო.

– რაც მე თქვენი თავის გამართლება გავიგონე სასამართლოში, სინიდისი მტანჯავს და მეჭირვება შეცდომის მონანიება.

მორისმა იგრძნო, რომ სისხლი ადუღდა; ის გულის ფანცქალით დასცქეროდა მშვენიერს ქალს, რომელიც ეხლა თითქმის იმის ხელში იყო.

– რად უმართავდით ხელს იმ კაცს? – ჰკითხა მორისმა კანკალით.

– მე იმას ვიცნობდი და თქვენ კი არა. მაგრამ მას აქეთ, რაც მე სასამართლოში გნახეთ და გავიგონე, როგორ გმირულად შესწირეთ თავი იმ ქალს, რომელმაც თქვენ დაგივიწყათ...

– ნუ ამბობთ მაგას, ნუ! – დაიყვირა მორისმა.

– თქვე საცოდავო, თქვენ ეს არ იცით, რომ იმ ჩვენებით თქვენი შველა კი არ უნდოდათ; იმათ უნდოდათ კანონიერი საბუთი ჰქონოდათ ქორწინების დარღვევისა. თქვენი საყვარელი ქალი ეყრება თავის ქმარს.

– სესილს მე ვუყვარვარ.

– თქვენ თქვენს გონებაზედ არა ხართ. სესილს არავინ არ უყვარს; იმან დაიწყო საქმე თავის ქმართან მხოლოდ იმ აზრით, რომ ხელში ჩაიგდოს იმის ქონება, იმის მამასთან მიბარებული...

– მაშ თქვენ მაგას...

– მართალს ვამბობ. თქვენ რომ იმას ჰყვარებოდით, განა ადრევე არ იქმოდა იმას, რაც ბოლოს, უნდოდა თუ არა, უნდა მოექმედა? ეხლა თქვენ თავისუფალი ხართ, მაგრამ მარტოდმარტო ხართ. თქვენ ყველას დაავიწყდით; ეხლა იქ თქვენზედ აღარც კი ლაპარაკობენ და სესილი იქნება კიდევ ნანობს თავის ნათქვამს. მორის, შენ მარტო დაგტოვეს, მაგრამ ერთს ქალს უყვარხარ შენ – ეს მე ვარ. ეტყობა, ჩემი სიყვარული ძლიერია, რომ არ მივხედე რიგსა და მართებულებას, გაგიტყდი და სამაგიეროდ გითხოვ შენგანაც მხოლოდ სიყვარულს.

იზამ დაიჩოქა მორისის წინ და ჩაჰკიდა თავი. საცოდავი მორისი სრულებით აირია, გაწითლდა და ტუჩების ცმაცუნს მოჰყვა; უნდოდა იზა აეყენებინა და ხელი მიაშველა; იზასაც ეს უნდოდა და თითქო უნებურად გადაეხვია. მორისმა იგრძნო, რომ შეიყვარა ეს მშვენიერი ქალი.

დაბინდდა; ოთახში დაბნელდა; ბუხარში ჩამწვარი ნაკვერჩხალი ჰფენდა ოთახში რაღაცგვარს უცნაურს სინათლეს.

იზა ცხარედ დაეკონა მორისის ტუჩებს. მორისსაც გადაედო მისი ვნებათაღელვა.

– მორის, გიყვარვარ? – წაიბუტბუტა იზამ.

– მიყვარხარ, მიყვარხარ, – უპასუხა იმან და უფრო მაგრად შემოჰხვია მკლავები.

უეცრად ოთახის კარები ძლიერ დააკაკუნეს. იზა გაჯავრებული წამოვარდა მორისის მუხლებიდან და მივიდა კარებთან.

– რა ამბავია? – დაიძახა იმან.

– ქალბატონო, – უპასუხა ჟუსტინამ, – პოლიციელები მოვიდნენ აქა; აგერა მომდევნ...

პოლიციელების სახელი რომ გაიგონა, მორისი წამოხტა კანკალით.

იზას ნაცრისფერი დაედო. წამოდგა და დაიწყო თავის ტანისამოსის გასწორება.

კარები სწრაფად გაიღო და ოთახში შემოვიდა პოლიციის მოხელე, ჟუსტინამ აანთო ლამპა და ამ ლამპის სინათლეზედ იზამ იცნო, ვინც იყო ეს მოხელე.

– კიდევ თქვენა ხართ? – დაიყვირა იმან და უკან დაიწია, – რა გნებავთ ჩემგან?

– მე მაქვს ბრძანება, თქვენ დაგიჭიროთ.

– მე დამიჭიროთ?!

– დიაღ, დაგიჭიროთ და სამზღვარგარედ გაგზავნოთ.

– მე აქ იმისთანა საქმეები მაქვს, რომ თავს ვერ დავანებებ.

– ეგ ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმეა თქვენ ეხლავე დაგიჭიროთ, რკინისგზაზედ წაგიყვანოთ და გაგაცილოთ სამზღვრამდე.

– ამაღამვე? – ჰკითხა იზამ.

– ეხლავე.

– რამდენსამე საათსაც კი არ მადროვებთ?

– იმდენს გადროვებთ, რომ თქვენის ბარგის სკივრში ჩალაგება მოასწროთ. მორისი ამ ამბებმა გააცხარა, მაგრამ მაინც ვერ წაექომაგა იზას. იმას ძალიან ეშინოდა პოლიციისა. იზამ იგრძნო, რომ გიურეს მორბილება შეუძლებელი იყო და გულში საშინელი სიძულვილი ჩაუვარდა იმისი.

– უნდა დაგემორჩილოთ, – უთხრა იმან, – მე ვიცი, როგორც გეჯავრებით.

– მე თქვენ თქვენი ღირსებისამებრ გეპყრობით. ოცი წამი მომიცია საჭირო ბარგის ჩასალაგებლად.

იზა მიუახლოვდა კუთხეში მდგომს მორისს და რაღაც ჩურჩული დაუწყო.

– ჟუსტინა გეტყვით თქვენ, – გაათავა სიტყვა და ჟუსტინასთან ერთად შევიდა მეორე ოთახში, გიურემ ჯერ ვერ შეჰქნიშნა მორისი, ეხლა კი, რაკი კარგად გაარჩია. მიიჭრა იმასთან და ჰკითხა განცვიფრებით:

– აქ რას აკეთებთ?

მორისი არ იცნობდა გიურეს და ასე ეგონა, კიდევ დაჭერას მიჰპირობენო.

– იქა სტირიან სიხარულით, – განაგრძო გიურემ, – რაკი შეიტყეს თქვენი განთავისუფლება, გელიან, და თქვენ კი ამ გომბიოსთან მოსულხართ.

– ვინ მელის?

– სესილ, თქვენი და და თქვენი მეგობრები, რომელნიც ყოველის გზით ეცადნენ თქვენ განეთავისუფლებინეთ.

– მე მელიან? მე კი მითხრეს, რომ ჩემი ნახვა იქ არც კი იამებათ და, თუ განმათავისუფლეს, გრაფინია ზინსკაიას წყალობით.

– დაგარწმუნათ, რომ გრაფინიაა, განა! მაგას ყველაფერი სიყალბე გამოუვა ხელიდამ. თავი დაანებეთ მაგ გომბიოს და ეხლავე, ეხლავე გასწიეთ ფრანსუას ქუჩაზედ, სადაც ასე ჰგონიათ, რომ მხოლოდ ხვალ გამოგიშვებენ. სესილი ქვრივია და გელით თქვენ; გაიქეციეთ; ისინი მხიარულად დაგხვდებიან და ხვალისათვის სამზადისში – თქვენის ციხიდან გამოშვების დღის სადღესასწაულოდ.

– ქვრივია, – დაიყვირა აღტაცებით მორისმა, – მაშ ქვრივია!

– და თქვენ გელით.

– გმადლობთ, გმადლობთ, – უთხრ მორისმა მოხელეს, – მხოლოდ ნურავის ეტყვით ნურასდროს, რომ აქა მნახეთ.

– წადით და შეიყვარეთ იგი. სესილისთვის თქვენი სიყვარული საჭიროა.

მორისი გაექანა ფრანსუას ქუჩისკენ. ტიუსსოს სახლთან რომ მივიდა, ჯერ ვერ გაბედა ზარის ჩამორეკა. ბოლოს მოჰკვიდა ზარს ხელი, კარები გაიღო და მორისი შევიდა განათებულს პურის-საჭმელს ოთახში.

გრძელის ამბის დასასრული

ტიუსსოს მთელი სახლობა სუფრაზედ იჯდა. დილით გუდარის სიკვდილის ამბავი რომ მოსულიყო, სესილი მოჰხვევოდა თავის დედას და ეჩურჩულებოდა:

– დედა, ეხლა შენც შეგიძლია დამშვიდდე. გუდარმა შენი საიდუმლო საფლავში თან ჩაიტანა.

თითონ ტიუსსო ისეთი მხიარული იყო თურმე, რომ იმავე დღესვე უნდოდ მეჯლიშის გამართვა. ძლივს დააშლევინეს, რომ არ ემღერნა, როცა დამსხდარიყვნენ სუფრაზედ. პალიარს ეთქვა, მორისს ხვალ უეჭველად განათავისუფლებენ და ვნახავთო.

– იცით რა, მეგობრებო, – სთქვა ტიუსსომ, – ხვალ ყველანი ციხის კარებთან მივიდეთ, მორისს იამება, რომ რა წამს ციხიდან გამოვა, ყველა თავის მეგობრებსა ჰნახავს. მაგრამ ეგ სესილმა იცის...

ზარი დააწკარუნეს.

– ვინ უნდა იყოს? – წარმოსთქვა ტიუსსომ.

ადელმა შუბლი მოღუშა, თითქო ემინოდა, საცაა გუდარი მოვაო.

– მკვდრები როდილა ბრუნდებიან, – უთხრა სესილმა, თითქო მიჰხვდა დედის აზრსაო.

– შემოდით, – დაიყვირა ტიუსსომ.

კარები გაიღო და შემოვიდა მორისი.

– ეს მე ვარ, – სთქვა მორისმა ყრუდ, თითქო ლაპარაკი ეძნელებო.

ყველანი აირივნენ. ამელი და სესილი მისცვივდნენ მორისს. სესილი კინაღამ წაიქცა მღელვარებისაგან.

– მორისია, მორისი! ჩქარა, ჩქარა, ერთი თევზ-დანა-ჩანგალი კიდევ! ძლივს! – ჰყვიროდნენ ყოველი მხრიდან.

მორისმა ჯერ თავისი და გადაჰკოცნა; შემდეგ მიუბრუნდა სესილს და ორივემ სიყვარულით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა.

– ჩემო მეგობარო, – უთხრა სესილმა, – ეხლა მე კიდევ შენი ცოლი ვარ; მაინც მე კიდევ არავის ცოლი არა ვყოფილვარ; მე ყოველთვის შენი ერთგული ვიყავ.

– ჩემი ცოლი! – დაიყვირა აღტაცებით მორისმა და მუხლებზედ დაეცა.

– რას სჩადიხარ, – უთხრა სესილმა და ფეხზედ წამოაყენა, – შენ იჩოქებ ჩემს წინა, შენ, რომელმაც იმდენი ტანჯვა გამოიარე ჩემის გულისთვის და სიკვდილისათვისაც თავს არა ჰზოგავდი!

მორისს მოაგონდა იზა, გაწითლდა, მაგრამ მაინც პირნათლად შეეძლო ამის თქმა:

– სესილ, უშენოდ სიცოცხლე ჩემთვის სიცოცხლე არ არის!

ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს იყვნენ ასე.

– გეყოფა, გეყოფა, – უთხრა ტიუსსომ ქალსა, – ახლა ჩვენც გვინდა გადავკოცნოთ; მომიტევე, ჩემო სიძე, მე ჩემის სულელობისთვის ისედაც კარგად მომხვდა.

ყველანი პურის საჭმელად დასხდნენ. მორისს უამბეს, რომ პალიარს საშინლად უნდოდა იმის განთავისუფლება, რადგან უიმისოდ ვერ დაიწერდა ჯვარს იმის დაზედ. შადისაც მეჯვარე ეჭირვებოდა, რადგან დენიზა აღარ იცდიდა.

– იცით რა, – სთქვა შადიმ, – მე ბაშვები მიყვარს და არ მინდა, რომ ჩემი შვილი უკანონოდ ჩასთვალოს ვინმემ. დენიზა მაჩქარებს და აი მეც მზადა ვარ საქორწილოდ.

– მაშ დღესვე დავიწყით შექცევა, – სთქვა ტიუსსომ, – შადი, წამოდი სარდაფში; იქ ძველი ღვინოები მეგულება.

სადილი დიდხანს გაგრძელდა, ასე რომ სადილს შემდეგ ძილის დროც მოვიდა.

ტიუსსოს სახლში ჯერ კიდევ სუფრაზედ ისხდნენ, როდესაც ბრიუსელისკენ მიმავალი მატარებელი გაჩერდა სამზღვარზედ. იყო პირველი საათი ღამისა. გიურე გამოვიდა ვაგონიდან. ერთმა ვიღამაც, რომელიც მოუთმენლად მოელოდდა მატარებელს, იცნო თუ არა გიურე, მივიდა იმ ვაგონთან, საიღამაც ის გამოვიდა. იმაში იჯდა ერთი ქალი, რომელმაც ის იყო გამოიღვიძა. უცნობი დაეცა ქალის ფეხთა წინ და ქალმაც მხიარულად დაიძახა:

– შენა ხარ, ოსკარ?!

– მე არ მინდოდა დამენებებინა თავი შენთვის, განწირულო მსხვერპლო კაცთა უსამართლობისავ. მე ვიცი, რომ შენ უბრალო ხარ და მინდა შენთან ვიცოცხლო და შენთან მოვკვდე.

– სწორედ არ მოვტყუვდი, შენ რომ შეგიყვარე, – უთხრა ქალმა და გადაეხვია, – მარტო შენა ხარ ღირსი ჩემის სიყვარულისა.

მატარებელმა მალე გააქანა ოსკარ დე-ვერშემონი და იზა.

ვარიანტები კომენტარები შენიშვნები

ტექსტისათვის

ფრანგი მწერლის ალ. ბუვიეს (1836 – 1892) რომან “იზას” ქართული თარგმანი ილიას სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა (ჟურნ. “ივერიაში”, 1879 – 1880 წ.წ. და 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომში, რომელიც ორ წიგნად გამოვიდა). თარგმანი დაბეჭდილია “ივერიის” დამატების სახით ჟურნალის ძირითადი ნაწილის შემდეგ და გვერდების სათვალავიც ცალკე აქვს. ნომრიდან ნომერში ტექსტი დასათაურების გარეშე გრძელდება და ზოგჯერ წინა ნომერში დაწყებული ფრაზა ან სიტყვაც კი მეორეში მთავრდება. ამით გაადვილდა “ივერიის” ფურცლებიდან “იზას” ცალკე წიგნად აკინძვა და მკითხველისათვის მიწოდება.

1959 წელს რომანის მეცნიერულ-პოპულარული გამოცემა განახორციელა პროფ. ზ. ჭუმბურიძემ. თარგმანს ერთვის პლ. კეშელავას წერილი “ა. ბუვიე და მისი რომანი “იზა”, ზ. ჭუმბურიძის შენიშვნები “ტექსტისათვის” და ვარიანტები. გამომცემელმა ზ. ჭუმბურიძემ ფართო მკითხველის ინტერესების

გათვალისწინებით ტექსტში სათანადო სწორებანი შეიტანა, რომლებსაც ანგარიში გაეწია წინამდებარე აკადემიური ტექსტის მომზადების დროს.

რომან “იზას” ქართული თარგმანი წარმოადგენს ალ. ბუვიეს მიერ შექმნილი რომანების სერიის (საერთო სათაურით “დიდებული იზა”) მეორე წიგნის თარგმანს, რომელიც ი. ჭავჭავაძემ რუსული თარგმანიდან შეასრულა. ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა 1879 წელს პეტერბურგის ჟურნალ “Живописное искусство”-ში².

რამდენადაც თარგმანის ხელნაწერი შემონახული არ არის, აკადემიური გამოცემის მომზადებისათვის მივმართეთ მწერლის სიცოცხლეში განხორციელებული ორი გამოცემის შედარებით ანალიზს. ასეთმა ანალიზმა დაადასტურა, რომ 1892 წლის გამოცემაში “იზას” თარგმანი გადმოხედილია ჟურნალ “ივერიაში” გამოქვეყნებული ტექსტიდან, რასაც მოწმობს ცალკეული შეცდომების (მათ შორის ზოგიერთი კორექტურული შეცდომის) გამეორება ახალ გამოცემაში. ამასთანავე, მეორე გამოცემას ეტყობა ტექსტზე მთარგმნელის ხელახალი მუშაობის კვალი. ამის გათვალისწინებით წინამდებარე გამოცემა ემყარება 1892 წელს გამოცემულ ტექსტს, რადგან იგი ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს.

ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად გამოვლენილი სხვაობანი წარმოდგენილია ვარიანტების სახით. ვარიანტებში ძირითადი წყარო (1892 წ. გამოცემა) აღნიშნულია A ლიტერით, “ივერიაში” დაბეჭდილი ტექსტი B-თი. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი გახდა სწორების შეტანა ძირითად ტექსტში.

სესილისა და მორისის თვითმკვლევლობის ღამედ დედანში (როგორც ფრანგულ ორიგინალში, ისე რუსულ თარგმანში) დასახელებულია 20 ივნისი, ქართულ თარგმანში კი (“ივერიაშიც” და 1892 წლის გამოცემაშიც) უმეტესად 20 ივლისია ნახსენები. დედნისეული მართებული თარიღი (20 ივნისი) მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება ორიოდ შემთხვევაში. წინამდებარე გამოცემაში ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ეს შეცდომა ყველგან გაგვესწორებინა, ე. ი. ყველგან 20 ივნისი აღგვენიშნა, როგორც ეს ფრანგულ ორიგინალში და რუსულ თარგმანშია წარმოდგენილი.

რომანის მთავარი მოქმედი პირი – იზა არის მოლდაველი ბოშას ქალი. ილია ჭავჭავაძე “ბოშას” ნაცვლად ყველგან ხმარობს სიტყვა “ბუშს”, რომელსაც დღეს სხვა მნიშვნელობა აქვს. წინა გამოცემელი პროფ. ზ. ჭუმბურიძე ამ სიტყვას ცვლის “ბოშათი”, ჩვენც ასე მოვიქცით. წინამდებარე გამოცემაში გავიზიარეთ აგრეთვე წინა გამოცემისეული ზოგიერთი სხვა სწორება, რომელიც ფაქტობრივი თუ შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებს ეხება. მაგ. პალიარის ქვრივი და ჩუმად მაძიებელი ბოიე ხან ძალუა-მაზლისწულად იხსენიებოდნენ, ხან დეიდა-მმისწულად; ლუი და ბოიე ხან ბიძაშვილები გამოდიოდნენ და ხან დეიდაშვილები. ჩვენს გამოცემაშიც მთარგმნელის ეს შეცდომა გასწორდა. უკანონოდ შობილ ბოიეს მამის მხრიდან ნათესავად ვერ მოხვდებოდა ლუი, ამიტომ გავასწორეთ დეიდა-დეიდაშვილად და მივუთითეთ ვარიანტებში.

² ვრცლად ამის თაობაზე იხილეთ მ. იამანიძის წერილი “ა. ბუვიეს “იზას” ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის გამო”, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984 წ., № 2, გვ. 21 – 23.

ორივე წყაროში საკუთარი სახელები სხვადასხვაგვარი ფორმითაა მოცემული: ზინსკაია – ზინტსკაია, სეგლენი – სიგლენი – სეგლინი, გრეგორო – გრიგორო, სესილი – სესილა, ამელი – ამალი, ტიუსო – ტიუსსო, პალიარი – პელიარი, დე ტალიე – დიუტალი, სიმონ რივე – სვიმონ რივო, ჟუსტინა – ჟიუსტინა, მარიანა – მარიანა – მარიანე, ლაკუე – ლაკკო – ლაკოე. ასეთი მერყეობა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ რომანი მოკლე დროში, ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა და ქვეყნდებოდა ჟურნალის ფურცლებზე. წინამდებარე გამოცემაში (მსგავსად წინა გამოცემისა) საჭიროდ დავინახეთ ამ მხრივ ერთგვარობის დაცვა; უპირატესობა მივეცით სახელის იმ ფორმას, რომელიც უფრო ხშირად აქვს გამოყენებული მთარგმნელს; ამასთანავე, ანგარიში გავუწიეთ დედანთან სიახლოვეს.

ჟურნალ “ივერიაში” გამოქვეყნებულ ტექსტში უხვადაა რუსიციზმები, როგორცაა: შკაფი, სტოლი, ფადნოსი, კრესლო და სხვა. 1892 წლის გამოცემაში ილიას ზოგიერთი რუსიციზმი ქართული შესატყვისით შეუცვლია, მაგრამ არა ყველა და არა ბოლომდე. ზოგიერთი სიტყვის სწორება ბოლომდეა ჩატარებული და ზოგისა კი – მხოლოდ პირველ თავებში. აკადემიურ გამოცემაში ეს სწორება ბოლომდე გავატარეთ და აღვნიშნეთ სათანადო ადგილას ვარიანტებში. იმ რუსიციზმებს, რომლებიც არც ერთხელ არ ჩაუსწორებია მთარგმნელს, არ შევხებივართ. ასეთებია: პრობკა, მებელი, კუმეტკა და სხვ.

“ივერიის” ტექსტი გადატვირთული იყო სხვათა სიტყვის ნაწილაკ ო-თი. მეორე (1892 წ.) გამოცემაში მთარგმნელმა შეამჩნია ეს ხარვეზი და ტექსტი ამ მხრივაც ჩაასწორა, მაგრამ ზოგჯერ ო შემთხვევით იქაც ამოღებულია, სადაც ის აზრის სიზუსტისათვის აუცილებელი იყო. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ აღგვედგინა ო ნაწილაკი “ივერიის” მიხედვით. სწორებები აღნიშნულია ვარიანტებში.

პარალელური ფორმები, როგორცაა ეჭვი – იჭვი, ანბავი – ამბავი, მზგავსი – მსგავსი და სხვანი, წინამდებარე გამოცემაში უცვლელადაა დატოვებული. ასევე, ზმნის პირისეული პრეფიქსების (ს- და ჰ-) ხმარებისას არ არის დაცული გარკვეული კანონზომიერება. ისინი პარალელურადაა დატოვებული, რადგან ასახავს მაშინდელ ქართულ ენაში არსებულ მდგომარეობას.

ვარიანტებში არ გაგვიტანია შემდეგი სწორებანი: დიახ → დიალ, საქრმო → საქმრო (აქედან, ცოლქრმოზა → ცოლქმროზა), ჰსთქვა → სთქვა. ეს სიტყვები 1892 წლის გამოცემაში ყველა შემთხვევაში ასეა შეცვლილი და ამიტომ ვარიანტების განსატვირთავად მას აღარ ვიმეორებთ. ჩვენს გამოცემაში გასწორდა ორიოდ სიტყვის მართლწერა (სხვერპლი → მსხვერპლი, უწინდელეზ ← უწინდელეზ). ამის შესახებაც მითითებულია ვარიანტებში სათანადო ადგილას.

ი. დობორჯგინიძე

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თარგმანები, იზა (ა. ბუვიესი), წიგნი I, გვ. 1 – 314, წიგნი II, გვ. 315 – 693, ტფ., ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1892 წ., (A).

ჟურნ. “ივერია”, 1879, № 3, გვ. 1 – 32; № 4, გვ. 33 – 48; № 5 – 6, გვ. 49 – 144; № 7 – 8, გვ. 145 – 224; № 9 – 10, გვ. 225 – 272; 1880, № 1, გვ. 275 – 314; № 2, გვ. 315 – 384, № 4, გვ. 385 – 492 (B).

7. 5 ბრინჯაოს] ბრონზის B. 7 აწოწვილს გუდარს ირთავსო] ირთავსო აწოწვილს გუდარს B. 9 – 10 არა სჯეროდა] არ ჰსჯეროდა B. 10 ჰლაპარაკობდნენ] ლაპარაკობდნენ B. 12 იმიტომა] იმიტომამო B. 13 დაახლოვებულიაო] დაახლოვებულიაო B. 14 თავის] თავისი B. იცის] იცისო B. 15 მეტად] მეტათ B, სწყინდათ] ჰსწყინდათ B. 20 იმიტომ აძლევსო] აძლევს იმიტომამო B, გაიხადოს] გაიხადოსო B. 22 იმისთვის] იმისთვისაო B. 24 ისე – B, უყვარს] უყვარსო B.

8. 2 იყვნენ] იყვნენო B, მორისი] მორისიო B. 3 შეიქმნა] შეიქმნაო B, გათხოვება] გათხოვებაც B, დაეჩქარებინათ] დაეჩქარებინათო B. 4 ჰყბებდნენ] ყბებდნენ B. 11 დაბალ] დაბლა B. 13 ხომ მაინც – B. 14 შეგინდოთ] შეგინდოსთ B. 20 გიშერივით] როგორც გიშერი B. 21 სხვისავით] სხვისავით B. 21 გამოჰკრთოდნენ] გამოკრთოდნენ B.

9. დაღალული] დაღალულნი B. 1 ფაცაფუცისაგან] ფაციფუცისაგან B. 2 ჰხედავთ] ხედავთ B. 6 მეორე] მეორეს B. 11 იმან] მან B. 17 გასცემთ] გაჰსცემთ B. 24 ლამაზს] ლამაზ B.

10. 3 ჩამოშვებულს არა გნახავ] ჩამოშვებული არ იქნები B. 8 ჰნიშნავს] ნიშნავს B. 14 სძლებს] ჰსძლებს B. 15 შეჰნიშნა] შენიშნა B. 18 ხმითა] ხმით B. 19 ხვალა ვთქვა] ხვალ ვჰსთქვა B. 21 შეჰხედეს] შეხედეს B. 26 ყველაზე] ყველაზედ B. 31 ვთქვათ] ვჰსთქვათ B.

11. 5 ბაშვს] ბავშვს B. 19 შეეხოვო] შეეხოო B. 20 ფეხაკრებით] ფეხაკრებით B. 23 ჰნახა] ნახა B.

12. 6 სტიროდნენ] ტიროდნენ B. 13 სჯობს] ჰსჯობს B. 17 გყვანდა] გყვანდა B. 20 პატივსა] პატივ B. 23 სცდილობდი] ცდილობდი B. 26 ჰხადი] ხადი B. 27 გაესწორებინათ] გაეკეთებინათ B. 29 ცრემლები] ცრემლი B. 30 სწყუხარ] ჰსწყუხარ B. 34 გახსოვს] გახსომს B.

13. 1 მისცა] მიჰსცა B. 3 ჰყიდულობდა] ყიდულობდა B. 7 დედაჩემიც] დედაჩემიც B. 11 სწერდა] ჰსწერდა B. 22 დავლუპავ] დავლუპამ B, ვუთხრა] უთხრა B. (II). 25 ყოველისფერში] ყოველსფერში B. 29 ჩავვარდე] ჩავარდე B.

14. 16 მოჰკიდა] მოუჭირა B.

15. 4 ცეკვავენ] ტანციობენ AB. 26 ვიქნები] ვიქმნები B. 30 ჩაასხა] დაასხა B. 33 დალია] დალივა B.

16. 1 შესცქეროდნენ] შეჰსცქეროდნენ B. 2 არა] არ B, ჰფიქრობდნენ] ფიქრობდნენ B. 9 ცეკვის] ტანციობის AB. 23 წარვდგებით] წარვსდგებით B, ვაღვიარებ] აღვიარებ B. 24 შეურაცხვეოფდი] შევურაცხვეოფდი B. 29 უნდა] უნდაო B.

17. 2 მოგელოდები] გელოდინები B. 12 მძიმედ] მძიმე B. 18 გადისვა] გადისო B. 19 გადაჰხედა] გადახედა B, მოეკრიბნა] მოეკრიფნა B. 21 ჰხედავდა] ხედავდა B. 30 დაჰხედა] დახედა B.

18. 1 გადუსვა] გადუსო B. 2 პირისახეუდ] პირის სახეუდ B. 3 წამოსწია] წამოჰსწია B. 9 ჰგრძნობდა] გრძნობდა B, სიცივეს] სიცივესა B. 10 მოიკრიბა] მოიკრიფა B. 14 ჩასძახოდა] ჩაჰსძახოდა B. 15 მომატყუებდი] მამატყუებდი B. 24 ამოსწოვოსო] ამოჰსწოვოსო B. 26 მაგიდას] სტოლს AB. 28 დაჰხვდა] დახვდა B. 31 ჰნახა] ნახა B. 33 მოსცილდა] მოჰსცილდა B.

19. 7 სტვენის] შტვენის B. 18 ჰმოქმედობდა] მოქმედობდა B. 23 სჩანდა] ჰსჩანდა B. 33 საზიდრებისა] პოვოსკებისა B, 33 – 34 მესაზიდრებისა] მეპოვოზკებისა B.

20. 1 გადაუარა] გადუარა B. 2 – 3 გადასჰკრა] გადაჰსკრა B. 7 ხიდზე] ხიდზედ B. 9 სწვდებოდა] ჰსწვდებოდა B, მოაჯარს] მუაჯარს B. 10 კაბა] იუბკები AB. 15 წყლის] წყალის B. 19 ელოდდნენო] ელოდნენო B. 20 ერთბაშად] ერთბამად B. 20 – 21 ფრინველები] ფრინველები B. 23 ჰაერზედ] ჰაერზედა B. 27 ატყდა] ასტყდა B. 31 ცურვით] + იქით B.

21. 3 რომ] + კლოდ B. 9 ფაციფუცი] ფასიფუსი B. 10 ტიუსსოს] + ცოლს B. 17 ჰნახა] ნახა B. 18 გაგზავნოს] გაჰგზავნოს B. 19 რამდენისამე] რამდენიმე B. 22 აბა] ნუ B. 24 სძინავს] ჰსძინავს B. 31 ეს უკანასკნელი – B.

22. 1 გაქვთ] გაქვსთ B. 4 იცეკვოთ] იტანციოთ AB. 17 თითო-ოროლა] თვითო-ოროლა B. 18 მიეგებებოდა] ემიგებებოდა B. 26 შესცდი] შეჰსცდი B, სძინავს] ჰსძინავს B. 30 ელდად] ელდათ B, სცდილობდა] ცდილობდა B, დაეშოშმინებინა] დაეშოშმინებინა B.

23. 7 სწრაფად] სწრაფლად B. 9 შესცქეროდა] შეჰსცქეროდა B. 12 საბანებლადაცა] საბანებლათაცა B. 19 თვალცრემლიანმა] ცრემლით თვალში B. 22 მსხვილი] სხვილი B. 23 გადმოსცვივდა] გადმოუცვივდა B, მიჰვარდა] მივარდა B. 25 სწერია] ჰსწერია B. 27 ჩამწყდარის] ჩამწყდარის B.

24. 11 მოჰხდა] მოხდა B. 13 აქეთ] აქედ AB, თვალი] თვალიო B. 17 ფრთხილად] ფრთხილად B. 20 დასცა] დაჰსცა B. 28 ხელთათმანებით] ხელთათმანით B. 30 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა B. 33 დაბალის] დაბლის B.

25. 9 დაირჩო] დაიხჩო B, წუთს] წუთ B. 10 – 11 საშინელი] უზარმაზარი B. 11 სასტიკ] საშინელს B. 13 აქეთ] აქედ AB. 13 სტიროდა] ტიროდა B. 15 სცდილობდნენ] ცდილობდნენ B. 24 აუბრიალდა] აუბრიალდნა B. 26 – 27 სჯეროდა] ჰსჯეროდა B. 32 გასცა] გაჰსცა B.

26. 7 – 8 შეჰკრთა] შეკრთა B. 9 ჰლანძღავდა] ლანძღავდა B. 27 მისცა] მიჰსცა B. 28 ზარდაცემული] ზარდაცემულმა B.

27. 1 სტიროდა] ტიროდა B. 9 მოჰხდა] მოხდა B. 29 ვერავინ ვერ] არავინ არ B.

28. 5 – 6 თვალტანადობისა] თვალთტანადობისა B, შავგვრემანის] შავგვრემანის B. 14 ჰლაპარაკობთ] ლაპარაკობთ B, ყოველისფრით] ყოველისფრით B. 15 ძალიან] ძალიანა B. 25 თვალცრემლიანმა] ცრემლით თვალში B. 29 იქნება მკვდარი არ არის? – AB.

29. 10 მენავებისა] მენავებისა B, 10 – 11 ჰსვამდა, ჰხმაურობდა, ჰყვიროდა, ჰყბედობდა და ჰკასკასებდა] სვავდა, ხმაურობდა, ყვიროდა, ყბედობდა და კასკასებდა B. 15 მოკლეს] მოკლეს B. 17 და დიდმკერდა – B. 18 – 19 ჰყვიროდა] ყვიროდა B. 19 ჰკასკასებდა] კასკასებდა B, ჰყბედობდა] ყბედობდა B.

30. 4 – 5 მივასწრებ] მოვასწრობ B. 8 წყლის] წყლისა B. 9 ზევითა] ზევითი B. 10 მოუსვა] მოუსო B. 13 შადიად] შადიათ AB, ბრინჯაოს] ბრონზის AB. 20 ჯმუხი] ჭმუხი B. 25 ჰმუშაობდა] მუშაობდა B. 27 შესჩვევოდა] შეჰსჩვევოდა B. 28 ჰხმარობდა] ხმარობდა B. 29 სალამობით] სალამობით B. 30 შესჩვილებდა] შეჰსჩვილებდა B. 31 მოცლილად] მოცლილი B, ისეთისავე] ისეთისვე B. 32 როგორადაც] როგორათაც B. 34 სწმენდა] წმენდა B.

31. 6 როგორც] როგორს B. ნიუფაუნდლენდის] ნიუფაუნდლენდის B. 8 დასარჩობად] დასახჩობად B. 14 ჩაიყურყუმელავა] ჩაიყურყუმალავა B. 28 ვიკლავო] ვიკლამო B, დავუწყოთ] დაუწყოთ B. 29 მომივიდა] მომივიდაო B. 31 არა] არ B.

32. 1 მოსწონს] მოჰსწონს B. 6 შეჰხედა] შეხედა B. 7 გარედ] გარეთ B. 8 მეეტლეს] კუჩერს AB. 17 ხმით] ხმითა B. 22 დასვა] დაჰსვა B. 23 დასცა] დაჰსცა B. 31 ჰთამაშობთ] თამაშობთ B.

33. 9 განმავლობაში] განმავლობაში B. 3 შეჰხედა] შეხედა B. 4 იქნება] იქმნება B. 5 ჰთამაშობთ] თამაშობთ B. 7 მოჰხდეს] მოხდეს B. 13 მოჰხდება] მოხდება B. 18 გროშადაც] გროშათაც B. 22 ვთქვათ] ვჰსთქვათ B. 23 შენი] შენის B. 25 ჰფიქრობ] ფიქრობ B. 32 როგორც] როგორიც B.

34. 1 დაიცვას] დაიცას B. 6 – 7 მისი] იმის B. 8 სცემდეს] ჰსცემდეს B. 20 – 21 კარგადა] კარგად B. 27 მიეცა] მოეცა B. 31 თავისუფლად] თავისებურად B.

35. 1 კამერციის] კამერციის B. 3 გასცა] გაჰსცა B. 6 შესძახა] შეჰსძახა B. 9 იმად] იმათ B, ჰღირს] ღირს B. 15 შეეწირო] შევესწირო B, არა] არ B, მზადა] მზათა B. 17 ჰლაპარაკობ] ლაპარაკობ B, შეჰნიშნა] შენიშნა B. 20 რისთვის] რისათვის B. 26 თავს] თავსა B.

36. 1 სჯობია] ჰსჯობია B. 6 მიჰხვდა] მიხვდა B. 7 სტყუოდა] ჰსტყუოდა B. 8 უბრჭყვიალებს] უბრჭყვიალებს B. 9 მსხვერპლი] სხვერპლი B. 10 სცდილობდა] ცდილობდა B. 14 სცემდნენ] ჰსცემდნენ B. 20 ჩვენს] ჩვენ B. 21 ფიქრადაც] ფიქრათაც B. 25 დაგარჩობთ] დაგახჩობთ B. 26 შეამჩნია] შეამცნია B. 29 იმედით] + რომ B. 31 ელოდდნენ] ელოდნენ B. 32 ის] ეს B.

37. 1 მოეხვია] მოეხვივა B. 5 წუხელ] წუხელს B. 6 ყოფილიყო] მოსულიყო B. 14 სჯეროდა] ჰსჯეროდა B. 21 მართლაც] მართლადაც B, მოჰხდა] მოხდა B. 23 სტიროდნენ] ტიროდნენ B, ნუგემს სცემდნენ] ნუგემს ჰსცემდნენ B. 30 სტიროდა] ტიროდა B. 33 შეჰნიშნა] შენიშნა B.

38. 14 რომელნიც] რომელიც B, წინათ] წინად B. 14 ჰნახა] ნახა B. 23 დასძრავთო] დაჰსძრამთო B. 24 მოუვლელადაც] მოუვლელათაც B.

39. 2 ქალს] ქალსა B. 4 აქეთ-იქით] აქედ-იქით A. 5 უნდა] უნდაო B. 6 მიაპყრა] მიაბჯინა B. 17 ჰკვა შეშლია] ჰკუა შეშლილია B. 19 განუწყვეტლად] გაუწყვეტლად B. 27 ისეთი] ესეთი B, მისცეს] მიჰსცეს B. 29 გგონია] გონია B.

40. 1 გაჰხადეს] გახადეს B. 4 პირისახეს] პირის სახეს B. 8 სცდილობდა] ცდილობდა B. 12 გამოგვევებით] გამოგვევებით B. 15 მოჰხდება] მოხდება B. 21 ფერშლების] ფელშრების B.

41. 5 უკედ] უკეთ B. 12 გაჰხადა] გახადა B. 21 – 22 ბრინჯაოს ქარხნის მუშა] მეზრონზე AB. 31 ტანისამოსს და – A.

42. 4 რეცხვას] რეცხას B. 11 ბატონი] უფალი B, უთხრა] ჰკითხა B. 12 მწუხარებისა] მწუხარების B. 13 შესწყვიტა] შეჰსწყვიტა B. 20 მიაპყრა] მიაბჯინა B. 22 ჰნახა] ნახა B. 24 ჰნახავთ] ნახავთ B. 28 მხსნელო] მხსნელო B. 32 სასმენელად] სასმენლად B.

43. 4 ფათერაკად] ფათერაკათ B, შეემთხვია] შემთხვევია B. 6 დამართვია] დაჰმართვია B. 7 დაერჩო] დაეხჩო B. 16 სთხოვა] ჰსთხოვა B. 17 კდემამორეულმა] კთემამორეულმა B. 35 დასარჩობად] დასახჩობათ B.

44. 3 ჰნახა] ნახა B. 4 შეჰხვდა] შეხვდა B. 14 გადაჰხედა] გადახედა B. 19 ჩემი] ჩემის B, მხსნელი] მხსნელი B. 21 რუჰმა] რუჰმა B. 22 პალატაში] პალატში B, ჰნახეს] ნახეს B. 25 ჰშიშობდნენ] შიშობდნენ B. 29 მისცვივდნენ] მიჰსცვივდნენ B. 33 შემოჰხედა] შემოხედა B.

45. 1 ჩვენა] ჩვენ B (I). 7 ჰნახავ] ნახავ B. 16 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა B. 20 ჰფიქრობდნენ] ფიქრობდნენ B. 22 ირჩობოდა] იხჩობოდა B. 26 მამასა] მამასაო B. 27 გრძნობდა] ჰგრძნობდაო B. 27, 28 გუდარსა] გუდარსაო. B. 29 მშობლებსა] მშობლებსაო B. 31 ჰნახეს] ნახეს B.

46. 2 ამტყუნებდნენ] ამტყუნებდნენ B. 4 ჰნახა] ნახეს B. 5 ამბავი] ამბავიო B. 6 სულმდაბალი] სულდაბალი B. 7 ერთხმად] ერთხმათ B, იძახოდნენ] იძახდნენ B. 11 განმავლობაში] განმავლობაში B. 13 მოელოდდნენ] მოელოდნენ B, სცნობდა] ჰსცნობდა B. 15 დასტრიალებდნენ] დაჰსტრიალებდნენ B. 17 ავადმყოფის] ავადმყოფის B. 24 ჰყბედობდნენ] ყბედობდნენ B, გამო] გამოო B.

47. 1 ჰშინებოდეს] შინებოდეს B. 2 აღარა (I)] აღარ B. 4 ჰშორდებოდა] შორდებოდა B. 5 ყოველისფერს] ყოველსფერს B. 6 საყვარლად] საყვარლათ B, ვჯდომოდი] ვჯდომოდიო B, ქორწინებაზედ] ქორწილობაზედ B. 9 დასდო] დაჰსდო B. 10 ჩავვარდები] ჩავარდები B, დავირჩობო] დავიხჩობო B. 11 ირჩობდა] იხჩობდა B. 12 სინანულსა] სინანულსაო B, ვედრებასა] ვედრებასაო B. 13 დამიბრუნოს] დამიბრუნოსო B. 13 – 14 შევრთავ] შევრთავო B. 17 ჰსინჯავდნენ] სინჯავდნენ B. 18 სცხებდნენ] აცხობდნენ B. 20 რა] რაო B. 26 ვდგები] ვსდგები B. 34 აქეთ] აქედ AB.

48. 1 მოჰხდა] მოხდა B. 5 სტიროდა] ტიროდა B, მოჰხდა] მოხდა B. 7 ჰნახა] ნახა B, ცუდადა] ცუდათა B, ჰხდიდა] ხდიდა B. 11 როცა] რაკი B. 16 ავადმყოფის] ავადმყოფის B. 17 შესატყობლად] შესატყობლათ B, ჰნახეს] ნახეს B. 19 დამიძახა, გავიგონო] დამიძახოს, გავიგონო B. 21 ისევ – A. 28 ლაკუეს] ლაკკოს AB. 32 მომწერა] მამწერა B.

49. 2 აქეთ] აქედ AB. 12 ველარა] ველარ B. 21 გადარჩენა] გადარჩომა B. 28 არც] არცა B, იმისთვის] იმისათვის B. 31 სწვდები] ჰსწვდები B. 33 ვისიმეს] ვინმეს B. 34 ჰტრიალებს] ტრიალებს B.

50. 12 ჰხედავ] ხედავ B. 15 საფუძვლიანი] საფუძველიანი B. 17 მოსწყინდება] მოჰსწყინდება B, გასცვლის] გაჰსცვლის B. 24 ოჯახისთვის] ოჯახისათვის B. 27 საქეიფოდ] საქეიფოთ B. 35 დაეშვა] დაეშვო B.

51. 1 გამიამხანაგდებოდა] გამიამხანაკდებოდა B. 2 ჰხედავთ] ხედავთ B, სძულს] ჰსძულს B. 3 სძულდა] ჰსძულდა B. 5 შეჰხედეს] შეხედეს B. 17 უკედ] უკეთ B. 24 შეჰნიშნა] შენიშნა B. 25 შეჰხედა] შეხედა B. 32 გადვუხადო] გადუხადო B.

52. 8 მომატყუაო] მამატყუაო AB. 9 შეჰხედეს] შეხედეს B. 15 სიძედ] სიძეთ B. 18 სცდილობდა] ცდილობდა B. 20 სძაგდა] ჰსძაგდა B. 21 შესძაგდებოდა] შეჰსძაგდებოდა B. 25 ჰსურდა] სურდა B. 27 გირთავო] გირთამო B. 28 ჰნახა] ნახა B. 30 მოლიმარი] მალიმარი B.

53. 4 მომხიბლველს] მომხიბვლელს B. 5 ჰტრიალებდნენ] ტრიალებდნენ B. 13 სტიროდა] ტიროდა B. 16 შერთვა] შერთვაო B. 19 მოჰხდეს] მოხდეს B, მივცემ] მივცემო B. 20 მსხვერპლად] სხვერპლათ B, მოიტანოს] მოიტანოსო B. 21 მივა] მივაო B, ქალსა] ქალსაო B. 22 საყვარლადა] საყვარლათაო B. 27, 30 უკედა] უკეთა B.

54. 6 ავადმყოფს] ავათმყოფს B. 10 სთხოვა] ჰსთხოვა B. 11 წასჩურჩულა] წაჰსჩურჩულა B. 26 გასცეს] გაჰსცეს B. ავადმყოფის] ავათმყოფის B.

55. 6 – 7 ავადმყოფს] ავათმყოფს B. 10 რუბი] რუბი B. 13 მდგომარეობისა] მდგომიარობისა B. 22 გაუფრთხილდეთ] გაუფთხილდეთ B. 27 დაჰხედა] დახედა B. 32 მისცა] მიჰსცა B. 34 რომელმაც] რომელმანც B.

56. 9 ჩვიდმეტის] შვიდმეტის B. 12 ტანწვრილი] ტანწვლილი B. 16 ფარავდნენ] ჰფარავდნენ B. 30, 31 სძინავს] ჰსძინავს B.

57. 3 უბძანეთ] უბძანეთ B. 6 ახალგაზრდა] ახალგაზდა B. 9 უკედა] უკეთა B. 15 მადლობად] მადლობათ B. 18 ვწუხვარ] ვსწუხარ B. 19 ჰჯავრობთ] ჯავრობთ B. 27 ჰლაპარაკობდა] ლაპარაკობდა B.

58. 3 შეჰხედა] შეხედა B. 9 – 10 მოჰხდა] მოხდა B. 10 მზადა] მზათა B. 11 – 12 საცოლოდ] საცოლოთ B. 15 მრისხანედ] მრისხანეთ B. 23 ყოველისფრის] ყოველისფრის B, მიზეზად] მიზეზათ B. 31 გონიერი] გონიერ B. 34 მოჰხდა] მოხდა B.

59. 12 მიჰხვდი] მიხვდი B. 14 მორცხვობას] მორცხობას B. 17 ჩაეჭიდა] ჩაეჭიდნა B. 18 ბრაგვანი] ბანგვანი B. 19 იატაკზედ] იატაქზედ B, მოიკრიბა] მოიკრიფა B. 23 ვთქვი] ვჰსთქვი B. 27 მარტო] მარტოდ B. 26 – 27 შეჰხედა] შეხედა B. 29 შესტირა] შეჰსტირა B. 32 სტირი] ჰსტირი B. 35 შეუძლებელია] შეუძლებელი B.

60. 9 იქმ] იქ AB. 18 გადმოჰხტა] გადმოხტა B. 27 სცოდნია] ჰსცოდნია B, ჩანს] ჰსჩანს B.

61. 3 მივხვდი] მიხვდი B. 8 როგორც] როგორიც B. 15 მსხვერპლად] მსხვერპლათ B, რომ] როგორ B.

62. 1 სტირი] ჰსტირი B. 5 ყბად] ყბათ B. 12 ბაშვად] ბაშვათ B. 13 განიზრახა] განიზრახაო B. 16 მაგიდაზედ] სტოლზედ AB. 18 ორივემ] ორმავე B. 30 დედაც] დედაცა B. 32 ყოველისფერში] ყოველსფერში B.

63. 4 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა B. 6 მისი] მისის B, ჰხედავ] ხედავ B. 9 მოკლა] მოჰკლა B. 17 წარმოსთქვა] წარმოჰსთქვა B. 26 შემოჰხედა] შემოხედა B. 29 იმის] იმისი B. 30 მოჰხდა] მოხდა B.

64. 2 თავის] თავისი B. 3 ქალი] ქალიო B. 5 მოჰხდა] მოხდა B. 6 იმისათვისა] იმისათვისო B. 9 იყო სესილისა] იყოვო სესილისაო B. 9 კომედიაშიო] + ყველა შინ დაობებული გასათხოვარი ქალი B, კომედიაშიო] კამედიაშიო B. 11 – 12 სწეწდნენ] ჰსწეწდნენ B. 13 – 14 სცოდნოდათ] ჰსცოდნოდათ B. 28 წუხდა] ჰსწუხდა B. 30 ჰშურსო] შურსო B.

65. 5 სდომობთ] ჰსდომობთ B. 7 მოჰხდეს] მოხდეს B. 10 გაწბილებული] გაწბილებული B. 13 – 14 გამოსთქვა] გამოთქვა B. 14 – 15 ყოველისფერში] ყოველსფერში B. 15 მოჰხდესო] მოხდესო B. 18 მეორე] მეორის B. 20 დლისათვის] დლისთვის B. 21 – 22 შეჰკრთა] შეკრთა B. 27 რადა] რათა B, გულდინჯად] გულდინჯათ B. 31 რადა] რათა B.

66. 14 ოჰ] ოხ B. 18 თვითონ] თითონ B, სიცილადაც] სიცილათაც B. 22 ლაპარაკობს] ჰლაპარაკობს B. 23 მიაღწია] მიახწია B. 23 – 24 უფრთხოვდნენ] უფთხოვდნენ B. 30 ჰნანობ] ნანობ B. 31 რადა] რათა B. 32 მადა] მათა B.

67. 4 ჰშიშობთ] შიშობთ B. 9 უცნაურის] უცნაურ B. 12 ჰსურდა] სურდა B. 16 ჰნიშნავს] ნიშნავს B. 21 წავიდა] წავიდაო B. 22 გადაჰხდა] გადახდაო B. 22 გამოაფხიზლა] გამოაფხიზლაო B, მოტკბილდა] მოტკბილდაო B. 24 ჰხსნიდა] ხსნიდა B. 27 მოჰხდა] მოხდა B. 28 თანახმა] თანახმაო B. 32 ნიშანიაო] ნიშანიო B.

68. 1 ჰნატრულობდა] ნატრულობდა B. 2, 3 ირჩობდა] იხრჩობდა B. 3 ჰლაცობდნენ] ლაცობდნენ B. 6, 7 მოჰხდა] მოხდა B. 14 – 15 მოჰხდესო] მოხდესო B. 17 მოჰხდა] მოხდა B. 22 – 23 ჰხედავსო] ხედავსო B. 28 ასტყდა] აჰსტყდა B. 28 – 29 დედაკაცებს] დედაკაცებ B. 29 ზოგიერთნი] ზოგიერთი B, განზრახ] განძრახ B. 33 წარმოსთქვეს] წარმოჰსთქვეს B. 34 უხათაბალოდ] უხათაბალოთ B.

69. 1 მოელოდნენ] მოელოდნენ B, გადასწყვიტეს] გადაჰსწყვიტეს B. 2 გათავდება] გათავდებაო B, სალამომდინ] სალამომდი B. 3 დასცალდათ] დაჰსცალდათ B, ელოდნენ] ელოდნენ B, მოჰხდა] მოხდა B. 4 უცბად] უცბათ B, ატყდა] მოხდა B. 12 ჩამოართვა] ჩამოართო B. 18 გადმოჰხედა] გადმოხედა B. 19 შეჰკრთა] შეკრთა B. 25 ქვრივად] ქვრივათ B. 26 მღვდელმა] ღვდელმა B. 31 ჰნიშნავდნენ] ნიშნავდნენ B. 32 სახლში] სახლშიო B. 33 – 34 სესილიო] სესილი B.

70. 3 შეჰნიშნეს] შენიშნეს B. 7 ავგუნებად] ავგუნებათ B. 8 შემოსცქერიან] შემოჰსცქერიან B, ხელსახოცში] ხელთსახოცში B. 10 მისცა] მიჰსცა B. 13 – 14 ისწრაფვიდა] ისწრაფიდა B. 21 ალიანქოთს] ალიანქოთს B. 21 – 22 მოელოდნენ] მოელოდნენ B. 28 ჰშვენისო] შვენისო B. 30 მოსწონდა] მოჰსწონდა B, ჰშორდებოდა] შორდებოდა B. 33 – 34 ჰლაპარაკობდნენ] ლაპარაკობდნენ B.

71. 2 დახრინწიანდა] ახრინწიანდა B. 3 ჰხედავს] ხედავს B. 8 სთქვა წელანო?] ჰსთქვაო წელან? B. 8 – 9 ასე იქნება] ესე იქნებაო B. 11 შესცვალეს ბეჭდები] შეჰსცვალეს ბეჭდებიო B. 12 მოკვდა] მოკვდაო B, რასაკვირველია] რასაკვირველიაო B. 13 საკვირველი ეს არის რომ] ეს არის საკვირველიო B. 14 იმის] იმისი B, ბეჭედი] ბეჭედიო B. 15 მინახავს] მინახავსო B, მაინც] მაინცა B(II). 16 ხმა

არ უნდა] უნდა ხმა არ B, უნდა – B. 19 – 20 პატივისცემით] პატივით B. 24 ცეკვა] ტანცაობა AB. 29 შუალამისას] შუალამის B. 30 ცეკვაც] ტანცაობაც AB.

72. 2 მარტო ეტლში – B. 3 მისცა] მიჰსცა B, სესილმაც] სესილმა B. 4 მოიზიდა] მოზიდა B. 17, 18 ჰნიშნავს] ნიშნავს B. 18 ცოლად] ცოლათ B. 25 გამოსთქვამდა] გამოჰსთქვამდა B. 27 განზრახვას] განზრახვასა B. 31 ფიქრად] ფიქრათ B. 35 ქმრად] ქრმათ B.

73. 1 ძალი] ძალი B. 3 ულუკმაპუროდ] ულუკმაპუროთ B. 8 უწმაწურად] უწმაწურათ B. 9 – 10 სამასხაროდ] სამასხარათ B. 11 სცდები] ჰსცდები B. 15 მაგოდენა] მაგისტანა B. 18 ქმრად] ქრმათ B. 31 ყმად] ყმათ B. 34 დინჯად] დინჯათ B.

74. 11 შეჰხედა] შეხედა B. 14 არა] არ B. 17 თვითონ] თითონ B. 19 სტანჯავდით] ჰსტანჯავდით B. 21 მოჰხდა] მოხდა B. 28 – 29 ჰქადულობდა] ქადულობდა B.

75. 3 ჰშიშობს] შიშობს B. 4 სჩანს] ჰსჩანს B. 24 დაჰხვდა] დახვდა B. 34 თვითონ] თითონ B. 2 სცადე] ჰსცადე B. 6. ავადმყოფობამ] ავადმყოფობამ B. 17 დედადაც] დედათაც B. 24 ვტყუი] ვსტყუი B. 29 აღვუთქვი] აღუთქვი AB.

77. 11 დაგარჩობ] დაგახჩობ B. 25 დაეშვა] დაეშვო B. 28 შემუსრეთ] შეჰმუსრეთ B. 30 მოიპოვებთ] მოიპოვით B. 31 ვიქნები] ვიქმნები B. 32 სულთამხუთავად] სულთამხუთავათ B.

78. 1 უმამოდ] უმამოთ B. 2 მამად] მამათ B, მისცეთ] მიჰსცეთ B. 14 ვერცარასა] ვერც ვერასა B, ვერცარა] ვერც ვერა B. 18 საყვარლადა] საყვარლათა B. 20 კარებისკენ] კარებისაკენ B. 21 სჭიდებდა] ჰსჭიდებდა B. 23 მოეშვა] მოეშვო B. 25 დაჰკეტა] დაკეტა B, ადევნა] აადევნა B. 26 მაგიდასთან] სტოლთან AB, დადო] დასდო B. 28, 32 ჰფიქრობდა] ფიქრობდა B. 30 დაჰხვედროდა] დახვედროდა B. 35 საყვარელი] საყვარლად B.

79. 7 ჰმეცადინებდა] მეცადინებდა B. 11 გამოველოდდი] გამოველოდი B. 13 სჯობს] ჰსჯობს B. 15 შვილი] + ჩემი შვილი იქნება, სხვა ხომ არაფერი. შენი შვილი B, მზანებელი] მზანებელი B. 19 სახლში] სახლშიაც B, მოჰხდეს] მოხდეს B. 24 დავდო] დავსდო B. 32 ბოლოსა] ბოლოს B. 33 გასცა] გაჰსცა B.

80. 6 სცდები] ჰსცდები B. 7 ცოლად] ცოლათ B. 15 უცბად] უცბათ B. 16 – 17 გადასდგა] გადადგა B. 25 ჰნახა] ნახა B, უძრავად] უძრავადა B. 26 ავად] ავათ B. 29 ფერანი] ფერან B. 31 ვაი-უიზედ] ვაი-უისზედ B, დაკარგავდა] დაჰკარგავდა B.

81. 2 მიჰხვდა] მიხვდა B. 4 ჰთხოვდება] თხოვდებაო B. 7 ფრჩხილები] ფრჩხილები B. 8 გაჰშავებოდა] გაშავებოდა B. 8 – 9 მაგიდაზე] სტოლზედ B. 10 გამოცდილი ქიმიკოსი] გამოცდილ ქიმიკოსათ B. 11 გასინჯა] გაშინჯა B. 13 მისცა] მიჰსცა B. 16 ოთხი] ოთხის B, საწყალმა – A. 17 სჯეროდა] ჰსჯეროდა B. 18 შემოვედი] შემოვედიო B. 19 გასცა] გაჰსცა B. 21 ჰნახა] ნახა B, მომატყუაო] მომატყუვაო B, მომიხდინა] მომიხდინაო B. 22 მომიშოროს] მომიშოროსო B, შეირთოს] შეირთოსო B. 23 დაუღევია] დაუღევიაო B, დაეწაფა] დაეწაფაო B. 24 მომეკიდა] მომეკიდაო B, მიმეხადა] მიმეხადაო B. 26 საწამლავსა] საწამლავსაო B. 27 შემოვიდა] შემოვიდაო B, დაიხსნა] დაიხსნაო B. 28 წავიდა] წავიდაო B. 29

გულდინჯადა] გულდინჯათაო B, ვლევდი] ვლევდიო B. 30 სულმდაბალმა] სულდაბალმა B, მუხანათმა] მუხანათმაო B.

82. 1 გადურჩა] გადურჩაო B, ისე] ისევ A, არის] არისო B, კიდეც – A, არის] არისო B, კიდეც – A, ავად] ავათ B. 3 – 4 ავადმყოფის] ავათმყოფის B. 8 – 9 იქნება] იქნებაო B. 9 ძმა] ძმაო B. 13 – 14 მოჰხდა] მოხდა B. 23 ჰგრძნობს] გრძნობს B. 25 ჰტოკავდა] ტოკავდა B. 26 პირ-მოკუმული] პირ-მოკუმშული B. 27 ჰღირს იმად] ღირს იმათ B. 28 სულმდაბალ] სულდაბალ B. 30 ეხვეოდა] ეხვევოდა B, სცდილობდა] ცდილობდა B. 33 უკედ] უკეთ B.

83. 2 მუხლმოდრეკილი დაეცა – B. 3 – 4 მომშორდები] მამშორდები B. 6 – 7 მარტოდმარტო] მარტოთ-მარტო B, უპატრონოდ] უპატრონოთ B. 12 ტირილით] ტირილითა B. 16 ჰკვნესოდა] კვნესოდა B. 18 მექნება] მექმნება B. 20 სტიროდნენ] ტიროდნენ B. 20 – 21 ჰბედავდნენ] ბედავდნენ B. 23 ფრთხილად] ფთხილათ B. 25 რკინისგზისკენ] რკინისგზისაკენ B. 27 სცხოვრებდა] ჰსცხოვრებდა B. 28 მოჰხდა] მოხდა B.

84. 2 სცოდნოდა] ჰსცოდნოდა B. 7 სცხოვრობს] ცხოვრობს B. 17 სიძულვილს] სიძულილს B. 23 მოჰხვდა] მოხვდა B. 24 ბეჭედით] ბეჭდით B. 28 ჰნახავ] ნახამ B.

85. 1 ხარბად] ხარბათ B, შეისუნთქა] შეისრუტა B. 3 მოჰკრავენ] მოჰკვრენ B. 4 სთქვან] ჰსთქვან B, რამა] რამ B. 8 მომიცდი] მამიცდი B. 12 იკითხავს] იკითხამს B. 16 – 17 მოჰხდება] მოხდება B. 23 აჰხადა] ახადა B. 25 მძიმედ] მძიმეთ B. 27 აქეთ-იქით] აქედ-იქით AB. 31 უჩუმრად] უჩუმარად B, ფეხაკრებით] ფეხაკრეფით B. 32 ეტლს] ფაიტონს B.

86. 3 სტიროდა] ტიროდა B. 5 ხვალაც] ხვალეც B. 8 ერთხმად] ერთხმათ B. 11 ეტლი] ფაეტონი B, ელისეს] ელისეის B. 19 არა ვნახე] არ ვნახეო B. 20 იყო] იყოვო B, მოვიწამლე] მოვიწამლეო B. 26 უღმრთოდ] უღვთოთ B. 28 დაიჯერებს] დაიჯერებსო B. 29 გუდარსა] გუდარს B, მისცა] მიჰსცა B. 30 გავამხელო] გავამხელო A. 31 პირობა] სიტყვა B.

87. 4 ჩაუფუშავდა] ჩაუფუშამდა B. 7 ადვილადაც] ადვილათაც B. 11 ჰნახოს] ნახოს B, თავისი] თვისი B. 12 საფრთხილო] საფთხილო B. 15 ჰპოულობდა] პოულობდა B. 17 – 18] მოვამზადებ] მოვამზადებო B. 19 აჰხადა] ახადა B, მაგიდის] სტოლის AB. 20 შემდეგის წერას] წერას შემდეგისას B. 23 შენც] შენ B. 25 მოჰხდა] მოხდა B. 30 სად ვიყავ] სადა ვარ B. 32 და – B.

88. 1 თითონ თვითონ B. 2 ქვრივად] ქვრივათ B. 6 იქიდამ] აქედამ B, გადავვარდნილიყავ] გადავარდნილვიყავ B. 10 გადავვარდნილიყავ] გადავარდნილვიყავ B. 13 დარჩობის] დახჩობის B. 15 საავადმყოფოში] სასნეულოში B. 16 თთვე] თვე B. 17 საავადმყოფოში] სასნეულოში B, ჰკვიდამ] ჰკუიდამ B. 18 მოელოდნენ] მოლეოდენ B. 24 გამეპრობოდა] გაქრობოდა B. 31 ჰქონოდა] ჰქონდა B.

89. 3 შესატყობრადაც] შესატყობრათაც B. 4 კეთილი] კეთილის B. 6 დავმორჩილებიყავ] დავმორჩილებვიყავ B. 8 მსხვერპლი] სხვერპლი B. 13 მუხლმოდრეკითა] მუხლმოდრეკით B, 14 გთხოვ] გთხოვთ B. 25 ქმრადა] ქრმათა B. 31 მოგაშორებ] მოგაშორებო B. 33 გთხოვ] გთხოვთ B.

90. 1 ფოჩტიო] ფოშტიო B, გამომიგზავნე] გამოგზავნე B. 7 ჩასდო] ჩადო B. 9 გთხოვთ] ვჰსთხოვთ B. 12 მოჰხდა] მოხდა B, მითხრა] მითხრაო B. 14 სთხოვა] ჰსთხოვა B. 16 უთხარი] უთხარიო B. წავიდა] წავიდაო B. 17 დამპირდა] დამპირდაო B, დავბრუნდებო] დაბრუნებასაო B. 16 საათმა თორმეტი] თორმეტ საათმა B. 20 ჰხედავთ] ხედავთ B. 21 ვადას] საათს B. 22 დილას + რომ B. 23 ჩაიცივამ] ჩაიცივაო B. 26 ჩამოართვა] ჩამოართვო B. 31 გასაგზავნი – B, ფოჩტის] ფოშტის B.

91. 4 მოჰხდა] მოხდა B. 6 კერძოდ] კერძათ B. 8 გავარდა] + და B. 12 მსხვერპლია] სხვერპლია B. 14 ლაპარაკობდა] ლაპარაკომდა B. 15 – 16 დავაშლევინებ] დავაშლევინებო B. 17 სდიოდა] ჰსდიოდა B. 22 – 23 უბრალო რაღაცეებზე ლაპარაკობდნენ ხოლმე] სადილზედ ლაპარაკობდნენ ხოლმე უბრალო რაღაცეებზე B. 25 რომელიც] + მთლად B. თვალყურს გაფაციცებით – B. 30 ვარ] ვარო B, თავს] თავი B, გავუფრთხილდეო] გავიფრთხილოთ B. 32 ოჯახში] ოჯახშია B, თანდათან] + უფრო B. 33 ჰმატულობდა, ჰგროვდებოდა] მატულობდა, გროვდებოდა B.

92. 5 უღალატა] უღალატაო B, ძმასო] ძმასაო B. 13 წინანდელებრ] წინადელებ AB. 28 სჯობია] ჰსჯობია B. 29 – 30 შემიტყობს] შემიტყობსო B. 34 20] 20-ს AB. 11 მორისი მაშინვე გამოფხიზლდა – B. 16 ვთქვა] ვჰსთქვა B. 18 შემოსძახა] შემოჰსძახა B. 29 ჰნახა] ნახა B. 24 თვეში] თვეში B. 25 გამოსცვალა] გამოჰსცვალა B. 26 ჰაბუკად] ჰაბუკათ B. 27 მოედანზედ] მეიდანზედ B. 31 დომლული] ჟილეტკა B.

94. 1 სჩანდა] ჰსჩანდა B. 8 – 9 ყოველისფრით] ყოველისფრით B. 10 გაწვრთილი] გაწრთვნილი B. 18 დაეწაფა] დაეწაფაო B. 21 გრძნობა] ჰგრძნობა B. 32 გამოართოს] გამოართვას B.

95. 2 20] 20-ს B. 8 გადაურჩენიათ] გადურჩენიათ B. 9 საავადმყოფოში] სასნეულოში B. 15 მნახა] მნახაო B. 16 ნათესავმა] ნათესავმაო B. 16 – 17 ვიდეგ] ვიდექ B. 17 გვიამბო] გვიამბოო B. 20 შევირთე] შევირთეო B. 26 სწრაფად] ჰსწრაფად B. 27 მზადმყოფმა] მზათმყოფმა B. 28 ყოველისფერს] ყოველსფერს B.

96. 5 – 6 მისწერა] მიჰსწერა B. 9 სტიროდა] ტიროდა B. 11 სესილის] სესილას AB. 13 შეიპყროს] შეიპყრასო B. 14 ვეტყვი] ვეტყვიო B, დავწვი] დავწვიო B. 15 გაივლის] გაივლისო B, დაავიწყდება] დაავიწყდებაო B, ყველაფერი] ყველაფერიო B. 20 ამბობდნენ] ამბობდნენო B. 21 თავი] თავიო B. 22 სიტყვით] სიტყვითაო B. 23 დააყენა] დააყენაო B, შეეტყოთ] შეეტყოთო B. 24 მოსულიყო] მოსულიყოვო B, შეყრილიყო] შეყრილიყოვო B. 25 წაეღოთ] წაეღოთო B, დაესვენათ] დაესვენათო B. 30 ავადმყოფო] ავათმყოფი B.

97. 8 კარებსა] კარებსო B.

98. 4 მოჰხდა] მოხდა B, ივნისს] ივლისს A. 10 ჰლაპარაკობდა] ლაპარაკობდა B. 11 მოუკლავთ] მოუკლავთო B. 12 იცნობდაო] იცნობდა B. 13 – 14 დამრჩვალის] დამჩვალის B. 15 ბედი] + როგორღაც B, შეჰწევთ] შეჰსწევთ B. 26 მოკაზმული] მოკმაზული B.

99. 2 დაეტეოდა] დაეტეოდა B. 3 მოდიოდა] მოდიოდაო B. 7 ჩვენის] ჩვენი B. 8 ეკატერინე] კატერინი B. 10 სცმია] ჰსცმია B. 13 ჰსინჯავდნენ] სინჯავდნენ B. 14 მისცა] მიჰსცა B. 15, 16, 24 კამისარი] კამისარი B. 18 შევიდნენ] შავიდნენ B. 21 – 22 დამლაგებელი] დამლაგემელი B. 28 ორ] ორს B.

100. 9 ვიჯექ] ვიჯეგ B. 14 მისცა] მიჰსცა B. 18 გაირჩევოდა] გაირჩეოდა B. 28 ორი] ორის B. 29 მაგიდა] სტოლი B.

101. 1 შამპანიურ ღვინის] შამპანსკის B. 1 - 2 ჭიქა] ბაკალი B. 3 მსხვერპლს] სხვერპლს B. 4 – 5 დარჩენილიყო] დარჩენილი იყო B. 5 გრძელ] გძელ B. 6 კაბა] იუბკა B. 9 ბავშვის] ბაშვის B. 10 წულები] წუხები B. 12 გასინჯეს] გაშინჯეს B. 20 ვერც] არც B. 21 ნიმფასა] ნიმთასა B. 22 მსხვერპლი] სხვერპლი B. 24, 32 კამისარი] კამმისარი B. 24 ჩასწერეს] წაჰსწერეს B. 26 მკვდრისას] მკდრისას B, ვერაფერი] არაფერი B. 27 დასჩნეოდა] დასჩნევოდა B. 28 პირიქით] პირი იქით B.

102. 5 გავუსინჯე] გაუსინჯე B. 15 ჰნახეს] ნახეს B. 20 მაგიდაზე] სტოლზედ AB. 28 ეტყობა] ეტყობაო B. 29 ჰღირდესო] ღირდესო B. 34 თთვეში] თვეში B. 33 მოსდიოდა] მოჰსდიოდა B.

103. 14 რამოდენადაც] რამოდენათაც B. 19 კამისარი] კამმისარი B. 28 სჩხრეკდა] ჰსჩხრეკდა B. 29 – 30 მეორეზედ] მეორედ B. 34 ფრთხილიცა] ფთხილიცა B.

104. 1 კამისარმა] კამმისარმა B. (ყველგან ასეა). 5 დედაკაცი – B. 10 გაქვთ] გაქვთსთ B. 20 ქალს] ქალი B.

105. 4 დასინჯა] და სინჯა B. 5 კამისარს] კამმისარს B. 6 რადაცა] რათაც B. 15 დასცხება] დაჰსცხება B. 16 არასფერს] არასფერსაი B. 18, 22 სდებია] ჰსდებია B. 25 მაგიდასთან] სტოლთან AB. 27 სჩანს] ჰსჩანს B, მაგიდა] სტოლი AB. 34 ჭიქები] ბაკლები B.

106. 3 ბოთლში] ბოთლი B. 9 დარჩენილა] დარჩომილა B. 11 საყურეები] საყურეები AB, ერთისგან] ერთისაგან B. 14 ნათქვამს] ნათქვამსა B. 28 შეჰხედა] შეხედა B. 29, 33 კამისარმა] კამმისარმა B. 33 მდივანი] სეკრეტარი AB.

107. 3 მოსჩხრიკეთ] მოჰსჩხრიკეთ B. 4, 6 ვერა] არა B. 22 ჰფიქრობდა] ფიქრობდა B. 26, 28 შამპანიური] შამპანსკი B.

108. 5 ყველაფერი – A. 6 მისცა] მიჰსცა B. 7 უბრძანა] უბძანა B. 8 სთხოვა] ჰსთხოვა B, კამისარს] კამმისარს B. 19 აფთეჟში] აფთეჟაში B. 20 ვიცოდეთ] ვიცოდეთო B. 32; 109. 2 შამპანურ ღვინოში] შამპანსკში B.

109. 1 მთხოვეს] მჰთხოვეს B. 4 შეგიძლიათ] შეგიძლიან B. 7 ლაბორატორიაში] ლაბარატორიაში B. 14 ხმარობენ] ჰხმარობენ B, აქეთ] აქედ AB. 15 გაუფრთხილებელია] გაუფრთხილებელია B. 16 ჰფიქრობს] ფიქრობს B. 17 – 18 საფათერაკოდ] საფათერაკოთ B. 18 ამბავი] ამბავიც B. 25 წამლისა] საწამლავისა B. 33 თითონაც] თვითონაც B.

110. 1 შამპანიური] შამპანსკი B. 5 სჩანს] ჰსჩანს B. 6 შევუდგები] შეუდგები B. 17 სრულიად] სრულად B. 20 უკანასკნელი] უკანასკნელნი B. 21 გრძლად] გძლად B. 22 მეორე] მეორეს B. 24 სცდილიყვნენ] ცდილიყვნენ B. 25 აქეთ-იქით] აქედ-იქით AB.

111. 2 – 3 შამპანური ღვინო] შამპანსკი B. 9 შამპანური] შამპანსკი B. 14 მანამ] მინამ B. 16 იყო] იყოვო B, მითხრა] + რომ B. 17 ვიფიქრე] ვიფიქრეო B, არის] არისო B.

112. 3 კვალი – B. 13 სავახშმოდ] სავახშმოთ B. 22 ტანად] ტანათ B. 27 ცხოვრებს] ჰსცხოვრებს B. 32 შამპანური] შამპანსკი B. 8 უეჭველია] უეჭველიაო B. 22 ჰფიქრობდა] ფიქრობდა B. 33 ბრინჯაოს ქარხნის] მებრონზე B.

114. 5 კიბეზედ ხელახლად – B. 16 ელდაცემულმა] ელდაცემული AB. 20 სცხოვრებდა] ჰსცხოვრობდა B. 24 გინახავთ] გინახამთ B. 28 ორშაბათს] ორშაბადს B. 34 – 35 მახლობლობა] კავშირი B.

115. 2 მინახავს] მინახამს B. 7 ჰყიდულობდა] ყიდულობდა B. 11 დაჰხვდა] დახვდა B. 12 გვიბძანეთ] გვიბრძანეთ B, მე] მეო B. ვიცი] ვიციო B. 27 რამე] რამ B. 30 რამე] რამეო B, ამისთვის] ამისათვის B.

116. 3 ვითომ] მითამ B. 5 შაბათს] შაბადს B. 10 გადაჰხვეოდა] გადახვევოდა B. 16 ამდენის] ამდვენის B. 24 გასინჯეთ] გაშინჯეთ B. 34 ქუჩისკენ] ქუჩისაკენ B.

117. 4 – 5 ჩემთან] ჩვენთან B. 5 ვთხოვე] ვჰსთხოვე B. 9 შეამჩნია] შეამცნია B, ვერა] არა B. 14 მოგიკრავთ] მოგიკრამთ B, ჰლაპარაკობდნენ] ლაპარაკობდნენ B. 23 ყელთამდე] ყელთამდი B. 27 ორშაბათი] ორშაბადი B.

